

მღერს
იზანოუსი



სოსელი
და
ქვიშე

«ლიტერატურა და ხელოვნება»
19 თბილისი 63

И (исп)
86 — 31
н 744

თარგმანი
გორის მირცხულავასი

გლასკო იზანიესი

ესპანური ლიტერატურის ხსენებაზე ქართველი მკითხველი უპირველეს ყოვლისა წარმოიდგენს მიგელ დე სერვანტესის უკუდავ „დონ კიხოტს“, რომელიც ბრწყინვალედ გადმოაქართულა ნიკო ავალიშვილმა. მაგრამ უთუოდ ზოგს მხოლოდ ყრუდ თუ გაუგონია მეოცე საუკუნის ესპანური ლიტერატურის წარმომადგენელთა სახელები, რომელთა შორის ჩვენი საუკუნის მოწინავე ადამიანებიც არიან. ეს ვითარება მხოლოდ ესპანეთის გეოგრაფიული სიშორით როდი აიხსნება. — რეაქტიული თვითმფრინავების ეპოქაში მანძილი დიდ როლს ვეღარ თამაშობს, — არამედ დიდი იდეოლოგიური სხვაობით, რომელმაც ესპანეთი, სერვანტესისა და მურილიოს, ველასკეზისა და ლოპე დე ვეგას, გოიას, იბანიესისა და ლორკას ქვეყანა, მალალი, ყრუ კვლით გამოჰყო პროგრესული კაცობრიობისაგან.

ესპანეთი ისტორიულად წინააღმდეგობრივი განვითარების ქვეყანა იყო: ესპანეთიდან გამგზავრებულ ქრისტიანთა კოლუმბისა და პორტუგალიელი მეზობლის ვასკო და გამას ბედმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა. გადაატრიალეს კაცობრიობის წარმოდგენა სამყაროზე, ხოლო ესპანელი იგნასიო ლოიოლას მიერ დაარსებულმა იეზუიტთა ორდენმა ინკვიზიციის ხანძარში შთანთქმა დასავლეთის პროგრესული აზროვნების მრავალი ქმნილება და მათი ავტორები.

კათოლიკური რომის დასაყრდენ ესპანეთის მიწაზე მრავალი ახალგაზრდული სისხლის ჩქეფა განელებულა დევათა მონასტრის რუხ კედლებს იქით, ხოლო კიდევ უფრო მეტი ფიცხი და ამაყი ესპანელის ახალგაზრდული სისხლი დაღვრილა ორთაბრძოლაში სიყვარულის სახელით. ასევე კარდინალები ღვთის შრშსა და კრძალვას თესავენენ ღვთისმოსავთა შორის, ხოლო სევილიისა თუ ტოლედოს კორიდაზე წარბშეუხბრელი მატალორები გმირავდენენ გახლებულ ხარებს აგზნებული მაყურებლის ყიეინაში. ამაზე უფრო ადრე ესპანეთი, — დასავლეთის ცივილიზაციის ბასტიონი აღმოსავლეთის საზღვარზე. — სასტიკ ბრძოლაში უმკლავდებოდა არაბთა სამყაროს შეუპოვარ შემოტევას, რომელმაც დამსკოს ხალიფარის ბაიარლი კორდოვაში გადმოიტანა, ხოლო უფრო გვიან გუერილას გმირები ანგარიშს უსწორებდენენ საყვარელი სამშობლოს დამპყრობლის ნაპოლენის ჯარისკაცებს.

მეოცე საუკუნეშიც წინააღმდეგობრივ ქვეყანად დარჩა ესპანეთი: მეოთხედი საუკუნის უკან აქ აფრიალდა თავისუფლების დროშა, რომლის ქვეშ თავი მოიყარეს კაცობრიობის მოწინავე ადამიანებმა, ხოლო სულ მალე გენერალმა ფრანკომ სისხლში ჩაახშო ესპანეთის რესპუბლიკა და დაამკვიდრა ფაშისტური რეჟიმი. რომელსაც ახლანდელი პარლამენტის დადგენილების თანახმად მეფის ხელისუფლების აღდგენა უნდა მოჰყვეს დიქტატორ კაუდილოს სიკედილის შემ-

დევ. იქ, სადაც ოდესღაც არაბ დამპყრობელთა წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში სახელგანთქმულ ესპანელ ვაეკაცს როდრიგო დიასს „ჩემ სიღს“ ეძახდა სიყვარულით ხალხი და ეპიურ სიმღერებს უგალობდა რეკონკისტას ამ ცნობილ გმირს, დღეს მგზნებარე ხალხურ სიმღერებშიც კი ყრუ გმინვა გაისმის, ხოლო ცეცხლოვან ცეკვებში თუ კასტანიეტების ტაკუნში — სიცოცხლისა და სიკვდილის შეჯახების ხმა. ესპანეთი იმავე გეოგრაფიულ განედზე მდებარეობს, რომელზედაც საქართველოა, მზე ასევე მსუსუნვარეა და ადაშიანის სისხლიც ისევე მჩქეფარე, სიყვარული ისევე მწარე და სიძულვილიც ასევე ტკბილი. გარდა ამისა, — და ეს ცალკე აღნიშვნის ღირსია, — ესპანეთის ჩრდილოეთ პროვინციებში ცხოვრობს ერთი უცხო მოდგმის ტომი, — ბასკები — რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი ქართველებთან ანათესავებს ენითა და ზნე-ჩვეულებებით. მაგრამ ეს საკითხი ჯერ შესწავლილი არ არის და ამიტომაც ბევრს ვერაფერს ვიტყვი ამაზე. ამაჟამად მთავარი ის არის, რომ ესპანელი ხალხის კულტურა, მისი ხელოვნება და მხატვრული ლიტერატურა კემპარიტად დიდი და შემოქმედი ხალხის ქმნილებაა და იგი, სამწუხაროდ, ჩვენში საკმაოდ ცნობილი არ არის. ამიტომაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეოცე საუკუნის ცნობილი ესპანელი მწერლის ბლასკო იბანიესის წინამდებარე რომანის გამოცვლას ქართულ ენაზე.

ვისენტე ბლასკო იბანიესი (1867 — 1928) იმ ეპოქაში ცხოვრობდა, როცა კაპიტალიზმი გადადიოდა ყველაზე უფრო რეაქციულ სტადიაში, ხოლო თანამედროვე დემოკრატია აუჩქარებლად იკრებდა ძალებს. ამიტომაც იბანიესის შემოქმედებათი გააოხრება კრიტიკული დამოკიდებულებაც მმართველი კლასებისადმი და დემოკრატიული ფენების ოცნებაც საყოველთაო თავისუფლებასა და ბედნიერებაზე. მაგრამ ეს ოცნება, როგორც ჩვევით კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლებს, მოწყვეტილი იყო რეალობას და არ წარმოადგენდა იმ თანმიმდევრულ რევოლუციურ თვალსაზრისს, ურომლისოდ არ შეიძლება თანამედროვეობის სულიერი პრობლემების რეალური გადაწყვეტა.

ბლასკო იბანიესის ცხოვრება რთული და მძიმე იყო. იგი დაიბადა ქ. ვალენსიაში, წერილი კომერსანტის ოჯახში. მშობლების სურვილი იყო შეილი იურისტი გამოსულიყო, მაგრამ ბლასკომ ეს გზა უარყო, ფარულად დასტოვა ვალენსია და მადრიდში გადასახლდა. აქ გადადგა მან თავისი პირველი პოლიტიკური და ლიტერატურული ნაბიჯები, მაგრამ მშობლებმა მიაგნეს და როგორც მცირეწლოვანი, სამშობლო ქალაქში დააბრუნეს. ბლასკო იძულებული გახდა დაემთავრებინა იურიდიული ფაკულტეტი, მაგრამ ამის შემდეგ იგი მაინც დაუბრუნდა თავის საყვარელ საქმიანობას.

ძლიერი ფეოდალური ტრადიციების ქვეყანაში ამ დროს გზას იკაფავდა კაპიტალიზმი, მაგრამ ახლად დაბადებული პროლეტარიატის წინაშე შიშის გრძობაზე ბურჟუაზიას მალე აარჩევინა კომპრომისის გზა ფეოდალურ სამხედრო კასტასთან. მიუხედავად ამისა, ამ კონტრასტების ქვეყანაში მაინც დაიწყო პროგრესული მოძრაობა — გაჩნდა პროფესიული კავშირები, სოციალისტური პარტია, რესპუბლიკური მიმართულება. ბლასკო იბანიესი ამ უკანასკნელს გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს შეუერთდა და პოლიტიკური აქტივობის მიზეზით წლინახევრით საფრანგეთში გაქცევაც მოუხდა. იგი მეორედაც გახდა იძულებული გაქცეულიყო სამშობლოდან, ამჯერად იტალიაში. ეს იყო 1895 წელს, როდესაც ბლასკო იბანიესი გაივლიდა კუბის მუამბოხეთა მხარეზე ესპანელი კოლონიზატორების წინააღმდეგ. 1898 წელს იბანიესი პარლამენტის დეპუტატად

აირჩიეს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო სამშობლოში თავისუფლად ცხოვრების საშუალება.

რომანტიკული ტრადიციების მქონე ესპანურ ლიტერატურაში ოთხმოციან წლებში რეალისტურმა ტენდენციებმა იჩინა თავი: ბენიტო პერეს გალდოსი და ხოსე მარია პერედა, აგრეთვე სხვა მწერალი-რეალისტები ქვეყნიდან იმ ლიტერატურულ ფონს, რომელზედაც გამოვიდა ბლასკო იბანიესი. თავის პირველ, უმწიფარ თხზულებებში მან გარკვეული ხარკი გაიღო რომანტიზმის სასარგებლოდ. მაგრამ მალე გადავიდა მშობლიური სამყაროს რეალისტურ ასახვაზე. იგი არ დამკვანებია პატრიარქალური პროვინციის მომღერლებს, რომლებიც მისტიროდნენ წარსულს და გმობდნენ ყოველგვარ ახალს კათოლიკური მორალის პოზიციებიდან. მისი „პატარა სამშობლო“ იტყვდა მთელი ქვეყნისათვის სპირიტუორტო, ამალელებელ თემებს; იგი აღივებდა უბრალო მშრომელ ადამიანებს და კიცხავდა ეგოიზმს, კარიერიზმს, მატერიალური კეთილდღეობისადმი მისწრაფებას და პატივმოყვარეობის ყოველგვარ გამოვლენას, ამხილებდა სოციალურ უსამართლობას და ასახავდა ლატაკთა ცხოვრებას. განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაუთმო მწერალმა ამ დროის ესპანეთის უმნიშვნელოვანეს პრობლემას — სოფლის მეურნეობისა და გლეხობის პრობლემას.

მომარტვის დამხობამდე (1931 წ.) ესპანეთის მიწების ორი მესამედი მემამულეებსა და ეკლესიას ეკუთვნოდა. უმიწაწყო გლეხობის დიდი ნაწილი მძიმე იჯარით იღებდა მიწას და ამუშავებდა. XIX საუკუნის მიწურულში მომხდარმა რამუნემ აჯანყებამ საქვეყნოდ ცნობილი გახადა ამ პრობლემის სიმწევე და აქტუალობა. ბლასკო იბანიესმააც თავისი პირველი მნიშვნელოვანი რომანები ამ პრობლემას მიუძღვნა. შემოქმედების ამ ეტაპზე მისი ლიტერატურული მასწავლებლები იყვნენ ზოლა და ჰიუგო, სერვანტესი და რუსი რეალისტები. სოციალური პრობლემები, დემოკრატიული ტენდენცია, რეალიზმი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის მთლად თავისუფალი ნატურალიზმის ელემენტებისაგან — აი, ააახსიათებდა ბლასკო იბანიესის შემოქმედებით მეთოღს ამ ეტაპზე.

მეოცე საუკუნეში ესპანეთი გადმოვიდა ფეოდალური ტრადიციებითა და ზნე-ჩვეულებებით შემოკოილი. 1898 წელს იგი დამარცხდა ამერიკასთან და ამით თითქოს ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი ჩამორჩენილობა, როგორც ეს მოხდა სამი საუკუნით ადრე ინგლისთან ბრძოლაში. ხალხთა მასების მძლავრმა ამოძრავებამ აღნიშნა ესპანეთის ეს გადმოსეღა ახალ საუკუნეში. ამ ისტორიულ ვითარებაში მწერალმა მიმართა ახალ თემატიკას და 1903-1905 წლებში გადაჭირით დაიწყო ნამდვილი სოციალური რომანების წერა, საღაც ხალხის პრობლემასთან ერთად სამშობლოს პრობლემაიც დააყენა. ამის გამო ამ პერიოდის რომანებში უბნლიცისტურმა, მამხილებელმა სტილმა დასძლია ახალ მხატვრულ სახეთა მამიებელი მწერალი.

1898 წლის სამხედრო მარცხი „დიდი ესპანეთის“ ლეგენდის დასასრული იყო, მაგრამ ამას პესიმისტურ განწყობილებაში არ ჩაუღღია მწერალი. მან დაინახა, რომ კატასტროფის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კათოლიკური ეკლესიის ბატონობა და თავისი კალამიც ამ უკანასკნელის წინააღმდეგ მიმართა. რომანში „ტამარი“ (1903) მან გამოიყენა ანარქისტი გაბრიელ ლუნა, რომელიც იღუპება იმათი ხელით, ვის განსწავლასაც და კათოლიციზმის ტყვეობისაგან დახსნასაც აპირებდა იგი. მაგრამ ეს ჯერ კიდევ სუსტი რომანი იყო. მომდევნო რომანებში „დაუპატივებელი სტუმარი“ (1904), „ღვინის საწყობი“ (1905) და „ურდო“ (1905) მწერლის ოსტატობა უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა.

„დაუპატივებელ სტუმრად“ მწერალი წარმოგიდგენს კათოლიკური ეკლესიის ყველაზე დიდ მკველს ახალ დროში — იეზუიტთა ორდენს. ეკლესია ცდილობს შეინარჩუნოს გაბატონებული მდგომარეობა და ახალ პირობებში ტაძრის ნაცვლად უნივერსიტეტის საშუალებით დანერგოს თავისი გავლენა. სწორედ აქ არიან ჩასაფრებულნი იეზუიტები, აქედან მართავენ ისინი ქვეყანას. რომანი სცილდება მწერლის მიერ თავდაპირველად დასახულ ფარგლებს და ოსტატურად წარმოგიდგენს შრომისა და კაპიტალის ურთიერთობას ესპანეთის პირობებში. დამახასიათებელია რომანის ტიპაჟი; სანჩეს მარუეტა, — ეს მესაქმე, დიდი ნებისყოფის პატრონი, — ასახიერებს კაპიტალისტი მტაცებლისა და ეგოისტის ტიპს; ეს არის ჭკვიანი და ვერაგი მხეცი, რომელიც მიუხედავად ზიზღისა იეზუიტებისადმი, ცხოვრების ლოკაჟმ დააკავშირა მათთან; იგი უპირისპირდება ამავე რომანში წარმოდგენილ კეთილშობილ მეოცნებე ინტელიგენტს არესტის, რომელსაც სჯერა, რომ ოდესმე აღამიანების ღმერთებად იქცევიან მეცნიერება და სამართლიანობა. დიდ ყურადღებას უთმობს მწერალი მუშათა კლასის წარმომადგენლებსაც, მაგრამ ამ უქანასკნელთა კლასობრივი შეგნება ჯერ კიდევ დაბალია და მწერალს ნათლად არცა აქვს წარმოდგენილი მათი ისტორიული მისია.

სოციალური თემატიკა — ანდალუსიელი მოკამაგიჩების ლაშქრობა და ქალაქის დატაკთა ცხოვრება შეადგენს რომანების „ღვინის საწყობი“ და „ურლო“-ს შინაარსს.

ამ რომანებში იგი უკვე აშკარად გამოდის ჩაგრულთა მხარეზე და, თუმცა ვერ წყვეტს რევოლუციის პრობლემას თავისი ბურჟუაზიული შეზღუდულობის გამო, მათში ასახული ხალხის წარმომადგენელთა სახეები დიდი ძალითა და ექსპრესიით არის აღბეჭდილი, მიუხედავად იმისა, რომ ამ რომანებშიც პუბლიცისტური საწყისი განსაზღვრავს მწერლის სტილს.

XX საუკუნის პირველმა ათეულმა წლებმა სახალხო მოძრაობისა და რევოლუციური მისწრაფებების მარცხი მოიტანა. ამ მდგომარეობამ არა ერთი მისი მონაწილე მიიყვანა სასოწარკვეთილებამდე. ბლასკო იბანიესმაც განიცადა მძიმე სოციალური კრიზისი. მან უარი თქვა პარლამენტის დეპუტატის რწმუნებებზე და 1909 წელს სამხრეთ ამერიკაში წაილა. მაგრამ ამ დროისათვის იგი კიდევ რამდენიმე, უკვე არა სოციალური, არამედ ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური რომანის ავტორი გახდა. ამ რომანთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა „სისხლი და ქვიშა“ (1908).

შემოქმედების ამ პერიოდში ბლასკო იბანიესი ასახავს არა მისი ადრინდელი რომანებისათვის დამახასიათებელ დაპირისპირებას, — ჩაგრულნი და მჩაგვრელები, — არამედ ტრაგიკულ მარტოობაში გამოპყოფს ცალკეულ, ნიჭით დაჯილდოებულ პიროვნებას, რომელიც უპირისპირდება უსაქმურ და უსულგულო ბრბოს. კონფლიქტი გადადის ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ პლანში; ხალხისა და მისი წრიდან გამოსული პიროვნების ერთიანობა იშლება, პიროვნება ინდივიდუალისტური თვისებებით იმკობა და მისი ტრაგედია უფრო ღრმავდება. იმედგაცრუებისა და ღრმა ფილოსოფიური რეფლექსების კვალი ეტყობა იბანიესის შემოქმედების ამ პერიოდს.

„სისხლი და ქვიშა“ გმირია ხალხიდან გამოსული, სახელგანთქმული ტორერო ხუან გალიარდო. ამ უბრალო მეჩქემის შვილმა დაუცხრომელი ახალგაზრდული ენერჯისი, ნებისყოფის, სიმარჯვისა და ფიზიკური ძალის წყალობით მიადწია მაღალ მდგომარეობას: ხარებთან ასპარეზობის გმირი, მაცურებელთა სათაყვანებელი კერპი თავბრუდამხვევი დიდების მწვერვალზე აღის და არისტოკრ-

რატო მდგომარეობას უსწორდება. ამ გასათი იგი თითქოს ამტკიცებს თავის ადამიანურ ღირსებას და უფლებას. მაგრამ მანც ბედნიერი არ არის. ის გრძნობს, რომ არისტოკრატებისათვის მხოლოდ გართობის საგანს წარმოადგენს, ხოლო უბრალო ადამიანებისათვის, რომლებიც ადრე ამაყობდნენ იმით, რომ სახელგანთქმული ტორერო მათი წრიდანაა გამოსული, იგი უცხო გახდა. მშობელ წრეს ჰოწყვეტილი გალიარდო ვერ აღწევს არისტოკრატიული წრის ნამდვილი წევრის მდგომარეობას. კონფლიქტს აღრმავებს გალიარდოს სიყვარული არისტოკრატი ქალის დონია სოლისადმი. უზნეო მეთავედასავე, უგრძნობი და ეგოისტი დონია სოლი ეძებს მხოლოდ დროებით გართობას, ქალური ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას. მისი თვალთმაქცობა და სიკრულე არის გალიარდოს გულწრფელი ვატაუტების პასუხი. ამგვარად პირადი და სოციალური ტრავმების ერთიანობა ხდება გალიარდოს დაღუპვის მიზეზი: ასპარეზზე მას სტრეპის რწმენა და გამბედაობა და იგი იღუპება ხართან ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი.

რომანში ყურადღებას იპყრობს კიდევ რამდენიმე კოლორიტული ფიგურა, რომლებშიც წარმოდგენილია ადრინდელი იბანიესისთვის დამახასიათებელი კონტრასტი: ერთი მხრით, უჯულო, უსაქმო, გასართობის მძიებელი არისტოკრატიის სამყარო, ძირითადად, მარკოზ დე მორაიმას და მისი ძმისწულის დონია სოლის სახეებით გამოხატული; მეორე მხრით — მშრომელი, პატიოსანი ადამიანები — ხუანის დედა სენია ანგუსტიასი, მისი ცოლი კარმენი, ყაჩაღი პლიუმიტასი და გალიარდოს პიკადორი სებასტიანი, მეტსახელად ნასიონალი. ეს ორი უკანასკნელი ჩაგრულთა სოციალური პროტესტის ორ ფორმას ასახელებს: ნასიონალი — რევოლუციონერი იდეალისტია, რომელსაც განათლება მიაჩნია ჩაგრულთა გათავისუფლების ერთადერთ საშუალებად; პლიუმიტასი — ყაჩაღია, ტერორისა და მდიდართა ძარცვა-გლეჯის საშუალებით გამოხატავს თავის პროტესტს არსებული წყობილების წინააღმდეგ. ინგლისელი რობინ ჰუდისა და ქართველი არსენა ყაჩაღის მეთოდით იბრძვის პლიუმიტასი საკუთარი პიროვნების ღირსებისა და უფლებისათვის, მაგრამ გალიარდოს ბრძოლის მსგავსად მისი ბრძოლაც უპერსპექტივო აღმოჩნდება.

ამავე პერიოდის რომანში „მკვდრები გემბრძანებლობენ“ იბანიესი ინდივიდუალისტურ კარჩაეტილობაში ეძებს გამოსავალს ეროვნულ და სოციალურ ცრურწმენათა გაელენებისაგან, რომელიც წარსულის მემკვიდრეობას შეადგენს. ეპისკოპოსთა, ინკვიზიტორთა და რაინდთა გვარის ჩამომავალ, რომანის გმირს ისტორია წარმოუდგება საკუთარი. ღერძის გარშემო მბრუნავი ბორბლის სახით: ისტორიის ჩარხი დაუსრულებლად ბრუნავს და ყველაფერი თავიდან მეორდება. არ არსებობს რეალური პროგრესი, არსებობს მხოლოდ მისი ილუზია. ეს კონცეფცია მთელ ევროპულ ლიტერატურაში ბატონობდა ჩვენი საუკუნის დასაწყისში და მისი საუკეთესო გამოხატეელი იყო ფრანგი რომანისტი ანატოლ ფრანსი. ბლასკო იბანიესი ცდილობს დასძლიოს ეს ფატალისტური თვალსაზრისი არა რევოლუციური ამბოხებით, პროგრესის სასარგებლოდ, არამედ ინდივიდუალისტური სიყვარულის კონცეფციით, იმ სიყვარულისა, რომელიც ერთადერთი აძლევს აზრს ცხოვრებას.

ბლასკო იბანიესმა ოთხი წელიწადი გაატარა სამხრეთ ამერიკაში. იქ იგი ებრძოდა კაპიტალისტურ ბანკებს, სწავლობდა უბრალო ხალხის ცხოვრებას, ეძებდა ამ ცხოვრების გაუმჯობესების გზებს. მწერალს განზრახული ჰქონდა დაეწერა მოთხრობების მთელი ციკლი სამხრეთ ამერიკის ხალხების შესახებ, მაგრამ მსოფლიო ომმა მოუწერო და ხელი შეუშალა. ომის დროს მან დაიპირა ანტან-

ტის მხარე და დასწერა რამდენიმე ტენდენციური ნაწარმოები, რომლებიც ვერ აციდნენ მისი ადრინდელი რომანების სიმალემდე.

ოქტომბრის რევოლუციის მიმართ თავისი სიმპათიების მიუხედავად ბლასკო იბანიესმა ვერ გაიგო საბჭოთა სინამდვილის არსი და ზოგიერთ ნაწარმოებში გამოხატა შიში პროლეტარიატის დიქტატურის მკაცრი მეთოდების წინაშე, მსგავსად წარსულის ბევრი სხვა მწერლისა, რომელთაც აძრწუნებდათ „წითელი ტერორი“.

რევოლუციის შემდგომ პერიოდში მწერალი იძულებული გახდა წასულიყო ემიგრაციაში, საფრანგეთში, რადგან მისთვის აუტანელი გახდა ესპანეთში დამყარებული ფაშისტური დიქტატურა. მისი უკანასკნელი ნაწარმოებებიდან ყურადღებას იპყრობს რომანი ქრისტეფორე კოლუმბის შესახებ, რომელიც მისი სიკედილის შემდეგ გამოქვეყნდა. ამ რომანში მწერალი ცდილობს გვაჩვენოს ცნობილი მოგზაური, როგორც ადამიანი იმ ლეგენდარული შარავანდის გარეშე, რომლითაც შემოსა იგი ისტორიამ.

ბლასკო იბანიესი გარდაიცვალა 1928 წელს. ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს მისი სახელი არა ერთგზის ყოფილა ხსენებული მისი სამშობლოს საუკეთესო შვილთა მიერ. დიდი ესპანელი სიტყვის ოსტატი და მოაზროვნე ბლასკო იბანიესი დაუცხრომელ ოპტიმისტად დარჩა ბოლომდე და ამ ოპტიმიზმთან ერთად მკითხველი ხედავს მის მგზნებარე გულს, ადამიანის ჭეშმარიტ სიყვარულს.

გ. ბაჩჩილაძე

WALLS

BY

JOHN

ხუან გალიარდოს წესად ჰქონდა კორიდის * დღეებში ადრინადად ესაუზმა. მისი ერთადერთი კერძი შემწვარი ხორცის ნაჭერი გახლდათ. ღვინოს არც გაჰკარებია. წინ ხელუხლებელი ბოთლი ედგა. ასეთ დღეს ნათელი გონება უნდა ჰქონდეს კაცს! ორი ფინჯანი მაგარი შავი ყავა შესვა, სიგარას მოუკიდა, ნიდაყვებით მაგიდას დაეყრდნო და ხელებზე ნიკაპდაბჯენილი მოწყენილი სახით ათვალეერებდა მომსვლელებს, რომლებიც თანდათანობით ავსებდნენ რესტორანს.

უკვე რამდენიმე წელია, რაც მადრიდის ცირკის არენაზე პირველი ხარი გაგმირა. ხუან გალიარდო მაშინაც ამ ალკალას ქუჩაზე, სასტუმროში ცხოვრობდა. სასტუმროს პატრონები ოჯახის წევრებით ექცეოდნენ, ხოლო ლაქიები, კარისკაცები, მზარეულები და მოხუცი მოახლეები სასტუმროს სიამაყედ თვლიდნენ. აქვე იწვა იოდოფორმის სუნითა და თამბაქოს კვამლით გაჟღენთილ ოთახში მთლად დაბინდული, როცა ხარმა რქაზე წამოაგო და ამის გამო წოლა დიდხანს მოუხდა. მაგრამ ეს ცუდი მოგონებები მატადორს** სულაც არ ენაღვლებოდა. მუდამ საფრთხეში მყოფი, როგორც ყველა სამხრეთელი, ცრუმორწმუნე გახლდათ და ფიქრობდა, რომ ამ სასტუმროს ბედნიერება მოჰქონდა მისთვის, აქ ცუდი არაფერი შეემთხვეოდა. მისი ხელობის წყალობით იქნებ ზოგჯერ ტანსაცმელი ან საკუთარი ტყავიც შემოეხეს, მაგრამ ეგ არაფერი, იგი არასოდეს დაენარცხება მისი ამხანაგებივით სასიკვდილოდ გაგმირული, რომელთა მოგონება ცხოვრების უბედნიერეს წუთებს უშხამავდა.

კორიდის დღეებში ხუანს უყვარდა დილის საუზმის შემდეგ რესტორანში დარჩენა და ირგვლივ მოფუსფუსე ხალხის ცქერა. უცხო ქეყნებიდან ან შორეული პროვინციებიდან ჩამოსულნი ისე ჩაუვლიდნენ, რომ არც კი შეხედავდნენ; მაგრამ როგორც კი მსა-

* ხართან ბრძოლა.

** ხართან მთავარი მებრძოლი, რომლის მოვალეობასაც წარმოადგენს ბრძოლის დასასრულს ხარის მოკვლა.

ხურთაგან შეიტყობდნენ, ეს მოხდენილი, წმინდად სახეგაპარსული, შავთვალა ჭაბუკი ცნობილი მატადორი ხუან გალიარდო ან როგორც უბრალოდ ეძახდნენ, გალიარდო იყო, მაშინვე ცნობისმოყვარეობით მისკენ მოტრიალდებოდნენ ხოლმე. ამ ცნობისმოყვარეობის ატმოსფეროში შედარებით ნაკლებ მტანჯველია ცირკში წასვლის დროის ლოდინი. მაინც რა ნელა გადის დრო! მერყეობისა და უიმედობის წუთები, როცა გულის სიღრმეში ბუნდოვანი შიში დაიბუდებს და მატადორს რწმენას უკარგავს, აუტანელი იყო მისთვის. ქუჩაში გახედვაც არ უნდოდა. მძიმე ბრძოლის წინ კაცი მხნე და დასვენებული უნდა იყოს. ლაზათიანად დანაყრებასაც ვერ ბედავდა, — როცა არენაზე გამოდიხარ, კუქი გადატვირთული არ უნდა გქონდეს.

სურნელოვანი კვამლის ღრუბელში გახვეული გალიარდო კვლავ ხელებზე ნიკაპდაყრდნობილი მაგიდას მიჯდომოდა და ხანგამოშვებით ეშმაკურად გადახედავდა მანდილოსნებს, რომლებიც ინტერესით ათვალეირებდნენ სახელოვან ტორეროს *.

პატივმოყვარე კერპი თაყვანისმცემელ ქალთა თვალებში აღტაცებასა და ტრფიალს ხედავდა. მანდილოსნების აზრით, ის ელეგანტური და ლამაზი იყო. ასეთ წუთებში გალიარდოს ყოველგვარი შიში ავიწყდებოდა და სიკეკლუტეს მიჩვეული მამაკაცივით უნებურად ლამაზ პოზას ღებულობდა, წკიპურტით იცალებდა სახელოზე დაყრილ სიგარის ფერფლს, ხანაც უნებურად ისწორებდა ცისარტყელას ფერებად მოელვარე დიდი ბრილიანტით შემკულ ბეჭედს, რომლის სიღრმეში თითქოს ჯადოსნური ცეცხლი გიზგიზებდა.

გალიარდომ კმაყოფილებით დაიხედა უნაკლო კოსტიუმზე, თვალი შეავლო იქვე, სკამზე ჩამოდებულ შლიაპას, ყილეტის ერთი ჯიბიდან მეორემდე გადაჰიმულ ოქროს ძეწკვს, პალსტუქში გაბნეულ მარგალიტის ქინძისთავს, თავისი რძისფერი სხივით თითქოს რომ აფერმკრთალებდა მის შავგვრემან სახეს, რუსული ტყავის ფეხსაცმელებს და ვიწრო შარვლიდან გამომზირალ აბრეშუმის აყურულ წინდებს, რომელიც კეკლუცი ქალის წინდებს უფრო მოგაგონებდათ.

ინგლისური ოდეკოლონის გამაბრუებელ სურნელს აფრქვევდა მთელი მისი სამოსი და განზე გადავარცხნილი შავად მზინავი თმა; იცოდა, რომ ეს ქალებს მოსწონდათ. ტორეროს კვლობაზე ის ულამაზო როდი იყო. კაცმა რომ თქვას, შეეძლო კიდევ თავისი

* ხართან ბრძოლის მონაწილე; უფრო ხშირად ეს სახელი მატადორს ჰქვია.

გარეგნობით ეამაყა... აბა სხვა ვინაა ესოდენ ღირსეული, სხვას ვის მოუხიბლავს ასე ქალები?

მაგრამ. გალიარდოს კვლავ შიში დაეუფლა, თვალეში უცებ შუქი ჩაუქრა, თავი ხელებს დააყრდნო, სიგარა მოქაჩა და ასე გაუნძრევლად მიჩერებოდა თამბაქოს კვამლის ღრუბელს. მოუთმენლად მოელოდა საღამოს, როცა დიდი ხნის ნანატრი წუთი დადგებოდა და ცირკიდან დაბრუნდებოდა მთლად ოფლში გაღვრილი, ქანცვამოლეული, მაგრამ მძაფრ ბრძოლაში გამარჯვებული, მგლის მადით და ნეტარების დაუოკებელი წყურვილით, რათა რამდენიმე დღე მშვიდად დაესვენა. თუ ღმერთმა ქნა და ამჯერადაც გაიმარჯვა, დაბრუნებისას ისე მადიანად დანაყრდება, სილარიბეში, ჭაბუკობისას რომ იცოდა ხოლმე. ცოტა ღვინოსაც დააყოლებს და მერე მუსიკ-პოლის იმ მომღერალ ქალს მოძებნის, რომელსაც ამას წინათ შეხვდა, მაგრამ დაახლოება ვერ მოასწრო: მოხეტიალე ცხოვრების გამო არაფრის დრო არ რჩება საწყალს!

რესტორანში აღტაცებული თაყვანისმცემლები გამოჩნდნენ... სასაუზმოდ შინ წასვლამდე მატადორის ნახვა სურდათ. ესენი გალიარდოს დიდი ხნის თაყვანისმცემელი იყვნენ, რომელნიც თავს ვალდებულად თვლიდნენ, რომელიმე დაჯგუფებაში გაერთიანებულიყვნენ და სათაყვანო კერპი ჰყოლოდათ. მათ ახალგაზრდა ჭაბუკი გალიარდო „თავიანთ“ მატადორად ამოერჩიათ და გულს უწყალებდნენ ბრძნული რჩევით, ყოველ წუთს თავიანთ ადრინდელ კერპებს, ლაგარტიხოსა * და ფრასკუელოს ** ახსენებდნენ და მატადორს შინაურულად, „შენობით“ ელაპარაკებოდნენ. გალიარდო კი, ნიშნად პატივისცემისა, მათს სახელებს „ღონს“ უმატებდა, რითაც ემორჩილებოდა ტრადიციულ კლასობრივ უთანასწორობას, რომელიც ჯერ კიდევ არსებობდა საზოგადოების დაბალი ფენიდან გამოსულ ტორეროსა და მის თაყვანისმცემელთა შორის. თაყვანისმცემელთა სიტყვებში აღტაცება და ხობტა შორეულ მოგონებებში იხლართებოდა: დაე, იგრძნოს ახალგაზრდა მატადორმა მათი ასაკისა და გამოცდილების უპირატესობა! ისინი ლაპარაკობდნენ მადრიდის „ძველ ცირკზე“, რომლის არენაზე მხოლოდ „ნამდვილი“ ხარები და ტორეროები იბრძოდნენ, ამჟამად კი თრთოლვითა და მღელვარებით იხსენებდნენ „ზანგს“, რომელსაც სახელგანთქმულ ფრასკუელოს ეძახდნენ მეტსახელად.

* ცნობილი ტორერო რაფაელ პოლინი (1841-1900).

** ცნობილი ტორეროს სანჩეს პოვედანოს (1842-1898) შერქმეული სახელი.

— ეჰ, რომ გენახა!.. მაგრამ შენა და შენი ამქრები მაშინ ძუძუს წოვდით ან იქნებ დაბადებულნიც არ იყავით.

გალიარდოსთან მოდიოდნენ სხვა ჯურის თაყვანისმცემლებიც: წვრილ-წვრილი გაზეთების სახეგატანჯული და კოსტიუმგაცრეცილი რეპორტიორები, რომელთაც ტორერო იცნობდა და რომელნიც ზოგჯერ უსაზღვროდ აქებდნენ მას, ზოგჯერ კი ლანძღვას გადმონთხევდნენ ხოლმე. ყველა ეს საექვო პროფესიის ადამიანები, გაიგებდნენ თუ არა, გალიარდო ჩამოვიდაო, მაშინვე იქ გაჩნდებოდნენ და მატადორს მოსვენებას არ აძლევდნენ ხოტბა-დიღებითა და ბილეთების გაუთავებელი თხოვნით.

კერპის ეს თაყვანისცემა აახლოებდა მათ პატივსაცემ, მდიდარ ვაჟბატონებთან — კომერსანტებთან და მსხვილ ჩინოვნიკებთან, რომელნიც მათ სიღარიბეს ყურადღებას არ აქცევდნენ და მათთან ერთად ცხარედ მსჯელობდნენ ტავრომაქიის* ყოველ წვრილ-მანზე.

გაზეთის რეპორტიორები მუდამ ერთსა და იმავეს ეკითხებოდნენ მატადორს:

- ხუანილიო... როგორ ბრძანდება კარმენი?
- გმადლობთ, კარგად.
- დედა, ქალბატონი ანგუსტიასი?
- გმადლობთ, ძალიან კარგად, ის ახლა „რინკონადშია“.
- დისშვილები როგორღა არიან?
- ძველებურად, გმადლობთ.
- შენი მახინჯი სიძე?
- ისიც კარგადაა. აღრინდელივით ყბელია.
- შთამომავლობაზე რას იტყვი? არის რაიმე იმედი?
- არა... მაგაზე ფიქრის დროც არ მაქვს.

გალიარდომ უარყოფის ნიშნად ფრჩხილი მოიკვნიტა და შემდეგ თავაზიანობის გამო, იმგვარივე კითხვებით მიმართა სტუმარს. თუმცა მის შესახებ არაფერი იცოდა, გარდა იმისა, რომ სტუმარი ხართან ბრძოლით იყო გატაცებული.

— ოჯახში როგორ ბრძანდებით? ხომ კარგად? სასიამოვნოა დაბრძანდით. ხომ არ ინებებთ რამეს!

მატადორი ეკითხებოდა მათ იმ ხარებზე, რომელთაც რამდენიმე საათის შემდეგ უნდა შეხვედროდა. მის მეგობრებს უკვე მოესწროთ ცირკში ყოფნა და დასწრებიან კიდევ საქონლის ბაჟებში შერეკვას. გალიარდო პროფესიონალური ცნობისმოყვარეობით უსმენდა ინგ-

* ხართან ბრძოლის წესთა კრებული.

ლისურ კაფეში გამოთქმულ აზრებს, სადაც ჩვეულებრივ, ხართან ბრძოლის მოყვარულნი იკრიბებოდნენ.

ეს იყო პირველი საგაზაფხულო კორიდა და ახსენდებოდათ რა შარშანდელი საგაზეთო ანგარიშები ესპანეთის სხვა ცირკების ასპარეზზე თავიანთი საყვარელი ტორეროს გამარჯვების შესახებ, ახლაც დიდ იმედებს ამყარებდნენ მასზე. ამ ტორეროს თავსაყრელად ჰქონდა კონტრაქტები.

სევილიაში, ჩვეულებრივ, აღდგომა-დღეს იხსნება ხართან ბრძოლის სეზონი და ამ დღიდან მოყოლებული გალიარდო შეუსვენებლივ გადადის ერთი არენიდან მეორეზე. აგვისტოსა და სექტემბერში მან არ იცის რა არის დასვენება — ღამე მატარებელშია, დღე კი არენაზე. წერილებსა და ტელეგრამებში ჩაფლულ მის იმპრესარიოს სევილიაში თავსატეხი გასჩენია, რომ ეს ურიცხვი წინადადებები როგორმე დაალაგოს და უღმობელ კალენდარზე აღნიშნოს.

წინა საღამოს გალიარდო სიუდად რეალში გამოვიდა და ოქრომკედით ნაქარგი სამოსის გამოცვლაც ვერ მოასწრო, მატარებელში ჩაჯდა, რათა დილისათვის უკვე მადრიდს ჩასულიყო. ვაგონის კუთხეში მოკალათებულს თითქმის მთელი ღამე არ უძინია. მგზავრები შემჭიდროვდნენ: აბა, როგორ! მოსვენების საშუალება უნდა მისცენ ადამიანს, რომელსაც მეორე დღეს თავი უნდა გაეწიო.

თაყვანისმცემლები აღტაცებული იყვნენ გალიარდოს ამტანობითა და შეუპოვრობით ხარის მიმართ.

— ვნახოთ როგორ იქნები დღეს! — იძახდნენ ისინი პათეტიკური სიფიცხით. — ხართან ბრძოლის მოყვარულნი ბევრს მოელიან შენგან!

— თაყვანისმცემლები გალიარდოს გამოემშვიდობნენ და შინ წავიდნენ, რათა საუზმობა მოესწროთ და კორიდაზე აღრიანად მისულიყვნენ. გალიარდომ გადაწყვიტა თავის ოთახში ასულიყო. ნერვულმა აგზნებამ შეიპყრო, მოსვენება დაეკარგა. უცბად რესტორანის მინიან კარში ვიღაც კაცი გამოჩნდა, ორ ბიჭს მოათრევდა და მოსამსახურეთა შეძახილს ყურადღებას არ აქცევდა. გალიარდოს დანახვაზე გაიღიმა, წინ გაიგდო ბიჭები, რომლებიც, თითქოს მოჯადოვდნენო, ისე მიშტერებოდნენ სახელოვან ტორეროს. გალიარდომ იცნო მოხუცი:

— როგორ ბრძანდებით, ნათლიმამ?

ამას მოჰყვა ერთი და იგივე შეკითხვები, მოიკითხეს ოჯახები, შემდეგ სტუმარი თავის ვაჟიშვილებს მიუბრუნდა და მხიარულად თქვა:

— აი, ეს არის... პირდაპირ აღარ მომასვენეს თავიანთი კითხვებით! ხომ ხედავთ, სურათებში რომ ხატავენ, ისეთივეა.

პატარები ალტაცებით შეჰყურებდნენ გმირს, რომელსაც აქამდე მხოლოდ იმ სურათით იცნობდნენ, მათ ღარიბულ თავშესაფარს რომ ამშვენებდა. ბავშვები შეფრთხინვით შეჰყურებდნენ მას, როგორც ღვთაებას, ასე რომ აოცებდა მდიდარი ფანტაზიით აღსავსე მათს ბავშვურ, წარუყვენელ წარმოდგენას.

— ხუანილიო, ხელზე აკოცე ნათლიას.

ტორეროს ხელში ჩაემხო პატარა ბიჭის ვარდისფერი სახე, რომელიც ამ ღირსშესანიშნავი ვიზიტის აღსანიშნავად კარგად დაებანა. გალიარდომ ბავშვს თავზე დახედა, რამდენიმე ასეთი ნათლული ჰყავს ესპანეთში! თაყვანისმცემელნი წამდაუწუმ სთხოვენ, ბავშვი მოგვინათლო. სჯეროდათ, რომ ეს მათ ბედნიერებას მოუტანდა. ნათლობაზე ხშირი სიარული მატადორის დიდებას მეტყველებდა. ეს ბავშვი მან კარიერის დასაწყისში მონათლა და ჩვილის მამით მადლიერი იყო, რადგან იმ პერიოდში სხვას არავის სწამდა გალიარდოს წარმატება.

— როგორ მიდის თქვენი საქმეები, ნათლიმამ? — ჰკითხა გალიარდომ. — უკეთესად, ხომ?

სტუმარმა მხრები აიწურა. დალაღად ვარ ბაზარში, სებადას მოედანზე, ძლივს გამაქვს თავიო. ამ სახეიმოდ მორთული, მაგრამ საცოდავი შესახედაობის ღარიბთა ხილვით გალიარდო მათდამი სიბრალულთ განიმსჯვალა.

— კორიდაზე დასწრება გინდათ, არა, ნათლი? ადით ჩემთან. გარაბატო საშვს მოგცემთ. მშვიდობით, პატარავ!.. ამით კი რაიმე შეიძინეთ.

და სანამ ნათლული მატადორს ხელს უკოცნიდა, ხუანმა მეორე ხელით ორთავე ბიჭს რამდენიმე ღურო ჩაუღო. როცა მამამ ბავშვების წაყვანა დააპირა, მატადორს დიდი მადლობა შესწირა, გაუთავებელ ბოდიშებს იხდიდა და ვერ გაიგებდით, რა უფრო ახარებდა, ბავშვების საჩუქარი თუ კორიდისათვის შეპირებული ბილეთი.

გალიარდომ ცოტა შეიცადა, რათა თავის ოთახში კვლავ არ შეყროდა ალტაცებულ თაყვანისმცემელსა და მის შვილებს. საათს შეხედა, პირველი იყო. კიდევ რამდენი უნდა უცადოს კორიდას!..

ის იყო რესტორნიდან გამოვიდა და კიბისკენ გაემართა, რომ კარისკაცის ოთახიდან გამოვარდა დაფლეთილ შალში გამოხვეული დედაკაცი და მისკენ გამოქანდა. ქალი ყურადღებას არ აქცევდა მსახურთა შეძახილებს.

— ხუანილიო!.. ხუანი!.. ვერ მიცანი? ეს ხომ მე ვარ, კარაკოლა, სენია დოლორესი, საბრალო ლეჩუგეროს დედა.

გალიარდომ გაუღიმა ამ შავგვრემან, სახედამანჭულ ქალს, რომელიც ალქაჯის ელვარე თვალებით შეჰყურებდა. გალიარდომ წინდაწინვე იცოდა, რას მოასწავებდა ეს ლაპარაკი და უნებურად ხელი ჯიბისკენ წაიღო.

— უბედურებაა, შვილო! შიმშილი და სიღატაკეა ჩვენკენ! როგორც კი შევიტყვე შენი ჩამოსვლის ამბავი, მაშინვე ვთქვი: „წავალ ხუანილიოსთან, ის არ დაივიწყებდა თავისი საბრალო მეგობრის დედას-მეთქი“... ო, რა ლამაზი ხარ! ქალებს შენს მეტი სალაპარაკო არა აქვთ-რა... ჩემი საქმე კი ცუდად მიდის, შვილო, ტანზე პერანგიც არ მაცვია. დილას აქეთია, ჩემს პირში ერთი ყლუპი კასალიის მეტი არაფერი ჩასულა. ჩემმა თანასოფლელმა პეპონმა თავის სასწავლებელში სამუშაოდ მომაწყო სამადლოდ. ყოვლად წესიერი სასწავლებელია. ხუთ დუროს მიხდიან. ერთი თუ მიხვედი, თავს ვეღარ გამოიხსნი. ქალიშვილებს თმას ვუვარცხნი და ვემსახურები ბატონებს... ო! ჩემი ბიჭი რომ ცოცხალი ყოფილიყო! გახსოვს პეპილიო? გახსოვს სალამო, როცა ის მოკვდა?...

გალიარდომ დამტკნარ ხელში მას დურო ჩაუღო და ცდილობდა გაქცეოდა ამ ქადაგადდვარდნილ დედაბერს, რომელსაც საცაა ცრემლი წასკდებოდა. ეს წყეული ალქაჯი! განა შეიძლება კორიდის დღეს საბრალო ლეჩუგეროს, მისი სიყრმის მეგობრის გახსენება! ეს მოხდა ლებრიხში, როცა მოზერებთან ბრძოლაში ორივე მონაწილეობდა და ხარის რქისაგან გულგაფატრულმა ლეჩუგერომ მის თვალწინ დალია სული... ო, ეს ბებრუხანა მას უბედურებას მოუტანს!.. გალიარდომ მსუბუქად წაჰკრა ქალს ხელი, ის კი უცბად ალტაცებულ ქება-დიდებას მოჰყვა. აქებდა გულად ბიჭებს, ტორეროებს, რომლებიც ხალხს ფულს, ხოლო ქალებს გულს სტაცებდნენ.

— ესპანეთის დედოფლის ღირსი ხარ, ჩემო ლამაზო ბიჭო! სენია კარმენი ფხიზლად უნდა იყოს, თორემ ვინმე მოსტაცებს შენს თავს. ამ სალამოსთვის ხომ მომცემ ბილეთს, ხუანილიო? ძალიან მინდა არენაზე შენი ხილვა...

სასტუმროს მსახურნი გულიანად იცინოდნენ დედაბრის ამ ალტაცებულ ქაქანზე და ტორეროს ჩამოსვლით გამოწვეული მათი სიმკაცრე ერთბაშად გალხვა. ამასობაში კარმა იჭრიალა და ვესტიბიულში ტალღასავით შემოიჭრნენ მათხოვრები, მაწანწალები და გაზეთის გამყიდველები.

ტანსაცმელშემოფლეთილი მეგაზეთეები, რომელთაც ამოეღლია-

გებინათ გაზეთის დასტა, ქულს იშვლებდნენ და ისე ესალმებოდნენ მატადორს.

— გალიარდო! ოლე, გალიარდო, დიდება გულადებს!

ყველაზე გაბედულნი ღონიერად ხელს ართმევდნენ მას, ცდილობდნენ უფრო დიდხანს და ახლოს ყოფილიყვნენ ნაციონალურ გპირთან, რომლის პორტრეტები ყველა გაზეთში იყო დაბეჭდილი. უკვე გაბედნიერებულნი კი ცდილობდნენ ამხანაგებისთვისაც მიენიჭებიათ ეს სიამოვნება და აგულიანებდნენ მათ:

— ჩამოართვი ხელი! არ თაკილობს! კეთილი ბიჭია!

აღტაცებული თაყვანისმცემლები მზად იყვნენ მატადორის წინაშე მუხლი მოედრიკათ.

წვერგაუპარსავი, ოდესღაც ელეგანტურ, მაგრამ აწ საცოდავად დახეული კოსტიუმით შემოსილი სხვა თაყვანისმცემლები საერთო კერპის ირგვლივ დაგლეჯილ ფენსაცმელებს აბაკუნებდნენ, ისინი იშვლებდნენ გაქონილ შლიაპას და მდაბიო ბრბოსაგან რომ გამორჩეულიყვნენ, გალიარდოს ღონ ხუანს ეძახდნენ. ბედს უჩიოდნენ, მატადორს წყალობას სთხოვდნენ, ხოლო უფრო გაბედულნი თავს გულშემატკივრად ასაღებდნენ, კორიდის ბილეთს სთხოვდნენ, რათა შემდეგ სარფიანად გაეყიდათ.

მატადორი სიცილით ცდილობდა მოზღვავებულ ბრბოსაგან თავის დაღწევას. ასეთი პოპულარობით მოხიბლული მსახური ქალი არც ფიქრობდა მიშველებოდა მას. გალიარდომ ყველა ჯიბე ამოაცარიელა. არიგებდა და აბნევდა ვერცხლის ფულს.

— მორჩა. საწვავი გამოილია! გამიშვით, ბიჭებო!

ტორერომ ისეთი სახე მიიღო, თითქოს გაბრაზდაო, თუმც სინამდვილეში ეს თაყვანისცემა გულს უფონავდა. როგორც იქნა, ძლიერი მხრების ქნევით გზა გაიკაფა და გაქცევით უშველა თავს. იგი ნამდვილი ტორეროს სიმარდით ანტებოდა კიბის საფეხურებს. ტორეროს წასვლის შემდეგ მსახურებმა ბრბო ქუჩაში გამორეკა.

გალიარდომ გარაბატოს ოთახს ჩაუარა და ოდნავ ღია კარში შეიჭვრიტა. მსახური ჩემოდნებსა და სკივრებში იქეჭებოდა, მომავალი კორიდისათვის კოსტიუმს არჩევდა. თავის ოთახში შევიდა თუ არა, გალიარდომ მაშინვე იგრძნო, როგორ ქრებოდა თაყვანისმცემელთა მოზღვავეებით გამოწვეული აღფრთოვანება. დადგა ყველაზე მტანჯველი წუთი: შიში არენაზე გამოსვლის წინ.

მიურის ხარები და მადრიდის საზოგადოება!.. სიკვლილის საფრთხე მუდამ აბრუებდა გალიარდოს და კიდევ უფრო ძლიერებდა მის შემართებას. მაგრამ ახლა, როცა მარტო დარჩა, უცნობი, რაღაც ზებუნებრივი შიში დაეუფლა. გალიარდოს ძალ-ღონე გამოეცალა.

თითქოს წინა ღამის უძილობამ უეცრად იჩინა თავი. მას მოუნდა ოთახის სიღრმეში მდგარ ერთ-ერთ საწოლზე გაშხლართულიყო, მაგრამ ძილი გაუფანტა შიშმა რაღაც იღუმალისა და უხილავის წინაშე, რამდენიმე საათის შემდეგ რომ მოელოდა. გალიარდო ოთახში ბოლთისცემას მოჰყვა, ახალი სიგარა წუთის წინ გადაგდებულ ნამწვს მოუკიდა და გააბოლა.

როგორ ჩაატარებს მიმდინარე სეზონს? რას იტყვიან მასზე მეტრები? როგორ გამოიჩენენ თავს მეტოქენი?.. მას არცთუ ისე ცოტა მიუჩრის ხარი მოუკლავს. ბოლოს და ბოლოს, ეს ხარები ისეთივე იყვნენ, როგორც სხვები, მაგრამ წყეული მიურელები! ტყუილად კი არ მოითხოვდნენ მატადლორები ათასი პიესეტით მეტს, როცა მიუჩრის ხარს ერკინებოდნენ.

ანერვიულებული გალიარდო ოთახში ბოლთისცემას განაგრძობდა. უაზროდ შეავლო თვალი მისთვის ნაცნობ ნივთებს, შეჩერდა და უეცარი სისუსტით დაუძღურებელი, სავარძელში ჩაეშვა. ჯერ ორიც არ არის. რა ტატიტ გადის დრო!

მალე მაინც დადგეს ჩაცმისა და ცირკში წასვლის უამი! ეს თუ დაუმშვიდებს აფორიაქებულ ნერვებს: ხალხის სიმრავლე, ხმაური და ცნობისმოყვარეობა, სურვილი, რომ მხნედ, მხიარულად ეჩვენოს მათ და რაც მთავარია, უკვე მოახლოებული ხიფათი, — ყოველივე ეს ერთბაშად გაუფანტავს შიშს, ასე რომ ჯაბნის მარტოობისას. ავზნებულ მაყურებელს როცა ვერ ხედავს, რაღაც შიშის მსგავსი გრძნობა ეუფლება მას.

დროს მოსაკლავად ხელი სერთუკის შიდა ჯიბეში მოაფათურა და საფულესთან ერთად სუნამოს სურნელებით გაყვანილი პაწია კონვერტი ამოიღო. ფანჯარასთან მდგარი სინათლის მქრქალ შუქზე მისამართის ამოკითხვას შეუდგა. სასტუმროში რომ მოვიდა, ეს კონვერტი მაშინ გადასცეს. გალიარდო აღტაცებული იყო ხელნაწერის სინატიფითა და სილამაზით.

კონვერტიდან ბარათი ამოიღო და სიამოვნებით იყნოსა უსაზღვროდ ნაზი არომატი. ო, ეს წარჩინებული ბანოვანნი, რომელთაც მოვლილი აქვთ მთელი ქვეყანა... ყველაფერში, წვრილმანშიაც კი მქლავნდება მათი უპირატესობა!

საერთოდ, გალიარდო ცნობილი იყო სუნამოს სიყვარულით. ის მეტისმეტად ბევრ სუნამოს იპყურებდა, თითქოს ამით ცდილობდა უწინდელი სიღარიბით გაყვანილი მისი ტანის სუნი დაეფარა. ამ მიზეზის გამო მეტრები მასხარადაც იგდებდნენ ახალგაზრდა ატლეტს და მის მამაკაცურ ძალაში ეჭვი შეჰქონდათ.

მეგობრებს მხოლოდ ეღიმებოდათ ამ ჩვეულებაზე, მაგრამ ხან-

დახან უნებლიეთ ზურგს შეაქცევდნენ ხოლმე და თავს არიდებდნენ გამაბრუებელ სურნელებას, რომელსაც მატადორი აფრქვევდა. გალიარდოს მთელი საპარფიუმერიო დუქანი თან დაჰქონდა და არენაზე დაყრილ მკვდარ ცხენებს, სისხლით მოთხვრილ ნაწლავებსა და ნეხვს ნაზსურნელოვან ოდეკოლონს ასხურებდა. მისმა თაყვანისმცემელმა კოპწია ქალებმა, რომლებიც სამხრეთ საფრანგეთში მოგზაურობისას გაიცნო, ასწავლეს სხვადასხვა ნელსაცხების შეზავება, მაგრამ აბა რა შეედრება იმ არომატს, რომელსაც ეს პაწია წერილი აფრქვევს, ხელს, რომელსაც ეს ბარათი დაუწერია!.. მას ჰქონდა რაღაც იდუმალეებით სავსე, არისტოკრატიული ტანის სურნელი, ან როგორც თვითონ იტყოდა, „სურნელება წარჩინებული ბანოვანისა“.

სიამაყისა და ნეტარების ღიმგადაფენილი გალიარდო დაუსრულებელივ კითხულობდა ბარათს: კაცმა რომ თქვას, აქ არაფერი ეწერა განსაკუთრებული, სულ რამდენიმე პწკარი იყო: სალაში სიცილიდან და მადრიდში გამარჯვების სურვილი. ამგვარი რამ ქალს სახელს არ გაუტეხდა. დასაწყისში ეწერა: „ჩემო მეგობარო გალიარდო“. აი, სწორედ ამ ლამაზად მოხატულ ასოებს ეალერსებოდა ტორეროს თვალი, ბოლოს ხელს აწერდა: „თქვენი მეგობარი სოლი“. თითქოს გულგრილი წერილი იყო, დაწერილი ზრდილობიანი ტონით, თქვენობით მიმართავდა; სიტყვები თითქოს მიმართული იყო არა თანასწორისა თანასწორისადმი, არამედ შემწყყალებლურად ეშვებოდა თვალშეუდგამი სიმაღლიდან. დაბალი წრიდან გამოსული, გაუნათლებელი ტორერო თუმცა ესიყვარულებოდა წერილს, მაგრამ სადღაც მაინც, გულის სიდრმეში, შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, ქალი თითქოს თაკილობდა მას.

— ო, ეს ქალი! — წაილაპარაკა მან. — ეს ქალი!.. ბიჭი ხარ და მიუხვდი... თქვენობითა მწერ? თქვენ! მერედა ვის მიმართავ ასე? მე!

სასიამოვნო მოგონებებმა ლალი ღიმილით გაუცისკროვნა სახე. ცივ ტონს ქალი მხოლოდ წერილებში ინარჩუნებდა: ეს იყო წარჩინებული მანდილოსნის ჩვეული სიფრთხილე. მატადორის წყენა კვლავ აღფრთოვანებამ შესცვალა.

— ამ ქალმა იცის, რასაც აკეთებს!

და მის ღიმილში გამოკრთა პროფესიული კმაყოფილება, სიამაყე მომთვინიერებლისა, დიდებას რომ გათოკილი მხეცის ძალით ზომავს.

და ვიდრე გალიარდო ბარათს ესიყვარულებოდა, ოთახში წამდაუწუმ შედი-გამოდოდა მსახური გარაბატო, ჩემოდნები შემოჰქონდა და და სამოსს ალაგებდა.

ჩუმი, მუდამ მოფუსფუსე მსახური, მატადორს ყურადღებას არ

აქცევდა. აი, უკვე რამდენიმე წელია გალიარდოს მუდამ თან დაჰყვება როგორც მსახური და „საჭურველმტვირთველი“. იყო დრო, როცა თავის კარიერას ისიც სევილიაში იწყებდა, გალიარდოს მხარდამხარ კორიდებში გამოდიოდა, მაგრამ მისი ხვედრი მუდამ ხარის რქა ყოფილა, მისი ამხანაგისა კი სახელი და დიდება. გარაბატო იყო ტანმორჩილი, შავგვრემანი, სუსტი აღნაგობის ჰაბუკი; ნაოჭიან სახეზე აშკარად ეტყობოდა უსწორმასწოროდ შეხორციებული ნაიარევი, რაც იმ დარტყმის კვალი გახლდათ, ხარმა რომ სასიკვდილოდ დაანარცხა. დანარჩენ კრილობათაგან დამახინჯებულ სხეულს ტანსაცმელი უფარავდა.

გარაბატო სასწაულმა გადაარჩინა. მაგრამ ყველაზე საშინელი მაინც ის იყო, რომ მაყურებელი დასცინოდა მის წარუმატებლობას. ისინი ერთობოდნენ, გარაბატო რომ ფეხქვეშ მოექცეოდა ან რქაზე წამოეგებოდა ხარს. ბოლოს და ბოლოს, ამ დამარცხებამ გატეხა მისი უაზრო სიჯიუტე და იძულებული შეიქნა ძველი მეგობრის თანამგზავრი და ნდობით აღჭურვილი პირი გამხდარიყო.

გარაბატო, როგორც გალიარდოს ერთ-ერთი ერთგული თაყვანისმცემელი და ძველი მეგობარი, თავს უფლებას აძლევდა გაეკრიტიკებინა და შენიშვნა მიეცა მისთვის. მაესტროს ადგილას რომ ყოფილიყო, მაგალითად, ზოგიერთ რამეს ის უკეთ გააქეთებდა. გალიარდოს მეგობრები დასცინოდნენ ყოფილი ტორეროს განუხორციელებელ პატივმოყვრულ ჩანაფიქრს, მაგრამ გარაბატო ყურადღებასაც არ აქცევდა მათ. უარი თქვას ხართან ბრძოლაზე?.. არასოდეს! წარსულის ხსოვნის აღსანიშნავად ახლაც ყურებზე გადაუფარცხნია ხეშხეშა თმა, სასოებით უელის კეფაზე წამოზრდილ წმინდა ნაწნავს, რასაც ბავშვობიდანვე უფრთხილდება, როგორც პროფესიონალური ნიშანს, დანარჩენ მოკვდავთაგან რომ განასხვავებს ტორეროს.

როცა გალიარდო თავის მსახურს უჯავრდებოდა, მთელ თავის მრისხანებას სწორედ ამ საბრალო თავსამკაულზე გადმონთხევდა.

— კიდეც ატარებ ნაწნავს, უსინდისოვ?.. მე მოგაგლეჯ მაგ ვირთხის კუდს, თავხედო, გაიძვერაე!

გარაბატო მოთმინებით იტანდა ყოველივეს, მაგრამ სამაგიეროს მკაცრად უხდიდა, როცა გამარჯვებით შინდაბრუნებული ტორერო ბავშვური თვითკმაყოფილებით ჰკითხავდა ხოლმე: — აბა რას იტყვი, ხომ კარგად ვიბრძოდი? — ამაყი დუმილით შუბლშექმუხნული მსახური პასუხად მხოლოდ ზიზღით მხრებს აიჩეჩდა.

ძველი მეგობრობის წყალობით მსახური ბატონს შენობით ელაპარაკებოდა. სტევანაირად არც შეეძლო მოქცეულიყო, მაგრამ ამ შიშარტვას ყოველთვის თან ახლდა მოკრძალებული ეესტი, რომე-

ლიც გულუბრყვილო პატივისცემას გამოხატავდა. მათი დამოკიდებულება ძველი დროის საკურველმტვირთველისა და მოხეტიალე რაინდის ურთიერთობას ჰგავდა.

მართალია, მოწოდებით ტორერო იყო გარაბატო, მაგრამ თერძობისა და მოახლეობის უნარსაც გვარიანად ამქლავნებდა. ბატონის მიერ ნაბოძებ ინგლისური მაუდის კოსტიუმზე უამრავი ქინძისთავი და ძაფგაყრილი ნემსი დაეხნია. ქალური სიმარდით მოძრაობდნენ მისი გამხდარი, მზით დამწვარი ხელები.

მაესტროს მოსაკაზმავად აუცილებელი ნივთები გარაბატომ საწოლზე დააღაგა. შემდეგ შეამოწმა, ყველაფერი რიგზეა თუ არაო, შუა ოთახში გაიხრდა, გალიარდოსთვის არც შეუხედავს ისე, ჩახლჩილი ხმით ჟინიანად წარმოთქვა:

— ორი საათია!

გალიარდომ უმალ თავი ასწია, თითქოს არც იცოდა, რომ იქ მსახური იდგა, წერილი ჯიბეში ჩაიღო და ნელი ნაბიჯით, თითქოს ტანთჩაცმა ეზარებო, შუა ოთახისაკენ წამოვიდა.

— ყველაფერი მზად არის?

მაგრამ გაფითრებული სახე უეცრად წამოენთო, თვალები უსაზღვროდ გაუფართოვდა, თითქოს საშინელმა რამ სანახაობამ თავზარი დასცაო.

— ეგ რომელი კოსტიუმი აგირჩევია?

გარაბატომ საწოლზე ანიშნა; მაგრამ სანამ ხმას ამოიღებდა. მაესტროს გულისწყრომა მთელი თავისი მრისხანებით დაატყდა.

— ეშმაკმა დაგწყევლოს! არ იცი, რას აკეთებ? დაბრმავდი თუ, რა მოგივიდა? მადრიდში გამოვდივარ, მიურის ხარებს უნდა შეეგება, შენ კი წითელ კოსტიუმსა მჩრი, როგორიც საწყალ მანუელ ესპარტეროს* ეცვა! ან-მტერი ხარ ჩემი ან ნამუსგარეცხილი ნაძირალა! ჩემი სიკვდილი განგიზარახავს, არამზადავ!..

მისი გულისწყრომა სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, ძლიერდებოდა იმდენად, რამდენადაც მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ დაუდევრობას, ბედისწერას რომ ჰგავდა. მას შემდეგ, რაც მოხდა, მადრიდის არენაზე კვლავ წითელი კოსტიუმით გამოსვლა?! გალიარდოს თვალთაგან ნაპერწკლები სცვიოდა, იფიქრებდით, მოლაღატე ზურგიდან ეძგერა და მატადორის ძლიერი მუშტიც საცაა საბრალო გარაბატოს თავს დაატყდებო.

* ცნობილი ტორეროს მანუელ გარსიას (1866 — 1894) მეტსახელი.

ამ დროს კარზე გაუბედავი კაკუნი გაისმა და ეს მღელვარება უეცრად ჩაქრა.

-- მობრძანდით.

შემოვიდა ღია ფერის კოსტიუმში გამოწყობილი წითელ ყელსახვევიანი ახალგაზრდა კაცი; ბრილიანტის ბეჭდებით შემკულ ხელში შლიაპა ეჭირა. გალიარდომ მაშინვე იცნო. როგორც მუდამ ხალხში მყოფი ყველა ადამიანი, ადვილად იმახსოვრებდა სახეებს. გალიარდოს გაცოფებული გულისწყრომა თავახიანმა ღიმილმა შესცვალა და თითქოს სიხარულითა და მოულოდნელობით გაკვირვებული სტუმარს მიეგება. ეს იყო მისი მეგობარი ბილბაოდან, სახელგანთქმული ტორეროს აღტაცებული თაყვანისმცემელი და მიმდევარი. მეტი ვერაფერი გაიხსენა. რა ჰქვია? ო, რამდენი ნაცნობი ჰყავს! მაინც რა ჰქვია ნეტავ? ერთადერთი, რაც გალიარდომ დანამდვილებით იცოდა, ის იყო, რომ მისთვის შენობით უნდა მიემართა, რადგან ძველი მეგობრობა აკავშირებდათ.

— დაჯექი... საიდან სადაო? დიდი ხანია აქა ხარ? ოჯახად როგორ არიან?

თაყვანისმცემელი მორწმუნესავით ჩამოჯდა წმიდა კერპის წინ და სანამ ხუანი ლაპარაკს დაამთავრებდა, არ განძრეულა. ის სიამოვნებით განაბული უსმენდა, თუ როგორ მიმართავდა მას მაესტრო შენობით და თვითონაც ყოველი მეორე სიტყვის შემდეგ ხუანს ეძახდა, რათა კედლებიც, ავეჯიც და დერეფანში გამვლელნიც დარწმუნებულიყვნენ მის ახლო ურთიერთობაში უდიდეს ადამიანთან. ის ამ დილით ჩამოვიდა ბილბაოდან გალიარდოს სანახავად და ხვალვე უკან გაბრუნდება. გაზეთში წაუჯიშავს გალიარდოს წარმატების ამბავი, რომ ბრწყინვალედ დაუწყია სეზონი. დღეს დილით ხარების დამწყვედევასაც დაესწრო ბაქებში და თვალში მოუვიდა ერთი წაბლა. გალიარდო თავის ნებაზე ააცეკვებს მას!

მაგრამ მაესტრომ უცებ შეაწყვეტინა აღსარება.

— მაპატიე, გეთაყვა, ახლავე დაებრუნდები.

გალიარდო ოთახიდან გამოვიდა, ვერანდის სიღრმეში უნომრო კარს მიაშურა, გარაბატო უკან დაედევნა და ჩვეულებრივზე უფრო ხრინწიანი ხმით, რომლითაც სურდა თავისი მორჩილება გამოეხატა, ჰკითხა:

— რომელი კოსტიუმი ამოვიღო?

— მწვანე, თამბაქოსფერი, ყვითელი... რომელიც გსურს. — და კარებში გაუჩინარდა.

მარტო დარჩენილ მსახურს სახეზე ვერაფერმა ღიმილმა გადაურბინა. მან იცოდა ამ აჩქარებული გაქცევის მიზეზი სწორედ ჩაც-

მის წინ. „შიში შარდს ახშირებს“, იტყვიან ხოლმე ტორეროები. მსახურის ღიმილში გამოკრთა კმაყოფილება, რომ დიდოსტატნიც, მამაცზე უმამაცესნიც გამოსცდიან ხოლმე ადელეებით გამოწვეულ იმგვარსავე მოთხოვნილებას, რომელიც ასე აწვალებდა მას პატარა ქალაქის არენაზე გამოსვლისას.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა გალიარდო ოთახში დაბრუნდა, კიდევ ერთი თაყვანისმცემელი დახვდა. ეს იყო რუისი, ცნობილი დასტაქარი, რომელიც უკვე ოცდაათი წელია არენაზე მომხდარი უბედური შემთხვევების დროს ხელს აწერს სამედიცინო აქტებს და წამლობს ყველა ტორეროს, რომელიც კი მადრიდის ცირკში დასახიჩრდება.

გალიარდო აღტაცებული იყო დასტაქრით, მას მსოფლიო მეცნიერების უდიდეს წარმომადგენლად თვლიდა, თუმც სიყვარულით დასცინოდა მის უსაზღვრო გულკეთილობას და სრულს უნიათობას პირად ცხოვრებაში. ხალხი ხომ სწავლულად მიიჩნევს მხოლოდ იმას, ვინც თავისი ახირებულობით ჩვეულებრივ მოკვდავთაგან განსხვავდება.

ექიმი ტანდაბალი, ჩასხმული და ღიბიანი კაცი იყო, ჩაქყლეთილი ცხვირით და მარაოსავით გაშლილი ჭადარაშერთული ქერა წვერით. მას რაღაც შორეული მსგავსება ჰქონდა სოკრატესთან*. თუ ფეხზე იდგა, მისი უზარმაზარი, უფორმო მუცელი თითოეული სიტყვის წარმოთქმისას ფართო ყილგის ქვეშ თანთალებდა. და თუ იჯდა, ღიბი ჩავარდნილ მკერდს უფარავდა. განიერი, თითქოს სხვისთვის შეკერილი კოსტიუმი ხალვათად ედგა ტანზე, რომელიც საკმლის მონელებისათვის უფრო გამოდგებოდა, ვიდრე ფიზიკური შრომისათვის.

— იგი წმიდანია, — ამბობდა გალიარდო, — ნამდვილი სწავლული. ამ ქვეყანას არ ეკუთვნის... კეთილია, როგორც ღმერთი, გახვრეტილი კაპიკიანიც არასოდეს გააჩნია. არიგებს ყველაფერს, რაც აქვს და იღებს მხოლოდ იმას, რასაც აძლევენ.

დასტაქრის ცხოვრებას ორი უდიდესი გატაცება აცისკროვნებდა: ხართან ბრძოლა და რევოლუცია, ჯერ გაურკვეველი, მაგრამ მრისხანე რევოლუცია, რომელიც მთელ ევროპას გადაატრიალებდა; ანარქისტული რესპუბლიკანიზმი, არცთუ ისე ადვილად ასახსნელი, მაგრამ გასაგები თავისი ნგრევის ხასიათით.

ტორეროებს მამასავით უყვარდათ დასტაქარი. ის ყველას შენობით ელაპარაკებოდა. საკმარისი იყო დეპეშა გაგეგზავნათ, და რა

* სოკრატე (469—399 წ. წ. ა.) — ბერძენი ფილოსოფოსი:

შორი მანძილიც არ უნდა ყოფილიყო გასაველელი, კეთილი დასტაქარი უმალ მატარებელში ჩაჯდებოდა, გასამრჯელოზე არც კი დაფიქრდებოდა და ბიჭებისათვის კრილობათა მოსაშუშებლად გამოემურებოდა.

დასტაქარმა გადაკოცნა კარგა ხნის უნახავი გალიარდო და თავისი რბილი ღიპით მავსტროს თითქოსდა ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულ მკერდს მიეკრო.

ოლე, მამაცი ბიჭებია!

მისი აზრით მატადორი შესანიშნავად გამოიყურებოდა.

— როგორ არის რესპუბლიკის საქმეები, ექიმო? ჯერ არ დამდგარა დრო? — შეეკითხა გალიარდო ანდალუსიური ვშმაკობით, — ნასიონალმა თქვა, ჰა და ჰა, ყოველდღე ველითო.

— რა გინდა მასთან, მჭირდავო? მოეშვი საცოდავ ნასიონალს. დაე მან უკეთ დაასოს ბანდერილია *, შენი საქმე კი ისაა, რომ მოცელო ხარი, ვით მამადმერთმა. დიდი გასამრჯელო გელის. მითხრეს, ისეთი ხარებიანო, რომ...

მაგრამ აქ, ახალგაზრდა კაცმა, რომელიც თვით დაესწრო ბაკებში ხარების შერეევას და ერთი სული ჰქონდა, სანამ თავის შთაბეჭდილებებს ვისმე გაუზიარებდა, ექიმს საუბარი შეაწყვეტინა, რათა ახლა თვითონ ელაპარაკა წაბლა ხარზე, მაშინვე რომ თვალში მოუვიდა, — მისგან ბევრს საინტერესოს უნდა მოელოდეს კაციო! სტუმრები, რომლებიც ერთმანეთს უკვე მიესალმნენ და მატადორის გამოჩენას უცდიდნენ, ერთდროულად ალაპარაკდნენ. გალიარდომ საჭიროდ სცნო ერთმანეთთან მათი გაცნობა. მაინც რა ჰქვია ამ კაცს, შენობით რომ მიმართავს? მატადორმა კეფა მოიფხანა, ჩაფიქრებულმა წარბები შეკრა. თუმც მისი დაბნეულობა დიდხანს არ გაგრძელებულა!

— ბოდიში, შენი სახელი დამავიწყდა... ხომ იცი, იმდენი ხალხია...

ახალგაზრდა კაცმა თავისი გვარი წარმოთქვა და ირონიული ღიმილით წყენა გამოხატა. ჰმ! მატადორმა ვერც კი გაიხსენა. სახელის გაგონებისთანავე მატადორს ყველაფერი მოაგონდა. დაბნეულობა გამოასწორა და დასძინა: „მდიდარი შახტის მწარმოებელი ბილბაოდან“, შემდეგ ცნობილი დასტაქარი რუისი წარუდგინა და ორთავემ ისეთი გატაცებით დაიწყეს საუბარი სადღეისო ხარებზე, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ყოფილიყვნენ.

— დაბრძანდით, — უთხრა მათ გალიარდომ და ოთახის სიღრმეში მდგარ ტახტზე მიუთითა. — აქ ხელს არ შემოშლით, ისაუბრეთ

* 60-70 სმ სიგრძის წვეტიანი ჯოხი, ხმარობენ ხარის გასახელებლად.

და ყურადღებას ნუ მომაქცევთ. მე ჩაცმას შევეუდგები... თუ არ ვცდები, მამაკაცებთან...

გალიარდომ კოსტიუმი გაიხადა და თეთრეულის ამარა დარჩა... შემდეგ დაჯდა სკამზე, თაღქვეშ, რომელიც ალკოვს სალონისგან ყოფდა, და მთლიანად მინებდა გარაბატოს, რომელმაც გახსნა რუსული ტყავის ჩემოდანი და იქიდან კოხტა სამართებელი ამოიღო.

თუმცა მაესტრო სუფთად პირგაპარსული იყო, მაგრამ მსახურმა მაინც წაუსვა საპონი და ისე მარჯვედ დაუტრიალა ლოყაზე სამართებელი. თითქოს ყოველდღე ამ სამუშაოს ასრულებდა. გალიარდომ პირი დაიბანა და თავის ადგილს დაუბრუნდა. გარაბატომ თმაზე სუნამო მოასხურა, გულდაგულ დავარცხნა კულულები შუბლსა და საფეთქლებზე და შემდეგ პროფესიის განმასხვავებელ ნიშნის — წმიდა დალალის მოწესრიგებას შეუდგა.

გარაბატომ მოწიწებით დავარცხნა ბლუჯა, რომელიც მაესტროს კეფას აგვირგვინებდა, გულმოდგინედ დაწნა და სარკით საქოჩრეზე დაუბნია. მისი საბოლოო მორთვა ჯერჯერობით გადასდო. ჯერ ფეხებს უნდა მიხედოს. გარაბატომ მატადორს წინდები გახადა და ხალათისა და აბრეშუმის ქვედა საცვლის ამარა დასტოვა.

გალიარდოს ძაღოვანი კუნთები თხელი საცვალის შიგნით რელიეფურად მოჩანდა. იარა ბარძაყთან ნიშანი იყო ღრმა კრილობისა, ხარის რქებს რომ ამოეგლიჯათ. მზით დამწვარ მკლავებზე ნათლად კიაფობდა ძველი დარტყმების ნაკვალევი. ბრინჯაოსფერი უთმო მკერდი ჯვარედინად გადაეკვეთა ორ უსწორმასწორო იისფერ ღარს; ესეც სისხლიან კრილობათა სახსოვარი გახლდათ. ერთ-ერთ კოჭთან ღრმული ჩალურჯებოდა, თითქოს დაღი რამ დაუსვიათო. მეგრძოლის ახოვან ტანს ასდიოდა ჯანსაღი, სუფთა სხეულის სურნელი, შეზავებული ძვირფასი ოდეკოლონის სურნელებასთან.

გარაბატომ აიღო ბამბა, თეთრი ბლონდი და მაესტროს ფეხებთან ჩაუტყდა.

— აი, ნამდვილი ანტიკური გლადიატორი! — საუბარი შეწყვიტა და უცებ წამოიძახა დასტაქარმა რუისმა. — ხუან, შენ რომაელის აღნაგობა გაქვს!

— ხანი გვღალატობს, ექიმო, — ოდნავ მელანქოლიურად წარმოთქვა მატადორმა. — ვებრძებით. როცა ხარსა და შიმშილს ვებრძოდი, ამგვარი რამ არ მქირდებოდა. ფეხები რკინაზე მაგარი მქონდა.

გარაბატომ მაესტროს ფეხის თითებს შუა ბამბის ფთილები ჩაუწყო, ქუსლიდან მუხლამდე ბამბით შეფუთნა, ახვევდა ბლონდს მკიდროდ, როგორც სპირალებს, რაც ერთი შეხედვით ეგვიპტური

მუმიის გარსს მოგაგონებდათ. სახვევის ბოლოები გარაბატომ ბეჯითად ამოკეშა. გალიარდომ იატაკზე ააბაკუნა მკიდროდ შეხვეული ფეხები, რომელიც რბილ ხალიჩაზე უფრო ძლიერი და მარდი ჩანდა. მსახურმა მატადორს ჩააცვა სქელი და მოქნილი წინდა — გეტრები, რომელიც თითქმის ბარძაყამდე სწვდებოდა. ეს იყო ფეხის ერთადერთი დამცველი აბრეშუმის საბრძოლო კოსტიუმს შიგნით.

— აბა, შენ იცი, გარაბატო, ნაკეცები არ იყოს... ვერ ვიტან, როცა ტომარასავით მკიდია.

გალიარდო სარკესთან შემოტრიალდა, რათა თავი ყოველ მხრივ შეეთვალიერებინა, დაინახა, ხელით მოსინჯა წინდები და გაისწორა ნაოქები. თეთრ წინდებს ზემოდან გარაბატომ წამოაცვა ვარდისფერი აბრეშუმის წინდა. მერე გარაბატოს მიერ ჩემოდანზე დაწყობილ ახალთახალ, თეთრ ლანჩიან ფეხსაცმელთაგან გალიარდომ ერთერთი შეარჩია და ჩაიცვა.

მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო ნამდვილი ჩაცმა. მსახურმა მატადორს მიაწოდა ოქრომკედით ნაქარგი თამბაქოსფერი აბრეშუმის შარვალი. გალიარდომ ჩაიცვა ისე, რომ არ შეუკრავს შარვლის ოქროსფოჩებიანი ზონარი, რომელიც საცვალს მუხლებზე კიმავედა და ფეხებში სისხლის ხელოვნურ მოზღვაეებას იწვევდა. ამ ზონარს სამაგრს უწოდებდნენ. გალიარდომ უბრძანა მსახურს, ზონარი უფრო მაგრად მოეჭირა და თვითონაც მთელი ძალით დაჭიმა ფეხის კუნთები. ეს ოპერაცია ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, რადგან სამაგრები მატადორს საუცხოოდ უნდა ჰქონოდა მორგებული. გარაბატომ ზონარი ფეხს ირგვლივ მკიდროდ შემოახვია, შარვლის ქვეშ დამალა და ეს ოქროსფერი ფოჩი მარჯვედ გადააქცია პატარა საცილად. მეესტრომ ხელი გაუყარა მსუბუქ, გულისპირდაქარგულ, ქალის თეთრეულის მსგავს თხელსა და გამჭვირვალე ბატისტის პერანგს. გარაბატომ შეუკრა იგი და შეაბა განიერი ყელსაბამი, რომელიც წითელ ზოლად ჩასდევდა მატადორს მკერდზე. დარჩა შედარებით რთული ნაწილი მორთულობისა, ვახა, თითქმის ოთხი მეტრის სიგრძის განიერი აბრეშუმი; როდესაც გარაბატომ მარჯვე მოძრაობით იგი გაშალა, მან თითქმის მთელი ოთახი დაფარა.

გალიარდო დადგა შუა ოთახში, მეგობრებთან და აბრეშუმის ნაჭრის ერთი ბოლო ქამარზე მიიმაგრა.

— ახლა კი ყურადღება! — მიმართა მან მსახურს. — გვიჩვენე შენი ხელოვნება.

მატადორი ქუსლზე ნელა შემოტრიალდა და მსახურისკენ წავიდა. აბრეშუმის ლენტი, რომელიც მსახურს ეკავა, მატადორს სწორ, რკალად ეხვევოდა და არაჩვეულებრივად მოყვანილ ტანს უჩენდა.

სწრაფი, მოხერხებული მოძრაობით გარაბატო ზოლიან აბრე-
შუმს ადგილს უნაცვლებდა. ხანდახან მატადორის შემოტრიალება-
ზე ვახა ორმაგად იკეცებოდა. ხან კი მატადორის წელს ეხვეოდა
ზუსტად, ყოველგვარი ზედმეტი ნაკეცისა და ნაოქის გარეშე.

ზოგჯერაც, ქირვეული გალიარდო, როცა საქმე მის გარეგნობას
შეეხებოდა, ჩერდებოდა, უკანსვლით რამდენიმე წრეს მოხაზავდა
და რომელსამე ნაკლს გაისწორებდა.

— ეუღად მაქვს. — ბურღლუნებდა ბრაზით. — დასწყევლოს
ეშმაქმა! მეტი ყურადღებით იყავ, გარაბატო.

მაგრამ, აი, უთვალავ გაჩერებათა შემდეგ გალიარდომ ტანზე
მთლიანად დაიხვია აბრეშუმი. მარდმა მსახურმა მაესტროს ქინძის-
თავებით დაუმაგრა აკაზმულობის ყოველი დეტალი და ერთ მთლიან-
ობაში მოაქცია იგი. ახლა კი სხვის დაუხმარებლად მატადორი სა-
მოსს ველარ იხდიდა, ან მაკრატელი უნდა ეხმარა. სასტუმროში დაბ-
რუნებამდე კოსტიუმის ვერც ერთ ნაწილს ვერ გაიხდიდა, თუ ამას
შუა მოედანზე ხარი არ ჩაიდენდა, რის შემდეგაც გახდა უკვე ლაზა-
რეთში დამთავრდებოდა.

გალიარდო კვლავ დაჯდა. გარაბატო მუშაობას განაგრძობდა.
ქინძისთავეები შემოხსნა, ზოლიან ლენტებში ტავრომაქიის ძველი
ღროის შავღერბიანი ბადე ჩააკერა.

თითქოს განგებ აჭიანურებს მოკაზმვასო, გალიარდო გაიზმორა,
გარაბატოს სთხოვა მაგიდაზე დარჩენილი სიგარა მიეწოდებინა და
ღრო იკითხა, — ეჩვენებოდა, რომ საათი წინ გარბოდა.

— ჯერ ადრეა... ბიჭებიც არ მოსულან... არ მიყვარს ცირკში
ნადრევედ მისვლა. — თავს გაბეზრებენ, ადრიანად როცა იქა ხარ!

შემოსულმა ლაქიამ მოახსენა, ეტლი და კვადრილია გეახლათო.
ახლა კი დროა. აღარ არის საბაბი ღროის გასაჭიანურებლად.
წითელ სარტყელს ზემოთ გალიარდომ ოქროს ფოჩიანი ეილეტო
ჩაიცვა, შემდეგ კი რაინდის მუზარადივით მძიმე და თვალისმომჭ-
რელად მოელვარე ქურთუკი. თამბაქოსფერი აბრეშუმი მხოლოდ
სახელოს შიგნით მოჩანდა და ზურგზე ორ სამკუთხედად გასდევდა.
მთელი ქურთუკი ოქროსფერი ყვავილებითა და ბრქვივითა, ძვირ-
ფას თვალთა გვირგვინებით იყო ნაქარგი! სირმით გარსშემოვლე-
ბული მძიმე ჯინჯილები ერთთავად ოქრომკედით იყო ნაკერი.
ქურთუკის კიდეზე მიჯრით ჩაყოლებული ოქროსფერი ფოჩი
ტორეროს ყოველ განძრევაზე კრთოდა და ციმციმებდა. მოოქრუ-
ლი ჯიბეებიდან ყელსაბამისა და სარტყლისფერი წითელი აბრეშუ-
მის ორი ცხვირსახოცის წვერი მოუჩანდა.

— მომაწოდეთ ქუდი!

ოვალური ყუთიდან გარაბატომ მოწიწებით ამოიღო მატადორის თავსამკაული — შავი თალფაქი, რომელსაც აქეთ-იქიდან ოქროს ფუნჯები ეკიდა. გალიარდომ ქუდი ფრთხილად დაიხურა და ცდილობდა ზურგზე ჩაყოლებული ნაწნავი არ გაენძრია.

— მიბოძეთ ლაბადა!

გარაბატომ სკამიდან ჩამოიღო ეგრეთ წოდებული „საგარეო“ ანუ საზეიმო, ნამღვილი სამეფო მანტიის მსგავსი ლაბადა, რომელიც მისი სამოსის ფერი განლდათ და ასევე ოქროთი იყო ნაქარგი. გალიარდომ ლაბადა მხარზე გადაიგდო, ჩაიხედა სარკეში და ჩატარებული მუშაობით კმაყოფილი დარჩა. ახლა დრო იყო გზას გასდგომოდა.

ორივე მეგობარი საჩქაროდ გამოემშვიდობა მატადორს, რათა ეტლი დაექირავებინათ და უკან გაჰყოლოდნენ. გარაბატომ ჩანთაში ჩადო წითელი ნაჭრის გრაგნილი, რომლიდანაც ისრები და ბასრი დანის პირი მოჩანდა.

როცა ვესტიბიულში ჩავიდნენ, გალიარდომ ოდნავ ღია კარიდან დაინახა, რომ სასტუმროს წინ უამრავ ხალხს მოეყარა თავი, ისევე, როგორც უჩვეულო ზეიმის დღეებში იციან ხოლმე. შორიდან ბრბოს ყრუ გუგუნი ისმოდა. სასტუმროს უფროსი და მთელი ოჯახის წევრები მისცივდნენ გალიარდოს, თითქოს ძალზე შორს აცილებენო.

— გისურვებთ წარმატებას! ყველაფერი კარგად იქნება!

მსახურებს აღელვებისა და აღტაცებისაგან დავიწყოდით განსხვავება მათსა და მატადორს შორის და ხელს ართმევდნენ მას.

— გისურვებთ გამარჯვებას, ღონ ხუან!

გალიარდო ღიმილით იხედებოდა აქეთ-იქით და სახეშეშფოთებულ ქალებს ყურადღებას არ აქცევდა.

— გმადლობთ, დიდი მადლობა! მალე შეხვედრამდე!

გალიარდოს ველარ იცნობდით, როცა მხარზე თავის ბრწყინვალე ლაბადას გადაიგდებდა. უდარდელმა ღიმილმა გაუშუქა გაფთხრებული სახე, შუბლზე ოფლმა დაასხა, მაგრამ იცინოდა, უხაროდა. რომ ცოცხალი იყო და ხალხის შესახვედრად მიაბიჯებდა. მას ეუფლებოდა ახალი განწყობილება, როგორც ფუქსავატურ პოზიორს, რომლის მიზანია ხალხში თავის გამოჩენა.

გალიარდო ამაყად მიაბიჯებდა. აბოლებდა სივარას, რომელიც მარცხენა ხელში ეჭირა. მიაბიჯებდა მტკიცედ, დიდებული ლაბადის ქვეშ თეძოებს მიაჩხვებდა და ლამაზი ჭაბუკის პატივმოყვარეობით გარშემო მედიდურად იმზირებოდა.

— კმარა, კაბალიერო, გზა მოგვეცი, გმადლობთ! დიდი მადლობა!

და თან, სამოსი რომ ქუჭყიანი ხელებით არ დაესვარათ, მაესტრო ფრთხილად მიიკვლევდა გზას სასტუმროს წინ შეკრებილ ლატაკთა და უსაქმურთა ბრბოში, რომლებსაც კორიდაზე დასასწრები ფული არ ჰქონდათ. ისინი ბედნიერად ჩათვლიდნენ თავს, თუ ოდნავ მაინც შეეხებოდნენ სახელოვანი გალიარდოს ტანსაცმელს.

ტროტუართან ევენებითა და ზინზილაკებით მორთული ოთხჯორიანი ეტლი იდგა. გარაბატო თავის მულეტითა * და დაშნით კოფოზე ავიდა. შიგ სამი ტორერო იჯდა, რომლებსაც ლაბადები მუხლზე ეწყოთ და აგრეთვე მდიდრული სამოსი ეცვათ.

გალიარდომ ხალხის მღელვარე ტალღაში გზა გაიკაფა და ეტლის საფეხურს შეახტა. იგი გრძნობდა თუ როგორ ეწეოდნენ. მალე აღტაცებული თაყვანისმცემლების ხელები.

— დილა მშვიდობისა, კაბალიერებო! — მოკლედ მიესალმა გალიარდო თავის კვადრილისა.

შემდეგ კართან დაჯდა, რათა ყველას შესძლებოდა მისი დანახვა და ღიმილით თავი დააქნია. ჩამოგლეჯილი ქალების შეძახილებისა და მეგაზეთე ბიჭების ოვაციის პასუხად ჯორები ადგილს მოწყდნენ და ქუჩა მხიარული ევენებით აახმაურეს. ბრბო შუა გაიყო და ეტლი გაატარა. ზოგი ეკიპაჟს უკან დაედევნა, თითქოს ბორბლებქვეშ უნდა ჩავარდნათ. აღფრთოვანებული ბრბო ჰაერში ქუდებსა და ხელჯოხებს იქნევდა და თავდავიწყებით გაჰყვიროდა:

— ოლე, მამაცებო! გაუმარჯოს ესპანეთს!

ფერმიხდილი გალიარდო ღიმილით თავს უკრავდა და წამდაუწყუმ იმეორებდა: „გმადლობთ“, „გმადლობთ“. ხალხის აღტაცებით აღფრთოვანებულ გალიარდოს თავი ამაყად აეწია, რადგან მის სახელს სამშობლოსთან ერთად წარმოთქვამდნენ. ჩამოხეული, ფეხშიშველა ბიჭების გუნდი ეტლს ფეხდაფეხ მოსდევდა, თითქოს ამ გამწარებული სირბილისათვის გამორჩეული ჯილდო ელოდათ.

ალკალას ქუჩაზე გზას ძლივს მიიკვლევდნენ ქალაქის გარეუბანში მიმავალ ქვეითთა ორ ტალღას შორის მომწყვდეული ეკიპაჟები. ამ არეულობასა და ხმაურში ყოველგვარი საშუალება იყო გამოყენებული სამგზავროდ: პირველყოფილი დილიყანსიდან ავტომანქანამდე. ხალხით გაქვდილ ტრამვაის საფეხურებს მტევნებად ეკიდნენ ადამიანები. სევილიის ქუჩის კუთხეში ავტობუსები მგზავრებს უცდიდნენ. ხოლო კონდუქტორები მთელი ხმით გაჰყვიროდნენ: ცირკში! ცირკში! ხმაური აფრთხობდა ღია ეტლში შებმულ ევენებიან ჯო-

* ჯოხზე მიმაგრებული წითელი ქსოვილი; ტორეროს სკირდება, რაფა ხარი მოატყუოს და თავი დაასრევიოს.

რებს. ეტლის რბილ სავარძელში ქალები ისხდნენ. მათ თეთრი მანტილია მოეხურათ და თმაში წითელი ყვავილი ჩაებნიათ. ხშირად ისმოდა შეშინებული წამოძახილები. საქმე ის იყო, რომ ბორბლების შუა გამოხტებოდა ხოლმე რომელიღაც ცელქი ბიჭუნა, ერთი ქუჩიდან მეორეზე გადაბოდა, რათა მიმავალ ეტლს სისწრაფეში შეეჯიბრებოდა. ზრიალებდნენ მანქანები, მეეტლები გაჰყვიროდნენ. ილაჯ-გაწყვეტილი მეგაზეთენი ხალხს განთქმულ ტორეროთა სურათებსა და ბიოგრაფიას სთავაზობდნენ. ხანდახან ბრბოს ყრუ ბუბუნნი ხმამალალ ღრიალად გადაიქცეოდა ხოლმე. მთლად შავად მოსილიყვნენ მუნიციპალიტეტის ცხენოსანი გვარდიელები, რომელთა შორის მკვეთრად გამოირჩეოდნენ გამხდარ ჯაგლაგებზე მსხდომი აჭრელებული ცხენოსნები. მათ ყვითელი ტყავის რეიტუზები და ოქროსფერი ქურთუჯი ეცვათ, და ფარჩით მოკაზმული კაკარდის მსვავსი განიერ ფარფლიანი ფეტრის შლიაპები ეხურათ. ესენი მკაცრი, ჯმუხი გარეგნობის პიკადორები¹ იყვნენ. ცხენის გავაზე წითელი ეშმაკუნებივით მაიმუნები ისხდნენ და მავრიტანულ უნაგირს ჩაბლაუქებოდნენ. ესენი, ეგრეთ წოდებული გაწვრთნილი მაიმუნები, მსახურები გახლდათ, რომლებსაც ცხენები პიკადორის სახლამდე მიჰყავდათ.

კვადრილია ღია ეტლით მიდიოდა და ოქროსფრად ნაქარგი ტორეროთა ტანისამოსი ჩამავალი მზის სხივებზე თვალისმომკრელად ბზინავდა, რაც ბრბოს აღტაცებას იწვევდა.

„აი, ეს ფუნტესია! „ეს კი ბობა!“—უხაროდით უქნარებს, რომ თავიანთ გმირებს სცნობდნენ და მიმავალ ეკიპაჟს ხარბად გასცქეროდნენ, აქაოდა, რაღაც სასწაული უნდა მოხდეს და არ გამოგვრჩესო.

ალკალას ქუჩის ზემო ნაწილიდან მოჩანდა განიერი, პირდაპირი გზა, შენობათა თვალისმომკრელი თეთრი კედლები, ამწვანებული ხეები, მაყურებლებით სავსე ვერანდები და კიბელის შადრევნისკენ მიმავალი ხალხითა და ეკიპაჟებით გადატვირთული გზატკეცილი. იქიდან გზა მიემართებოდა ჩრდილოვან ხეივანებსა და მალალ შენობათა შორის, ხოლო შემდეგ ხედს ფარავდა ალკალას ტრიუმფალური თაღი, რომელიც თეთრად კიაფობდა ცის ფონზე და თითქოს მარტოხელა გედიოთ, ისე მიცურავდა გამჟვირვალე ღრუბლებში.

გალიარდო მდუმარედ იჯდა, ხალხის სალამს ბაგეზე შერჩენილი

¹ ხართან ბრძოლის მონაწილე. რომელიც ბრძოლაში ცხენით გამოდის და ხელში შუბი უჭირავს.

ლიმილით უპასუხებდა. მას შემდეგ რაც ბანდერილიეროს * მიესალ-
მა, სიტყვა არ დაუძრავს.

შიშითა და ლოდინით გატანჯული მისი ამხანაგებიც გაფითრე-
ბულიყვნენ. თავიანთ წრეში ტორეროები არ ცდილობდნენ ნაძალა-
დევად მხიარული იერის მიღებას, რაც მხოლოდ ხალხის წინაშე იყო
აუცილებელი. იფიქრებდით, რაღაც იღუმალმა ხმამ აუწყა ხალხს
უკანასკნელი კვადრილის ცირკთან მიახლოვებამ; უსაქმურნი,
რომლებიც „გალიარდოს“ ძახილით ეტლს მისდევდნენ, თანდათან
უკან რჩებოდნენ და ეტლებს შორის იკარგებოდნენ, მაგრამ წინ მი-
მავალი ხალხი, თითქოს იგრძნო განთქმული ტორეროს მოახლოვე-
ბამ, ჩერდებოდა და ტროტუარის გაყოლებით მწკრივდებოდა, რათა
კარგად შეეთვალიერებინა გალიარდო. ეყვნების ჟღარუნი ეტლებით
კარგა შორს მანძილზე მიმავალი ქალების ყურადღებასაც იპყრობ-
და და ისინიც უკან იხედებოდნენ.

აქა-იქ შეჯგუფულ ხალხში აღტაცებული შეძახილების არეული
გუგუნე ისმოდა. ვინ ქუდს იქნევდა, ვინ ხელჯოხს — სალამის
ნიშნად.

გალიარდო ყველას ერთი და იგივე ღიმილით უპასუხებდა, თუმ-
ცა ეტყობოდა, რომ ფიქრებს გაეტაცა. გვერდით ეჯდა წარბებზეკ-
რული ბანდერილიერო, ნასიონალი — სანდო მეგობარი, მკაცრი და
ღინჯი ადამიანი, მასზე ათი წლით უფროსი. ტორეროთა შორის იგი
ცნობილი იყო, როგორც კეთილი და პოლიტიკით გატაცებული კაცი.

— მადრიდზე უკმაყოფილება არ გეთქმის, ხუან, — წარმოთქვა
ნასიონალმა. — ჩანს, მოგიხიბლავს მაყურებელი.

გალიარდომ თითქოს ვერ გაიგო მისი სიტყვები, ან იქნებ მხო-
ლოდ ის უნდოდა ეთქვა, რაც აწუხებდა, უპასუხა:

— გული მიგრძნობს, დღეს რაღაც ცუდი შეგვემთხვევა!

კიბელის შადრევანთან ეტლი შეჩერდა. პლატოდან კასტელიანის
ბულვარისაკენ გრანდიოზული სამგლოვიარო პროცესია მიემართე-
ბოდა, რომელსაც შუაზე ჰყოფდა ალკალას ქუჩაზე მიმავალი ეკიპა-
ჟების მწკრივი.

გალიარდო კიდევ უფრო გაფითრდა, დაფეთებული თვალებით
შეჰყურებდა ხალხის ტალღებში მოცურავე ჯვრებსა და მღვდლებს,
რომელთაც სულის სახსენებელი წამოეწყით და ზიზღით და შურით
გაჰყურებდნენ იქ მყოფ ადამიანებს, რომლებსაც ღმერთი დავიწყე-
ბოდათ და გართობას ესწრაფვოდნენ.

* ხართან ბრძოლის მონაწილე, რომლის მოვალეობას შეადგენს წვეტიანი
შუბით ხარის გახელება.

მატადორმა სწრაფად მოიხადა ქუდი. ნასიონალის გარდა მთელ-
მა კვადრილიამ მას მიბაძა.

— აჰ, ეშმაკსაც წაუღიხარ! მოიხადე ახლავე ქუდი, არამზა-
დავი — დაუყვირა გალიარდომ.

გაბრაზებული მატადორი მზად იყო ეცემა ნასიონალი. წინათ-
გრძნობა ეუბნებოდა, რომ ეს თავხედობა უდიდეს უბედურებას
მოუტანდა.

— კარგი... მოვიხდი, — ჯიუტი, ეშმაკი ბავშვივით ჩაიბურღლუ-
ნა ნასიონალმა, როდესაც დაინახა, რომ ჯვრები შორს იყო. — მო-
ვიხდი... მაგრამ მიცვალებულის წინაშე.

ისინი დიდხანს იდგნენ. პროცესიას ბოლო არ უჩანდა.

— ცუდი ნიშანია... — ბრაზისაგან აკანკალებული ხმით წაილა-
პარაკა გალიარდომ. — ნეტა ვის მოუვიდა აზრად ამ გზაზე ათრიოს
მიცვალებული? წყეული!.. აკი ვამბობდი, დღეს რაღაც შეგვემთხვე-
ვა-მეთქი.

ნასიონალმაც ღიმილით აიჩეჩა მხრები.

— ცრუმორწმუნობა და ცრუ აზრები. ღმერთს და ბუნებას
მაგისტვის არა სცალიათ.

ნასიონალის სიტყვებმა კიდევ უფრო გაახელა გალიარდო, ხოლო
დანარჩენ ტორეროებს ბნელი ფიქრები გაუფანტა. მათ მეგობარს
გამასხრება დაუწყეს და წამდაუწუმ ახსენებდნენ: „ღმერთი და ბუ-
ნება“.

როგორც კი გზა გათავისუფლდა, ჯორები მთელი სისწრაფით
გაქანდნენ და ცირკისკენ მიმავალ სხვა ეკიპაჟებს გაუსწრეს. როდე-
საც ეტლებმა დანიშნულ ადგილს მიაღწიეს, მარცხნივ მოუხვიეს და
ეგრეთ წოდებულ საჯინიბოს შესასვლელთან გაჩერდნენ. მატადო-
რებს ხალხის ტალღა უნდა გაეპოთ. რათა ახლა ქვეითად მისულიყვ-
ნენ ალაყაფამდე. როგორც კი კვადრილიის თანხლებით ეტლიდან
გალიარდო გადმოვიდა. მის პატივსაცემად ოვაცია გაისმა. გალიარ-
დო კვლავ იძულებული შეიქმნა ტანისამოსს გაფრთხილებოდა,
ლმობიერად გაეღიმა და თავი აერიდებინა მათთვის, ვინც ხელის
ჩამორთმევას ლამობდა.

— გზა კაბალიეროს! გმადლობთ, გმადლობთ!

ამფითეატრსა და დამხმარე შენობის კედლებს შორის ეზო ხალ-
ხით გაქედლილიყო. მაყურებელი ჯერ არ დამსხდარიყო, რადგან ტო-
რეროების ახლო ნახვა სურდათ. მათ თავს ზემოთ მე-17 საუკუნის
ტანისამოსში გამოწყობილი პიკადორები და ალგვასილები ამართუ-
ლიყვნენ. ეზოს ერთ მხარეს ერთ საართულიანი აგურის შენობები
ჩამწყკრივებულები, რომლის კარები ხვიარა მცენარეებს დაეფარა,

ხოლო თანჯრების რაფაზე ყვავილები ელაგა. ეს თითქმის მთელი ქალაქი გახლდათ: საჯიხიბოები, კანტორები, სახელოსნოები და სახლები. სადაც მეჯინიბენი, ხუროები და ცირკის სხვა მსახურნი ცხოვრობდნენ.

მატადორი გზას ძლივს იკაფავდა ხალხში. თითქმის ყველა აღფრთოვანებით გაიძახოდა მის სახელს.

— გალიარდო! გზა გალიარდოს! ოლე! ვაშა ესპანეთს!

ხალხის თაყვანისცემით აღტაცებული გალიარდო კმაყოფილი და მხიარული იყო. იგი ამაყად თავაწეული მიდიოდა, თითქოს მის პატივსაცემად გამართულ ზეიმს ესწრებო. ტორეროს ვილაცამ კისერზე ხელი შემოხვია. გალიარდოს ღვინის სუნი ეცა.

— ყოჩაღ! ლამაზო ბიჭო! გაუმარჯოს გულადებს!

ეს იყო დარბაისლური გარეგნობის ბატონი, ნამდვილი ბურჯუა, სასაუზმედან გამოქცეოდა მეგობრებს, რომლებიც შორიდან უთვალთვალეობდნენ და დასცინოდნენ მას. ბურჯუამ მატადორს თავი მხარზე დაადო და აღტაცებით გაიტრუნა, თითქოს ამ პოზაში სამუდამოდ აპირებდა დარჩენას. მალე იგი მეგობრებმა წაათრიეს და გალიარდო გაუთავებელ ხევენა-ლოშნისგან ვაათავისუფლეს. როცა მთვრალი მიხვდა, ნათლიას მომამორესო, აღტაცებით დაიღრიალა. — გაუმარჯოს მამაკებს! დაე. აქ ჩამოვიდნენ მთელი მსოფლიოს ხალხები, შეხედონ ტორეროს და შურით ვასკდნენ! აქვთ მათ გემები... ფული... მაგრამ ეგ არარაობაა! სამაგიეროდ არ ჰყავთ ხარები და არც ასეთი მამაკე ბიჭები... ოლე, ჩემო ბიჭუნა, გაუმარჯოს სამშობლოს!

გალიარდომ გაიარა თეთრად შეღებილი დარბაზი. სადაც თაყვანისმცემლებით გარს შემორტყმული მისი ამხანაგები იდგნენ. მისწომოსწია ერთ-ერთ კართან შეჯგუფული ხალხი და შევიდა ბნელ, ვიწრო ოთახში, რომლის სიღრმეში ნათურა კიაფობდა. ეს იყო სამლოცველო.

საკურთხეველის წინ იდგა ღვთიშობლის ქანდაკება მტრედით ხელში. მტკრიანი, ჩრჩილისაგან დაკმული ხელოვნური ყვავილები ქაშანურის ლარნაკში ეწყო.

სამლოცველო მდებო ხალხით იყო სავსე. მათ სახელოვანი ადამიანების ახლო ხილვა სურდათ. ხალხი ქუდმოხდილი დაბორილობდა სიბნელეში. ზოგი ჩატუტკულიყო, ზოგიც სკამზე იდგა... ღვთიშობლის ქანდაკებისთვის ზურგი შეექციათ, კარს მიჩერებოდნენ და როგორც კი ოქროსფრად მოქარგული სამოსის ბრკევიალს თვალს მოკრავდნენ, ხმამაღლა გაიძახოდნენ მათ სახელებს.

საცოდავი ბანდერილიეროს და პიკადორების გამოჩენაზე მხო-

ლოდ ჩურჩული ისმოდა, თუმცე ისინიც მატადორებზე ით სწირავდნენ სიცოცხლეს, მაგრამ მათი სახელები მხოლოდ ძალზე თავგამოდებულმა გულშემატკივრებმა იცოდნენ.

უეცრად ყველამ ერთხმად დაიძახა.

— ფუენტესი! ფუენტესი!..

მოხდენილი ტორერო, რომელსაც ლაბადა მხარზე მოეგდო, ბოშური თვალების ბრიალით საკურთხეველს მიუახლოვდა, მუხლი მოიყარა, მძლავრი და მოქნილი ტანი უკან გადასწია, ლოცვა წარმოთქვა, პირჯვარი გადაისახა, წამოდგა და გასასვლელისკენ ისე გაემართა, რომ ქანდაკებას თვალს არ აშორებდა, ზუსტად ისე, მომღერალი რომ სტოვებს სცენას და მაყურებელს თავს უკრავს ხოლმე.

გალიარდოს გრძნობების გამომქლავებაში უბრალოება სჩვეოდა. ის შემოვიდა ლაბადგაწეული, ქუდით ხელში, ფუენტესივით ამაყად მოდიოდა, მაგრამ ქანდაკებას რომ მიუახლოვდა. მუხლი მოიდრია, ლოცვას შეუდგა და იმწამსვე დაივიწყა ხალხი, რომელიც მას უმზერდა. მისი კეთილი, ქრისტიანული გული მონანიებისა და შიშისაგან თრთოდა. იგი ევედრებოდა ღმერთს, რომ დაეცვა მუდამ სიკვდილისა და საშიშროების წინაშე მყოფი გულუბრყვილო ადამიანი, რომელსაც გათვალვისა ეშინოდა და მტკიცედ სწამდა ზეციური ძალა. მთელი დღე სულ სხვა რაღაცეებზე ფიქრობდა, ცოლი და დედა მხოლოდ ახლა მოაგონდა. საცოდავი კარმენი სევლიაში ელოდება მის დეპეშას ქალბატონი ანგუსტიასი რინკონადში მშვრდად აპურებს ქათმებს და ალბათ არც იცის, რომელ არენაზე გამოდის მისი ვაჟი! გალიარდოს კი საშინელი წინათგრძნობა აწუხებს. რატომღაც სჯერა, რომ ამ საღამოს უბედურება რამ შეემთხვევა. წმიდაო ქალწულო, შემიწყნარე და დამიკავი. დაევიწყებ ყოველივე ცუდს, ვიქნები კეთილი და აწ ვიცხოვრებ ისე, როგორც ღმერთს სწაღია.

ამ უსაგნო მონანიებით გალიარდომ თითქმის დაიმშვიდა მორწმუნე სული. იგი სამლოცველოდან გამოვიდა გულაჩუყებული, თვალებდაბურული და ვერ ამჩნევდა ხალხს, რომელიც გზას უღობავდა.

გალიარდო იმ ოთახში შევიდა, სადაც ტორეროების მომლოდინე ხალხი იცდიდა. მას მიესალმა სუფთად წვეკაპარსული, შავებში ჩაცმული მამაკაცი, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ აწუხებდა ვიწრო კოსტიუმი.

— ცუდი ნიშანია! აკი ვამბობდი, დღეს სასიკეთო არაფერი მომელის-მეთქი. — წაილაპარაკა გალიარდომ.

ეს იყო ცირკის მღვდელი, რომელიც ზიარების წმიდა ნაწილებს

სერთუყის ქვეშ მალავდა. იგი ჩამოდიოდა პროსპერიდადის უბნიდან და მუდამ თან ახლდა თავისი მეზობელი, რომელიც მომსახურეობას უწევდა და გასამრჯელოდ მღვდლისაგან კორიდის ბილეთს იღებდა. იგი კარგა ხნის მანძილზე ებრძოდა მადრიდის ცენტრალური უბნის მრევლს, რომელსაც მეტი უფლება ჰქონდა მიცემული ცირკის რელიგიურ მომსახურებაზე. კორიდის დღეებში მღვდელი ქირაობდა ხოლმე ეტლს, რომლის საფასურს ეკლესია იხდიდა, საერო სამოსქვეშ წმიდა ნაწილებით სავსე თასს მალავდა, მეგობართა და მეურვეთ შორის შესაფერ მსახურს ამოირჩევდა და მიემგზავრებოდა ცირკში, სადაც მისთვის განკუთვნილი იყო ორი ადგილი პირველ რიგში, ხარების შესარეკ კარებთან.

მღვდელმა ბატონკაცურად შეაბიჯა სამლოცველოში და ხალხის მოქმედებისგან აღშფოთდა. თუმც ქუდი ყველამ მოიხადა, მაგრამ ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და ასე გასინჯეთ, ზოგი თამბაქოსაც აბოლებდა.

— კაბალიერო, რას ჰგავს ეს! აქ ყავახანა ხომ არ გგონიათ, გთხოვთ გაბრძანდეთ. საცაა კორიდა დაიწყება.

ამ სიტყვებზე ხალხი სწრაფად დაიშალა.

მღვდელმა დამალული წმიდა ნაწილი ამოიღო, ხის მოხატულ სკივრში ჩაალაგა, ის იყო ძლივს მოასწრო ზიარების შენახვა, რომ ამფითეატრისკენ თითქმის სირბილით გაიქცა, რათა კვადრილის გამოსვლამდე დაეკავებინა ადგილი.

ხალხი გაიფანტა. დარჩა აბრეშუმითა და ფარჩით მოსილი ტორეროები, ცხენოსანი ალგვასილები, მოოქროვილ ცისფერ ტანისამოსში გამოწყობილი მსახურები და ყვითელი მხედრები, რომლებსაც განიერ ფარფლებიანი ქუდი ეხურათ.

თადის ქვეშ, ეგრეთ წოდებულ საჯინბოს კართან, რომელიც მოედანზე გადიოდა, ტორეროები ჩვეულებრივი წესით ჩამწყრივდებოდნენ ხოლმე, წინ მატადოროები, შემდეგ, კარგა მოშორებით, ბანდერილიეროები. ხოლო შუა მოედანზე, საიდანაც დამწვარი ტყავისა და ნეხვის შმორი მოდიოდა, იდგა არიერგარდი — პირქუშ და მკაცრ პიკადორთა რაზმი, რომელნიც, ცალთვალ ახვეულნი, დაჯანდაგებულ ჯაგლაგებზე ისხდნენ. უკან, როგორც ამ არმიის ალალი, ჯორები განლაგებულიყვნენ — ეტლში შებმული, ეყვნებით, ზანზალაკებითა და საძაგრაავით აკაზმული ჯორები, რომლებსაც საკისრულზე ნაციონალური ფერადი დროშები ჰქონდათ დამაგრებული. ჯორებს მოედნიდან მოკლული ხარები უნდა გაეზიდნათ.

თალიდან, რომელსაც ხის კიშკარი ჰქონდა დატანებული, თვალისმომკრელი ცის ნაწილი მოჩანდა, რომელიც მოუსვენარ, ხალხით გაქედნილ ამფითეატრსა და მოედანზე ციალებდა. ხალხის თავზე

მარაობები და გაზეთები პეპლებივით ფარფატებდა. ეს მძლავრი ქროლვა, როგორც ბუმბერაზული ფილტვების სუნთქვა, თალამდე აღიოდა და ჰაერის ტალღას თან მოჰქონდა მელოდიური გუგუნით. თუმც იქ მყოფთ არ ესმოდათ, უფრო გრძნობდნენ ამ შორეული მუსიკის ხმას.

თალის კიშკრიდან ადამიანთა თავები მოჩანდა. თალის ირგვლივ მსხდომი მაყურებელი მოუთმენლობის გამო მოაჯირს გადაყრდნობოდა, რათა რაც შეიძლება ჩქარა დაენახათ გმირები.

გალიარდო ორ მატადორს მიესალმა და მწკრივში მათ შორის ჩადგა. მატადორთა მღუმარე სახეებზე ღიმილი გამქრალიყო. ისინი ოცნებას შორს გაეტაცა, შესაძლოა ღელვის გამო სულაც არაფერზე ფიქრობდნენ. ტორეროების მღელვარება ლაბადის სწორებაში მქლავნდებოდა. ამ საქმიანობის გაგრძელება კი უსასრულოდ შეიძლებოდა. ლაბადას ხან მხარზე წამოიგდებდნენ, ხან მის ერთ ბოლოს ქამარზე იხვევდნენ და ცდილობდნენ მოჰქროვილ ბრჭყვიალა მოსასხამს მათი ძლიერი, მოქნილი ფეხები არ დაეფარა. ფერმკრთალი სახეები ოფლისგან ულაპლაკებდათ. ყველა ასპარეზზე ფიქრობდა, არ იცოდნენ რა ხდებოდა კედელს მიღმა და დაუძლეველ შიშს გრძნობდნენ — შიშს უხილავი, მიმალული ხიფათის წინაშე. რით დამთავრდება ეს დღე?

კვადრილიის უკან ცხენების ფლოქვთა ცემა გაისმა, ორ ალგვასილს, რომლებსაც მოკლე შავი ლაბადა და ფერადი ფრთებით დამშვენებული ლაქის შლიაპები ეხურათ, ასპარეზის შემოვლა დაემთავრებინათ, ხალხი ოდნავ დაემოშმინებინათ და ახლა თავიანთ ადგილას, კვადრილიის წინ, ქენებით შეჩერდნენ.

უეცრად თალისა და ბარიერის კარები ფართოდ გაიღო და ყველამ ნათლად დაინახა გაშლილი, ვეებერთელა ასპარეზი, საცა აღელვებული გრძნობებისა და თოთხმეტი ათასი მაყურებლის თავშესაქცევი ტრაგედია უნდა გათამაშებულიყო. ყრუ, მელოდიური გუგუნით მკვეთრად გაძლიერდა და გადაიქცა მჩქეფარე მუსიკად, სპილენძის ხმაწკრიალა ბუკების ტრიუმფალურ მარშად, რომლის მწყობრ ჰანგებზე ბრძოლის სურვილით ალტკინებულ ვაჟაკებს ხელები და ფეხები უნებურად აუტოკდათ, წინ, მამაცო ბიჭებო!

და აი, სინათლის მკვეთრი ცვალებადობის გამო თვალდახუჭული ტორეროები სიბნელიდან — სინათლეში, სიჩუმედან — გამაყრუებელ ღრიანცელში გამოვიდნენ. ამფითეატრის საფეხურებს ცნობისმოყვარეობის ტალღამ გადაურბინა. ხალხი ფეხზე წამოხტა, რათა უკეთ დაენახათ კვადრილიის გამოსვლა.

ჯერ ტორეროები გამოვიდნენ, რომელნიც უზარმაზარი მოედ-

ნის ფონზე ერთბაშად დაპატარავდნენ. ტორეროები მბრწყინავ თოჯინებს ჰგავდნენ და მათი მოოქროვილი ტანსაცმელი მზის შუქზე სოსანისფრად ბრწყინავდა. მაყურებელი ისეთ ალტაცებაში მოდიოდა ტორეროების მოქნილი, ლამაზი მოძრაობით, როგორც ბავშვები ზღაპრული სათამაშოს ხილვისას. მაყურებელი შეიპყრო ერთმა იმ ალტკინებათაგანმა. უეცრად რომ ბრბოს ააბობოქრებს. ყველა ტაშს უკრავდა, განსაკუთრებით ალტაცებულნი და აღგზნებულნი კი ხმამაღლა ღრიალებდნენ. ქუხდა მუსიკა და ამ მღელვარე განგაშში, რომელმაც მოიკვა ალაყაფის ორივე მხარე თვით კორიდის თავმჯდომარის ლოქამდე, საზეიმო სიღარბაისლით გამოდიოდა კვადრილია, რომელიც ხელის და ტანის კობტა მოძრაობით ხალხს ნეტარებას ჰგვრიდა. ქვის ღრმა კრატერიდან ამოხეთქილი გუგუნით დამფრთხალი თეთრი მტრედები ცის ლურჯ თალზე ფარფატებდნენ.

ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ ტორეროები გახალისდნენ. ისინი სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდნენ უფრო რაღაც დიადი საქმისთვის, ვიდრე ფულია. ტორეროებს მოაჯირს იქით დაეტოვებინათ იდუმალი ექვი და შიში და მოედანზე მხნედ მოაბიჯებდნენ. მათ დაინახეს მაყურებელი — იწყებოდა ნამდვილი ცხოვრება. ტორეროთა ალაღმართალ და მკაცრ გულში გაიღვიძა დიდებისადმი სწრაფვამ, ამხანაგის ჯობნის სურვილმა, საკუთარ ძალისა და სიმარჯვისადმი სიამაყის გრძნობამ. ყოველივე ამით დაბრმავებულნი შიშს ივიწყებდნენ და დაუცხრომელი სიმამაცით იმსკვალებოდნენ.

გალიარდოს ველარ იცნობდით, მთელი ტანით გაჯგიმულიყო, რათა უფრო მაღალი გამოჩენილიყო, მიაბიჯებდა ამაყად, გამარჯვებულის იერიითა და ყველას ისე ესალმებოდა, თითქოს მის გვერდით მეგობრები არც არსებობდნენ და ყველაფერი: მაყურებელიცა და ასპარეზიც, მისი საკუთრება ყოფილიყო. ეგონა, რომ მხოლოდ მას უკრავდნენ ტაშს და დარწმუნებული იყო, რომ ანდალუსისა და კასტილიის იალალებზე მყოფი ყველა ხარის მოკვლას შესძლებდა. არც იმაში არ ეპარებოდა ეჭვი, რომ თეთრ ტანსაცმლიანი ქალები მხოლოდ მას შესციცინებდნენ.

ხალხი თაყვანს სცემდა მას და გალიარდოც ამაყად ილიმებოდა, თითქოს მთელი ოვაცია მხოლოდ და მხოლოდ მას ეკუთვნოდა. იგი ამფითეატრის საფეხურებს ათვალიერებდა, გრძნობდა ყველაზე მეტად სად იყვნენ თავმოყრილი მისი მომხრეები და ცდილობდა დანარჩენი მატადორების თაყვანისმცემლები არ შეემჩნია.

ტორეროები ქუდმოხდილი მიესალმნენ თავმჯდომარეს. შემდეგ ბრწყინვალე კორტეჟი დაიშალა. ქვეითნი და ცხენოსანნი სხვადასხვა მხარეს წავიდნენ. სანამ ალგვასილი თავმჯდომარის მიერ გად-

მოგდებულ გასაღებს ქუდით დაიქერდა, გალიარდო პირველი რიგისკენ გაემართა, სადაც მისი მგზნებარე თაყვანისმცემლები ისხდნენ და მათ შესანახად გადასცა თავაი დიდებული ლაბადა. მრავალი ხელი ჩაეჭიდა ამ ცეცხლისფრად მოელვარე მოსასხამს და მთელ ბარიერზე გასკიმეს იგი, ვით მეგობრობის წმიდა სიმბოლო:

ძალზე აღტაცებულნი ფეხზე წამოხტნენ, ხელებისა და ჯოხების ქნევით ესალმებოდნენ მატადორს, გამოხატავდნენ თავიანთ იმედს: აბა, გვაჩვენე შენი ვაჟკაცობა, სევილიის შეილო!

მოაჯირზე დაყრდნობილი გალიარდო ღიმილით უპასუხებდა მათ:

— გმადლობთ, გმადლობთ, ყველაფერს გავაკეთებ, რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული.

მაგრამ გალიარდოს ხილვით არა მარტო მომხრეები, მთელი ხალხი ღელავდა. ისინი თვალს არ აშორებდნენ მატადორს იმ იმედით, რომ კარგ სანახაობას ნახავდნენ. ამ ტორეროსაგან დიდი გმირობაა მოსალოდნელი! მაგრამ ამგვარ გმირობას საავადმყოფოს სარეცელამდე მიჰყავს ადამიანი...

ყველა დარწმუნებული იყო, რომ ხარის რქებისგან განგმირული გალიარდო ასპარეზზე უნდა მომკვდარიყო და სწორედ ეს რწმენა აიძულებდა მაყურებელს სისხლმორწყურებული აღტაცებით დაეკრა მისთვის ტაში, ისე. როგორც კაცთმოდულე ადამიანი დაუნდობელი ცნობისმოყვარეობით თვალს ადევნებდა მომთვინიერებლის მუშაობას და უცდის იმ დროს, როცა ბოლოს და ბოლოს, მხეცები დაჰვლეჯენ თავიანთ მსხვერპლს.

გალიარდო ხართან ბრძოლის ძველ თაყვანისმცემლებს, ტავრო-მაქის პატივმოყვარე დოქტორებს დასცინოდა, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ წარუმატებლობა შეუძლებელია, თუ ტორერო ხელოვნების წესებს იცავსო. წესები! მან არ იცოდა ისინი და არც სურდა სცოდნოდა. ვაჟკაცობა და სიმამაცე — აი, რაა საჭირო გამარჯვებისთვის. გალიარდო ბრმად მინდობოდა მხოლოდ სიმამაცეს, მხოლოდ თავისი ტანის ბუნებრივი სრულყოფით სარგებლობდა — აი, რით მოიპოვა მან ბრწყინვალე კარიერა, განაცვიფრა მაყურებელი, გააკვირვა იგი ფანტასტიკური სიმამაცით.

გალიარდო არ მიდიოდა ჩვეულებრივი გზით, როგორც სხვა მატადორები, რომლებიც წლობით, დამხმარე ბანდერილიეროსა და განთქმული მანესტროების მეშვეობით სწავლობდნენ ბრძოლას. ხარის რქა არ აშინებდა მას. „არ არსებობს შიმშილზე უფრო საშინელი რქები“. მთავარია სახელი მოიხვეჭო სწრაფად და უცბად.

გალიარდომ რამდენიმე წელიწადში გაუგონარ დიდებას მიადწია.

გალიარდოს აღმერთებდნენ სწორედ იმიტომ, რომ მისი სიკვდილი გარდუვალად მიაჩნდათ. ხალხში შეუწელებლად ძლიერდებოდა აღტაცება იმის გამო, რომ გალიარდო ბრმად ეთამაშებოდა სიკვდილს. ის ხალხის ისეთსავე ყურადღებას იქცევდა, როგორც სიკვდილმისჯილი. ეს ტორერო არ ეყუთვნოდა მათ რიცხვს, ვინც თავს ზოგავდა. იგი მზად იყო სიცოცხლე გაეწირა და ღირდა იმ ფულად, რასაც უხდიდნენ... უშიშარ ადგილს მჯდარი ხალხიც მხეცივით ადევნებდა თვალყურს, აქეზებდა და აგულიანებდა გმირს. მისი მამაცობის შემყურე ფრთხილი ადამიანები კი თავს აქნევდნენ და ბუზღუნებდნენ: „ჯერ კიდევ მაგრადაა!“... ისინი მას იღბლიან თვითმკვლელად თვლიდნენ.

დასცხეს დაფდაფებს და აი, სარბიელზე პირველი ხარი გამოიჭრა. გალიარდოს მკლავზე წითელი ლაბადა გადაეგდო და გულგრილი გამომეტყველებით მიყრდნობოდა ბარიერს, სადაც მისი თაყვანისმცემლები ისხდნენ. ამ ხარს სხვა მატადორი უნდა შებრძოლებოდა. გალიარდო აჩვენებს თავის გმირობას, როცა მისი ჯერი დადგება!.. მაგრამ მატადორის მიერ ლაბადის მოხერხებულმა მოძრაობამ მაყურებლის ტაში გამოიწვია, რამაც გალიარდო ამოძრავა და მიღებულ გადაწყვეტილების მიუხედავად ხარისკენ წავიდა და დაუწყო გაღიზიანება, რითაც გამოიჩინა უფრო მეტი მამაცობა, ვიდრე ოსტატობა. ამფითეატრში ტაში გაისმა. მაყურებელს მოსწონდა მისი თავხედობა.

როდესაც ფუნტესმა პირველი ხარი მოჰკლა, მაყურებელს მიესალმა და პრეზიდენტის ლოქისაკენ გაემართა, გალიარდო უფრო გაფითრდა: სხვისი ქებაც შეურაცხყოფად მიაჩნდა. ახლა მისი ჯერი! ნახავენ სანახაობას! გალიარდოს რა უნდა გაეკეთებინა, ზუსტად არ იცოდა, მაგრამ მტკიცედ გადაეწყვიტა, გაეკვირვებინა მაყურებელი.

გამოჩნდა თუ არა მეორე ხარი, გალიარდოს მოეჩვენა, თითქოს მთელი მოედანი თვითონ დაიკავა, მისი ლაბადა ხარის ცხვირთან ფრიალებდა, როდესაც ერთ-ერთი მისი კვადრილიის პიკადორი, რომელსაც ზედმეტ სახელად პოტახე ერქვა, ხარმა ცხენიდან ჩამოაგდო და მისი უმწეო ტანი ხარის რქების წინ გაიშხლართა, მაესტრომ კუდზე ხელი სტაცა ხარს და ჰერკულესისებური ძალით ისე შემოატრიალა, რომ ცხენოსანს საფრთხე აღარ ემუქრებოდა. გაისმა მაყურებლის გააფთრებული ტაში.

ბანდერილიეროს გამოსვლისას გალიარდო მოაჯირთან იდგა და ნიშანს ელოდა. მოედნის ცენტრში ნასიონალი ხარს ბანდერილიებით აღიზიანებდა. მის მოძრაობაში არ ჩანდა მოხდენილობა, არც

შეუპოვარი მამაცობა, „უნდა გამოიმუშაოს პურის ფული“, სევით-ლიაში მან დასტოვა ოთხი პატარა ბავშვი და თუ ის მოკვდა, სხვა მამას ვეღარ იშოვნიან. მან შეასრულა თავისი მოვალეობა, ბანდერილები ერთ ადგილზე დაარქო. ტაერომაქიის მედლეური არ ცდილობდა გამოეწვია ოვაცია და სტვენისაც არ ეშინოდა. როდესაც მან დაასო პირველი ბანდერილია, მაყურებელმა ტაში დასცხო, ზოგმა კი დამცინავად შეუძახა:

— დაგმე პოლიტიკა, მიუახლოვდი ხარს!

ნასიონალმა, რომელიც მოშორებით იმყოფებოდა, ვერ გაიგო ეს სიტყვები და თავის მანქანისაკენ მიმართული უპასუხა:

— გმადლობთ, გმადლობთ!

როდესაც ბუკისა და ნალარის ხმაურში, რომელიც უკანასკნელ გამოსვლას აუწყებდნენ, სარბიელზე კვლავ გალიარდო გამოჩნდა, ხალხს აღელვების ტალღამ გადაურბინა. იგი მათი სათაყვანებელი მატადორი იყო. ახლა კი მართლა ნახვევს სანახაობას.

გალიარდომ აიღო დახვეული მულეტი, რომელიც გარაბატომ მოაჯირიდან მიაწოდა, მერე მსახურის მიერ შეთავაზებული ერთ-ერთი დაშნა აირჩია, დინჯად გაემართა თავმჯდომარის ლოჯისკენ და ქუდმოხდილი დადგა მის წინაშე. მაყურებლებს კისერი წაეგრძელებინათ, მიშტერებოდნენ თავიანთ ღმერთს, მაგრამ რას ამბობდა, ვერკი გაეგონათ.

ჩამოსხმულმა აღნაგობამ, მოქნილმა წელმა, ამაყად უკან გადაწეულმა ტანმა მაყურებელზე უფრო დიდი შთაბეჭდილება დასტოვა, ვიდრე მქვეგრმეტყველურმა სიტყვებმა. როდესაც გალიარდომ სიტყვა დაამთავრა, ნახევრად შემობრუნდა და ქუდი ქვიშაზე დაადგო. კვლავ დასცხეს აღფრთოვანებული ტაში.

— ოლე, სევილიის შვილო! ახლა კი ვნახავთ სანახაობას.

მაყურებლები ერთმანეთს შესცქეროდნენ და უსიტყვოდ პირდებოდნენ ჯერ არნახულ სასწაულს. ამფითეატრის კიბეებიც კი ათრთოლდა ამ საოცრების მოლოდინში. სამარისებური სიჩუმე გამეფდა, რომელსაც ყოველთვის თან სდევს ძლიერი მღელვარება. ცირკი დაღუძდა. სუნთქვა შეწყვიტა ყველამ.

გალიარდომ მუცელზე დროშასავით მიიღო მულეტის ტარი და დაშნის თანასწორი ქნევით ხარისკენ დინჯად გაემართა. მერე ოდნავ შემობრუნებულმა შეამჩნია, რომ ფეხდაფეხ მოჰყვებოდნენ ლაბადაგადაგდებული ნასიონალი და სხვა ბანდერილიეროები.

— დასტოვეთ ყველამ ასპარეზი!—დასცქეა სიჩუმეში მატადორმა და ამ ხმამ ყველაზე უკანასკნელ რიგამდეც მიაღწია, — საპასუ-

ზოდ ალტაცებული წამოძახილები გაისმა: „დასტოვეთ ასპარეზი!.. მან თქვა: ყველამ დასტოვეთ ასპარეზი, აი ნამდვილი ვაჟკაცი!..“

გალიარდო მარტო მიუახლოვდა ხარს — და კვლავ რამოდენიმე ხანს სიჩუმე გამეფდა. მან აუჩქარებლად გახსნა მულეტი, გადადგა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და კინალამ ხარის დრუნჩს შეეჯახა. ასეთი თავხედობით განცვიფრებული ხარი დაიბნა. გატრუნული, სუნთქვა-შეკრული ხალხი ხმას აღარ იღებდა, მაგრამ მათ თვალეში ალტაცება იხატებოდა. რა მამაცია! ჯიქურ რქებისკენ მიდის! გალიარდომ მოუთმენლად ქვიშას ხელი დაარტყა. ცხოველს თავდასხმისათვის აქეზებდა. უზარმაზარმა ხარმა წინ წამოსწია წვეტიანი რქები და მატადორს ღრიალით ეძგერა. რქებმა მულეტის ქვეშ ჩაიჭროლეს და ოქროთ მოქარგულ ქურთუჯზე ასხლტნენ. გალიარდო არ განძრეულა, მხოლოდ ოდნავ გაიწია უკან. ბრბომ მულეტის მოხერხებულ მოქნევას ალტაცებით უპასუხა! ოლე!..

მხეცი მობრუნდა და კვლავ ეცა ნაჭერსა და ადამიანს. გალიარდომ მაყურებლის თავაწყვეტილ ღრიალში იგივე ფანდი გაიმეორა. ხარი ყოველი მოტყუების შემდეგ სულ უფრო მძვინვარებდა და გააფთრებული გარბოდა ტორეროსკენ, რომელიც კვლავ განაგრძობდა მის დრუნჩთან ლაბადის ფრიალს. საფრთხის სიახლოვით გამხნე-ვებული და მაყურებლის ალტაცებული ყვირილით მთვრალი გალიარდო იქვე ახლოს ტრიალებდა. იგი ცხოველის ცხელ სუნთქვას გრძნობდა. ხარის დორბლები სახესა და მარჯვენა ხელზე ესხურებოდა. გალიარდო მიეჩვია ხარის სიახლოვეს და ახლა იგი მას უყურებდა, როგორც კეთილ მეგობარს, რომელიც სიამოვნებით მოაკვლევინებდა თავს, რათა გალიარდოს სახელი მოეხვეჭა. რამდენიმე წუთით ხარი გაირინდა, თითქოს დაიქანცა ამ თამაშითო. იგი ჩა-ციებით მიშტერებოდა ადამიანს, წითელ ნაჭერს და თავისი ბნელი შეგნებით გრძნობდა, რომ ატყუებდნენ და ყოველი მისი ახალი თავდასხმა სიკვდილს აახლოებდა.

გალიარდოს გული აუძგერდა, როგორც სჩვეოდა ყოველი მოხერხებული დარტყმისას. დროა! მარცხენა ხელის სწრაფი მოძრაობით მულეტი ჯოხზე დაახვია, შემდეგ მარჯვენა ხელი, რომელშიც დაშნა ეკავა, თვალის სიმაღლეზე ამართა და ხარს ზურგში დაუმიზნა. ხალხს პროტესტისა და უკმაყოფილების დრტვინვამ გადაუარა.

— არ დაარტყა! — გაისმა ერთდროულად ათასობით ხმა, — ორა... არა!..

ჯერ აღრე იყო, ხარი ცუდად იდგა. საცაა გამოქანდება და დაეძგერება მატადორს. გალიარდო ოსტატობის ყოველგვარი წესის

წინააღმდეგ მოქმედებდა, თუმცა რაში სჭირდება წესები, განა რა უღირს სიცოცხლე ამ თავზეხელაღებულ ადამიანს?

უეცრად ხელში დაშნამომარჯვებული გალიარდო წინ გაიჭრა და იმავე წუთს ხარიც მისკენ გამოქანდა. საოცარი დარტყმა იყო. რამდენსაბე ხანს ადამიანი და მხეცი ერთმანეთში აირია. იმის გაგება, თუ ვინ გაიმარჯვა, შეუძლებელი გახდა. მატადორს ხელი და ტანის ნაწილი რქებს შორის მოქცეოდა. თავდახრილი ცხოველი ცდილობდა რქა ეძგერებინა ამ კრელი, ოქრომკედით მოქარგული თოჯინასათვის, რომელიც მისგან თავის დაღწევას ლამობდა. ბოლოს და ბოლოს, ხარი და კაცი განცალკევდნენ. ნაფლეთებად ქცეული მულეტი ქვიშაზე დაეცა. ტორერომ ხელები გაითავისუფლა. ტორტმანით წამოდგა, ინერციის ძალით რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ძლივს შეინარჩუნა წონასწორობა. ტანისამოსი აჩაჩოდა, რქით დაფლეთილი ყელსაბამი ეილეტს ზემოთ ქანაობდა. ხარი კვლავ ადრინდელივით შმაგად დარბოდა. განიერ კეფაზე ძლივს მოუჩანდა ღრმად ჩასობილი დაშნის ტარი. უტბად ხარი შეჩერდა, წინა ფეხები მოხარა, ტლანქი მისალმების მსგავსად თავი ქვიშისკენ დახარა, მერე მძიმედ დაეცა და სასიკვდილო ფართხალი იწყო. ისეთი ორომტრიალი შეიქნა, გეგონებოდათ ამფითეატრს ზვაივი მოსწყდა და საცაა დაინგრევაო. ფერმიხდილი, თრთოლაატანლი, თავზარდაცემული მაყურებელი ფეხზე წამოხტა და ხელების ქნევით გაიძახოდა: მოკვდა! რა დარტყმა იყო!

რამდენიმე ხანს ხალხს მოეჩვენა, თითქოს მატადორი რქაზე წამოეგო და ყველა უტდიდა, ეს-ესაა სისხლში მოსვრილი ქვიშაზე დაეცემაო. მაგრამ, აი, საოცრებავ, ის მათ წინაშე დგას, გაათრეებული ბრძოლით გაბრუებული, მაგრამ მხიარული და მოლიმარი მღელვარების და შიშის შემდეგ ხალხის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

— მხეცია! — ყვიროდნენ ისინი და აღფრთოვანების გამოსახატავად სხვა სიტყვას ვეღარ პოულობდნენ. — საოცრებაა პირდაპირ! მოედანზე ქუდები დაფრინავდნენ. ტაში არ წყდებოდა, სანამ გალიარდო თავმჯდომარის ლოქას არ მიუახლოვდა. როცა გალიარდო ფართოდ გაშლილი ხელებით პრეზიდენტს მიესალმა, ტაში მქუხარე ოვაციასი გადაიზარდა. ყველა ყვიროდა და მატადორისათვის განსაკუთრებულ ჯილდოს მოითხოვდა. უნდა მიართვან ყურის დაიმსახურა! ხშირად როდი ვართ ასეთი დარტყმის მოწმენი! როდესაც ცირკის ერთ-ერთმა თანამშრომელმა მატადორს მიართვა შავი, გასისხლიანებული, მოკლული ხარის დაბალნული. ყურის ყუა, ტაშმა კიდევ უფრო იგრიალა.

სარბიელზე მესამე ხარი გამოვიდა, მაგრამ გალიარდოს პატივსაცემ ოვაციას ბოლო არ უჩანდა, თითქოს აწ რაც არ უნდა მომხდარიყო კორინდაზე, ყურადღებად აღარ ღირდა. შურით გაფითრებული ტორეროები ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ, რათა მაყურებლის ყურადღება მიექციათ, თუმც ისმოდა ტაში, მაგრამ იგი უხალისო და გულგრილი იყო აღრინდელთან შედარებით.

ხალხი ძლიერმა აღტაცებამ დაღალა და არენაზე წარმოებულ ბრძოლებს უგულისყუროდ შესცქეროდა. ამფითეატრის კიბეზე ცხარე კამათი გამართულიყო. აღტაცებადამცხარალი სხვა მატადორების გულშემატკივრები თავიანთ უნებლიე აღფრთოვანების წინააღმდეგ ამხედრებულებს და გალიარდოს მსჯავრს სდებდნენ. მართალია, ვაჟკაცურია, ძალიან გამბედავი ტორეროა, ნამდვილი თვითმკვლელია, მაგრამ ეს არ არის ოსტატობა! ყველაზე უფრო მგზნებარე და დაუცხრომელი თაყვანისმცემლები კი თავიანთ კერპის, გალიარდოსი, რომელიც თავისი სიმშაგით პირნათლად ასრულებდა მათ ყინიან სურვილს, ბრაზობდნენ ამ ფანატიკოსებზე რომელთაც სადავოდ გაეხადათ სათაყვანო ადამიანის სასწაულები. ხალხის მთელი ყურადღება გაცხარებულ კამათს მიეპყრო, ამასთან ამფითეატრის ერთ-ერთ სექციაში ხმაური ისმოდა, რის გამო მაყურებელი ხშირად ფეხზე დგებოდა, არენას ზურგს აქცევდა და ხელებსა და ჯოხებს აქნევდა. უმრავლესობა, რომლებსაც კორინდა აღარ აინტერესებდათ, შესცქეროდა მოჩხუბრებს და ქვის კედლებზე ჩამოკიდებულ უზარმაზარ ციფრებს, რომელიც ამფითეატრის სხვადასხვა სექციას აღნიშნავდა.

— ჩხუბია მესამე სექციაში — ისმოდა მხიარული ხმები, — მუშტი-კრივი ახლა მეხუთეში გაიმართა!

ხალხს ჯოგური გრძობა დაუფლებოდა, ყველა ერთად ხმაურობდა, ფეხზე დგებოდა, ცდილობდა დაენახა მეზობლის თავს იქით რა ხდებოდა, მაგრამ ხედავდნენ მხოლოდ მოჩხუბრებისკენ ზღაზღენით მიმავალ პოლიციელებს, რომლებიც კიბეზე ძლივს მიიწევდნენ.

— დასხედით! — ყვიროდნენ უფრო სერიოზული მაყურებლები, რომლებსაც სურდათ დაენახათ სარბიელი, სადაც ტორეროები განაგრძობდნენ თავიანთ საქმეს.

თანდათან ხალხის ტალღა დაშოშმინდა. თავების მწკრივი გაუთანასწორდა ამფითეატრის კონცენტრირებულ წრეს და კორინდაც გაგრძელდა. მაგრამ ხალხს უკვე ნერვები აშლოდა, რაც ხან ახირებულ სიჩუმეში, ხანაც ზოგიერთ ტორეროს მიმართ უსაფუძვლო მტრობაში მკლავდებოდა. რამდენიმე წუთის წინ გადატანილი

მღელვარე ამბის შემდეგ მაყურებელს ბრძოლის ყველა რთული პერიპეტია უინტერესოდ ეჩვენებოდა... მოწყენილობის განდევნის მიზნით ხალხი სმა-ჰამას მიეძალა. ქუჩის მოვაჭრენი დარბოდნენ რიგებს შორის და ფანტასტიკური სიმარჯვეთ ესროდნენ მყიდველს მოთხოვნილ საქონელს. მთელ ამფითეატრში ფორთოხლები ხარინჯის ბურთულებად დაჰქროდნენ და გზაზე ძაფივით სწორ ხაზს ავლებდნენ. გაზიანი წყლის ბოთლის საცობები ძირს ხმაურით ვარდებოდა, ჭიქებში ანდალუსიური ღვინის თხევადი ოქრო იღვრებოდა.

მაგრამ, აი, ამფითეატრში მსხდომნი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო: ფუნტესი ბანდერილიებით ხელში ხარისკენ გაემართა. სიმარჯვის, სილამაზის და სასწაულის მოლოდინში ყველა გაირინდა. ბანდერილიებით შეიარაღებული მატადორი მოედნის შუაგულში მარტო გამოვიდა და უშფოთველი, დინჯი ნაბიჯით მიიწედა წინ, თითქოს რომელიღაც თამაშს იწყებდნო. მატადორის ყოველ მოძრაობას ხარი ეჭვიანად გასცქეროდა, გაოცებული იყო მარტოხელა კაცის ხილვით ახლახან მომხდარი ხმაურისა და ფუსფუსის შემდეგ, როცა მის თვალწინ ლაბადები ფრიალებდა, ქეჩოში წვეტიანი შუბლები ესობოდა და ფეხებში ცხენები ებლანდებოდა, თითქოს რქაზე წამოგება სწყურიათო.

მაესტრომ ცხოველი მონუსხა და ისე ახლოს მივიდა, რომ ბანდერილიებით მის ქეჩოს შეეხო. მერე გაიქცა და მოჯადოებული ხარიც უკან გაიყოლია. ეტყობოდა ტორერომ დაიმონა ხარი. იგი ძალაუნებურად დაჰყვა მაესტროს სურვილს... აი, ფუნტესმა თამაშს დამთავრება გადასწყვიტა, ბანდერილიებით ჩაბლუჯული ხელები გაშალა, ფეხის წვერებზე აიწია, მოქნილი და ლამაზი ტანი დაძაბა, აუღელვებლად გაემართა წინ და გაოგნებულ ხარს ზურგში ნაირფერი ისარი ჩაასო.

ხალხის ღრიანცელში ეს ფანდი სამჯერ გაიმეორა. ისინი, ვისაც მცოდნეებად მოჰქონდათ თავი, საბოლოოდ გათავისუფლდნენ გალიარდოს მიერ გამოწვეული ალტაცებისგან.

აი, ჰეშმარიტი ტორერო! აი, რას ნიშნავს ნამდვილი ხელოვნება! გალიარდო მოაჯირთან იდგა, გარაბატოს მიერ მოწოდებული პირსახოცით სახეზე ოფლს იწმენდა. მერე წყალი მოსეა და ამხანაგის წარმატება რომ არ ეხილა, ასპარეზს ზურგი შეაქცია. ცირკის გარეთ ის თავის მოწინააღმდეგეთ პატივს სცემდა, ძმურად ეპყრობოდა, რადგან ყოველ მათგანს ერთი ხიფათი მოელოდათ, მაგრამ როგორც კი სარბიელზე ფეხს შედგამდა, ყველანი მეტოქეებად მიაჩნდა. მათი გამარჯვება გულს სტკენდა. შეურაცხყოფის გრძობით იმსკვალე-

ბოდა. ახლა მას ხალხის აღტაცება ქურდობად მიაჩნდა — ისინი მას გამარჯვების ნაწილს სტაცებდნენ.

როდესაც მისთვის განკუთვნილი მეხუთე ხარი გამოვიდა, გაფიცებული ვალიარდო სარბიელზე გაიქრა, რათა ხალხი კიდევე უფრო გაეკვირვებინა თავისი გმირობით. როგორც კი რომელიმე პიკადორი ძირს დაეცემოდა, ვალიარდოს ლაბადის მოქნევით ხარი სარბიელის მეორე ბოლოსკენ მიჰყავდა და შუშხუნასავით სწრაფი მოძრაობით აბრმავებდა, აბნევდა ხარს, დრუნჩხვებდა ფეხს ადებდა, თავზე შლიაპას ახურავდა და ხან გამოშტერებულ ცხოველს გამომწვევი თავხედობით მეკრდს უშვერდა, წინ დაუჩოქებდა, თითქმის რქაზე წვებოდა.

ძველი მოყვარულები ბუზღუნებდნენ: მაიმუნობაა და მეტი არაფერი! უწინ ასეთ ტაკიმასხარობას ვინ აიტანდა! მაგრამ მათი ბუზღუნის აღტაცების შეძახილმა დაფარა. გაისმა სიგნალი, რომელიც ბანდერილიას მოუხმობდა. მაყურებელი გაოცდა, როდესაც ვალიარდომ ნასიონალის ბანდერილიები გამოართვა და ხარისკენ გაემართა. გაისმა საპროტესტო შეძახილები. იმუშაოს ბანდერილიებით!.. მან?.. ყველასათვის ცნობილი გახლდათ, რომ ვალიარდო მაგ საქმეში ძლიერი არ იყო. ბანდერილიებით უნდა ემუშავა მხოლოდ იმ ადამიანს, რომელიც კარიერას თანდათან იმზადებდა, ვინც წლების მანძილზე, სანამ მატადორი გახდებოდა, ბანდერილიერო იყო და მესტროსთან ერთად გამოდიოდა. ვალიარდომ კი პირიქით დაიწყო, არენაზე შედგა თუ არა ფეხი, ხარების ხოცვას მიჰყო ხელი.

— არა! არა! — ღრიალებდა ბრბო.

ეჭიმი რუისიცი ხელებს აქნევდა და ყვიროდა:

— მაგეებს თავი დაანებე, შვილო! შენი საქმე აკეთე... ოლე!

მაგრამ როდესაც ვალიარდო მხეცური გაბედულებით აღიგზნებოდა, ხალხის პროტესტს ყურადღებას აღარ აქცევდა. მას არც სურდა ხალხის ყვირილი გაეგონა. ჯიქურ ხარისკენ გაემართა და სანამ იგი გაინძრეოდა — ერთი! — და ჩაასო ბანდერილიები. მაგრამ გამოუცდელი ხელით ჩასობილი ბანდერილიები ფამფალებდნენ. როდესაც გაოცებულმა ხარმა თავი გააქნია, ერთი ისარი ძირს ჩამოვარდა, მაგრამ ამას უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ბრბო მუდამ აპატიებს სათაყვანებელ კერპს შეცდომებს. ხალხი გაბედულ ტორეროს აღტაცებით ესალმებოდა, მან კი მაყურებლის პროტესტის მიუხედავად, რომელიც მის სიცოცხლეს ზოგავდა, ხარს კიდევე უფრო მეტი გამეტებით მეორე წყვილი ისარი ჩაასო. ვალიარდომ შესამედაც იგივე ფანდი გაიმეორა, თუმცა მოუქნელად. მაგრამ ისე უშიშრად, რომ ხალხის აღტაცება გამოიწვია: აი, მესმის ტორერო! ბედი სწყალობს ამ გულადს!

ხარს ზურგში ექვსი ბანდერილიდან ოთხილა ჰქონდა, ისინიც ძლივს ემაგრნენ. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ხარი არცა გრძნობსო მათ.

— უვნებელი გადარჩა! — ყვიროდა მაყურებელი და ხარზე მიუთითებდა. გალიარდო ახლა დაშნითა და მულეტით შეიარაღდა. ქული დაიხურა და დინჯად და ამაყად გაემართა ხარისკენ. დარწმუნებული იყო, რომ სძლევდა მას.

— დასცალეთ ასპარეზი! — კვლავ დაიყვირა.

გალიარდომ იგრძნო, რომ ბრძანების მიუხედავად უკან ვიღაცა მოსდევდა; ოდნავ შემობრუნდა. მისგან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით ფუენტესი მოაბიჯებდა. ის მოჰყვებოდა გალიარდოს ლაბადით ხელში და ისეთი სახე მიეღო, თითქოს სარბიელზე შემთხვევით დარჩაო, მაგრამ სინამდვილეში იგი თითქოს წინასწარ გრძნობდა საშიშროებას და მზად იყო ამხანაგს დახმარებოდა.

— ანტონიო, დამტოვე მარტო, — უთხრა გალიარდომ გულმოსულად, მაგრამ ამასთან მოკრძალებით, თითქოს უფროს ძმას მიმართავსო. გალიარდომ ისე დაჟინებით წარმოთქვა. დამტოვეო, რომ ფუენტესმა მხრები აიჩჩია, თითქოს პასუხისმგებლობას იცალებსო და დინჯად გაემართა ბარიერისკენ. დარწმუნებული იმაში, რომ შესაძლოა მისი დახმარება ყოველ წუთს ყოფილიყო საჭირო.

გალიარდომ მულეტი თითქმის ხარის თავამდე გაშალა. ხარი ეცა წიოელ ნაჭერს. გალიარდომ მულეტი აიქნია და შესძახა: ოლე!.. გაისმა ხალხის ყვირილიც. მაგრამ ხარი მოულოდნელად ეცა მატადორს და საშინელი დარტყმით ხელიდან მულეტი გააგდებინა. შეუიარაღებელი გალიარდო იძულებული შეიქნა ბარიერისკენ გაქცეულიყო, მაგრამ იმავე წამს ხარის ყურადღება ფუენტესის ლაბადამ მიიქცია. გალიარდო ბარიერზე არ გადამხტარა, რადგან სირბილის დროს იგრძნო, რომ ხარი გაჩერდა გალიარდომ კვლავ იგრძნო თავისი ძალის უძლევლობა. რამდენსამე ხანს გაუნძრევლად იდგა და მტერს შიგ თვალებში შესცქეროდა. ამ ბრწყინვალე გამბედაობამ მარცხს გამარჯვების იერი მისცა და მაყურებლის ტაში გამოიწვია.

გალიარდომ მულეტი და დაშნა აღმართა. გულმოდგინედ გაასწორა წითელი ნაჭერი და კვლავ ხარის წინ დადგა. ახლა ის არცთუ ისე დაწყნარებული იყო. იგი შეეპყრო სიშმაგეს და უსაზღვრო სურვილს. რაც შეიძლება ჩქარა მოეკლა ნადირი, რომელმაც ათასობით მაყურებლის თვალწინ გაქცევა აიძულა.

გალიარდომ ნაბიჯი წინ გადადგა, მულეტი დასწია. დაშნა ხარს თვალში გაუთანასწორა და გადამწყვეტი დარტყმისათვის მოემზადა.

მაყურებელი, რომელიც მის სიცოცხლეს ზოგავდა, კვლავ აყვირდა.

— არ დაარტყა! არა! არა!

ამფითეატრში საშინელი გოდება გაისმა. აღელვებისაგან აკანკალებული, თვალდაჭყეტილი მაყურებელი ფეხზე წამოხტა. ქალები სახეს იფარავდნენ, ხან კი მეზობლად მსხდომთ ხელზე ხელს უჭერდნენ. დარტყმის დროს დაშნის წვერი ძვალს მოხვდა მახვილის ამოძრობაში გართულმა გალიარდომ ვერ მოასწრო მძვინვარე ხარის რქის აცილება.

ხარმა მატადორი რქაზე წამოაგო და ყველამ ნათლად დაინახა ლამაზი და მძლავრი გალიარდო წვეტიან რქებზე საცოდავ თოჯინასავეით როგორ ფართხალებდა. მძლავრი თავის მოქნევით ხარმა მატადორი რამდენიმე მეტრზე გასტყორცნა. გალიარდო აბრეშუმსა და ოქროში მორთულ ბაყაყივით გაიშხლართა არენაზე.

— მოკლა! მუცელში დაარტყა!.. — ყვიროდა მაყურებელი.

მაესტროს დასახმარებლად მოცვივდნენ ტორეროები და ლაბადებს იქნევდნენ. უეცრად გალიარდო ფეხზე წამოდგა, იგი ილიმებოდა. მერე ტანი მოისინჯა და ხელები გაშალა, რითაც სურდა მაყურებლისთვის ეჩვენებინა, ყველაფერი რიგზე არისო. ეგ იყო მხოლოდ, ცოტა ფერდი ეტკინა და ქამარი გაეხა. რქამ ვერ შესძლო ბოლომდე ჩაეხია გამძლე აბრეშუმი.

გალიარდომ კვლავ მოამზადა „სასიკვდილო იარაღი“. ახლა უკვე აღარავის უნდოდა დაჯდომა — ყველას ესმოდა, რომ დარტყმა იქნებოდა ელვისებური და გამანადგურებელი. გალიარდო შეშლილივით ჯიქურ ხარისკენ გაემართა. მას აღარ სჯეროდა მისი რქების ძლიერებისა. მაესტრომ გადაწყვიტა მოეკლა ხარი ან თვით მომკვდარიყო, ახლავე, ამ წუთში, ყოველ მიზეზგარეშე. ან ხარი ან ის თითქოს თვალეები სისხლით აევსო, ყველაფერი წითელ ლაქად ეჩვენებოდა. სადღაც შორიდან, თითქოს მეორე სამყაროდანო, ხალხის ხმა მოისმოდა, რომელიც მოუწოდებდა დაწყნარებულიყო.

გალიარდომ ლაბადა მკლავზე გადაიგდო, ორიოდ ნაბიჯი გადადგა და მოულოდნელად, გააზრების უმალ, ხარს გაშლილი ზამბარის სისწრაფით ეცა და დაშნა ჩასცა. სწორედ ამ დარტყმას ელვისებურს უწოდებდნენ მისი თაყვანისმცემლები.

მატადორმა დარტყმის დროს ხელი ისე სწრაფად გასკიმა, რომ ველარ შესძლო იმავე სისწრაფით უკან გამოწევა. ხარი რქებით მიეჯახა ხელზე და მატადორი რამდენიმე ნაბიჯით უკან გადაისროლა; გალიარდო დაბარბაცდა, მაგრამ თავი შეიმაგრა. ხარმა კი მთელი ას-

პარეზი შემოიბრინა, მერე ჩაიკეცა და ქვიშას დაენარცხა. ასე ეგდო, სანამ პუნტრიელომ ბოლო არ მოუღო. მაყურებლის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. შესანიშნავი კორიდაა! ეს გალიარდო ფულს ტყუილ-უბრალოდ როდი იღებს, ჭარბად გვინაზღაურებს ბილეთის საფასურს. მოყვარულთ სამ ღღეს ეყოფათ სალაპარაკოდ. რა მამაცია! პირდაპირ სასწაულია. ყველაზე მეტად აღფრთოვანებულნი მებრძოლებივით აქეთ-იქით იყურებოდნენ, თითქოს მოწინააღმდეგის ბრძოლაში გამოწვევა სურთო.

— პირველი მატადორია მსოფლიოში აბა ვინმემ გაბედოს ამის უარყოფა!

დანარჩენმა გამოსვლებმა ხალხის ყურადღება ვეღარ მიიქცია. გალიარდოს მამაცობის შემდეგ არააზობად მიაჩნდათ ყველაფერი. როცა სარბიელზე უკანასკნელი ხარი დაეცა, არენაზე ბიჭები შემოცვივდნენ. გალიარდოს გარს შემოერთყნენ და თავმჯდომარის ლოჯიდან გასასვლელისკენ გაემართნენ.

ყველას სურდა გალიარდოსთან ახლოს ყოფნა, მისი სამოსის შეხება, მისთვის ხელის ჩამორთმევა. ბოლოს ენთუზიასტებმა, რომლებმაც ყურადღება არ მიაქციეს მაესტროს დასაცავად ამართულ ნასიონალის და სხვა ბანდერილიეროების მუშტებს, გალიარდო ხელში აიყვანეს, ასპარეზი შემოატარეს და ისე გაიყვანეს გასასვლელში. გალიარდო ქუდმოხდილი ესალმებოდა მაყურებელს, რომელიც მას ტაშს უკრავდა. მდიდრულ ლაბადაში გახვეული და ამაყად გაჯგიმული გალიარდო უთვალავ ქუდებსა და ცილინდრებს ზემოთ კერპივით აღმართულიყო, ირგვლივ კი აღტაცებული შეძახილები ისმოდა.

როცა გალიარდო ეტლით ალკალას ქუჩას მიუახლოვდა, უამრავი ხალხი შენიშნა. მას ესალმებოდნენ თაყვანისმცემლები, რომლებიც კორიდას ვერ დაესწრნენ, მაგრამ თავისი სათაყვანებელი კერპის ტრიუმფის ამბავი უკვე გაეგოთ. საკუთარი ძალის რწმენამ და ამაყმა ღიმილმა გაუბრწყინა გალიარდოს გაოფლილი და აღელვებისაგან გაფითრებული სახე.

ნასიონალი შეშფოთებული იყო, მაესტრო რომ არენაზე დაეცა და ჰკითხა:

— თუ რამე გტკივა, ექიმ რუისის გამოვეძახებ.

— არაფერია, რქამ ოდნავ გამკრა... ჩემი მკვლეელი ხარი ჯერ არ დაბადებულა.

მაგრამი უეცრად სიამაყის გრძნობით დამთვრალ მატადორს მოაგონდა ამასწინანდელი შიში; ნასიონალის თვალეშიც დაცინვა ამოიკითხა და დასძინა:

— ეს ამბავი მხოლოდ მოედანზე გასვლამდე მემართება... თავბ-

რუს მსგავსი, ზუსტად ისე, როგორც ქალებს ემართებათ ხოლმე. შენ მართალი ხარ, სებასტიან. როგორ ამბობ? ღმერთი და ბუნებაო? მართალი ხარ, ღმერთს და ბუნებას ტორეროსთან. არავითარი საქმე არა აქვს. თვითეული თავს იცავს, როგორც შეუძლია, ზოგი მოხერხებით, ზოგიც მამაცობით. ზეციური და მიწიერი რჩევა-დარიგებანი არას გვარგებს... შენ უნდა ისწავლო, სებასტიან, კვიციანი თავის პატრონი ხარ.

სიხარულით სავსე გალიარდო ბანდერილიეროს, როგორც ბრძენს, შეპყურებდა და სულაც არ ახსოვდა, როდესაც ასე დაულაგებლად მსჯელობდა, მსახური დასცინოდა მას. სასტუმროს შესასვლელში უამრავი თაყვანისმცემელი ირეოდა. მათ სურდათ ჩახვეოდნენ მატადორს. ცირკიდან — სასტუმრომდე თაყვანისმცემლებს ერთი ასად გაეზვიადებინათ მატადორის გამარჯვებანი, გალიარდოს ოთახი მეგობრებით იყო სავსე. ყველა იქ მყოფი სენიორი გალიარდოს შენობით მიმართავდა, მეცხვარეებისა და მწყემსების მდაბიურ ლაპარაკს ბაძავდა და მხარზე მეგობრულად ხელებს უტყაპუნებდა.

— ო, რა კარგი იყავი დღეს... რა კარგი!

გარაბატო და გალიარდო დერეფანში გამოვიდნენ, ალტაცებულ თაყვანისმცემლებს ძლივს დააღწიეს თავი.

— შინ გაგზავნე დეპეშა. თვითონ იცი, როგორი: „ყველაფერი რიგზეა“.

გარაბატო გაჯიუტდა. მე უნდა გაგხადო, დეპეშას რომელიმე მსახური გაგზავნისო.

— არა, შენ გაგზავნე. მე მოვიცდი... მეორე დეპეშა ქალბატონ სოლს გაუგზავნე. მასაც მისწერე, ყველაფერი რიგზეა-თქო.

II

როდესაც ქალბატონ ანგუსტიასის ქმარი, ცნობილი მეწაღე, ხუან გალიარდო, მოკვდა, რომელიც ფერიას გარეუბნის ერთ-ერთ სახლის სადარბაზო შესასვლელში მუშაობდა, ქალი დიდხანს ტიროდა, როგორც შეეფერებოდა ქვრივს. გულის სიღრმეში კი უხაროდა, მსგავსად იმ ადამიანისა, დიდი ხნის შემდეგ მხრებიდან მძიმე ტვირთს რომ მოიშორებს.

— ჩემი საბრალო, საყვარელი ქმარი! ღმერთმა აცხონოს! ძალზე კეთილი და ენერგიული მუშა იყო.

ოცი წელი ერთად ცხოვრობდნენ და ქმარს მეუღლისათვის შეურაცხყოფა არასდროს მიუყენებია, გარდა ზოგიერთი წვრილმანისა, რომელსაც ყველა ამ გარეუბანში მცხოვრები ქალი უსიტყვოდ იტანს. მეწაღე დღეში სამ პიესეტს გამოიმუშავებდა ხოლმე. აქედან

ერთს მეუღლეს აძლევდა ოჯახში მოსახმარად, ორს კი პირადი ხარჯებისათვის იტოვებდა. მეგობრები პატიუბდნენ ღვინოზე და მასაც ზომ უნდა დაეპატიუნა. ცნობილია, რომ ანდალუსიის ღვინის უკეთესი მსოფლიოში არ მოიძებნება და ამასთან ძვირადა ფასობს. თუ ღვინო არ სვი და კორიდაზე არ იარე, მაშინ რაღა ფასი აქვს სიცოცხლეს!

ქალბატონი ანგუსტიასი როგორ არ წვალობდა, რომ შვილები, ენკარნასიონი და ხუანილიო, გამოეკვება. მდიდართა სახლებში მდღეურად მუშაობდა. მეზობლებს უკერავდა, ნაცნობი მეძველმანის დავალებით ძვირფას ნივთებსა და ტანსაცმელს ყიდდა და სიგარეტებს ტენიდა ადრინდელივით, როცა თამბაქოს ქარხანაში მუშაობდა და მისი საყვარელი და ნაზი საქმრო ალახაფთან უცდიდა ხოლმე.

ქალბატონ ანგუსტიასს ქმარი არ ღალატობდა და არც უხეშად ექცეოდა. ყოველ შაბათ საღამოს, როცა მეგობრების დახმარებით მთვრალი მეწაღე შინ ბრუნდებოდა, არაჩვეულებრივი მხიარული და ალერსიანი იყო. ქალბატონ ანგუსტიასს შინ ძალით შემოყავდა ქმარი; იგი კარს ეჭიდებოდა, ცოლს სატრფიალო ბაიათებს უმღეროდა, ხელებს რიტმულად ატყაპუნებდა. როდესაც კარი მიიხურებოდა, მეზობლები ამ სასიამოვნო სანახაობას ველარ ხედავდნენ. სიმთვრალით გულაჩუყებული ხუანი საწოლთან მივიდოდა, ლოშნიდა ბავშვებს და უხვი ცრემლით სახეს უსველებდა მათ, მერე კვლავ ანგუსტიასის პატივსაცემად სერენადას დაამღერებდა. — ოლე! მსოფლიოში ამ ულამაზეს არსებას! — კეთილი ქალი აღარ ბრაზობდა, შემწყნარებლურად იღიმებოდა და მთვრალს, როგორც ავადმყოფ ბავშვს, ტანისამოსს ხდიდა.

სხვა ცოდვები მის საცოდავ მეუღლეს არ ჰქონდა. ქალებს ის არ დასდევდა და არც ბანქოს თამაშობდა. მისი ეგოიზმი იმაში გამოიხატებოდა, რომ პეწიან ჩაცმა-დახურვას ესწრაფოდა მაშინ, როცა ცოლ-შვილი ძველმანებში დაუდიოდა და უსამართლოდ ანაწილებდა გამომუშავებულ ფულს, მაგრამ მისი დიდსულოვნება ერთი ასად ანაზღაურებდა ყოველივეს.

ქალბატონი ანგუსტიასი სიამაყით იგონებდა დიდ სადღესასწაულო დღეებს, როცა ქმრის თხოვნით საქორწილო, მაქმანიან კაბას ჩაიცვამდა, ბავშვებს აღრიანად გაგზავნიდა და ხუანთან ხელიხელ გაყრილი გარეთ გამოდიოდა. ქმარს თეთრი კორდოვეური შლიაპა ეხურა, ხელში ვერცხლის ბუნიკიანი ჯოხი ეჭირა, ოჯახთან ერთად დელისიასის ხეივანში დასეირნობდა და არაფრით არ ჩამორჩებოდა სიერპესის ქუჩაზე მცხოვრებ რომელსამე ვაჭარს. კორიდის დღეებში, ხელგაშლილი ქმარი ვიდრე ცირკში წავიდოდა, მანსანილით

უმასპინძლებოდა მეუღლეს კამპანას ქუჩაზე ან ახალ მოედანზე მდებარე კაფეში. ეს ბედნიერი წუთები საბრალო ქალის მეხსიერებაში ჩარჩა, როგორც შორეული სასიამოვნო მოგონება.

სენიორ ხუანი ტუბერკულოზით დაავადდა. ცოლი ორი წლის განმავლობაში უვლიდა მას და ყოველმხრივ ცდილობდა გამოემუშავა ერთი პიესეტი, რომელსაც ადრე მეწალე ოჯახს აძლევდა. საცოდავმა, ბედს დამორჩილებულმა ხუანმა საავადმყოფოში დალია სული იმ რწმენით, რომ მანსანილიისა* და ხარების ბრძოლის გარეშე საცოცხლე ჩალის ფასად ღირდა. მომაკვდავის უკანასკნელი გამოხედვა ცოლისადმი სიყვარულისა და პატივების გრძნობით იყო გამსჭვალული, თითქოს მისთვის კიდევ ერთხელ სურდა ეთქვა: ოლე! მსოფლიოში ულამაზესო ქალო!

ქმრის გარდაცვალების შემდეგ ქალბატონ ანგუსტიასის მდგომარეობა არ გაუარესებულა, პირიქით, ქალმა შვებით ამოისუნთქა, რადგან გათავისუფლდა ტვირთისაგან, რომელიც უფრო მეტად აწუხებდა, ვიდრე მთელი ოჯახი. ენერგიული და მტკიცე ხასიათის ანგუსტიასის დიდი ფიქრი არ დასკირვებია და ნათლად განსაზღვრა ბავშვების მომავალი. ენკარნასიონს სწორედ იმ ხანებში ჩვიდმეტი წელი შეუსრულდა და დედამ ერთი თავისი სიყვარვის ამხანაგის მეშვეობით, რომელიც უკვე ოსტატი გამხდარიყო, ქალიშვილი თამბაქოს ქარხანაში მოაწყო. ვაჟი კი, რომელმაც შეისწავლა მამის ხელობა და ბავშვობიდანვე მის პატარა სახელოსნოში ტრიალებდა, დედას სურდა მეწალე გამხდარიყო. დედამ თორმეტი წლის ხუანილიო, რომელმაც ძლივს ისწავლა ცოტაოდენი წერა-კითხვა, სკოლიდან გამოიყვანა და სევილიაში ერთ-ერთ საუკეთესო მეწალეს შეგირდად მიაბარა.

აი, სწორედ აქედან დაიწყო საცოდავი ქალის ტანჯვა-წამება!

ბავშვი კი არა, საშინელებაა. ვინ იტყვის, რომ ასეთი პატიოსანი მშობლების შვილია!.. იმის მაგივრად, რომ სახელოსნოში, მეპატრონესთან მისულიყო, თითქმის ყოველ დღე ბავშვებთან ერთად სასაჯლოზე გარბოდა. ბავშვები აღამებდა დე ერკულესის ბაღში მერხზე იკრიბებოდნენ. მწყემსები და მეყასბენი გულით ერთობოდნენ, როცა ეს ონაერა ბიჭები წითელი ფლასით ხარებს აღიზიანებდნენ. ეს გართობა უმეტეს შემთხვევაში იმით მთავრდებოდა, რომ ხარი რომელიმე გაბედულ ბავშვს რქაზე წამოაგებდა ან დასცემდა და ჩლიქებით გათელავდა. ქალბატონი ანგუსტიასი ნემსით ხელში ხშირად შუალამემდე იჯდა, რათა შვილი სახელოსნოში წესიერად გამოეყო-

* ანდალუსიური თეთრი ღვინო.

ბილი და სუფთად ჩაცმული გაეგზავნა. მაგრამ ხშირად მთელი დღის ნაშიმშილარი, გალურჯებული ბავშვი, გაქუქყიანებული ქურთუკით და დახეული შარვლით კარის ზღურბლთან დამნაშავესავით იდგა. შინ შემოსვლას ვერ ბედავდა...

ვერაგი ხარის მიერ მიყენებულ დარტყმებს დედის სილის ტყაპატყუბიც ზედ ერთვოდა. მაგრამ სასაკლავოს გმირი მზად იყო ყოველივე აეტანა, ოღონდ ეჭამა, რადგან ასეთი თავგადასავლის შემდეგ შიმშილი ძალზე აწუხებდა. მცემე, ოღონდ მაჭამე რამე! ბავშვი ხარბად მივიარდებოდა ხოლმე გამხმარ პურს, რამდენიმე დღის მოხარულ ლობიოს და აყროლებული თევზის ნარჩენებს, რომელსაც შეწუხებული დედა დახლებიდან ხვეტდა, რათა როგორმე თავი გაეტანათ.

ქალბატონი ანგუსტიასი სხვის ბინებში იატაკს რეცხავდა, დღითი-დღე ღონე ეცლებოდა და იშვიათად პოულობდა თავისუფალ დროს, მეწაღესთან წასულიყო და შეილის ამბავი ეკითხა. იქიდან გაბრაზებული ბრუნდებოდა და გზაში ისეთ სასჯელს იგონებდა, რომელიც ამ ეშმაკისფეხს გამოასწორებდა.

ხუანილიო ხშირად სულ არ დადიოდა სახელოსნოში. დილიდანვე სასაკლავოზე გაუტევედა, საღამოს კი ქუჩის ბიჭებთან ერთად სიერპესის ქუჩაზე დაბორიანებდა და თვალმდაჭყეტილი უმუშევარ ტორეროებს შესცქეროდა. ტორეროებს ლამაზად ეცვათ, შესანიშნავი სომბრეროები ეხურათ, მაგრამ ჯიბეში გახვრეტილი გროშიც არ ებადათ. ისინი ჩვეულებრივ კამპანას ქუჩის კუთხეში იკრიბებოდნენ და გატაცებით ყვებოდნენ თავიანთ წარმატებებზე.

ხუანილიო ტორეროებს მოწიწებით შესცქეროდა. მოხიბლული იყო მათი ტანადობით, თავისუფალი მანერებით და კომპლიმენტებით, გამვლელ ქალებს რომ აგონებდნენ. ბავშვი თრთოდა იმის გახსენებაზე, რომ ყოველ მათგანს შინ ოქრომკედით ნაქარგი ტანსაცმელი ეკიდა, რომელსაც ისინი იცვამდნენ, რათა მუსიკის გუგუნში ხალხით სავსე ასპარეზზე გამოსულიყვნენ.

ქალბატონ ანგუსტიასის შვილი დანარჩენ ქუჩის ბავშვთაგან იმით გამოირჩეოდა, რომ საპატერინს * ეძახდნენ. ხუანილიო ამაცობდა, ცირკში მომუშავე ცნობილ პიროვნებათა მსგავსად, მასაც რომ ზედმეტი სახელი ერქვა. ეს კარგი დასაწყისი იყო. ხუანილიოს ეკეთა წითელი ყელსაბამი, რომელიც დას მოპარა, ეხურა ბერეტი. გრძელ შავ თმას ჩვეულებრივ ფურთხით ისველებდა და ივარცხნიდა. მის ქურთუკს წელთან ნაკერები ჰქონდა. შარვალი რომელსაც

* პატარა მეწაღე (ესპ.).

დღეა ქმრის დარჩენილი სამოსისგან უკერავდა, ხუანილიოს თხოვნით წელს ზემოთ გრძელი და ვიწრო უნდა ყოფილიყო, რათა თეძოებს მკიდროდ შემოჰკვეროდა, ქვემოთ კი განიერი. თუ დღეა გაჯიუტდებოდა ხოლმე, ბავშვი მთელი დღე ტიროდა. მისი ოცნება იყო ლაბადა. ნამდვილი მატადორის ლაბადა, რომ იღბლიანთათვის აღარ ეთხოვა სასურველი წითელი ჰინჭვი. ერთ მშვენიერ დღეს ხუანმა შინ უვარგისი ლეიბი გამონახა, მატყლი, რომელიც ოდესღაც ლეიბში იყო, გაჰირგვების დროს გაყიდეს. სწორედ იმ დღეს დედა მღვდლისას მუშაობდა. ბავშვმაც შემთხვევით ისარგებლა და მთელი დღე სამზარეულოში გაატარა. იმ გამჰკრიახი ადამიანის მოსაზრებულობით, რომელიც გემზე იმყოფებოდა, კატასტროფაში მოხვდა და უდაბურ კუნძულზე გაირიყა, ბავშვმა სწრაფად, აყროლებული, ობიანი ჰინჭვისაგან საბრძოლო ლაბადა გააკეთა. მერე აფთიაქში ნაყიდი საღებავი ჰურჰელში გახსნა და შიგ ლაბადა ჩადო. ხუანილიო ჩატარებული სამუშაოთი აღტაცებული დარჩა. ნაჭერი მუქწითლად შეიღება, რაც იქაურ კაპეადორებს * ძალზე შეშურდებოდათ. ახლა გაშრობადა იყო საჭირო და ხუანილიომ თავისი საუნჯე იმ თოკზე გადაფინა, სადაც მეზობლები სარეცხს აშრობდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ქარი ამოვარდა და ჰინჭმა, რომლიდანაც საღებავი წვეთავდა, მეზობლების თეთრეული გასვარა. დამნაშავეს წყევლა-გინება დაატყდა თავზე. მეზობლებმა ისეთი სიტყვებით გაათახეს დედა-შვილი, რომ ხუანილიომ ლაბადას ხელი სტაცა და მოკურცხლა. წითელი საღებავით მოთხუპნული ხუანილიო კაცისმკვლელს ჰგავდა, რომელსაც თითქო გაქცევით სურდა თავის გადარჩენა.

ქალბატონი ანგუსტიასი ძლიერი, ზორბა, უღვაშა ქალი იყო. მამაკაცებისა არ ეშინოდა და თავისი მტკიცე ხასიათის წყალობით მეზობლების პატივისცემას იმსახურებდა. მართალია, ბავშვის დამორჩილება ვერ შესძლო, მაგრამ რა უნდა ექნა! ბავშვს რამდენჯერ მოხვედრია მისი ტლანჭი ხელი, რამდენი ცოცხი გადაუმტვრევია მის თავზე, მაგრამ ამაოდ. ამ საძაგელს ძალღივით მაგარი ზურგი აქვსო, იტყოდა დედა.

ხუანილიო სასაკლაოზე მიეჩვია ხარის რქებისა და ჩლიქების დარტყმებს, მწყემსებისა და მეყასბეების პანდურებს, რომელნიც მაინცდამაინც არ ებოდიშებოდნენ ტავრომაქიით გატაცებულ ბავშვებს. შინ დაბრუნებულ ხუანილიოს დედის ცემა მოხეტიალე ცხოვრების ბუნებრივ გაგრძელებად მიაჩნდა და მორჩილად იტანდა, როგორც

* კაპეის მონაწილე. კაპეა — მოზერებთან ბრძოლა, რომელიც სოფლებში და ქალაქებში ეწყობა.

აუცილებელ ხარკს — გაძღომისათვის. როცა დედა ლანძღავდა, ხუანილიო გამხმარ პურს ლოდნიდა და გამოსწორებაზე სულაც არ ფიქრობდა. გაძღებოდა თუ არა, ბავშვი კვლავ შინიდან გარბოდა. სარგებლობდა იმით, რომ დედა სამუშაოზე მიდიოდა და ხშირად შინ არ იყო. კამპანას ქუჩაზე ხართან ბრძოლის მოყვარული ახალგაზრდები იკრიბებოდნენ და ხუანილიო ტოლამხანაგებისგან სენსაციურ ამბებს იგებდა, რაც ბავშვის აუწყრელ აღტაცებას იწვევდა:

— საპატერინ, ხვალ კორიდაა!

პროვინციებში, ხატობას კაპეა იმართებოდა. ახალგაზრდა ტორეროებიც იქით ისწრაფოდნენ იმ იმედით, რომ შემდეგ ეტრაბახათ: ხარებს შევებრძოლეთ, ასნალკოლიარის, ბოლიულოსის, ან მაირენის ცნობილ არენაზეო. ისინი ზაფხულის ზეიმზე, ღამით, მხარზე ლაბადაგადაგდებულნი მიდიოდნენ — ხოლო ზამთრობით იმავე ლაბადაში იფუთნებოდნენ ცარიელი მუცლითა და ხართან ბრძოლის ამბების გამოუღევი მარაგით... როცა დიდი ხნის მოგზაურობის შემდეგ დანიშნულ ადგილს მიაღწევდნენ, დაღლილ-დაქანცული, მტვერში ამოვანგლული ბავშვები ალკალდთან ცხადდებოდნენ. მათგან ყველაზე ყოჩაღი იმპრესარიოს მოვალეობას კისრულობდა და „თავის ხალხს“ აქებდა. დიდების ახალგაზრდა მძიებლებს ძალზე უხაროდათ, თუ ალკალდი მუნიციპალიტეტის საჯინიბოში ადგილს მიუჩენდა და ამასთან ოლიათი* გაუმასპინძლებოდა, რომელსაც ბავშვები რამდენიმე წუთში შესანსლავდნენ. ურმებითა და სკამებით შემოღობილ სოფლის მოედანზე ერთიმეორეს მიყოლებით გამოყავდათ ბებერი, უზარმაზარ რქებიანი ხარები, რომლებსაც სხეულზე ბრძოლებში მიღებული მრავალი ნაიარევი მოუჩანდათ. ეს ხარები წლების განმავლობაში პროვინციაში გამართულ საზეიმო კორიდებში მონაწილეობდნენ. ამ გამოცდილ და გამობრძმედილ ვეტერანთათვის ყოველგვარი ხერხი და ფანდი იყო ცნობილი.

სოფლელ ბიჭებს უშიშარი ადგილისათვის შეეფარებინათ თავი და იქიდან ხარებს შუბებით ჩხვლეტდნენ. მაყურებელს ხარები კი არა, სევილიიდან ჩამოსული ახალგაზრდა „ტორეროები“ აინტერესებდათ. ეს ახალგაზრდობა ლაბადას ხარის დრუნჩის წინ აფრიალებდა, თუმცა შიშით მუხლი უკანკალებდათ, მაგრამ გამძლარი მუცელი ამხნევებდა მათ. ხშირად ისინი თავპირისმტვრევით სარბიელზე დაგორავდნენ, რაც ხალხის აღფრთოვანებას იწვევდა. მაგრამ საკმარისი გახლდათ შეშინებული ბიჭუნა თავისი გადარჩენის მიზნით მოაჯირისკენ გაქცეულიყო, რომ გულქვა მაყურებელი ლანძღავდა, მოაჯირს ჩაჭი-

* წვნიანი სალათის მსგავსი; ესპანური საქმელი.

დებულს ხელებში ურტყამდა და ჯოხით კვლავ მოედნის შუაგულის-
კენ ერეკებოდა. „უკან გაბრუნდი, უსირცხვილოვ! რას ემალები
ხარს, ბაქიაე!“

ხდებოდა ხოლმე, რომ თვალდაჭყეტილი, მკვდარივით გაფითრე-
ბული მატადორი რომელსაც თავი გვერდზე გადაეგდო და ხრინწიანი
ხმით კენესოდა, ხელით გამოჰყავდათ. დასახმარებლად ექიმიბაშიც
მოირბენდა და თუ ბავშვს სისხლი არ სდიოდა, იქ მყოფთ აწყნა-
რებდა: უბრალო შერყევება, ბავშვმა საკმაო ხანს დაჰყო ჰაერში, სა-
ნამ ფქვილის ტომარასავით მიწაზე დაენარცხებოდაო. ზოგჯერ
ბავშვი მართლაც უზარმაზარი ცხოველის ჩლიქებქვეშ მოჰყვებოდა.
დაზარალებულს არაყს ასმევდნენ. — ერთი სიტყვით, ბატონიშვი-
ლივით უვლიდნენ.

სალამოს, როცა მოედანზე უკანასკნელ ხარს გამოაგდებდნენ,
კვადრილის ორი ახალგაზრდა წარმომადგენელი ამოარჩევდა საუკე-
თესო ლაბადას, ბოლოებში ხელს ჩასჭიდებდნენ, სკამებს შემოუე-
ლიდნენ და გასამრჯელოს ითხოვდნენ.

თუ მაყურებელი ჩამოსულთა მამაცობით კმაყოფილი იყო, სპი-
ლენძის ფული წითელ ნაჭერში უხვად ცვიოდა. კორიდის დამთავ-
რების შემდეგ კვადრილია უკან გასაბრუნებლად ემზადებოდა. გზა-
ში სპილენძის ფულის გაყოფაზე ჩხუბი მოსდიოდათ. კვირის დანარ-
ჩენ ღლებს ბავშვები ტრაბახში ატარებდნენ, მეგობრებს უამბობდ-
ნენ თავიანთ მამაცობაზე, ისინიც ხარბად უსმენდნენ, რადგან მათ
თავგადასავალში მონაწილეობა არ მიეღოთ. გმირები მოუთხრობდ-
ნენ „ვერონიკაზე“ გარობოში, „ნავარაზე“* ლორში, ან საშინელ ჭრი-
ლობაზე, რომელიც პედროსოს მოედანზე მიეღოთ და ამით ცდი-
ლობდნენ წაებამათ ნამდვილ ტორეროების ზნე-ჩვეულებებისათვის,
რომელნიც უსაქმურობისაგან იძულებულნი იყვნენ ტყუილებითა და
ბაქიაობით თავი გაერთოთ.

ერთხელ ქალბატონმა ანგუსტიასმა მთელი კვირის განმავლობაში
არ იცოდა სად იყო მისი შვილი; და ბოლოს მის ყურამდე მოაღწია
ბუნდოვანმა ხმებმა, თითქოს ხუანილიო ტოსინის ასპარეზზე მძიმედ
დაშავდა. ღმერთო ჩემო! სად არის ის ქალაქი, ან როგორ ჩავაღწიო
იქ? დედას შვილი დაღუპული ეგონა, ბევრი იტირა და წასვლა გა-
დაწყვიტა თუ არა, ზღურბლთან ფერმკრთალი და დასუსტებული
ხუანილიო გამოჩნდა. იგი ქეშმარიტ მამაკაცივით, ყოყოჩად მოყვა
დაქრის ამბავს, საშიში არაფერია, რქამ ღუნდულებში გამიარა, ჭრი-

* ხართან ბრძოლის განსაკუთრებული ხერხი, რისთვისაც დიდი ოსტატობა
და სიმშვიდეა საჭირო.

ლობის სიღრმე რამდენიმე სანტიმეტრიაო. გამარჯვებით გაამაყებულ ხუანს არ ერიდებოდა მეზობლებს ენახათ მისი კრილობა და დარწმუნებულიყვნენ, რომ თითოთ ვერ ჩასწვდებოდნენ კრილობას. ის ამაყობდა, რომ მის ირგვლივ გამაბრუებელი იოდის სუნი იდგა და თავი მოსწონდა იმ ყურადღებით, რომელიც მის მიმართ გამოიჩინეს ესპანეთის ამ ყველაზე უკეთეს ქალაქში.

მდიდრები, ასე ვთქვათ, ადგილობრივი არისტოკრატია, კითხულობდა მის ჯანმრთელობას. დაზარალებული თვით ალკალმა ინახულა და უკან დასაბრუნებელი ფულიც მისცა. ხუანის საფულეში ახლაც წკარუნებს სამი ღურო. ხელგაშლილი დიდი ადამიანივით ხუანილიომ იმ წუთშივე ფული დედას გადასცა. თოთხმეტი წლისამ მოიპოვო ასეთი დიდება! ხუანის სიამაყეს საზღვარი არ ჰქონდა, როცა კამპანაზე ზოგიერთმა ტორერომ — ეჭვი არ შეგებაროთ, ნამდვილმა ტორერომ — პატარა ბიჭუნას ყურადღება მიაქცია და ხშირად კითხულობდა, უხორცდება თუ არა კრილობაო. ამ ამბის შემდეგ ხუანილიო მეწადის სახელოსნოს არც გაჰკარებია, ხარს უკვე იცნობს, პირველმა კრილობამ კიდევ უფრო განამტკიცა მისი მამაცობა. ის გახდება ტორერო, მხოლოდ და მხოლოდ ტორერო!

შვილის გამოსწორება შეუძლებელი იყო და ქალბატონმა ანგუსტიასმაც ხელი ჩაიქნია. აღარა ჰყავს შვილი, მორჩა და გათავდა!

როცა საუზმის დროს ხუანი შინ მოვიდოდა, მაგიდასთან მჯდარი დედა და ქალიშვილი მათლაფას ღუმლით წინ დაუდგამდნენ და ცდილობდნენ ყურადღებაც არ მიექციათ მისთვის. მაგრამ ყოველივე ეს სულაც არ მოქმედებდა ბავშვის მაღაზე. ხოლო როცა შუადამიას დაბრუნდებოდა, ხუანს პურის ნამცეციც არ ხვდებოდა შინ და მშვიერი ბალღი კვლავ ქუჩას უბრუნდებოდა.

საღამოობით ხუანი, ალამედა დე ერკულესის ქუჩაზე დაყილობდა, თვალაკიანთებულ ტოლამხანაგებთან ერთად. ეს ბავშვები რალაც საშუალოს მოჰგვანდნენ მომავალ ავაზაკსა და ტორეროს შორის. ხშირად ხუანილიოს სხვა საზოგადოებაშიც ხედავდნენ — ნორჩ სენიორიტებთან, რის გამო მწარედ დასცინოდნენ მეზობლები. ერთი პირობა ხუანილიო გახეთქესაც ჰყიდდა, ხოლო კორიდის საზეიმო დღეებში სან-ფრანცისკოს მოედანზე მსხდომ ბატონებისთვის შაქარყინული დაჰქონდა. ბაზრობის დროს კი „ინგლისელის“ მოლოდინში სასტუმროს მახლობლად დახეტიალობდა. მისთვის ყველა ჩამოსული მოგზაური ინგლისელი იყო და იმედი ჰქონდა, რომ გამცილებლად აიყვანდა.

— მილორდ! მე ტორერო ვარ! — ეუბნებოდა ბალღი უცხოელს, თითქოს ტორეროს პროფესია უტყუარი და უცილობელი რეკომენ-

დაცია ყოფილიყო. ხუანილიო თავისი სიტყვების დასამტკიცებლად ქუდს იხდიდა და კისერზე ჩამოკონწიალებულ ნაწნავს უჩვენებდა.

ხუანილიოს ამხანაგი მისი თანატოლი ჩირიპა, მასავით ლატაკი, საშუალო სიმაღლის, ობოლი ბიჭი იყო, ცბიერი თვალებით. ჩირიპა ცხოვრებას კარგად იცნობდა და ამიტომ ხუანილიო მისი გავლენის ქვეშ მოექცა. ბავშვს მთელ სახეზე გასდევდა ხარის რქის ნაიარევი, რაც საპატერინის თვალში უფრო საპატიო იყო, ვიდრე საკუთარი ქრილობა, რომელსაც ვერავინ ხედავდა.

თუ რომელიმე ჩამოსული, „ეგზოტიკით“ გატაცებული უცხოელი ახალგაზრდა ტორეროს გაესაუბრებოდა და ხუანის ნაამბობით აღტაცებული ქისას ამოიღებდა, მაშინ ჩირიპა პროტესტს აცხადებდა:

— ნუ მისცემთ. მაგას დედა მაინც ჰყავს, მე კი სრულიად ობოლი ვარ. ეჰ, ადამიანები ვერ აფასებენ, როცა მათ მშობლები ჰყავთ. საპატერინს სინდისი ქენჯნინდა, ამხანაგს უფლებას აძლევდა, ნაწყალობევეს მთლიანად დაპატრონებოდა და ბუზღუნებდა:

— რასაკვირველია... რასაკვირველია...

მაგრამ მგრძნობიარე ვაჟიშვილის ხანმოკლე აღგზნება ხელს როდი უშლიდა ხუანილიოს, განეგრძო მოხეტიალე ცხოვრება. ხშირად სევილიიდან შორს სამოგზაუროდ მიდიოდა და შინ იშვიათად ბრუნდებოდა. ჩირიპა დაბადებიდანვე მაწანწალა იყო. იგი კორიდის დღეებში ყოველგვარ ხრიკს მიმართავდა, რათა ამხანაგებთან ერთად ცირკში შესულიყო. ხან კედელზე გადაფოფხდებოდა, ხან ხალხს შეერეოდა და კარებში შეძვრებოდა, ხან კი ღმობიერი თხოვნით მსახურებს თავს აცოდებდა: ჩვენც ტორეროები ვართ და ნუთუ არ გაგვიშვებთ, ხართან ბრძოლას ვუყუროთო.

თუ ახლომახლო კაპეა არ იყო გათვალისწინებული, მეგობრები მოზვრების გასაღიზიანებლად ტაბლადის იალაღებზე მიდიოდნენ. თუმცა ყოველგვარი სიხარული, რასაც სევილიაში განიცდიდნენ, არარაობა იყო მათ პატივმოყვარე გეგმებთან შედარებით.

ჩირიპას ამქვეყნად ბევრი უხეტიალია. მისი ამხანაგები გაოცებულნი იყვნენ, როცა იგი ყვებოდა სასწაულებზე, რომელიც მას შორეულ პროვინციებში ენახა. ჩირიპას შეეძლო უჩუმრად მატარებლის ვაგონში შემძვრალიყო და უფასოდ, სადაც მოისურვებდა, იქ ჩასულიყო... საპატერინი მოჯადოებულებით უსმენდა საოცნებო ქალაქის — მადრიდის აღწერას, რომლის ცირკი ტავრომაქიის მოყვარულთა ტაძარს წარმოადგენდა.

ერთხელ, სიერპესის ქუჩაზე, კაფეს შესასვლელთან, რომელიც სენიორიტომ ბავშვებს ხუმრობით უთხრა: ბილბაოში შეგიძლიათ ბევრი ფულის შოვნა, იქ სევილიაში დახელოვნებულ ტორეროებს

ძალზე აფასებენო; და გულუბრყვილო ბავშვებიც, რომლებსაც ჯიბეში კაპიკიც არ გააჩნდათ, გზას გაუღდნენ, თან მხოლოდ ლაბადები წაიღეს, ნამდვილი ლაბადები, თუცა საკმაოდ გაცვეთილი, მაგრამ ისინი ერთ დროს პროფესიონალურ ტორერობებს ეკუთვნოდნენ და ახლა რამდენიმე რეალად იყიდეს მეწვრილმანისგან. მოგზაურები ვაგონში შეეკვივდნენ და სკამებქვეშ მოთავსდნენ, მაგრამ შიმშილმა და სხვადასხვა მოთხოვნებივებმა აიძულა ისინი საიმედო თავშესაფარი დაეტოვებინათ. თანამგზავრებს ეკოდებოდნენ ფათერაკის მადიებელნი, ამასთან მასხრად იგდებდნენ მათს სასაცილო გარეგნობას — ნაწნავსა და ლაბადს, და სიამოვნებით სთავაზობდნენ საკმლის ნარჩენებს. ხანდახან რკინიგზელები ამჩნევდნენ უბილეთო მგზავრებს, მაშინ ბავშვები ვაგონიდან ვაგონში გადაბოდნენ ან სახურავზე ჩამოკონწიალებულნი მატარებლის წასვლას უცდიდნენ. ბავშვებს ხშირად იპერდნენ, ყურს უწევდნენ, მუჯღუგუნს ურტყამდნენ და მიყრუებულ პლატფორმაზე ტოვებდნენ. მატარებელი კი მიჰქროდა შორს, როგორც განუხორციელებელი ოცნება.

ღია ცისქვეშ დარჩენილი ბავშვები ახლა სხვა მატარებელს უცდიდნენ და თუ შეამჩნევდნენ, რომ რკინიგზელები უთვალთვლებდნენ, მაშინ შემდგომ სადგურამდე ფეხით მიდიოდნენ იმ იმედით. იქნებ იქ მაინც გაგვიღიმოს ბედმაო. ასე და ამგვარად, ხანგრძლივი მოგზაურობის, გაჩერებების თუ სხვადასხვა ხიფათის შემდეგ ბავშვები მადრიდს ჩავიდნენ. ახალგაზრდა გმირები საკმაოდ დასტკბნენ სევილიისა და პუერტა დელ სოლის ქუჩებზე მოხეტიალე უსაქმური ტორერობების ცქერით და ასე გასინჯეთ, სამგზავრო ფულის თხოვნაც კი შეჰბედეს. მაგრამ არაფერი გამოვიდა. ცირკის მსახურმა, რომელიც წარმოშობით სევილიიდან იყო, შეიცოდა თანამემამულენი, უფლება მისცა მათ ღამე საჯინბოში გაეთათ და განთქმულ ცირკში კორიდას დასწრებოდნენ. ამ ამბავმა ახალგაზრდები ძალზე გაახარა. ბავშვებს მშობლიური, სევილიის არენასთან შედარებით, აქაური ცირკი არცთუ ისე უზარმაზარი მოეჩვენათ.

მალე ბავშვებს თავიანთ ვაჟკაცობაში ექვი შეეპარათ და დარწმუნდნენ, რომ მიზნის მიღწევა არც ისე იოლი იყო. ამიტომ შინისკენ გასამგზავრებლად ისეთსავე ხერხს მიმართეს, როგორც აქ ჩამოსვლისას. ამ შემთხვევის შემდეგ ბავშვებს უფასოდ მგზავრობა გაუტკბათ. მოჰკრავდნენ თუ არა ყურს, ანდალუსიის რომელიმე ქალაქის ადგილობრივ დღესასწაულზე კაპეა იმართებო, მაშინვე იქით მიემგზავრებოდნენ. ხანდახან ბავშვები ლამაზნასა და ესტრემადურში ჩადიოდნენ. თუ ბედი არ გაუღიმებდათ და ფეხით მოუზ-

დებოდათ სიარული, თავშესაფარს სთხოვდნენ კეთილსა და მზიარულ გლეხებს, რომელნიც გაოცებულნი იყვნენ ახალგაზრდების გაბედულობით, სიამოვნებით ყურს უგდებდნენ მათს ტრაბახს და ნამდვილ ტორერობად თვლიდნენ მათ.

მოხეტიალე ცხოვრებამ და არსებობისათვის ბრძოლამ მათ ჰირველყოფილი ადამიანის ხრიკები შეასწავლა. ისინი ხოხვით იპარებოდნენ ვენახებში, სოფლელებს დოვლათს უჩანაგებდნენ. ხან კი მთელი საათობით დარაჯობდნენ ქათამს, სწრაფად კისერს მოუგრებდნენ და გზას განაგრძობდნენ. შუადღისას ფიჩხით კოცონს ანთებდნენ და მსუნაგი მხეცებივით ბლღვნიდნენ ამ უგზო-უკვლოდ აბორიალებული ქათმის ნახევრად უმ ხორცს. ბავშვებს ხარზე უფრო ძაღლებისა ეშინოდათ. ძნელი იყო მათ წინააღმდეგ ბრძოლა, კბილდალესილები გნისით მოსდევდნენ ბაღლებს, რამეთუ ეს საექვო უცხოელნი შეუცდომლად მიაჩნდათ კერძო საკუთრების ძტრებად.

ხშირად, როდესაც მატარებლის ლოდინში ღია ცისქვეშ უხდებოდათ ღამისთევა, ჟანდარმერიის ბადრაგი წამოეპარებოდათ ხოლმე. მაგრამ შენიშნავდნენ თუ არა წითელ ლაბადებს, რომელიც ბავშვებს ბალიშის მაგივრობას უწევდა, წესრიგის დამცველნი დაშოშმინდებოდნენ. ბავშვებს ფრთხილად ბერეტებს ხდიდნენ, აკვირდებოდნენ ნაცნობ ნაწნავს და სიცილით უკან მიდიოდნენ. ისედაც ნათელი იყო, რომ ისინი ქურდბატაკები კი არა „მოყვარულნი“ იყვნენ, რომლებიც კაპეაზე მიდიოდნენ. ჟანდარმები პატივსაცემდნენ ნაციონალურ დღესასწაულს, ნაწილობრივ, ბავშვების უცნობ მომავალს და ამიტომ უთმენდნენ; ადვილი შესაძლებელი იყო პატარა ღარიბი მაწანწალა რამდენიმე ხნის შემდეგ გამხდარიყო „ასპარეზის ვარსკვლავი“, უდიდესი მატადორი, რომელიც ხარებს მეფის პატივსაცემად ხოცავს, ბატონკაცურად ცხოვრობს და გაზეთები მის გამირობაზე ბეჭდავენ.

და აი, ერთხელ საპატერინმა მეგობარი დაჰკარგა. ბავშვებმა მოისურვეს გაეკვირვებინათ ალალმართალი სოფლის მაცურებელი, რომელნიც ხმაურით ესალმებოდნენ „სევილიის ცნობილ ტორეროებს“. პატარებმა გადაწყვიტეს მოხუცი, მძვინვარე ხარისთვის ბანდერილიები კისერში ჩაესოთ. ხუანილიო, რომელმაც წარმატებით დასძლია ეს ამოცანა, სკამების მახლობლად გაჩერდა და კმაყოფილებით თავს უკრავდა აღფრთოვანებულ მაცურებელს; ისინი მხრებზე ვეებერთელა ხელებს უტყაპუნებდნენ და ღვინით უმასპინძლებოდნენ; უეცრად საზარელი ყვირილი გაისმა და დიდებისგან გაბრუებული ხუანი გამოფხიზლდა. ჩირიპა სარბიელიდან გაქრა.

მტვერში ბანდერილია, ფეხსაცმელი და ბერეტი ეგდო. ხარი კი, რომელსაც ცალ რქაზე უსიცოცხლო ძონძების გროვა წამოეგო, მოედანზე დაჰქროდა და თავს გააფთრებით აქნევდა, თითქოს არასახარბიელო ტვირთისგან გათავისუფლება სურსო. ხარმა ძლიერი დარტყმით გასისხლიანებული თოჯინა მალლა ისროლა, მერე მეორე რქით დაიქირა და თან მძვინვარედ აქეთ-იქით აქნევდა ნადავლს. ბოლოს საცოდავი ნაფლეთი მიწაზე დაეცა. ჩირიპა უძრავად იწვა. მისი სხეულიდან სისხლი ისე მოჩქეფდა, როგორც გახვრეტილ ტიკიდან ღვინის ნაკადი. გააფთრებულ ხართან მისვლას ვერავინ ბედავდა. როგორც იქნა, მწყემსმა დედა ხარის საშუალებით კორალში* შეიტყუა, ლეიბზე დასვენებული საცოდავი ჩირიპა კი აიუნტემიენტოში** წაიყვანეს და მოათავსეს პატარა ოთახში, რომელიც პატიმრებისთვის იყო განკუთვნილი. ხუანილიომ დაინახა მეგობრის მიმქრალი თვალები, მკვდარივით გაფთრებული სახე და გასისხლიანებული ტანი. წამლის უქონლობის გამო წყალსა და ძმარში ამოვლებული ნაჭრით ბავშვს სისხლი ვერ შეუჩერეს.

— მშვიდობით, საპატერინ! მშვიდობით, ხუანილიო! — ამოიხვნეშა საცოდავმა და განუტევა კიდეც სული.

დაფეთებული ხუანი უკან გამომეგზავრა. მას მოსვენებას არ აძლევდა მეგობრის გაშეშებული თვალები, ყურში ესმოდა მისი სასიკვდილო კვნესა...

ბავშვი შიშს შეეპყრო. ახლა რომ ეზოში უწყინარი ძროხა შეხვედროდა, უკან მოუხედავად მოკურცხლავდა, ხუანილიოს გაახსენდა სახლი და დედის კეთილგონიერი დარიგებები. ხომ არ ჯობს მართლაც ხარაზობას მოეკიდოს და მშვიდად იცხოვროს? მაგრამ ეს აზრები მალე გაქრნენ მისი გონებიდან. ხუანილიომ, როგორც კი სევილიაში დაბრუნდა, საქონლის შიში დაივიწყა.

ხუანილიოსთან უამრავი მისი კბილა ბიჭები მოდიოდნენ, რათა ზუსტად გაეგოთ ჩირიპას დალუპვის ამბავი. კამპანაზე პროფესიონალური ტორეროებიც ეკითხებოდნენ სახენაიარევე ბიჭზე, რომელიც მათ დავალებებს ხშირად ასრულებდა. ამგვარი ყურადღებით გამხნეებულმა ხუანმა ფანტაზიას ფართო გასაქანი მისცა და ყველას ასე უყვებოდა: როცა დავინახე, საცოდავი ჩირიპო ხარმა რქაზე წამოაგო, კუდში ვეცი, სხვა მრავალი ვაჟკაცური ფანდიც ვინმარე, მაგრამ მეგობრის გადაჩენა მაინც ვერ შევძელიო.

შიში საბოლოოდ გაიფანტა. რადაც არ უნდა დაუჯდეს, ხუანი

* აქ: საქონლის ბაეები.

** საქალაქო თვითმართელობა ესპანეთში.

ტორერო გახდება. ხომ აირჩიეს ეს გზა სხვებმა, რატომ არ უნდა შიბაძოს მათ მაგალითს? ხუანს გაახსენდა სახლი, ლობიოს მარცვლები და გამხმარი პური, ახალი ქურთუკის შეკერვის საფასურად თავის დამცირება... და მისი მოხეტიალე ცხოვრების განუყრელი მეგობარი, შიმშილი. მას კი მდიდრული ცხოვრება იზიდავდა. იგი შურით გაპყურებდა ეტლებსა და საჯდომ ცხენებს. გაირინდებოდა ხოლმე დიდებული აგარაკების ეზოებთან, რომლის კიშკრიდან ჩანდა აღმოსავლური წინკარი, მოზაიკური თალები, მარმარილოს ღუმელები, ჩუხჩუხა შადრევნები, დღედაღამ მარგალიტის შხეფებს რომ ისროდნენ მწვანე ფოთლებით შემოფარგლულ აუზში. გადაწყდა: მან უნდა ხოცოს ხარები ან არენაზე მოკვდეს! იყოს მდიდარი, აიძულოს გაზეთები წერონ მხოლოდ მასზე. ხალხის პატივისცემა მოიპოვოს. რაღაც არ უნდა დაუჯდეს, არ უნდა შეშინდეს და სახელი მოიხვეჭოს. ხუანი ზიზლით უარყოფდა დაბალი დონის ტავრომაქიის ოსტატობას. ხედავდა, რომ ბანდერილიეროს იგივე ხიფათი ელოდა, რაც მატადორს, მაგრამ მხოლოდ ოცდაათ ღუროს იღებდა გასამრჯელოდ. მრავალი წლის ძალღუმადური ცხოვრების შემდეგ, როცა ბანდერილიერო მოხუცდებოდა, შეეძლო დანაზოგი თანხით მხოლოდ დუქანი გაეხსნა ან სასაკლაოზე მოწყობილიყო. მათი უმრავლესობა ამხანაგების ნაწყალობევით ცხოვრობდა და ხშირად სიცოცხლეს ლაზარეთში ამთავრებდა. ხუანს არ სურდა კვადრილის ამ არახელსაყრელ სამუშაოზე დრო დაეკარგა და მესტროს კირვეულობებს დამორჩილებოდა. არა, ის ერთბაშად უნდა გახდეს მატადორი და არენაზე გამოვიდეს, როგორც ესადა*.

მეგობრის უბედურების შემდეგ ხუანი თანატოლების თვალში ამადლდა. მან შექმნა კვადრილია. ჩამოგლეჯილთა კვადრილია, რომელიც ყოველ კაბეაზე მუდამ თან ახლდა.

ხუანი პატივმოყვარე იყო და ყველაზე კარგად იცვამდა. მსუბუქი ყოფაქცევის ქალები, რომელნიც თვრამეტი წლის ნაწნავიან საპატერინის მამაკაცურ სილამაზეს მოეხიბლა, ერთმანეთს ეცილებოდნენ მის ტრფიალში. და ბოლოს, ხუანს ყავდა „ნათლია“, გადამღგარი ჩინოვნიკი, რომელიც სიმპათიურად იყო განწყობილი ახალგაზრდა, სანდომიანი ტერორის მიმართ. ქალბატონ ანგუსტიასს აშფოთებდა მოხუცის საქციელი და მის გონებაში გაიღვიძა იმ უხამსმა გამოთქმებმა, რომელიც ახალგაზრდობისას, თამბაქოს ქარხანაში მუშაობისას შეითვისა.

საპატერინს ახალი ქუდი ეხურა და მის ჩამოსხმულ ტანს შესა-

* სიტყვასიტყვით „ლაშნა“, ისე კი მატადორებს უწოდებენ.

წინააღმდეგედავდა მორგებული ინგლისური მაულის კოსტიუმი შეენოდა. „გოგონები“ ზრუნავდნენ, რომ ხუანის საყურო და გულისპირი ქათქათა, უმწიკვლო ყოფილიყო. დღესასწაულებში მის ქილეტზე ბრწყინავდა ოქროს ორმაგი ძეწკვი, რომელსაც ქალები კისერზე იკეთებენ. ეს ძეწკვი ოდესღაც „დამწყებ ტორეროებს“ ამშვენებდა და ახლა ხუანს მისმა უფროსმა მეგობარმა და მფარველმა უბოძა.

ხუანი მეგობრობდა ნამდვილ ტორეროებთან და სიამოვნებით პატიჟობდა ღვინოზე ცირკის ძველ მსახურებს, რომელნიც უყვებოდნენ ცნობილ მანესტროთა გმირობებზე. გავრცელდა ხმები, თითქოს მფარველები აპირებდნენ ხუანისათვის სევილიის არენაზე ნოვილიადაში* დებიუტი გაემართათ.

და აი, დადგა დღე, როცა საპატერიინი მატადორი გახდა. ერთხელ ლებრიხის არენაზე მოზვერი გამოუშვეს. ამხანაგებმა შეაგულიანეს ხუანი ბედი ეცადა. „აბა, რას იტყვი, შეგიძლია მისი გაგმირვა“? და ხუანმაც გაგმირა ხარი. ამის შემდეგ აღფრთოვანებული ხუანი, გამხნეებული, რომ ასე ადვილად გამოიჩინა პირველი მამაცობა, არც ერთ კაპეას აღარ აცდენდა, სადაც კი მოზვერთან შეჭიდების შესაძლებლობა ჰქონდა. იგი ისწრაფვოდა აგრეთვე ფერმებში, სადაც საქონლის დაკვლამდე სახალხო სანახაობა იმართებოდა.

რინკონადის მდიდარ მემამულეს ხართან ბრძოლის პატარა არენა ჰქონდა მოწყობილი. იგი ადრიდანვე გატაცებული გახლდათ ამ ხალხური სანახაობით. მუდამ გაშლილი ჰქონდა სუფრა დამშვეულ მოყვარულთათვის, რომელნიც მის გასართობად ხარს შეერკინებოდნენ.

ერთ დღეს, როცა ხუანილიო და მისი ამხანაგები შიმშილმა შეაწუხა, იძულებულნი შეიქნენ რინკონადაში წასულიყვნენ, რათა პირისპირ შეტაკებოდნენ ყოველგვარ ხიფათს, ოღონდ სტუმართმოყვარე სოფლის იდალგოსთან** რიგიანად გამძლარიყვნენ.

კვადრილიამ გზა ფეხით განვლო და დანიშნულ ადგილს ორი დღის შემდეგ ჩააღწია. მემამულემ მხრებზე ლაბადაგადაგდებული, დამტვერიანებული ბავშვების ჯგროს რომ შეხედა, ამაყად განაცხადა:

— თქვენში ყველაზე საუკეთესო ჩემგან უკან გასამგზავრებელ ბილეთს მიიღებს და სევილიაში მატარებლით დაბრუნდება.

მდიდარმა ფერმერმა ორი დღე აივანზე გაატარა. სიგარას აბოლებდა და გაფაციცებით თვალს ადევნებდა სევილიელ ყმაწვილებს, რომელნიც მის ხარებს აღიზიანებდნენ, თუმცა ბავშვები ხშირად

* მოზვერთან ბრძოლა.

** მემამულე.

თავს ვერ აღწევდნენ მრისხანე რქებს. მაშინ მემამულე უყვიროდა მოუხეშავ ჭაბუკს:

— რას გავხარ, თაღლითო! წამოდექ ზეზე, შე მშიშარავ, შენა! ეი, მოუტანეთ ამას ერთი ჭიქა ღვინო, დე, გონს მოვიდეს. — ბრძანებდა რინკონადის მფლობელი, როცა ხარის მიერ წაქცეული ბავშვი უძრავად იწვა.

საპატერინმა ისე ასიამოვნა ბატონს, ისე მოხერხებულად გაგმირა ხარი, რომ მემამულემ შინ შეიწვია. მისი მეგობრები კი მოჯამაგირებთან ერთად სამზარეულოში მოთავსდნენ და მაგიდაზე შემოდგმულ ორთქლიან ქვაბიდან რქის კოვზით აჩქარებით სვრებდნენ წვესს.

— შენ დაიმსახურე უკან გასამგზავრებელი თანხა, ჭაბუკო! დიდი მომავალი გელის, თუ გამბედაობამ არ გიმტყუნა. სხვა რა გითხრა, უნარიანი ბიჭი ხარ, — დაუყვავა ბატონმა ხუანს.

ხუანი შინ მეორე კლასის მატარებლით გამოემგზავრა. მისი ამხანაგები კი ფეხით წამოჩანჩაღდნენ. საპატერინი მიხვდა, რომ მისთვის ამ დღიდან ახალი ცხოვრება დაიწყო. ფანჯრიდან ხარბად გასცქეროდა ზეთისხილის ჭალებს, ყანებს, წისქვილებს და სადღაც შორს, ჰორიზონტზე მიმალულ მინდვრებს, სადაც ათასობით ცხვარი ბალახს ძოვდა, ხოლო გარინდებული ხარები და ძროხები იცოხნებოდნენ. აუ, რა სიმდიდრეა! მასაც რომ მისცა ასეთი მამული!..

ნოვილიადაში ხუანის მამაცობამ სევილიამდე ჩააღწია და ხართან ბრძოლის გულშემატკივართა ყურადღება მიიპყრო. ისინი მოუთმენლად ელოდნენ ახალი „ვარსკვლავის“ გამოჩენას, რომელსაც, მათი აზრით, მთლიანად უნდა დაეჩრდილა მანამდე არსებული ყველა გმირი.

— მარჯვე ბიჭი ჩანს! — ეუბნებოდნენ ერთმანეთს ხუანის შემყურენი, როცა საპატერინი ამაყად წელგამართული სიერპესის ქუჩაზე დასეირნობდა. — კარგი იქნება ნამდვილ ასპარეზზე მისი ხილვა.

ამგვარ ასპარეზად ხალხი და საპატერინი სევილიის ცირკს გულისხმობდნენ. სულ მალე ოცნება სინამდვილედ იქცა. ნათლულისთვის მფარველმა შეიძინა უცნობი მატადორის მიერ დატოვებული, ოდნავ ნახმარი „საბრძოლო მორთულობა“. მოსალოდნელი იყო საქველმოქმედო მიზნით გამართული ნოვილიადა, და ტავრომაქიის გავლენიანმა გულშემატკივრებმა, ყოველივე სიახლეს რომ დახარბებულნი იყვნენ, გადაწყვიტეს, ხუანი იმ მატადორთა რიცხვში ჩაერიცხათ, სარბიელზე რომ უსასყიდლოდ გამოდიოდნენ.

ანგუსტიასის ვაჟმა აფიშებში მისი შერქმეული სახელის მოხ-

სენიება აღარ ინება. ერთი სული კქონდა დაევიწყებინა ის სახელი, მის ადრინდელ, საცოდავ ხელობას რომ ავონებდა. მას სურდა განდიდებულიყო მამამისის სახელით და უბრალოდ, ხუან გალიარდო ყოფილიყო. ძირს ყველა მეტსახელი. მათ შეუძლიათ მისი ზღაბით წარმოშობა გაახსენონ მდიდრებს, რომლებთანაც ახლო მამეაღში დამეგობრებას აპირებს.

მთელი ფერიის მოსახლეობა ნოვილიადაზე მიიჩქაროდა და ხმამალა გამონატავდა აღფრთოვანებას თანამემამულის მიმართ. მაკარენის მცხოვრებთაც სურდათ ხუანის წარმატება, საერთო აღტაცებას სხვა გარეუბნის მოსახლეობაც იზიარებდა. ხუმრობა საქმე ხომ არაა — ახალი მატადორი სევილიიდან! ბილეთები საკმაო არ იყო და ცირკის ალაყაფთან უამრავი ხალხი ირეოდა. ისინი მოუთმენლად ელოდნენ კორიდის შედეგებს.

გალიარდომ წარმატებას მიაღწია. გაგმირა ერთი ხარი. თუმც მეორემ კარგა მანძილზე ისროლა, მაგრამ არაფერი არ დაზიანებია. ხუანს მთელი ასპარეზობის განმეულობაში ხელთ ეპყრა მაყურებელი თავხედური მანერებით, რომელიც ხშირად წარმატებით მთავრდებოდა. მაყურებელი მოხიბლულიყო ახალგახრდა მატადორის მძაცობით და მოწონების ნიშნად ღრიალებდა. გავლენიანი გულშემატკივრები კმაყოფილებით იღიმებოდნენ: მართალია, ახალბედას ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია, მაგრამ, რაც მთავარია, ძალზე გამბედავია და ჯიუტი.

ლამაზმანები — ჰაბუე ტორეროს მეგობარი ქალები, მთლად გადირივნენ: ადგილზე ხტოდნენ, სიხარულით ცრემლით დანამულ თვალებს აბრიალებდნენ და ისეთ თავდავიწყებამდე მისულიყვნენ: რომ დღისით-მზისით სმამალა გამოთქვამდნენ უნაზეს გრძნობებს, რაზეც საუბარი ხამს მხოლოდ ღამით. ერთმა მათგანმა არენაზე თავშალი გადაისროლა, მეორემ, აქაოდა, მეტოქეს არ ჩამოვრჩეო. ზედატანს კორსაეიც მიაყოლა. ხოლო მესამემ სულაც ქვედა კაბა მოიქნია. ახლომახლო მსხდომთ ეციინებოდათ და ძლივს აკაევდნენ გოგონებს — თან არ გადაჰყვეთ ან მარტო პერანგის ამარა არ დარჩეთო.

ხოლო ჰაბუეის გამბედაობითა და მიხვრა-მოხვრით მოხიბლული გულაჩუყებული მოხუცი ჩინოჩი ამფითეატრის ჩრდილოვან მხარეს დამჯდარიყო და გრძნობამორეულ ღიმილს ჰაღარა უღვაშში მალავდა. როცა ხარმა უკუაგდო ჰაბუე ტორერო, აღელვებული მოხუცი სავარძელში მიესვენა: კინაღამ გული შეუღონდა.

მეორე ბარიერთან მჯდარი ენკარნასიონის ქმარი თავმომწონედ

იზღინებოდა. იგი გახლდათ ახლადმოვლინებული მატადარის სიძე, ზელობით მეუნაგირე, რომელიც პატარა დუქანსაც განაგებდა. საკმაოდ დადებითი პიროვნება იყო ეს მეუნაგირე, მტერი ყოველგვარი უქნარობისა, რომელმაც მხოლოდ ეშხის გამო ცოლად შეირთო მეთამბაქოე გოგონა და ქორწინების წინ პირობა ჩამოართვა, რომ არაფითარ ურთიერთობას არ იქონიებდა ლაზღანდარა ძმასთან.

შეურაცხყოფილ გაღიარდოს არასოდეს შეუღია მაკარენის გარეუბნის დუქანის კარი და ხანდახან, როცა დედასთან სტუმრად მოსულ სიძეს შეხვდებოდა, თქვენობით ელაპარაკებოდა მას.

— წავალ ერთი, და ვნახავ როგორ დაუშენენ ლიმონებს შენს უსირცხვილო ძამიას, — უთხრა ცოლს მეუნაგირემ ცირკში წასვლის წინ.

ახლა კი, ბარიერთან მჯღარი, ხმამაღლა ესალმებოდა ტორეროს, ალერსით ხუანილიოს ეძახდა მას, შენობით მიმართავდა და ნეტარებისაგან ლამის დადნა, როცა მის ხმამაღალ ძახილს გაღიარდომ ყურადღება მიაქცია, შეხედა და დაშინის აწვეით მიესალმა.

— ჩემი ცოლისძმაა, — თავმომწონედ განუმარტავდა ყველას ბედნიერი მეუნაგირე. — ეჭვი არასოდეს შემპარვია, რომ ეგ ბიჭი ასპარეზზე კარიერას მოიპოვებდა: მე და ჩემი მეუღლე მუდამ ხელს ვუმართავდით მას...

ხუანის ცირკიდან დაბრუნება ტრიუმფად იქცა. აღტაცებით გაშმაგებული ბრბო თითქმის მზად იყო იმ დღის გმირი შუაში გაეხლიჩა. საბედნიეროდ, იქვე დროზე გაჩნდა სიძე, რომელიც ხუანს წინ გადაეფარა, წესრიგი დაამყარა და გმირი ეტლში გვერდით მოისვა.

ურიცხვმა ხალხმა გაღიარდო ფერიის გარეუბანში, დატაკ სახლამდე მიაცილა. ეს იყო ნამდვილი სახალხო დემონსტრაცია. ხმაურმა მცხოვრებლების ყურადღება მიიპყრო და გარეთ გამოეფინენ. ტრიუმფის ამბავმა გარეუბანში უფრო ადრე ჩააღწია, ვიდრე ეტლმა. მეზობლებს გამარჯვებულის ახლოს ხილვა და მისი ხელის ჩამორთმევა სურდათ.

ქალბატონი ანგუსტიასი და მისი ქალიშვილი სახლის ზღურბლთან იდგნენ. მეუნაგირემ ცოლისძმა თითქმის ხელით გამოიყვანა ეტლიდან, მთლიანად დაეფულა მას. როგორც ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელი, და უცერემონიოდ იშორებდა ხალხს, რათა თითოთაყ არ შეხებოდნენ გაღიარდოს, თითქოს იგი მძიმე ავადმყოფი ყოფილიყო.

— აი შენი ძმა, ენკარნასიონ, — დაიძახა მეუნაგირემ და ხუანს ხელი დისკენ უბიძგა, — მან თვით როყე დე ფლორას* აჯობა!

ენკარნასიონს არ სპირდებოდა ასსნა, თუ ვინ იყო როყე დე ფლორა, იცოდა, რომ ქმარი ბუნდოვნად იხსენებდა ოდესღაც წა-კითხულ ნარკვევს და მასში მოთხრობილ ისტორიულ პერსონაჟს შიაწერდა ყოველგვარ წარმატებას და ცდილობდა ცხოვრებაში მომხდარი რაიმე სასწაული მუდამ მის სახელთან დაეკავშირებინა.

ცირკიდან დაბრუნებული მეზობლები სენიორა ანგუსტიასს ეალერსებოდნენ. ალტაცებითა და მოკრძალებით შეკუყუებდნენ მის დიდ მუცელს.

— დიდება დედას, რომელმაც ასეთი გულადი შვილი შობა!

ანლობლებმაც ყურები გამოუქქედეს: ბედმა გაგიღიმა აწი ხუანი უამრავ ფულს იშოვნისო.

საცოდავი დედის თვალეზში გაოცება და უნდობლობა იხატებოდა: ნუთუ ამდენი ხალხი ყოიინით ხუანილიოს გულისთვის მოვიდა. ეტყოდა ჰკუაზე შეცდნენ.

უეცრად დედამ, თითქოს სამარცხვინო შეცდომის გამოსწორება სურსო, შვილი მკერდზე მიიხუტა. აუტანელი სიზმარივით გაჰქრა წარსული. დედა მსხვილი, დამკნარი თითებით შვილს კისერზე ეხვევოდა და სახეს ცრემლებით უსველებდა.

— შვილო, ხუანილიო! ოჰ, როგორ გაუხარდებოდა შენ საცოდავ მამას!

— ნუ ტირი, დედი... დღეს ძალზე სასიხარულო დღეა... აი, ნახავთ, თუ ღმერთმა ხელი მომიმართა. სახლს ავიშენებთ, გასეირნებთ ეტლით და მანილის ისეთ მანტილიას გიყიდით, რომ შურით ყველა იფხრიწებოდეს.

მეუნაგირე მოწონების ნიშნად თავს აქნევდა და ხუანილიოს ამ დიდებულ გეგმებს ადასტურებდა. ენკარნასიონი გაკვირვებისგან გონს ვერ მოსულიყო. ასე უეცრად ნეტა რამ გარდაქმნა მისი ქმარი?

— ჰო, ენკარნასიონ. შენი ძმა ბევრს შესძლებს, თუ მოინდომა... ეგ რაღაც სასწაული ყოფილა! მან თვით როყე დე ფლორას აჯობა!

საღამოს ქალაქგარეთ კაფეებსა და რესტორნებში მხოლოდ გალიარდოზე ლაპარაკობდნენ.

* კატალონელი ავანტიურისტი, ბიზანტიაში დაქირავებულ კატალონელთა ექსპედიციას ხელმძღვანელობდა.

— დიდი მომავლის მქონე ტორეროა. ძალზე ხერხიანია. აი, ნახავ, თუ მთელ კორდოვას ხალიფებს ხელთ არ ჩაიგდება!

ამ ქებაში სევილიის მკვიდრთა სიხარული გამოსჭვივოდა. ისინი მულამ ექიშებოდნენ კორდოვოს, რომელსაც თავისი დახელოვნებული ტორეროებით თავი მოჰქონდა.

ამ დღის შემდეგ გალიარდოს ცხოვრება ერთიანად შეიცვალა. ახალგაზრდა სენიორები მეგობრულად ესალმებოდნენ და ხშირად ყუანანაშიც პატიუბდნენ მას. სუანმა მაშინვე აითვალწუნა ლამაზ-მანები, გაჰირვების ყამს რომ აჰმეედნენ და ტანსაცმელს ურეცხავდნენ მას. მოსუტმა მფარველმაც, რომელიც მიხვდა, სუანილიოს ჩემი თავი აღარ სჰირიაო, ნაზი ზრუნვა სხვა ახალბედაზე გადაიტანა.

ცირკის მფლობელები ყოველნაირად ემლიქნებოდნენ სუანს. თითქოს იგი უკვე სახელგანთქმული პიროვნება ყოფილიყო. თუ აფიშებში სუანილიოს სახელი ეწერა, ბილეთი სწრაფად საღებოდა, ცირკი უზრუნველყოფილი იყო ხალხით. იგი აღტაცებით ზედებოდა „სენიორა ანგუსტიასის შვილს“ და მისთვის ქებას არ იშურებდა. გალიარდოს სახელი მთელ ანდალუსიას მოეგო.

მეუნაგირე მიპატიეებას აღარ დაელოდა, საქმეებში ჩაერია და თავის ნებით აარჩია ახალბედას ინტერესთა დამცველის როლი.

სიძეს თავისი თავი საქმეებში არაჩვეულებრივად გამოცდილი და წინდახედული ეგონა. მან მოხაზა გეგმა, რომლის შესრულებას გალიარდო მთელი სიცოცხლე მოუნდებოდა.

— შენს ძმას, — ეუბნებოდა დაწოლისას მეუნაგირე ცოლს, — ესაჰიროება საიმედო ადამიანის დახმარება, რომელიც შესძლებდა მის საქმეთა აზრიანად წარმართვას. დაითანხმე. სუანისთვის ძალიან ხელსაყრელი იქნება. თუ მისი რწმუნებული გავხდები. მე მისთვის პირდაპირ მისწრება ვარ... ის კი ჩვენთვის... სუანილიო ჯობნის თვით როჟე დე ფლორას.

მეუნაგირე გუნებაში გალიარდოს შემოსავალს ანგარიშობდა. ფიქრობდა თავის ხუთ ნაშიერზე და კიდევ იმათზე, რომლებიც ახლო მომავალში გაჩნდებოდნენ, რადგან მეუნაგირე დაუღალავი და ნაყოფიერი იყო ცოლქმროლ ჟორტიროობაში. ისიც შესაძლოა. რომ მატადორის ფული დისშვილებს დარჩეთ, ფიქრობდა სიძე.

ნახევარი წლის განმავლობაში სუანმა ესპანეთის ყველა საუკეთესო არენა მოიარა. მისმა სახელმა თვით მადრიდამდე ჩააღწია. დედაქალაქის მცხოვრებთ სურდათ თავად ეხილათ „სევილიელი ქაბუკი“, რომლის შესახებ ესოდენ ბევრს სწერდნენ გაზეთები და ხშირად საუბრობდნენ ანდალუსიელი მკოდნენი.

მადრიდში მცხოვრები თანამემამულეებით გარშემორტყეული გალიარდო სევილიის ქუჩაზე. ინგლისურ ყავახანის მახლობლად დასეირნობდა. გალიარდოს თავაზიანობაზე ქუჩის ლამაზმანები იღიმებოდნენ და თვალედაქყეტილი შესცქეროდნენ მის მძიმე ოქროს ძეწკვს და მსხვილ ბრილიანტებს, რომელიც ჭაბუქმა ტორერომ მომავალი გამომუშავების ანგარიშში შეიძინა. საერთოდ, მატადორს შორთვა-მოკაზმვაზე და მიკობრებს ლაპარაკებაზე არ უნდა ენანებოდეს ფული. შორეულ წარსულს ჩაბარდა ის დღეები, როცა ამავე ქუჩებში საცოდავ ჩირიპოსთან ერთად დაწანწალვდა, ემალებოდა პოლიციელებს, აღტაცებით შესცქეროდა ნამდიელ ტორეროებს და მიწიდან ხვეტდა მათ მიერ გადაგდებულ პაპიროსის ნაშვსს.

გალიარდოს გამოსვლამ მადრიდში წარმატებით ჩაიარა. იქ მან ახალი ნაცნობები გაიჩინა. იქაური თაყვანისმცემლებიც საჯაროდ გაიძახოდნენ: „დიდი მომავალს მქონე მატადორია!“ და აღშფოთებული იყვნენ, რომ ალტერნატივს * არ აძლევდნენ დედაქალაქში.

— ის ნიჩბით მოხვეტს ფულს, ენკარნასიონ, — ამბობდა მეუნაგირე, — თუ ბელმა არ უმუხთლა, მილიონერი გახდება...

ოჯახის ცხოვრებაც ძირფესვიანად შეიცვალა. ახლა გალიარდო ცნობილ სენიორებთან მეგობრობდა და აღარ უნდოდა, დედამის ძველებურად, ღატაკ ქოხში ეცხოვრა. სურდა საცხოვრებლად საუკეთესო ქუჩაზე გადასულიყვნენ. მაგრამ ანგუსტიასმა ფერიის რაიონი ირჩია, რადგან ყველა მდაბიო ადამიანს უყვარს ადგილი, სადაც სიყმაწვილე გაუტარებია.

შვილები ახალ სახლში გადაბარგდნენ. დედა აღარ მუშაობდა. მეზობლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ანგუსტიასის პატივისცემაში, რადგან იცოდნენ, რომ კეთილი დედაკაცი გაქირვების დროს მათაც ხელს გაუმართავდა. ხუანმა შეიძინა ყველაფერი, რაც იღბლიანი ტორეროსთვის საჭირო იყო: ცქვტო, წაბლა ცხენი, მდიორული უნაგირი და ფერადფოჩებიანი საძაგრავი. სევილიის ქუჩებში დაქროდა მხოლოდ იმ მიზნით, რომ მოესმინა, მეგობრების ხმამალალი შეძახილები, რომელნიც თავის სათაყვანებელ ადამიანს „ოლეს!“ ყვირილით ეგებებოდნენ. ასე იქმაცოფილებდა გალიარდო პოპულარობის წყურვილს. ხანდახან, კორიდის წინ, სხვა ბრწყინვალე მხედრებთან ერთად ტაბლადის საძოვრებზე მიემგზავრებოდა,

* ტაერომაქიაში ეწოდება ახალბედას გამოსვლას პროფესიონალურ ტორეროს ტანსაცმელში, რაც მოყვარულთ ესპანის ოფიციალურ წოდებას ანიჭებს.

რათა ენახა ხარები, რომლებსაც სხვა მატადორები უნდა შებრძოლებოდნენ.

— როცა მოვა ჩემი ჯერი... — წამდაუწუმ იმეორებდა გალიარდო და მომავალზე დიდ იმელებს ამყარებდა.

ამ ხნის განმავლობაში მან დიდი გეგმა შეადგინა. უპირველესად, სურდა გაეკვირვებინა დედა, საცოდავი ქალი, რომელიც ძალზე დაშინებულიყო უეცარი ბედნიერებით და უკეთესი აღარც წარმოედგინა.

და ბოლოს, დადგა სანატრელი დღეც, როცა გალიარდო მატადორად აღიარეს.

სევილიის არენაზე, ხალხის თვალწინ, სახელგანთქმულმა მაესტრომ გალიარდოს გადასცა დაშნა და მულეტი. როცა გალიარდომ დაშნის ერთი დარტყმით გაგმირა მისი პირველი „სერიოზული“ ხარი, აღტაცებული ხალხი თავდავიწყებამდე მივიდა. მომდევნო თვეს ტავრომაქიის დოქტორანტმა მადრიდის არენაზე გამოსვლის უფლება მოიპოვა. იქ მეორემ, კიდევ უფრო სახელგანთქმულმა მაესტრომ უბოძა დაშნა, რათა მიურის ხარებს შერკინებოდა.

ამგვარად, ნოვილიეროდან* ხუანი მატადორი გახდა. მის სახელს ახსენებდნენ ძველ მატადორთა გვერდით, რომელნიც ხუანს, ადრე-როცა სოფლის მცირე კაპეებში მონაწილეობდა, ღმერთებად მიაჩნდა. ხუანს გაახსენდა რკინიგზის სადგურში კორდოვის მახლობლად თავისი „კვადრილიით“ როგორ უცდიდა ერთ-ერთი ცნობილი ტორეროს მოწყალებას. იმ დღეს ბავშვები დანაყრდნენ მხოლოდ იმ ხელგაშლილობის წყალობით, ნაწნავიანთა შორის რომ არის მიღებული. ეს ხელგაშლილობა ბიძგს აძლევს ფულის მფანტავ ესპადას, დურო** ან პაპიროსი გაუწოდოს პატარა მაწანწალას. რომელიც პირველ კაპეაზე ცდილობს ძალის გამოცდას.

ახალ ტორეროს მრავალ წინადადებას სთავაზობდნენ. ყველა არენაზე სურდათ მისი ხილვა. ხალხს ცნობისმოყვარეობის სიხარბე დაუფლებოდა. პროფესიონალური გაზეთები გალიარდოს სურათებს ათავსებდნენ, აშკარა ტყუილებს ბეჭდავდნენ მის ცხოვრებაზე და ამ ზღაპრებს რომანტიზმით ავსებდნენ. ჯერ არც ერთ ტორეროს არ ჰქონია ამდენი კონტრაქტი. ბედი მას უამრავ ფულს ჰქადის.

აღშფოთებული ანტონიო. გალიარდოს სიძე, ცდილობდა ცოლსა და სიდედრს ეთანაგრძნოთ მისთვის.

* ახალზედა, რომლისთვის ჯერ არ მიუკუთვნებიათ მატადორის ან ესპადის ოფიციალური სახელი.

** ვერცხლის ფული.

უმადური! ასე იქცევა ყველა, ვინც უცბად აღზევდება. განა ანტონიო არ იყო, რომ წელში წყდებოდა და ხუანს ნოვილიადებს უმართავდა... ახლა კი, როცა ხუანი მაესტრო გახდა, რწმუნებულად ვილაყ დონ ხოსე აიყვანა, რომელსაც ოჯახთან არავითარი კავშირი არა აქვს და ხუანილიო მოსიბლა მხოლოდ იმით, რომ თავი ტავრომაქიის დიდ მცოდნედ მოაჩვენა.

— ერთხელაც იქნება, მწარედ ინანებს. — დასძენდა ხოლმე გულმოკლული ანტონიო, — უგულველყო ოჯახი! სად ნახავს ისეთ გულწრფელ სიყვარულს, თუარ ახლობელთა შორის, რომელნიც მას აკენიდანვე იცნობენ? იგი ბევრს კარგავს. ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ გაცილებით უკეთ იცხოვრებდა...

მაგრამ ანტონიო სახილგანთქმულ ადამიანის სახელს აუგად ვერ ახსენებდა, რადგან ეშინოდა ბანდერილიეროსა და თაყვანისმცემელთა დაცივნისა, რომლებიც გალიარდოს მუდმივი სტუმრები გამხდარიყვნენ და უკვე შეემჩნიათ მეუნაგირის უძლურება ისტორიული პერსონაჟის წინაშე.

გალიარდომ დიდსულოვნებით, ისე, როგორც გმირს შექთერის, სცადა სიძისთვის თავი მოექონა. მას ახალი სახლის მშენებლობის მეთვალყურეობა დაავალა და ამასთან უფლება მისცა ფული სურვილისამებრ დაეხარჯა.

ადვილად ნაშოვნია ფულით გაბრუებულ ესპადას უნდოდა, რომ სიძეს მშენებლობის საქმეში ხელი მოეთბო. ხუანი ამით ცდილობდა დაეკმაყოფილებინა იმედგაცრუებული, პატივმოყვარე ნათესავი.

ტორერო ჩანაფიქრს ახორციელებდა: დედისთვის სახლს აშენებდა. საცოდავმა მთელი სიცოცხლე მდიდართა იატაკის რეცხვას შოანდომა. ახლა მაინც ჰქონდეს საკუთარი სახლი, უძვირფასესი მოზაიკური ფილებითა და მარმარილოთი მოპირკეთებული სამზარეულო, ძვირფასი ავეჯი და მსახურები, მრავალი მოსამსახურე, რომელნიც დედის ყოველ სურვილს აღასრულებენ. გალიარდო დედასავით უხილავი ძაღვით იყო მიჯაჭვული იმ მიდამოს, სადაც აღიზარდა, ლატაკური ბავშვობა გაატარა. სურდა თვალები დავსებოდათ იმ ადამიანებს, რომლებთანაც დედამისი მეტოყვრად მუშაობდა და ერთი მუჟა პიესეტი მიიკა იმათთვის. რომელნიც ცხოვრებულ მის მამას წაღებს აკირინობონინ და ხუანილიოს გაქირვების დროს კვებავდნენ. ხუანმა რამდენიმე ძველი დანვრეულა სახლი შეისყიდა. მათ რიცხვში ის ფიკრულიც, სადაც მამა მისი მუშაობდა და შეუდგა უზარმაზარი შენობის აგებას. რომელსაც ექნებოდა თეთრი, ქათქათა კედლები, ფანჯრებზე მწვანე რიკულები, მოკირწყლული პატიო, თხლად დაწნული თუჯის კარი, საიდანაც გამოჩნ-

დებოდა მოედნის შადრევანი... სახლს მარმარილოს ბოძები უნდა ჰქონოდა. ამ ბოძებზე ჩამოკიდებული იქნებოდა ოქროს გალიები, სადაც მოლაპარაკე ჩიტები ისხდებოდნენ.

გახარებული ანტონიო, რომელმაც სრული თავისუფლება მიიღო მშენებლობის საკითხში, ერთმა მოულოდნელმა და არასასიამოვნო ამბავმა დააღონა.

გალიარდოს საცოლე ჰყოლია. შუა ზაფხულს, ესპანეთში მოგზაურობისას, სარბიელზე განუწყვეტელი ტაშის შემდეგ იგი თითქმის ყოველდღე უგზავნიდა წერილს ერთ გოგონას, რომელიც მისი სახლის მახლობლად ცხოვრობდა. ხშირად ორ კორიდას შუა გალიარდო დროს გამონახავდა ხოლმე, ამხანაგებს მიატოვებდა, რათა სატრფოს ფანჯარასთან ტკბილ საუბარში გაეტარებინა ნეტარი წუთები.

— გაგონილა ასეთი ამბავი? — ყვიროდა აღშფოთებული მეუნაგირე „ოჯახის კერიასთან“, ესე იგი, ცოლსა და სიდედრთან, — საცოლე გაუჩენია და ოჯახში არაფერი უთქვამს. ოჯახი ხომ ყველაზე ძვირფასია ამქვეყნად. სენიორმა ცოლის შერთვა გადაწყვიტა, ჩანს, მოვებზრებივართ. ოი, სირცხვილო!

სიტყვაძვირი ენკარნასიონი სავესებით იზიარებდა ქმრის სამართლიან გულისწყრომას, რასაც მისი აღშფოთებული სახე ამტკიცებდა. ის მოხარული იყო, რომ საშუალება მიეცა ემსჯელა ძმის საქციელზე, რომლის წარმატება მასში შურს იწვევდა: აბა, რა უნდა ვთქვა, ბავშვობაშიც უსინდისო იყო.

მაგრამ დედა არ დაეთანხმა.

— ნუ სულელობთ! იმ გოგონას კარგად ვიცნობ. ჩემი გარდაცვლილი მეგობრის ქალიშვილია. დედამისი და მე ერთად ვმუშაობდით ქარხანაში. გოგო კი არა, ოქროა — კეთილი, სათნო და მოკრძალებული. მე ვურჩიე ხუანს, ითხოვე და რაც აღრე ითხოვ, მით უკეთესი იქნება-მეთქი.

გოგონა ობოლი იყო და ბიძასა და ბიციოლასთან ცხოვრობდა, რომლებსაც საკუთარი დუქანი ჰქონდათ. მამამ, რომელიც აღრე არყით ვაჭრობდა, ქალიშვილს მაკარენის გარეუბანში ორი პატარა სახლი დაუტოვა.

— ეგ ცოტაა, — განაგრძობდა ქალბატონი ანგუსტიასი, — მაგრამ ასეა თუ ისე, გოგონა ხელცარიელი შინ არ შემოვა. ახლა მორთულობას არ იკითხავთ! ღმერთო ჩემო! გოგონას ოქროს ხელეები აქვს, შესანიშნავად ქარგავს, რომ იცოდეთ, რა გულმოდგინებით იმზადებს მზითვეს!

გალიარდოს ბუნდოვნად ახსოვდა, როგორ თამაშობდნენ ისინი

ერთად სახლის სადარბაზო შესასვლელთან, სადაც მამამისი წაღებს კერავდა, ხოლო მათი დედები საუბრობდნენ. სუანილიოს აგონდებოდა სელიკივით მარჯვე, ტანწერწეტა, შავგვრემანი გოგონა ბოშას თვალებით, რომლის მოციხფრო გარსზე შავად ბზინავდა მელნის ორი წვეთი. ბიჭივით დარბოდა, მოუჩანდა წვრილი კანკები, ხოლო ურჩი ხუჭუჭი ნაწნავები ერხეოდნენ ქარში. შემდეგ მისი პატარა მეგობარი თვალს მიეფარა და მსოლოდ მრავალი წლის შემდეგ შეხვდა, როდესაც ხუანმა, როგორც ნოვილიერომ. სახელის მოხვევა იწყო.

იყო საღვთო ზემის ერთი იმ დღეთაგანი, როცა აღმოსავლურ ტყვეობაში მყოფი ქალები, ჰაერიტანების მსგავსად კარჩაკეტილობას ტოვებენ და თავისი მაქმანის მანტილით გარეთ გამოდიან. ვალიარდომ შენიშნა ტანწერწეტა, მკვრივი, თითქოს ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული გოგონა, რომელსაც მაღალ თეძოვზე სარტყელი ჰქონდა მოკერილი. როცა ტორეროს შეეჩება, ფერმკრთალ სახეზე აღმური მოედო, ხოლო მისი ღიდრონი, მოელვარე თვალები წამწამებში ჩაიმაღლნენ.

„ეს ლამაზი მიცნობს, — თვითკმაყოფილი ღიმილით გაიფაქრა ვალიარდომ, — დარწმუნებული ვარ, რომელიმე არენაზე ცყავარ ნანახი!“

ვალიარდო გაჰყვა გოგონას, რომელსაც ბიცოლა ახლდა, და მასში თავის ბავშვობის მეგობარი კარმენი შეიცნო... რაღაც უცნაური მოკრძალება იგრძნო ამ მშვენიერი გარდასახვის წინაშე.

მათ შეუყვარდათ ერთმანეთი. მეზობლები ძალზე ნასიამოვნები იყვნენ, რომ ასეთი პატივი დასდეს მათ უბანს და მსოლოდ ამ ახალგაზრდების ამბავი ჰქონდათ სალაპარაკოდ.

— ასეთია ჩემი გემოვნება, — ზღაპრული პრინცის მოწყალებით ამბობდა ვალიარდო თაყვანისმცემელთა შორის, — არ მინდა მივბაძო სხვა ტორეროებს, მოღურ ტანსაცმლიან და ქუდში ფრთაგარკობილ სენიორიტებს რომ თხოულობენ. მე ჩემი წრის გოგონები მომწონს. მდიდრული მანტია, თავმდაბლობა და მოხდენილობა. ოლე!

აღტაცებული მეგობრები აქებდნენ გოგონას. ნამდვილი დედოფალია! მისი ფაფუკი თეძოები ჰკუთნებენ შეშლის ადამიანს! მერე რა მკერდი აქვს! მაგრამ ამ დროს ტორერო მოუთმენლად ხელს აიქნევდა. ენას კბილი დააქირეთ! რაც უფრო ნაკლებს ილაპარაკებთ კარმენზე, მით უკეთესი თქვენთვის.

სალამობით, როდესაც ხუანი რიკულებიანი ფანჯრიდან სატრფოს ესაუბრებოდა და მის შავგვრემან სახეს თვალს არ აცილებდა,

მეზობლად მდებარე ღუქნიდან მსახური ყვავილების დიდ თაიგულს და ბოთლ მანსანილიას მოართმევდა. ყოველივე ამას იმიტომ აზ-ზაენიდნენ, რომ „ბინის ქირა გადაეხადა“, ეს კი ძველი სევილიური ჩვეულება გახლდათ, რომელსაც მხოლოდ მაშინ მიძართავდნენ, როცა სატრფო ფანჯრიდან ესაუბრებოდა საქმროს.

— გადაეცი სენიორებს მადლობა. უთხარი, რომ მოგვიანებით შემოვივლი სამიკიტნოში, ისიც უთხარი მონტანიესს, თავს ნუ შეიწუხებს, ყველაფერს გალიარდო გადაიხდის-თქო.

მართლაც, გალიარდო გულს იჯერებდა თუ არა კარმენტან საუბრით, სამიკიტნოსკენ გასწევდა, სადაც ამფსონები ელოდებოდნენ, ტკბილელით დატვირთული მსახური რომ გამოაგზავნეს. იქ ძველი მეგობრები ისხდნენ, ხან კი სრულიად უცნობი ხალხი, რომლებსაც სურდათ მასთან ჭიქა ღვინის დაღევა.

ხუანი, ეს უკვე პროფესიონალური მატადორი, როცა ესპანეთის მოგზაურობიდან ბრუნდებოდა, ზამთრის საღამოებს კარმენტანის სარკმელთან ატარებდა. მას მხარზე გადაეგდო მწვანე შალის ძვირფასი ლაბადა, რომლის სარჩულზე შავი აბრეშუმის ძაფით ყურძნის ფოთლები და არაბესკები იყო ამოჭარგული.

— შენზე ამბობენ, ბევრს სეამსო. — ოხვრით ამბობდა რკინის რიკულზე სახემიბჯენილი კარმენი.

— მიქარავენ! მეგობრები მპატიეებენ და ხანდისხან მეც ვუხდი სამაგიეროს. შენ უნდა გესმოდეს, რომ ტორერო — ეს... ტორერო მონოზანივით ვერ იცხოვრებს.

— იმასაც ამბობენ, ცუდი ყოფაქცევის ქალებთან დახეტიალობსო.

— ტყუილია! აღრე, სანამ არ გიცნობდი, მაშინ კიდევ პო... ეშმაკმა დასწყევლოს! მაინც მიხდა ვიცოდე, ვინ არის ის გათახსირებული, რომელსაც ემაგ ქორები მოაქვს შენთან...

— როდის ვიქორწინოთ? — ეკითხებოდა გოგონა, რათა ხუანისგან აღარ მოესმინა სალანძლავი სიტყვები.

— როგორც კი სახლი აშენდება. მზად ვარ ხვალვე წაგიყვანო. მაგრამ ჩემი რეგვენი სიძე ძალზე აქიანურებს მშენებლობას, თვითონ კარგად მოითბო ხელი და აღარ ჩქარობს.

ასე საუბრობდნენ ისინი ქორწილის მოლოდინში, ქორწილისა, რომელზეც მთელი სევილია ლაპარაკობდა. ბიცოლა და ბიძია, რომელმაც კარმენი შეიღარეს, ანჯუსტიასთან ერთად ხშირად მსჯელობდნენ მათ შეუღლებაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, გალიარდო ჯერ მაინც არ ყოფილა საცოლეს ოჯახში, თითქოს იქ შესვლა

აკრძალული აქვსო. შეყვარებულებს ძველი ჩვეულების მიხედვით, სარკმელთან ერჩივნათ შეხვედრა.

გავიდა ზამთარი. გალიარდო თავის მფარველ სენიორიტო კავალ-კადასთან ერთად სანადიროდ გაემგზავრა. აუცილებელი იყო მუდ-მივი ვარჯიში მომავალი სეზონისათვის. ხუანს ეშინოდა არ დაეკარ-გა თავისი მთავარი ღირსება — სიმკვირცხლე და ძალა.

ხუანის იმპრესარიო, ვინმე დონ ხოსე, დაუცხრომლად აქებდა გალიარდოს ნიქს და იგი თავის „საკუთარ მატადორად“ მიაჩნდა. ჰაბუკი ტორეროს ყველა საქმეში ერეოდა და არ უთმობდა თავის უფლებებს ხუანის ოჯახის წევრებსაც კი. სენიორ ხოსეც მიწის რენტით ცხოვრობდა და მთელი მისი საქმიანობა მხოლოდ და მხოლოდ ხარებსა და მატადორებზე საუბარი იყო. მისთვის ამქვეყ-ნად არაფერი არსებობდა კორიდაზე საინტერესო. მისი აზრით მსო-ფლიო ხალხები ორ ბანაკად იყოფოდა: რჩეულებად, რომლებსაც თავის ქვეყანაში ხართან ბრძოლის არენა ჰქონდათ და ჩაგრულე-ბად, რომელთაც არ იციან რა არის მზე, სიხარული, არც კარგი მანსანილია, და მიუხედავად ამისა, თავს ძლიერად და ბედნიერად თვლიდნენ, თუმც არასოდეს უნახავთ თუნდაც ღატაკი კორიდა, სა-დაც მხოლოდ მოზვერთ ხოცავენ.

დონ ხოსე მხედრული გზნებითა და ურჯუეი ფანატიკოსის გა-ნუსჯელობით ეძლეოდა თავის გატაცებას. ეს ქერა ყმაწვილი, თუმც უკვე ტანსრული და მელოტი მამაკაცი, მრავალრიცხოვანი ოჯახის მამა, ყოველდღიურ ცხოვრებაში მხიარული და დამყოლი ზასიათით გამოირჩეოდა. მაგრამ სასტიკად ცოფდებოდა, თუ ამფი-თეატრში მჯდარი მისი მეზობელი მის აზრს არ ეთანხმებოდა. ხოსე იცავდა თავის ტორეროს და მზად იყო შებრძოლებოდა ყველა ჰაყურებელს, ყვირილით ახშობდა ტაშისცემას, თუ იგი სხვა მატა-უორს ეკუთვნებოდა.

თავის დროზე დონ ხოსე კავალერიაში მსახურობდა. უფრო ცხენების. ვიდრე სამსჯღრო საქმის სიყვარულის გამო. ნაადრევმა სიმსუქნემ და ხართან ბრძოლით გატაცებამ აიძულა სამსახურიდან გადამდგარიყო. ხოსე ზაფხულს ცირკში ატარებდა, ხოლო ზამთარს ააფიში, სადაც დაუცხრომლად მსჯელობდა კორიდებზე. როდესაც ზოსეს აღედგრა სურვილი, გამხდარიყო ხელმძღვანელი, მრჩეველი, ესპანის ნლობით აღჭურვილი პირი, ყველა მეესტროს უკვე ყავდა თავისი რწმუნებული და გალიარდო მისთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო. თუ ვინმეს ოდნავ მაინც შეეპარებოდა ეკვი ახალი ტორეროს ღირსებებში, დონ ხოსე ჰკუაზე იშლებოდა, ტავრომაქიის ირგვლივ ყოველგვარი კამათი პირად შეურაცყოფად მიაჩნდა. ხოსე ტრაბა-

ხით, თითქოს რაიმე საბრძოლო გმირობა ჩაედინოსო, ჰყვებოდა, კაფეში ხელჯოხით როგორ სცემა ორი ენამწარე ქორიკანა, რომლებმაც მისი „მატადორი“ გაიციხეს, მეტისმეტად ლამაზიაო.

ხოსე არ კმაყოფილდებოდა გაზეთებში ხუანის ქებით. იგი ზამთრის მზიან ამინდში სიერპესის ქუჩის კუთხეში დგებოდა, სადაც ხშირად დასეირნობდნენ მისი მეგობრები.

— არა, მას ვერაფერს შეედრება, — ამბობდა იგი ხმამაღლა, ყასადად თავის თავს ესაუბრებოდა და ისეთ იერს ღებულობდა, თითქოს ვერ ამჩნევს მოახლოვებულ მეგობრებსო. — მსოფლიოს უპირველესი მატადორია! აბა გაბედოს და ვინმემ უარყოს! ერთადერთია მსოფლიოში.

— ვისზე ამბობ? — გესლიანად ეკითხებოდნენ მეგობრები, თითქოს არ იცოდნენ, ვისაც გულისხმობდა.

— რა საკითხავია! ცხადია, ხუანზე!

— რომელ ხუანზე?

ხოსე აღშფოთებით და გაკვირვებით მიაშტერდებოდა მათ.

— ველურებო! განა ჩვენ ბევრი ხუანი გყავს. მე ვლაპარაკობ ხუან გალიარდოზე!

— ნამდვილად ჰქუაზე შეცდი! — იცინოდნენ მეგობრები. — პირდაპირ შეყვარებული ხარ მასზე. ცოლად შერთვას ხომ არ აპირებ?

— შევირთავდი კიდევ, მაგრამ ის არ მოისურვებს, — დაუფიქრებლად პასუხობდა დონ ხოსე.

მერე, როცა მოშორებით სხვა მეგობრებს შეამჩნევდა, სწყვეტდა კამათს მქირდავებთან და კვლავ გამომწვევად იმეორებდა.

— არა, მაგისტანა ვინაა! მსოფლიოს უპირველესი მატადორია! ვინც არ მეთანხმება, გაბედოს და კრინტი დაძრას, ჩემთან ექნება საქმე!

გალიარდოს ქორწილი დიდ მოვლენად იქცა. ეს ღღე ახალ სახლში გადასვლას დაემთხვა, მეუნავირე ამყობდა ამ სახლით. თვითკმაყოფილი სიძე აჩვენებდა სტუმრებს პატიოს, ბოძებსა და ჩუქურთმებს, თითქოს ისინი მისი ხელით ყოფილიყო დამზადებული.

ჯვრისწერა შედგა წმიდა პილიის ტაძარში, სასოების მომნიჭებელი ღვთიშობლის ქანდაკების წინ, რომელიც მაკარენის ღვთიშობლის სახელით არის ცნობილი. როცა მაყრიონი ეკლესიიდან გამოვიდა, მზის სხივებზე აელვარდა საპატარძლოს მეგობრების ჩინურ მოსასხამზე დაქარგული ჩიტუნები და უცნაური ყვავილები. მეჯვარედ კორტესების დეპუტატი იყო. თეთრ და შავ ფეტრის ცილინდრებს შორის ნდობით აღჭურვილ პირთა და გალიარდოს

მომხრე სხვა მდიდარ სენიორთა შლიაპები ბრწყინავდა. სენიორები კმაყოფილებით ილიმებოდნენ და მადლიერნი იყვნენ ამ შემთხვევისა, რადგან ყველას დასანახად ტორეროს გვერდით მოდიოდნენ და ამგვარად ინაწილებდნენ მის პოპულარობას.

სახლის ალაყაფთან მთელი დღე მოწყალება რიგდებოდა. ლატაკები განაპირა სოფლიდანაც ჩამოსულიყვნენ, რადგან ამ უჩვეულო ქორწილის ამბავს მათ ყურამდეც მიეღწია.

ახალ სახლში ერთი აურზაური იდგა. მადრიდის გაზეთის კორესპონდენტები წამდაუწუმ ფოტო-აპარატებს აჩნაკუნებდნენ. გალიარდოს ქორწილი ნამდვილ ნაციონალურ ზეიმად გადაიქცა. გვიან ღამემდე ისმოდა გიტარის ხმა. უკრავდნენ ტამს და დაუცხრომლად ჰახუანებდნენ ჯიმჯიმები, წელში გადაზნექილი გოგონები პატარა ფეხებს მარმარილოს ფილებს ურტყამდნენ. სევილიანას* ტაქსე წერწეტა მოცეკვავეთა მდიდრული კაბები და მოსასხამები ფრიალებდა. მდინარესავით იღვრებოდა განთქმული ანდალუსიური ღვინო. წრეში ტრიალებდა ბროლის ჭიქები, რომლებშიც შუშხუნებდა ხერესი და სანლუკარას მარნის ფერლივლივა, არმატული მანსანლია.

ყველა დათვრა. მაგრამ ეს იყო ტკბილი, ოდნავ ნაღვლიანი სიმთვრალე, რაც მხოლოდ და მხოლოდ გამოიხატებოდა ორმა ოხვრაში და სიმღერებში, რომელსაც ყველანი ხმას აყოლებდნენ და ღიღინებდნენ ანდალუსიური ლირიკის უცვლელ მოტივებზე — ციხეზე, სიკვდილსა თუ უბედურ დედაზე შექმნილ სიმღერებს.

ნაშუალამევს სტუმრები დაიშალნენ და ახალგვარდაწერილნი ქალბატონ ანგუსტიასთან დარჩნენ. როცა მეუხნავირე მეუღლით ერთ მექორწილეთა ბინას ტოვებდა, გულდაწყვეტილად ჩაიქნია ხელი. მთვრალი სიძე ძალზე აღშფოთებული იყო, რადგან მთელი დღის განმავლობაში მისთვის ყურადღებაც არავის მიუქცევია; თითქოს ვივინდარა ყოფილიყო! თითქოს ოჯახი არავის არაფრად მიაჩნდა!

— სახლიდან გვაგდებენ, ენკარნასიონ. ეს გოგონა, სახე რომ მაკარენის ღვთისმობელს მიუგავს, სახლის სრული დიასახლისი გახდება და ჩვენ აღარაფრის იმედი არ უნდა ვიქონიოთ. აი, ნახე. უამრავი შვილი ეყოლებათ.

შვილების მკეთებელი ქმარი ცოფდებოდა იმის გაფიქრებაზე, რომ მატადორს შთამომავლები ეყოლებოდა; რადგან ისინი გაჩნდ-

* ანდალუსიური ხალხური ცეკვა.

ბიან ამქვეყნად მხოლოდ იმ მიზნით, რომ მის შვილებს ლუქმა გა-
ჰოსტაცონ.

ღრო მიდიოდა. გავიდა ერთი წელი, მაგრამ ანტონიოს წინასწარ-
მეტყველება არ მართლდებოდა. გალიარდო ყველა ზეიმს ცოლთან
ერთად ესწრებოდა. ისე ძვირფასად ეცვათ, როგორც ეს მდიდარსა
და გამოჩენილ პიროვნებებს შეეფერება. კარმენს მოეხვია ძვირ-
ფასი მოსასხამი, რითაც ალტაცებაში მოდიოდნენ ღარიბი ქალები.
გალიარდო კი ბრილიანტებში ბრწყინაედა და ყოველ წუთს მზად
იყო დაეპატიჟა მეგობრები, ან ფული ეჩუქებინა ღარიბთათვის,
რომელნიც გუნდ-გუნდად დასდევდნენ. შავგვრემანი, ენაჭარტალა
ბოშა ქალები გრძნეულივით სასიხარულო ამბებს უწინასწარმეტყ-
ველებდნენ კარმენს. ღმერთმა ხელი მოუმართოს! თვალებზე ეტყო-
ბა მზესავით ღამაზი ბიჭი ეყოლება. ჰა და ჰა, საცაა, ბავშვი დაი-
ბადება...

მაგრამ ბედნიერი კარმენი ტყუილუბრალოდ წითლდებოდა და
ამაოდ ხრიდა მორცხვად წამწამებს. ამაოდ იჭიმებოდა შვილის შე-
ძენით გაამაყებული ესპადა. ბავშვი არ ჩანდა...

ასე გავიდა მეორე წელიც, ცოლ-ქმრის ოცნება კი არ სრულდე-
ბოდა. ქალბატონი ანგუსტიასი ღონდებოდა, როცა საუბარი მოუ-
ლოდნელ იმედგაცრუებაზე ჩამოვარდებოდა ხოლმე. თუმც მას
უკვე ყავდა შვილიშვილები, რომლებიც მეუნაგირის ბრძანებით
მთელ ღამეს ბებიასთან ატარებდნენ და ყოველნაირად ცდილობ-
დნენ სახელგანოქმული ბიძისთვის ეამებინათ, მაგრამ ქალბატონ
ანგუსტიასს ძალზე სურდა გამოესყიდა ხუანის წინაშე აღრინდელი
შეცოდებანი და მისი ბავშვის აღზრდაზე ოცნებობდა, უნდოდა
ბავშვში ჩაექსოვა ის სიყვარული, რომელსაც მოკლებული იყო
მისი შვილი ბალდობისას.

— მე ვიცი მიზეზი, — ნაღვლიანად ამბობდა ის. — საცოდავ კარ-
მენს ნერვები აქვს აშლილი. უნდა ნახოთ რა დღეშია, როდესაც
ხუანი ესპანეთში მოგზაურობს.

ზამთარში, როდესაც ტორერო შინ იჯდა და ხანდახან მცირე
ხნით სოფელში ხარების სანახავად ან სანადიროდ წავიდოდა, ყვე-
ლაფერი რიგზე იყო. კარმენი თავს ბედნიერად გრძნობდა, რადგან
იცოდა, რომ ქმარს ხიფათი არ მოელოდა. მთელი დღე იცინოდა,
მადიანად ჭამდა და მისი ქორთა სახე ვარდისფრად ღვიოდა. მაგ-
რამ გაზაფხულზე, როცა ხუანი კვლავ ესპანეთის ქალაქებში მოგ-
ზაურობდა, საცოდავი კარმენი თითრდებოდა, სუსტდებოდა და
მწუხარებისაგან გაშეშებული, ფართოდ გახელილი თვალებით მიშ-

ტერებოდა რაღაც შორეულ საგანს და ხიფათის გახსენებაზე მხად იყო ცრემლად დაღვრილიყო.

— ხუანს წელს სამოცდათორმეტი კორიდა აქვს, — ამბობდნენ მეგობრები, როცა მის ხელშეკრულებებს ითვლიდნენ, — მას ყველა მანესტროზე მეტი ბრძოლა მოუხდება.

კარმენი ტანჯულივით იღიმებოდა. სამოცდათორმეტი დღე მწყურვალავით ელოდა დეპეშებს, ამასთან, მიღებისაც ეშინოდა და წვალობდა ისე, როგორც დამნაშავე საკანში, სიკვდილით დასჯის წინ.. შორს წასულის ბედზე გავლენას ხომ არ მოახლენს ცრუმორწმუნოებრივი წინათგაძნობითა და მოუსვენარი შიშით აღსავსე სამოცდათორმეტი დღის მანძილზე ლოცვისას შემთხვევით გამორჩენილი სიტყვა!.. ამ სამოცდათორმეტ დღეს წვალებით ატარებდა კარმენი უდარდელ შინაურებთან ერთად მშვიდ სახლში, სადაც ზანტად და უშფოთველად ცვლიდა დღე დღეს, თითქოს ქვეყნად უჩვეულო არაფერი მომხდარაო. ოთახებში კვლავინდებურად გაისმოდა დისწულების ლალი კისკისი, ხოლო ქუჩიდან ყვავილების გამყიდველის გაბმული ძახილი. იმ დროს, აქედან შორს, უცნობ ქალაქში, ხუანი ათასი მაყურებლის თვალწინ გააფთრებულ მხეცთან ორთაბრძოლაში ჩაბმულიყო და ყოველი მისი აღისფერი ლაბადის მოქნევა სიკვდილის გამოწვევას უდრიდა.

ო, ამ კორიდის დღეებში, ამ ნაციონალური ზეიმის დღეებში, როცა ცა ჩვეულებრივზე ლამაზი გგონია, დაცარიელებულ ქუჩებში მხოლოდ ადრიან გამელელთა ხაბიჯის ხმა ისმის, ხოლო სამიკიტნოებში გიტარის ჟღერასთან ერთად სიმღერა და ტაში იფრქვევა, თვალეებზე მანტილია ჩამოფარებული, ღარიბულად მოსილი კარმენი შინიდან გამოდის და თითქოს საშინელი კომპარისგან თავის გადარჩენა სურსო, თავშესაფარს ტაძარში ჰპოვებს. შიშით ატანილ ცრუმორწმუნე ქალს საშინელი წინათგაძნობა ერთი სალოცავიდან მეორისკენ მიაქანებს. მერე დაოსებულს გონი ეხსნება და წმიდანთა სასწაულებრივ ძალას ერთმანეთს ადარებს. კარმენს აურჩევია ყველასაგან აღიარებული წმიდა პილიის ტაძარი, რომელიც მისი ცხოვრების უბედნიერესი დღის მოწმე იყო. იგი მაკარენის წმიდა ქალწულის წინაშე მუხლს მოიდრეკს, დაანთებს სანთლებს. უამრავ ბზის სანთელს, და მის მოწითალო შუქზე დაძაბულად შესტკერის ქანდაკებას, გრძელ წამწამქვეშ მის შავ ოჯალებს კარმენის თვალეებს რომ ადარებენ. ახალგაზრდა ქალს სჯერა ამ ქანდაკებისა. ტყუილად კი არ ქვია სასოების მომნიჭებელი ღვთიშობელი! ეს ქანდაკება თავისი ღვთიური ძალით ხუანს ხიფათისაგან დაიცავს.

მაგრამ ერთ დღეს ქალის გულში შიშმა დაისადგურა. ღვთიშო-

ბელი ხომ ქალია!.. ქალებს კი ძალზე ცოტა უფლებები აქვთ! მათი ხვედრი მხოლოდ ტანჯვაა და ცრემლი: ერთნი ქმარს დასტირიან. მეორენი — შვილს. არა, მასზე დაყრდნობა შეუძლებელია, უფრო საიმედო და ძლიერი ქომაგი უნდა ეძიოს!

და აი, კარმენი უყოყმანოდ სტოვებს მაკარენის ღვთიშობელს იმ ეგოისტ ადამიანივით, რომელიც მძიმე წუთებში თავს ანებებს უძლურ მეგობარს. კარმენი მიიჩქარის წმიდა ლავრენტის ტაძარში, იესო ქრისტესთან, დიად უფალთან, კაცთან, რომელიც ჯვრის მძიმე ტვირთით წელში მოხრილა და თავს ეკლიანი გვირგვინი ადგას. მონტანიესის * მიერ გამოძეწილი ეს ქანდაკება მორწმუნეთ უნებლიე შიშს შთაუწერავს. ჯვრის სიმძიმით ტანჯული ნაზარეველი ეკლიან გზას გასცქერის და მისი მზერა კარმენს დარდს უმსუბუქებს. დიდი უფალი! ყოვლადძლიერის სახელი ამშვიდებს კარმენს. მას სჯერა, რომ სოსანისფერი ხავერდით მოსილი ღმერთი შეისმენს მის ვედრებას. კარმენი ძალზე სწრაფად, თავბრუდამხვევი სიჩქარით კითხულობს ლოცვას და ცდილობს თითოეულ სიტყვაში რაც შეიძლება მეტი გრძნობა ჩააქსოვოს და უკვე ღრმად სწამს, რომ ხუანს ხიფათი ასცილდება.

კარმენი მსახურს სანთლის ფულს აძლევს, ცეცხლის ათრთოლებულ ალში დიდხანს შესცქერის ქრისტეს ქანდაკებას და ეჩვენება თითქოს მის სახეს, რომელიც ხან ნათდება. ხანაც კვლავ ბნელში შთაინთქმის სიხარულის, ნუგეშის მომნიჭებელი ღიმილი დასცემციმებს.

და ყოვლადძლიერი არც უმტყუნებდა კარმენს იმედებს. შინ დაბრუნებისას მას ცისფერი დეპეშა ელოდა, რომელსაც ხელის კანკალით ხსნიდა და კითხულობდა: „ყველაფერი რიგზეა“. ბოლოს და ბოლოს, შეიძლება სულის მოთქმა და დაძინება, ისე, ვით სასჯელისაგან დროებით გათავისუფლებული დამნაშავე მიიძინებს ხოლმე. შაგრამ ორი-სამი დღის შემდეგ ქალს კვლავ ხიფათის პირისპირ მდგომი ქმარი ელანდებოდა და ეს საშინელი, უცნაური ტანჯვა ისევ თავიდან იწყებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ კარმენს ქმარი ძალზე უყვარდა, გული ხშირად სიბრაზით ევსებოდა. ო, გათხოვებამდე რომ სცოდნოდა, რას ნიშნავს ასეთი ცხოვრება! ხანდახან კარმენი ხუანის კვადრილიაში მყოფ ტორეროების ცოლებთან მიდიოდა, რათა საერთო მწუხარებაში ეპოვა ნუგეში, მისთვისაც ეთქვათ თანაგრძნობით სავსე სიტყვა.

* ხუან მარტინესი (1568 — 1649) — ცნობილი ესპანელი მოქანდაკე.

ნასიონალის მეუღლე, რომელსაც იმავე რაიონში სახაშე ჰქონდა გახსნილი, მაესტროს ცოლს გულდამშვიდებული ზედებოდა, მის შიშს არ იზიარებდა. შეჩვეული იყო ამგვარ ცხოვრებას. პასუხი არ ჩანს, ესე იგი ქმარი ცოცხალია და ჯანმრთელადაა. დეპეშა აყირი ღირს და ბანდერილიეროს კი ძალზე ცოტა ფული აქვს. თუ გაზეთის გამყიდველები უბედურ შემთხვევას არ გაჰყვირიან, მაშასადამე, არაფერი მომხდარა. ნასიონალის მეუღლე დინჯად განაგრძობდა მუშტრების მომსახურებას...

ხანდახან კარმენი ხიდს გადასჭრიდა და მიდიოდა ტრიანისკენ, სადაც საქათმესავით ქოხში ცხოვრობდა პიკადორ პოტახეს ბოძასავით შავგვრემანი მეუღლე, რომელიც მუდამ შავტუხა ბავშვებით იყო გარშემორტყმული და მრისხანედ უყვიროდა მათ. მაესტროს ცოლის მოსვლა მასში სიამაყეს იწვევდა. ხოლო კარმენის შიშზე მას მხოლოდ ელიმებოდა: საშიში არაფერია. ამასთან მატადორი ცხენზე კი არ ზის, ფეხზე დგას და როგორმე მოახერხებს აიცილინოს ხარის რქა. სენიორ ხუან გალიარდო ხომ თავისი საქმის ოსტატია. ყველაზე საშიში რქა კი არ არის, ცხენიდან გადმოვარდნაა პიკადორის ბოლო ცნობილია: თუ მთლიანად ძვლები არ დაემტვრა და ადგილზევე არ მოკვდა, საგიეეში ამოხდება სული. საცოდავ პოტახესაც ეს ზვედრი ელის და ყველა ამ წამებისათვის გასამრჯელოდ იღებს საცოდავ ღუროს მაშინ, როცა სხვები... სათქმელს იგი ამთავრებდა, მხოლოდ თვალეში უელავდა ბრაზიანი ნაპერწკლები და გაბოროტებული იყო ბედის უკუღმართობაზე და იმ ახალგაზრდებზე, რომელთაც ხელთ იგდეს დაშნა და იმკიან ტაშს, დიდებას, ფულს და ამასთან, იგივე ხიფათი მოელით, როგორც მშვიდ პიკადორებს.

კარმენი თანდათანობით მიეჩვია ახალ ცხოვრებას. ჯავრი და ლოდინი კორიდის დღეებში, ეკლესიაში სალოცაეად სიარული და ცრუმორწმუნეობრივი წინათგრძნობა, ყოველივე ეს თავისი არსებობის გარდაუევალ ბოროტებად მიიჩნია. ამასთან, ქმრის წარმატებებმა და გამუდმებულმა ლაპარაკმა იმაზე, რომ სარბიელზე ყოველნაირი ხიფათი შეიძლება შემთხვევს კაცსო, კარმენი შიშსაც მიაჩვია. მძევინვარე ხარი მის წარმოდგენაში გადაიქცა კეთილშობილ, გონიერ ცხოველად, რომელიც ამქვეყნად მხოლოდ იმისათვის გაჩენილა, რომ მატადორს ფული და დიდება მიანიჭოს.

კარმენი კორიდას არ ესწრებოდა. მას შემდეგ, რაც საქმრო პირველად ნახა ნოვილიადაზე, ცირკში აღარ წასულა. ქალს არ უოფნიდა გამბედაობა ექცირა ხართან ბრძოლისათვის მაშინაც, როცა მისი ქმარი არ მონაწილეობდა. კარმენი ხომ შიშით მოკვდებოდა, საფრთხეში მყოფი გალიარდო რომ დაენახა.

ქორწინების შემდეგ სამი წელი გავიდა და აი, ვალენსიაში ხარმა რქაზე წამოაგო ესპადა. კარმენმა დროულად ვერ შეიტყო თავს დამტყდარი უბედურება. მართალია, დეპეშა თავის დროზე მოვიდა, მაგრამ შიგ ჩვეულებისამებრ ეწერა: „ყველაფერი რიგზეა“. ეს გალიარლოს რწმუნებულის დონ ხოსეს ოინი გახლდათ. იგი ყოველდღე დადიოდა მაესტროს სახლში და ძალზე მოხერხებულად უმაღავდა კარმენს გაზეთებს, ისე რომ, ახალგაზრდა ქალმა ქმრის უბედურების შესახებ არაფერი იცოდა.

კარმენმა ენაქართალა მეზობლისაგან შეიტყო მომხდარი ამბავი და გადაწყვიტა დაუყოვნებლივ წასულიყო ქმრის მოსაველეად, რომელიც მისი წარმოდგენით, ბედის ამარა ეგდო სადღაც. მაგრამ დაავიანდა. ვიდრე იგი გაემგზავრებოდა, ესპადა ჩამოვიდა. ფეხი გაშეშებული ჰქონდა, უამრავი სისხლის დაკარგვის გამო გაფითრებულიყო, მაგრამ ოჯახის წევრები რომ დაეწყინარებინა, მხნედ ილიმებოდა.

ამ დღიდან ხუანის სახლი თავისებურ ტაძრად იქცა. ასობით ადამიანმა გაიარა პატიო, რათა ხუანს მისალმებოდა.

„მსოფლიოს უპირველესი მატადორი“ დაწულ სავარძელში იჯდა, ავადმყოფი ფეხი ტაბურეტზე ედო, პაპიროსს ეწეოდა, აქაოდა განსაკუთრებული არაფერი მომხდარაო.

ხუანს სევილიაში დასტაქარი რუისი ჩამოყვა. იგი გააოცა ტორეროს ჯანმრთელმა ორგანიზმმა და ერთი თვეც არ გასულიყო, რომ განაცხადა: ხუანი მთლად გამოჯანმრთელდაო. მიუხედავად იმისა, რომ დასტაქარს დიდი პრაქტიკა ჰქონდა, რომლის მეშვეობით სწრაფად იკურნებოდნენ ტორეროები, ხუანის გამოჯანმრთელება მისთვის მაინც გამოცანად დარჩა. ცხოველის გასისხლიანებული, ნეხვით დასვრილი, ნემსის წვერივით წვეტიანი რქები ხშირად სხეულის შიგნით აღწევდა, გლეჯდა კუნთებს, შლიდა ქსოვილს, მაგრამ ეს საშინელი ჰრილობები სხვა ჰრილობაზე ადრე ხორცდებოდა.

— ვერ გამიგია რაშია საქმე, — გაკვირვებით იტყოდა ხოლმე ნაცადი ქირურგი. — ორში ერთია: ან ამ ვაჟკაცებს ძალღივით უხორცდებათ ყველაფერი, ანდა რქებს, სიბინძურის გარდა გააჩნია რაღაც საიდუმლო შემხორცებელი თვისება.

და აი, ცოტა ხნის შემდეგ გალიარლო კვლავ ასპარეზზე გამოვიდა. ჰრილობებმა ოდნავაც ვერ გაანელა მისი ჰაბუყური მგზნებარება და გამბედაობა, რომელსაც ასე წინასწარმეტყველებდნენ მეშურნენი.

ქორწინებიდან ოთხი წლის შემდეგ ესპადამ ცოლსა და დედას

შესანიშნავი სიურპრიზი მიაართვა. შეიძინა უზარმაზარი სახნავი მიწა, ნამდვილი მამული თავისი წისკვილებით, ზეთისხილის ბაღებით, საძოვრებით, ისეთივე, როგორსაც სევილის მდიდარი სენიორები ფლობდნენ.

ყველა ტორეროს მსგავსად გალიარდოც ოცნებობდა მემამულე გამხდარიყო, მოეშენებინა რემა, ფარა და ნახირი. მოქალაქის სიმდიდრე — ფასიანი ქაღალდები და სხვა ამგვარი რამ არ იზიდავენ მატადორებს, ისინი მათში ვერაფერს ხედავენ საინტერესოს. ხარები მატადორებს მწვანე საძოვრებს აგონებენ, ხოლო ცხენები სოფლის ცხოვრებას. მუდმივი ვარჯიშის აუცილებლობა, შორეულ მხარეებში მოგზაურობა და ნადირობა ზამთრობით, აიძულებს მათ საკუთარ მიწაზე იოცნებონ.

გალიარდოს მხოლოდ მიწის მფლობელი და მესაქონლე მიაჩნდა მდიდრად. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ღარიბი ბაღი იყო და ფეხშიშველა დახტოდა ზეთისხილის ბუჩქებსა და საძოვრებზე, ოცნებობდა საკუთარი მიწის, უზარმაზარი მიწის შეძენაზე, შემოღობილი რომ იქნებოდა ეკლიანი მავთულით და უცნობ სულიერს შიგ ვერ შეედწია.

ხუანის რწმუნებულმა დონ ხოსემ იცოდა მისი ოცნება. იგი ხუანის შემოსავალს ითვლიდა და ცდილობდა „თავისი მატადორისათვის“ მიწა შეეძინა.

— მაგეებისა არაფერი გამეგება, — ეუბნებოდა უბირი გალიარდო რწმუნებულს, — ჩემი საქმე ხარების ქლეტაა. მოიქეცი, როგორც საჭიროდ მიიჩნევთ. დონ ხოსე, მე თქვენ გენდობით და ვიცი, რომ ყველაფერს გააკეთებთ უნაკლოდ.

და დონ ხოსეც, რომელსაც ბუნდოვნად აგონდებოდა საკუთარი საქმეები, რომელსაც ძლივს აუდიოდა მისი ცოლი, მთლიანად ეძლეოდა გალიარდოს კაპიტალზე ზრუნვას და ძუნწ მევასშესავით ყიდულობდა აქციებს ტორეროსათვის, მხოლოდ და მხოლოდ ხუანის სიმდიდრეზე ფიქრობდა.

ერთხელ დონ ხოსე კმაყოფილი ღიმილით მიუახლოვდა სამეურვეოს.

— მოგიძებნე სწორედ ის, რაც გჭირდება. უზარმაზარი ადგილმამული, ამასთან შესაფერის ფასში — ნამდვილად ნაპოვნია, მომავალ კვირას ნასყიდობის ქაღალდსაც ხელს მოაწერთ.

გალიარდო შეეკითხა, სად მდებარეობს და რა ჰქვია იმ ადგილმამულსო.

— იმ ადგილს ჰქვია რინკონადი.

ასე განხორციელდა ზუანის დიდი ხნის ოცნება.

როცა გალიარდო ცოლთან და დედასთან ერთად რინკონადში გაემგზავრა, რათა მამულის მმართველობა მიეღო, უჩვენა მათ საბძელი, სადაც ისა და მისი მაწანწალა მეგობრები ღამეს ათევდნენ, სასადილო, სადაც მეპატრონესთან ერთად სადილობდა და მოედანა, სადაც დასკრა ხარი და პირველად მოიპოვა მატარებლით მგზავრობის უფლება.

III

ზამთარში როცა გალიარდო არ მიემგზავრებოდა რინკონადს, ქალაქად მისი სახლის სასადილოში, სალამოობით მეგობრები იკრიბებოდნენ.

ყველაზე ადრე მისი სიძე და და მოდიოდა. მათი უმცროსი ბავშვები მუდმივად მატადორის სახლში ცხოვრობდნენ. კარმენი ცდილობდა დაეთრგუნა სევდის მომგვრელი აზრი უშვილობაზე, დიდი სახლის მდუმარება ტანჯავდა და სიამოვნებით იტოვებდა მულიშვილებს. პატარები კარმენს გულწრფელად შეეთვისნენ, ნაწილობრივ სიყვარულის, ხოლო ნაწილობრივ მშობლების დარიგების გამო. ისინი ყოველ წუთს კატის კნუტებივით ეხვეოდნენ ლამაზ ბიკოლას და კეთილსა და სახელოვან ბიძას.

ენკარნასიონი დედამისივით გასქელდა, ხშირი მშობიარობის გამო მუცელი ტომარასავით ეკიდა და ტუჩები მლიქვნელივით დამანჭოდა. იგი ფარისევლურად უღიმოდა კარმენს და წამდაუწუმ ებოდიშებოდა, ალბათ ბავშვები გაწუხებენო.

მაგრამ ვიდრე კარმენი პასუხს მიუგებდა, ლაპარაკში მეუნაგირე ჩაერეოდა:

— ცოლო, თავი დაანებე. ბავშვებს ძალიან უყვართ თავისი ბიკოლა და ბიძა! პატარები ვერ სძლებენ საყვარელი ბიკოლა კარმენის გარეშე...

დისწულები გალიარდოსთან ისე ცხოვრობდნენ, როგორც საკუთარ სახლში და ბავშვური ეშმაკობით ხვდებოდნენ, თუ რას მოითხოვდნენ მათგან მშობლები. წამდაუწუმ კოცნიდნენ და ეალერსებოდნენ მდიდარ ნათესაებს, რომლებსაც ყველა პატივისცემით იხსენიებდა. ვახშმის შემდეგ ბავშვები ხელზე კოცნიდნენ ბებიასა და მშობლებს, კისერზე ეხვეოდნენ გალიარდოსა და მის მეუღლეს, და დასაძინებლად მიდიოდნენ.

ქალბატონი ანგუსტიასი ჩვეულებისამებრ მაგიდის თავში, სავარძელში იჯდა. როცა გალიარდოსთან იკრიბებოდნენ საპატიო

სტუმრები, და ისინი თითქმის მუდამ აქ იყვნენ, კეთილ მოხუცს არ სურდა ამ სავარძლის დაკავება.

— არა, — მტკიცედ ეტყოდა გალიარდო, — დედოკო ჩვენი თავმჯდომარეა. დაჯექი, დედა, თორემ ჩვენ არ ვისადილებთ.

გალიარდოს ალერსით მაგიდასთან მოჰყავდა დედა, თითქოს სურდა სიყვარულითა და ზრუნვით დაეჯილდოვებინა ის ტანჯუაწამება, რაც ბავშვობაში მოხეტიალე ცხოვრებით მშობელს მიაყენა.

როცა სადამოს მოვიდოდა ნასიონალი, რომელიც მაესტროსთან სტუმრობას ბანდერილიეროს მოვალეობად სთვლიდა, საზოგადოება შესამჩნევად გამოცოცხლდებოდა ხოლმე. თავშიშველა, ნაწნავაჩეჩილი, მემამულესავით ძვირფას ბეწვის ქათიბში გამოწყობილი გალიარდო მხიარულად ესალმებოდა ბანდერილიეროს. აბა, რას ამბობენ მოყვარულები? რა ქორებიია ქალაქად? როგორაა რესპუბლიკის საქმე?

— გარაბატო, ჭიქა ღვინო დაუსხი სებასტიანს.

მაგრამ სებასტიანი, რომელსაც ზედმეტ სახელად ნასიონალი ერქვა, უარს ამბობდა ღვინოზე. არა, არა, ღვინო არ მინდა, არ ვსვამ. სწორედ ღვინოა მიზეზი მუშათა კლასის ჩამორჩენილობისა. ამ სიტყვებზე ყველა ხარხარებდა. თითქოს ისეთი სასაცილო რამ ითქვა, რომელსაც მოუთმენლად ელოდნენო.

მარტო მეუნაგირე იჯდა ჩუმად და ბრაზიანად შესცქეროდა ნასიონალს, რომელსაც თავის მოქიშპედ თვლიდა. ბანდერილიერო წვრილშვილი იყო. ბავშვების მთელი ჯოგი ტრიალებდა მის დუქანში. ორი პატარა ბავშვი გალიარდოსა და მისი მეუღლის მონათლული იყო. მამასადამე, ბანდერილიერო და გალიარდო დამოყვრდნენ. საძაგელი პირმოთნე! ყოველდღე აქ მოჰყავს საზეიმოდ გამოწყობილი ბავშვებო, რათა ნათლიას ხელზე ეამბორონ. მეუნაგირე ბრაზით ფითრდებოდა, როცა ნასიონალის ბავშვები რაიმე საჩუქარს მიიღებდნენ. ეს ლეკვები ყველფენ მის ბავშვებს. ნათლიისაგან ქონების ნაწილსაც ხომ არ ინებებს ბანდერილიერო! ქურდი! კაცი, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ოჯახთან!

მეუნაგირე ნასიონალის სიტყვებს ხედებოდა ბოროტი დუმილითა და დამპინავი გამოხედვით, ანდა ცდილობდა როგორმე ეწყენინებინა მისთვის და ამბობდა, რომ დასახვრეტია ყველა, ვინც ხალხში შფოთს თესავს და ხიფათს უქმნის წესიერ ადამიანებსო.

ნასიონალი ათი წლით უფროსი იყო მაესტროზე. როცა გალიარდომ კორიდებზე მოხალისედ დაიწყო გამოსვლა, ნასიონალი ამე-

რიკიდან დაბრუნდა, სადაც ლიმის * სარბიელზე ხარებს ხოცავდა და როგორც ბანდერილიერო, მონაწილეობდა კიდევ სახელმწიფო-ქილ კვადრილიებში. კარიერის დასაწყისში, როცა ნასიონალი ახალგაზრდა და მოხდენილი იყო, ასე თუ ისე სახელი გაითქვა. ერთ დროს „კარგი მომავლის მქონე ტორეროდაც“ ითვლებოდა. სევილიელ თაყვანისმცემლებს იმედი ჰქონდათ, რომ ნასიონალი დაჩრდილავდა სხვა ქალაქის მატადორებს. მაგრამ ეს იმედი არ გაუშართლდათ. ამერიკიდან დაბრუნებული, შორეულ წარმატებათა ბუნდოვანი დიდებით მოსილი ნასიონალი, როგორც მატადორი, სევილიის ცირკში გამოდიოდა. ხალხი მიაწყდა ცირკს. ათასობით მაყურებელი უბილეთოდ დარჩა და სწორედ აქ, გადამწყვეტი გამოცდის წინ, „გამბედაობამ უღალატა“, როგორც ამბობენ მისი თაყვანისმცემლები. ის გაბედულად ასობდა ბანდერილიას, პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას, როგორც გამოცდილი, დახელოვნებული მუშაკი, მაგრამ როცა საჭირო გახდა სასიკვდილო დარტყმა, თავდაცვის ინსტინქტი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მისი ნებისყოფა, რამაც აიძულა ხარისგან შორს ყოფილიყო და ამგვარად, ვერ შესძლო თავისი უპირატესობის — მაღალი ტანისა და ძლიერი ხელების გამოყენება.

ნასიონალმა უარი თქვა მატადორის დიდებულ სახელზე. მხოლოდ ბანდერილიეროს წოდებით დაკმაყოფილდა. დაემორჩილა ბედს, გახდა მედლეური, ამასთან ეხმარებოდა გაცილებით მასზე ახალგაზრდებს და ამგვარად, მძიმე შრომის საფასურად იღებდა გროშებს, რათა ცოლ-შვილი გამოეყვება და გადაენახა ცოტაოდენი თანხა, რითაც საშუალება მიეცა, რამდენიმე ხნის შემდეგ პატარა სახაშე გაეხსნა. ტორეროებს შორის იგი ცნობილი იყო თავისი სიკეთითა და კეთილშობილებით. გალიარდოს მეუღლეს ძალზე უყვარდა ნასიონალი და დარწმუნებული იყო, რომ ბანდერილიერო, როგორც მფარველი ანგელოზი, გალიარდოს საშუალებას არ მისცემდა მისთვის ეღალატა.

როცა საზაფხულო მოგზაურობის დროს გალიარდო თავისი კვადრილიით კაფეშანტანში მიდიოდა, რათა ღვინოსა და საერთო ღრეობაში დაევიწყებინა ძნელად მოპოვებული გამარჯვება, მკაცრი და მღუმარე ნასიონალი ისე დაბრძანდებოდა ხოლმე ფერუმარილით სახემოთხუპნულ თხელკაბიან მომღერლებს შორის, როგორც განდევნილი ალექსანდრიის მეძავთა წრეში.

მას სრულიად არ აშფოთებდა ირგვლივ გამეფებული ქეიფი,

* პერუს დელაქალაქი.

მხოლოდ ნაღვლიანად აგონდებოდა სევილიაში მყოფი ცოლ-შვილი. ყველა უბედურება და ნაკლი, რომელიც ქვეყნად არსებობდა, მისი აზრით, უმეცრების შედეგი იყო. ალბათ ამ საცოდავმა ქალებმა წერა-კითხვაც არ იციან. ის თვითონაც გაუნათლებელია. სწორედ ამ მიზეზით ხსნიდა ნასიონალი თავის არარაობას, უუნარობას და მზად იყო რაც კი ქვეყნად უბედურება არსებობდა, ამ მიზეზისთვის მიეწერა.

ახალგაზრდობაში ნასიონალი „მშრომელთა ინტერნაციონალის“^{*} აქტიური წევრი გახლდათ. იგი გულდასმით უსმენდა ხელმძღვანელებს, რომელნიც მასზე ბედნიერნი იყვნენ, შეეძლოთ ხალხის უკეთესი მერმისისათვის საბრძოლველად მიძღვნილი გაზეთების ხმამაღალი წაკითხვა. ნაციონალურ ლაშქრობაში ჯარისკაცობამ გაიტაცა და ატარებდა წითელ ქუდს—შეურიგებელ^{**} ფედერალისტთა სიმბოლოს. მთელ დღეებს იგი მოედნებზე წამოკიმულ ტრიბუნების წინ ატარებდა, სადაც სხვადასხვა კლუბის ორატორები დღედაღამ ერთმანეთს ცვლიდნენ და ანდალუსიური ენამკვევრობით ქრისტეს ღვთიურ წარმოშობასა და პირველ მოთხოვნილებათა ნივთების ფასების ზრდაზე მსჯელობდნენ. დადგა რეპრესიის ხანა. და მისთვის, მემამოხე სულისკვეთებით ცნობილი მუშისთვის, ყველა დაწესებულების კარი დახშული აღმოჩნდა.

ნასიონალი ქაბუკობიდანვე გაიტაცა ხართან ბრძოლამ. ოცდაოთხი წლისა უკვე ტორერო გახდა, მას ასევე შეეძლო ამ ასაკში სხვა ხელობასაც დაუფლებოდა. ერთი სიტყვით, ბევრი რამ ისწავლა და სიძულვილით ლაპარაკობდა თანამედროვე საზოგადოების უსუსურობაზე. — ტყუილუბრალოდ კი არ უსმენდა რამდენიმე წელი ამხანაგებს, რომლებიც გაზეთებს უკითხავდნენ. რაც არ უნდა ძნელი იყოს არენაზე ყოფნა, იქ უფრო მეტს გამოიმუშავენს კაცი და იცხოვრებს გაცილებით უკეთ, ვიდრე ყველაზე დახელოვნებული მუშა. ხალხს ახსოვდა მხარზე თოფგადაკიდებული სახალხო მილიციელი და ამიტომ შეარქვეს ნასიონალი.

* მშრომელთა ინტერნაციონალი, უფრო ზუსტად, საერთაშორისო მუშათა ამხანაგობა, საერთაშორისო მასობრივი ორგანიზაცია, რომელიც 1864 წელს შექმნეს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა. მან იარსება 1876 წლამდე. ამ ორგანიზაციის სექცია ესპანეთშიც არსებობდა.

** XIX საუკ. მეორე ნახევარში ესპანეთის მუშათა უმრავლესობა ფედერალისტურად იყო განწყობილი. ფედერალისტები მოითხოვდნენ ცენტრალური ხელისუფლების შეზღუდვის ხარჯზე გაეფართოებინათ ზოგიერთი პროვინციის უფლებები. ეს მოთხოვნები ესპანეთის პირობებში რეაქციული იყო, რადგან ასუსტებდა მუშათა კლასის ერთიანობას.

როცა ლაპარაკი ჩამოვარდებოდა იმ პროფესიაზე, რომელსაც ნასიონალი დიდხანს ეწეოდა, იგი თავის გამართლებას ცდილობდა. რაიონულმა კომიტეტმა დაადგინა, პარტიიდან გაერიცხათ კორიდის მონაწილენი, როგორც ბარბაროსები და რეტროგრადები, მაგრამ ნასიონალი, როგორც გამონაკლისი, არ გაურიცხავთ და დაუტოვეს გადამწყვეტი ხმის უფლება.

— მე ვიცი, — ამბობდა იგი გალიარდოს სახლში სტუმრად ყოფნისას, — ხართან ბრძოლა რეაქციული მოვლენაა... იმდაგვარი, ინკვიზიციის დროს რომ იყო. არ ვიცი, მართალს ვამბობ თუ არა, მაგრამ ხალხს განათლება სჭირდება, ისე, როგორც პური. არ ვარგა. როცა ჩვენს საყურებლად ამდენ ფულს ხარჯავენ, როცა სკოლები ძალზე ცოტაა ასე წერენ მადრიდის გაზეთები. ამხანაგები მე მათესებენ და კომიტეტმა, დონ ხოსელიტოს მოხსენების შემდეგ, გადაწყვიტა პარტიაში ჩემი დატოვება.

გალიარდო და მისი მეგობრები ამგვარ განცხადებას დაცინვით უპასუხებდნენ, მაგრამ ნასიონალის ურყევ სიმშვიდეში გამოიხატებოდა სიამაყე, რომ ამხანაგებმა მისი გულისთვის ასეთი საპატიო გამონაკლისი დაუშვეს.

დაწყებითი სკოლის მქვერმეტყველი მასწავლებელი დონ ხოსელიტო რაიონულ კომიტეტს ხელმძღვანელობდა და პოლიტიკურ ბრძოლაში მაკაველთა * გზება შეჰქონდა. იგი იყო ებრაული წარმოშობის, შეეგვრემანი, ულამაზო, სახენაყვავილარი ახალგაზრდა რითაც რამდენადმე დანტონს ** მოჰგავდა. ნასიონალი მას მუდამ პირდაღებული უსმენდა.

როცა დონ ხოსე, გალიარდოს რწმუნებული და მესტროს სხვა მეგობრები, ხუმრობით ცდილობდნენ უგნური მოსაზრებებით გაექარებინათ ნასიონალის დოქტრინა, საცოდავი ნასიონალი ჩიხში მოემწყვდებოდა და კეთის ფხანით ამბობდა:

— თქვენ, სენიორებო, ყველანი ნასწავლო ხართ. მე კი წერაკითხვაც არ ვიცი. აი, სწორედ ამიტომ, ჩვენ, უბრალო ადამიანები, სულელები ვართ. სამაგიეროდ, აქ რომ დონ ხოსელიტო იყოს! დმერტის გეფიციებით! რომ მოუსმინოთ როგორ ლაპარაკობს, ნამდვილი ანგელოზია..

ამ მასხრობით შერყეული რწმენა რომ განემტკიცებინა, ნასიონალი მეორე დღესვე დონ ხოსელიტოსთან მიდიოდა. დევნილი

* ევლებრაელ ქურუმა მოღვა, რომლის წარმომადგენლები უკიდურესი ფანტიზმით გამოირჩეოდნენ.

** დანტონი ეორე-ეაკი (1759 — 1794) XVIII ს. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ცნობილი მოღვაწე.

ხალხის შვილს სიამოვნებდა, როცა საშინელებათა მუზეუმს, როგორც თვითონ ეძახდა, ნასიონალს აჩვენებდა. ახალგაზრდა ებრაელი როცა სამშობლოში დაბრუნდა, სკოლის ერთ-ერთ კლასში ინკვიზიციის ეპოქის საგანთა კოლექციას თავი მოუყარა. შურისმაძიებელი პატიმრის გულმოდგინებით შეეგროვებინა თავისი ციხის ზედამხედველის ჩონჩხის ძვლები. კარადაში პერგამენტგადაკრული აუტოდაფეს * ანგარიშსწორების წიგნები და წამების შედეგად შედგენილი ოქმები ელაგა. კედელზე მრისხანე მწვანე ჯვრიანი თეთრი დროშა ** ეკიდა. ოთახის კუთხეში ეყარა წამების იარაღები: საშინელი კავები და მარწუხები, რომლებსაც იყენებდნენ, რათა დაედრღნათ, დაეჭამათ, დაეგლიჯათ ადამიანის ხორცი და ძვლები. დონ ხოსელიტო ამ იარაღებს ძველმანით მოვაჭრის დუქანში პოულობდა და მაშინვე ხვდებოდა, რომ იგი წმიდა ინკვიზიტორებს ეკუთვნოდათ.

ქანგიანი რკინებისა და მწვანე ჯვრების დანახვაზე ნასიონალის ალაღმართალი გული ბრაზით ივსებოდა.

— აბა, დაფიქრდი, მეგობარო! ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთნი, რომლებიც ამბობენ, წმიდანებს გეფიცებიო! ძალზე მინდოდა მათ ესენი ენახათ...

იგი მუდამ აღზნებით გამოთქვამდა აზრებს და ყურადღებას არ აქცევდა ამხანაგების დაცივნას. ამასთან, კეთილი იყო და გული არავისზე მოსდიოდა. მისი აზრით, ის, ვისაც თავისი ქვეყნის ბელი არ აინტერესებდა და პარტიაში არ იმყოფებოდა, „უმეცრების მსხვერპლი“ იყო. მათი გადარჩენა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, თუ წერა-კითხვას შეისწავლიდნენ. თვითონ მოკრძალებით უარს ამბობდა სულიერ აღორძინებაზე, რადგან თავს უნიჭოდ თვლიდა, მაგრამ თავის უმეცრებაზე მთელ ქვეყანას პასუხს აგებინებდა.

ხშირად, როდესაც ზაფხულობით, კორიდის დროს, კვადრილია ერთი პროვინციიდან მეორეში მიემგზავრებოდა, გალიარდო მუდამ მეორე კლასის ვაგონში იმყოფებოდა, სადაც, ჩვეულებრივ, „ბიჭები“ ისხდნენ. ხანდახან რომელიმე სადგურში მათთან სოფლის მღვდელი ან ბერი ამოვიდოდა.

მაშინ ბანდერილიეროები ერთმანეთს მუჯლუგუნს წაჰკრავდნენ, თვალებს ჩაუპაჭუნებდნენ და შესცქეროდნენ ნასიონალს, რომელიც მტრის დანახვაზე უფრო მედიდურად იბღინძებოდა. ტლანქი, შა-

* შუასაუკუნეებში: გამოცხადება და შესრულება ინკვიზიციის განაჩენისა. ნაწილობრივ, „ერეტიკოსთა“ სახალხოდ დაწვა.

** ინკვიზიციის ალაში.

რიანი ახალგაზრდა პიკადორები პოტახე და ტრაგაბუჩესი, რომელნიც ჩხუბისთავეები იყვნენ და ამასთან, მღვდლების მიმართ ცუდადაც იყვნენ განწყობილნი, ნასიონალს ჩუმად აქეზებდნენ.

— ის ახლა შენს ხელშია! მარჯვნიდან მოუარე... მათრახივით გადაჰკარ მწარე სიტყვა.

მაესტრო მბრძანებლურად გადახედავდა ხოლმე ყველას, ნასიონალს ჩააშტერდებოდა და ისიც მორჩილად დადუმდებოდა: კვადრილის უფროსს არ ეკამათებია. თუმცა ნასიონალის ალაღმართალ სულში თავის შეხედულებათა გამოთქმის სურვილი უფროსისადმი მორჩილებაზე ძლიერი იყო, მაგრამ საკმარისი გახლდათ მცირე საბაბი, რომ წამსვე კამათში ჩაბმულიყო და ცდილიყო ჭეშმარიტების მტკიცებას. სიმართლის აღიარებას იგი ცდილობდა დონ ხოსელიტოს საუბრიდან ბუნდოვნად, არასწორად დამახსოვრებული სიტყვებით.

მეგობრის ცოდნით განცვიფრებული ტორეროები ერთმანეთს ამაყად გადახედავდნენ, რომ ერთ-ერთ მათგანს შეეძლო ასეთ პატივისცემ პიროვნებას შეკამათებოდა და ჩიხშიაც მოემწყვდია. კაცმა რომ თქვას, ეს არცთუ ისე ძნელი გახლდათ, რადგან, ჩვეულებრივ, სამღვდლოება განათლებით როდი გამოირჩევა.

ნასიონალის მგზნებარე ციტატებით დაბნეული მღვდლები ბოლოს ასეთ დასკვნამდე მიდიოდნენ: ნუთუ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ყოველ წუთს საფრთხე მოელთ, ღმერთს არ ფიცულობენ და ამგვარი რამეები სჯერათ? როგორღა უნდა ილოცონ მათზე დედებმა და ცოლებმა!

ტორეროები მაშინვე სერიოზულ სახეს მიიღებდნენ და მოკრძალებითა და პატივისცემით იგონებდნენ სევილიიდან გამომგზავრების წინ საბრძოლო სამოსს ქვეშ ქალის ხელით ჩაკერებულ ავგაროზს. ცრუმორწმუნე მატადორი კი ბრაზობდა ნასიონალზე, თითქოს მის სიცოცხლეს საფრთხეს უმზადებდა ის ამბავი, რომ ნასიონალს ღმერთი არ სწამდა.

— გაჩუმდი და აღარ გაიმეორო ეგ სისულელე! შეუნდეთ, მამაო. საერთოდ კარგი ადამიანია, მაგრამ თავი გამოუტენეს ათასნაირი უაზრობით. გაჩუმდი და აღარ შემეკამათო: დაგწყევლოს ეშმაკმა! მე შენ დაგიმოკლებ ენას.

გალიარდო ცდილობდა სენიორების დამშვიდებას, რადგან ეგონა, რომ ასე თუ ისე მათზე იყო დამოკიდებული მისი მომავალი; ამიტომ ემუქრებოდა და სწყევლიდა ნასიონალს.

ნასიონალი კი ზიზლით ივსებოდა და ხმას ჩაიწყვეტდა. სიბნელე და ცრუმორწმუნეობა, ყოველივე ეს გაუნათლებლობის შედეგია

და რამდენიმე ხნის შემდეგ თავის მოსაზრებებში დაჯერებული ნასიონალი, გამოუცდელი ადამიანის გულწრფელობით, რომლისთვისაც ცნობილი იყო ორი-სამი იდეა, შეწყვეტილ კამათს განაგრძობდა და მატადორის მრისხანებას ყურადღებას აღარ აქცევდა.

ნასიონალი ასპარეზზე გამოსვლის დროსაც ანტისარწმუნოებრივად იყო განწყობილი, მაშინ, როდესაც პიკადორები და ბანდერილიეროები ლოცულობდნენ და მტკიცედ სწამდათ, რომ ტანისამოსქვეშ ჩაკერებული თილისმა მათ ხიფათისაგან დაიცავდა.

როცა ნასიონალი მიუახლოვდებოდა დიდ, უზარმაზარ, კისერმოღუნულ, კუპრივით შავ ხარს, ბანდერილიაჩაბლუჯულ ხელებს შლიდა და დაცინვით უყვიროდა:

— მომიახლოვდი, წმიდაო მამაო!

„წმიდა მამა“ გააფთრებული მოგეღვინა, ნასიონალი კი მთელი ძალით კეფაში ასობდა ბანდერილიებს და ხმამაღლა იძახდა, თითქოს გამარჯვებას ზეიმობსო:

— ესეც შენ, მღვდლების მაგიერ!

ბოლოს და ბოლოს, ნასიონალის საქციელზე გალიარდო სიცილს ვეღარ იკავებდა.

— ნუ მაყენებ სასაცილო მდგომარეობაში, — ამბობდა იგი, — მალე ჩვენი კვადრილია სახელს გაითქვამს, როგორც ერეტიკოსთა ჯგუფი და შენც კარგად უნდა გესმოდეს, რომ ეს ზოგიერთს არ მოეწონება. ტორეროს მხოლოდ ხართან ბრძოლა უნდა აინტერესებდეს.

ამასთან გალიარდოს ძალიან უყვარდა თავისი ბანდერილიერო და მუდამ ახსოვდა მისი ერთგულება, რომელიც ხშირად თვითგანწირულებამდეც მისულა. ნასიონალი აინუნში არ აგდებდა მაყურებლის სტვენას. საშიშ ხართან შეხვედრისას ბანდერილიებს ვაივაგლანით ასობდა, რათა საქმე რაც შეიძლება ჩქარა დაემთავრებინა. სახელის მოხვეჭა არ სურდა, მხოლოდ ფული აინტერესებდა. მაგრამ როცა გალიარდო მახელით ხელში „საშიშ“ ხარს უახლოვდებოდა, ბანდერილიერო მუდამ გვერდით ედგა, რათა მეგობარს დროულად დახმარებოდა და მძიმე ლაბადით, ან ვეებერთელა ხელით გააფთრებული ცხოველი მოეთოკა... მაესტრო ორჯერ დაეცა ასპარეზზე ხარის რქების მახლობლად და ნასიონალმა ორჯერვე დაივიწყა ბავშვები, ცოლი, სახაშე, ყველაფერი ამქვეყნად, ეცა ხარს და მზად იყო მომკვდარიყო, ოღონდ მაესტრო გადაერჩინა. გალიარდოს სახლში ნასიონალს ოჯახის წევრად თვლიდნენ. ქალბატონ ანგუსტიასს უყვარდა ის, იცოდა, რომ მას მოწყალე, ალალმართალი გული ჰქონდა.

— გვერდით მომიჯექი, სებასტიან! მართლა არაფერი გინდა? მომიყევი როგორ მიღის საქმეები სამიკიტნოში? ტერეზა და ბავშვები როგორ არიან?

ნასიონალიც თითზე ითვლიდა ამ უკანასკნელ დღეებში რა გაიყიდა: რამდენი ჩამოსხმული და რამდენი ადგილობრივი ღვინო გაიტანა მყიდველთან სახლში. მოხუცი ყურადღებით უსმენდა. მან გამოსცადა გაჭირვება და იცოდა სენტიმენტით * გამომუშავებული ფულის ფასი. სებასტიანი უყვებოდა თავის გეგმებს. სახაშეშრომ თამბაქოთი ვაჭრობა დაიწყოს, საქმე დიდებულად წავიდოდა. მატადორს შეეძლო ნაცნობების წყალობით მისთვის ნებართვა მოეხერხებინა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო არ სურდა მატადორის შეწუხება.

— იცით რა გითხრათ, სენიორა ანგუსტიას, თამბაქოს მონობოლია სახელმწიფოს ეკუთვნის, მე კი ჩემი შეხედულებები მაქვს. მე ფედერალისტური პარტიისა და კომიტეტის წევრი ვარ. რას იტყვიან ჩემი ამხანაგები?

ანგუსტიასს აშფოთებდა მისი კეთილსინდისიერება. ნასიონალის მოვალეობა იყო ოჯახისთვის რაც შეიძლება მეტი ფული ეშოვნა. საცოდავი ტერეზა! მერე კიდევ ამდენი ბავშვი!

— ნუ სულელობ, სებასტიან! გამოდენე თავიდან ეგ აზრები და ნუ შემეკამათები, ყური მიგდე, ხვალ მე მაკარენის ტაძარში წირვაზე წავალ...

მაგიდის ბოლოში გალიარლო და დონ ზოსე თამბაქოს აბოლებდნენ, კონიაკს სვამდნენ, ერთობოდნენ ნასიონალის მოსაზრებებით და რომ გაებრაზებინათ იგი, დონ ზოსელიტოს ლანძღვას მოჰყვებოდნენ: მატყუარა, მხოლოდ იმას ცდილობს, ნასიონალის მსგავსი მიაშიტი ადამიანები გზას ააცდინოს.

ბანდერილიერო მორჩილად იტანდა მატადორისა და მისი რწმუნებულის დაცინვას. ეჩვი შეეპაროს დონ ზოსელიტოს ცოდნაში! ამგვარ სისულელეს შეურაცხყოფადაც არ თვლიდა. ეს იგივეა, ვინმემ რომ მის სათაყვანებელ კერაზე თქვას: გალიარლომ ხარების მოკვლა არ იცისო.

როდესაც მჭირდავებს სიძეც ბანს აძლევდა, ნასიონალი დაუძლეველი სიძულვილით იმსჯვალებოდა. როგორ ბედაჟს მასთან შეკამათებას ადამიანი, რომელიც მაესტროს ხარჯზე ცხოვრობს? ნასიონალი თავს ვედარ იკავებდა, ყურადღებას აღარ აქცევდა მატადორის დედას, ცოლს, ენკარნასიონს, რომელიც ქმრიხ მსგავ-

* ესპანური ხურდა ფული, პიესეტის მენადლი.

სად ტუჩებმოკუმული, ზიზლით შეჰყურებდა და მოთმინებიდან გამოსული თავის ქნევით ებმებოდა კამათში, გაცხარებით გამოთქვამდა თავის შეხედულებებს ისე, როგორც კომიტეტში, დისკუსიის დროს. სათანადო არგუმენტების არქონის გამო იგი თავს ესხმოდა ცრუმორწმუნე მქირდავებს და ამასხრებდა მათ რწმენას.

— ბიბლია? სისულელეა! ექვს დღეში სამყაროს შექმნა? სისულელეა! ზღაპარი ადამ და ევაზე? სისულელეა! ყველაფერი ტყუილი და მონაპორია.

სიტყვა „სისულელეს“, რომელსაც ხმარობდა იმის მიმართ, რასაც სისულელედ და ქორად თვლიდა (რათა არ გამოეყენებინა სხვა, უფრო შესაფერისი სიტყვა) მისი ტუჩები ზიზლით გამოთქვამდა.

„ადამ და ევას ზღაპარი“ ხომ დაცინვის დაუშრეტელ წყაროდ ჰქონდა. კვადრილიასთან ერთად ქალაქიდან ქალაქში მგზავრობის დროს, ამაზე ფიქრით მრავალი ღამე გაუთენებია და დიდი კამათის შემდეგ ურყევ დასკვნამდე მისულა: საინტერესოა ერთ წყვილისაგან როგორ წარმოიშვა ყველა ადამიანი?

— მაგალითად, მე სებასტიან ვენეგასი ვარ, ხომ ასეა? ხუანილიო, შენ კი გალიარდო ხარ. დონ ხოსესაც თავისი გვარი აქვს, ასეა სხვებიც. ერთნაირი გვარები მხოლოდ ნათესაეებს აქვთ. ჩვენ რომ ადამის შთამომავლები ვიყოთ და დაეუშვათ, რომ ადამის გვარი ყოფილიყო პერესი, მაშინ ყველა ჩვენგანი პერესი იქნებოდა: გასაგებია? რადგან ყველა ჩვენგანს სხვადასხვა გვარი აქვს, მაშასადამე, მრავალი ადამი ყოფილა და რასაც მღვდლები ჩმახვენ, სისულელეა! ცრუმორწმუნეობა და ჩამორჩენილობა! გაუნათლებლები ვართ და გვატყუებენ. ახლა გამიგეთ?

გალიარდო ხმამაღლა ხარხარებდა და კვერს უქრავდა ბანდერილიეროს. დონ ხოსეც ულოცავდა ნასიონალს და ანდალუსიური სიამაყით ხელს ართმევდა.

— მომეცი ხელი! დღეს დიდებული, ნამდვილი კასტელარი ხარ!*

მორწმუნე დედაბერი, ქალბატონი ანგუსტიასი, რომელიც სიკვდილის მოახლოებას გრძნობდა, აღშფოთებული იყო, რომ საკუთარ სახლში ამგვარი სიტყვები ესმოდა.

— გაჩუმდი, სებასტიან. მოკეტე ეგ ეშმაკეული პირი, თორემ გაგაგდებ... არ გაბედო ჩემს ოჯახში მაგისტანა სიტყვების ლაპარა-

* კასტელარი უმილიო (1832 — 1899) ესპანეთის კონსერვატორული პარტიის მოღვაწე, ცნობილი ორატორი.

კი, წყეულო მასხარავ... რომ არ გიცნობდე!.. მე ხომ ვიცი, რა კარგი ადამიანი ხარ!

ბოლოს და ბოლოს, იგი მიუტიევებდა ხოლმე ბანდერილიეროს, რადგან აგონდებოდა როგორ უყვარდა მას ხუანი და რამდენჯერ გადაურჩენია ხიფათს. ამასთან, ისა და კარმენი დამშვიდებული იყვნენ, რადგან კვადრილიაში ასეთი სერიოზული და კეთილი ადამიანი იმყოფებოდა. განა შეედრება იგი „სხვა ბიჭებს“, თუნდ თვით მატადორს, რომელიც მარტო ყოფნის დროს გართობასა და ქალებთან არშიყობაზე უარს არ იტყობდა.

მორწმუნეთა მტერი, მტერი ადამისა და ევასი, მანესტროს საიდუმლოებებს წმიდად ინახავდა და სწორედ ამიტომ იყო გულჩათხრობილი და დაღვრემილი, როცა ოჯახის კერასთან დედისა და კარმენის გვერდით მანესტროს ხედავდა.

ბანდერილიერო ვალდებულია პატივისცემით მოეპყროს თავის მატადორს, მიუხედავად ამისა, ნასიონალმა ერთხელ გადაწყვიტა გადაქრით მოლაპარაკებოდა გალიარდოს, ამასთან, მხედველობაში ჰქონდა თავისი წლოვანება და მეგობრობა.

— ყური მიგდე, ხუანილიო, სევილიაში უკვე ყველაფერი იციან, მხოლოდ და მხოლოდ ამაზე საუბრობენ. ხომ იცი, ოჯახში რომ გაიგონ, ისეთი აყალმაყალი ატყდება, რომ მტრისას. წარმოგიდგენია როგორ გაბრაზდება სენიორა ანგუსტიასი, როგორ გაცხარდება კარმენი... გაიხსენე რა მოხდა იმ მომღერალი ქალის გამო. ეს საძაგელი კი უფრო კერპია და საშიში.

გალიარდომ ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერაფერს მიხვდაო. ოდნავ გულმოკლული იყო, მაგრამ ამასთან კმაყოფილიც, რომ მისი სიყვარულის ამბავი მთელმა ქალაქმა იცოდა..

— რომელი საძაგელი? რა აყალმაყალზე ლაპარაკობ?

— რომელი და დონია სოლი! სენიორა, რომელზედაც იმდენს ლაყობენ. მდიდარი მესაქონლის, მარკიზ დე მორაიმას დისწული.

გალიარდო იღიმებოდა, რადგან ნასიონალმა ყველაფერი ზუსტად იცოდა. ბანდერილიერო კი მქადაგებლის ტონით ქვეყნის ამაოებას ამხილებდა.

— ცოლიანი კაცი უპირველეს ყოვლისა ოჯახზე უნდა ზრუნავდეს. ქალები? სისულელეა, ყველა ერთნაირია. მხოლოდ უჭკუოს შეუძლია სიცოცხლე გაუმწაროს ადამიანს ერთიდან მეორე ქალისკენ ხტუნვით. ოცდაოთხი წელია ტერეზა ცოლად შევირთე და გუნებაშიც არ გამივლია მისი დალატი. მეც ხომ ტორერო ვარ, ახალგაზრდობაში ცუდი არ ვიყავი და ბევრი გოგო თვალს მიპაჭუნებდა.

გალიარდო ბანდერილიეროს დასცინოდა. მოძღვარივით ქადაგებს, ამავე დროს მზად არის ბერები ცოცხლად შექამოს.

— ნუ სულელობ, ნასიონალ. ყველანი ისე ცხოვრობენ, როგორც თვითონ სურთ. როცა ქალები თავის ფეხით მოდიან, ხომ არ გავრეკავ! კაცი მეორედ კი ვერ მოვა ამქვეყნად. ოდესმე ასპარეზიდან ფეხებგაფშეკილს გამიტანენ. ამასთან, შენ არ იცი რა არის ნამდვილი სენიორა... ის ქალი რომ განახა!

გალიარდომ შეატყო, რომ ნასიონალი დაღონდა, მისმა პასუხმა აღაშფოთა და ამიტომ გულწრფელად დასძინა:

— შე ძალიან მიყვარს კარმენი, გასაგებია? უწინდებურად მიყვარს. მიყვარს ის ქალიც, თუმცა სხვაგვარად... აბა როგორ აგინსნა. ესაა და ეს.

ბანდერილიერომ გალიარდოსგან მეტი ვერაფერი შეიტყო.

ორი თვის წინათ, როცა კორიდის სეზონთან ერთად შემოდგომაც დაიღია, მატადორი წმიდა ლავრენტის ტაძარში ვილაცას შეხვდა. აი უკვე რამდენიმე დღეა, მატადორი, ოჯახში, რინკონდში გამგზავრების წინ სევილიაში ისვენებდა. როცა ახლოვდებოდა დასვენების უამი, მატადორი დროს გასატარებლად ხალხში მიისწრაფოდა, იქ არავეითარი ხიფათი არ ელოდა და საჭირო აღარ იყო ერთი ადგილიდან მეორეზე ხეტიალი.

ასობით მოკლული ხარი, მძიმე ბრძოლები ისე არ ქანცავდა გალიარდოს, როგორც შუა ზაფხულს მთელ ესპანეთში დაჩვრეტელი სახურავიანი მატარებლით მგზავრობა. კვადრილიას თან დაჰქონდა უზარმაზარი ხელადა, რომელსაც ყველა სადგურში ავსებდნენ, მაგრამ მატადორი წყურვილს მაიც ვერ იკლავდა.

ვაგონები მუდამ გადატვირთული იყო მგზავრებით, რომელნიც ზეიმის დღეებში ქალაქისკენ მიისწრაფვოდნენ, რომ ხართან ბრძოლა ენახათ. ხშირად მატარებელზე დაგვიანების შიშით დამფრთხალი მატადორი, კლავდა რა ასპარეზზე უკანასკნელ ხარს, ვერ ასწრებდა საბრძოლო ტანისამოსის გამოცვლას, ხალხს და ეკიპაჟებს კაშკაშა მეტეორივით ჩაუქროლებდა და სადგურისკენ გარბოდა. იგი ტანისამოსს პირველი კლასის ვაგონში, მგზავრების თვალწინ იცვლიდა, ღამეს რბილ სავარძელში ათევდა. თანამგზავრები კმაყოფილი იყვნენ, რომ ცნობილი პიროვნება მათთან ერთად მგზავრობდა და შემჭიდროვებას ცდილობდნენ, რათა მისთვის რაც შეიძლება მეტი ადგილი დაეთმოთ. ყველა მოწიწებით ექცეოდა, რადგან იცოდნენ, რომ მეორე დღეს ეს ადამიანი მათ აუწერელ სიამოვნებას მოჰკვრიდა. როცა დაღლილ-დაქანცული გალიარდო, დროშებითა და თაღებით საზეიმოდ მორთულ ქალაქში ჩადიოდა, კვლავ ეწამებოდა

აღტაცებული ხალხის შეხვედრით. ისინი გალიარდოს სადგურში უცდიდნენ და სასტუმრომდე მიაცილებდნენ. ეს კარგად გამოძინებული, ცხოვრებით კმაყოფილი ხალხი ხელს უქნევდა და მოითხოვდა, რომ ისიც აღტაცებული ყოფილიყო, თითქოს მათთან შეხვედრით უდიდესი სიხარული უნდა განეცადა.

ხშირად ქალაქში ეწყობოდა რამდენიმე კორიდა და გალიარდოც იძულებული იყო სამი-ოთხი დღე ზედიზედ გამოსულიყო ასპარეზზე. დადლილობისაგან გაწამებულმა მატადორმა იცოდა, რომ გადატანილი მღელვარების შემდეგ ძილს ვერ შესძლებდა და საცვლების ამარა სუფთა ჰაერზე გამოდიოდა. კვადრილის „ბიჭები“, რომელნიც იმავე სასტუმროში ცხოვრობდნენ, ციხეში მყოფ მეგობრებივით გვერდით მოუხსნებოდნენ ხოლმე მაესტროს. ხანდახან ყველაზე გაბედული განათებულ ქუჩაში გასეირნების ნებართვას სთხოვდა.

— ხვალ მიურის ხარებს უნდა ვებრძოლოთ, — პასუხობდა მატადორი, — ვიცი თქვენი სეირნობის ამბავი. დაბრუნდები დილით, გაღეშილი, ან რომელიმე გოგოს გადაეკიდები და ძალ-ღონეს დაკარგავ. აუცილებელი არაა დღეს სეირნობა. როცა საქმეს მოვრჩებით, მაშინაც მოესწრები.

და მუშაობის შემდეგ, როცა მომავალ კორიდამდე რამდენიმე თავისუფალი დღე ჰქონდათ, მატადორები იწყებდნენ ღრეობას ქალღებთან ერთად, ოჯახიდან მოშორებით, თაყვანისმცემელთა საზოგადოებაში, რომლებსაც მხოლოდ ასე წარმოედგინათ თავიანთი კერპის ცხოვრება.

ზეიმთან დაკავშირებით სხვადასხვა ქალაქებში კორიდები ისე უწესრიგოდ ეწყობოდა, რომ გალიარდო დიდი ვაი-ვაგლახით მგზავრობდა. ზაფხულის თვეებს იგი თითქმის მატარებელში ატარებდა, გარს უვლიდა ნახევარკუნძულს, დილით ხარებს ხოცავდა, ღამით კი ვაგონში თელემდა.

— ზაფხულში რაც ვიმგზავრე, ერთ სწორ ხაზად რომ გაიკიმოს, ალბათ ჩრდილოეთ პოლუსამდე ჩავაღწევდი, — ამბობდა გალიარდო.

სეზონის დასაწყისში ის სიამოვნებით მგზავრობდა, ფიქრობდა ხალხზე, ერთი წლის განმავლობაში მოუთმენლად რომ ელოდა მის გამოჩენას, მოულოდნელ შეხვედრებზე, თავგადასავალზე, რომელიც ქალურ ცნობისმოყვარეობას უღვიძებდა, მდიდრულ სასტუმროებზე, მღელვარებით აღსავსე ცხოვრებაზე, რომელიც სრულიად არ ჰგავდა სევილიაში ან რინკონადში გატარებულ მყუდრო ცხოვრებას.

გალიარდო ცხოვრებისგან თავბრუდახვეული იყო. თვითვე

გამოსვლაში ხუთი ათას პიესეტს ღებულობდა, მაგრამ მიგდებული ბავშვებით წუწუნებდა:

— ხპ, რა გრილა ახლა სევილიაში, ჩემს სახლში, რომელსაც საცოდავი კარმენი დღედაღამ აკრიალებს! დედაჩემის ნამცხვრები ხომ!.. რა გემრიელია ყველაფერი.

გამოსასვლელ დღეს, როცა კორიდა არ იყო, გალიარდოს სევილია აგონდებოდა.

ხალხს სურდა, რომ ტორეროები მათი ქალაქიდან კარგი შობეჭდილებით წასულიყვნენ და ამიტომ მთელ კვადრილიას კათედრანტანში პატივობდნენ, სადაც ყველაფერი, ქალები და ანდალუსიური ღვინო, გალიარდოს საკუთრებას წარმოადგენდა.

ზამთარში, დასასვენებლად შინ დაბრუნებული გალიარდო კმაყოფილი იყო იმ ადამიანებით, რომელსაც მშვიდი ცხოვრება სახელსა და ღიდებას ერჩივნა.

გალიარდო გვიან დგებოდა, აღარ აინტერესებდა მატარებლის განრიგი, არ ღელავდა ხართან ბრძოლაზე ფიქრით და არავითარი საქმე აღარ ჰქონდა. სიერპესის ქუჩიდან სან ფერნანდოს მოედნამდე განისაზღვრებოდა მისი მოგზაურობა. მისი ჩამოსვლისთანავე ოჯახს სულ სხვა იერი დაედებოდა, ყველა მხიარულობდა, ჯანმრთელად გამოიყურებოდა და დარწმუნებული იყვნენ, რომ გალიარდო რამდენიმე თვეს შინ გაატარებდა.

ღილით გალიარდო სასეირნოდ გამოდიოდა. კეფაზე თექის ქუდი ეხურა, ხელში ოქროსტარიანი ჯოხი ეჭირა და თითებზე ბრილიანტები უბრწყინავდა. მისაღებში მუდამ უქდიდა რამდენიმე კაცო. ამ მზემოკიდებულ, სახეზე ქარდაკრულ ადამიანებს ქუქყიანი ხალათი ეცვათ და გაქონილი განიერფარფლებიანი ქუდი ეხურათ. ზოგიერთი მათგანი სამუშაოს ძებნაში დახეტიალობდა და თავს ვალდებულად თვლიდა დახმარებისათვის მისულიყო ცნობილ მატადორთან, რომელსაც დონ ხუანს უწოდებდნენ. დანარჩენი ქალაქად ცხოვრობდა, ტორეროს შენობით მიმართავდა და ხუანილიოს ეძახდა.

გალიარდოს მრავალ ადამიანთან ჰქონდა საქმე და კარგი მხედველობის წყალობით ყველას ცნობდა და მათ მოუთრიდებელ ყოფაქცევაზე არ ბრაზდებოდა, რადგან უმრავლესობა სკოლის ან მაწანწალობის დროის ამხანაგი იყო.

— მაშ უკუდადაა საქმე, ჰა? რა გაეწყობა, ახლა ყველასათვის მძიმე დროა.

და სანამ მისი კეთილი სალაში ძველ მეგობრებს მასთან ახლოს

მისელის სურვილს აღუძრავდა, იგი კარის რიკულზე ხელჩაჭიდებულ
ლი გარაბატოს მიმართავდა:

— უთხარი სენიორას, რამდენიმე პიესეტი მოგცეს, რომ თვი-
თეულს დავურიგო.

მერე ცხოვრებითა და თავისი კეთილშობილებით კმაყოფილი
ტორერო ქუჩაში სტვენით გამოდიოდა.

მახლობლად მყოფ სამიკიტნოსთან მსახურები ფუსფუსებდნენ
და თვალგაფაციცებით შეჰყურებდნენ გალიარდოს, თითქოს არა-
სოდეს ენახათ.

— სალამი, კაბალიერო! გმადლობთ მასპინძლობისათვის. არ
ვსვამ. — ეუბნებოდა გალიარდო მის შესახვედრად ჭიქით ხელგამო-
წვდილ თაყვანისმცემლებს და გზას განაგრძობდა, თუმც მომდევნო
უბანში მას ისევ აჩერებდა ანგუსტიასის რომელიმე ნაცნობი და ბავ-
შვის მონათვლას სთხოვდა: ჩემი ქალიშვილი საცაა მოიმშობიარებს
და სიძე, თავწამყვდარი „გალიარდისტი“, რომელსაც კორიდის შემ-
დეგ არა ერთხელ აუტეხია ჩხუბი თავისი კერპის დასაცავად, ვერ
ბედავს შეგაწუხოსო.

— ეშმაკმა დასწყევლოს, უპატრონო ბავშვთა სახლი ხომ არ გა-
მიხსნია? ისედაც მრავალი ნათლული მყავს.

გალიარდოს სურდა მისგან თავი დაეღწია და ქალს ურჩევდა,
დედაჩემს მიმართეთო. როგორც ის იტყვის, ისე მოვიქცევიო, და
მაესტრო შეუჩერებლივ განაგრძობდა გზას სიერპესის ქუჩამდე.
ზოგს ესალმებოდა, ზოგსაც ნებას რთავდა მის გვერდით ევლო აღ-
ტაცებულ მგზავრთა დასანახად. მერე მიდიოდა ორმოცდახუთთა
კლუბში, რათა რწმუნებული ენახა. ეს იყო არისტოკრატიული კლუ-
ბი, განსაზღვრული წევრებით, რასაც მისი სახელწოდება ადასტუ-
რებდა. აქ საუბრობდნენ მხოლოდ და მხოლოდ ცხენსა და ხარზე.
მისი წევრები იყვნენ მდიდრები და მემამულე-მესაქონლენი, რო-
მელთა შორის პირველთაგანი იყო ყველასგან პატივცემული მარკიზ
მორაიმა.

ზაფხულის ერთ საღამოს, როცა გალიარდო სიერპესის ქუჩიდან
შინ ბრუნდებოდა, წმიდა ლავრენტის ტაძარში შესვლა გადაწყვი-
ტა. ეკლესიის წინ მოედანი მდიდრული ეტლებით იყო სავსე. იმ და-
მით სევილიის საუკეთესო საზოგადოება სასწაულმოქმედ იესო
ქრისტეს ქანდაკების წინ ლოცვას აღავლენდა. ეტლებიდან ძვირ-
ფას მანტილიამოსილნი, შავ ტანსაცმელში გამოწყობილი სენიორე-
ბი გადმოდიოდნენ. ქალთა საზოგადოებით გატაცებული მამაკაცე-
ბიც ეკლესიისკენ მიისწრაფვოდნენ.

გალიარდო ფეხდაფეხ მიჰყვა მათ. ტორერომ არ უნდა გაუშვას

შემთხვევა, რათა მაღალ საზოგადოებაში მოხვდეს. ანგუსტიასის ვაჟი სიამაყით იმსკვალებოდა, როცა მდიდარი სენიორები ესალმებოდნენ და ელეგანტური ქალები ერთმანეთს თვალით ანიშნებდნენ, მის სახელს ახსენებდნენ. ამას გარდა, მას სწამდა უფლისა. ის განსაკუთრებით არ ბრაზობდა, როცა უსმენდა ნასიონალის მსჯელობას „ღმერთზე და ბუნებაზე“, რადგან ღმერთი მისთვის უხილავი, უცნობი, უმაღლესი არსება იყო, რომელზეც შეიძლებოდა ლაყობა, რადგან მის შესახებ მხოლოდ თქმულებები გაეგონა. მაგრამ სასოების მომნიჭებელი ღვთიშობლისა და მაცხოვრის, იესოს ქანდაკებას ბავშვობიდანვე შეთვისებია და მათ აუგად მოხსენებას გალიარდოსთან ვერვინ გაბედავდა.

გალიარდო ჯვრის ტვირთით წელში მოხრილ ქანდაკების წინ მგრძნობიარე, ჯანსაღი, ახალგაზრდული გზნებით ლოცულობდა. ქრისტეს გაოფლილი, მკვდარივით გაფითრებული, ტანჯული სახე მას ცირკის ლაზარეთის საწოლებზე გამხლართული ამხანაგების სახეს აგონებდა. არა, ის კეთილად უნდა იყოს განწყობილი უფლისა მიმართ. გალიარდო მხურვალედ ლოცულობდა ქანდაკების წინ და სანთელთა ცეცხლის ანარეკლი მის აფრიკულ თვალებში წითლად ელვარებდა.

უეცრად, გალიარდოს უკან მუხლმოდრეკილ მანდილოსანთა ჩოჩქოლმა ტორეროს შეაწყვეტინა ლოცვა, რომელსაც უფლისა მიმართ აღავლენდა და ღვთაებრივ ძალას ხიფათით სავსე მის ცხოვრებაში შეელას შესთხოვდა.

მლოცველთა ყურადღება ვილაც მაღალმა, ტანადმა, უჩვეულოდ ლამაზმა სენიორინამ მიიპყრო, რომელსაც ღია ფერის კაბა ეცვა და ეხურა ბაბთებიანი, განიერ ფარფლიანი ქუდი, საიდანაც ფუმფულა, ოქროსფრად მბზინავი თმა მოუჩანდა.

გალიარდომ მაშინვე იცნო. ის იყო დონია სოლი, მარკოზ მორაი-მას დისშვილი — ანუ დესპანი, როგორც მას სევილიაში ეძახდნენ. მან ქალებს ჩაუარა და მისკენ მომზირალ, მოჩურჩულე ცნობისმოყვარე ხალხისთვის ყურადღება არ მიუქცევია, რადგან ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო მისთვის.

ამ ქალის არაჩვეულებრივი მორთულობა და უზარმაზარი ქუდი, მუქი ფერის მანტილიებს შორის მკვეთრად გამოირჩეოდა. ქალმა მუხლი მოიყარა, თავი ჩაქინდრა, თითქოს ლოცვამ გააბრუაო, მერე მშვიდად მიმოავლო მომწვანო-ცისფერი თვალები, რომლებშიც ოქროსფერი ნაპერწკლები ელავდნენ. იფიქრებდით, თეატრშია, ხალხს ათვალეირებს, ნაცნობს ეძებსო. ის ოდნავ ილიმებოდა რომელიმე

ნაცობის დანახვაზე, შემდეგ კვლავ ხალხს ათვალეობდა და ბოლოს გალიარდოს მოშტერებულ მხერას შეეფეთა.

მატადორი მორცხვი არ გახლდათ. იგი ათი ათასიანი მაყურებლის წინაშე გამოსვლას მიეჩვია და გულწრფელად სწამდა, რომ ყველგან მხოლოდ მას შესტკეროდნენ. აღსარების დროს ბევრი ქალ გამოტყდომია, თუ როგორი ღელვა, სურვილი და ცნობისმოყვარეობა განიცადეს, მატადორი რომ პირველად ნახეს სარბიელზე.

დონია სოლს თვალები არ დაუხრია, როცა გალიარდოს შეხედა. პირიქით, წარჩინებულ ქალთა მსგავსად, დაჟინებით. გულგრილად ჩაატკერდა. მდიდართა მიმართ პატივისცემით გამსჭვალულმა მატადორმა უნებურად თავი დახარა. „რა ქალია! — გაივლო გულში გალიარდომ და მერე ხალხის სათაყვანებელი კერპის პატივმოყვარეობით გაიფიქრა: — რა იქნება, ჩემი რომ გახდეს?...“

ტაძრიდან რომ გამოვიდა, გალიარდომ ნაბიჯი ვეღარ გადადგა: იმ ქალის კიდევ ერთხელ ხილვა სურდა. მატადორი შესასვლელთან გაჩერდა და რაღაც უჩვეულოს მოლოდინში გული აუსტკროლდა. ისე, როგორც ასპარეზზე წარმატებით ბრძოლისას. ეს გახლდათ ის საიდუმლო გულისცემა, რომელიც აიძულებდა ყური არ ეგდო მაყურებლის პროტესტისათვის, თავგანწირვით გაჭრილიყო და ხარისთვის საშიში დარტყმა მიეყენებინა.

ტაძრიდან გამოსულ დონია სოლს არც კი გაკვირვებია ხელმეორედ მისი დანახვა, თითქოს იცოდა, რომ გალიარდო კართან უცდიდა. იგი თავის მეგობრებთან ერთად ღია ეტლში ჩაჯდა. როცა ცხენი დაიძრნენ, სახე მოაბრუნა და მატადორს დამცინავი ღიმილით გადმოხედა.

გალიარდო მთელი დღე დაღონებული იყო. მას გაახსენდა ადრინდელი გატაცება, მისი დიდებით გამოწვეული საერთო ცნობისმოყვარეობა და აღტაცება, გამარჯვებები, ადრე რომ სიამაყეს ჰგვირდა... ახლა ყველაფერი ეს უკვე არარაობად მიაჩნდა. ქალი, რომელსაც მთელი მსოფლიო უნახავს და სევილიაში დედოფალივით განცხრომაშია... აი, ეს ქალი რომ ხელში ჩააგდებინა, გამარჯვება ის იქნებოდა!

მარკიზ დე მორაიმას მეგობარს, სევილიის ცნობილ ოჯახებთან დაახლოვებულ მის იმპრესარიოს, ბევრჯერ უსაუბრია დონია სოლზე. ეს ქალი რამდენიმე წელია სამშობლოში არ ყოფილა, ახლახან დაბრუნდა და მაშინვე მიიპყრო ჭაბუკების ყურადღება. უცხოეთში დიდხანს ცხოვრობდა, მაგრამ გული მაინც სამშობლოსკენ მოუწვევდა. იგი აღტაცებული იყო. ხალხური ზნე-ჩვეულებებით. ყველაფერი ეს საინტერესოდ და... „მხატვრულად“ მიაჩნდა. როცა ხართან

ბრძოლის საყურებლად მიდიოდა, მახის * ძველებურ კოსტიუმით იმოსებოდა. თავისი ჭანკრებითა და გარეგნობით გოიას ** მიერ შექმნილ მოხდენილ ქალებს ბაძავდა.

ბევრი ხედავდა, თუ ეს ძლიერი ქალი, შესანიშნავი სპორტსმენი და ცხენოსანი სევილიის გარეუბნებში როგორ ჯირითობდა. მას ეცვა მამაკაცის ჟილეტი, ამორძალის შავი კაბა, წითელი პალსტუკი ეკეთა, ეხურა თეთრი ფეტრის შლიაპა, საიდანაც, დიდებული ოქროსფერი თმა უბზინავდა. ზოგჯერ უნაგირზე გარდიგარდმო გადებულ გაროჩით*** და პიკადორების ტანსაცმელში გამოწყობილი მეგობრების თანხლებით იალალებზე მიემგზავრებოდა, ხარებს დასდევდა, ძირს აგორებდა და ამ საშოში და გაბედული თამაშით ტყებოდა.

დონია სოლი უკვე მოწიფული ქალი იყო. გალიარდოს ბუნდოვნად აგონდებოდა, ბავშვობისას დელისიის ხეივანში მოსეირნე უნახავს. იგი დედის გვერდით, საბავშვო ეტლში იჯდა, მთლად თეთრი მაქმანით იყო შორთული და მალაზიის ვიტრინაში გამოდებულ თოჯინას ჰგავდა. გალიარდო კი, საცოდავი მაწანწალა, ეკიპაჟის ბორბლებს შორის დაძვრებოდა და პაპიროსის ნამწვავებს კრეფდა. ისინი ალბათ ტოლები არიან. დაახლოებით ოცდაათი წლის იქნება, მაგრამ რა მშვენიერია! როგორ განსხვავდება სხვა ქალებისაგან? გალიარდოს იგი მიაჩნდა ეგზოტიკურ არსებად, სამოთხის ჩიტად, რომელიც შემთხვევით მოხვდა საქათმეში, გამძღარ, გასუქებულ კრუხებთან.

დონ ხოსემ იცოდა მისი ისტორია... მთლად თავზე ხელალებულია დონია სოლი. რომელიმე რომანტიული დრამის გმირის სახელი ზუსტად შეეფერება მის თავისებურ ხასიათს და უცნაურ ჩვევებს. როცა დედა გარდაეცვალა, საკმაო ქონების მებატრონე შეიქნა. მადრიდში ცოლად გაჰყვა მასზე ბევრად უფროს კაცს, რომლის წყალობით მოიარა ქვეყანა. ქმარი დიპლომატი იყო და სხვადასხვა ქვეყნის დედაქალაქში აგზავნიდნენ ესპანეთის სრულუფლებიან წარმომადგენლად.

— ჰოდა, შესანიშნავი დრო გაატარა ამ გოგონამ, ხუან! — უამბობდა დონ ხოსე. — ათი წლის განმავლობაში მთელი ევროპა მოიარა და რამდენ კაცს გაუბრუა თავი!? გეოგრაფიის ცოცხალი სახელმძღვანელოა. ყოველ გვერდზე საიდუმლო ნიშნებით მოხატული. თითქმის ყველა ქალაქში ჰყავდა საყვარელი. საწყალი დიპლომატი!

* ხალხიდან გამოსული ლამაზი ქალიშვილი.

** ფრანსისკო (1746 — 1828) გამოჩენილი ესპანელი მხატვარი.

*** ბოლოში წვერწამახული შუბი სიგრძით ოთხ მეტრამდე.

ჯავრს გადაჰყვია, რადგან გამოჩენა აღარსად შეეძლო, ისე მალღამალღა ფრენდა ეს გოგონა! ჩამოვიდოდა თუ არა ჩვენს წარგზავნილთან ვინმე ცნობილი სენიორი, ერთი წელიც არ უნდოდა, რომ იმ ქალაქის დედოფალი მოითხოვდა საჩქაროდ მოეშორებინათ ესპანელი დიპლომატი სახიფათო მეუღლიანად. გაზეთები წერდნენ: „გულწარმტაყი ესპანელი ქალიაო“. ვინ იცის, რამდენი გვირგვინოსნისთვის აუბნევიან თავგზა! დედოფლებს ხოლერასავით ეშინოდათ მისი. ბოლოს და ბოლოს, იმ უბედურ დიპლომატს ამერიკის გარდა აღარ დარჩა სარბიელი თავისი ნიჭის გამოსაჩენად. მაგრამ რადგან ის მტყიცე პრინციპისა და მონარქიის მიმდევარი იყო, სიკვდილი არჩია... შენ გგონია, ის ქალი რამედ აგდებს ეგრეთ წოდებულ პრივილიგიურებულ არსებათ, მეფის სასახლეში რომ ქამენ და სვამენ? თუ ყველაფერი, რასაც მასზე ამბობენ, მართალია... მაშინ, ძმაო, მაგ ქალმა არ იცის, რა არის შუალედი: ან ყველაფერი ან სულ არაფერი. იგი ხან ზეცას დაფრინავს, ხანაც მიწას ენარცხება. მითხრეს, რუსეთში გატაცებული იყო ვიღაც გრძელთმიანი მომხიბლავი ქაბუკით. ბიჭი თურმე ყურადღებასაც არ აქცევდა, რადგან ქალი ხელს უშლიდა მუშაობაში. ეგ კი თურმე ფეხდაფეხ დასდევდა, სანამდის ყმაწვილი ძელზე არ ჩამოჰკიდეს. იმასაც ამბობენ, პარიზში კავშირი ჰქონდა ვიღაც მხატვართან, რომელიც მთლად შიშველს ხატავდა თურმე და რომ არ ეცნოთ, სახეზე ხელს იფარებდაო. იმასაც დასძენენ, შემდეგ ის ნახატი ასანთის კოლოფის ეტიკეტად გამოიყენესო. ეგ კი ალბათ ტყუილია, აზვიადებენ. მაგრამ მე ის უფრო მართალი მგონია, რომ იძახიან, ვიღაც გერმანელ მუსიკოსთან იყო დაახლოებულიო. შენ რომ მოუსმინო, როგორ უკრავს როიალზე და როგორ მღერის! უკეთ მღერის, ვიდრე ის მომღერლები, რომლებიც სააღდგომოდ სან ფერნანდოს თეატრში ჩამოდიან. არ გეგონოს, მხოლოდ იტალიურად მღერის, ფრანგული, გერმანული და ინგლისური ენებიც იცის. მისმა ბიძამ, ჩვენ შორის დარჩეს და, არცთუ ისე განათლებულმა კაცმა, მარკიზ მორაიამ, ორმოცდახუთთა კლუბში განაცხადა: არ გამიკვირდება, ჩემმა დისწვილმა ლათინურად დაიწყოს საუბარიო... აი, მესმის ქალი, რას იტყვი, ხუანილიო? აი, ნამდვილი დედაკაცი!

ღონ ხოსე აღფრთოვანებით ლაპარაკობდა დონია სოლზე. ამ ქალის ნამდვილი და შეთხზული თავგადასავალი არაჩვეულებრივ მოკლენად მიაჩნდა. მისი სახელი და სიმდიდრე ღონ ხოსეს გალიარღოზე ნაკლებად როდი უბრმავებდა თვალებს. ისინი საუბრობდნენ მასზე კმაყოფილი ღიმილით, თუმც ამდაგვარი რამ სხვა ქალს რომ

ჩაედინა, ზიზღს გამოიწვევდა, მაგრამ ეს ქერა, მრავალ იგავთა გმირი ქალი სულ სხვა იყო.

— სევილიაში, — განაგრძობდა დონ ხოსე, — წესიერად იქცევა და ამიტომ მგონია, რომ ყველა ეს ნაუბარი საზღვარგარეთ მის ცხოვრებაზე — გადაქარბებულია. ახალგაზრდები ცილს წამებენ, რადგან, ხომ გაგიგონია, მელა ყურძენს ვერ შესწვდა და: მკვახე იყო, კბილებს მომკვეთდაო.

დონ ხოსეს უყვირდა ამ ქალის გამბედაობა, მამაკაცური სიმტკიცე და შეუპოვრობა. სიცილით იმეორებდა სიერპესის ქუჩაზე, კლუბში გავრცელებულ ჭორებს.

როცა ეს ქალი სევილიაში დასახლდა, მთელი ახალგაზრდობა ამაღასავით კულში დასდევდა.

— წარმოგიდგენია, ხუანილიო, ეს ელეგანტური ქალი, რომლის მსგავსი აქ არ შემხვედრია, ტანისამოსს პარიზიდან იწერს, სუნამოს ღონღონიდან და ამასთან, მეფეებთანაც მეგობრობს... ბიჭბუკები ფეხდაფეხ დასდევენ და ასე გასინჯე, საკმაოდაც ათამამებს მათ, რადგან სურს მამაკაცივით მოეპყრან. მაგრამ ზოგიერთმა მისი მოურიდებლობა სხვანაირად გაიგო, ხელების ფათური დაუწყო... ჰოდა, სილაც მიიღო ყბაში, ზოგმა უფრო მეტიც... სახიფათო ქალია. ამბობენ, შესანიშნავად ხმარობს ციე იარაღს, ინგლისელ მეზღვაურით იცის კრივი, დაუფლებია იაპონური ჭიდაობის იღეთებს, რომელსაც თურმე ჯიუ-ჯიუცუ ეწოდება. ერთი სიტყვით, საკმარისია კაცმა რამე მოინდომოს, რომ ის ქალი მაშინვე წააგლებს თავის მშვენიერ თითებს და ჩვარივით გადააქცევს. ახლა მას ნაკლებად დასდევენ, მაგრამ მტრები გამოუჩნდნენ, რომელნიც ყველგან კენწლავენ მას. ერთნი ტრაბახობენ, რაც არ მომხდარა, მეორენი უარყოფენ მის სინატიფეს.

რწმუნებულის გადმოცემით, დონია სოლი აღტაცებული იყო სევილიით. მას შემდეგ, რაც ცივსა და ნესტიან ქვეყნებში იმოგზაურა, ველარ ძღება ზამთარში მზის ოქროვანი სხივებით, ლაევარდოვანი ცით და ამ შესანიშნავი, „ფერწერული“ ქვეყნით.

— მას ისევე იტაცებს ჩვენი ხასიათის უბრალოება, როგორც საშობაოდ აქ ჩამოსულ ინგლისელ ქალებს. შეიძლება კაცმა იფიქროს, ეგ ქალი სევილიაში კი არ დაბადებულა, საერთოდ პირველად ხედავსო მას. ამჟამად, ზაფხულობით საზღვარგარეთ აპირებს ცხოვრებას და ზამთრობით კი აქ. დონია სოლს მობეზრდა სასახლეები და კარისკაცული ეტიკეტი. უნდა ნახო, რა ხალხთან მეგობრობს. იმასაც მიაღწია, რომ მიეღოთ ყველაზე უღატაკეს ძმობაში — ესაა ქრისტეს ძმობა, ძმობა ძისა წმიდისა ტრიანის გარეუბანში. — და

უამრავი ფული დახარჯა წმ. ძმათა მანსანილიის შესაძენად. ღამით ხანდახან მოყავს უთვალავი მოცეკვავენი. თავს უყრის სევილიელ 'გოგონებს, რომელთაც ცეკვა-სიმღერა იციან. იმ მუტრიბთა და მომღერალთ თან მოჰყვებიან მაესტროები და შორეული ნათესავებიც. დონია სოლი უმასპინძლდება მათ ზეთისხილით, ძეხვით, ღვინით, მერე სავარძელში დედოფალივით დაბრძანდება და მოითხოვს მხოლოდ ადგილობრივ ცეკვებს. ამ ცეკვით არანაკლებ სიამოვნებას განვიცდი, ვიდრე მეფე, რომლის ბრძანებით საუცეთესო ოპერას ასრულებენო, — ამბობს. ლორდებივით მედიდურ და აუღელვებელ მსახურებს, რომელნიც დონია სოლმა თან ჩამოიყვანა, დიდი ლანგრებით ბროლის ჭიქები დააქეთ. მოცეკვავენი იმ მსახურებს წვერს აწ-წყნანან, ხანაც ზეთისხილის კურკებს ესვრიან სახეში. რას იტყვი, ღირსეული გასართობია, არა? დილაობით დონია სოლთან დადის ერთი ბებერი ბოშა, ლეჩუსო, რომელიც ქალს გიტარაზე დაკვრას ასწავლის. უკეთეს მასწავლებელს სად იშოვნა! დონია სოლი მუხლზე გიტარით, ხოლო ხელში ფორთოხლით ხვდება თავის მასწავლებელს. მაინც რამდენი ფორთოხალი შექამა ამ ქალმა აქ ჩამოსვლის შემდეგ! საოცარია, როგორ არ მობეზრდა?

ასე უყვებოდა დონ ხოსე თავის მაესტროს დონია სოლის სასწაულებს.

გავიდა რამდენიმე დღე მას შემდეგ, რაც ტორერო ამ ქალს წმიდა ლავრენტის ტაძარში შეხვდა... ერთხელ გალიარდო სიერპესის ქუჩაზე. კაფეში იჯდა, უეცრად მასთან დონ ხოსე მიიჭრა.

— ვაჰ, ბიჭო, რა ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ დაბადებულ! იცი, ვინ გიყითხა? — მერე დაიხარა და მაესტროს ყურში ჩასჩურჩულა. — ვინა და დონია სოლმა!

ის ელაპარაკა დონ ხოსეს მატადორზე და გალიარდოს გაცნობის სურვილი გამოთქვა, — თავისებური, ნამდვილი ესპანელი ტიპიანო.

— სენიორამ მითხრა, რომ რამდენჯერმე უნახიხარ მადრიდის არენაზე და ტაშიც დაუკრავს შენთვის. მამაცად გთვლის... წარმოგიდგენია, მართლა რომ შეუყვარდე? რა პატივი დაგედება! ნამდვილად ევროპის მეფეთა მოღვმის სიძე ან ნათლია გახდები.

გალიარდომ მორცხვად გაიღიმა, თვალები დახარა, მაგრამ იმავ წამს ამაყად გაიმართა წელში, თითქოს თავისი რწმუნებულის ვარაუდში არაფერი ყოფილიყო უჩვეულო და მიუწვდომელი.

— ნამეტანი ოცნებას კი ნუ გადაჰყვები, ხუანილიო, — განაგრძობდა დონ ხოსე, — დონია სოლს იმავე მიზეზით აინტერესებს ტორეროს ნახვა, როგორითაც მოხუცი ლეჩუსოს გაკვეთილები.

კოლორიტის სრულადსაქმელად, სხვა არაფერი. მოიყვანეთ ზეგ-
ტაბლადაშიო, მთხოვა. მერედა იცი, ეს რას ნიშნავს? მარკიზი დის-
შვილის გასართობად საკუთარ ადგილ-მამულში ხარებზე ნადირო-
ბას, ფიესტას* აწყობს. წავიდეთ. მეც ვარ მიწვეული.

ორი დღის შემდეგ, საღამოთი, მატადორმა და მისმა რწმუნე-
ბულმა დასტოვეს ფერიის გარეუბნები. ცნობისმოყვარე ხალხი ქუ-
ჩებში გამოფენილიყო.

— ტაბლადაში მიდიან, — ისმოდა ირგვლივ. — დღეს იქ ხარებ-
ზე ნადირობა იმართება.

რწმუნებული გაძვალტყავებულ თეთრ ცხენზე იჯდა. ტანთ ეც-
ვა სქელი ჯუბა, ყვითელი გეტრები, ხოლო ზემოდან ხამი ტყავის
შარვალი. მატადორმა: ფიესტისთვის თავისებური, ძველებური აკაზ-
მულობა აიჩჩია, რომელსაც ტორერო ატარებდა მანამ, სანამ თა-
ნამედროვე ზნე-ჩვეულებებმა არ აიძულა ისეთსავე ტანსაცმელში
გამოწყობილიყო, როგორც დანარჩენი მოკვდავნი. მატადორს თავს
უმშვენებდა ფარფლებმოღუნული ხავერდის ქუდი, რომელიც თას-
მით ნიკაპზე ჰქონდა დამაგრებული. ხალათის საყელო, რომელზეც
ჰალსტუხი არ ეკეთა, ბრილიანტის საკინძით ეკვრებოდა, დანარ-
ჩენი ორი უფრო მოზრდილი ბრილიანტი გოფრიკებულ გულისპირ-
ზე ელვარებდა. ღვინისფერი ხავერდის ქურთუკი და ეილეთი შავი
ყაითნითა და ფოჩით იყო გაწყობილი. წელზე ერტყა წითელი აბრე-
შუმის ქამარი. შავი რეიტუზები, რომელიც მკიდროდ ეკვროდა ტო-
რეროს მოყვანილ, დაკუნთულ ფეხებს, მუხლს ქვემოთ შავი ყაით-
ნით იკვრებოდა. ქარვისფერი გეტრები ძაბრისებური ტყავის ფო-
ჩებით იყო ვარსმოვლებული. იმავე ფერის მაღალყელიან ფეხსაც-
მელებს, რომელსაც სანახევროდ უფარავდა არაბული ავეანდა. დი-
დი, ვერცხლისფერი დეზები ამშვენებდა. უზანგზე გადადებული ფო-
ჩით არშიამოვლებული ღიაფერის მოსასხამი უნაგირის ორსავე მხა-
რეს ეკიდა. მოსასხამს ზემოდან კი იდო შავით ნაქარგი ნაცრისფერი
ჯუბა, რომელსაც წითელი სარჩული ჰქონდა გამოკრული.

ყოველ მხედარს მხარზე გადაედო შუბის მსგავსი ძვირფასი ხი-
საგან გათლილი გაროჩო, რომლის წამახულ წვერზე — საფრთხის
თავიდან ასაცილებლად — ნაქრის ბურთი იყო დამაგრებული.

გალიარდოს გამოჩენამ მჭუხარე ოვაცია გამოიწვია. ოლე, ვაჟ-
კაცებო! ქალები სალამის ნიშნად ხელს უქნევდნენ.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, მზექაბუჯო! კარგ დროსტარებას
გისურვებთ, სენიორ ხუანი

* ზეიმი.

მხედრებმა ცხენებს დეზი ჰკრეს, რათა ფეხდაფეხ მორბენალი ბავშვებისათვის გაესწროთ. თეთრი სახლის კედლებით შემქვიდროვებულ, ქვაფენილით მოკირწყულ ვიწრო შესახვევებში, ფლოქვების რიტმული ხმა გაისმა.

მალე მხედრები აღმოჩნდნენ მყუდრო ქუჩაზე, სადაც ფართო აივნისანი ლამაზი სახლები იდგა. აქ ცხოვრობდა დონია სოლი. აქ დონ ხოსესა და გალიარდოს სხვა შუბოსანი მხედრებიც დახვდათ. ეს ახალგაზრდა სენიორები დონია სოლის მეგობრები და ნათესაუვები იყვნენ. ისინი ტორეროს თავაზიანად მიესალმნენ, ეტყობოდათ, გახარებული იყვნენ, რომ ტორერო მათ გართობაში მიიღებდა პონაწილეობას.

სახლიდან მარკიზ მორაიმა გამოვიდა და მაშინვე ცხენს მოახტა.

— გოგონა ახლავე გამოვა. ქალები, ხომ იცით... დიდხანს უნდებიან ჩაცმას...

მარკიზი თითოეულ სიტყვას ისე ზვიადად და მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვამდა, თითქოს ვისმე კიცხავსო. ის იყო მაღალი, ძვალმსხვილი მოხუცი, ფაფუკი ქალარა ქიღვაშებით და ბავშვური გამომეტყველებით. მარკიზ დე მორაიმა, ზრდილი, სიტყვაძვირი კაცი, თავაზიანი და იშვიათად მოლიმარე, ნამდვილი ძველი ყაიდის სენიორი გახლდათ. თითქმის მუდამ საჯირითო ტანსაცმელი ეცვა, ქალაქად ცხოვრება არ უყვარდა. სევილიაში მხოლოდ ოჯახის წევრთა ხათრით რჩებოდა, გულით კი ესწრაფვოდა ადგილ-მამულს; მწყემსებსა და მესაქონლეთ საუკეთესო მეგობრებივით ეპყრობოდა. წერა არ ესაჭიროებოდა და თითქმის კიდევ გადაავიწყდა, მაგრამ როგორც კი საუბარი ჩამოვარდებოდა სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე, საუკეთესო საქონელზე, ხარის ან ცხენის ჯიშის გამოყვანაზე, თვალები ცეცხლივით აენტებოდა და საქმის ნამდვილი მცოდნის დამაჯერებლობით ლაპარაკობდა.

უეცრად მზე ბურუსში გაეხვია, თეთრი სახლის კედლებზე გაბმული ოქროს სხივები გაქრა. მხედრებმა ზევით აიხედეს. ლაქვარდოვან გუმბათს ორსავე მხრით შავი ღრუბელი უახლოვდებოდა.

— არაფერია, — მედიდურად წარმოთქვა მარკიზმა. — როცა სახლიდან გამოვდიოდი, დავინახე რომელ მხარეს მიჰქონდა ქარს ქალაქის ნათლეთი. წვიმა არ მოვა.

ყველანი ერთხმად დაეთანხმნენ. რადგან მარკიზ მორაიმა ამბობს, რასაკვირველია, წვიმა არ იქნება. მორაიმამ ნაცადი მწყემსივით იცოდა ამინდის გამოცნობა და არც არასდროს სცდებოდა.

უეცრად მორაიმამ გალიარდო შენიშნა.

— მომავალ სეზონში შესანიშნავი კორიდები გელის. რომ იყო-

დღე. რა ხარება? ვნახოთ, თუ მისცემ საშუალებას, კეთილ ქრისტიანით განუტევეონ სული. როგორც იცი, წელს მთლად კმაყოფილე არ ვიყავი. საწყალი ხარები, ისინი გაცილებით მეტის ღირსნი იყვნენ.

ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა დონია სოლი—ხელში ამოტყდა შავი შლეიფით, რომლის ქვემოდან ნაცრისფერი ჩექმის ყელი მოუჩანდა. ეცვა წითელ პალტუხიანი მამაკაცის ხალათი, ქურთუკი და იისფერი ხავერდის ქილეტი. გვერდზე დახურული კობტა ქუდიდან ოქროსფერი კულულები მოუჩანდა. ცხენს იგი ქალისთვის შეუფერებელი სიმარჯვით მოახტა და მსახურებს გაროჩო გამოართვა. ქალი მიესალმა მეგობრებს, ბოდიში მოიხადა და გვიანებისათვის და თვალგაფაციცებული გალიარდოს ეძებდა. რწმუნებულმა ცხენს დეზები ჰკრა, სურდა დონია სოლთან მისულიყო, რათა მატადორი წარედგინა, მაგრამ დონია სოლმა დაასწრო და თვითონ გამოემართა მათკენ.

როცა გალიარდომ დონია სოლი ახლოს დაინახა, აღელდა. აჰ, რა ქალია ნეტა რაზე დაუწყებს საუბარს?

ქალმა გაუწოდა სურნელოვანი, ნაზი ხელი. გალიარდომ აჩქარებით და თან დარცხენით ჩაბლუჯა იგი ვეებერთელა მუქში, რომლის ერთი დარტყმა ხარს ძირს ანარცხებდა. მაგრამ თეთრი-მოვარდისფრო ხელი როდი ათრთოლებულა ამ უხეში შეხებისაგან! სხვა ქალი ტკივილისგან აყვირდებოდა. დონია სოლმაც პასუხად ხელი მოუჭირა და მუხრუჭისაგან ადვილად გათავისუფლდა.

— გამადლობთ, რომ მოხვედით, მოხარული ვარ თქვენი გაცნობის.

დაბნეული გალიარდო მიხვდა, რომ პასუხი იყო საქირო და ჩაიბუტბუტა, თითქოს რომელიმე გულშემატკივარს ესალმებო:

— გამადლობთ, სხვა, ოჯახად როგორ გიკითხოთ?

დონია სოლის თავშეკავებული სიცილი ქვაფენილზე ფლოქვთა ცემამ დაფარა. ქალმა ცხენი გააქენა, დანარჩენნიც საპატიო მხლებლებივით უკან მიჰყენენ. დარცხენილი და თან გაოგნებული გალიარდო ცხენს ყველაზე უკან მიაქენებდა და ბუნდოვნად ხედებოდა, რომ რაღაც სისულელე წამოროშა. კავალკადამ უკან მოიტოვა სევილიის შემოგარენი და ახლა მდინარეს ნაპირ-ნაპირ მისდევდა. ოქროს კოშკი უკან დარჩა. ისინი მიდიოდნენ ბალებსა და ყვითელ ქვიშამოყრილ ჩრდილოვან ხეივნებს შორის. შემდეგ გადაუხვიეს შარაზე. სადაც სამიკიტნოები და ფუნდუკები ჩამწყრივებულიყვნენ.

როცა ტაბლადას მიუახლოვდნენ, მწვანე მინდორზე ხალხი და ეტლები შეამჩნიეს. ისინი გალავანთან შეჯგუფულიყვნენ, რომელიც საძოვრებს საქონლის ბაკებისაგან ჰყოფდა.

მდინარე გვადალკივირი შუაზე ჰკვეთდა ველს. მდინარის გადაღმა, ციცაბოზე შეფენილიყო სოფელი სან ხუან დე ასნალფარაჩე თავისი ციხის ნანგრევებით. ვერცხლისფერ ზეთისხილის ხეებს შორის ქოხების თეთრი კედლები გამოკრთოდა. თეთრი ღრუბლებით მიმოფანტულ ამ ვრცელი ჰორიზონტის მოპირდაპირე მხარეს კი — ლაჟვარდოვანი ცის ფონზე სევითა მოჩანდა. სახლების სახურავთა თვალუწვდენ ზღვაზე დიდებულად აღმართულიყო ჰირალდის ტაძარი,* რომლის გუმბათი ჩამავალი მზის შუქში ვარდისფრად ციმციმებდა.

აბობოქრებულ ხალხის ტალღაში მხედრები გზას ძლივს იკვლევდნენ. დონია სოლის გართობის სამზერად აქ თითქმის უკლებლივ შეკრებილიყო სევითის ყველა წარჩინებული მანდილოსანი. მეგობრები დონია სოლს ეტლებიდან ესალმებოდნენ და ჩურჩულებდნენ, ძალზე შვენის მამაკაცის სამოსით. მისი ბიძაშვილები, მარკიზის ასულები, სთხოვდნენ, გაფრთხილდით:

— თუ ღმერთი გწამს, სოლ! შენებურად ნუ გადაირევი!

მხედრები ბაკებში შევიდნენ. ისინი ტაშისკვრით გააცილა ფიესტაზე თავმოყრილმა მდაბიო ხალხმა.

ცხენები — შორიდანვე იგრძნეს თუ უკვე დაინახეს კიდევ მტერი — ყალუზე დგებოდნენ, მიწას ფლოქვებს ურტყამდნენ და ჭიხვინებდნენ, მაგრამ მათ მხედრების მკლავმაგარი ხელები იჭერდა.

შუა ბაკები ხარებს ეკირათ. ზოგი მშვიდად ძოვდა, ზოგი, ფეხმოკეცილი და დრუნჩჩამოშვებული გაუნძრევლად იწვა. ზოგიც, უფრო თადარიგიახნნი, აუჩქარებლად მიდიოდნენ მდინარისაკენ. სულ წინ ევენების ჟღარუნით მიაბიჯებდნენ წინამძღოლები; საპატით, ბრძენი ხარები; ჯოგის შეგროვებაში მათ მწყემსებიც შევლოდნენ — ჩამორჩენილ ხარებს, შურდულით აუცდენლად ესროდნენ რქებზე ქვეებს.

მხედრები, თითქოს თათბირობენო, ერთ ხანს გაშეშდნენ. უჩვეულო სანახაობის მოლოდინში ხალხი გაირინდა, ხარბად მისჩერებოდა მათ.

ცხენი ჯერ მარკიზმა გააქენა, მას ერთ-ერთი მეგობარი მიჰყვა. მხედრებმა ცხენები ხარების გვერდით გააჩერეს, უზანგებზე შედგნენ, გაროჩოების ქნევით ხმამაღლა ყვიროდნენ, რათა ჯოგი და-

* მეჩეთის მაღალი კოშკი სევითაში, რომელიც XII ს. იქნა აგებული. მფარების გარეკვის შემდეგ იგი ეკლესიად გადაკეთდა, ჰირალდა კი სამრეკლოდ.

ეფრთხოთ. უცბად ჯოგს გამოეყო შავი ხარი, ძლიერი კუნთოვანი, ფეხებით და ბაქების სიღრმეში გამოექანა.

მარკიზი ამოდ როდი ამაყობდა შეჯვარების გზით მიღებული რჩეული ნახირით. ეს ხომ დასაკლავი, კუჭყიანი, უხეშბეწვიანი და ფართო ჩლიქიანი, თავჩამოშვებული და რკ-პოუქნელი საქონელი არ იყო, არამედ კეთილშობილი, ნერეულად მოძრავი, ძლიერი ხარები; სირბილისას ისინი მტერის ბულს ადენდნენ და მათ ფეხქვეშ მიწა ზანზარებდა. უნალო ხარები იყვნენ: თხელი, კრიალა, ჯიშიანი ცხენის მაგვარი ბალანი, მოელვარე თვალები ჰქონდათ; განიერი კისერი, მოქნილი და თხელი კუდი; კობტა, თითქოს შეღებილი წვეტიანი რქები; პატარა, მრგვალი ჩლიქები, ბალახს რომ ალესილი ცელივით ცელავენ.

მხედრებმა ცხენები გააქენეს. ხარებს ორივე მხრიდან დაუარეს, მოერეკებოდნენ და მდინარისაკენ გზას უღობავდნენ, მისდევდნენ, სანამ მარკიზი არ მიუახლოვდათ. იგი ერთ-ერთ ხართან მიიჭრა და უზარმაზარ კისერში გაროჩო ჩაასო. დარტყმა ისე ძლიერი აღმოჩნდა, რომ ხარმა წონასწორობა დაკარგა და ზურგით ბალახზე გაიშხლართა; რქები მიწაში ჩაასო და ოთხივე ჩლიქი მალლა ასწია. ძველი მესაქონლის ძალამ და ხერხმა გალაფანს იქით მყოფთა აღტაცება გამოიწვია.

ოლე, მოხუცო! არავინ იცნობს ხარს ისე, როგორც მარკიზი. ის მათ ბავშვებივით ზრდიდა, მერე სასიკვდილო ცირკის არენაზე გზავნიდა, როგორც გმირებს, რომელნიც ღირსნი იყვნენ ბრძოლაში მონაწილეობისა. დანარჩენმა მხედრებმაც სცადეს ბედის გამოცდა და ხალხის ყურადღების მიქცევა. მაგრამ მორაიმა წინ აღუდგა მათ. ახლა მისი დისშვილის ჯერია. თუ სურს ძალის გამოცდა, ახლა უნდა წავიდეს; სანამ ნახირი დევნით არ გაათრებულა.

დონია სოლმა დეზი ჰკრა ცხენს, რომელიც, ხარების სიახლოვისაგან აღგზნებული, წამდაუწუმ ყალუზე დგებოდა, მარკიზს სურდა ზღებოდა, მაგრამ დონია სოლმა უარი თქვა; უმჯობესია გალიარდო გამყვეს, ის ხომ ტორეროა! სად არის გალიარდო? თავისი უხერხული ლაპარაკით დარცხვენილი მატადორი ქალს გვერდით ამოუდგა. ორივემ ჯოგისკენ გააქანეს ცხენები. დონია სოლის ცხენი რამდენჯერაჲე ყალუზე შედგა, თითქოს წინ წასვლა არ უნდო, მაგრამ ამორძალის მძლავრმა ხელებმა აიძულა გზა განეგრძო. გალიარდო გაროჩოს აქნევდა და ისე ბლაოდა, თითქოს ასპარეზზეა და ხარს აღიზიანებდსო.

მალე მათ ჯოგიდან ერთ-ერთი ხარის გამოდენა შესძლეს. ის იყო თეთრ ლაქებიანი ყავისფერა ხარი, რომელსაც უზარმაზარი

კისერი და ნემსივით წვეტიანი რქები ჰქონდა. ხარი ბაქების სიღრმისკენ გაიქცა, თითქოს ბრძოლისათვის მოხერხებულ ადგილს ეძებდა. დონია სოლი და მატადორი დაედევნენ.

— უფრთხილდით, სენიორა! — შეჰყვირა გალიარდომ. — ეგ ბებერი ხარია, თქვენი შეტყუება სურს. ყურადღებით იყავით, უკან არ მოგიბრუნდეთ.

ასეც მოხდა. დონია სოლმა თავისი ბიძის ფანდის გამოკრება სცადა, ცხენი გვერდზე მიაგდო, რათა გაროჩო ცხოველისთვის კისერში ჩაესო და მიწაზე გაეგორებინა, მაგრამ ხარმა იგრძნო საფრთხე, მოტრიალდა, მრისხანედ დახარა რქები და ქალის წინ შედგა. ცხენმა ისეთი სისწრაფით ჩაუქროლა ხარს, რომ დონია სოლმა ველარ შეაჩერა. ხარი კი უკან გამოუდგა და დევნილი მდევნელად იქცა. ქალს მრავალი თვალი შეჰყურებდა. მას არ სურდა გაქცევა, რადგან გულში გაუელვა, თუ როგორ დასცილებდნენ მეგობრები, რა ქედმაღლური სიბრალულით შეხვდებოდნენ მამაკაცები. და მან ადვირი მძლავრად მოქაჩა, ცხენი ჯიქურ ხარისკენ მიატრიალა, გაროჩო პიკადორივით აღმართა და თავდახრილ, მისკენ ღმუილით გამოდევნებულ ხარს კისერში ჩაასო. მძლავრი კისრიდან სისხლმა იჩქეფა. მაგრამ ცხოველი ტკივილს არ გრძნობდა, შეუპოვრად მიიწევდა წინ, სანამ ცხენს რქები ფაშვში არ გაუყარა და მხედარი ჰაერში არ ასტყორცნა.

ქალი უნაგირს მოსწყდა და იმავ წამს შორიდან ხალხის გმინვა გაისმა: ცხენმა, როგორც იქნა, რქებისგან თავი გაითავისუფლა და მოსართავ-დაფლეთილმა და ფერდზე უნაგირ ჩამოეარდნილმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაქუსლა. ხარი გამოედევნა მას. მაგრამ მისი ყურადღება უცხად უფრო მომხიბლავმა ნადავლმა მიიპყრო. დონია სოლი, იმის მაგივრად, რომ მიწაზე გაუნძრევლად წოლილიყო, ზეზე წამოხტა, კვლავ გაროჩო აღმართა და ხარი ბრძოლაში გაბედულად გამოიწვია; რადგან უზომოდ ამაყი იყო, იცოდა, რომ ხალხი შეჰყურებდა და დაცინვას სიკვდილი არჩია.

კარიბჭეს იქით აღარ ყვიროდნენ. ხალხი შიშით გარინდულიყო. მხედრები დონია სოლისკენ გაათვრებული სისწრაფით მიჰქროდნენ და ირგვლივ მტერის კორიანტელს აყენებდნენ. თუმცა ისინი უახლოვდებოდნენ შემთხვევის ადგილს, მაგრამ ცხადი იყო, დახმარებას ვერ მოასწრებდნენ. ხარი წინა ფეხებს მიწას ურტყამდა, თავი დაეხარა და დასაძგერებლად ემზადებოდა იმ არსებაზე, რომელიც მას შუბით ემუქრებოდა. საკმარისია რქების ამოძრავება და მისგან აღარაფერი დარჩება! მაგრამ უეცრად ხარის ყურადღება ბრაზიანმა

ღმეილმა მიიპყრო. რაღაც ცეცხლის ალივით წითელმა ცხოველს თვალწინ გაუელვა.

ეს იყო გალიარდო. იგი ცხენიდან ჩამოხტა. გაროჩო გვერდზე გადააგდო და ხელი უნაგირზე გადაკიდებულ ქურთუქს ჩაავლო.

— ე!.. ჩემკენ!

ქურთუქის წითელმა ნაქარგმა ხარი მიიზიდა და მისკენ გამოქანდა. ცხოველმა ღირსეული მოწინააღმდეგე შეიყნო, აგდებულად ზურგი შეაქცია არსებას, რომელსაც შავი ქვედა ტანი და იისფერი მოსასხამი ეცვა.

საშინელი საფრთხის წინაშე მყოფი დონია სოლი ჯერ კიდევ ვერ გამოფხიზლებულიყო და შუბის მომარჯვებას განაგრძობდა.

— ნუ შიშობთ, დონია სოლ, იგი ახლა ჩემია, — წარმოთქვა ტორერომ, რომელიც აღელვებისაგან გაფთვრებულიყო, მაგრამ თავის სიმარჯვეში დარწმუნებული, ილიმებოდა.

ქურთუქით შეიარაღებული მატადორი ბრძოლაში ჩაება. ხარი მოტყუებით, ქალბატონისგან მოშორებით მიყავდა და მოხდენილი ტრილით გააფთვრებული ცხოველის თავდასხმებს იგერიებდა.

ბრბო, რომელმაც დაივიწყა არცთუ ისე დიდი ხნის საფრთხე, აღფრთოვანებით ტაშს უკრავდა. აი, იღბალი! მოვედით ხარების ჩვეულებრივი დაქერის საყურებლად და ვიხილეთ ნამდვილი კორიდა, უფასოდ ვუყურებთ გალიარდოს გამოსვლას!

ხარის ჯიუტი შეტევით გაცეცხლებულმა გალიარდომ დაივიწყა დონია სოლი, მაყურებელი და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ აეცდინა რქები. ხარი ხედავდა, რომ ტორერო უსხლტებოდა მის რქებს, მძვინვარებდა, განაგრძობდა გააფთვრებულ თავდასხმებს, მაგრამ მუდამ გამაღიზიანებელ წითელ ნაჭერს აწყდებოდა. ბოლოს ხარი მოიქანცა, შედგა, თავი დაბლა დახარა, ფეხები აუძაგძაგდა და დრუნჩიდან დუეი გადმოსდინდა. გალიარდომ დრო იხელთა, ქუდი მოიხადა და ხარს კეჩოში წამოჰკრა.

გალიარდოს სიმამაცის პასუხად ბაქებს გადაღმა ძლიერი ღრინა-ცელი გაისმა.

უეცრად გალიარდოს ზურგს უკან ეყვნების ქლარუნი და ყვირილი გაისმა. ხარს გარს შემოერტყნენ მწყემსები, წინამძღოლი ხარები და ღიდი გაჭირვებით ნახირში შეაგდეს.

გალიარდომ მოძებნა ხართან ბრძოლას მიჩვეული თავისი ცხენი, რომელიც იმავე ადგილას მშვიდად უცდიდა. მერე გაროჩოს დასწვდა. ცხენს შემოახტა და აუჩქარებლად გაემართა გალავნისაკენ, რადგან კვლავ სურდა მაყურებლის ოვაცია მოესმინა. მხედრები, რომლებმაც დონია სოლი არენიდან გაიყვანეს, ტორეროს მხურვა-

ლედ ესალმებოდნენ. დონ ხოსემ ტორეროს თვალი ჩაუპაჭუნა და საიდუმლოდ ჩასჩურჩულა: — ტყუილებრალოდ როდი გარჯილხარ, ყმაწვილო. აფერუმ შენს ბიჭობას! ის ქალი ახლა შენია.

გალაენის მეორე მხარეს, მარკიზის ეტლში, დონია სოლი იჯდა. აღელვებული ბიძაშვილები მის გარშემო ფუსფუსებდნენ, ეკითხებოდნენ: ჩამოვარდნის დროს ხომ არაფერი გეტკინაო, და სთხოვდნენ, დასამშვიდებლად ერთი ჭიქა მანსანილია დაელია. დონია სოლი იღიმებოდა, ღირსების სრული შეგრძნებით და მოწყალებით ხვდებოდა გულაჩუყებული ქალების ასეთ მგრძნობელობას.

დონია სოლმა ცხენზე მჯდომ გალიარდოს, რომელიც ქუდებსა და მისკენ გამოშვერილ ხელებს შორის გზას ძლივს იკაფავდა, სულ სხვაგვარად გაუცინა: — ჰომიახლოვდით, სიდ კამპეადორო! ნება მიბოძეთ ხელი ჩამოგართვათ...

მათი ხელისგულები კვლავ ერთმანეთს შეხვდნენ.

სალამოს მატადორის სახლში დიდხანს მსჯელობდნენ იმ ამბავზე, რომელზედაც მთელი ქალაქი ლაპარაკობდა. ქალბატონი ანგუსტიასი ისე იყო გახარებული, როგორც წარმატებით ჩატარებული კორიდის შემდეგ. მისმა ვაჟმა გადაარჩინა ერთ-ერთი იმ სენიორათაგანი, რომელთაც მუდამ თაყვანს სცემდა, რადგან მრავალი წლის დამცირებამ მოწინებებს შეაჩვია. კარგენი ჩაფიქრებული სდუმდა, ვერ გაერკვია როგორ შეხვედროდა ამ ამბავს.

რამდენიმე დღეს გალიარდომ ვერაფერი გაიგო დონია სოლის შესახებ. რწმუნებული ქალაქში არ იყო. ძაღლებით სანადიროდ წასულიყო. „ორმოცდახუთის კლუბელ“ მეგობრებთან ერთად. მაგრამ ერთ საღამოს დონ ხოსემ მატადორი სიერპესის ქუჩაზე, კაფეში იპოვა, სადაც, ჩვეულებრივ, კორიდის მოყვარულნი იკრიბებოდნენ. ორი საათის წინ იგი ნადირობიდან დაბრუნებულა და შინ დონია სოლის წერილი დახვედროდა. მაშინვე გალიარდოს საძებრად წამოსულიყო.

— ეჰ, ძმაო, შენ მგელზე უფრო ძნელი მოსახელთებელი ყოფილხარ, — ეუბნებოდა რწმუნებული და კაფედან ძალად გამოჰყავდა. — სენიორას ეგონა, რომ აქამდე ინახულედი. რამდენიმე საღამო შინიდან არ გამოსულა, ყოველ წუთს გელოდა. ქალებს ასე როდი ექცევიან. შე გაგაცანი, და მომხდარი ამბის შემდეგ უიქველად უნდა გენახა, გაგეგო მისი ჯანმრთელობა.

მატადორმა ნაბიჯი შეანელა, კეფა მოიფხანა.

— საქმე იმაშია... — გაუბედავად წაილულულა გალიარდომ, — საქმე იმაშია, რომ... მრცხვენია, დიახ, სენიორ, მართლა მრცხვენია. კარგად იცით, რომ დოყლაპია არა ვარ, ქალებთან ლაზღანდარობაში

ორავის ჩამოვრჩები, მაგრამ მაგ ქალთან სიტყვის თქმასაც ვერ ვბე-
დავ... განათლებული სენიორაა და როგორც კი შევხედავ, მაშინვე
ვგრძნობ, რომ უმეცარი ვარ. ხან ენა ვერ დამიძრავს, ხანაც რალაც
სისულელეს ვროშავ! არა, დონ ხოსე, ვერ წამოვალ! უმჯობესია.
არ წამოვიდე.

მაგრამ რწმუნებულმა ყურიც არ ათხოვა მის ლაქლაქს, ძალით
შიათრია დონია სოლის სახლამდე და გზაში უამბო, თუ რაზე ესა-
უბრებოდა უკანასკნელად ქალბატონს. ასეა თუ ისე, ნაწყენია შენზე.
ტაბლადაში მომხდარი ამბის შემდეგ სევილიის ყველა ცნობილმა
პირმა ინახულა, შენ კი არ მისულხარ!

— ხომ იცი, ტორერო კეთილ განწყობილებაში უნდა იყოს სა-
ხელოვან პიროვნებებთან. ზრდილობიანად მოიქეცი და აგრძნობინე,
რომ გომურში გაზრდილი ტეტია არა ხარ. ასეთი სახელოვანი სე-
ნიორა დაინტერესდა შენით, გელის... რაც იქნება, იქნება. არაფე-
რია, ერთად წავიდეთ.

— აჰ, თუ თქვენ წამომყვებით! — და გალიარდომ შვებით ამოი-
სუნთქა.

ისინი სახლში შევიდნენ. პატიოს ნაზი ფერებით მოხატული თა-
ღედი არაბული სტილით ნაგებ ნალისებურ ალგამბრას * თაღებს
მოგაგონებდათ. შადრევნიან აუზში ოქროს თევზები ცურაობდნენ.
წყლის მსუბუქი მხეფები ერთ ხმაზე ჩხრიალებდნენ ღამის სიჩუმე-
ში. ძერწილ ჰერიან ოთხივე შუშაბანდში, რომლებიც პატიოსგან
გამოყოფილი იყო სვეტებიანი თაღებით, ტორერომ დაინახა ძველე-
ბური ბიუროები, ფერგადასული სურათები, წმიდანთა მკვდარივით
ფერმკრთალი სახეები, ვეება, ჩაქანგული რკინებით შეკრული სკივ-
რები და კიდობნები, რომლებიც ისე იყო ჰიით შექმული, გეგონე-
ბოდა საფანტით დაუცხრილავთო.

ლაქიამ ისინი წაიყვანა მარმარილოს ფართო კიბით და აქ ტო-
რეროს კვლავ განცვიფრება დაეუფლა, როცა დაინახა ხის სამკარე-
დი მოოქრულ ფონზე მქრქალი გამოსახულებებით, და თითქოს ნა-
ჯახით გამოჩორკნილი, გათქვირულ ღვთისმობელთა ქანდაკებანი
ღია, ოღნავ ოქროსფრად მოციმციმე საღებავებით მოხატული —
ალბათ რომელიღაც ძველი საკურთხეველიდან ჩამოხსნილი. კედელ-
ზე ეკიდა ხმელი ფოთლებისფერ რბილ ტონებში ნაქსოვი ნოხები.
ზოგზე ქრისტეს ჯვარცმის სცენები იყო გამოსახული, ზოგზე კიდევ

* გრენადის მავრიტანულ მმართველთა ცნობილი სასახლე რომლის მშენებ-
ლობაც მე-13 საუკ. დაიწყო.

რალაც ბანჯგვლიანი, რქიანი და ჩლიქებიანი კაცები ნახევრად გატიტვლებულ სენიორიტებს მისდევდნენ.

— აი, რას ნიშნავს გაუნათლებლობა! — წარმოთქვა გაოგნებულმა გალიარდომ, — მე კი მეგონა, ყველაფერი ეს მხოლოდ მონასტერში გამოდგებოდა. თურმე ამდაგვარი რამ ასეთ ხალხსაც მოსწონს!

როგორც კი სტუმრები მალა ავიდნენ, მაშინვე ელნათურები კაშკაშით აინთო, თუმცა ჩამავალი მზის სხივები ჯერ კიდევ ფანჯარაში ციმციმებდა. აქ გალიარდო ახალ მოულოდნელობას წააწყდა. მას ხომ ასე მოჰქონდა თავი მადრიდიდან ჩამოტანილი ფარჩაგადაკრული ავეჯით — ეს იჩიბი, მძიმე, მდიდრული ნივთები თითქოს თვითონვე გაჰყვიროდნენ, ძვირი ეღირვართო... აქ კი სულ თავგზა აებნა, როცა დაინახა მსუბუქი სავარძლები, თეთრი და მწვანე მაგიდები და კარადები, ერთფერად შეღებილი კედლები, რომელსაც გარდა მსხვილ ზონარებზე დაკიდული მომცრო სურათებისა. სხვა არაფერი სამკაული არ ამძიმებდა. ყოველივე ეს დასვეწილი, ნატიფი მორთულობა, წითელი ხის ოსტატთა ნახელავი იყო.

გალიარდოს შერცხვა, რომ აქამდე თავი მოსწონდა საკუთარი სახლის მოწყობილობით, რომელიც უმაღლესი ფუფუნების გამოხატულებად მიაჩნდა. „აი, რას ნიშნავს გაუნათლებლობა!“ და გალიარდო სავარძელზე ისე ფრთხილად ჩამოჯდა, თითქოს ეშინია. არ დაიმსხვრესო.

დონია სოლის შემოსვლამ მას ყველაფერი გადაავიწყა. ქალს არც მოსასხამი მოეხვია, არც თავსაბური ებურა. გაშლილი ოქროსფერი თმა ახლა საოცრად შეეფერებოდა მის სახელს.* დონია სოლი ასეთი—არასოდეს უნახავს გალიარდოს. იაპონური კიმონოს სახელოებში თვალისმომკრელად მოუჩანდა თეთრი ხელები, კიმონოს საყვლო მკერდზე ჯვარედინად გადაეყეცა და მოლიავებული მშვენიერი ყელი, ოდნავ ქარვისფერი რომ დაჰკრავდა, ორი ძლივს შესამჩნევი მკრთალი ნაოკით — ვენერას ყელს მიუგავდა. ყოველ მოძრაობაზე თითებზე ასხმული უცნაური ბეჭდების მრავალფეროვანი ქვები ჯადოსნური ცეცხლით ლივლივებდა. წვრილ ხელებზე ოქროს სამაჯურები წკრიალებდნენ — ზოგი ფილიგრანული, აღმოსავლური ნაკეთობისა, რალაც საიდუმლოებით მოცული წარწერებით, ზოგიც შორეული მხარეებიდან სამახსოვროდ ჩამოტანილი მსხვილი, ბაჯალლო ოქროს სამაჯურები — ამულეტების მსგავსი საკიდრებითა და ეგზოტიკური, პატარა ფიგურებით.

* სიტყვა „სოლ“ ესპანურად მზეს ნიშნავს

დონია სოლი სკამზე მამაკაცურად იჯდა, ფეხი ფეხზე გადაედო და ფეხის წვერით წითელ, მალაქუსლიან ფეხსაცმელს სათამაშო-სავით ათამაშებდა.

გალიარდოს თვალთ დაუბნელდა. ყურები უშხუოდა. იგი მხოლოდ მისკენ მომხირალ ნახ, დამცინავ, ირონიულ სახეს ხედავდა. პლელვარების დასაფარავად გალიარდო ილიმებოდა და თეთრ კბილებს აელვებდა. მის სახეზე აღბეჭდილიყო უმოძრაო ღიმილი იმ ახალგაზრდა კაცისა, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობს, ვინმეს თავიანიად მოაჩვენოს თავი.

— არა, სენიორა... უღრმესი მადლობა. არ ღირს ყურადღებადღეუბასუხა მან, როცა დონია სოლმა გადარჩენისათვის მადლობა უთხრა.

გალიარდო თანდათან დაწყნარდა. საუბარი ხარებზე ჩამოვარდა და ყოველივე ამან მატადორს ძალ-ღონე შეჰმატა. დონია სოლს გალიარდო რამდენიმეჯერ ენახა ასპარეზზე და ზუსტად გაიხსენა ბრძოლის უმნიშვნელოვანესი მომენტები. გალიარდომ სიამაყე იგრძნო, რადგან ქალს იგი ენახა ბრძოლის დროს და ზუსტად ახსოვდა ყველაფერი.

ქალმა უცნაური ყვავილებით მოხატული ლაქის ყუთი გახსნა და მამაკაცებს ოქროს მუნდშტუკიანი სიგარეტები შესთავაზა. რომელიც სასიამოვნო, ამადლელებელ არომატს გამოსცემდა.

— ოპიუმია, ძალზე სასიამოვნო მოსაწევია.

ქალმა გააბოლა, კვამლს გააყოლა მომწვანო თვალეში, რომელიც 'ინათლეზე ოქროსავით ბრწყინავდა.

ტორერო, რომელიც მიჩვეული იყო, მაგარ, ჰავანურ თამბაქოს. ამ სიგარას ცნობისმოყვარეობით დაეწაფა. ნამდვილად ქალების გასართობი ჩალაა. მაგრამ კვამლში არეული უცნაური არომატი გალიარდოს თანდათან მატებდა სიმხნევეს.

დონია სოლი მიჩერებოდა მატადორს და მისი ცხოვრების ყოველ წვრილმანს ეკითხებოდა. ქალს სურდა სცოდნოდა ყველაფერი, დაწყებული მაწანწალობიდან დღემდე.

უეტრად ნდობით გამსჭვალული გალიარდო ალაპარაკდა. ყვებოდა თავის ზავშვობას; სიამაყით ხაზს უსვამდა თავის დაბალ წარმოშობას, მხოლოდ არას ამბობდა ზოგიერთ რამეზე. რაც სირცხვილად მიაჩნდა მის დაუდგრომელ ყრმობაში:

— სანტერესოა... ძალზე ორიგინალურია...—იმეორებდა ტურფა სენიორა.

ზღვჯერ ქალი თვალს მოსწყვეტდა გალიარდოს და თითქოს რაღაც უნილავს აშტერდებოდა, ღრმა ფიქრს მიეცემოდა.

— მსოფლიოს უპირველესი მატადორია! — წამოიძახებდა ხოლმე წრფელი ალტაცებით დონ ხოსე. — დამიჯერეთ, სოლ, ასეთ მამაცს სხვას ვერსად ნახავთ. მერედა როგორ იტანს ხარის რქებს!

დონ ხოსე ამყობდა გალიარდოს ძლიერებით, თითქოს ეს მისი პირადი დამსახურება ყოფილიყო. რწმუნებული თითებზე ითვლიდა და ისე აღწერდა მატადორის ქრილობებს, გეგონებოდათ ტანისამოსის შიგნით ხედავსო. დონია სოლი ამ ანატომიურ აღწერას წრფელი ალტაცებით უსმენდა: აი, ნამდვილი გმირი, მორცხვი, თავშეკავებული და ისეთი უშუალო, როგორც ყველა ძალოვანი ადამიანი.

რწმუნებული გამოსამშვიდობებლად წამოღვა. შინ მელიან. უკვე რვა დაიწყო. მაგრამ დონია სოლმა ღიმილით გზა გადაუღობა: მეგობრულად, ერთად ვივახშმით. ამ საღამოს არავის ველოდები. მარკიზი ოჯახიანად სოფელში გაემგზავრაო.

— სრულიად მარტო ვარ. სიტყვა არ გამაგონოთ: ვბრძანებ. უნდა გაიზიაროთ ჩემი მარტობა.

და თითქოს მისი ბრძანება კანონი ყოფილიყოს, მეორე ოთახში გავიდა.

დონ ხოსე უარზე იყო. არა, არა, ვერ დავრჩები. დღეს ჩამოვედი. ოჯახში არ ვყოფილვარ. ამასთან შინ ორი მეგობარი მყავს დაბარებულიო. რაც შეგეხება შენ, გალიარდო, სავსებით ბუნებრივი და სწორი იქნება, თუ დარჩები. კაცმა რომ თქვას, დაპატიყებულ მხოლოდ შენ იყავი.

— დარჩით ცოტა ხანს, — ემუდარებოდა დაბნეული გალიარდო, — დასწყევლოს ეშმაკმა ნუ დამტოვებთ მარტო. არ ვიცი რ: ვაკეთო, ან რა ვილაპარაკო.

დონია სოლი თხუთმეტი წუთის შემდეგ დაბრუნდა. ახლა ეგზოტიკური ხალვათი სამოსი კი აღარ ეცვა, რომლითაც წელან შეხვდ: მათ, არამედ პარიზიდან, პაკენის მიერ გამოგზავნილი ერთ-ერთი ტუალეტი, რომელიც მისი მეგობრებისა და ნათესავების შურის საგანი გამხდარიყო.

დონ ხოსემ დაიჩემა, უეჭველად უნდა წავიდე, მატადორი დარჩება, მე შევივლი მის სახლში და გავაფრთხილებ, არ უცადონო.

გალიარდოს სახეზე შემოფოთება დაეტყო, მაგრამ რწმუნებულს შემოხედვამ დააშოშმინა.

— ნუ გეშინია, — წასჩურჩულა კარისაკენ მიმავალმა დონ ხოსემ, — ბალღი ხომ არა ვარ. ვეტყვი, რომ მადრიდიდან ჩამოსულ თაყვანისმცემლებთან ვახშმობს-მეთქი.

ო, რა წამება გადაიტანა გალიარდომ პირველ წუთებში თაყვანა დაუბნია სასადილო ოთახის დიდებულმა ფუფუნებამ, რომელშიც

თითქოს დაიკარგნენ ისა და მისი ქალბატონი. ისინი დიდ ძაგიდას-
თან, ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ. ვარდისფერ აბრიან, მძიმე,
ვერცხლისფერ კანდელაბრებში ელდენის შუქი ენთო. გალიარდო
ძრწოდა ამ ახმახი, გაპრანქული მსახურების წინაშე, რომლებიც
ისე თავისუფლად, აუღელვებლად მიმოდრიოდნენ, თითქოს შეჩვეუ-
ლი არიან ქალბატონის ახირებულ ქცევას და აღარაფერი აკვირებ-
თო. გალიარდო სირცხვილით იწვოდა თავისი მიხვრა-მოხვრის და
ტანსაცმელის გამო, რადგან თავის გარეგნობასა და იქაურ მორთუ-
ლობას შორის მკვეთრ კონტრასტს გრძნობდა.

მაგრამ ლელვის და შიშის გრძნობა თანდათან ქრებოდა. დონია
სოლი სტუმრის თავშეკავებულობაზე იცინოდა, რადგან გალიარდო
შიშით ჭიქასა და საჭმელსაც ვერ ეკარებოდა. მხოლოდ ქალს შეპ-
ყურებდა აღტაცებული. ო, რა კბილები აქვს ამ ქერა ქალბატონს!
გახსენა თავისი ნაცნობი ქალების პრანქვა-გრეხა, ბევრ ჰამას რომ
უზრდელობად თვლიდნენ. გალიარდო გააკვირვა ამ ქალის მადამ და
სინატიფემ, საჭმლის ნარჩენები უჩინარდებოდნენ მის ვარდისფერ
ბაგეში და ნაკვალევსაც კი არ ტოვებდნენ. ყბები ისე მოძრაობ-
დნენ, რომ ოდნავადაც არ იცვლებოდა სახის გამომეტყველება.
როცა სასმელს კათხით სვამდა, წვეთიც არ ეღვრებოდა ტუჩებზე.
რა თქმა უნდა, ასე მხოლოდ ღმერთები სადილობენ!

გალიარდომ ქალის მაგალითს მიბაძა, სმა-ჰამას მიეძალა. შებო-
ქილი სიმორცხვის დათრგუნვას ღვინოში ეძიებდა. მატადორი ამ
ხნის განმავლობაში ლელავდა და დონია სოლის მომართვაზე იღი-
მებოდა და მხოლოდ ერთსა და იმავეს იმეორებდა: „დიდად გმად-
ლობთ“.

თანდათან საუბარი გამოცოცხლდა. მატადორი მთლად ენად
გაიკრიფა. იგი ტორეროების ცხოვრებიდან თავშესაქცევ ამბებს
ჰყვებოდა. ლაპარაკობდა ნასიონალის ქადაგებებზე, ტლანქი ჰაბუ-
კის, პიკადორ პოტახეს მამაცობაზე, რომელიც თითქმის ნაჭუქიანად
ყლაპავდა მაგრად მოხარულ კვერცხებს. ერთხელ ჩხუბში ყური
ნახევრად მოაქამეს, რამდენიმე თვის წინ კი, მომაკვდავი ცირკის
საავადმყოფოში წაიყვანეს. იქ თავისი მძიმე ტანით საწოლს დაე-
ნარცხა, უზარმაზარი დეზებით გახია ვეებერთელა ლეიბი და მერე
ისე ააგლიჯეს საწოლს, როგორც ქრისტე ჯვარცმას.

— ძალზე საინტერესოა! ძალზე ორიგინალურია!

დონია სოლი იღიმებოდა, ყურს უგდებდა ამ უბრალო ხალხის
ცხოვრების ამბებს; რომელნიც სიკვდილს ეთამაშებოდნენ და მას
ასე იტაცებდა შორიდან.

შამპანიურმა თავისი გაიტანა. შემთვრალი გალიარდო მაგიდიდან

წამოდგა, ქალი საცეკვაოდაც კი გაიწვია და თავისი გამბედაობით თვითონაც გაკვირდა. მაგრამ ეს ხომ მიღებულია მალალ საზოგადოებაში? იგი არცთუ ისე მოუხეშავია, როგორც პირველ შეხვედრისას იფიქრებს კაცი.

სასტუმროში, სადაც ყავა მიართვეს, გალიარდომ შეამჩნია გიტარა, სწორედ ის გიტარა, რომელზედაც ლეჩუსო დონია სოლს დაკვრას ასწავლიდა. ქალმა სთხოვა მატადორს, დაუქარ რამეო.

— არა, არ ვიცი! მე ხომ მხოლოდ ხარების ხოცვა შემიძლია!

გალიარდომ ინანა, რომ თან არ ახლდა თავისი კვადრილის პუნტილიერო, რომელსაც გიტარაზე დაკვრის ხელოვნებით ქალები თავდავიწყებამდე მიჰყავდა.

ორივე დადუმდა. სავარძელზე მჯდომი გალიარდო მსახურის მიერ მოტანილ შესანიშნავ ჰავანურ სიგარას აბოლებდა, ქალი კი არომატულს ეწეოდა. ბევრი ჭამისაგან ოდნავ გამოთავყანებული ტორერო პირის დაღებას ვერ ახერხებდა. ცოცხალი რომ იყო, ამას მხოლოდ მის სახეზე აღბეჭდილი სულელური ღიმილი ამტკიცებდა.

სენიორას, როგორც ეტყობა, მოსწყინდა სიჩუმე; როიალთან მივიდა, კლავიშები ძლიერად აათამაშა და მალაგენია* წამოიწყო.

— ოლე! აი, ეს მესმის! — წამოიძახა გამოფხიზლებულმა გალიარდომ.

მალაგენიას მოჰყვა სევილიანა და სხვა ნაღვლიანი სიმღერები. დონია სოლი ადგილობრივი კოლორიტის გამო აგროვებდა ამ სიმღერებს.

გალიარდო ხმამაღალი შეძახილებით აწყვეტინებდა ქალს დაკვრას, ისევე, როგორც კაფეშანტანში, როცა სცენის ახლოს იჯდა.

— ხელები კი არა, ოქროა, ოქრო! ახლა სხვა დაუქარი!

— გიყვართ მუსიკა? — შეეკითხა დონია სოლი.

— ო, ძალიან! — წინათ გალიარდო არც დაფიქრებულა ამაზე. მაგრამ მუსიკა ნამდვილად უყვარდა.

მზიარული ხალხური მუსიკა ნელმა და საზეიმო მუსიკამ შეცვალა. მატადორმა თავი მუსიკისმცოდნედ წარმოიდგინა. „ასეთს ეკლესიაში უქრავენ“. აღტაცებული შეძახილები შეწყდა. გალიარდო ტებილმა გრძნობამ შეიპყრო და თვალები ეხუჭებოდა. კიდევ თუ გაგრძელდა ეს კონცერტი, ნამდვილად წასთვლემს!

ძილი რომ განეფრთხო, გალიარდომ ზურგით მჯდარ სენიორას დაუწყო თვალიერება. „რა ტანი აქვს!“ მისი აფრიკული თვალები ჩაშტერებოდნენ მრგვალ, თოვლივით ქათქათა კისერს, რომელსაც

* ხალხური სიმღერა, გავრცელებული სოფელ მალაგაში.

არწივივით ურჩი, ოქროსფერი კულულები დასთამაშებდა. გალიარდოს დაბურულ ტვინში უგნურმა აზრმა გაუელვა და ცოდვის ჩადენის სურვილმა საბოლოოდ გამოაფხიზლა.

„რას იზამს ეს გოგონა, ახლა რომ წამოვდგე, ნელა მივეახლოვდე და ამ დიდებულ ფაფარში ვაკოცო?“.

მაგრამ სურვილი სურვილადვე დარჩა, რადგან ქალი მორჩილების გრძნობას უნერგავდა. ამასთან, გაახსენდა რწმუნებულის ნაამბობი: გაიხსენა, რა მრისხანებით უარყო ქალმა აბეზარი ახალგაზრდების თაყვანისცემა, რა თვალთმაქცობა შეისწავლა საზღვარგარეთ, რომ ძლიერი მამაკაცები დაეთრგუნა და ჩვრად ექცია... გალიარდო კვლავ მიშტერებოდა თოვლივით ქათქათა კისერს, ოქროსვარაყიან მთვარეს რომ მოჰკავდა.

ძილმა ტორეროს თვალებს კვლავ ბურუსი მოჰფინა. „არა, ასე დამეძინება“. გალიარდო შეშინდა, ეს მისთვის გაუგებარი, მაგრამ ალბათ შესანიშნავი მუსიკა მის ხერინვას არ დაეფარა. იგი საკუთარ ფეხებს ჩქმეტდა, იზმორებოდა და მთქნარების დასაფარავად პირზე ხელს იფარებდა.

გავიდა დიდი ხანი. გალიარდოს არ ახსოვს ამ დროის მანძილზე ეძინა თუ არა. უცბად დონია სოლის ხმამ მძიმე თვლემისაგან გამოაფხიზლა. ქალმა ცისფრად აბოლებული სიგარა დადო და ნაზად ამღერდა, თითოეულ სიტყვას ვნებიანი ალტაცებით გამოთქვამდა.

ტორერომ მიაყურადა, იქნებ რაიმე გავიგო... ვერაფერს მიხვდა. უცნაური სიმღერა იყო. „ეშმაკმა დალაზვროს! ტანგოს* ან სოლედას** რატომ არ მღერის? ჰოდა კიდევ სურთ, რომ ყოვლად პატოსანმა ქრისტიანმა არ წაიძინოს“.

დონია სოლი ოცნებით მალლა იყურებოდა. ხელები კლავიშებზე დაეწყო, თავი გადაეწია და მისი სავსე მეერდი ნაზი, მუსიკალური უნთქვით თრთოდა. ეს იყო ელზას*** მუდარა, ოქროსთმინი ქალწულის ვედრება, რომ შეხვედროდა ქმარი, რომელიც შესანიშნავი პებრძოლი იქნებოდა, უძლიერესი მამაკაცთა შორის, ხოლო ქალების მიმართ — მორცხვი და ალერსიანი.

დონია სოლი ცხადლივ ოცნებობდა. თითოეულ სიტყვას ვნებიანი თრთოლვით გამოთქვამდა და ლელვისაგან წამწამებზე ცრემლი უკრთოდა. გულუბრყვილო და ძლიერი ქმარი! ნამდვილი ვაჟაკი! მის ზურგს უკან ხომ არ ზის ის. ვინ იცის!..

ის არა ჰკავს ლეგენდარულ ჭაბუქს, უხეშია და ტლანქი, მაგრამ

* დაედაპირველად: კუბის და არგენტინის ხალხური სიმღერა.

** ესპანური სევდიანი ხალხური სიმღერა.

*** ვაგნერის ოპერის „ლოენგრინის“ გმირი ქალი.

ახსოვს რა გაბედულად გამოიქცა მისი ვადასარჩენად, რა მხიარული უდარდებლობით შეეჭიდა გაცოფებულ ნადირს და ისეთი ბრძოლა გაუმართა, როგორც თვით ვაგნერის გმირები ღრაკონებს სძლევენ. დიახ, ივია მისი რაინდი!

ვნებიანი მოლოდინით შეპყრობილი ქალი თავს წინასწარ დამარცხებულად გრძნობდა, მის ზურგს უკან გატრუნულ არსებას თვალყურს ადევნებდა, ხედავდა რა დინჯად დგებოდა სავარძლიდან მისი გმირი, მისი პალადინი, რომლის აფრიკული თვალები მას მიჩერებოდა. ქალს ესმოდა მისი ფრთხილი ნაბიჯები, გრძნობდა მხრებზე სანატრელი ადამიანის ხელებს, მერე კისერში ვნებიან კოცნას — ცეცხლოვან დაღს, რომელიც მას სამუდამოდ დაიმონებდა... მაგრამ სიმღერა ისე დამთავრდა, რომ არაფერიც არ მომხდარა, მის მხრებს არავინ მიჰკარებია. ქალს დაუკმაყოფილებელი სურვილისაგან გააჟრჟოლა.

იმედგაცრუებულმა დონია სოლმა დაკვრა შეწყვიტა და მბრუნავ სკამზე სწრაფად შემოტრიალდა. გმირი კი დივანზე გაშხლართულიყო, ხელში ასანთი ეკავა, სიგარის მოკიდებას ამოოდ ცდილობდა და მთელი ძალ-ღონით თვალებს აბრიალებდა, რათა არ ჩასძინებოდა.

როცა გალიარდო მიხედა, რომ ქალი მას უყურებდა, წამოდგა... ო, სასურველი წამი დადგა, გმირი დონია სოლისაკენ მოემართება, რათა ვაჟკაცური შემართებით დაიმორჩილოს ის, დაამარცხოს და დაიმონოს.

— ღამე მშვიდობისა, დონია სოლ... წავალ... უკვე გვიანაა... ალბათ თქვენც დაიღალეთ.

განრისხებული და გაკვირვებული დონია სოლი წამოდგა, ანგარიშიუცემლად ხელი გაუწოდა... მოუხეშავი და გულუბრყვილოა. როგორც ნამღვილი გმირი!

ქალი არეულად აზროვნებდა გარდაუვალ მარცხზე, საზოგადოებაში მიღებულ პირობითობაზე — რომელიც თავდავიწყების წუთებშიც კი ყველა ქალს ახსოვდა: არა, შეუძლებელია. შინ მოხვლის პირველსავე დღეს? ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე! თვითონვე სტადოსი? მაგრამ როცა მატადორმა ხელი ჩამოართვა და თვალეები მიაპყრო... ო, მხოლოდ ამ თვალებს შეეძლოთ ეცქირათ ასე ვნებიანად, ასე მუნჯურად გამოეხატათ ყველა გაუბედავი მუდარა, უსიტყვო თნევა.

— ნუ წახვალთ... დარჩით, დარჩით!

ქალს მეტი აღარაფერი უთქვამს.

მამაკაცური თავმოყვარეობითა და სხვა წარმატებებით დაკმაყოფილებული გალიარდო ძალზე გაყოყოჩდა.

მარკიზ მორაიმასთან საუბრისას იგი მშობლიურ სიყვარულს გრძნობდა მისდამი. ეს სენიორი, რომელიც სოფლურ ყაიდაზე მონადირის შარვალს ატარებდა, მრისხანე კენტავრი*, გაროჩოს რომ არ იცილებდა, სახელოვანი მბრძანებელი გახლდათ, რომელსაც შეეძლო მეფის სასახლეში დრო ეტარებინა, მორთულიყო ოქრომკედით ნაკერი კამზოლით, წელზე ოქროს გასაღები ჩამოეკიდა. გულ-მკერდი კი აურაცხელი ჯვრებითა და რეგალიებით დაემშვენებინა. მისი წინაპრები მავრებზე გამარჯვებულ მონარქს შემოჰყენენ სევილიაში, თავიანთი გმირობის ჯილდოდ მტრისგან გაწმენდილ თვალუწვდენელი მიწები ერგოთ. მამა-პაპათა ძველი სამფლობელოებისაგან შემორჩენილ ვრცელ მინდვრებზე ახლა მორაიმას ხარები ძოვდნენ. მისმა პაპებმა, ესპანეთის მეფეთა მეგობრებმა და შრჩევლებმა, საგვარეულო სიმდიდრის დიდი ნაწილი სასახლეში ფუფუნებით ცხოვრებას შეაღიეს. და ეს სახელოვანი, კეთილი და ხელგამწილი სენიორი, რომელსაც სოფლის ცხოვრებაშიც შემორჩა სახელგანთქმული დიდების კვალი, ლამის გალიარდოს ნათესავი გახდეს.

მარკიზ მორაიმა განა ბიძად არ ეკუთვნის? თუმც ეს ნათესაობა არაა კანონიერი, გალიარდო სახალხოდ მის აღიარებას ვერ ბედავს. მაგრამ მის თავმოყვარეობას ეფონება უფლება, რომელიც სიყვარულის მეოხებით მოიპოვა დიდგვაროვან ქალზე. ქალზე, რომელიც ამქვეყნად არსებულ ყოველ ცოცხალ არსებას ფეხქვეშ თელავდა. ახალგაზრდა მამაკაცები, რომელნიც ადრე მოურიდებლობით ეტყეოდნენ მას, რადგან ტავრომაქიის მოყვარულთა მძაღლ საზოგადოებაში ასე იყო მიღებული, ახლა კი, როგორც თანასწორი თანასწორს, ისე ეპყრობოდნენ გალიარდოს.

ტორერო მიეჩნია, რომ დონია სოლი ცნობილ სენიორებზე უბრალოდ საუბრობდა, რის უფლებასაც თავისი წარმოშობა აძლევდა. გალიარდოც შენობით ელაპარაკებოდა ყველას; სხვაგვარად ზორ შეილახებოდა მისი თავმოყვარეობა.

ტორეროს ცხოვრება და ჩვევები შეიცვალა. იგი იშვიათად შედიოდა სიერპესის ქუჩაზე, კაფეში, სადაც მისი თაყვანისმცემლები იკრიბებოდნენ, ისინი თუმცა არარაობას წარმოადგენდნენ, მაგრამ გატაცებული და ალალმართალი ადამიანები იყვნენ. ბევრი მათგანი წვრილი მეწარმე გახლდათ, მუშათა წრიდან გამოსული მებატრონე-

* ბერძნულ მითოლოგიაში — ცხენკაცი.

ნი, და ბოლოს, გაურკვეველი პროფესიის უბრალო ადამიანები, რომლებიც უჩინარი, გამოუცნობი შემოსავლით ცხოვრობდნენ და კორიდაზე ლაყბობის გარდა სხვა საქმე არ ჰქონდათ.

გალიარდო რომ კაფეს ჩაუვლიდა, ერთგულ თაყვანისმცემლებს პიესალმებოდა ხოლმე. ისინი გაშტერებული შეჭყურებდნენ ტორეროს და საპასუხოდ ხელს უქნევდნენ, „ახლავე მოვალ“, ეტყოდა პათ გალიარდო და მიემართებოდა იმავე ქუჩაზე მდებარე არისტოკრატიულ კლუბისკენ, გოთური სტილის უზარმაზარი დარბაზებით, მაგიდებზე ვერცხლის ჭურჭლითა და მოკლეშარვლიანი მსახურებით.

ქალბატონ ანგუსტიასის ვაჟი თვითკმაყოფილი, ამაყი იერით ჩაუვლიდა ორად ჩამწკრივებულ, სიმივით გაჭიმულ შავფრაკიან ლაქიებს; ზვიადი და ბატონკაცურად მედიდური ჯარისკაცი, რომელსაც კისერზე ვერცხლის ჯაჭვი ეკიდა, იჩქაროდა, რათა გალიარდოსთვის ქუდი და ხელჯოხი ჩამოერთმია. აი, რა სასიამოვნოა რჩეულ საზოგადოებაში ყოფნა! ძველებურ სავარძლებში ჩაფლული ახალგაზრდები საუბრობდნენ: ცხენზე, ქალებზე ან თავიანთ ორთაბრძოლაზე. ესპანეთის ამ ახალგაზრდა შვილებს თითქოს მდგომარეობა აიძულებდათ გამოეჩინათ გმირობა და უკიდურესი პედანტობა სინდისის საკითხებში. კლუბის ერთ დარბაზში ფარიკაობდნენ, მეორეში — მთელი დღის განმავლობაში ბანქოს თამაშობდნენ. გალიარდო გამონაკლისად მიაჩნდათ და ამიტომ ითმენდნენ. იგი მათთვის „შესაფერის“ ტორეროდ ითვლებოდა. იცვამდა კარგად, ფულს ფანტავდა და მაღალ საზოგადოებაში იყო მიღებული.

— ძალზე განათლებულია, — დამაჯერებლად ამბობდნენ მასზე კლუბის წევრები, რითაც ამქლავებდნენ თავიანთ უმეცრებას.

რწმუნებული, დონ ხოსე, საუკეთესო წარმოშობისა და სასიამოვნო მიხვრა-მოხვრის კაცი, გალიარდოს თავმდები იყო ამ ახალ საზოგადოებაში. გალიარდომ მაწანწალობის დროს ქუჩაში შეძენილი ემმაკონით შესძლო რჩეული ახალგაზრდობის გულის მოგება და პრავალ მათგანს დაუმოყვრდა კიდეც. ბანქოს გალიარდო დიდ თანხაზე თამაშობდა. ეს იყო საუკეთესო საშუალება კლუბის წევრებთან ახლო ურთიერთობის დასამყარებლად. გალიარდოს ბედი არ წყალობდა და მუდამ აგებდა, სამაგიეროდ, სიყვარულში ჰქონდა იღბალი. ხანდახან ტორერო ღამეს „ცოდვილთა ოთახში“ ათენებდა, ასე ეძახდნენ ბანქოს სათამაშო ოთახს. გალიარდო იშვიათად იგებდა. კლუბის წევრები ბანქოში მისი წარუმატებლობის გამო სიამოვნებით ტრაბახობდნენ:

— გუშინ გალიარდო კვლავ ზორბად გაფტქვენეს. თექვსმეტ ათასამდე წააგო.

კლუბის წევრები სიხარულით გამოხატავდნენ თავის წარმატებებს ტორეროსთან, იგი მოთამაშეთა საიმედო დასაყრდენად მიაჩნდათ. გალიარდო წაგებისას უაღრეს სიმშვიდეს ინარჩუნებდა, ამიტომ ყველა პატივისცემით ეპყრობოდა მას.

ახალმა ვნებამ მატადორი სწრაფად ჩაითრია. აზარტით შეპყრობილს ზოგჯერ თავისი სახელოვანი სენიორაც ავიწყდებოდა, რომელიც მსოფლიოში ყველაზე წარმატებულ მატადორად მიაჩნდა. ითამაშოს ბანქო სევილიის ცნობილ საზოგადოებაში, იყოს ცნობილ საზოგადოების სიმადლეზე, რომლებთანაც ფული და საერთო გატაცება აკავშირებს, აი, რა არის მთავარი!

ერთ საღამოს მწვანე მაგიდაზე ჰეროდან ჰალი ჩამოვარდა. დაბნეულდა. საერთო დაბნეულობაში ტორეროს მბრძანებლური ხმაცაისმა:

— დამშვიდდით, ბატონებო! არაფერი მომხდარა. თამაში გრძელდება. მოიტათ შანდლები!

თამაში გაგრძელდა. მოთამაშენი გალიარდოს სიმშვიდითა და საზრიანობით უფრო იყვნენ გაკვირვებულნი, ვიდრე ასპარეზზე მისი სიმამაცით.

ერთხელ დონ ხოსეს მეგობრები ტორეროს დანაკარგით დაინტერესდნენ. გალიარდო ნამდვილად გაღატაკდება, რადგან ასპარეზზე აღებულ თანხას მთლიანად ბანქოს სათამაშო მაგიდაზე სტოვებსო. პასუხად დონ ხოსემ დამცინავად გაიღიმა და მატადორის დიდებაზე ტრახახს მოჰყვა. ამ წელს სხვა ტორეროებზე მეტი წინადადებები ვეაქვს. მერწმუნეთ, მალე ხარების ხოცვითა და ჯიბეში ფულის ზენით დავიღლებით. გართობა ხელს არ გვიშლის. ჰაბუკი საკმაოდ ჰევრს მუშაობს. ტყუილად როდია მსოფლიოს უპირველესი მატადორი!

წაგებისას გალიარდოს ისე მშვიდად ექირა თავი, რომ იქ მყოფნი აღტაცებაში მოდიოდნენ. ამასთან დონ ხოსეს თვალში სათაყვანებელი კერპის სახელი უფრო იზრდებოდა. შეუძლებელია ჩვეულებრივ ადამიანებთან, თითოეულ კაპიკს რომ უფრთხილდებიან, მატადორის შედარება, რომელიც უამრავ ფულს იხვეჭს. დონ ხოსეს საკუთარ წარმატებასავით უხაროდა რჩეულთა კლუბში ტორეროს მიღება.

— საერთო საზომით ხუანს ვერ მივუდგებით, — მუქარით აწყვეტილებდა დონ ხოსე სიტყვას იმათ, ვინც გალიარდოს გამტყუნებას გაბედავდა, — რა არის ამაში ცუდი? ის არისტოკრატი ტორეროა. მოისურვა და თავისას მიაღწია. ამიტომ შურთ მისი.

გალიარდომ ახალი ცხოვრება დაიწყო. იგი მარტო კლუბის წევრი კი არ იყო, ზოგჯერ ესწრებოდა კიდევ „ორმოცდახუთის საზოგადოების“ თათბირს, რომელიც ტავრომაქიის თითქმის სენატად ითვლებოდა. მატადორისათვის იქ შესვლა არცთუ ისე ადვილი იყო. ამიტომ კორიდის თაყვანისმცემლებს თავისუფლად შეეძლოთ საკუთარი აზრის გამოთქმა.

გაზაფხულსა და ზაფხულობით „ორმოცდახუთის კლუბის“ წევრები შენობის ან სადარბაზო შესასვლელის წინ ჩალის წნულ სავარძლებში მოკალათდებოდნენ და კორიდის ამბებს ელოდნენ, რადგან პრესისა არ სჯეროდათ და ამასთან გაზეთის გამოსვლამდე უნდა სცოდნოდათ შედეგები.

დღის ბოლოს, ნახევარკუნძულის ყოველი მხრიდან, სადაც კი კორიდა იმართებოდა, მიდიოდა დეპეშები. კლუბის წევრები კითხულობდნენ ამ ლაკონიურ ცნობებს, მსჯელობდნენ და თავიანთი მოსაზრებებით აესებდნენ მას. ეს საქმიანობა მათ სიამაყეს ჰგვრიდა. მაშინ, როცა ქალაქის მცხოვრებნი დალონებულნი დადიოდნენ საღამოს გაზეთის მოლოდინში, კლუბის წევრები მშვიდად ისხდნენ, სუფთა ჰაერზე, დებულობდნენ უზუსტეს ცნობებს ბილბაოს, კორუნიეს ბარსელონას და ვალენსიის არენებზე მომხდარი ბრძოლების შესახებ და გებულობდნენ, ვინ მიიღო ხარის ყური და ვის დაუსტვინეს. თუ დეპეშაში ცნობილ სევილიელ ტორეროს დაჭრას იტყობინებოდნენ, მაშინ პატივცემული სენიორები ივიწყებდნენ ყველაფერს ამქვეყნად და ქუჩაში გამოჩენილ ნაცნობებს საიღუმლო ამბებს უმეღავნებდნენ. ეს საიღუმლო იმწამსვე სიერპესის ქუჩის კაფემდე აღწევდა და რადგან დეპეშა „ორმოცდახუთის კლუბში“ მოსულიყო, იქ მყოფთ ეპვი არ ეპარებოდათ სიმართლესი.

ხშირად გალიარდოს კირვეული იმპრესარიო თავისი დაუცხრომელი აღტაცებით ამ საპატიო კრებულის დარბაისლურ ეტიკეტს არღვევდა. თუმცა ძველი მეგობრის კადნიერებას ყველანი იტანდნენ და ემსახურებოდნენ კიდევ. როცა დონ ხოსე კლუბში იყო, კეთილგონიერი სენიორები მის საყვარელ ტორეროზე კამათს ვერ ბედავდნენ. თუ დონ ხოსეს მოსვლამდე „იმ მამაც, მაგრამ არასაკმაოდ დახელოვნებულ ჰაბუკზე“ ჩამოვარდებოდა საუბარი, ყველას შიშით კარისკენ ეჭირა თვალი.

— პეპე მოდის! — გაისმოდა გამაფრთხილებელი ნიშანი და კაპათი მაშინვე წყდებოდა.

პეპე ხელში დეპეშის ფრიალით შემოდიოდა.

— როგორაა საქმე? სანტანდერადან დეპეშა მირილეთ?.. აი, წაითხეთ. გალიარდომ დაშინის ორი დარტყმით ორი ხარი გაგმირა.

ქორე ხარისთვის ყური დაიმსახურა. ხედავთ? აკი ვამბობდი, მსოფლიოს უპირველესი მატადორია-მეთქი!

„ორმოცდახუთის კლუბის“ მისამართით გამოგზავნილ დეპეშაში ზოგჯერ სულ სხვას იუწყებოდნენ, მაგრამ რწმუნებული დამკვირვებელ თვალს შეავლებდა ამ დეპეშას და მთელი ხმით გააკვიროდა:

— ტყუილია! შურთ! მე ზუსტი ცნობები მაქვს. ისინი ცოფდებიან, რადგან ჩემმა ბიჭმა ჯიბეში ჩაისვა ყველა.

საზოგადოების წევრები შემწყნარებლური ღიმილით შუბლზე აოთს იღებდნენ, — საცოდავი, მგონი გაგიჟდო, — და მშფოთვარე რწმუნებულსა და „მსოფლიოს უპირველეს მატადორს“ მასხრად იგდებდნენ. მოწყალეების გამო დონ ხოსეს ნება დართეს გალიარდო „ორმოცდახუთის კლუბში“ მოეყვანა. პირველად გალიარდო, თითქოს რწმუნებულის ნახვა სურსო, რამდენიმე წუთით შემოივილიდა. ჰერე სენიორების გვერდით მოკალათდებოდა ხოლმე. თუმც ყველანი არ იყვნენ მისდამი სიმპათიურად განწყობილნი, რადგან „თავის პატადორებად“ გალიარდოს მოწინააღმდეგე ტორეროები მიაჩნდათ.

კლუბის მორთულობას თავისი „სახე“ ჰქონდა, როგორც ამბობდა დონ ხოსე. კედლები ნახევრადარაბული შორენკეეებით იყო მოკირწყლული. სურათების ნაცვლად მას ამშვენებდნენ ძველი კორიდის ღია ფერის აფიშები, ცხენისა და ტორეროს რქებზე წამოგებით განთქმული ხარის თავები და ასპარეზშიტოვებულ ან აწ დასახიჩრებულ მატადორთაგან შემოწირული ძვირფასი ლაბადები და დაშნები.

ზაფხულობით საკინძეგაღელილ, სოფლურად ჩაცმულ ბატონებს ვრაცკი გამოწყობილი ლაქიები ემსახურებოდნენ. საზეიმო დღესასწაულებზე კორიდის არისტოკრატი-მოყვარულები ესპანეთის ყველა კუთხიდან ჩამოდიოდნენ „ორმოცდახუთის საზოგადოების“ მისასალმებლად. ლაქიები მაშინ თეთრ პარიკს იხურავდნენ, იცვამდნენ მოკლე შარვალსა და მოწითალო-ყვითელ ლივრეას. ასე და ამგვარად გამოწყობილი მსახურები მეფის სასახლის ლაქიებს მოგავგონებდათ. ისინი მანსანილიას მიაწვდიდნენ წარჩინებულ სენიორებს.

ზოგჯერაც, როცა სალამოს ხანს კლუბის „მამასახლისი“ მარკიზე მორაიმა შემოვიდოდა, სენიორები ირგვლივ შემოუხსდებოდნენ და სახელოვან მესაქონლეს თავმჯდომარის ადგილს უთმობდნენ. სავარძელში, რომელიც მეფის ტახტივით ამალღებულ ადგილზე იდგა, საუბარი ამინდით იწყებოდა. იქ მყოფთა უმრავლესობა მდიდარი მესაქონლე და მემამულე გახლდათ. მათი არსებობა მთლიანად დამოკიდებული იყო მიწასა და ამინდზე. მარკიზი, როგორც გამოც-

დილი ადამიანი, მათ თავის აზრებს უზიარებდა. მას ცხენით მოველო ანდალუსიის თვალუწვდენი მინდვრები, სადაც ლურჯ საძოვართა ტალღებში ზღვის ზანტი ურჩხულივით ნელა მოძრაობდნენ ხარები.

„ორმოცდახუთის კლუბისკენ“ მიმავალი მარკიზი მუდამ თვალს ადევნებდა ქალაქის ნაფლეთებს, რომლებიც მას ამინდის გამოცნობაში შეელოდა. გვალვა, ეს საშინელი მტერი ანდალუსიის საძოვრებისა, საუბრის დაუსრულებელი თემა იყო. თუ მოღრუბლული ციდან რამდენიმე დღის გაწამებული ლოდინის შემდეგ წვიმის მსხვილი წვეთები ჩამოჟონავდა, მდიდარი მემამულენი სიხარულით იღიმებოდნენ და ხელებს იფშენებდნენ, ხოლო მარკიზი ქვაფენილზე მუქად დაწვეთებულ მრგვალ, წვიმის წვეთების დანახვისას მოწღვარივით წარმოთქვამდა:

— დიდება შენ, ღმერთო! ყოველი წვეთი ხომ ხუთი დურო ღირს.

როცა ამინდის თემას ამოსწურავდნენ, სენიორებს საუბარი გადაჰქონდათ საქონელზე, უფრო ხშირად, ხარებზე, რომლებზედაც ისე ნაზად ლაპარაკობდნენ, თითქოს მათ შორის ნათესაური კავშირი არსებობსო. მესაქონლენი მარკიზის მოსაზრებას მოწიწებით ყურს უგდებდნენ. ტყუილად კი არ იყო იგი ყველაზე მდიდარი. მარკიზს მძვინვარე ხართა ჯიშის გამრავლების დიდი გამოცდილება ჰქონდა. რა ღრმა მცოდნეა ეს კაცი! მოზერების საასპარეზოდ აღზრდაზე ისე საუბრობს, თითქოს არაჩვეულებრივად სერიოზული და პასუხსაგები საქმე ყოფილიყოს.

გამოცდის შემდეგ ათ ხბოდან რვა თუ ცხრა ძალიან თვინიერ გამოდის და მხოლოდ დასაკლავად ვარგა. ამათგან მხოლოდ ერთს. რომელსაც გაროჩოსი არ ეშინია და საკმაოდ ფიცხია, კორიდისთვის არჩევენ და ცალკე ათავსებენ. ამავე დროს მათი გაწვრთნა მოითხოვს განსაკუთრებულ გაწაფვას. მერედა როგორ გაწაფვას!

— ასპარეზისათვის როცა ხარებს გამოარჩევთ, — მოძღვრავდა მათ მარკიზი, — სარტზე ნუ ფიქრობთ. რასაკვირველია, მეტრძოლ ხარში ოთხ-ხუთჯერ მეტს იძლევიან, ვიდრე იმ ხარში, რომელიც მხოლოდ დასაკლავად ვარგა, მაგრამ რა ძვირი ჯდება მისი გამოზრდა! სიძუნწემ არ უნდა დაგდლით. წუთით თვალი არ უნდა მოაცილო, მზრუნველად უნდა ასეა, აჭამო, მოუარო და დროის შესაფერისად ერთი საძოვრიდან მეორეზე გადაიყვანო. თითოეული ასეთი ხარი მთელი ოჯახის შენახვაზე უფრო ძვირი ჯდება. როცა წამოიზრდება, ყურადღებით უნდა იყო, რომ არაფერი შეემთხვეს. დამშვიდება შეუძლებელია უკანასკნელ წუთამდე, სანამ ცხოველს ცირკის არენაზე არ გამოიყვანენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა საქონლის კისერზე დასმული დაღის ღირსება შელახოს.

იმ შემთხვევაში, თუ ორკესტრი ახორს ზემოთ იყო განლაგებული, მარკიზს ანტრეპრენიორთან და ცირკის დირექციასთან ჩხუბი მოსდიოდა და ზოგჯერ თავისი გაზრდილი ხარებიც უკან მიჰყავდა. ვამაყრუებელი მუსიკა კეთილშობილ ცხოველებს აბნევსო. მარკიზის სიტყვით რომ ვთქვათ, ისინი კარგავდნენ სიმშვილესა და გამბედაობას.

— ისინი ხომ ჩვენ არაფრით ჩამოგვრჩებიან, — ნახად განაგრძობდა მარკიზი, — თუმც ლაპარაკი არ იციან, მაგრამ ზოგი მათგანი ბევრ ადამიანს სჯობია.

მარკიზი აქ მოიგონებდა ხოლმე თავისი ჯოგის წინამძღოლს ლობიტოს და ირწმუნებოდა: იმ ხარში მთელი სევილია რომ მიბოძონ. არ გავცვლიო. საკმარისი იყო მარკიზი ცხენით მოსულიყო მინდვრამდე, სადაც მისი საყვარელი პირუტყვი ძოვდა და დაეყვირა: „ლობიტო!“, რომ ჭკვიანი ხარი მაშინვე ჯოგს მიატოვებდა, მისკენ გამოქანებოდა და რამდენიმე წუთის შემდეგ ნერწყვიანი დრუნჩით პატრონს ფეხსაცმელს ულოკავდა. მერედა, ამ მძვინვარე ხარისა ხომ მთელ ჯოგს ეშინოდა. მეჯოგე ჯიბიდან აჩქარებით ამოიღებდა შოკოლადს და ლობიტოს უმასპინძლდებოდა. ის კი მადლობის ნიშნად უზარმაზარ რქებიან თავს აქნევდა. მერე მარკიზი წინამძღოლს კისერზე ხელს დაადებდა და ჯოგში უშიშრად შედიოდა. ადამიანის გამოჩენით გაღიზიანებული ცხოველები ყრუდ და შოუსვენრად შფოთავდნენ, მაგრამ მარკიზს ეს არ აწუხებდა. ერთგული ძაღლივით თან ახლდა ლობიტო, რომელიც ტანით პატრონს ეფარებოდა და ისე მრისხანედ შეჰყურებდა თანამომძმეთ, თითქოს მათგან პატრონის თაყვანისცემას მოითხოვსო. თუ რომელიმე გულადი მარკიზთან ახლოს მისვლას შეეცდებოდა, წინამძღოლის მრისხანე რქებს წააწყდებოდა. ხანდახან ზანტი ცხოველები ჯგროვ შეგროვდებოდნენ და გზას გადაუღობავდნენ მას. მაშინ ლობიტო ჯიქურ წინ მიიწევდა და გზას რქებით უკაფავდა.

როცა მარკიზი საკუთარ საძოვრებზე გამოზრდილი ხარების მამაცობას იხსენებდა, მისი თეთრბაკენბარდებიანი და ნიკაპაგაპარსული სახე აღტაცებისა და სიამოვნებისაგან ბრწყინავდა.

— ხარი უკეთილშობილესი პირუტყვია დედამიწაზე! ადამიანები რომ ხარებს ჰგავდნენ, რამდენად იოლი იქნებოდა ეს ცხოვრება. ავიღოთ თუნდაც საცოდავი „პოლკოენიკი“, გახსოვთ ის განაჩეში ჯოგისა?

და მარკიზი მიგითითებდათ ახალგაზრდობაში მონადირის ტანსაცმელში გადაღებულ ძველ ფოტოსურათზე, რომელიც ძვირფას ჩარჩოში იყო ჩასმული. ამ სურათზე. შუა მინდორში, მამის გვერდით.

ქზარმაზარი ხარის რქებზე ისხდნენ თეთრ კაბიანი გოგონები. სწორედ ის ხარი იყო მძვინვარე, პატრონის მონამორჩილი „პოლკოვნიკი“, რომელიც უცხოსთან ნაგაზივით ავი იყო. ხარი ნებას რთავდა ბავშვებს შეხებოდნენ მის ყურებს, მოექაჩათ კუდი, კეთილშობილური ბუზღუნით იტანდა მათ ცელქობას. მარკიზს მიჰყავდა მასთან თავისი ქალიშვილები, და ხარი მშვიდად ყნოსავდა მათ კაბას. თავდაპირველად ბავშვები შიშით მამას ეკვროდნენ. მერე მოურიდებელი ბავშვური გამბედაობით საშინელ პირუტყვს დრუნჩხვ ხელს უსვამდნენ. „პოლკოვნიკო“, დაწეკი“, და ხარი მიწაზე წვებოდა. მთელი ოჯახი მის ზურგზე თავსდებოდა. ძლიერი ფშვინვისაგან ხარს ფერდები საბერველივით ებერებოდა.

და აი, დიდი ყოყმანის შემდეგ მარკიზმა პამპლონის ცირკს მიჰყიდა „პოლკოვნიკი“ და მის საყურებლად კორიდაზე წავიდა. მარკიზს თვალზე ცრემლი ერეოდა, როცა იგონებდა იმ ამბავს. ჯერ არავის ენახა ასეთი ხარი! ბნელი ბაკებიდან ხარი თამამად გამოვიდა თვალისმომკრელად განათებულ არენაზე და ხალხის გამაყრუებელი ხმაურისაგან ერთ ადგილას გაშეშდა. მაგრამ როგორც კი პიკადორი შუბის წვერით შეეხო, ცხოველი ისე გააფთრდა, რომ ცირკში მყოფ ხალხს ქრუანტელმა დაუარა.

— დაერია ერთად ცხენსა და კაცს, თვალის დახამხამების უმაღლესი ამოფატრა ყველა ჯაგლაგი, ათამდე პიკადორი და მსახური სარბიელიდან გააქცია. ასპარეზი დაცარიელდა. მაყურებლებმა ცხენების გამოყვანა მოითხოვეს. „პოლკოვნიკი“ იცდიდა, რათა რქებზე წამოეგო; ვინც კი მოახლოვებას გაუბედავდა. ცხოვრებაში არ მინახავს ასეთი მძვინვარე და შესანიშნავი ცხოველი. არენაზე ისე პარჯვედ და სწრაფად ესხმოდა თავს მოწინააღმდეგეს, რომ ხალხი აღტაცებაში მოჰყავდა, როცა შუბით და ბანდერილით მიყენებული კრილობის შემდეგ მისი სიკვდილის ქამი დადგა, ისეთივე ლამაზი და დიდებული გახლდათ, როგორც საძოვარზე იყო ხოლმე. და აი, აქ...

აქ შესაქონლე რამდენიმე წუთით საუბარს სწყევტდა, ჩუმდებოდა, რათა მღელვარება დაეოკებინა.

ლოქაში მჯდომ მარკიზს აღარ ახსოვდა როგორ გაჩნდა მოაჯირთან, სადაც ცირკის მსახურები შემოხვეოდნენ მატადორს. რომელიც მშვიდად ამზადებდა მულეტს და თითქოს სურდა გაეჭიანურებინა გარდაუვალი ბრძოლა გააფთრებულ ცხოველთან. „პოლკოვნიკო“, შესძახა მოაჯირზე გადაყრდნობილმა მარკიზმა და ხელი ფიცარზე დააბრაახუნა. ხარი არ განძრეულა, მხოლოდ

ყურადღება გაამახვილა იმ ხმაზე, რომელმაც მშობლიური იალაღები მოაგონა. „პოლკოვნიკო!“, ხარი შემოტრიალდა, მოაჯირთან კაცი დაინახა და მისკენ გამოექანა. ხარმა შუა გზაზე სირბილი შეაჩერა, ნელა მიუახლოვდა მოაჯირს და მისკენ გამოწვდილ ხელებს რქებით შეეხო. ხარს კისრიდან სისხლი სდიოდა, ბანდერილიებით გაგლეჯილი ტყავიდან ლურჯი კუნთები მოუჩანდა. „პოლკოვნიკო! ჩემო ძვირფასო!..“ ხარმა თითქოს იგრძნო ამ სიტყვებში ჩაქსოვილი მთელი სინაზე, თავი ასწია და გათხუპნული ღრუნით პატრონის ბაკენბარდებს მიეკრო. „რატომ მომიყვანე აქ?, რად მომიყვანე აქ?“ თითქოს ეუბნებოდნენ მისი ჩასისხლიანებული დიდი თვალები. თავდავიწყებამდე მისული მარკიზი კოცნიდა პირუტყვის ქაფიან ღრუნჩს.

„არ მოკლათ!“ — გაისმა პირველი რიგიდან ვილატას აღელვებული ხმა. ამ სიტყვებმა თითქმის ყველა მაყურებლის გული ააფორიაქა. პაერში მტრედის გუნდივით აფრიალდა ათასობით ცხვირსახოცი. ცირკი ხმამაღალმა ღრიალმა გააყრუა: „ნუ მოკლავთ!“ მაყურებელი უარს ამბობდა საინტერესო სანახაობაზე. არაობად მიაჩნდა ბრწყინვალე ტანსაცმელში გამოწყობილი ტორეროს უსაგნო გმირობა და აღტაცებული იყო წამებული პირუტყვის სიმშვიდით, რომელმაც თავისი მამაცობით მაყურებელი მოხიბლა.

— და მე წამოვიყვანე „პოლკოვნიკი“, — განაგრძობდა აღელვებული მარკიზი, — ანტრეპრენიორს დავუბრუნე ორი ათასი პიესატი. რომ მოეთხოვათ, მთელ ქონებასაც არ დავიშურებდი! ერთი თვე საძოვრებზე თავისუფლად ყოფნამ „პოლკოვნიკს“ კრილობები მოუშუშა. გადავწყვიტე, მამაცი „პოლკოვნიკი“ სიბერეს მოეკლა. მაგრამ ამქვეყნად კეთილშობილი არსებანი განა გაიხარებენ? ერთხელ ცბიერმა ხარმა, რომელსაც სძულდა „პოლკოვნიკი“, მას მოღალატური, სასიკვდილო დარტყმა მიაყენა.

ამ ამაღელვებელი ისტორიის შემდეგ მარკიზი და მისი მეგობარი მესაქონლენი განაგრძობდნენ თავიანთი გაზრდილი ხარების მამაცობის ამბავს. უნდა გენახათ, რა ზიზღით იხსენებდნენ კორილის მოწინააღმდეგეებს, ვინც ცხოველის დაცვის გამო აძაგებდა ტავრომაქიის შესანიშნავ ხელოვნებას. სისულელეა, უცხოელთა ზონაჩმახია! უვიცების ბრალია, რომელნიც ყველაფერს ერთი სასწორით სწონიან და ვერ არჩევენ დასაკლავ ხარს კორიდისათვის განკუთვნილი ხარისაგან. ესპანური ხარი — ნადირია, მსოფლიოს უშესანიშნავესი ნადირი! და მესაქონლენი იგონებდნენ ხარებისა

და კატის ჯიშის უზარმაზარ მტაცებელთა ორთაბრძოლას, რომელშიც ხარები იმარჯვებდნენ.

მარკიზი სიცილით ჰყვებოდა მის გაზრდილ მეორე ცხოველზე. ცირკში შედგა ხარის ბრძოლა ლომსა და ვეფხვთან. ორივე მტაცებელი სახელგანთქმულ მომთვინიერებელს აღეზარდა. მარკიზმა თავის ჯოგიდან ვარავე აარჩია, ცბიერი ხარი, რომელიც განცალკევებული ჰყავდა, რადგან ჩხუბი უყვარდა და ჯოგში რამდენიმე ცხოველი გამოეფატრა.

— მე ვესწრებოდი ამ ბრძოლას. — განაგრძობდა მარკიზი. — მოედნის შუაგულში იდგა უზარმაზარი გალია, სადაც ვარავე იყო დამწყვდელი. ჯერ გამოუშვეს ლომი, რომელმაც ისარგებლა მოწინააღმდეგის გამოუცდელიობით, ზურგზე მოახტა, კბილებით და ბრქვალეობით ღრღნა დაუწყო მას. ვარავე ცოფიანივით ტლინკებს ისროდა, ცდილობდა გადმოეგდო ლომი და რქებზე წამოეგო, რადგან ხარს მხოლოდ რქა აქვს ძლიერი. და აი, ვარავემ გიგანტური ნახტომით ზურგიდან ლომი მოიშორა, რქებზე წამოაგო და... კაბალიერო, ჰაერში ბურთივით ისროლა! მერე თოჯინასავით ერთი რქიდან მეორეზე გადაიგდო და ბოლოს შორს გასტყორცნა. და მერე როგორ გგონიათ? სახელოვანი ნადირთა მეფე პირქვეჩამზობილი ეგდო და ნაგვემ კატასავით ღნაოდა. მერე ვარავეს წინააღმდეგ გამოუშვეს ვეფხვი, რომელსაც კიდევ უფრო მსწრაფლ აუგო ანდერძი. გამოჩნდა თუ არა მტაცებლის ღრუნჩი, ვარავემ მაშინვე რქებზე წამოაგო, ზეასტყორცნა და ისიც ისროლა იქით, სადაც ლომი გუნდასავით იყო დამრგვალებული. გოროზი მქირდავი ვარავე კი გალიაში ბოლთასა სცემდა. მერე მრვიდა და ორსავე მხეს გადაათსა. როცა მომთვინიერებლებმა თავიანთი გაზრდილები გამოათრიეს, ერთი კალათა ნახერხიც არ ეყოთ, რომ დაეფარათ ის, რაც შიშით მტაცებელთ გაეპარათ.

„ორმოცდახუთის კლუბში“ ამგვარი მოგონებები ყოველთვის სიცილს იწვევდა. ესპანური ხარი! მას ვერც ერთი ნადირი ვერ შეედრება! ამ ფიცხ წამოძახილებში იგრძნობოდა ნაციონალური სიამაყე, თითქოს ესპანური ხარების მამაცობა ესპანეთისა და მისი ხალხის უპირატესობას ნიშნავდა.

იმ დროისთვის, როცა გალიარდომ „ორმოცდახუთის კლუბში“ დაიწყო სიარული, ხარებზე გაუთავებელი საუბარი ახალმა თემამ შესცვალა.

როგორც მთელ სევილიაში, ისე კლუბშიც ლაპარაკობდნენ

ყაჩად პლიუმიტასზე *, რომელმაც გამბედაობით თავი ისახელა და მიუხედავად პოლიციის გულმოდგინე დევნისა, მოეხელთებელი შეიქნა. გაზეთები მის მამაცობას ისეთი ამბით იუწყებოდა თითქოს საუბარი ეხებოდა რომელმე ნაციონალურ გმირს. ხალხის შეკითხვებზე მთავრობა მუდამ ერთსა და იმავეს პასუხობდა: მალე დავჭკერთო. მაგრამ მისი დაჭერა ვერა და ვერ ხერხდებოდა. იგზავნებოდა სახალხო გვარდიის გაძლიერებული რაზმები, მთელი სამხედრო ნაწილები ფეხზე იდგნენ, რათა შფოთისთავი ალყაში მოექციათ, მაგრამ პლიუმიტასი, რომელიც მუდამ მარტო იყო და თოფისა და მსწრაფლმსრბოლი ცხენის გარდა არავის ენდობოდა, მღევრებს აჩრდილივით ხელიდან უსხლტებოდა. თუ მღევარი არც ისე ბევრი იყო, იქვე ამოხოცავდა და მერე მემამულეთაგან მონურ შრომით განაწამებ, მის ერთგულ გლეხთა შორის იმალებოდა. გლეხები -გრძნობდნენ, რომ პლიუმიტასი იყო შურისმაძიებელი ყაჩაღი, რომელიც შუასაუკუნეებრივი მოხეტიალე რაინდებივით ანხორციელებდა სასტიკ, მაგრამ სამართლიან განაჩენს — აღვილობრივ გასამართლებას. ის ძარცვავდა მზიდრებს, ხოლო დროდადრო მსახიობივით, რომელსაც ათასობით მაყურებელი შესცქერის, აკეთებდა დიდსულოვან ქესტს, ეხმარებოდა რომელიმე უმწიო დედაბერს, ან კიდევ წვრილშვილიანი მოჯამაგირის ოჯახს. სოფელში აზვიადებდნენ ყაჩაღის ხელგაშლილობას. მისი სახელი პირზე ეკერა ყველას, მაგრამ გამოჩნდებოდნენ თუ არა წესრიგის დამცველნი, ისე იქცეოდნენ, თითქოს მუნჯები და ბრმები არიანო.

პლიუმიტასი ერთ სოფლიდან მეორეში ამ მხარის შესანიშნავი მცოდნე კაცივით დაქროდა. სევილიისა და კორდოვას მემამულენი უდრტივინველად უხდიდნენ ხარკს. ხანდახან რამდენიმე კვირას პლიუმიტასის ხსენება არ იყო და უეცრად რომელიმე ფერმაში აღმოჩნდებოდა, ანდა კიდევ. აქაოდა, არად მიჩნს საფრთხეო, ზოგჯერ მცირე ქალაქშიაც შეიკვლიდა. „ორმოცდახუთის კლუბი“ მის შესახებ ისეთსავე ცნობებს ლებულობდა, თითქოს გამოჩენილი მატადორი იყო.

— სამ დღეს პლიუმიტასი ჩემთან იყო ფერმაში, — ჰყვებოდა ერთი მდიდარი მემამულე, — ისადილა, საქმეთა მმართველისაგან ოცდაათი დღრო მიიღო და თავის გზას გაჰყვა.

ყველა მორჩილად იტანდა ამ გამოძალვას და ყოველივე ამას მხოლოდ მეგობართა წრეში ჰყვებოდნენ.

დასაბეზღებლად საჭირო იყო მოწმეთა ჩვენება და საერთოდ,

* მეტსახელი; ესპანურად ნიშნავს „ფრთას“.

გაცილებით მეტი უსიამოვნება შეხვედებოდათ. და მერე რისთვის? სახალხო გვარდია ყაჩაღს ვერას დააკლებდა, დამბეზლებელი კი მძვი-
ნვარე პლიუმიტასის პირისპირ აღმოჩნდებოდა.

მარკიზი პლიუმიტასის საგმირო საქმეებზე ისეთი შემრიგებლუ-
რი ღიმილით საუბრობდა, თითქოს რაიმე სტიქიურ უბედურებას
ეხებაო:

— იგი ერთ-ერთი იმ ბედმოცარულ ადამიანთაგანია, რომელსაც
სხვა გზა არ დარჩენია, თუარ ყაჩაღად გავარდნისა. მამაჩემი
(ღმერთმა აცხონოს!) იცნობდა სახელგანთქმულ ხოსე მარტას და
პურ-მარილიც უჭამიათ ერთად; მეც ბევრჯერ შევხვედრებოდა
წერილფეხა მძარცველებს, რომლებსაც მრავალი ბოროტება ჩაუდენ-
ნიათ. მათაც, ზუსტად ისე, როგორც ხარებს, უბრალო და კეთილშო-
ბილი სული აქვთ. თუ არ შეეხები, ხელს არ გახლებენ. რაც უფრო
სასტიკად დასჯით, მით უფრო მრავლდებიან.

მარკიზმა უბრძანა თავის ფერმებსა და თვალუწვდენელ საძოვ-
რებზე მომუშავეთ, პლიუმიტასისათვის უარი არაფერზე ეთქვათ.
საქმეთა მმართველების და მწყემსების გადმოცემით, ყაჩაღი არსე-
ბულ ზნე-ჩვეულების თანახმად, ღრმა პატივისცემით ებყრობოდა
კეთილშობილ მემამულეთ, აქებდა მარკიზს და იფიცებოდა კიდევ.
რომ გაუსწორებოდა ყველას, ვინც „სენიორ მარკიზის“ წყენას
გაბედავდა. საცოდავი ჭაბუკი! განა ღირს ეჩხუბო მას და საფრ-
თხეში ჩააგდო მთელი შენი დოვლათი მხოლოდ იმის გამო, რომ
მშვიერი და დაღლილ-დაქანცული მაწანწალა ფერმაში შედის და
რალაც უმნიშვნელო წყალობას ითხოვს!?

მდიდარი მესაქონლე, რომელიც ხშირად მარტო დადიოდა სა-
ძოვრებზე, ალბათ მრავალჯერ შეხვედრია პლიუმიტასს, მაგრამ
სახით ვერკი ცნობდა. უკაცრიელ და უდაბურ ადგილებში, სადაც
სიცოცხლის ნიშანწყალიც კი არ იყო, ხანდახან შეხვედრია ღარი-
ბულად ჩაცმული მოკრძალებული მხედარი, რომელსაც თავი ღირ-
სეულად ეჭირა და ქუდმოხდილი მისალმებია:

— ღმერთმა დღეგრძელობა მოგცეთ, სენიორ მარკიზ.

მარკიზი პლიუმიტასზე ყვებოდა და თან გალიარდოს შესტქე-
როდა, რომელიც ფიცხი, გამოუცდელი ახალგაზრდის მსგავსად გუ-
ლისწყრომას გამოთქვამდა ხელისუფლების უმოქმედობაზე, აქამდე
რომ ვერ შესძლო მემამულენი ყაჩაღის ბოროტებისგან დაეცვა.

— ერთ მშვენიერ დღეს რინკონადში არ გინახულოს, ჭაბუკო, —
ეუბნებოდა ხანდახან მარკიზი ანდალუსიელთა დამახასიათებელი
ღარბაისლური სიმშვილით.

— ღმერთმა შეაჩვენოს! რა თავში ვიხლი, სენიორ მარკიზ? მაშინ ბეგარას რაღად გვახდევინებს მთავრობა.

არა, ხუანს არ სურდა ყაჩაღი თავის ადგილ-მამულში ენახა. რასაკვირველია, ასპარეზზე ის არ ზოგავს სიცოცხლეს, მაგრამ ხალხის მკვლელის, ავაზაკისა, მაინც ეშინოდა.

გალიარდოს ოჯახს ეხალისებოდა ფერმაში ყოფნა. ქალაქის ღარიბულ ქოხში გატარებული ცხოვრების შემდეგ, ანგუსტიასს ძალზე ხიბლავდა სოფლური ყოფა. კარმენიც მშვენივრად გრძობდა თავს რინკონადში; კარგი დიასახლისი იყო, უყვარდა მეურნეობა და უხაროდა, რომ დიდი ადგილ-მამული ჰქონდა.

მეუნაგირის ბავშვებისათვის, პაწია დისწულებისათვისაც სასარგებლო იყო ჰაერი... ბალები ხომ უშვილობის დარღს უქარწყლებდნენ კარმენს.

როდესაც ოჯახს ფერმაში ისტუმრებდა, გალიარდო დაპირდა, მეც მალე ჩამოვალო, მაგრამ ათასგვარ მიზეზს იგონებდა და წასვლას ჯერჯერობით არც აპირებდა. იგი გარაბატოსთან ერთად ქალაქად დარჩა და საშუალება მიეცა დონია სოლთან-თავისუფლად ღრო ეტარებინა.

ხუანს ის ღრო ცხოვრების უბედნიერეს წუთებად მიაჩნდა. ხანდახან სავსებით ავიწყდებოდა კიდევ რინკონადი და მისი ბინადარნი.

ფიცს ცხენზე მსხდომი გალიარდო და დონია სოლი ერთად სეირნობდნენ. კვლავ იმ ტანსაცმელში, გაცნობისას რომ ეცვათ. ხშირად მათ თან ახლდა ღონ ხოსე, რომელიც დონია სოლისა და გალიარდოს აშკარა კავშირის გამო გაათრებულ საზოგადოების მძვინვარებას ასე თუ ისე ანელებდა. ისინი მიდიოდნენ ქალაქის შემოგარენში, სადაც ხარების საბალახო იყო, ხან კი მარკიზის სამფლობელოში მიემგზავრებოდნენ ხბოების გასალიზიანებლად. ხიფათის მაძიებელი დონია სოლი სიხარულით ცას სწვდებოდა, როცა ხბო არ ეპუებოდა და მის წვეტიან შუბს მდგარად უტევდა და გალიარდოს აიძულებდა მიშველებოდა ქალს.

იმ დღეებში, როცა საასპარეზოდ ხარებს არჩევდნენ და ზამთრის მიწურულს პროგრამისგარეშე კორიდას აწყობდნენ, ისინი საღვურ ემპალმეში მიემგზავრებოდნენ.

დონია სოლი ცნობისმოყვარეობით ათვალეირებდა ხარების გასაგზავნად მოწყობილ ამ უდიდეს პუნქტს: საზაფხულო კორიდას დაწყების წინ, გამგზავრების მოლოდინში, რკინიგზის ახლოს ჩამწკრივებულიყო უთვალავი ბაკები, ბორბლებზე შემდგარი უზარმაზარი ხის გალიები, რომლებსაც ორი მოძრავი კარი ჰქონდა.

ეს ყუთები მოგზაურობდა ნახევარკუნძულზე. მძვინვარე ხარები შორეულ არენაზე მიჰყავდათ და უკან ცარიელი ბრუნდებოდნენ, რათა ახალი მოგზაურები მიეღოთ.

ადამიანმა თაღლითობითა და მოტყუებით თავისუფალ იალაღზე გაზრდილი ცხოველები გასავლიან საქონლად აქცია. ამორჩეულ ხარებს მიერეკებოდნენ მტკრიან შარაზე, რომელიც ეკლიანი მეთულით იყო შემოღობილი. ხარები შორეული საძოვრებიდან ემპალმეს სადგურამდე მიჰყავდათ. აიძულებდნენ რაც შეიძლება ჩქარა ერბინათ, რადგან სირბილში ცხოველის მოტყუება უფრო ადვილია.

საქონელს წინ მიუძღოდა შუბით შეიარაღებული ცხენოსანი მმართველები და მწყემსები. ჯოგს უკან მისდევდა ძველი, ნაცალი წინამძღვრები და პატრონებს უზარმაზარი რქებით იცავდნენ. სასიყვდილოდ განწირულ მებრძოლ ხარებს, მკიდროდ გარს შემორტყმოდნენ ქვეიანი ხარები, რომელნიც ჭათ გზაზე გადახვევის საშუალებას არ აძლევდნენ. აქვე იყვნენ სახრეებით შეიარაღებული, მარდი მწყემსები, ისინი ყოველ წამს მზად იყვნენ ჯოგიდან განცალკევებული ხარისთვის რქაზე დაერთყათ.

როდესაც ბაქებს მიუახლოვდებოდნენ, ცხენოსნები გზას უთმობდნენ მტკრის ბულში გახვეულ ჯოგს, რომელიც ღრიალით, ჩლიქების ბაკუნითა და ზანზალაკების წყარუნით ბაქებში შელაგდებოდა. როდესაც უკანასკნელი ხარი შიგ შევიდოდა, კარი იმწამსვე იკეტებოდა. კედლებსა და მოაჯირზე გადმოხრილი ხალხი ქუდებს აქნევდა და ხმამაღალი ძახილით ხარებს ერეკებოდა. ხარები გასცდებოდნენ პირველ კორალს, ისე თითქოს მინდორზე ყოფილიყვნენ და ვერ კი ხედებოდნენ, რომ თავისუფლებას კარგავდნენ. მწყემსების მორჩილმა წინამძღოლმა ხარებმა იცოდნენ, რომ კარებისათვის გვერდი უნდა აექციათ. ხოლო მათ ზურგს უკან ღრიალით მომავალი ხარები შიგ შედიოდნენ. მერე გაოგნებულნი გაუბედავად ჩერდებოდნენ მეორე კორალის კედელთან. ვინც წინწასვლას გაბედავდა, დაკეტულ კარს ეხეთქებოდა. მაშინ იწყებოდა დატვირთვა. მწყემსები ლაბადების ფრიალით, ყვირილითა და წვეტიანი გაროჩოს ქნევით შერეკავდნენ ხოლმე ხარებს ვიწრო გასავალში, რომლის გასწვრივაც მცირე ზომის გვირაბივით კარდია ვაგონები იყო; ვაგონების უკანა კორალში ამოსულ ბალახზე ისე მშვიდად ძოვდნენ წინამძღოლი ხარები, თითქოს მშობლიურ საძოვარზე არიანო. ხარი ფრთხილად, თითქოს სათრთხეს გრძნობსო. მინდობილად მისდევდა ბილიკს, რომელიც ზემოთ, ბორბლებიან გალიაში ადიოდა. სხვა გზა არ ჰქონდა, რადგან მოაჯირზე ორ მწყრივად

გადმომდგარი ხალხი სტვენით, ტაშითა და წვეტიანი ჯოხებით მიაცილებდა. გალიის სასურავზე დამალული ხუროები მზად იყვნენ კარის გადასაქეტად. ეაგონის მეორე მხარეს ოთხკუთხედი წითელი ნაქერი ფრიალებდა. როცა ხარი წვეტიან გაროზოს, ხმამაღალ ყვირილს, თვალების წინ მოფრიალე წითელ ნაქერსა და გასავალს იქით მშვიდად მცოსნავ თანამომქმეთ ხედავდა, გაბელულად მიიწვევდა წინ, თავისი სიმძიმით აზანზარებდა ფიცრულ ბილიკს, მაგრამ როგორც კი გალიაში მოსვდებოდა, კარი ჩამოეშვებოდა და სანამ შემობრუნებას მოასწრებდა, შესასვლელი კარიბჭეც იხურებოდა. ისმოდა ურდულის ღრქიალი ვიწრო ხაფანგში, სადაც ცხოველს მხოლოდ მუხლებმოკეცილი შეეძლო წოლა. ირგვლივ სიჩუმე და სიბნელე იყო. სახურავიდან ტყეებს ცოტაოდენ თივას ჩაუყრიდნენ და მოძრავი ბორბლებიანი ციხე უახლოეს რკინიგზის სადგურამდე მიგორავდა. ვიწრო გასასვლელში კი კვლავ გალიას დგამდნენ და მოტყუება გრძელდებოდა მანამ, სანამ გალიები კორიდისათვის შერჩეული ცხოველებით არ გაივსებოდა.

დონია სოლი დაუოკებელი ეგზოტიკური აღფრთოვანებით ადევნებდა თვალყურს ამ საქმეში გამომუშაებულ ხერხიანობას და უარს არ იტყოდა თუ მწყემსის ან მმართველის მოვალეობას შესთავაზებდნენ. მას იზიდავდა ღია ცისქვეშ ცხოვრება, მოსწონდა, როცა თვალუწვდენელ მინდვრებზე მძეინვარე ცხოველთ ჩაუქროლებდა, უხაროდა, როცა ზურგს უკან სიკვდილის საფრთხე ელოდა. ის გატაცებული იყო შორეული დროის იმ მომთაბარე ცხოვრებით. როცა წინაპრებმა არ იცოდნენ მიწის სიმდიდრე და მომთაბარეობის გარდა საქმე არ ჰქონდათ. იყო მეჯოგე — აი, ყველაზე ამაღელვებელი და გმირული ცხოვრება.

მოულოდნელი წარმატებების შემდეგ გალიარდო ძალზე დაუახლოვდა დონია სოლს, აკვირდებოდა ქალს და თავის თავს ეკითხებოდა: ნუთუ მაღალი საზოგადოების ყველა ქალი ასეთია?

ქალის დაუდევარბა და უცნაურბა ხასიათბა ტორერო საგონებელში ჩააგდო. მას არ ჰყოფნიდა გამბედაობბა მისთვის შენობით მიემართბ — არბ, არბეითბარ შემთხვევბში. დონიბ სოლი სბბბბს. არ აძლევდბ ტორეროს, რომ შინბურულბდ მოქცეობდბ. ერთხელ ბბრთოლებულბბ ხუნბბ სცბდბ შენობით მიემბრბბ, მბგრბმ ქბლის სბხეზე ისეთი გბკვირვებბ ამოიკითხბ, რომ მბშინვე სბრცხვილისბგბნ თბვი დბხბრბ დბ ლბპბრბკი თქვენობით გბნბგრბო. ქბლი კი მისბდმი შეგობრულბდ გბნწყობილ მბდბლ სბზოგბდოებბს სენიორბთბ მსგბესბდ, ტორეროს შენობით ელბპბრბკებოდა. ერთი სიტყვით, ქბლი ტორეროს თბვისუტლბდ მხოლოდ მბშინ ესბუბრებოდა, როცბ

მარტონი იყვნენ. როდესაც ქალი ტორეროს ბარათს უგზავნიდა და აფრთხილებდა: არ მოხვიდე, დღეს ნათესავეებთან მივდივარო, მხოლოდ მაშინ მიმართავდა თქვენობით და არავეითარ გრძნობებს არ გამოხატავდა, გარდა მაღალი წრის მანდილოსნის. ცივი თავაზიანობისა დაბალი წარმოშობის ადამიანის მიმართ.

— აჰ, რა ქალია! — ბუტბუტებდა თავგზააბნეული გალიარდო. — ეტყობა უნამუსოთა შორის უცხოვრია, რომელნიც ქალის ბარათით ტრაბახობდნენ და ამიტომ ჰკუა ისწავლა. ანდა შესაძლოა არ მთვლის კაბალიეროდ, რადგან მატადორი ვარ.

ამ მაღალი საზოგადოების ქალს სხვა ახირებანიც ჰქონდა, რაც აშფოთებდა და აბრაზებდა მატადორს. ხანდახან ხუანს შემოეგებებოდა ხოლმე გაკოტრებული სენიორივით გაბღენძილი ლაქია, რომელიც მატადორს აუწყებდა: „სენიორა შინ არ გახლავთ, წავიდა“. გალიარდომ იცოდა, რომ ატყუებდნენ, ალლოთი გრძნობდა, რომ დონია სოლი იქვე, კარს უკან იდგა. უბრალოდ, მას მოსწყინდა გალიარდო. ქალს უეცრად ზიზღი აღძვროდა, იცოდა, რომ გალიარდო ეს-ეს არის უნდა მოსულიყო და მსახურს უბრძანებდა, არ მიეღო იგი.

— კეთილი, თამაში დამთავრდა! — ბუზღუნებდა ესპადა. — აქ ფეხსაც აღარ დაფადგამ. თავს აღარ ავაგდებინებ ამ ქალს.

და როცა ისევ მივიდოდა, წარმოდგენაც კი არ შეეძლო როგორ უნდა ეთქვა უარი დონია სოლთან შეხვედრაზე. ქალი ეხვეოდა მას, მძაფრად უჰქერდა თეთრ, ძლიერ ხელებს, ათრთოლებული ტუჩები სურვილით ეღრიცებოდა და უჩვეულოდ გაფართოებულ თვალებში შმაგი ცეცხლი უელვარებდა.

— რატომ ისხამ სუნამოს? — საყვედურობდა დონია სოლი, თითქოს მყრალი სუნი ეცაო. — შენ ეგ არ შეგეფერება. მე მსურს, ხარის, ბაკების სუნი გდიოდეს... ეგ არის ყველაზე კარგი სუნი. ხომ მოგწონს? მითხარი მომწონს-თქო, ხუან, ჩემო ცხოველო, მოხვევრო!

ერთხელ საიდუმლოებით მოცულ დამის ბურუსში გალიარდო აუტანელმა შიშმა შეიპყრო. იგი ყურს უგდებდა დონია სოლს და თვალებში შესცქეროდა. მე ცხოველად გახდომა მინდა. კარგი იქნებოდა ხარად გადავქცეულიყავი და ასპარეზზე ჩემს წინაშე დამნით მენახე. ნახავდი, რა დღეც დაგადგებოდა! გირქენდი აი ასე, აი, ასე! — და ნერვულად დაჰიმულ მუშტებს ხუანს აბრეშუმის პერანგით შემოსულ მკერდზე უბრაგუნებდა. გალიარდომ მდუმარედ უკან დაიწია, შერცხვა გამყლავნება, რომ ქალმა მას ტკივილი მიაცენა.

— არა, არა, ხარი კი არა, მსურს ძალღი ვიყო. ბომბორა ნაგაზი, რომ ყუფით გეცე. „გინახავთ ეს ტრაბახა, ხარების მხოცავი? ამბობენ, მამაციანო... შე კი შევექამ! ჰამ-ჰამ!“—და ამ გადარეულმა ქალმა ტორეროს განცხრომით ჩაასო კბილები მხარში. მოულოდნელობითა და ტკივილით გამწარებულმა გალიარდომ შეიგინა და ხელი კრა ნახევრად ტიტველ ლამაზ ქალს, რომელიც გველივით დაკლავნილი ოქროსფერი კულუღებით მთვრალ, ვნებააშლილ, ბახუსის ქურუმ ქალს წააგავდა.

დონია სოლი თითქოს გამოერკვა ბურანიდანო.

— საცოდავი! გეტყინა! შე ვარ დამნაშავე! ზოგჯერ შეშლილივითა ვარ. მოდი გაკოცებ და ყველაფერი გაგივლის, ნება მომეცო დაგიკოცნო ყველა ქრილობა. ჩემს საცოდავ ცუგრუმელას ტკივილი მიაყენეს. — და ეს ბრწყინვალე ფურია, შურისძიების ქალღმერთი, მორჩილად და ნაზად კოცნიდა, კატასავით კრუტუნებდა და ეალერსებოდა ტორეროს.

ხუანს, რომელსაც სიყვარული ჩვეულებისამებრ ესმოდა და საღალღობო მიჯნურობას ცოლქმრულ ურთიერთობისაგან ვერ არჩევდა, დონია სოლთან დილამდე ყოფნა ეწადა. მაგრამ როცა ქალი ალერსით გაძღებოდა, ტორეროსადმი გაურკვეველი ზიზღით ივსებოდა და გალიარდოს უხეშად უბრძანებდა, წადიო:

— წადი! მარტო ყოფნა მინდა, ხომ იცი, რომ ვერ გიტან! ვერც შენ და ვერც სხვას. მამაკაცი! ო, რა საზიზღრობაა!

და ამ უცნაური ქალის ახირებით შეუარაცხოფილი გალიარდო მიდიოდა.

ერთხელ, როცა დონია სოლი გულახდილად საუბრობდა მასთან. ტორერომ წარსული ამბების გამოკითხვა სცადა: მართალია, რასაც შენზე ამბობენ მეფეთა და სახელოვან სენიორთა მიმართო?

პასუხად დონია სოლმა ცივი თვალებით გადახედა ცნობისმოყვარე ტორეროს.

— რა შენი საქმეა ჩემი წარსული? ეჭვიანობ, განა? იქნებ ყველაფერი მართალია, მერე რა? — ქალი დადუმდა. შეშლილივით აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, რაც მის უხამს აზრებს ამჟღავნებდა.

— შენ ალბათ ხშირად გიცემია ქალები, — წარმოთქვა ერთხელ დონია სოლმა და დაჟინებით ჩაატყერდა ტორეროს, — ნუ უარყოფ. მე მსურს, ვიცოდე. რასაკვირველია, ცოლს არ გალახავ. მე გავიგე, რომ ის ძალზე კარგია. მაგრამ სხვა ქალებს, იმათ, რომელსაც უჩუმრად ხვდები. რაც უფრო მეტს სცემენ, ქალებს მით უფრო უყვართ მამაკაცები. ბოლოს და ბოლოს, ქალი არასდროს გიცემია?

გალიარდო უარყოფდა იმ ძლიერი მამაკაცის გულისწყრომით, რომელიც არასდროს ხელს არ წააკარებს უსუსურ არსებას. დონია სოლს მოლოდინი გაუცრუვდა.

— ერთხელაც იქნება, უნდა მცემო. მსურს გამოვცადო ცემა როგორია. — გადაწყვიტით წარმოთქვა დონია სოლმა, მაგრამ იმწამსვე მოიღუშა, წარბები ასწია და მოციმციმე თვალებში მოლურჯო ცეცხლი აუკიაფდა.

— არა, სულელო, არა! ყურს ნუ მიგდებ და ეგ არც გაივლო გულში, თორემ ყველაფერს დაკარგავ.

ხუანს ერთხელ შემთხვევა მიეცა დონია სოლის გაფრთხილება განსენებოდა. ერთხელ, როცა ტორერო და დონია სოლი ჩახვეული ერთმანეთს ეალერსებოდნენ. ქალს მოეჩვენა, რომ უხეშად შემოეჭლო ხუანის ძლიერი მკლავები. ტორერო ქალში იწვევდა შეუთავებელ აღგზნებას და ამასთან საშინელ სიძულვილს, რამაც დონია სოლის გააფთრება გამოიწვია.

„ესეც შენ!“ — თქვა დონია სოლმა და გალიარდოს ქვედა ყბაში ელვისებური სილა გააწნა. გარტყმა ისეთი გამოზომილი და ზუსტი იყო, რომ ეტყობოდა ქალს კარგად შეესწავლა კრივის წესები.

ტკივილითა და სირცხვილით გაოცებული გალიარდო სდუმდა. დონია სოლი თითქოს მიხვდა, ცუდად მოვიქცეიო და ეცადა თავისმართლებას, მაგრამ მისი ხმა გამყინავად და ბოროტად ეღერდა.

— გაკვეთილად გამოგადგება. გიცნობთ, რა შეილებიცა ბრძანდებით ტორეროები. საკმარისია ერთხელ გაპატიო, ყოველდღე ისე გამლახავ, როგორც ტრიანის რომელიმე ბოშა ქალს. კარგადაც მოვიქციე. უნდა იცოდე თუ არა შენი ადგილი!

ერთხელ, ადრიან ზაფხულს, მარკიზის საძოვრებზე მოზეერთა შერჩევის შემდეგ დონია სოლი და გალიარდო უკან ბრუნდებოდნენ. მარკიზი სხვა მეგობრებთან ერთად გზას მიჰყვებოდა. დონია სოლმა კი, რომელსაც თან გალიარდო ახლდა, ცხენი მინდვრისკენ გააქანა და ნეტარებით გასცქეროდა ცხენის ფლოქვები როგორ ეფლობოდა მწვანე ხალიჩაში.

ჩამავალი მზე მეწამულ სხივებს ნაზად აფრქვევდა თეთრი და მწვანე მინდვრის ყვავილებით მოფენილ დაბლობს. მზის სხივებისაგან ცეცხლისფრად აელვარებოლ ველზე ცხენების და ადამიანების სილუეტი გაწოლილიყო. მხარზე გადებული გაროჩოებიც ისე წაგრძელებულიყვნენ, რომ მათი ალესილი წვეტი ჰორიზონტში იკარგებოდა. მაღალ, ხშირ ბალახს შორის მდინარე გავარკვარებულ ფოლადის ზოლივით ელვარებდა.

დონია სოლმა გალიარდოს მბრძანებელივით გადახედა.

— წელზე ხელი მომხვე! —

ესპადა დაემორჩილა და ასე გადაქდობილებმა განაგრძეს გზადონია სოლი თვალს არ აცილებდა ორ გაერთიანებულ სილუეტს, რომელიც ჯადოსნური შუქით განათებულ მინდორზე მიირხეოდა.

— ჩვენ თითქოს მოვხვდით სხვა, ზღაპრულ სამყაროში, — წაიჩურჩულა დონია სოლმა. — ეს მინდვრები ჰგავს უზარმაზარ ნოსს. იგი მაგონებს რაინდულ ამბავს: შეყვარებული პალადინი და მისი სტრფო რომ ცხენებს მიაკენებენ ფათურაჯის საძიებლად. მაგრამ შენ არაფერი გაგეგება, ჩემო ძვირფასო მოხვერო. ხომ მართალი ვარ, განა რასმე მიმიხვდი?

ტორერო გაიღიმა და გამოაჩინა ძაღვზე თეთრი, საღი კბილები. დონია სოლი თითქოს აღაფრთოვანა ტორეროს სრულმა უმეცრებამ, კიდევ უფრო მაგრად მიეკრო თანამგზავრს, თავი მხარზე მიაყრდნო და თრთოლვით უგდებდა ყურს მისი ძარღვების ფეთქვას.

ხმამოუღებელიც მიდიოდნენ. გეგონებოდათ, დონია სოლს ტორეროს მხარზე მიეძინაო. მაგრამ მისი თვალები უეცრად აელეარდნენ, რაც იმას მოასწავებდა, რომ ქალს უცნაურმა აზრმა გაუელვა.

— მითხარი, როდისმე კაცი მოგიკლავს?

გაკვირებული გალიარდო უნებურად განზე გახტა. მას? არასოდეს. ის ხომ კეთილი ყრმაა, ცუდი არავის მიმართ ჩაუდენია. მართალია, ბავშვობაში უჩხუბია თანატოლებთან, რადგან ისინი ძალით ცდილობდნენ შემოსავლის მითვისებას. ერთხელ კაფეში ვილაყას ბოთლიც ჩაარტყა. ეს არის და ეს მისი გმირობა. ადამიანი წმიდა არსებაა. ხარები კი სულ სხვა საქმეა.

— მაშასადამე, არასდროს გქონია სურვილი ადამიანის მოკვლისა? მე კი ვფიქრობდი, რომ ტორერო...

მზე ჩავიდა. გაჰქრა ჯადოსნური შუქი, არემარეს რომ ანათებდა. აღარ ბზინავდა მდინარე და დონია სოლის თვალში ფერმიმკრთალმა მწვანე ველმაც თავისი სილამაზე დაჰკარგა. დაწინაურებულმა მხედრებმა /კარგა ხანია უკან მოიტოვეს შეყვარებულნი. დონია სოლმა არაფერი უთხრა თანამგზავრს, ცხენს დეზი შემოჰკრა, რათა წინ წასულ მხედრებს დასწეოდა.

ფიესტამდე რამდენიმე დღით ადრე გალიარდოს ოჯახი ქალაქადაბრუნდა. ესპადას სააღდგომო კორიდაში უნდა მიეღო მონაწილეობა. ხუანს დონია სოლის გაცნობის შემდეგ პირველად უხლებოდა კორიდაში მონაწილეობა და ამის გამო შიშში იყო, საკუთარი ძალის რწმენას კარგავდა.

საერთოდ, ხუანი მუდამ ღელავდა, როცა სევილიის არენაზე

გამოდირდა. ის თანახმა იყო განეცადა მარცხი ესპანეთის რომელიც გნებავთ ქალაქში, სადაც შემდგომ აღარ გამოჩნდებოდა, მაგრამ დამარცხება აქ, სადაც გაზრდილა, სადაც მას უამრავი მტერი ეგულება...

— ვნახოთ როგორ ისახელებ თავს, — ეუბნებოდა რწმუნებულის, — ხომ იცი ვინ მოვა შენს სანახავად. იმედია ისე ბრწყინვალედ ჩაატარებ კორიდას, როგორც მსოფლიოს უპირველეს მატადორს შეეფერება.

ვნების შაბათს, საღამოს, კორიდის ხარებს ელოდებოდნენ. დონია სოლს მოესურვა თვით განეცადა მღელვარება და ხელში გაროჩოთი თვით შეერეკა ახორში ხარები. ტაბლადის საძოვრებიდან ცირკის არენაზე უნდა მოერეკათ ხარები. გალიარდოს ძალზე სურდა გაყოლოდა დონია სოლს, მაგრამ რწმუნებულმა არ გაუშვა, არენაზე გასვლამდე ძალ-ღონე უნდა მოიკრიბო. და ტორეროც იძულებული შეიქნა შინ დარჩენილიყო. შუაღამისას გზა, რომელიც საძოვრებიდან ცირკისკენ მიემართებოდა, ხალხმრავალი იყო, როგორც ბაზრობა-დღეს. ქალაქგარეთ, სახლებში, შუქი ენთო, რომლის აკომპანიმენტის ქვეშ წყვილად მოძრაობდნენ მოცეკვავეთა ჩრდილები. სამიკიტნობის ღია კარიდან იღვრებოდა ოთხკუთხი შუქი. ისმოდა ხმამაღალი შეძახილები, სიცოლი, გიტარის ხმა... ხოლო ქიქების რახარუხი ამქლავნებდა, რომ ღვინო წყალივით აღვრებოდა.

დაახლოებით დამის პირველ საათზე აუჩქარებლად ჩამოიარა ცხენოსანმა. ის იყო ჩაფსკენილი სოფლელი მწყემსი, იგი ჩერდებოდა სამიკიტნობსა და განათებულ სახლების წინ, და ხალხს ატყობინებდა; ნახევარი საათის შემდეგ დაიწყება ხარების შერეკვა. ჩააქრეთ სინათლე და ხმაური შეწყვიტეთ.

ასეთი განკარგულება, რომელიც ნაციონალურ დღესასწაულს ეხებოდა, უფრო მსწრაფლ სრულდებოდა, ვიდრე მთავრობის ბრძანებები. სახლები ბინდმა მოიცვა, თეთრი კედლები მუქმწვანე ხეებს შეერივნენ. მღუმარე ხალხი შეჯგუფდა მოაჯირებთან, ლაზებთან, თხრილებთან და ამაღლვებელ სანახაობას დაძაბული ელოდა. მდინარის გასწვრივ გზაზე, მწყემსის განკარგულებით, გამორეკვას რომ იუწყებოდა, ერთიმეორის მიყოლებით ქრებოდა სანთლები.

ყველაფერი დადუმდა. ხის კენწერობებს ზემოთ, მშვიდ სივრცეში ციმციმებდნენ ვარსკვლავები, ხოლო დაბლა, მიწაზე, ისმოდა თავშეკავებული ჩურჩული... და აი, რაღაცამ გაიფაჩუნა, თითქოს სიბნელეში მწერები დაფუთფუთებენო. ლოდინს ბოლო არ უჩან-

და! და უცბად ცივი მყუდროება დაარღვია გაურკვეველი შორეული ზანზალაყების ხმაურმა. მოდიან! მალე აქ იქნებიან!

სულ უფრო მკვეთრად და ძლიერად ეღარუნობდნენ ზანზალაყები, სულ უფრო ახლოს ისმოდა ჩლიქების ხმაური, რომელიც მიწას აზანზარებდა. ყველაზე წინ ჩაიქროლეს ცხენოსნებმა, რომელნიც ღამის სიბნელეში ბუმბერაზებად მოჩანდნენ. ესენი იყვნენ მეჯოგენი, რომელნიც ცხენებს მთელი ძალით მოაგელვებდნენ და ხელში შუბები ეპყრათ. მათ მოსდევდნენ გაროჩოთი შეიარაღებული მოყვარულები, რომელთა შორის ღამის ქენებით აღვზნებული ღონია სოლიც ერია. ცხენის ერთი წაფორხილება და, მხედარს აუცილებლად ხარის ჩლიქებით გათელვა ელის.

ზანზალაყები გამაყრუებლად ახმაურდნენ. ბნელ თხრილებთან. გატრუნული ცნობისმოყვარე მაყურებელი რამდენიმე წამს მტერის ბულში გაეხვია. ღამის ურჩხულებმა ხალხს მრისხანე მოჩვენებასავით ჩაუქროლეს ღრიალითა და ფშვინვით. მეჯოგეთა შეძახილებით გაათრებულნი და შუბმომართულნი, მხედრებისაგან დაშინებული ცხოველები მძიმედ და ამასთან არაჩვეულებრივად მწყობრად მირბოდა, თითქოს ცოცხალი ხორცის მასაო. ხარების ჯოგმა სწრაფ, მძვინვარე ზვაივით ჩაიქროლა და თვალს მიეფარა. ერთი წამი და, ყველაფერი მიყუჩდა. ხალხმა, რომელნიც უკმაყოფილო იყვნენ დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ამ მცირე სანახაობით, მიატოვა თავშესაფარი. ძლიერი განცდებით გაღიზიანებული მოყვარულები დაედევნენ ჯოგს, ეგების ხარების კორალში შერეკვა ვნახოთო. როცა ცირკს მიუახლოვდნენ, ცხენოსნები განზე გადგნენ და გზა დაუთმეს ცხოველებს, რომლებსაც ყურადღება გაემახვილებინათ წინამძღოლი ხარების მიმართ და კვალდაკვალ მისდევდნენ მათ შემოღობილ ვიწრო. გასასვლელისკენ, პირდაპირ კორალისკენ რომ მიემართებოდა.

მოხალისე-გამრეკნი კმაყოფილნი იყვნენ ძნელი საქმის კეთილად დაგვირგვინების. ჯოგი „საიმედო თავშესაფარში“ შელალეს. არც ერთი ხარი არ ჩამორჩენილა, თორემ ფეხოსნებსა და ცხენოსნებს ბევრი წვალება დასჭირდებოდათ. ხარები კარგი ჯიშის იყვნენ — მარკიზის სამესაქონლო ფერმაში გაზრდილები. ხვალ თუ მატადორებმა თავი არ შეირცხვინეს და მამაცობა გამოიჩინეს, ხალხი ამაღელვებელი სანახაობის მომსწრე იქნება. ზეიმის წარმატებით დაგვირგვინებით დაიმედებული ფეხოსანნი და ცხენოსანნი სახლებისაკენ გაეშურნენ. ერთი საათის შემდეგ ცირკისა და ბნელი კორალების მისადგომები ხალხისგან დაიცალა. ხარები კი მორჩილად დაწვნენ, რათა უკანასკნელად ეგემათ ძილის სიტკბო.

მეორე დღეს ხუან გალიარდო გვიან ადგა. ცუდად ეძინა. სიზმრებში არ მოასვენა. არ სურდა სევილიის არენაზე გამოსვლა! სხვა ქალაქებში იგი მარტო ცხოვრობდა უცნობი სასტუმროს ნომერში, რომელიც გულს არ უშფოთებდა და არაფერს აგონებდა. მაგრამ როცა საასპარეზოდ საკუთარ სახლში ირთვებოდა, ეჯახებოდა მაგიდებს, სკამებს, რაც წამდაუწუმ კარმენს აგონებდა. ხიფათის შესახვედრად წასვლა სასლიდან, რომელიც თვითონ აშენა, ოთახიდან, სადაც მშვიდად ცხოვრობდა მისი ოჯახი... ყოველივე ეს გალიარდოს უნერგავდა შიშს და ძალაუნებურად გამბედაობას უკარგავდა, თითქოს პირველად მიდის ხართან საბრძოლველად. და ბოლოს, მას ეშინოდა თანამემამულეებისა, რომლებსაც თავს ვერსად აარიდებ და რომელთა აზრი უფრო ძვირფასია, ვიდრე წარმატებები ესპანეთის მთელ არენებზე. აუტანელი ფიქრით აფორიაქებული გალიარდო, როგორც კი გარაბატოს დახმარებით ბრწყინვალე სამოსით მოიკაზმა, მღუმარე პატიოსკენ გაემართა. პატარა დისშვილები მორცხვად ჩაეკვრნენ. მოჯადოებულებივით მღუმარედ, გაუბედავად ეხებოდნენ ტორეროს ბრწყინვალე ტანსაცმელს. უღვამა დამ ნაღვლიანად გადაკოცნა ხუანი, თითქოს სამუდამოდ ემშვიდობებო. დედა კი სულ ბოლო ოთახში მიმალულა. არა. იგი ვერ გამოვა შვილთან, თავს ცუდად გრძნობს. ფერმკრთალი. ტუჩებმოკუშული კარჟენა თვალებს ახამხამებს, რათა ცრემლები შეიკავოს და როგორმე დამშვიდდეს. მაგრამ როგორც კი ზღურბლს ფეხი გადააბიჯა, თვალებზე ცხვირსახოცი აიფარა, მთელი ტანით აცახცახდა და უცრემლოდ აქვითინდა. კარმენს ყოველი მხრიდან ქალები შემოეხევივნენ, რათა ენუგეშებინათ და მიშველებოდნენ, რომ იატაკზე არ დაცემულიყო.

ასეთ მომენტში თვით როჟე დე ფლორიც, რომლის გახსენებაც ასე უყვარდა სიძეს, დაკარგავდა მხნეობას.

— ღმერთმა დასწყველოს! — გაიძახოდა გალიარდო. — რა თანხაც არ უნდა შეეძლიათ, არ გამოვიდოდი სევილიის არენაზე, მაგრამ თანამემამულეების სურვილი მინდა დავაკმაყოფილო და უსინდისო ქოსატყუილებს ხმა ჩავაკმედიწო, ჭორებს რომ ავრცელებენ, აქაოდა, მშობლიურ ქალაქში გამოსვლისა ეშინიაო...

დილით ესპადა ლოგინიდან წამოდგა, პირში პაპიროსი გაიკო, ოთახებში ხეტიალს მოჰყვა. ხშირ-ხშირად სკიმავედა მკლავებს, რათა გაესინჯა შეინარჩუნეს თუ არა მისმა კუნთოვანმა ხელებმა ადრინდელი მოქნილობა. როცა გალიარდო სამზარეულოში ჭიქა ღვინის დასალევად შევიდა, დაინახა დედა, რომელიც მიუხედავად თავისი სიმსუქნისა და წლოვანებისა, ქურასთან ფუსფუსებდა, მშობლიური

შზრუნველობით თვალყურს ადევნებდა მსახურებს და აძლევდა განკარგულებებს, რომ სახლში ყველაფერი რიგზე ყოფილიყო.

გალიარდომ შეიხედა განათებულ პატიოში, სადაც ძალზე გრილოდა. დილის სიჩუმეში ოქროცურვილ გალიებში დატყვევებული ჩიტები ეღურტულებდნენ. მარმარილოს ფილებზე იღვრებოდა მზის შუქი. სხივები ოქროსფრად ლივლივებდნენ მწვანე ფოთლებზე, შადრევნებზე, ანაბეზებზე აუზს, სადაც ყვინთავდნენ პირღია ოქროს თევზები.

წყლით საესე სათლთან გამხლართული შავკაბიანი ქალი ჩვრით იატაკს რეცხავდა. ღია ფერის მარმარილოს ფილებს მოსხურებულ წყლისგან თითქოს სიცოცხლე ემატებოდათ.

— დილა მშვიდობისა, ბატონო ხუან, — წარმოთქვა ქალმა უბრალოდ, მეგობრულად, როგორც მიმართავს ხოლმე მდაბიო ხალხი საყვარელ ადამიანს და ცალი თვალი სიხარულით მიაშტერა. მეორე თვალი ნაოპებში ჩაფლული და თავისი სიმრგვალით დიდ, შავ ფოსოს ჰგავდა. ხუანი განზე გაბტა, სამზარეულოსკენ გაიქცა და დედას ხმამალა შესძახა:

— დედა, ვინ მოათრია ეს მათხოჯი, იატაკს რომ რეცხავს? ვინ არის?

— ერთი საწყალი დედაკაცია, შვილო, ჩვენი თანაშემწე ავად გახდა და დავუძახე მაგ უბედურს, უამრავი ბავშვები ჰყავს.

ტორერო აღელვებული იყო. ქალის გამოხედვა წუხილსა და შიშს ნიშნავდა. წყეული! სვეილიაში კორიდა იმართება და პირველი ადამიანი, რომელიც ამ დილას შეხვდა — ცალთვალა დედაბერია! მაინცდამაინც ის უნდა გადაეყაროს ასეთ რამეებს. ამაზე უფრო ვიღამ უნდა დათარსოს კაცი! მისი სიკვდილი ხომ არ გადაუწყვეტიათ ამ სახლში?

შვილის უეცარი გაბრაზებით და შავბნელი წინათგრძნობით დაშინებულმა დედამ თავისმართლება სცადა. მაგისტანა რამ თაქშიც არ გამოივლია, შვილო. საცოდავი ქალისათვის აუცილებელია ბავშვების გამოსაკვებად ორიოდ გროში მაინც იშოვოს. გულმოწყალე ღმერთს უნდა ეუთმადლოდეთ, რომ მაგდაგვარი სიღატაკე აგვაცდინა... თანდათან გალიარდო დაწყნარდა; გაახსენდა ადრინდელი გაჭირვება და ქალისადმი თანაგრძნობით განეწყო. კარგი, დაე, აღსრულდეს ნება ღვთისა, დარჩეს ეგ ბრუტიანი, იმუშაოს.

მატადორი ცდილობდა არ შეფეთებოდა ცალთვალას, რომელსაც, ამბობენ, უბედურება მოაქვსო. გალიარდომ დასტოვა პატიო და კაბინეტში ჩაიკეტა. ოთახის თეთრ კედლებზე, რომელიც ნახევრად არაბული შორენკეცებით იყო მოპირკეთებული, ეკიდა ნათე-

ლი აბრეშუმის ტილოები, რომელზედაც ხართან ბრძოლა იყო გამოხატული. ადრესები, რომლებიც მატადორისათვის გავლენიანი საქველმოქმედო საზოგადოების სახელით მიერთვით, გახსენებდათ კორიდეებს, სადაც გალიარდო ღარიბთა სასარგებლოდ უფასოდ გამოდიოდა. უთვალავ ფოტოსურათებში გალიარდო იჯდა, ზოგან იდგა, ხელში ლაბადა ეკავა, ზოგან კი — დაშნამომართული მზად იყო სასიკვდილო დარტყმა მიეყენებინა ხარისათვის. ყოველივე ეს ნათელყოფდა, რა ყურადღებით ექცეოდა გაზეთები უდიდეს ადამიანს და ყოველგვარ პოზაში აქვეყნებდა. კართან ეკიდა თეთრ მანტილიამოხვეული კარმენის სურათი, მისი შავი თვალები და მუქი თმა მკაფიოდ იხატებოდა მიხაკისფერ ფონზე. კაბინეტის მოპირდაპირე კედელზე, მალა, სვარძელთან, რომელიც საწერი მაგიდის წინ იდგა, ყურადღებას იპყრობდა უზარმაზარი შავი ხარის თავი, შუშის თვალებით, ლაქით დაფარული ნესტოებით და ვეებერთელა რქიან შუბლზე თეთრი ნიშნით. პიკადორი პოტახე მუდამ ესიყვარულებოდა ცხოველის უზარმაზარ რქებს და პოეტურად აღიგზნებოდა ხოლმე. ეს უზარმაზარი რქები ერთმანეთისაგან კარგი მანძილით იყო დაშორებული. ერთ რქაზე რომ ჩამომჯდარიყავით და გემღერათ, სიმღერის ხმა მეორემდე ვერ მიაღწევდა.

გალიარდო მიუჯდა ბრინჯაოს წვრილმანი ნივთებით. საესე საწერ მაგიდას, რომელზედაც ქალაღლის ნატამალიც არ მოჩანდა, სამაგიეროდ, სამი ღლის მტვერს დაეფარა იქაურობა. მელანი არსად იყო. უზარმაზარ ცხენებიან სამელნესთან, რომლის სახელურებზე ძაღლის თავები იყო გამოკვეთილი, კალმისტრები არ ელაგა. უდიდეს ადამიანს არ სჭირდებოდა წერა. ხელშეკრულებებსა და სხვა საქმიან ქალაღლებს ღონ ხოსე აფორმებდა. ტორეროს კი სიერპესის ქუჩაზე, კლუბის მაგიდასთან ნელა, მონდომებით გამოყავდა ასობები და მხოლოდ ხელს აწერდა.

კუთხეში მუხისგან ნაკეთები წიგნის კარაღა იდგა; მართალია, მისი შუშინი კარი არასოდეს გაღებულა, მაგრამ აქ შეგეძლოთ დაგენახათ ძვირფას უღიანი უზარმაზარი წიგნები.

როცა ღონ ხოსე თავის მატადორ-არისტოკრატის რწმუნებული გახდა, გალიარდომ გადაწყვიტა გაემართლებინა ღონ ხოსეს იმედები და ხელი მიჰყო თვითგანვითარებას. გალიარდოს ამხანაგებმა წერა-კითხვა არ იცოდნენ, ამიტომ გალიარდოს არ სურდა, ახალ, გავლენიან მეგობრებს მასხრად აედოთ უცოდინრობისა გამო და აი, მან ერთ ღღეს გაბედულად შეაღო წიგნის მალაზიის კარები.

გამომიგზავნეთ სამი ათასი პიესეტის წიგნი.

გაოცებულმა მალაზიას გამგემ პირი დაადო და მყიდველს გაკვირვებით შეხედა.

— არ გესმით! წიგნები... — დაჟინებით გაუმეორა ტორერომ. — რაც შეიძლება სქელი და ოქროვარაყიანი.

გალიარდო ამაყობდა თავისი წიგნის კარადით. როცა კლუბში რასმე ისეთს იტყოდნენ, რომელიც მას არ ესმოდა, ეშმაკურად გაიღიმებდა და გაიფიქრებდა, “ ემაგ საკითხებზე ჩემი კარადის წიგნებში ნამდვილად წერია“.

ერთ წვიმიან ღღეს, როცა ხუანი უხასიათოდ იყო და უსაქმურობისაგან არ იცოდა რა ეკეთებინა, კარადას მიუახლოვდა, წყნარად გამოაღო, და ისეთი სიფრთხილით გადმოიღო ყველაზე სქელი წიგნი, თითქოს ბომონიდან საიდუმლო რამ ღვთაება ამოაცოცაო. გადაშლისთანავე კითხვას თავი დაანება და ბავშვური ცნობისმოყვარეობით იწყო ფურცელა და სურათების თვალყურება. ცოცხალ არსებებზე თუმოსტეკროდნენ ლომები, სპილოები, ცეცხლისმფრქვევ თვალეზიანი რაშები და ქარში ფაფარაშლილი ზოლება ზებრები... ის იყო ტორერო სიამოვნებით დაადგა სიბრძნის შეძენის გზას, რომ უეცრად სურათში დაინახა მრავალფრად აქრელეზული გველები. უ... უ! გველები, ბოროტი გველები! გალიარდომ საჩვენებელი და ნეკი თითით რქები გამოხატა და გახია ქალაღი, რათა თავი დაეცვა გათვალვისაგან. გალიარდომ განაგრძო ფურცელა, მაგრამ წიგნში კვლავ საზიზღარი არსებები ეხატა. გალიარდომ აკანკალებული ხელით დახურა წიგნი, იმავე თაროზე დადო და ბოროტი სულების დასაფრთხობად წაიბუტბუტა: განვედი ჩემგან! განვედი ჩემგან! ამის შემდეგ კარადის გასაღები ეგდო მაგიდის ყუთში, ძველ გაზეთებს შორის და აღარავის მოჰკონებია მისი გამოყენება. ესპადას კითხვა არ იტაცებდა. როცა მისი ტალანტის მოყვარულნი მივიდოდნენ და გაზეთში დაბეჭდილ ტავრომაქიის და სასტიკად გაკრიტიკებულ მოწინააღმდეგის შესახებ ეკითხებოდნენ, გალიარდო სიძეს ან ცოლს ავალებდა ხმამაღლა წაეკითხათ წერილი. თვითონ კი ქაჩავდა სიგარას და ნეტარი ღიმილით უსმენდა: ზორბადაა! მართლა წერის ოსტატები არიან ეგ ბიჭები!

თუ გაზეთში დაბეჭდილი იყო „კრიტიკული წერილი“ თვით გალიარდოს წინააღმდეგ, არავინ კითხულობდა და ესპადა ზიზღს გამოთქვამდა უნიკო კორესპონდენტებზე, რომელნიც მსჯელობდნენ კორიდებზე და არენაზე შემოტრიალების უნარიც არ გააჩნდათ.

იმ კვიმატ დილას კაბინეტის მოწყობილობამ კიდევ უფრო დააშინა გალიარდო. მისი თვალეზი ძალაუნებურად მიაშტერდნენ სარის თავს და გაახსენდა ცხოვრებაში ყველაზე უმძიმესი შემთხ-

ვევა. გამარჯვებულმა გალიარდომ კაბინეტში მოათავსა ბოროტი ხარის თავი და ხშირად შეპყურებდა მას. ბევრი ოფლის ღვრა მოუხდა ტორეროს სარაგოსეს არენაზე, რადგან ამ ხარს ჰქუა და მიხვედრილობა ადამიანზე ნაკლები როდი ჰქონდა. ბრძოლის დროს ხარი ერთ ადგილზე გაშეშდა, ეშმაკური ბოროტებით ელოდა მოწინააღმდეგეს, საშუალებას არ აძლევდა წითელი ნაჭრით შეცდომაში შეყვანათ და გალიარდოს იწვევდა ახლოს მისულიყო. როცა ტორერო დაშნას უქნევდა, ხარი უზარმაზარი თავის ქნევით იგერიებდა. სულწასული ხალხი უსტვენდა და ლანძღავდა გალიარდოს, რომელიც ხარს ეპარებოდა. გალიარდომ იცოდა, თუ ხარს დაშნას შუბლში დაარტყამდა, აუცილებელი იყო ცხოველის სიკვდილი. და ბილოს ოფლში გაწურულმა, დაქანცულმა გალიარდომ ხალხს ღრიანცელში, რომელნიც არენაზე ბოთლებსა და ფორთოხლებს ისროდნენ. მოღალატურად ჩასცა ხარს დაშნა კისერში. სამარცხვინო მოგონებაა!

ბოლოს და ბოლოს, გალიარდომ დაასკვნა, სიკეთეს არ მომიტანს ამ დაწყევლილი თავის ყურება, იმ დაბრეცილი დედაკაცივით არ გამთვალოსო.

— ღმერთმა დაგწყევლოს შენცა და შენი პატრონიც! დაე, საწამლავეთ გაიჟღინთოს ბალახი, სადაც შენი თანამოძმენი სძოვენ.

გარაბატო მიუახლოვდა ხუანს და მოახსენა, რომ პატიოში თავი მოიყარეს მეგობრებმა, მისი ტალანტით აღტაცებულმა თაყვანისმცემლებმა, რომელნიც კორიდის წინ ყოველთვის ნახულობდნენ ზოლმე. ესადას მაშინვე გადაავიწყდა შიში და ყოჩაღად, ამაყად თავაწეული, სიცილით გამოვიდა, თითქოს არენაზე მყოფი ხარები მისი პირადი მტრები ყოფილიყვნენ და ჩქარა სურდა მათთან შეხვედრა, რომ დაშნის ზუსტი დარტყმით გაეგმირა.

გალიარდომ მარტო ისადილა. როგორც ყოველთვის, კორიდის წინ, ცოტა ჰამა. მატადორმა დაიწყო თუ არა ჩაცმა, ცოლი და დედა ოთახიდან გავიდნენ. მათ სძულდათ შალითაში სათუთად შენახული მდიდრული მორთულობა და ბრკვეიალა მოსართავეები, რამაც დოვლათი შესძინა ოჯახს!

გამოთხოვება, როგორც ყოველთვის, მძიმე და აუტანელი იყო გალიარდოსათვის. კარმენი ძალზე იტანჯებოდა, რათა სიმშვიდე შეენარჩუნებინა. მერე მეუღლე კარამდე მიაცილა. დანარჩენი ქალები სადღაც მიმალულოყვნენ, რადგან არ სურდათ გალიარდოს გამოთხოვებას დასწრებოდნენ. დისწულების ცნობისმოყვარეობა აღიზიანებდა გალიარდოს, რომელიც საბედისწერო წუთის მოახლოებასთან ერთად ნაძალადეგ უღარდებლობას იჩენდა.

— კაცი იფიქრებს, სახრჩობელაზე მიმათრევენ! აბა, ნახვამდის ნუ შიშობთ, ყველაფერი რიგზე იქნება!

ტორერომ გზის დასალოცად მოსულ ხალხში გზა გაიკვლია და ეტლში დაბრძანდა.

მახლობელთათვის სევილიის არენაზე ესპადის გამოსვლის დღე საოცრად ქიანურდებოდა. სხვა დროს თუ მოთმინებით და მორჩილებით ელოდნენ დეპეშებს, ახლა ყოველ ნახევარ საათში ვინმეს გზავნიდნენ კორიდის ამბის შესატყობად. თეთრ აბრეშუმისებურ თექის შლიაპაში და ძვირფას ღია კოსტიუმში სენიორივით გამოწყობილი მეუნაგირე ქალებს დაპირდა, საქმის კურსში მეყოლებითო, თუმც კი ნაწყენი იყო ცნობილი ცოლისძმის უხეშობით, რომელმაც ადგილიც არ შესთავაზა კვადრილიის გვერდით, ეკიპაჟში!— ყოველი მოკლული ხარის შემდეგ ბავშვს გამოგვზავნი, ჩსინი მრავლად დახეტილობენ ცირკის გარშემო.

კორიდამ დიდი წარმატებით ჩაიარა. როცა გალიარდო ხალხის გამაყრუებელ ტაშის გრიალში ასპარეზზე გამოვიდა, წამსვე ძალღონის მოზღვავება იგრძნო. გალიარდო თავის სტიქიაში აღმოჩნდა. აქ მისთვის ყველაფერი ნაცნობი და ახლობელი იყო. თვით არენაც მის ცრუმორწმუნე სულზე ზღაპრულ ზემოქმედებას ახდენდა. გალიარდოს გაახსენდა ღია ფერის ქვიშამოყრილი ვალენსიისა და ბარსელონას უზარმაზარი ცირკები, მუქქვიშაყრილი სამხრეთის ქალაქების ასპარეზი და უზარმაზარი მადრიდის ცირკის მოწითალო ნიდაგი. სევილიის ქვიშა ყველა დანარჩენთაგან განსხვავდებოდა. გეადალკივირის ღია ყვითელი ქვიშა საღებავივით დაფშვნილიყო უმცირეს ნაწილაკებად. როდესაც გაფატრული ცხენის მუცლიდან სისხლი შადრევანივით იღვრებოდა, ხუანს ეჩვენებოდა, თითქოს იგი ხედავდა ნაციონალური დროშის ფერებს, იმდაგვარს, ცირკის სახურავზე რომ ფრიალებდა. ცრუმორწმუნე გალიარდოზე სხვადასხვა არქიტექტურული სტილიც კი მოქმედებდა. გალიარდოს ხშირად უხდებოდა გამოსვლა რომაული ან არაბული სტილით ნაგებ თანამედროვე ცირკებში, რომელნიც ერთმანეთს ისე ჰგავდნენ, როგორც ახალი, უფერული ეკლესიები. სევილიის ცირკი კი ტაძარია, სადაც ყოველი ქვა გარდასულ თაობათა გმირობას ღაღადებს, ხოლო მისი ძველებური პორტალი გონებაში აღადგენს თეთრ პარიკიან ადამიანთა სილუეტებს, ჟანგისფერ ქვიშას კი ამჩნევია სახელოვან წინამორბედთა ტრიუმფალური ნაკვალევი. აქ ქუხდა იმ შეუდარებელ, სწორუპოვარ ოსტატთა სახელები, რომელთაც ეროვნული ხელოვნება უმაღლეს საფეხურზე აიტანეს, სახელები რონდის * სკოლის

* რონდში XIX ს. არსებობდა ტავრომაქიის სახელგანთქმული სკოლა.

დიდებული წარმომადგენლებისა, რომლებიც ესოდენ ცნობილი იყვნენ ხართან ბრძოლის ღირსეული ილეთებით. აქ გამოდიოდნენ ცოცხალი, მხიარული სევილიის სკოლის მატადორები, რომლებიც იზიდავდნენ მაყურებელს სწრაფი, მოულოდნელი გამობტომებით... მზით, ხალხის გუგუნით, ტაშისცემით და ლოქაში მჯდომი ცისფერ-კაბიანი ქალის ეშხით გაბრუებული გალიარდო მზად იყო არნახული გმირობა ჩაედინა.

ამ დღეს გალიარდოს შეუპოვრობამ და სიმარდემ ყოველგვარ მოლოდინს გადააქარბა. მან მიზნად დაისახა დაეჩრდილა ყველა მატადორი და მაყურებლის ტაშისცემა მხოლოდ მისი კუთვნილება ყოფილიყო. ასე არასდროს მოსწონებიათ მატადორი თაყვანისმცემლებს. გალიარდოს ყოველ წარმატებაზე დონ ხოსე ფეხზე წამოხტებოდა და გამომწვევად გასძახოდა ხალხში მიმალულ მოწინააღმდეგეებს: „აბა გაბედოს და კრინტი დაძრას ვინმემ! იგი მსოფლიოს უპირველესი მატადორია!“.

მოსაკლავად მომზადებული მეორე ხარი გალიარდოს ბრძანებით ნასიონალმა ლაბადის ოსტატური ქნევით ლოქასთან მიდენა, იქ სადაც ცისფერი კაბის ფონზე თეთრი მანტილია კიაფობდა. დონია სოლის გვერდით იჯდა მარკიზი ქალიშვილებით. მულეტითა და დაშნით შეიარაღებულმა გალიარდომ, რომელსაც ხალხის მზერა მოაცილებდა, ბარიერს ჩაუარა, ლოქის წინ შედგა და ქუდი მოხადა. მეორე ხარს იგი მორაიმას ასულთა პატივისცემით გაგმირავს. ხალხი ეშმაკურად იღიმებოდა „ოლე, ყმაწვილს ბედი სწყალობს!“.

ტორერო ნახევრად შემოტრიალდა და ხარის მოლოდინში ქუდი გვერდზე ისროლა. და აი, ხარს ლაბადის ქნევით კაპედორები მოერეკებიან. ესპადამ გადაწყვიტა მისთვის სწრაფად და მოულოდნელად ბოლო მოედო და ცხოველს საშუალებას არ აძლევდა ლოქას დაშორებოდა. მას სურდა დონია სოლის თვალწინ გაეგმირა ხარი: დე, ახლოდან დაინახოს გალიარდოს უსაზღვრო მიმაცობა!

ესპადის მულეტის ყოველ მოქნევას ხალხი აღტაცებითა და ხან შეშფოთებული ძახილით ეგებებოდა. ხარის რქები ტორეროს მკერდთან ელავდა. მაყურებელს ეგონა, ამ ორთაბრძოლას ტორერო ვერ გადაურჩებოდა. ბოლოს გალიარდო ერთ ადგილზე შედგა დაშნა ამართა და გაოგნებული მაყურებლის წინაშე თვალის დახამხამების უმაღლეს კუბა, რამდენსამე წამს ტორერო და ცხოველი, ერთ ბურთად შეკრულნი, ქვიშაზე ბრუნავდნენ. მერე მატადორი ხარს მოსცილდა და კვლავ ერთ ადგილზე გაიყინა, ენავადმოგდებულმა ხარმა, კისერზე დაშნის წითელი ტარი რომ ოდნავ მოუჩინა, ბარბაცით და ფშვინვით რამდენიმე ნაბიჯი გაიარინა და მოცუ-

ლილივით ძირს დაენარცხა. ხალხი დაქიმულ ზამბარასავით ერთ-ბაშად ზეწამოიჭრა, ტაშისა და აღტაცებული შეძახილების ქუხილმა იქაურობა გააყრუა. ვინაა ქვეყნად გალიარდოზე უმამაეცისი! ამ ბიჭმა არ იცის შიში რაა!

ლოყის წინ მდგარმა გალიარდომ თაყვანი სცა ქალს, რომლის თეთრ ხელთათმანიანი ხელები გაშმაგებით ტაშს უკრავდა. მერე ლოყიდან ბარიერამდე გზას მიიკვლევდა და პაწია გუნდასავით ხელიდან ხელში გადადიოდა დონია სოლის თეთრი ხელსახოცი — მაქმანით არწიამოვლებული სურნელოვანი მოვის ოთხკუთხედი, მარყუჟზე გამოსკვნილი ბრილიანტის ბეჭდით — სახსოვრად მატადორს ნიშნად მადლობისა, რადგან სენიორას პატივსაცემად მან ხარი გაგმირა.

კვლავ გაისმა გამაყრუებელი ტაშის გრიალი. ხალხმა დროებით მიივიწყა თავისი გმირი, ასპარეზს ზურგი შეაქცია, რათა დონია სოლისათვის შეეხედა. ყოველი მხრიდან ისმოდა მოურიდებელი ყვირილი დონია სოლის სილამაზის სადიდებლად: დაბანლული პაწია სამკუთხედი ბარიერიდან ლოყისკენ გზას იკაფავდა. ეს გახლდათ ჯერ კიდევ თბილი ხარის ყური, რომელიც მატადორმა გაუგზავნა ქალს, რომლის პატივსაცემად ხარი გაგმირა.

ზეიმის დასასრულს მთელ ქალაქს მოედო გალიარდოს ტრიუმფის ამბავი. როცა ესაბადა შინ დაბრუნდა, ყველა მეზობელი უკლებლივ კართან შეკრებილიყო და ისეთი ზარზეიმით ესალმებოდა გმირს, თითქოს თვით დასწრებოდნენ კორიდას.

მეუნაგირეს ყოველგვარი წყენა დავიწყებოდა, აღტაცებული შესციცინებდა ტორეროს და მისი ასპარეზზე გამარჯვებით იმდენად არ იყო გაოცებული, რამდენადაც ცნობილ საზოგადოებასთან გალიარდოს სიახლოვით. იგი დიდი ხანია კბილებს იღესავდა ერთი გამოსარჩენი ადგილისათვის და ახლა, როცა დარწმუნდა, სიძე დაახლოვებულია სევილიის ცნობილ საზოგადოებასთან, საქმის წარმატებით მოგვარებაში ექვი აღარ ეპარებოდა.

— ნება მომეცი ბეჭედს შევხედო. ნახე, ეკარნასიონ, რა საჩუქარია! თვით როყე დე ფლორსაც შეშურდებოდა.

ქალები ათვალეირებდნენ ბეჭედს და აღტაცებით ოხრავდნენ.

კარმენმა მხოლოდ შუბლი შეიკმუხნა, „პო, ლამაზია“, თქვა მან, და სწრაფად, თითქოს ბეჭედი ხელს სწვავსო, მულს გადასცა.

სევილიის კორიდას შემდეგ გალიარდოს მოგზაურობის ხანა დაიწყო. კონტრაქტები ამ წელს უფრო მეტი ჰქონდა, ვიდრე ოდესმე. მადრიდის არენაზე ბრძოლის შემდეგ ესპანეთის ყველა ასპარეზი უნდა მოეკლო, რწმუნებულმა დაიწყო რკინიგზის განრიგის შესწავლა, მარშრუტს ადგენდა.

წარმატებას წარმატება მოსდევდა. იგი ასეთ კარგ განწყობილებაზე არასდროს ყოფილა. ძალის მოზღვავენას გრძნობდა. თუმცა ყოველი კორიდის წინ სტანჯავდა ეჭვი, შიში და გაუბედაობა — ფანატიკური შიში, რომელიც არ განუტლია მაშინაც, როდესაც ცხოვრებაში გაქირვებით გზას იკაფავდა. მაგრამ როგორც კი ასპარეზზე გამოვიდოდა, შიში უმალ ქრებოდა. იგი იმსქველებოდა განუსაზღვრელი მამაცობით და ბრძოლაში მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა.

სხვა ქალაქის სარბიელზე გამოსვლის შემდეგ გალიარდო კვადრილიის თანხლებით სასტუმროში ბრუნდებოდა. საბრძოლო სამოსს არ იხდიდა, დალლილ-დაქანცული, გამარჯვების სასიამოვნო გრძნობით შეპყრობილი სავარძელში ჩაეშვებოდა და „მაღალი საზოგადოების“ წარმომადგენელთა მოლოცვებს კითხულობდა. ხუანი დღეს შეუდარებელი იყო! იგი მსოფლიოს უპირველესი მატადორია! ბრწყინვალედ გაგმირა მეოთხე ხარი!

— ტყუილია თუ? — ბავშვური სიამაყით გაიძახოდა გალიარდო. — დარტყმა მართლაც სანაქებო იყო!

და ასე, ხარებზე გაუთავებელ ლაპარაკში გადიოდა დრო. ესადა და მისი თაყვანისმცემლები დაწვრილებით არჩევდნენ იმ დღის ამბებს და განვლილ კორიდებს იგონებდნენ. ამასობაში ბინდდებოდა, ინთებოდა ნათურები, მაგრამ მოყვარულნი არ მიდიოდნენ.

ძველთაგანვე დამკვიდრებული ადათისამებრ, ყველასაგან მივიწყებული კვადრილია მოშორებით, კუთხეში იჯდა და უსიტყვოდ, მოთმინებით იტანდა ამ ლაყბობას. მესტროს ნებართვის გარეშე „ბიჭებს“ ტანისამოსის გამოცვლა ან სასაუზმოდ გასვლის ნება არ ჰქონდათ. ფეხის დამფარავი მძიმე სამოსელის ტარებით ქანცგამოლეული და ცხენიდან ჩამოვარდნის დროს მიღებული დაშავებით გატანჯული პიკადორები მუხლებშუა მარდად იქნევდნენ კასტორის ქუდებს. აბრეშუმის ტანსაცმელში გამოწყობილი, ზოლად ოფლად დაღვრილ ბანდერილიეროებს დამაბული მუშაობის შემდეგ შიმშილით კუჭი უხმებოდათ. ისინი დროდადრო მრისხანედ გადახედავდნენ მესტროს თაყვანისმცემელთ და მხოლოდ ერთს ფიქრობდნენ: „როდის მოსწყდებიან თავს ეს მოლაყბენი, რომ ცოტაც არის კაცმა თავისუფლად ამოისუნთქოს!“ ბოლოს, როგორც იყო მატადორი გადახედავდა. ამხანაგებს და წარმოთქვამდა: „შეგიძლიათ წახვიდეთ!“ ტორეროები ერთმანეთის ხელისკვრით, გათავისუფლებული მოწაფეებივით მიისწრაფოდნენ კარისკენ მაშინ, როცა გალიარდო გაბრუებული იყო „ცნობილ“ მოყვარულთა ქებით და სულ დავიწყებოდა გარაბატო, რომელიც მდუმარედ უცდიდა, რათა მისთვის ტანსაცმელი გაეხადა.

თავისუფალ დღეებში, როდესაც გალიარდო არ იყო დაძაბულ მდგომარეობაში, რასაც მოახლოებული საფრთხე და ხალხის თაყვანისცემა იწვევდა, მას სევილია აგონდებოდა. ხანდახან ლებულობდა ნაზსურნელოვან ბარათებს, რომელშიც გამარჯვების მოსალოცად რამდენიმე პწკარი ეწერა. დონია სოლი რომ აქ იყოს, მასთან ერთად, რა იქნებოდა! ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობისას გალიარდოს თაყვანისმცემლები თან დასდევდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ ესიამოვნებინათ მისთვის... ტორერო დადიოდა ქალაქებში და მის პატივსაცემად გამართულ ბანკეტს ესწრებოდა. მაგრამ ღრეობა თავის კვალს სტოვებდა. იგი პირქუში და მიუყარებელი გახდა. ტორერო შეეპყრო შეუკავებელ სურვილს: მიეყენებინა ქალისთვის ტყვილი—სურდა ყოფილიყო მკაცრი, რომ ჯავრი ეყარა იმ უჩინანობისა და ჰირვეულობისთვის, ქალთა სქესის სხვა წარმომადგენლისაგან რომ იტანდა.

ხანდახან გალიარდოს აღეძვროდა სურვილი თავისი განცდები გაეზიარებინა ნასიონალისთვის და სულიერ სიმშვიდეს აღსარებაში ჰპოვებდა. ამასთან, მშობლიური სევილიიდან დაშორებული ტორერო ბანდერილიეროსადმი განსაკუთრებულ სისათუთეს და სიყვარულს გრძნობდა. სებასტიანმა იცოდა გალიარდოსა და დონია სოლის სიყვარულის ამბავი. მას შორიდან უნახავს ქალი; ქალს კი არა ერთხელ უცინია ახირებული ბანდერილიეროს უცნაურ ეპიზოდებზე.

სიბრაზისგან შუბლშეჭმუხნული სებასტიანი ყურს უგდებდა ესპადას აღსარებას.

— ხუან, უნდა დაივიწყო ის სენიორა: ოჯახის სიმშვიდე გაცილებით ძვირფასია ჩვენს წარმატებაზე, რომლის გულისთვისაც სიცოცხლეს ვწირავთ. რა ვიცი, იქნებ ერთ მშვენიერ დღეს ხეიბრები დაებრუნდეთ სახლში. დამიჯერე, კარმენმა უფრო მეტი იცის, ვიდრე შენ გგონია. მას გაუგია და გადაკვრით ბევრჯერ უთქვამს შენსა და მარკიზის დისწულის ურთიერთობაზე. განა საცოდაობა არ არის, ასე რომ აწვალებ? უფრთხილდი, კარმენი, ფიცხი ხასიათისაა და ორივეს არ მოგვხვდეს მისგან.

მაგრამ სამშობლოდან დაშორებული გალიარდო, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ დონია სოლზე ფიქრობდა, ყურს არ უგდებდა სებასტიანის გაფრთხილებას და მის რჩევას მხრების აჩეჩვით პასუხობდა. გალიარდოსთვის აუცილებელი იყო ვისმესთვის გაეზიარებინა სასიამო მოგონებები, უსირცხვო მიჯნურის მსგავსად მოეთხრო განცდილი ბედნიერების წუთებზე, რათა მეგობარში აღეძრა შური სხვისი წარმატებების გამო.

— შენ არ იცი, ეგ რა ქალია! სებასტიან, მაგისტანა საკითხებში არაფერი გაგეგება! მთელი სევილიის ქალები არარაობაა მასთან. მე არაფერს მინდა დონია სოლის გარდა. როცა გაიცნობ იმ სენიორას, აღარავინ მოგინდება. ეი, ყმაწვილო, შენც რომ ისე იცნობდე, როგორც მე ვიცნობ! ჩვენ ქალებს, მართალია, სინორჩის, სუფთა თეთრეულის სუნი აქვთ, იმას კი, სებასტიან, იმას კი!.. წარმოიდგინე ყველა ვარდისა და ალკასარის ბაღების არომატი... არა, უფრო მეტი — იგია შროშანი, სამოთხის ვაშლი, წალკოტის სურნელება: და ეს საამო სურნელი შიგნიდან იფრქვევა, თითქოს სუნამო კი არ დაუსხამს, არამედ სისხლს აქვს ეს არომატიო. და ბოლოს, არ არსებობს ქალი, პირველ შეხვედრისთანავე რომ არ მოგწყინდეს. მისგან კი ყოველთვის რაღაც გინდა, მიუღწეველის სურვილი გათრობს. ერთი სიტყვით, სებასტიან, არ შემიძლია კარგად ავიხსნა. შენ არ იცი, რა არის ნამდვილი სენიორა. ერთი სიტყვით, დაღუპდი და ნულარ ქადაგებ...

გალიარდო სევილიიდან ბარათებს აღარ ღებულობდა. დონია სოლი საზღვარგარეთ წავიდა. ტორერომ გამგზავრების წინ მხოლოდ ერთხელ ნახა, როცა სან სებასტიანში გამოდიოდა. ბრწყინვალე სენიორა ბიარიცში ცხოვრობდა და ფრანგ მეგობარ ქალებთან ერთად ტორეროს საყურებლად მოსულიყო, გალიარდო დონია სოლას დილით შეხვდა. მერე იგი გაემგზავრა. ზაფხულში ტორერო იშვიათად იღებდა ბარათებს და ახალ ამბებს რწმუნებულის მეშვეობით, მარკიზისგან იგებდა.

დონია სოლი დასეირნობდა სხვადასხვა მოდურ კურორტებზე, რომელთა სახელი ხუანს პირველად ესმოდა და გამოთქმაც კი უჭირდა. მერე დონია სოლი გაემგზავრა ინგლისში, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ გერმანიაში, რათა მოესმინა ოპერა შესანიშნავ თეატრში, რომელიც წელიწადში რამდენსამე კვირას მუშაობს. გალიარდომ მასთან შეხვედრის იმედი დაჰკარგა. იგი იყო მოუსვენარი, ფათერაკის მაძიებელი, სამოთხის ჩიტი, და საეჭვოა, რომ თავის ძველ ბუდეს, სევილიას დაბრუნებოდა. იმის გაფიქრებაზე, რომ იქნებ აწველარ შეხვედროდა დონია სოლს, გალიარდო ჰკუიდან იშლებოდა. ასე დაუფლებოდა ტორეროს სულსა და გულს ის ქალი. აღარასდროს შეხვდება! მაშ რაღა საჭიროა სახელი და დიდება, სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება? რაღად უნდა ტაში? იმპრესარიო ამშვიდებდა ხუანს, აი, ნახავ, დაბრუნდება. უეჭველად დაბრუნდება. ერთი წლით მაინც. მიუხედავად ყოველგვარი ახირებისა, დონია სოლი პრაქტიკული ქალია და საკუთარი ინტერესები არ ავიწყდება. მარკიზის დაუხმარებლად ვერაფერს გააკეთებს, რადგან საქმეებ

არეული აქვს. თავისი პირადი საკუთრება და მეუღლის სიკვდილის შემდეგ მიღებული მემკვიდრეობა საზღვარგარეთ ხელგაშლილი ცხოვრების გამო არასახარბიელო მდგომარეობაშია.

ზაფხულის ბოლოს ესპადა სევილიას დაბრუნდა. შემოდგომათ კიდევ მრავალ კორიდაზე უნდა მიეღო მონაწილეობა, მის განკარგულებაში ერთი თვე იყო და დასვენება გადაწყვიტა. გალიარდოს ოჯახი გაემგზავრა სანლუკარში, რადგან სურავანდიან დისწულებს ზღვის ჰავა ესაჭიროებოდათ.

როცა გალიარდომ რწმუნებულისგან გაიგო, რომ ყველასათვის მოულოდნელად დონია სოლი სევილიაში დაბრუნდა, გული აუფანცქალდა.

ესპადა იმწამსვე გაეშურა მასთან და საუბრისთანავე შეკრთა ქალის თვალების უცნაური გამომეტყველებისა და ცივი თავაზიანობის გამო.

ქალი შესცქეროდა გაცეხული, თითქოს ახლა შეემჩნიოს მისი ტლანქი გარეგნობა და ის დისტანცია, რომელიც მასსა და აბალგაზრდა საქონლის მკვლელს შორის არსებობდა.

ამასთან გალიარდომ იგრძნო მათ შორის არსებული უფსკრული. მან დონია სოლში ამოიციო მაღალი საზოგადოების სულ სხვა ქალი უცხო, უცნობი ქალაქიდან.

ისინი დინჯად საუბრობდნენ. ეტყობოდა ქალს დავიწყებოდა წარსული, სოლო გალიარდო ვერ ბედავდა მის გახსენებას და თავისუფლად ვერ იქცეოდა, რადგან ქალის გააფთრებისა ეშინოდა.

— სევილია! — წამოიძახა დონია სოლმა, — სასიამოვნო და ლამაზი ქალაქია. მაგრამ ქვეყანა დიდია! იცით, გალიარდო, ერთ მშვენიერ დღეს მე სამუდამოდ გაეფრინდები აქედან. აქ ნამდვილად მომწყინდება. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს სევილია გამოცვალებსო.

ქალი გალიარდოს შენობით აღარ ელაპარაკებოდა. გადიოდა დღეები და ტორერო მაინც ვერ ბედავდა ქალისთვის წარსულის გახსენებას. იგი ქალს მხოლოდ მძუმარე თაყვანისცემით შესცქეროდა დანისლული, აფრიკული თვალებით.

— მოწყენილი ვარ. წაველ აქედან... — იმეორებდა დონია სოლი ყოველი შეხვედრისას. ერთხელ კი ზვიადი მსახური ალაყაფეს მოადგა და კვლავ აუწყა, როგორც წინათ, სენიორა შინ არ გახლავთო. ხუანი კი დარწმუნებული იყო, რომ დონია სოლი შინ იყო.

ერთ-ერთი შეხვედრისას გალიარდომ უთხრა დონია სოლს, რომ იგი მიემგზავრება ადგილ-მამულში ზეთისხილის ხეების სანახავად, რომელიც მისი არყოფნის დროს რწმუნებულს ეყიდა; ამასთან ურიგო როდია ხანდახან თვალი შეავლო მუშაობასო.

დონია სოლს გაბედულმა და უგუნურმა აზრმა გაუელვა და სიამოვნებისგან გაეცინა. წასულიყო ადგილ-მამულში, სადაც გალიარდოს ოჯახი უმეტეს დროს ატარებს და უცერემონიო შეკრით დაარღვიოს მყუდრო ცხოვრება, მოშხამოს უმანკოება და სიმშვიდე სოფლის სახლისა, სადაც ოჯახთან ერთად ეს საცოდავი ყმაწვილი ცხოვრობდა. მაშ, ასე, გადაწყდა: ის მიჰყვება გალიარდოს, რინკონადი უნდა ნახოს. გალიარდო შეკრთა. ვაითუ ეს ამბავი მსახურებმა ოჯახში წამოაყრანტალონ. მაგრამ დონია სოლის ერთმა შემოხედვამ ყოყმანს ბოლო მოუღო. გალიარდომ გაითიქრა: იქნებ ამ მგზავრობამ დაკარგული ბედნიერება აღმიდგინოსო, თუმცა მაინც შეეცადა ერთ-ერთ მიზეზს ჩასკიდებოდა: მაგრამ პლიუმიტასი? ამბობენ, ამჟამად რინკონადის მიდამოებში დაძრწისო.

— ო, პლიუმიტასი! — დონია სოლის მოწყენილობისაგან მოღუშული სახე გაუბრწყინდა, — რა შესანიშნავია! ძალიან მინდოდა მისი ნახვა.

გალიარდო მგზავრობის თადარიგს შეუდგა. საერთოდ მარტო აპირებდა წასვლას, მაგრამ გზაზე რაიმე უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, რათა დონია სოლი უზრუნველყო საფრთხისაგან, ვინმეს წაყვანა გადაწყვიტა. წაიყვანს პიკადორ პოტახეს. ამ ძაღვან კაცს ქვეყნად არაფრისა ეშინოდა, გარდა თავისი ბოშა ცოლისა, რომელიც კმრის მუშტებს კბენით პასუხობდა. პოტახესთვის რაიმე ახსნა-განმარტება საჭირო არაა, მხოლოდ ღვინო იყო საყმაო. ლოთობისა და ცხენიდან გადმოვარდნისა გამო პოტახეს მუდამ უბრუოდა თავი, ენა ებმოდა და ყველაფერს ბურუსში ხედავდა. პოტახეს გარდა წაიყვანს ნასიონალს—კაცს, რომელსაც ყველაფერში ენდობი.

ნასიონალი იძულებული იყო დამორჩილებოდა, მაგრამ გაიგო თუ არა, ჩვენთან ერთად დონია სოლი მოდისო, ბუზღუნს მოჰყვა:

— ესლა მაკლდა, რომ მე, ოჯახის მამა, შენს ჭუჭყიან საქმეებში გავერიო! რას იფიქრებენ ჩემზე კარმენი და ქალბატონი ანგუსტიასი, რომ გაიგონ?

მაგრამ როცა მანქანა ქალაქს მოწყდა და პოტახესთან ერთად ტორეროსა და წარჩინებული ბანოვანის წინაშე, ტრიალ მინდორზე აღმოჩნდა, გუნება თანდათან გადაეწმინდა. რივიანად ვერ არჩევდა დონია სოლის სახეს ცისფერ პირბადიან სამგზავრო ქუდში, რომლის ბოლოები მწვანე აბრეშუმის პალტოზე ფრიალებდნენ. ეტყობა, ძალზე კარგია... და მერე რა ჰკვიანია! და რა მშვენიერი საუბარი აქვს!..

და სანამ ნახევარ გზას გაივლიდნენ, ნასიონალმა, რომელსაც

შეეძლო დაეტრახა, ოცდახუთი წლის განმავლობაში ცოლისთვის არ მილატიაო, გონებაში შეუტევა მატადორს ამ ქალისადმი მორჩილება და უკვე თვითონაც იზიარებდა ტორეროს თაყვანისცემას დონია სოლის მიმართ. ამგვარი რამ ნასიონალს რომ შემთხვევოდ, ალბათ ისიც შეეცოდავდა.

განათლება! ეს ისეთი ძალაა, რომელიც უარეს დანაშაულსაც ჩაგადენინებს.

V

— თქვას, ვინ არის, ანდა მოწყდეს თავს! ეშმაკმა დასწყევლოს ასეთი ცხოვრება! ძილის საშუალებასაც არ მოგცემენ ადამიანს!..

მაესტროს ოთახის კართან მდგომმა ნასიონალმა მოისმინა გალიარდოს პასუხი და კიბეზე მდგარ მსახურს უთხრა:

— თქვას, ვინ არის, თორემ, ბატონი არ წამოდგება.

დილის რვა საათი იყო. ბანდერილიეროს თავი გაეყო ფანჯარაში და გასცქეროდა მსახურს, რომელიც გარბოდა შორს, მავთულის ღობისკენ, რომლითაც გალიარდოს ადგილ-მამული იყო შემოფარგლული. ნასიონალმა ჭიშკართან ცხენოსნის პატარა სილუეტი დალანდა. კაცი და ცხენი სათამაშოს ჰგავდნენ შორიდან.

მსახური ელაპარაკა ცხენოსანს და უქანვე გამობრუნდა. ნასიონალი ვერ მიმხვდარიყო რას ნიშნავდა ყოველივე ეს და მსახურის შესახვედრად კიბეზე ჩამოვიდა.

— იგი ამბობს, ბატონის ნახვა მსურსო, — დაბნეულად წარმოთქვა მოჯამაგირემ, — ეტყობა კეთილი განზრახვა არა აქვს. ახლავე აქ გამოვიდეს ბატონი და ყველაფერს მოვახსენებო.

ბანდერილიერომ კვლავ დააბრახუნა კარზე, მაესტროს გინებას ყურადღებას აღარ აქცევდა. დროა ადგე, უკვე გათენდა. შესაძლოა იმ კაცმა რაიმე მნიშვნელოვანი ამბავი მოიტანაო.

— ახლავე! — წამოიყვირა გაბრაზებულმა გალიარდომ, თუშც აო განძრეულა. ნასიონალმა კვლავ ფანჯარაში გაიხედა და სახლისკენ მომავალი ცხენოსანი დაინახა. მისკენ მსახური მირბოდა. ეტყობოდა, საცოდავი მოჯამაგირე ჰქუაზე არ იყო, რადგან ბანდერილიეროსთან საუბარში ენა ებმებოდა, თითქოს საიდუმლოების გამჟღავნებას ვერ ბედავსო. როცა მსახური უცნობს მიუახლოვდა, ცხენოსანმა რაღაც გადაულაპარაკა და მსახური მსწრაფლ უქან გამოიქცა. გაფითრებული და აკანკლებული, სულმოუთქმელად კიბეზე ამოიჭრა და ნასიონალის წინ შედგა.

— პლიუმიტასია, სენიორ სებასტიან! იგი ამბობს, პლიუმიტასი

ვარ და ბატონთან საქმე მაქვსო. იმწამსვე მივხვდი, როგორც კი შევხედე...

— პლიუმიტასი!

თუმც სირბილისაგან აქოშინებული მსახური ოდნავ გასაგონად ლაპარაკობდა, მაგრამ ეს სახელი წამსვე მთელ სახლს მოედო. ბანდერილიეროს გაცემისაგან ენა ჩაუვარდა. გალიარდო ლოგინიდან წამოხტა და სასწრაფოდ ჩაცმას შეუდგა. ამ გასაოცარი ამბის საპასუხოდ დონია სოლის ოთახიდანაც ხმაური მოისმა.

— ეშმაკმა დასწყევლოს, რა უნდა მაგ კაცს ჩემგან! რატომ მოვიდა რინკონადში? და ისიც ახლა!..

გალიარდომ, როგორც იყო ჩაიცვა შარვალი, ქურთუკი, აჩქარებით გამოვიდა ოთახიდან, მრისხანედ წინ გაუელვა ბანდერილიეროს და ქარივით ჩაიქროლა კიბეზე. ნასიონალიც თან მიჰყვა.

პლიუმიტასი უკვე სახლის წინ, ცხენიდან ჩამომხტარიყო. რამდენიმე მოჯამაგირეს ცხენის უზანგისათვის ხელი ჩაეჭიდათ. დანარჩენნი იქვე იდგნენ და მოკრძალებული ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდნენ ამ მოულოდნელ სტუმარს.

ის იყო საშუალო ტანის, უფრო სწორად, დაბალი, ქერათმიანი, პირმრგვალი კაცი, მოკლე და ძლიერი ხელ-ფეხით. ეცვა შავი თასმით გაწყობილი ნაცრისფერი ხალათი, შიგნიდან სქელ მაუდგამოკერებული მუქი, გაცვეთილი შარვალი, და ტალახის, წვიმისა და მზის სხივებისგან დამსკდარი ტყავის ჩექმა. ხალათქვეშ მოუჩანდა ფართო ქამარი, რომელშიაც გაერქო მძიმე რევოლვერი და უზარმაზარი დანა. მხედარს მარჯვენა ხელში ავტომატური ქარაბინი ეჭირა. თავს უფარავდა ერთ დროს თეთრი, ავდრისაგან დაფხრეწილი ფარფლებიანი ქუდი. ყელზე მოხვეული წითელი ყელსახვევი პლიუმიტასის ყველაზე კარგი მორთულობა იყო. ფართო ლოყებიანი სახე მთვარესავით მშვიდი ჰქონდა. თეთრი, ოდნავ მზემოკიდებული ლოყები დაეფარა დიდი ხნის გაუპარსავ წითურ წვერს, რომელიც მზეზე ოქროსფრად ელვარებდა. ხოლო ამ სოფლის მღვდლის, კეთილი ფიზიონომია შიშს მოგვკრიდათ, რადგან მისი ეშმაკური, ქონით დაფარული, გამსკვალავი, მოლურჯო, პატარა სამკუთხა თვალები გარეული ტახის თვალებს ჰგავდა.

როგორც კი გალიარდო ზღურბლზე გამოჩნდა, ბანდიტმა მაშინვე იცნო და ქუდი მოიხადა.

— ღმერთმა გამარჯობა ნუ მოგაკლოს, სენიორ ხუან! — წარმოთქვა მან თავაზიანი ანდალუსიელი გლეხივით.

— გამარჯობა.

— ცოლ-შვილი ხომ ჯანმრთელად გყავს, სენიორ ხუან?

— ჯანმრთელადაა. გმადლობთ. თქვენები როგორღა არიან? — შეეკითხა მატადორი.

— მე მგონი კარგად არიან. დიდი ხანია არ მინახავს ტორერო მიუახლოვდა. ისინი თამამად შესცქეროდნენ ერთმანეთს, თითქოს ორი მგზავრი შემთხვევით შეხვდა ღია მინდორზეო. ტორერო გაფითრდა, კბილს კბილი დააკირა, ცდილობდა როგორმე შეეკავებინა მღელვარება. ყაჩაღს არ ეგონოს, რომ მისი შეეშინდა! ეს სტუმრობა სხვა დროს იქნებ სახიფათოდ მოსჩვენებოდა გალიარდოს, მაგრამ ახლა, როცა მაღლა ეგულებოდა თავისი განძი, მზად იყო სცემოდა ბანდიტს, ისევე, როგორც ხარს, თუ რასმე აუგ განზრახვას შენიშნავდა.

რამდენიმე ხანს ორივე სდუმდა. ათიოდე მოჯამაგირე, რომელნიც მინდვრად სამუშაოდ ჯერ არ წასულიყვნენ, შეშინებული ბავშვებივით გასცქეროდნენ პირქუში დიდებით მოსილ მრისხანე ადამიანს.

— შეიძლება ცხენის საჯინიბოში დამწყვდევა, რომ ცოტა დაისვენოს? — იკითხა პლიუმიტასმა.

გალიარდომ ანიშნა ერთ-ერთ მოჯამაგირეს, რომელმაც ცხენს აღვირი მოქაჩა და საჯინიბოსკენ წაიყვანა.

— კარგად მიხედე! — გასძახა პლიუმიტასმა მსახურს. — მაგაზე ძვირფასი არაფერი გამაჩნია. ეგ ცხენი ცოლ-შვილს მიჩვენია.

ამ დროს მოჯამაგირეებთან მდგომ მატადორსა და ბანდიტს შეუერთდა კიდევ ერთი თანამესაუბრე. ეს იყო პიკადორი პოტახე. იგი გაღელვებული გამოვიდა. იზმორებოდა და გოლიათური სიმაღლე უფრო ემატებოდა. როგორც ყოველთვის, პოტახემ ლოთობისაგან დაწითლებული თვალები მოისრისა, მიუახლოვდა ბანდიტს და თავისი პატივისცემის გამოსახატავად მოურიდებლად მზარზე ხელი დაარტყა. ამასთან ყოველთვის სიამოვნებდა, როცა მისი ხელის სიმძიმისაგან ადამიანი შებარბაცდებოდა.

— როგორ ცხოვრობ, პლიუმიტას?

ბანდიტი პირველად ხედავდა პოტახეს. ამგვარი უხეში და მოურიდებელი მისალმების გამო პლიუმიტასი შეიკუმშა, თითქოს ნახტომისთვის მოემზადაო და ხელი სტაცა იარაღს. მერე პიკადორს ჩააშტერა ცისფერი თვალები და იცნო.

— ა! შენა ხარ, პოტახე! სევილიის ბაზრობაზე გნახე შუბით ხელში. როგორ ჩამოვარდი ცხენიდან! რა ღონიერი ხარ. რკინისა ხომ არა ხარ? — და მისალმების საპასუხოდ მან თავისი კოჟრიანი თათები მოჰკიდა პიკადორის ხელს და აღტაცებული ღიმილით უსინ-

ჯავდა კუნთებს. მოეწონათ ერთმანეთი. პიკადორმა გადაიხარხარა.
— ხა, ხა!.. მე კი უფრო მაღალი მეგონე... მაგრამ არა უშავს, კარგი ბიჭი ხარ.

პლიუმითასი მატადორთან მივიდა.

— აქ შეიძლება კაცი დანაყრდეს?

გალიარდომ მედიდურად უპასუხა:

— რინკონადიდან სტუმარი არასოდეს წასულა უსაუზმოდ.

ყველანი ერთად გაემართნენ ფართო სამზარეულოსაკენ, სადაც ჩვეულებრივ ფერმის ბინადარნი იკრიბებოდნენ. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა.

მატადორი ღრმა სავარძელში მოკალათდა. საქმეთა მმართველის ქალიშვილმა ფეხსაცმელები გამოუტანა, რადგან წელან სიჩქარის გამო გარეთ საშინაო ფლოსტებით გამოვარდა.

სტუმრის თავაზიანი მოქმედებით დამშვიდებულმა ნასიონალმაც გადაწყვიტა საზოგადოებას შემოერთებოდა და ჭიქებითა და ღვინის ბოთლით ხელში გარეთ გამოვიდა.

— შენც გიცნობ, — მიმართა ყაჩაღმა ნასიონალს ისევე უბრალოდ, როგორც პიკადორს. — მინახავს როგორ არტობ ხოლმე ბანდერილიებს. როცა გასურს, შენ საქმეს შესანიშნავად ასრულებ. მხოლოდ ხართან უფრო ახლოს უნდა იყო ხოლმე!

ამ ღარიგებაზე მანსტრომ და პოტახემ გადაიხარხარეს. დაასხეს ღვინო. პლიუმითასმა ხელი ჭიქისკენ წაიღო, მაგრამ ფეხებ შორის მოთავსებულმა თოფმა ამის საშუალება არ მისცა.

— გადაადგე ეგ საგანი, მოყვარევ, — უთხრა პიკადორმა. — შენ რა, ემაგ სათამაშოს სტუმრებთანაც არ იშორებ?

ყაჩაღმა სერიოზულად შეხედა. — იყოს სადაცაა, ჩვეულებისამებრ თოფი ყოველთვის თანა მაქვს; ძილის დროსაც კი.

იარაღის გახსენებაზე, რომელიც მისი სხეულის განუყრელი ნაწილი გამხდარიყო, ბანდიტი კვლავ გაფითრდა და მოუსვენრად აქეთ-იქით დაიწყო ყურება. ეჭვისგან სახე მოელუშა. მუდამ ფხიზლობდა, თავის თავის გარდა, არავის ენდობოდა და ყოველი მხრიდან ხიფათს ელოდებოდა.

ერთ-ერთი მოჯამაგირე კარისკენ გაემართა.

— სად მიდის ეგ კაცი? — ბანდიტი ზეწამოიწია და ხელში თოფი ჩაბლუჯა. როცა გაიგო აქვე ახლოს, მინდვრად მიდისო, დაწყნარდა.

— მოისმინეთ, სენიორ ხუან. თქვენს სანახავად მოვედი. ამასთან ისეთ წესიერ აღამიანად გთვლით, რომელიც დალატს არ ჩაიდენს.

მე მგონი პლიუმიტასზე ცოტა რამ გაგებულნი გექნებათ. მისი და-
კერა არცთუ ისე ადვილია და ვინც შეეცდება, ძვირად დაუფუჯენ.

ვიდრე მაესტრო უპასუხებდა, საუბარში პიკადორი ჩაერია.

— სისულელეს ნუ როშავ, პლიუმიტას, შენს მეგობრებად გვი-
გულე, სანამ წესიერად იქნები.

ყაჩაღი დაწყნარდა და პიკადორს თავის ცხენზე დაუწყო საუბარ-
ი. ისინი მუსაფში გაერთნენ აღზნებული მხედრებივით, ვისთვის-
საც ცხენი ადამიანზე ძვირად ფასობს.

ჯერ ისევ შეშფოთებული გალიარდო სამზარეულოში ბოლთას
სცემდა. ამ დროს მისი ღონიერი, მზემოკიდებული მსახური გოგო-
ნები ბუხარში ცეცხლს ადვივებდნენ, საუზმეს ამზადებდნენ და სა-
ხელგანთქმულ პლიუმიტასს ირიბად გასცქეროდნენ. გალიარდო, რომ-
მელიც სამზარეულოში წინ და უკან დაბორილობდა, ნასიონალთან
მივიდა, სთხოვა მალლა ასულიყო და დონია სოლისთვის ეთქვა, აქ
არ ჩამოხვიდეთ. პლიუმიტასი ალბათ საუზმის შემდეგ წავა და რა
საჭიროა, რომ ამ საზიზღარ კაცს შეხვდეს?

ბანდერილიერო წავიდა. პლიუმიტასმა შეამჩნია, რომ გალიარ-
დო ლაპარაკში მონაწილეობას არ ლებულობდა, მივიდა მასთან და
გაცხარებით დაუწყო საუბარი ამ წელს გამართულ კორიდეზე.

— მე ხომ „გალიარდისტი“ ვარ და იმდენჯერ დამიკრავს თქვენ-
თვის ტაში, რომ ვერც წარმოიდგენთ. მინახავს თქვენი გამოსვლა
სევილიაში, ხაენეში, კორდოვაშიც და მრავალ სხვა ქალაქშიც.

გალიარდო განცვიფრდა. ადამიანს, რომელსაც მთელი არძია
დასაქერად დასდევდა, როგორ შეეძლო კორიდაზე მშვიდად ჯლო-
მას პლიუმიტასმა გამარჯვებულის იერი მიიღო.

— მა როგორ! სადაც მინდა, იქა ვარ!

მერე მოყვა, თუ მარტო, ან ამხანაგების თანხლებით ფერმაში
მიმავალ გალიარდოს სად და როგორ შეხვედრია. მატადორს ხში-
რად გვერდზე ჩაუვლია და ყურადღებაც არ მიუქცევია მისთვის.
ალბათ ეგონა, რომელიმე მოჯამაგირე მიაქენებს ცხენს მეზობელ
სოფელშიო.

— როცა თქვენ სევილიიდან იმ ორი წისქვილის საყიდად მიდი-
ოდით, გზაში შემოგეფეთეთ. თან ხუთი ათასი ლურო მოგქონდათ.
ხომ ასეა! აღიარეთ. ზუსტად ვიცი... მეორედ, რწმუნებულთან ერ-
თად მგზავრობდით იმ დაწყევლილ პირუტყვით, ავტომობილს რომ
ეძახიან. თქვენ მოდიოდით ოლივარ დელ კურადან ნოტარიული
აქტების ხელმოსაწერად და ფულიც მეტი გედოთ ჯიბეში.

გალიარდომ გაიხსენა ყველაფერი და ოდნავი შიშით გაჰყურებ-
და ამ ყველაფრის მცოდნე კაცს. ბანდიტი ცდილობდა დაესაბუთე-

ბია ტორეროსადმი მისი კეთილგანწყობილება და განაგრძობდა მტკიცებას, რომ მისთვის არავითარი დაბრკოლება არ არსებობდა.

— გინახავთ როგორ მიჰქრის ავტომობილი? არაფერია. აი, რით ვაჩერებ იმ პირუტყვს. — და პლიუმიტასმა ხელში თოფი შეათამაშა. კორდოვში ანგარიში უნდა გამესწორობინა ერთ მდიდარ სენიორთან. ჩვეულებრივად ცხენზე შევიმართე და როგორც კი ჩაიქროლა იმ ოხერმა, ვუყვირე, შეჩერდი-მეთქი არ გაჩერდა. მაშინ ტყვია ბორბალში ვესროლე. მოკლედ, ავტომობილმა ცოტა მანძილი გაიარა და შედგა. მაშინვე იქ გავჩნდი და სენიორს ანგარიში გავუხსწორე. ადამიანი, რომელსაც შეუძლია ტყვია იქ მოახვედროს, სადაც სურს, გზაში ყველაფერს შეაჩერებს.

გაკვირვებული გალიარდო უსმენდა, თუ როგორ ყვებოდა პლიუმიტასი, პროფესიონალური სიმშვიდით, თავის წარმატებათა ამბავს.

— თქვენი შეჩერება არ მესაქიროებოდა, რადგან მდიდარი არა ხართ. ისეთივე ლატაკი ხართ, როგორც მე. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ უფრო იღბლიანი ხართ. ხოლო თუ ფული გაქვთ, სისხლითაა მოპოვებული. მე ძალიან დიდ პატივს გცემთ, სენიორ ხუნ. მიყვარხართ, რადგან ნამდვილი მატადორი ბრძანდებით. მე ერთი უარყოფითი ხასიათი მაქვს. თაყვანს ვცემ მამაცებს. ჩვენ თითქმის მეგობრები ვართ. ცხოვრებისათვის ორივეს თავი გავგიწირია. აი, სწორედ ამიტომ, თუმც თქვენ არ მიცნობდით, მაგრამ პაპიროსიც არ გამომირთმევია თქვენთვის და საკუთარ თავზე მეტად გიფრთხილდებოდით, რათა რომელიმე უსინდესო გაიძევა გზაზე არ დაგხვედროდათ ჩემი სახელით, რაც არა ერთხელ მომხდარა ხოლმე...

ქალის გამოჩენაზე ბანდიტმა უცბად საუბარი შეწყვიტა. მატადორის სახე სიბრაზით აენთო. ეშმაკმა შეაჩვენოს... დონია სოლი! ნუთუ ნასიონალმა არ გააფრთხილა? ბანდერილიერო უკან მოყვებოდა და ხელებს შლიდა იმის ნიშნად, ჩემს თხოვნას ყური არ ათხოვო. დონია სოლს სამგზავრო სამოსი ეცვა, ოქროსფერი თმა განზე გადაეყარცხნა. პლიუმიტასი ფერმაში! რა ბედია! მთელი ღაშქე შიშით ტკბილად განაბული მასზე ფიქრობდა და გადაწყვიტა დილით მოეელო უკაცრიელი მინდვრები, იქნებ ბედს გაეღიმა, უცნაურ ყაჩაღს შეხვედროდა და აი, თითქოს მისი აზრები ამოქმედდნენო, აუსრულდა გულის წადილი. ყაჩაღი ფერმაში თვითონ მოვიდა.

პლიუმიტასი! ამ სახელის გაგონებაზე თვალწინ ნამდვილი ყაჩაღი ესახებოდა და ეჩვენებოდა თითქოს გაცნობაც კი არ იყო საჭირო, იმდენად თვალნათლივ ხედავდა მას. დონია სოლის აზრით, იგი იყო შავგვრემანი, მალალი, წარმოსადეგი კაცი, რომელსაც განიერტარფლებიანი ქუდიდან ყორანისფერი კულულები მოუჩანდა,

მოყვანილ ტანზე ქამრად აბრეშუმის ნაჭერი ეკეთა და ყავისფერი ტყავის ფეხსაცმელები ეცვა. ანდალუსიის ველებზე მოხეტიალე რაინდი თითქმის ისეთივე წარმტაცია, როგორც „ქარმენში“ ტენორი, ამას წინათ რომ ნახა. ისეთივე კარგია, როგორც ის ჯარისკაცი, რომელმაც სიყვარულის გამო მუნდირი გაიხადა და კონტრაბანდის-ტი შეიქნა.

აღელვებისაგან დაჭყეტილ თვალებს ქალი სამზარეულოში აქეთ-იქით აცეცებდა, მაგრამ ვერსად შენიშნა რომანტიკული ქული და მუშკეტი. მის წინ იდგა უცნობი, კარაბინით ხელში, რომელიც მეველეს ჰგავდა და რომლის მსგავსი ბევრჯერ უნახავს ნათესაეების მამულში.

— დილა მშვიდობისა, სენიორა მარკიზა... როგორ ბრძანდება სენიორ მარკიზი, თქვენი ბიძა?

ამ კაცს, იქ მყოფნი გაკვირვებულნი გასცქეროდნენ და ქალი ყველაფერს მიხვდა. აჰ! მაშ ეს არის პლიუმიტასი!

სენიორას გამოჩენით შემკრთალმა ბანდიტმა ტლანქი თავაზიანობით ქული მოიხადა და ფეხზე წამოდგა, ცალ ხელში მას კარაბინი ეკავა, ხოლო მეორეში დაფლეთილი ქული.

როცა სტუმარი ქალს მიესალმა, გალიარდომ ყური ცქვიტა. ეს კაცი იცნობდა ყველას. იცნობდა დონია სოლსაც და გადაქარბებული პატივისცემით, მას საგვარეულო ტიტულიც კი მიანიჭა.

გონს მოსულმა დონია სოლმა ანიშნა პლიუმიტასს, დამჯდარიყო და ქული დაეხურა. ბანდიტი დაჯდა, მაგრამ ქული სკამზე დადო. ყაჩაღმა დონია სოლის თვალებში ამოიკითხა, რის გავგებაც სურდა და განაგრძო.

— ნუ გაგიკვირდებათ, სენიორა მარკიზა, რომ გიცნობთ. ხშირად დამინახინხართ მარკიზთან და სხვა სენიორებთან ერთად მოზერების საცქერლად გამგზავრებული. მინახინხართ აგრეთვე გაროჩოთი ხელში ხარს როგორ დასდევდით. სენიორა, თქვენ ამქვეყნად არსებულ ყველა ქალზე უმამაცესი და მშვენიერი ხართ. კაცს უთუოდ შეუყვარდებით, როცა ხავერდის ქულითა და წითელი ქამრით მორთული ცხენზე ზიხართ. მამაკაცები ერთმანეთზე ხანჯლებს ლესავენ თქვენი ცისფერი თვალების გამო.

სამზრეთული მჭევრმეტყველებით გატაცებული პლიუმიტასი სენიორას საქებრად სულ ახალ-ახალ სიტყვებს პოულობდა.

სენიორას ყაჩაღი თანდათან უფრო მიმზიდველ ადამიანად ეჩვენებოდა. ოდნავ გაფითრებულ ქალს შიშით თვალები გაუფართოვდა. იქნებ ფერმაში მისი გულისთვის მოვიდა? იქნებ სურს გაიტაცოს

იგი ტყის თავშესაფარში, როგორც მშვიერი არწივი მიაქანებს ბუდეში ნადავლს?

ტორეროც შეშფოთდა, როცა ყაჩაღი დონია სოლზე გულით ადტაცებას გამოთქვამდა. დასწყევლოს ეშმაკმა! და ისიც მის სახლში... მისსავე თვალწინ ასე თუ გაგრძელდა, მატადორიც გამოიტანს თოფს და ვნახოთ ვინ ვის მოერევა. ბანდიტი თითქოს მიხვდა, რომ მისმა სიტყვებმა აღაშფოთეს გალიარდო და მოწინებით განაგრძო:

— მაპატიეთ, სენიორა მარკიზა. ყოველივე ეს უბრალო ყბედობაა. მე ოთხი ბავშვი მყავს. საცოდავმა მეუღლემ ჩემი გულისთვის უფრო მეტი ცრემლი ღვარა, ვიდრე მწუხარების წმიდა ქალწულმა. ჩემზე ამბობენ, მყუდროებას გვირღვევსო, უბედურია, რომელიც უიღბლობამ მიიყვანა ასეთ ცხოვრებამდეო.

და თითქოს დონია სოლის საამებლად მისი ოჯახის ქებას მოჰყვა; მარკიზ მორაიმა ჩემთვის ყველაზე პატივსაცემი პიროვნებააო.

— ნეტა ყველა მდიდრები ისეთი იყვნენ! მამაჩემი მუშაობდა მასთან და ბევრჯერ უამბნია მისი სიკეთის შესახებ. ერთხელ ავად გაეხდი და მორაიმას ფერმის მწყემსმა ქოხში შემიფარა. მორაიმამ იცოდა, მაგრამ არავისთვის გაუმხელია. ნაბრძანები აქვს ფერმის მსახურებისთვის, ხელი არ მახლონ და არც უარი მითხრან რამეზე... ამგვარი რამის დაეიწყება შეუძლებელია. რამდენი მაწანწალა დადის ამქვეყნად ჩემსავით! რამდენჯერმე შევხვედრივარ მორაიმას, რომელიც წლოვანების მიუხედავად ცხენს ახალგაზრდულად მიაკენებდა. მივსალმებოვარ „ღმერთმა ხელი მოგიმართოს, სენიორა მარკიზ“; „სალამი, ყმაწვილო!“ — უპასუხია. სახეზე ვერ მცნობს, ისე კი, აბა, საიდან გაიგებს, რომ მე ვარ. ამ ჩემს შეგობარს კი, — და ბანდიტმა კარაბინი აჩვენა, — ლაბადის ქვეშ ვინახავ. ხანდახან მინდოდა გამეჩერებინა, იმიტომ კი არა, რომ ხელი ჩამომერთმია, არა, როგორ შეიძლება მაგისთანა კეთილშობილმა სენიორმა მკვლელს ხელი გაუწოდოს. მსურდა მეკოცნა, მუხლმოდრეკით მადლობა მეთქვა, როგორც მამისთვის, ყველაფრის გამო, რაც მან ჩემთვის გააკეთა.

აღლევებული ბანდიტის გულახდილობას არავითარი გავლენა არ მოუხდენია დონია სოლზე. მაშ, ეს არის ცნობილი პლიუმიტასი! საცოდავი კაცი, მინდვრის კურდღელი, რომელიც შეცდომით რომ ყველას მგელი ჰგონია.

— არიან ბოროტი მემამულენი; — განაგრძობდა პლიუმიტასი, — რას არ იტანენ მათგან ლატაკები. ჩემი ადგილსამყოფელის მახლობლად არის ერთი ამგვარი იუდა, რომელიც ფულს სარგებლით ამ-

ლევს. გაფრთხილება მივეცი, ხალხს ნუ სტანჯავ-მეთქი. იმ თაღლითმა კი, იმის მაგიერად, რომ დაეჯერებინა ჩემთვის, პოლიციას შეატყობინა. სამაგიეროდ დაეუწვი ბელელი და იძულებული შეიქნა ნახევარი წელი სოფლად გაეტარებინა, რათა გზაში უეცრად პლიუმიტასს არ წაწყდომოდა. მეორე მისთანამ დედაბრის აყრა მოინდომა. თურმე იმ მოხუცმა ვერ გადაიხადა ქოხის საფასური, რომელშიც მის ბაბუის ბაბუებს უცხოვრიათ. სენიორს მაშინ მივადექი, ოჯახთან ერთად რომ სადილობდა და ვუთხარი: „იცი, რა, ბატონო ჩემო, მე პლიუმიტასი ვარ და ასი ღურო მჭირდება-მეთქი“. მებატონემ მომცა ფული და მე კი დედაბერს წავეღე“. „აჰა, ბებია, გადაუხადე იმ სისხლისმსმელს, დანარჩენი კი კეთილად მოიხმარე-მეთქი“.

დაინტერესებულმა დონია სოლმა ბანდიტს გადახედა.

— მკვდრებზე კი რას იტყვით? — შეეკითხა ქალი, — რაძდენი კაცი გყავთ მოკლული?

— მაგ თემაზე ნუ მალაპარაკებთ, სენიორა მარკიზა. — მკაცრად წარმოთქვა ბანდიტმა. — რომ გაიგოთ, შეგზიზღდებით. მე ხომ ერთი უიღბლო, გატანჯული კაცი ვარ. ჩემზე ნადირობენ და მეც თავს ვიცავ, რაც შემძლია.

დიდი ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

— თქვენ არ იცით როგორ ვცხოვრობ, სენიორა მარკიზა, — განაგრძობდა პლიუმიტასი, — ტყის ნადირი ჩემზე ბედნიერია. სადაც დამიღამდება, იქ ვიძინებ, ხან კი სულაც არ ძძინავს. გამჭრიახი თვალი უნდა გქონდეს და მამაცი უნდა იყო, რომ არ გაგკენ. მართალია, ლატაკი ხალხი კეთილია, მაგრამ სიღარიბე ისეთი რამაა, წესიერ კაცსაც შეაცდენს. ჩემი რომ ძალიან არ ეშინოდეთ, აქაძდი პოლიციას გადამცემდნენ. ერთადერთი ჩემი საიმედო მეგობრები არიან: თოფი და ცხენი. ხანდახან მომენატრება ცოლ-შვილი, ჩუმიად შევიპაოები ჩემს სოფელში და მეზობლები, რომლებიც პატივსა მცემენ, თვალს მარიდებენ... მაგრამ ოდესმე ცუდად დამთავრდება ეს ამბავი... ხშირად მარტოობისგან ვიღლები და მსურს ადამიანებს გავესაუბრო. დიდი ხანია მინდოდა რინკონალში ჩამოსვლა. „გავიფიქრე, რატომ არ უნდა ვიცნობდე სენიორ ხუან გალიარდოს, მე ხომ პატივსა ვცემ და არაერთხელ დამიკრავს მისთვის ტაში. წინათ ვერ მოვედი, რადგან ხან მეგობრები იყვნენ ხუანთან, ხან ცოლ-შვილი და პლიუმიტასის გამოჩენაზე შეშინდებოდნენ. ახლა კი, როცა თქვენ სენიორა მარკიზასთან ერთად ჩამოხვედით, გავიფიქრე: „წავალ, გავიცნობ სენიორ ხუანს და ცოტა ხანს მაინც გავესაუბრები-მეთქი“.

ამ სიტყვებზე ბანდიტს ეშმაკურად გაეღიმა, თითქოს ხაზი გაუს-

ვა გალიარდოს ოჯახსა და სენიორას შორის არსებულ განსხვავებას და იმას, რომ გალიარდოს და დონია სოლის ურთიერთობა ბანდიტისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა. მისი გლეხური მცნებით, საპატიო გახლდათ კანონიერი ქორწინება, ხოლო წარჩინებული მოდემის საყვარელთან გალიარდო უფრო თავისუფლად უნდა ყოფილიყო, ვიდრე მისი ოჯახის რომელიმე უბრალო წევრთან.

დონია სოლმა ბანდიტის გადაკრულ სიტყვებს ყურადღებაც არ მიაქცია და კითხვას კითხვაზე აძლევდა. ქალს სურდა გაეგო ამ მღვდმარეობამდე რამ მიიყვანა ბანდიტი.

— უმნიშვნელო რამ, სენიორა მარკიზა, უსამართლობამ. ნათქვამია, ლატაკს ქვა აღმართში დაეწვევო. საქმე იმაში გახლდათ, რომ მე უფრო საზრიანი ვიყავი, ვიდრე ჩემი თანამემამულენი და ყოველთვის მე მირჩევდნენ, როცა მდიდრებთან რაიმე სათხოვარი ჰქონდათ. წერა-კითხვა ვიცი და ბავშვობაში ეკლესიის მსახურიც გახლდით. პლიუმიტასი იმიტომ შემარქვეს, რომ ქათმებს ფრთას ვაძრობდი და იმით ვწერდი.

პოტახემ მხარზე ხელი დაჰკრა ბანდიტს.

— იცი, რა გითხრა, მეგობარო, არ შეეშინდარვარ. როცა დაგინახე, მაშინვე გავიფიქრე, ეკლესიის თავგსა ჰგავს-მეთქი.

ნასიონალს ვერ გაეგებდა თავისი აზრის გამოთქმა, სდუმდა და მხოლოდ ხანდახან იღიმებოდა. ეკლესიის მსახური ყაჩაღი გახდა! საინტერესოა, რას იტყვის ამის შესახებ დონ ხოსელიტო!..

— ცოლი ვითხოვე. ბიჭი შემეძინა. ერთხელ ღამით ჩემთან ორი ჟანდარმი მოვიდა და სოფლის იქით, კალოზე წამიყვანეს. თურმე ვილაცამ ერთ-ერთი მემამულის სახლს თოფი ესროლა. ამ კეთილმა სენიორებმა მითხრეს, შენ იყავიო... მე უარყვავი. მაშინ კონდახებით მცემეს. მე კვლავ უარყოფდი. ისინი ცემას განაგრძობდნენ. ამგვარად, სანამ დაიღლებოდნენ, თოფის კონდახები გათენებამდე მირტყეს და მერე ტრიალ მინდორზე დამაგდეს უგონოდ. ისინი ხელფეხშეკრულს მცემდნენ, თითქოს ფუთა ვყოფილიყავი და თან გაიძახოდნენ. „შენ ხომ ყველაზე მამაცი ხარ ამ სოფელში? აბა თავი დაიცავი, ვნახოთ, რას წარმოადგენ“. დაცინვა — აი, რა იყო ყველაზე დამამცირებელი. საცოდავმა მეუღლემ, რაც შეეძლო, მომიარა. ველარ ვისვენებდი, სიცოცხლე არად მიმაჩნდა, მუდამ ის ცემა და დაცინვა მაგონდებოდა... მოკლედ, ერთ-ერთი ჟანდარმი იმ კალოზე ნახეს მკვდარი და უსიამოვნებისათვის თავი რომ ამერიდებინა, ტყეში წავედი... და იქ დავრჩი კიდევ.

— მარჯვე მკლავი გქონია, ჰაბუკო, — აღტაცებით წარმოთქვა პოტახემ, — მეორე რაღა იქნა?

— არ ვიცი, სადღაც დახეტიალობს. სოფლიდან გაიქცა. გულდმა სხვა სამუშაოზე გადაყვანა ითხოვა. მაგრამ მე ის არ დამვიწყებია და უეპველად გავუსწორებ ანგარიშს. ერთხელ მითხრეს, ესპანეთის დასალიერს არისო. წავედი. მის საოვნელად ქვესკენელშიაც წავიდოდი. კარაბინი და ცხენი ერთგულ მეგობართან დავტოვე და სენიორივით მატარებლით გავემგზავრე. ვიყავი ბარსელონაში, ვალიადოლიდსა და სხვა ქალაქებშიც. დავეხეტებოდი ყაზარმებში და ყველა ჟანდარმს ვათვალისწინებდი, მაგრამ ვერა და ვერ ვნახე. ეტყობა ვინც მითხრა, იქ ვნახეო, შეეშალა. არა უშავს, აი. უკვე რამდენიმე წელია ვეძებ, უეპველად მივაგნებ და თუ უკვე მკვდარია, ძალზე დამწყდება გული!

ღონია სოლი ბანდიტის საუბარს ინტერესით უგდებდა ყურს: ორიგინალური ტიპია, ეს პლიუმიტასი. არა, შევეციდი, სრულიადაც არა ჰგავს კურდღელს!

ბანდიტმა შუბლი შეიკრა და დადუმდა, თითქოს შეეშინდა, ზემეტი ხომ არაფერი წამომცდოდა.

— თქვენი ნებართვით, — მიმართა პლიუმიტასმა მატადორს, — საჯინიბოში წავალ და ცხენს დავხედავ. წამომყვები, მეგობარო? ბედაურს გაჩვენებ.

პოტახეს ბანდიტის თხოვნაზე უარი არ უთქვამს და ორივენი სანზარეულოდან გავიდნენ.

ღონია სოლთან მარტოდ დარჩენილმა გალიარდომ თავისი გულისწყრომა გამოთქვა. რატომ ჩამოვიდა აქ? ამ კაცს რომ დაენახოს, ისიც კი საშიშია. იგი ხომ ბოროტმოქმედია. მისი სახელის ხსენებაზე ხალხი შიშით კანკალებს.

მაგრამ კმაყოფილი ღონია სოლი მასხარად იგდებდა დაფეთებულ გალიარდოს. ქალს ყაჩაღი მოეწონა, კარგი აღამიანი ჩანსო. ხალხის ფანტაზია ძალზე აზვიადებს ამ საცოდავის ბოროტმოქმედებს. ყაჩაღი კი თითქმის მისი ოჯახის მსახური.

— მე სულ სხვაგვარად წარმომედგინა, მაგრამ ასეა თუ ისე, მოხარული ვარ მისი ნახვისა. როცა წასვლას დააპირებს, ფული უნდა მივცეთ. რა ორიგინალური მხარეა! რა შესანიშნავი ტიპებია! რა საინტერესო იყო ჟანდარმზე ნადირობა მთელს ესპანეთში! ამაზე მშვენიერი მოთხრობა დაიწერება.

მსახურებმა მოელვარე ბუხრიდან ორი ტაფა გადმოიღეს, რომელსაც მადის აღმძვრელი შემწვარი ძეხვის სუნი ასდიოდა.

— საუბრემ მზად გახლავთ, კაბალიერო! — დაიძახა ნასიონალმა, რომელიც მაესტროს ფერმაში მოურავის მოვალეობას ასრულებდა. სამზარეულოს შუაში სუფრაგადაფარებული მაგიდა იდგა, რო-

მელზედაც მრგვალი პურები და უამრავი ბოთლი ეწყო. ნასიონალის დაძახილზე სამზარეულოსკენ გაემართნენ: პოტახე, პლიუმიტასი და რამდენიმე ფერმის მსახური — მმართველი, უფროსი მწყემსი და სხვები, რომელთაც ბატონის ნდობა ჰქონდათ მოპოვებული. სანამ ისინი მაგიდასთან ერთმანეთის პირდაპირ სხდებოდნენ, გალიარდო გაუბედავად შეჰყურებდა დონია სოლს. უკეთესია ქალმა ზემო ოთახში ისაუზმოს. მაგრამ დონია სოლი სიცილით დაჯდა მაგიდის თავში. მას მოსწონდა სოფლური ცხოვრება, და სადილობა ამ ხალხთან ალბათ ძალზე საინტერესო იქნებოდა. იგი ხომ ჯარისკაცადაა დაბადებული. დონია სოლმა ზუსტად მამაკაცური ყესით მატადორს მაგიდასთან ადგილი მიუთითა. ქალის ნესტოები ძეხვის მადისაღმძვრელი სუნისაგან თრთოდა. შესანიშნავი საუზმეა. ო, როგორ შია!

— აი ეს მესმის, — დამრიგებლური ტონით წარმოთქვა პლიუმიტასმა, როცა მაგიდას გადახედა. — ბატონები და მსახურები ერთად ჰამენ, როგორც ძველად იყო. ამგვარ რამეს პირველად ვხედავ. პლიუმიტასი პიკადორის გვერდით დაჯდა და კარაბინი მუხლებს შორის დაიდო.

— იქით გაიწი, ჰაბუკო, — მხარი წაჰკრა ყაჩაღმა პოტახეს.

პიკადორმა, შეგობრულად, ასეთივე ბიძგით უპასუხა. ორივე მიძგილობდნენ, ხმამაღლა ხარხარებდნენ და თავიანთი ტლანქი მასხრობით მაგიდაზე მსხდომთ ამხიარულებდნენ.

— წყეული! — წამოიყვირა პიკადორმა. — რად ჩაგიდევს ეს სისაძაგლე მუხლებს შორის? პირდაპირ ჩემკენ მოგიშვერია. ფრთხილად, უბედურება არ დატრიალდეს.

მართლაც კარაბინის ლულა პირდაპირ პიკადორისკენ იყო მიმართული.

— მოაშორე ეგ ეშმაკის კერძი! — უინიანობდა პოტახე. — ნუთუ სადილობის დროსაც ასე გკირდება?

— დაე, იყოს. შიში ნუ გაქვს. — მოკლედ მოუქრა ყაჩაღმა და წარბი შეკრა, თითქოს არ სურდა ამ საკითხზე ლაპარაკი.

ყაჩაღმა კოვზი აიღო, პურის დიდი ნაჭერი მოტეხა და სოფლის ზნეჩვეულების მიხედვით დანარჩენებს გადახედა, რათა დარწმუნებულიყო, იყო თუ არა ჰამის დრო.

— თქვენი დღეგრძელობისა იყოს, სენიორებო!

პლიუმიტასი ეძგერა მაგიდის შუაგულში მდგარ მისთვის და ორ ტორეროსთვის განკუთვნილ კერძს. მეორე ამდაგვარსავე კერძს, რომელიც ფერმის სხვა მსახურებს ეკუთვნოდათ, ოხშივარი ასლიოდა.

ყაჩაღმა სწრაფად შეხვრიბა რამდენიმე კოვზი საკმელი, მერე თითქოს შერცხვა თავისი სიხარბისო, განაცხადა:

— გუშინდელს აქეთია რძისა და პურის ქერქის გარდა, რომელიც მწყემსებმა გამინაწილეს, არაფერი მიქამია. გთხოვთ, მიირთვათ!

ყაჩაღმა ჭამა განაგრძო, მონდომებით ამოძრავებდა ყბებს და პოტახეს მასხრობას, რომელიც მის გაუმადლობას დასცინოდა, მხოლოდ თვალის პაჭუნით პასუხობდა.

პიკადორმა სტუმარს სთხოვა ღვინო შეესვა. თვითონ არ სვამდა, რადგან მაესტრომ აუკრძალა და დამწუხრებული გასცქეროდა სავსე ბოთლებს.

— დალიე! პლიუმიტას, მშრალი კოვზი ხახას ვნებს. ერთი ყლუპი გადაჰკარი.

სანამ ბანდიტი პატივობდა, პიკადორმა თვითონ გადაყლურწა. პლიუმიტასი ყოყმანობდა; იშვიათად იღებდა სასმისს. ღვინოს საერთოდ ერიდებდა და გადაეჩვია კიდეც. ღია ცისქვეშ მუდამ ვერ იშოვი, ამასთან, ღვინო ნამდვილი მტერია იმ ადამიანისა, რომელიც მუდამ ფხიზლად უნდა იყოს და გონება უქრიდეს.

— აქ ხომ შეგობრებს შორის ხარ, — ეჩინებოდა პიკადორი, — გაიგე, პლიუმიტას, სევილიაში შენ თვით მაკარენის ღვთიშობელი გმფარველობს. ხელს ვერაფერს გახლებს... ეანდარმები თუ გამოჩნდნენ, გვერდით ამოგიდგები, ხელში გაროჩოს ავიღებ და იმ მაწანწალებს სულ კუდით ჭვას ვასროლინებ. კარგია ხომ ტყეში ცხოვრება!.. მე მუდამ მიტაცებდა ტყე!

— პოტახე! — გაისმა მაგიდის ბოლოს მჯდარი გალიარდოს გამაფრთხილებელი ხმა. მაესტროს მისი ლაყობისა და ღვინის ბოთლებთან ახლო ყოფნის ეშინოდა.

პლიუმიტასმა ცოტა დალია, სახე წამოეჰარხლა და ცისფერი თვალები მხიარულად აუყუყუნდა. იგი კარის პირდაპირ იჯდა, იქიდან კარგად ხედავდა ფერმის ქიშკარსა და გზის ნაწილს. დროდადრო გზაზე ძროხა, ღორი ან თხა გაივლიდა. საკმაო იყო მათი ჩრდილის გზაზე გამოჩენა, რომ პლიუმიტასი შემკრთალიყო. იგი მზად იყო კოვზი გადაეგდო და იარაღი ჩაებლუჯა.

ყაჩაღი ემუსაიფებოდა იქ მსხდომთ და თან თვალს ადევნებდა ყველაფერს, რაც ირგვლივ ხდებოდა. იგი მუდამ მზად იყო ბრძოლისა და გაქცევისთვის, რათა მოულოდნელი შეპყრობით არ შეებღალათ მისი სახელი. საკმლის შემდეგ, პოტახემ ყაჩაღი აიძულა კიდეც დაეღია უკანასკნელი ჭიქა ღვინო. პლიუმიტასმა წვერზე ხელი ჩამოისვა და მღუმარედ გახედა გზას. იგი მსუყედ დანაყრდა კარგა

ხნის შიმშილის შემდეგ, ისე დამძიმებულიყო, როგორც გასკდომამდე გამძლარი ნამარხულევი მახრჩობელა გველი.

გალიარდომ ჰაევანური სიგარა შესთავაზა.

— გმადლობთ, სენიორ ხუან. არ ვეწევი. მაგრამ წაუვლებ ამ-ხანავს, რომელიც ჩემსავით ტყეში დაძრწის. იმ საცოდავისთვის თუთუნის საკმელზე ძვირფასია. ჰაბუქს უბედურება შეემთხვა და ახლა მენხარება, როცა სამუშაო ორ კაცს მოითხოვს.

სიგარა ხალათში შეინახა. მეგობრის გახსენებაზე, რომელიც ამ-ჟამად ალბათ სადღაც შორს დაბორიალებს, ყაჩაღის სახეზე რაღაც ველურმა მხიარულებამ გაიღვია. ღვინომ აამოძრავა პლიუმიტასი. სახე შეეცვალა. თვალები წამოენთო და დამცინავმა ღიმილმა თითქოს მის სახეს კეთილი გამომეტყველება ჩამოაშორა. ეტყობოდა, სურდა, სტუმართმოყვარე მასპინძლებისათვის მადლობის გადახდა და მის მიერ ჩადენილ საქმეთა გამო გულთადი მასპინძლების გაოცება.

— არაფერი გაგიგიათ იმის შესახებ, რაც მე ჩავიღინე გასულ თვეს ფრეხენალის გზაზე? ნუთუ მართლა არაფერი იცით? ეს ამბავი ასე მოხდა: მეგობართან ერთად გზაზე გამოვედი, რათა დილი-ქანსი გამეჩერებინა და ანგარიში გამესწორობინა ერთ-ერთ მდიდარ სენიორთან, რომელიც კარგად მიცნობდა. ის სენიორი იმ ადამიანთა რიგს ეკუთვნოდა, ყველგან რომ ცხვირს ყოფენ და რაც სურთ, იმას აკეთებინებენ ალკალდებს, ცნობილ სენიორებსა და პოლიციასაც კი. მაგისტანებს გაზეთები კასიკებს უწოდებენ. ერთხელ წერილი გავუგზავნე და ასი დურო ვთხოვე ძალზე საჭირო საქმისათვის. მან კი სვეილიის გუბერნატორთან დამაბეზდა. ატება ერთი განგაში მადრიდში და ჩემი განდევნა მოითხოვა. მისი გულისთვის შეტაკება მომიხდა ჟანდარმებთან და ფეხშიც კი დამჭრეს. არც ეს იქმარა, ბრძანა: დაეპატიმრებინათ ჩემი ცოლი, თითქოს იცოდა იმ საცოდავმა, სად იმყოფებოდა მისი ქმარი... ის იუდა პლიუმიტასის შიშით ადგილ-მამულს არ შორდებოდა... მეც მივიმალე, სამოგზაუროდ წავედი. მაშინ იგი დამშვიდდა და სვეილიაში გაემართა, რათა მთავრობასთან კვლავ ეჩივლა ჩემზე. ამგვარად, ველოდებოდით საფოსტო ეტლს, რომელიც სვეილიიდან უნდა დაბრუნებულიყო. ვხედავ, მოდის. გზაზე რამის შეჩერება თუა საჭირო, ჩემს მეგობარზე უკეთ მაგას ვერავეინ შესძლებს. მეგობარი შეეტლეს ეუბნება: სდექ! მე კი კარაბინი კარში შევყავი. ქალებმა კივილი ატეხეს, ატირდნენ ბავშვები. მამაკაცები თუმც სლუმდნენ, მაგრამ სანთელივით გაფითრებულიყვნენ. „თქვენგან არაფერი მინდა. დაწყნარდით, სენიორებო, ღმერთმა გზა დაგილოცოთ! ეგ გაბერილი კაცი კი ჩამოვიდეს“. გა-

ფითრებული, ქალის კაბას ამოფარებული იუდა იძულებული გახდა გამოსულიყო. ეტლი წავიდა და ჩვენ მარტონი დავრჩით. „ახლა ყური მიგდე, მე პლიუმიტასი ვარ და დალი უნდა დაგასვა-მეთქი“. მართლაც ავასრულე. სათქმელად არ ღირს, ისეთ ადგილას დავშანთე, რომ ერთ კვირას ეცოცხლა და ეთქვა ქანდაკებისთვის, პლიუმიტასმა მომკლაო, რათა ეს საქმე სხვისთვის არ დაებრალეზინათ.

მკვდარივით გაფითრებული დონია სოლი ყურს უგდებდა, შიშით ტუჩებს იკვნეტდა, მაგრამ თვალთა უცნაური ელვარება ამქლავებდა მის საიდუმლო აზრებს.

ამ სისხლმსმელის მოგონებებით უქმყოფილო გალიარდო მოიღუშა.

— თითოეულმა თავისი საქმე იცის, სენიორ ხუან. — წარმოთქვა პლიუმიტასმა, როგორც კი გალიარდოს უქმყოფილება იგრძნო. — ჩვენ ორთავე მკვლევლობით ვცხოვრობთ. თქვენ ხარებს ხოცავთ, მე კი ადამიანებს. მხოლოდ თქვენ მდიდარი ხართ, სახელოვანი, გყავთ ლამაზი ქალები, მე კი ხანდახან შიმშილით კუჭი მიხმება, და ბოლოს და ბოლოს, დაცხრილული გზაზე დავეცემი და ყვავები დაპკორტნიან ჩემს სხეულს. არ ეტრაბახობ ამით, რომ ჩემი საქმე კარგად მესმის, სენიორ ხუან! უბრალოდ, თქვენ იცით, სად დაარტყათ ხარს, რომ ქვიშაზე სასიკვდილოდ დაეცეს. მე კი ვიცი, სად უნდა ჩავცე ქრისტიანს, რომ მაშინვე სული განუტევეს, ან იცოცხლოს რამდენიმე დღე, და მოიგონოს პლიუმიტასი, რომელსაც სადავო არავისთან აქვს, მაგრამ თავს დაიცავს, თუკი ვინმე შებღალავს მის სახელს.

დონია სოლს კვლავ მოუნდა გაეგო რამდენი ბოროტმოქმედება ჩაუდენია პლიუმიტასს.

— თქვენგან მკვდარი ბევრია? რამდენი კაცი გყავთ მოკლული?

— ბოროტი ადამიანი გეგონებით, სენიორა მარკიზა, მაგრამ რადგან მაიძულებთ!.. ვფიქრობ, რაც არ უნდა მოვინდომო, ყველას ვერ გავიხსენებ, ასე, ოცდაათი, ოცდათხუთმეტი. ზუსტად ვერ გეტყვით. განა დაითვლის ადამიანი, ღმერთმა შეაჩვენოს ეს ცხოვრება! მაგრამ გახსოვდეთ, სენიორა მარკიზა, მე ერთი უბედური, დაჩაგრული ადამიანი ვარ. ყველაფერი იმათი ბრალია, ვინც ჩემდამი ბოროტება გამოიჩინა. მკვდრები ალუბლებს ჰგვანან. მოსწყვეტ ერთს და კიდევ ბევრი რჩება... უნდა ვხოცო, რომ სიცოცხლე შევიწარჩუნო. თუ შევიცოდე, თვითონ შემკვამენ.

რამდენიმე ხანს ღუმილი ჩამოწვა. დონია სოლი თვალს არ აშორებდა ბანდიტის ფართო, მოკლეთითებიან, ფრჩხილმოკვნიტილ თითებს. პლიუმიტასი არ უყურებდა „სენიორა მარკიზას“, მისი ყუ-

რადღება მიპყრობილი იყო გალიარდოსადმი. მას სურდა მადლობა გადაეხადა სუფრასთან მიპატიუებისათვის და გაეფანტა ტორეროსათვის მონაყოლით შექმნილი ცუდი შთაბეჭდილებანი.

— მე პატივსა გცემთ, სენიორ ხუან! — განაგრძო მან. — როცა პირველად ასპარეზზე გნახეთ, იმწამსვე ვთქვი, აი მამაცი ჭაბუკი-მეთქი. თქვენ ბევრი თაყვანისმცემელი გყავთ, მაგრამ ჩემსავით მაინც არავის უყვარხართ, თქვენი ნახვის გამო ხშირად შემიცვლია გარეგნობა. ხოლო ქალაქში ყოფნისას ხომ მუდამ ხიფათს მოველოდი. აბა რას იტყვით, ვარ თუ არა ჭეშმარიტი თაყვანისმცემელი?

თვითკმაყოფილმა გალიარდომ გაიღიმა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ამასთან არავის შეუძლია თქვას, რომ რინკონადში ლუკმაპურისთვის მოესულიყავი. ხშირად დავდიოდი ახლომანლო მშიერი, ჯიბედაცარიელებული და დღემდე არ გადმომიდგამს ფერმის ზღურბლს აქეთ ფეხი. მუდამ ვფიქრობდი „სენიორ ხუანი ჩემთვის წმინდანია. ფულს შოულობს სიკვდილის ფასად, ისევე, როგორც მე. საჭიროა თანაგრძნობა-მეთქი“; თუმც პატივსაცემი პიროვნება ბრძანდებით, სენიორ ხუან, მე კი უბედური ლატაკი, მაგრამ ვერ უარყოფთ, რომ ორივენი თანასწორუფლებიანი ვართ. ორივენი სიკვდილს ვეთამაშებით. ამჟამად ჩვენ მშვიდად ვზივართ მაგიდასთან, ერთ მშვენიერ დღეს კი ღმერთი დაილლება ჩვენი ცქერით და მოწყალეების თვალს აღარ მოგვაპყრობს. მაშინ მე მომკლავენ და ცოფიანი ძაღლივით სადმე გადამაგდებენ. თქვენ კი მთელი თქვენი სიმდიდრისადაც ფეხებგაფშეკილს გამოგიტანენ ასპარეზიდან. თუმცა გაზეთები ერთი თვის განმავლობაში თქვენს გარდაცვალებაზე მწუხარებას გამოთქვამენ, მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ მადლობას მხოლოდ საიქიოდან შემოუთვლით.

— მართალია... მართალია... — წამოიძახა უეცრად გაფითრებულიმა გალიარდომ.

მატადორის სახეზე ისევე, როგორც საფრთხის მოახლოებისას, ცრუმორწმუნეობრივი შიში გამოიხატა. მისი ბედი არაფრით არ განსხვავდებოდა ამ პირქუში მაწანწალას ბედისგან, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა დაცემულიყო უთანასწორო ბრძოლაში.

— მაგრამ არ იფიქროთ, რომ სიკვდილისა მეშინოდეს, — განაგრძობდა პლიუმიტასი, — მე არაფერს ვნანობ, ვადგივარ ჩემს გზას. მეც მაქვს საამაყო და სასიხარულო, ისევე, როგორც თქვენ. როცა კითხულობთ, რომ გალიარდომ ესა და ეს კორიდა შესანიშნავად ჩაატარა და ხარის ყური დაიმსახურაო, ამაყობთ. გიხარიათ. მეც ვამაყობ იმით, რომ მთელი ესპანეთი ლაპარაკობს პლიუმიტას-

ზე და ქორებს ყურს თუ დაუფლებთ, ერთ-ერთ თეატრში თურმე ჩემი განსახიერება სურთ, ხოლო მადრიდის იმ სასახლეში, სადაც დეპუტატები იკრიბებიან, თითქმის ყოველ კვირას ჩემზე მსჯელობენ. და კიდევ ვამაყობ იმით, რომ მთელი არმია ფეხდაფეხ დამდევს და ვაცურებ ათასობით შეიარაღებულ უქნარას, რომელსაც სახელმწიფო ქირას ამაოდ უხდის. ერთხელ კვირას, სადილობის ეამს, ერთ-ერთ სოფელში შევედი და ცხენი ბრმა მეფანდურეების წინ გავაჩერე. ხალხი პირდაღებული მიჩერებოდა სურათს, რომელიც მომღერლებს ეჭირათ ხელში. სურათში გამოსახული იყო არაჩვეულებრივად ჩაცმული ბაკენბარდებიანი ყმაწვილი ფეტრის შლიაპაში. იგი იჯდა მკვირცხლ ცხენზე, ხელში მუშკეტი ეჭირა და უნაგირზე ემხიანო გოგო მოესვა. მალე შევატყვე, რომ ის ლამაზი ჯაბუკი თურმე მე ვყოფილვარ. ეს სასიხარულოა. თუმც მე ადამივით მშინერი და დაფხრეწილი დაეწანწალებ, მაგრამ კარგია, რომ ხალხს სხვანაირი ეგონივარ. მე ვიყიდე მათგან ქაღალდზე დაწერილი სასიმღერო ტექსტი. მასში აღწერილია პლიუმიტასის ცხოვრება. ტყუილები, რასაკვირველია, ბევრია, სამაგიეროდ, სულ ლექსადაა დაწერილი. შესანიშნავი ლექსია! როცა ტყეში ვისვენებ, მუდამ კვითხულობ. დაზეპირება მინდა. ალბათ ძალზე განათლებულმა სენიორმა შეთხზა.

მრისხანე პლიუმიტასი თავის დიდებაზე ბავშვური სიამაყით ლაპარაკობდა. სადღაც გაქრა მისი მღუმარება და მისწრაფება თავი მოეჩვენებინა უბედურ, საწყალ მაწანწალად. იგი თანდათან უფრო ამაყობდა იმ აზრის გაელვებაზე, რომ სახელოვანია და მისნი საქმენი ქვეყანაზე ჰქუხს.

— ვის ეცოდინებოდა ჩემი ამბავი, — განაგრძობდა ის, — აღინდებურად რომ ჩემს სოფელში მეცხოვრა? ხშირად მიფიქრია ამაზე. ჩვენ, ლატაკებს, არა გვაქვს სხვა გამოსავალი. ან სხვის სამსახურში უნდა გავფუიკოთ ფეხი, ანდა დავადგეთ ერთ-ერთ გზას, რომელსაც დიდებისკენ და სიმდიდრისკენ მივყავართ. ეს გზა არის მკვლელობის გზა. ხარების მოსაკლავად არ ვარგვივარ. ჩემი სოფელი მთებშია და მებრძოლი ხარები იქ არაა. ამასთან, მე ტლანქი და მოუხეშავი ვარ... ამიტომ ხალხს ვხოცავ... ეს ყველაზე კარგი საშუალებაა ლატაკისათვის, თუ მას სურს ცხოვრებაში გზა გაიკაფოს და პატივი სცენ.

ნასიონალი, რომელიც აქამდე ყაჩაღის საუბარს მშვიდად უსმენდა, ლაპარაკში ჩაერია.

— განათლება აი, რა არის მთავარი ლატაკისათვის. საჭიროა წერა-კითხვის ცოდნა.

ნასიონალის სიტყვამ მეგობრული სიცილი გამოიწვია, რადგან ყველამ იცოდა მისი მანიის ამბავი.

— ეს კიდე თავისას არ იშლის, — წარმოთქვა პოტახემ. — ჯობს გაჩუმდე, დაე, პლიუმიტასმა განაგრძოს. საქმიანად უბნობს.

ბანდერილიეროს განცხადებამ ბანდიტში ზიზლი გამოიწვია. რადგან იცოდა, რომ ბანდერილიერო ფრთხილად იქცეოდა არენაზე და სიცოცხლეს უფრთხილდებოდა.

— მე ვიცი წერა-კითხვა, მერედა, რაში გამომადგა? სოფელში სხვებისგან მხოლოდ ცოდნით გამოვიჩივლოდი, თუმცა ჩემი ხვედრი ბევრად უფრო მძიმე იყო. ლატაკისთვის სამართალია მთავარი. დაე, მისცენ, რაც ეკუთვნის და თუ არ მისცემენ, თვითონ მოიპოვებს. მამაცი მგელი უნდა იყო და ეშინოდეთ, შენი, მაშინ სხვა მგლები პატივსა გცემენ, ხოლო ბატკნები მადლობასაც მოგახსენებენ, თუკი შესანსლავ. მაგრამ თუ დაგინახეს, რომ დაძაბუნდი, ცხვრებიც თავზე დაგაფსამენ.

მთვრალი პოტახე ალტაცებით ისმენდა პლიუმიტასის ყოველ სიტყვას. თუმცა აზრს სავსებით ვერ სწვდებოდა, მაგრამ ეგონა, რომ ამ მთვრალი ბურუსის მიღმა სიბრძნის შუქი ანათებდა.

— სწორია, ამხანაგო. ჯერით მისცხე ყველას. ასე, განაგრძე. მომწონს შენი ნაუბარი.

— მე ვიცი თუ. რას წარმოადგენს ადამიანის მოდგმა. — განაგრძობდა ყაჩალი. — ქვეყანა ორ ნაწილადაა გაყოფილი. ერთნი პარსავენ, მეორენი იპარსებიან. მე არ მსურს გამპარსონ. მე დაბადებული ვარ სხვების გასაპარსად, რადგან ნამდვილი მამაკაცი ვარ და არცა ვისი მეშინია. თქვენც, სენიორ ხუან, ამავე მდგომარეობაში იყავით და თავი დააღწიეთ გაპარსვას... ახლა კი თქვენი გზა უკეთესია, ვიდრე ჩემი.

რამდენიმე წუთს ყაჩალი დაყინებით გასცქეროდა მატალორს და მერე მგზნებარე დამაჯერებლობით წარმოთქვა:

— ძალზე გვიან გავჩნდით ამქვეყნად, სენიორ ხუან! ყოველგვარ მიზანს მიაღწევდა ძველ დროში ჩვენისთანა მამაცი და პატიოსანი ადამიანები! თქვენ აღარ დახოცავდით ხარებს, არც მე ვიხეტილებდი ტყეში ნადირივით. ჩვენ ორთავე მეფეები ან რაიმე საპატიო პირნი ვიქნებოდით ზღვის გაღმა სახელმწიფოებში. სენიორ ხუან, გაგიგიათ სენიორ პისაროს* შესახებ რაიმე?

ხუანმა გაურკვეველი ხელის მოძრაობით გასცა პასუხი, ამით

* პისარო ფრანსისკო (დაახლ. 1471 — 1541) ესპანელი კონკისტადორი, ინკის სახელმწიფოს ერთი დამპყრობთავანი სამხრეთ ამერიკაში.

სურდა დაეფარა თავისი უვიცობა. პირველად ესმოდა ეს უცნაური სახელი.

— სენიორა მარკიზამ ჩემზე უკეთ იცის, ვინ არის იგი და იმედია მაპატიებს, თუ რაიმე სისულელეს წამოვროშავ. მე ვიცოდი ეს ისტორია, როცა ეკლესიის მსახური ვიყავი. მაშინ ვკითხულობდი ძველ რომანებს, რომლებიც ბლომად გააჩნდა სამღვდლოებას. ასე და ამგვარად, პისარო ჩვენსავით ლატაკი იყო. მან თორმეტ თავზე ხელაღებულ ძმაკაცთან ერთად ოკეანე გადაცურა და მოხდა იმ სამოთხესავით სამეფოში, რომელსაც პოტოსი ერქვა. მათ იქ მრავალი ბრძოლა გადაიხადეს ამერიკის მცხოვრებლებთან, რომლებიც მხოლოდ მშვილდ-ისრებით იყვნენ შეიარაღებულნი და თმაში ბაბთები ეკეთათ. ბოლოს, მათ დაამარცხეს ამერიკელები და მათ განძეულობას დაეპატრონენ: აავსეს სახლები ოქროს ფულით. ზოგი მათგანი გენერალი, მარკიზი და ზოგიც მოსამართლე გახდა. მაგისტანა ვაჟკაცები ბევრნი იყვნენ. წარმოგიდგენიათ, სენიორ ხუან, როგორ ვიცხოვრებდით მაშინ!? მე და თქვენ უფრო ბევრ საქმეს ჩავიდენდით, ვიდრე ის პისარო!

მოჯამაგირენი მღუმარედ, მაგრამ აღლეგებისგან გაბრწყინებული თვალებით უსმენდნენ ამ ამბავს და დასტურის ნიშნად თავს აქნევდნენ.

— დამიჯერეთ. ძალზე გვიან დავიბადეთ, სენიორ ხუან. ამჟამად ლატაკისათვის ყველა გზა დახშულია. ესპანელმა არ იცის, რა გზას დაადგეს, გასაქცევი არსაით აქვს. ყველაფერი, რაც ხელუხლებელი დარჩა, ინგლისელებმა და სხვა უცხოელებმა დაიპყრეს. კარი დახშულია და ჩვენ, მამაცი ხალხი, უნდა გამოვლპეთ გომურში და თუ ბედს არ დავემორჩილეთ, შეუტაცხოფასაც მოგვაყენებენ. მე, რომელიც შესაძლოა ამერიკაში ან სხვა ქვეყანაში მეფე ვყოფილიყავი, აქ ლამის ქურდად მომნათლონ. თქვენ მამაცი ბრძანდებით, ზოცავთ ხარებს და სიამოვნებას განიცდით მოხვეჭილი დიდებით, მაგრამ მე ვიცი, რომ ბევრ სენიორს ტორეროს სამუშაო მდაბიო საქმედ მიაჩნია.

ღონია სოლი საუბარში ჩაერია, რათა ყაჩაღისათვის კეთილი რჩევა მიეცა. რად არ გსურთ ჯარისკაცი გახდეთ? მაშინ შორეულ ქვეყნებში წახვიდოდით, სადაც ომია და თქვენს ძალას კეთილშობილ საქმეს მოახმარდით.

— დიახ, ჯარისკაცად გამოვდგებოდი, სენიორა მარკიზა. არა ერთხელ მიფიქრია სამხედრო სამსახურზე. როცა მალულად ფერმაში, ან სახლში ვათევ ღამეს და ლოგინში ქრისტიანით ვწვეები და ცხელ საქმელს ამგვარ მაგიდაზე ვკამ, სხეული ხარობს, მაგრამ

მალე ისევ ყველაფერი მშებრდება და კვლავ ტყე მიზიდავს. მომენატრება ნაბადში გახვევა, თავქვეშ ქვა და შიშველ მიწაზე ძილი... დიახ, ჯარისკაცად გამოვდგებოდი. კარგი ჯარისკაცი ვიქნებოდი, მაგრამ აბა, სად წავიდე? ნამდვილი ბრძოლები დამთავრდა... ამჟამად ჯარი — ადამიანთა ჯოგია. ერთნაირი სახისა და ფერისა. ყველანი ცხოვრობენ და იხოცებიან ბრძანებით. ყველგან ერთი და იგივეა. ერთი მეორეს პარსავს. თქვენ სიმამაცეს პოლკოვნიკს მიაწერენ და თუ ლომივით იბრძოლებთ, დააჯილდოვებენ გენერალს. არა, მე ძალზე გვიან დავიბადე, რომ ჯარისკაცი გავხდე.

პლიუმიტასმა თვალეზი დახარა და დაიწყო ფიქრი იმ ბოროტ ბედზე, რომელმაც მისთვის ქვეყნად არაფერი გაიმეტა.

უეცრად მან ხელი მოჰკიდა კარაბინს და წამოდგა.

— წავალ... გმადლობთ მასპინძლობისათვის. ჩემი სალამი გადაეცით სენიორ მარკიზს.

— სად უნდა წახვიდე? — ცდილობდა ყაჩაღის დაკავებას პოტახე. — იჯექი, შე საცოდავო. სად ნახავ უკეთეს ადგილს?

პოტახეს არ ემეტებოდა ყაჩაღი გასაშვებად, მოსწონდა მისი საუბარი და ამასთან, ბევრ საინტერესო რასმეს მოჰყვება ქალაქში ამ შეხვედრის შესახებ!

— უკვე სამი საათია აქ ვარ. დროა წავიდე. მე არასოდეს არ ვრჩები დიდხანს ასეთ გაშლილ ადგილზე, როგორც რინკონადია. ამასთან, ამ ხნის განმავლობაში შესაძლოა ჟანდარმებმა გაიგეს, რომ აქა ვარ.

— ჟანდარმების გეშინია? ისინი არ მოვლენ. და თუ მოვლენ, მხარში ამოგიდგები.

პლიუმიტასმა ზიზლით აიჩეჩა მხრები. ჟანდარმები?! ისეთივე ადამიანებია, როგორც სხვები. არიან მათ შორის მამაცებიც, მაგრამ ყველას ოჯახი აქვს და თვალს არიდებენ ყაჩაღს. ისინი მუდამ აგვიანებენ, მაშინაც კი, როცა იციან, სად ვარ. ხანდახან პირისპირ შევეფეთებით ხოლმე და მაშინ არა აქვთ თავის არიდების საშუალება.

— ამ ერთი თვის წინ ვზივარ ფერმაში „ხუთ ნაღარაში“ და ვსაუბრობ, როგორც აქ, მაგრამ არა ასეთ შესანიშნავ კამპანიაში. უეცრად შემოვიდა ხუთი ფეხოსანი ჟანდარმი. დარწმუნებული ვარ, მათ არ იცოდნენ, რომ იქ ვიყავი, უბრალოდ, არყის დასალევად შემოვიდნენ. ეს შემთხვევითობაა... აქ კი შეუძლებელი იყო ჩხუბის თავიდან აცილება; უპირავი ხალხი იყო ფერმაში, დაიწყებდნენ ქორაობას ჩვენი სიმხდალის შესახებ და ხალხის პატივისცემას დაეკარგავდი. ფერმერმა კარი ჩაკეტა. ჟანდარმები კი აბრაახუნებდნენ

და გაჰყვიროდნენ, გააღეთო. მე ვუბრძანე ფერმერს და ერთ-ერთ მოჯამაგირეს, კარის კუთხეებში დამდგარიყვნენ: როცა ვბრძანებ: დროა! — მთლიანად გააღეთ-შეთქი. მოვახტი ფამატს, რევოლვერი მოვიმარჯვე და დაეიყვირე — დროა! კარი ფართოდ გაიღო და მე ეშმაკივით ჩავიქროლე. თქვენ ჯერ არ იცით, რა შეუძლია ჩემს ცხენს. ჟანდარმებმა რამდენჯერმე მესროლეს, მაგრამ უშედეგოდ. მე ცხენს მივაქროლებდი და თან ვისროდი. გადმომცეს, თითქოს ორი ჟანდარმი დაიქრაო. მოკლედ: მიზანში რომ არ ამოვედეთ, ცხენს კისერში შემოვეხვიე და სამშვიდობოს გავედი. გაბრაზებულ-ებმა ფერმაში მყოფნი ჯოხით სცემეს. ამიტომ ჯობს ჩემს აქ ყოფნაზე არაფერი თქვათ, სენიორ ხუან, თორემ მოვლენ ის სამკუთხედ ქუდიანები და გაგაწვალებენ კითხვებითა და გამოკვლევებით, თითქოს ყოველივე ამით ჩემს დაქერას შესძლებენ.

მოჯამაგირეებმა მღუმარედ დაადასტურეს მისი სიტყვები. მათ იცოდნენ, რომ ყაჩაღის აქ ყოფნის შესახებ არაფერი უნდა დასცდნოდნათ, თორემ უბედურება დატრიალდებოდა. ასე იქცევიან ყველა ფერმაში და მეცხვარის ქოხებში. საერთო ღუმელი ყაჩაღის ყველაზე საუკეთესო ხელსშემწყობი საშუალება იყო. ამასთან ყველა გლეხი მისი ალტაცებული თაყვანისმცემელი გახლდათ. ისინი ყაჩაღში შურისმაძიებელ გმირს ხელავდნენ. მისი მხოლოდ მდიდრებს ეშინოდნათ.

— ჟანდარმების შიში არა მაქვს... — განაგრძობდა თული კაცი. — მხოლოდ ღარიბების მეშინია. ისინი კარგი ადამიანები არიან, მაგრამ შიმშილი წაახდენს ადამიანს. ვიცი, ჟანდარმები არ მომკლავენ, მათი ტყვია ვერას დამაკლებს და თუ მომკლა ვინმემ ისევე რომელიმე ლატაკი იქნება. მათთან უშიშრად მივდივარ, რადგან ერთი მინდვრის კენკრა ვართ და ეს საშუალებას მისცემთ გამოიყენონ ჩემი გაუფრთხილებლობა. მე მყვანან ბტრები, რომლებმაც ფიცი დასდეს, რომ სამაგიეროს გადამიხდიან. არიან უსინდისო ადამიანებიც, რომლებიც რამდენიმე პიესეტის გულისთვის მბებზლებენ, და არის კიდევ გადაგვარებული ხალხი, რომელნიც აკეთებენ იმას, რასაც უბრძანებენ. ჩემი რომ ეშინოდეთ, საჭიროა მედგრად ვიყო. ღალატისთვის თუ ვინმეს დაასახიჩრებ, ოჯახის რომელიმე წევრი ეცდება სამაგიერო გადაგიხადოს. თუ სიკეთეს გამოიჩენ, მხოლოდ შარვალს ჩახდი და გარეულ ქინჭარს ამოსცხებ, ეს ხუმრობა სიცოცხლეში არ დააეიწყდება... დიახ, სწორედ ჩემსავეთ ლატაკისა მეშინია.

პლიუმიტასი დადუმდა. შემდეგ მატადორს შეხედა და განაგრძო.

— და ბოლოს, არიან თაყვანისმცემლები, მოსწავლეები, ახალ-

გაზრდები, ჩემს გზას რომ ადგანან. სენიორ ხუან, გულზე ხელი დაიდე და ისე მითხარი, ვისი უფრო გეშინია: ხარისა თუ იმ ხალხისა, რომელნიც შიმშილის გულისთვის ცდილობენ წინ გაუსწრონ დამსახურებულ მაესტროს? ასე ხდება ჩემთანაც. ხომ გითხარით, ჩვენ ერთი ყალიბის ადამიანები ვართ-მეთქი! ყოველ სოფელში არის მამაცი ახალგაზრდა, რომელიც ძილშიაც ოცნებობს ჩემი მემკვიდრე გახდეს და იმედი აქვს, სადმე ხის ქვეშ მძინარეს მნახავს და თიხის ქოთანით თავს გამოიპობს: რადგან დიდებას მოიხვეჭს ის, ვინც პლიუმიტასს მოჰკლავს!

ყაჩაღი პოტახეს თანხლებით საჯინიბოსკენ გაემართა. ნახევარი საათის შემდეგ მან თავისი განუყრელი თანამგზავრი ძალოვანი ცხენი გამოიყვანა. აქ რინკონადაში რამდენიმე საათით კვების შემდეგ ცხენი უფრო გლუვი და ძლიერი ჩანდა.

პლიუმიტასმა ცხენს გავაზე ხელი დაჰკრა და ლაბადა უნაგირზე გადაჰკიდა. ცხენი ალბათ კმაყოფილია. ასე კარგად ხშირად როდი ეპყრობიან, როგორც სენიორ ხუან გალიარდოს საჯინიბოში. საქმელი მთელი დღე ეყოფა. წინ შორი გზა აქვს.

— სად მიდიხარ, მეგობარო? — ჰკითხა პოტახემ.

! — მაგას არ ეკითხებიან... ყველგან! თვითონაც არ ვიცი. სადაც მომიხდება!

ყაჩაღმა ფეხი გაჰყო დაუანგულ, გამხმარი ტალახით მოსვრილ უზანგში და ცხენს მოახტა.

გალიარდო მოსცილდა დონია სოლს, რომელსაც მღელვარებისაგან ფერმკრთალი ტუჩები დაეკვნიტა და საიდუმლოებით მოცული გამომეტყველებით ყაჩაღის სამზადისს გასცქეროდა.

ტორერომ ხელი ქურთუკის შიდა ჯიბეში ჩაიყო, ფული ჩაბლუჯა და ყაჩაღს გაუწოდა.

— რა არის? — ჰკითხა ბანდიტმა, — ფული? გმადლობთ, სენიორ ხუან. თქვენ ალბათ გითხრეს, როცა წასვლას დააპირებ, რაიმე უნდა მისცეო. მაგრამ ეს მხოლოდ მდიდრებს ეხება, რომელნიც ფულს მუქთად შოულობენ. თქვენ კი სიცოცხლეს სწირავთ. ჩვენ მეგობრები ვართ. ფული თქვენთვის დაიტოვეთ, სენიორ ხუან.

ყაჩაღის უარით ოდნავ დარცხვენილმა ხუანმა ფული შეინახა.

— ჯობს ოდესმე, თუ ცირკში შევხვდით, ჩემს სახელზე ხარი მოჰკლათ, — განაგრძო პლიუმიტასმა, — ყოველგვარ ოქროს ეგ შირჩევნია.

დონია სოლი მიუახლოვდა ყაჩაღს, მკერდიდან გაზაფხულის ვარდი მოიძრო, მხედარს მღუმარედ გაუწოდა და თან ლურჯკომწვანო თვალებით შეჰყურებდა.

— ეს მე? — კეთხა ბანდიტმა გაკვირვებით და თითქმის შიშით. — მე, სენიორა მარკიზა?

როცა დაინახა, რომ სენიორამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, ბანდიტმა უხეში ხელებით ისე აიღო ყვავილი, თითქოს აუტანელი სიმძიმის ტვირთიაო, და არ იცოდა სად წაეღო. ბოლოს გაუყარა ყელზე მოხვეული წითელი ყელსაბამის მარყუქუმი.

— აი ეს მესმის! — წამოიძახა ყაჩაღმა და ფართოდ გაიღიმა. — ასეთი შემთხვევა ცხოვრებაში არ მქონია.

მკაცრი ცხენოსანი აღელვებულყო ამ წმიდა ქალური საჩუქრით.

მას — ვარდები!

ყაჩაღმა აღვირი მოქაჩა.

— მშვიდობით, კაბალიერო! მომავალ შეხვედრამდე... ნახვამდის, მეგობარო.

ბანდიტი გამოემშვიდობა პიკადორს და მთელი ძალით მხარზე ხელი დააკრა. პიკადორმა პასუხად ისე ძლიერად შემოჰკრა ხელი ბარძაყზე, რომ პლიუმიტასი შეტორტმანდა. „შესანიშნავი ბიჭია ეს პლიუმიტასი!“ სიმთვრალისგან გულაჩუყებული პოტახე მზად იყო ყაჩაღს გაჰყოლოდა.

— მშვიდობით! მშვიდობით!

სტუმარმა ცხენი გააჭენა.

როცა უკვე შორს წასულ ყაჩაღს თვალი მოჰკრა, გალიარდომ შევებით ამოისუნთქა და ღონია სოლს შეხედა. უძრავად მდგარი ქალი თვალს არ აცილებდა მხედრის სილუეტს, რომელიც შორიდან მოჩანდა.

— რა ქალია! — სასოწარკვეთილებით ჩაილაპარაკა გალიარდომ. — ნამდვილი გიჟია!

ბედი, რომ პლიუმიტასი უშნოა, დაძონძილი და ჭუჭყიანია, როგორც ნამდვილი მაწანწალა.

თორემ ეს ქალი თან გაჰყვებოდა.

VI

— ვინ დაიჯერებს, სებასტიან! კაცს ცოლი გყავს, ოჯახის პატრონი ხარ და მაჰანკლობას ეწევი! ამას ვერ წარმოვიდგენდი. შე გენდობოდი, როცა შენ და ხუანილიო სამოგზაუროდ მოდიოდით! გულით მიხაროდა, რომ ნამუსიანი კაცი ახლდა გვერდით. სადაა შენი იდეები, რელიგია? აი, თურმე რას გასწავლის კრებებზე, შენი მასწავლებელი, ხოსელიტო!

ღონია ანგუსტიასის ყვირილით დაშინებული და კარმენის მწუ-

ხარებით გაოგნებული ნასიონალი დაბნეულად თავს იმართლებდა, მაგრამ უკანასკნელ სიტყვებზე კი წელში ამაყად გასწორდა.

— სენია ანგუსტიას, გთხოვთ ნუ ეხებით ჩემს იდეებს და თავი დაანებეთ დონ ხოსელიტოს. რა შუაშია? გეფიცებით, რომ რინკონალში ჩემი მატადორის ბრძანებით წავედი. იცით თუ არა, რა არის კვადრილია? ჩვენთან ისევე, როგორც ჯარში, მთავარია დისციპლინა და მორჩილება. მატადორმა ბრძანა? მაშასადამე, უნდა შესრულდეს. ეს იმიტომ, რომ კორიდები ინკვიზიციის დროიდან შემორჩა და არ არის ქვეყნად ამაზე რეაქციული ხელობა.

— აი, შე მასხარავ, შენა — წამოიყვია ქალბატონმა ანგუსტიასმა. — თავი მომაბეზრა შენმა ახსნა-განმარტებებმა ინკვიზიციასა და რეაქციაზე! თქვენ მოილაპარაკეთ, რომ საცოდავ კარმენს ბოლო მოუღოთ, არა? საცოდავი ჩემი რძალი დღე და ღამე ტირის. ერთი ლუკმაპურისთვის მზადა ხარ ხუანილიოს ბნელ საქმეებს ხელი დააფარო.

— სრული ჭეშმარიტებაა, სენია ანგუსტიას, ხუანილიო მე მკვებავს, და რადგან იგი პურს მაჭმევს, უნდა დაუფუჯრო კიდევ. აბა ერთი წუთით თავი ჩემს ადგილას წარმოიდგინეთ! მატადორი მეუბნება: წავიდეთ რინკონალში. კარგი-მეთქი, მივუგე. მივდივარ დანიშნულ დროს, და ვხედავ, მანქანაში წარჩინებული მანდილოსანი ზის. რა უნდა მექნა? მატადორმა ბრძანა... ჰოდა, ბოლოს და ბოლოს, მარტო მე ხომ არ ვყოფილვარ? ჩვენთან ერთად მგზავრობდა პოტახე, ეს ხანშიშესული, ღირსეული, თუმც პირუტყვივით ტლანქი ადამიანი. მას ხომ გალიმებულს ვერასდროს ნახავთ.

ტორეროს დედა ძალზე აღშფოთდა.

— პოტახე! ხუანილიო რომ წესიერი ადამიანი ყოფილიყო, მგავს კვადრილიაში მიიღებდა? გირჩევნია არაფერი თქვა იმ ლოთზე, რომელიც ცოლს სცემს და ბავშვებს შიმშილით კლავს.

— კეთილი. პოტახეზე კრინტსაც აღარ დავძრავ. ჰოდა, დავინახე ეს წარჩინებული მანდილოსანი, და რა უნდა მექნა? ასეა თუ ისე, ვინმე ქუჩის ქალი ხომ არ არის, მარკიზის დისშვილი და მაესტროს თაყვანისმცემელია. თქვენც კარგად იცით, როგორ ექცევა მაესტრო ცნობილ ხალხს. ჩვენ კი მაყურებელზე ვართ დამოკიდებული. ჰოდა რა არის ამაში ცუდი? ფერმაში ისეთი არაფერი მომხდარა, ბავშვებს გეფიცებით, არაფერი. რაიმე ცუდი რომ შემენიშნა, მატადორსაც არ მოვერიდებოდი. მე დარბაისელი კაცი ვარ, სენია ანგუსტიას და ცოდვად ჩაგეთვლებათ, ასეთი საძაგელი სახელი რომ მიწოდეთ, ჩემმა მზემ! მე ხომ კომიტეტის წევრი ვარ. არჩევნების დღეს ჩემთან მოდიან რჩევისათვის. დეპუტატები ხელს მართმევენ, აი, ამ

ხელს და განა მაგისტანა სიბინძურეში გავერეოდი? გეუბნებით, არაფერი მომხდარა-მეთქი, ისინი ერთმანეთს თქვენობით ესაუბრებოდნენ, ისევე, როგორც ჩვენ და ცალ-ცალკე ეძინათ. სხვა თვალით ერთხელაც არ შეუხედავთ ერთმანეთისთვის, ერთი უკადრისი სიტყვაც არ წამოსცდენიათ. მხოლოდ და მხოლოდ სტუმართმოყვარეობას ჰქონდა ადგილი. თუ არ გჯერათ, პოტახეს უხმეთ და ის დაადასტურებს...

აქვითინებულმა კარმენმა ნასიონალს ლაპარაკი შეაწყვეტინა.

— და ისიც ჩემს სახლში! — დაიკვნესა აღმფოთებულმა ქალმა. — ჩვენს ფერმაში!.. ჩემს საწოლზე იწვა! მე ყველაფერი ვიცოდი და ხმას არ ვიღებდი, ხმას! მაგრამ ეს უკვე აუტანელია. ღმერთო ჩემო! მთელ სევილიაში არ მოიძებნება ადამიანი, რომელიც მსგავს რაიმეს ჩაიდენდა!..

ნასიონალი ქალის დაწყნარებას ლამობდა.—არ ღირს ამაზე ავლენი ლეღვა. აბა რა არის განსაკუთრებული! მაესტროს თაყვანისმცემელ ქალს მოესურვა ენახა, როგორ ცხოვრობდა ხუანი სოფლად. ამ წარჩინებულ მანდილოსნებს უცხოელებივით ახირებული ხასიათი აქვთ. კარმენს რომ ფრანგი ქალები ენახა, როცა კვადრილია ნიშში ან არღეში გამოდიოდა, მაშინ ყველაფერში დარწმუნდებოდა.

— ერთი სიტყვით, სისულელეა, წმიდა წყლის სისულელე, ჩემმა მზემ! ნეტა ვიცოდე რომელმა არამზადამ მოგიტანათ ეს ჭორები! თუ მსახურია, ხუანილიო რომ ვიყო, უმუშევრად დავტოვებდი, ხოლო თუ უცხოა, სამართალში მივცემდი, რომ ის ჭორიკანა და არამზადა ციხეში ჩაემწყვდიათ.

კარმენი ყურს არ უგდებდა განრისხებულ ნასიონალს და კვლავ ტიროდა. ხოლო ანგუსტიასი, რომელიც სახელურიან სკამზე იჯდა და ნაკეცებად მოუჩანდა სქელი სხეული, წარბები შეეკრა, უღვაშ-შემოსილი ტუჩები მოემუწა.

— გაჩუმდი, სებასტიან, გეყოფა ამდენი ტყუილის რომვა. — წარმოთქვა მან ბოლოს, — მე ყველაფერი ვიცი. ეს გამგზავრება მამულში უღირსი საქციელია, არა მარტო წესიერ ადამიანისათვის, ბოშებისათვისაც კი. ამბობენ, თითქოს ბანდიტი პლიუმიტასიც ყოფილა თქვენთან.

ნასიონალი მოულოდნელობისა და შიშისაგან ფეხზე წამოხტა. მას თვალწინ წარმოუდგა პატიოს მარმარილოს ფილებზე როგორ შემოიჭრა ქუდდაფლეთილი საეკვო მხედარი და მსწრაფლ დაუმიზნა კარაბინი ამ მხდალ მოლაყბეს. შემდეგ მის თვალწინ აელვარდნენ სამკუთხედები. უამრავი სამკუთხედები რომლიდანაც მოჩანდნენ შავულვაშა მკაცრი სახეები. ამას მოყვა დაკითხვა, ოქმები და ბრწყინვალე ტანსაცმელში გამოწყობილი ტორეროს ხელმძღვანე-

ლობით მთელი კვადრილის ციხისკენ მგზავრობა... არა და არა. ყველაფერი უნდა უარყოს!

— სისულელეა, მტკნარი სისულელეა. აბა ვინ მოჩმახა პლიუმიტასის ამბავი! მსგავსი არაფერი მომხდარა. განა დასაჯერია, რომ აღამიანს, რომელიც თავის უბანში არჩევნების დროს ასზე მეტ ხმას ღებულობს, პლიუმიტასის მეგობრობა დასწამონ?

ანგუსტიასმა დაუჯერა ნასიონალს დაჟინებულ მტკიცებას პლიუმიტასის იქ არყოფნის შესახებ, მაგრამ დანარჩენი ამბების სიმართლეში კი ეჭვი ეპარებოდა. კეთილი, ღმერთმა ხელი მოუმართოს პლიუმიტასს. მაგრამ დანარჩენი!.. ფერმაში იმ ქალთან ერთად მგზავრობა! დედაშვილური სიყვარულით დაბრმავებული ანგუსტიასი ყველაფერს შვილის მეგობრებს აბრალებდა და სებასტიანს უსაყვედურებდა.

— ნახე, თუ არ ვუთხრა შენს ცოლს, რა ჩიტიც ბრძანდები! საცოდავი დღე და ღამე ოჯახში დაფუსფუსებს, და შენ კი ლაწირაკით უკადრის საქმეებს სჩადიხარ. შენს ასაკს მაინც ეცი პატივი!

ბანდერილიერომ გაქცევით თავს უშველა. გააფთრებულ ანგუსტიასს ჩხუბის დროს ისეთივე კვიმატი ენა ჰქონდა, როგორც მაშინ, ახალგაზრდა რომ იყო და თამბაქოს ქარხანაში მუშაობდა. საცოდავმა დაიფიცა, რომ ესპადას სახლში აწ ფეხსაც აღარ დაადგამდა.

მაესტროს ის ქუჩაში შეეფეთა. უგუნებოდ იყო, მაგრამ ნასიონალს თავი უდარდელად და მხიარულად მოაჩვენა, თითქოს ოჯახის უკმაყოფილება არაფრად მიაჩნიაო.

— ცუდადაა საქმე, ხუანილიო! ამის შემდეგ ძალადაც ვერ შემათრევ შენს სახლში. დედაშენი ტყუილუბრალოდ ილანძღებოდა. შენი მეუღლე კი ტიროდა და ისეთი თვალებით მიყურებდა, თითქოს ყველაფერში მე ვყოფილიყავი დამნაშავე. ძალიან გთხოვ, მომავალში კეთილშობილობა გამოიჩინო და არც გაიხსენო, რომ ვარსებობ. დაე, სხვა თანამგზავრი მონახე, თუ კვლავ იმ ქალთან ერთად დააპირებ გასეირნებას.

გალიარდომ კმაყოფილებით გაიღიმა. არა უშავს! ყველაფერი მოგვარდება! ამაზე უარესი საქმეებიდანაც დაუძვრენია თავი.

— შენ, ნასიონალ, ხშირად უნდა მოხვიდე ჩემთან. რაც უფრო მეტი ხალხია შინ, მით უკეთესია ჩემთვის.

— მე? — წამოიყვირა ბანდერილიერომ. — არავითარ შემთხვევაში!

ესპადა მიხვდა რომ ძალდატანება ამაო იქნებოდა.

იგი სულ უფრო ხშირად მიდიოდა სახლიდან, რათა შორს ყოფილიყო ამ კრიჭაშეკრული და ნამტირალევი ქალებისგან და ცდილობდა შინ მარტო არ დაბრუნებულყო.

სხვათა შორის, სიქემ დიდი დახმარება აღმოუჩინა გალიარდოს ამ საქმეში. ტორერომ ასლა შენიშნა მისი ღირსებანი, მართლაცდა ცოლისძმა სადი აზროვნების მამაკაცი გახლდათ და გაცოლებით უკეთესი ხვედრის ღირსი იყო. მან თავს იდგა ქალებისა და აგრეთვე მატადორის მეუღლის დაშომშინება. იგი გაკაპასებულ ქალებს მართო მაშინ სტოვებდა, როცა ლაპარაკით ქანცს გამოაცლიდა ხოლქე.

— აბა, ისეთი რა მოხდა? — ამბობდა იგი. — არაფერი. გაიგეთ ბოლოს და ბოლოს, რომ ხუანილიო თვალსაჩინო პიროვნებაა და ამიტომ გველენიან პირებთან უხდება ყოფნა. მე რე რა, რომ ის ქალი ფერმაში წაყვა? ხუანისთვის აუცილებელია დაპატიყოს ისეთი ხალხი, რომელსაც მაღალ საზოგადოებასთან აქვს კავშირი. ხუანილიო მათთან ათასგვარ საქმეებს აგვარებს და ნათესაობასაც ეხმარება. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ყველაფერი მოკორილია. მასთან ხომ ნასიონალი იყო. მე კარგად ვიცნობ მას. ის ხომ ღირსეული დარბაისელი კაცია.

და მეუნაგირემ სიცოცხლეში პირველად შეაქო ნასიონალი, იგი მთელი დღე დაყილობდა გალიარდოს სახლში და გაუთავებელი ყბედობით ამშვიდებდა ქალებს, შავბნელ აზრებს უფანტავდა მათ. ტორერომაც სამაგიერო მიუზღო სიძეს! რადგან მისი საქმეები ცუდად მიდიოდა, მიატოვა დუქანი იმ იმედით, რომ ცოლისძმა სამსახურში მოაწყობდა. ამ ხნის განმავლობაში მის ოჯახს გალიარდო ინახავდა. ბოლოს სთხოვა კიდევ დასა და სიძეს, საცხოვრებლად მათთან გადმოსულიყვნენ. საცოდავი კარმენი მარტოხელა არ იქნება და აღარ მოიწყენსო.

ერთხელ ნასიონალმა კარმენისგან წერილი მიიღო, რომელშიც სთხოვდა მისულიყო მათთან. ბარათი მეუღლემ გადასცა.

— დღეს დილით შემხვდა, წმიდა პილიის ტაძრიდან რომ ბრუნდებოდა. საცოდავს თვალები დასიებია ტირილით. წადი, ინახულე. მართლაც რომ სასჯელია ლამაზი ქმრის ყოლა!

კარმენი გალიარდოს კაბინეტში ელოდებოდა ნასიონალს. აქ მათ მშვიდად შეეძლოთ საუბარი, რადგან იქ ვერ შემოვიდოდა ვერც კაპასი ანგუსტიასი, ვერც სიძე თავისი ცოლით, რომლებმაც ისარგებლეს ოჯახში მომხდარი უსიამოვნებით და დედამუდიანად დასახლდნენ მასთან. თავს ისე გრძნობდნენ, როგორც საკუთარ სახლში. გალიარდო სიერბესის ქუჩაზე, კლუბში წასულიყო. გაურბოდა შინ ყოფნას, ცოლთან შეხვედრისა ეშინოდა და მეგობრებთან ერთად რესტორან ერიტანიაში სადილობდა.

ხასიონალი სავარაუდო იჯდა, თავი ჩაეჭინდრა, ხელში ქუდს კმუჭნიდა და ცდილობდა კარმენისთვის არ შეეხვდა. „რას დამსგავ-

სებია! ანთებისაგან თვალები ჩაშვევბია, ცხვირსახოცით წმენდისგან ფუნთუშა ლოყები და ცხვირი გასწითლებია“.

— სებასტიან, გთხოვთ სიმართლე მითხრათ. თქვენ ხომ კეთილი ადამიანი ბრძანდებით და ხუანის საუკეთესო მეგობარი. გთხოვთ დაივიწყოთ, ამას წინათ დედამ რომ გაწყენინათ. თქვენ ხომ კარგად იცნობთ მას. კეთილია, მაგრამ ძალზე ფიცხია. გულთან ახლოს ნუ მიიტანთ მის სიტყვებს.

ბანდერილიერო პასუხად თავს აქნევდა მხოლოდ და უცდიდა, თუ რის გაგება სურდა კარმენს?

— მიამბეთ ყველაფერი, რაც მოხდა რინკონალში. რა ნახეთ და რას ფიქრობთ ყოველივე ამაზე?

კარგი, კეთილი ნასიონალი!. რა კეთილშობილური აღშფოთებით ასწია მან თავი, როგორ უხაროდა, რომ შეეძლო ენუგეშებინა საბრალო ქალი!... რა ნახა მან? ნამდვილად, ცუდი არაფერი.

— მაშის ხსოვნას გეფიცებით... ვფიცავ ჩემს იდეებს!

ნასიონალმა უყოყმანოდ დაიფიცა, რაც კი სწამდა ამქვეყნად, რომ ცუდი არაფერი უნახავს და რადგან არ უნახავს, თავისი ბრძნული შორსმპყვრეტელობით დაასკენიდა, მაშასადამე, ცუდიც არაფერი მომხდარაო.

— ჩემი აზრით, ისინი მხოლოდ მეგობრები არიან. შესაძლოა წინათ იყო რაიმე მათ შორის, მაგრამ მე არაფერი ვიცი. ხალხი ლაყბობს... ჭორაობს. ათასნაირად გადააკეთებენ ხოლმე სიმართლეს. ყურადღებას ნუ მიაქცევთ მათ, სენია კარმენ. მთავარია იცხოვროთ და დრო მხიარულად გაატაროთ.

მაგრამ კარმენი დაკითხვას განაგრძობდა. მაინც რა მოხდა ფერმაში? ფერმა ხომ მისი სახლია: მაშასადამე, ქმარმა არა მარტო უღალატა, არამედ წაბილწა მისი სიწმიდე, მიაყენა პირადი შეურაცხყოფა. აი, რა აშფოთებდა ქალს ყველაზე მეტად.

— სულელი ხომ არ გგონივართ, სებასტიან? მე ხომ ყველაფერს აშკარად ვხედავ. მას შემდეგ, რაც ხუანილიომ იმ ქალთან დაიწყო... მე არ ვიცი, იქ რა მოხდა, მაგრამ მაშინვე ვიგრძენი, რომ ხუანილიოს თავს რაღაც ამბავი იყო. იმ დღეს, როცა იმ ქალის საპატივეცმლოდ ხუანმა ხარი მოკლა და შინ ბრილიანტის ბეჭდით დაბრუნდა, მაშინვე მივხვდი მათ დამოკიდებულებას და იმ ბეჭდის ფეხით გარესა მინდოდა. მერე ყველაფერი გავიგე, ყველაფერი! რამდენია ისეთი ჭორის მოყვარული, სიტყვის მიტანას და სხვის გულისტყენას რომ არაფერი ურჩევნიათ, ან კი ამათ რცხვენიათ რისამე? სახალხოდ ცოლ-ქმარივით ერთად დადიან და ბაზრობაზე ბოშებივით ხეტილობენ. როცა ჩვენ ფერმაში ვცხოვრობდით, რას არ შეუბნებოდნენ მათზე. მერე სანლუკარაშიც ბევრ რამეს მიაშობდნენ.

ნასიონალმა დაინახა, რომ აღღვებული კარმენი საცაა ატირდებოდა და სიტყვა გააწყვეტინა.

— მერე, თქვენ გჯერათ ეგ ქორები, გოგონავ! ნუთუ ვერ გრძნობთ, რომ ყოველივე ეს ცილისწამებაა? მათ შერთ თქვენი ბედნიერება და სურთ სიცოცხლე გაგიმწარონ.

— არა, მე ხუანს ვიცი! თქვენ გგონიათ იგი პირველად მლატობს? წყეული ხელობაა ხართან ბრძოლა, იგი მამაკაცებს ახელებს. ჩვენი შეუღლების მეორე წელსვე ბაზარში ხორციით მოვაქრე ქალთან გააბა არშიყობა. ოო, როგორ გავბრაზდი, როცა გავიგე. მაგრამ ავიტანე, კრინტი არ დამიძრავს და მას დღესაც ასე ჰგონია, თითქოს არაფერი ვიცი. მერე კიდევ რამდენი საყვარელი ჰყავდა! კაფეს მოცეკვავენი, სახაშეში მოსიარულე ქალები და სამეძაოს ბოზებიც კი... ყველას ხომ ვერ ჩამოვთვლი. ვლუმდი, რომ ოჯახი არ დამენგრია. მაგრამ ახლანდელი ყველასგან განსხვავდება. ხუანს გაგიყებით უყვარს ის ქალი. მე ვიცი, რომ ჩემი მეუღლე არავითარ დამცირებას არ თაკილობს, ოღონდ იმ ქალმა არ გაიხსენოს მისი წარმოშობა და გარეთ არ გამოაგდოს... ამჟამად იგი გაემგზავრა. იცით? დიახ, სევილია მოსწყინდა და წავიდა, მე ყველაფერს მეუბნებიან. წავიდა ისე, რომ ხუანს არც გამომშვიდობებია. როცა ხუანი მეორე დღეს იმ ქალთან მივიდა, კარი დაკეტილი დახვდა. ახლა ხუანი ავადმყოფ ცხენივით უხასიათოდ დაბორილობს, დადის მეგობრებთან და სახე მიცვალებულს მიუგავს, ბოლმისაგან ღვინოს მიეძალა და შინ ნაცემივით ბრუნდება. ხუანს ვერ დაუვიწყია ის ქალი. იგი ამაყობდა მაღალი საზოგადოების ქალის სიყვარულით და ახლა, როცა მან მიატოვა, თავს დამცირებულად გრძნობს. ო, როგორ მეზიზღება! ქმრად აღარ მიმაჩნია, ჩვენ აღარაფერი გვაქვს საერთო. ხანდახან ბრაზიანად შევუღრენთ ერთმანეთს უცხოებივით. ზემო სართულში მძინავს მარტო, მას კი პატიოს გვერდით ოთახში. და ვფიცავარ, ჩვენ აღარასოდეს ვიქნებით ერთად. წინათ ყველაფერს ვაპატიებდი ხოლმე რადგან მისი სათავგადასავლო ამბები იმ დაწყევლილი ხელობის აუცილებელ ბოროტებად მიმაჩნდა. ყველა ტორერო მოურიღებლად იქცევა... მაგრამ ახლა მისი შეხედვაც არ მინდა, ისე მეზიზღება.

კარმენის თვალები სიძულვილით ეღვარებდნენ. ქალი დამაჯერებლად ლაპარაკობდა.

— ო, ის ქალი! ნეტავ რით მოაჯადოვა გალიარდო! ველარ ვცნობ პირდაპირ. იგი მხოლოდ მდიდარ საზოგადოებას სცემს თავყანს. ჩვენი უბნის მცხოვრებნი და სევილიის ლატაკნი, რომელნიც ერთ დროს მეგობრობდნენ მას და ხელს უწყობდნენ ყველაფერში, უქმაცოფილონი არიან გალიარდოს უყურადღებობით და ერთ მშვეხიერ

დღეს შეარცხვენენ არენაზე. ფული ჩეჩქივით შემოდის სახლში, უთვალავია. ხუანმა არც იცის, რამდენი აქვს. მე ხომ ყველაფერს ვხედავ. ახალ ამხანაგებს რომ ასიამოვნოს, დიდ თანხაზე თამაშობს ბანქოს, აგებს და ერთი კარიდან შემოსული ფული მეორედან გადის. რა მეთქმის, ფული მისია. ფერმაში საქმეების მოსაგვარებლად დონ ხოსეს ვესესხე ფული. ზეთისხილის ხეებიც, რომელიც წელს შევიძინეთ, ნისიად მაქვს ნაყიდი. თითქმის მთელი თანხა, რომელსაც გალიარდო მიმდინარე სეზონში მიიღებს, ვალში წავა. რაიმე უბედურება რომ შეემთხვეს? სხვებივით რომ ხელობას თავი მიანებოს? ის კი არა, მას ჩემი გარდაქმნაც სურდა თავის ყაიდაზე. როცა დონია სოლისგან, იმ კაბიანი ალქაჯისაგან ბრუნდებოდა ეს ვაუბატონი, ამბობდა: ვითომ მე და დედა ცუდად გამოვიყურებოდით მანტილიებში, რომელსაც მთელი ჩვენი ქალები ატარებენ, ჰოდა მაიძულა ეს მადრიდული შლიაპა დამეხურა, იგი სრულიად არ მიხდება და არღანზე მოცეკვავე მაიმუნს მამსგავსებს. განა ეს ქუდი ჩვენს შესანიშნავ მანტილიას სჯობია! ბოლოს კიდევ, ეს ჯადოქარი მანქანა შეიძინა; როცა იმ მანქანაში ვზივარ, შიშით ვკანკალებ და მისი მყრალი სუნით სუნთქვა მეკვრება. უფლება რომ მისცე, ამ ქათმის ბუმბულიდან შლიაპას დედასაც დაახურავს. ქარაფშუტული პატივმოყვარეობის გამო სურს, რომ დავემგვანოთ იმ ქალს, რომელზედაც დღე და ღამე ოცნებობს. ხალხში ჩვენი გამოჩენა ესირცხვება.

ბანდერილიერო აღშფოთდა. ეგ კი ტყუილია. ხუანს კეთილი გული აქვს. ყველაფერს ოჯახის სასიკეთოდ აკეთებს და სურს სახლი ყოველმხრივ სრულყოფილი გახადოს.

— ასეა თუ ისე, სენია კარმენ, ზოგიერთი რამ უნდა აპატიოთ. ქალებს შურთ თქვენი. ხუმრობა ხომ არ არის. იყო უმამაცესი ტორეროს მეუღლე, ოქროს მთა გედგას, ცხოვრობდნენ ესოდენ ბრწინვალე სახლში და ყველაფერის ბატონ-პატრონი იყო, მაესტრო ხომ არავეითარ ანგარიშს არ გათხოვთ!

კარმენს თვალები ცრემლით აევსო და საჩქაროდ ცხვირსახოცით მოიწმინდა იგი.

— ნეტავ მეწადის ცოლი ვყოფილიყავი! რამდენჯერ მიფიქრია ამაზე. ო, ნეტა მეწადის მოწაფედ დარჩენილიყო ზუანი. რა ბედნიერი ვიქნებოდი, მოვისხამდი ღარიბულ მანტილიას და სადილს წავუღლებდი კიბის ქვეშ, სახელოსნოში, სადაც წინათ მამამისი მუშაობდა. მაშინ აღარავის გაახსენდებოდა ის უსირცხვილოები, ახლა რომ კისერზე ეხვევიან, და გალიარდო მხოლოდ მე დამრჩებოდა. ვიცხოვრებდით ღარიბულად, ხოლო კვირაობით გამოვეწყობოდით და დროს გასატარებლად წავიდოდით სამიკიტნოში... მერედა, რამ-

დენი შიში გამოძვირდა ამ დაწყებული კორიდის გამო? ეს ცხოვრება კი არა, ნამდვილი ჯოჯოხეთია! მართალია, ფული ბევრი გვაქვს, მაგრამ მერწმუნე, სებასტიან, ჩემთვის ეგ ფული არაფერს ნიშნავს. რაც უფრო ბევრია იგი სახლში, მით უფრო ვიტანჯები. აბა რად მინდა შლიაპები და მთელი ეს ფუფუნება? ხალხს ჰგონია, განცხრომით ვცხოვრობ და ჩემს ბედს შენატრიან. მე კი შურით შეეცქერი ღარიბ დედაკაცებს, რომლებსაც შინ ლუკმაპური არ გააჩნიათ, ხოლო სამაგიეროდ, ხელში ბავშვი უკავიათ და როცა გაუქირდებათ, შეხედავენ პაწიას, გაუცინებენ და ყოველგვარი მწუხარება ავიწყდებათ ამქვეყნად. დიახ, ბავშვები, აი, რა არის ბედნიერება! ერთი ბავშვიც რომ გვეყოლოდა, შინ დაბრუნებული სუანი მისი ცქერით ვერ გაძლებოდა. საკუთარი შვილის ცქერით... დისშვილები მაინც სხვაა.

კარმენი ტიროდა და ცხვირსახოციდან ცრემლები აწითლებულ ლოყებზე შეუჩერებლივ ეღვენებოდა. ეს იყო უშვილო ქალის, გამწარებული მეუღლის მწუხარება, რომელიც კარგავს ქმარს, ცდილობს უშვილობით ახსნას მისი გულცივობა. ბავშვი მკიდროდ დააკვირებდა მათ ერთმანეთთან. კარმენი, რომელიც დრომ დაარწმუნა თავის ოცნების განუხორციელებლობაში, შურით შეკუთრებდა ენაჩლუნგ თანამოსაუბრეს, რომელიც ბუნებამ უხედა დააჯილდოვა იმით, რასაც ქალი ასე გატაცებით ნატრობდა.

თავჩაღუნული ბანდერილიერო გამოემშვიდობა კარმენს და ესპადას საძებრად გაემართა. ნასიონალმა „ორმოცდახუთის კლუბთან“ ნახა გალიარდო.

— ხუან, ვინახულე შენი ცოლი. შენი საშინაო საქმეები ვერაა კარგად. უნდა მოელაპარაკო კარმენს და შეუთრგდე მას.

— ეშმაკსაც წაუღივართ ისიც, შენცა და მეც, თქვენთან ერთად. ცხოვრება კი არა, ნამდვილი ჯოჯოხეთია! ღმერთმა ქნას, ამ კვირია სასიკვდილოდ დამქრას ხარმა! ეშმაკმა დასწყევლოს ასეთი ცხოვრება!

გალიარდო გადაკრულში იყო. იგი გაბრაზებული გასლდათ ოჯახის წევრების მტრული მღუმარების გამო, მაგრამ უფრო მეტად წუხდა დონია სოლზე, რომელიც წავიდა ისე, რომ არ გამოემშვიდობებია და უბრალო ბარათიც კი არ დაუტოვებია.

ტორერო ქუჩაში გამოაგდეს — ასე მოსამსახურესაც არ ექცევინან. გალიარდომ არ იცოდა, სად წავიდა დონია სოლი. მარკიზს არ აინტერესებდა დისშვილის მოგზაურობა. თავნება ქალმა ბიძაც არ გააფრთხილა, თუმც ეს უკანასკნელი სრულიად არ ნაღვლობდა: ის კვლავ გამოგზავნის ბარათს რომელიმე „ეგზოტიკური“ ქვეყნიდან, სადაც წუთიერ გრძნობათა მოზღვავებამ გაიტაცაო.

შინ გალიარდო მალავდა თავის სასოწარკვეთილებას. ცოლი დუმდა, თვალს არ უსწორებდა მეუღლეს, შეკითხვებს გაუბოდა, ლაპარაკს ერიდებოდა. ამის გამო ერთხელ ესპადა აყვირდა:

— დაწყველილი ცხოვრებაა! ნეტა იმ კვირას მიურის ხარმა რქაზე წამომავოს და ისე გამტყორცნოს, რომ შინ საკაცით მოშიტანონ!

— ენა დაიმოკლე, შე უბედურო! — წამოიყვირა ქალბატონმა ანგუსტიასმა.

სიძემ ეს მომენტი კარგად გამოიყენა, რომ ესპადას წალაქუცებოდა და საუბარში ჩაერია.

— დედი, მაგის სიტყვებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. ხუანს ვერც ერთი ხარი ვერ დაჯაბნის. ეგ თვითონ დააძრობს მათ რქებს.

კვირას გალიარდო უნდა გამოსულიყო სეზონის უქანასკნელ კორიდაზე. დილა, ჩვეულებისდა წინააღმდეგ, უშიშრად და ყოველგვარი წინათგრძნობის გარეშე გაატარა. ხუანი უდარდელად იცვამდა, სასიამოვნო ნერვულ აღგზნებასა და ძალის მოზღვაებას გრძნობდა. რა სასიამოვნოა იტრიალო ასპარეზის მოყვითალო ქვიშაზე და თავზეხელაღებული სიმამაცით ათასობით მაყურებლის აღტაცება გამოიწვიო! ნამდვილი სიხარული მხოლოდ ხელოვნებაშია, რომელსაც დიდება და უამრავი ფული მოაქვს. ხოლო დახარჩენი — ცოლი და ქალების სიყვარული, ართულებენ ცხოვრებას და ანაღვლიანებენ კაცს. დღეს უთუოდ თავს გამოიჩინეს არენაზე! რაღაც განსაკუთრებული ძალის მოზღვაებას გრძნობს. თითქოს გამოსცვალესო, სრულიად არაფრისა ეშინია. მოუთმენლად ელოდება ასპარეზზე გამოსვლას, ადრე კი ყოველნაირად ცდილობდა საბედისწერო უამის გაქიანურებას. ოჯახის უქმაყოფილებით გაღიზიანებული და საყვარლის მიერ თავმოყვარეობა შელახული გალიარდო გამოსავალს ხარებთან ბრძოლაში ეძებდა.

როცა ეტლი მოვიდა, გალიარდომ ისე გაიარა პატიო, რომ აღელვებული ქალებისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია.

კარმენი არ ჩანდა. ო, ეს ქალები! ისინი მხოლოდ ადამიანის სიცოცხლის გასამწარებლად გაჩენილან. მხოლოდ მამაკაცებთან შეიძლება მხიარულება და ერთეული მეგობრის პოვნა. აი, თუ გნებავთ, მეუნავარე. სარკის წინ მდგომი სიამოვნებით შესცქერის თავის საგარეო ტანსაცმელს, რომელიც ესპადისაგან მიიღო საჩუქრად და თავის ტანზე გადაიკეთა. თუმც იგი სასაცილო და ყბეღია, მაგრამ მთელ ამ ოჯახზე უფრო პატივსაცემია, რადგან ხუანს არასდროს მიატოვებს.

— შენ როყე დე ფლორაზე უკეთესი ხარ, — მხიარულად ეუბნებოდა მატადორი. — ჩაჯექი ჩემს ეტლში, ცირკამდე მიგიყვან.

სიამაყით სახეგაბრწყინებული სიძე დიდი ადამიანის გვერდით დაბრძანდა. ბოლოს და ბოლოს, საშუალება მიეცა, აბრეშუმის მოსახამსა და ოქროსფერ კოსტიუმში გამოწყობილი ტორერების გვერდით გამოქვიმულმა, ხალხის დასანახად სევილიის ქუჩებში გაისეირნოს! ცირკი გაქედილი იყო მაყურებლით. უკანასკნელმა საშემოდგომო კორიდამ არა მარტო ქალაქის, ახლომახლო სოფლების მცხოვრებნიც კი მიიზიდა. მზის მხარეს, ადგილები სოფლელებს დაეკავებინათ.

გალიარდოს ნერვეული აღტკინება პირველსავე წუთებში იგრძნობოდა. იგი მოაჯირიდან მოშორებით იდგა, აღიზიანებდა ხარს და მასთან ბრძოლა წყუროდა. ამ დროს პიკადორები უცდიდნენ როდის შემობრუნდებოდა ხარი და ეძგერებოდა ჯაგლაგა ცხენებს.

მაყურებელი თითქოს წინასწარ ტორეროს საწინააღმდეგოდ იყო განწყობილი... გალიარდოს, როგორც ყოველთვის, ტაშს უკრავდნენ, მაგრამ აღტაცებული შეძახილები მხოლოდ ცირკის ჩრდილოვანი მხრიდან ისმოდა, სადაც შლიაპები თეთრად კიაფობდნენ. მზით განათებულ აღმოსავლეთ მხარეს კი სიცხისაგან ნახევრად შიშველი, კრელი საზოგადოება მღუმარედ იჯდა.

გალიარდო გრძნობდა ხიფათს. პირველსავე წარუმატებლობაზე ცირკში მსხდომთა უმრავლესობა ფეხზე წამოხტებოდა და დაუნდობლად ლანძღავდა იმ ადამიანს, ვინც დიდებით თვითონ შემოსა. პირველი ხარის მოკვლას განსაკუთრებული წარმატება არ მოჰყოლია. გალიარდო ჩვეულებრივი გაბედულობით რქებისკენ გაიქცა. მაგრამ დაშნა ძვალს მოხვდა. ტორეროს თაყვანისმცემლებმა ტაში დაუკრეს. დარტყმა ზუსტი გახლდათ და ტორერო არაფერ შუაში არ იყო, თუ მისი გაბედულება უშედეგოდ დაგვირგვინდა. გალიარდო ხელმეორე დარტყმისთვის მოემზადა, მაგრამ დაშნა კვლავ ძვალს მოხვდა. მულეტზე ყურადღებამახვილებულმა ხარმა სწრაფი მოძრაობით თავი გაითავისუფლა ზურგში მოქანავე დაშნისაგან და გვერდზე ისროლა. მაშინ გალიარდომ გარაბატოს სათადარიგო დაშნა გამოართვა და შემობრუნდა ხარისკენ, რომელსაც ქვიშაში ჩლიქები მჭიდროდ ჩაესო და გასისხლიანებული კისერი ისე დაბლა დაეხარა, რომ დრუნჩით თითქმის მიწას ეხებოდა.

ტორერომ მულეტი ხარს თვალეზზე აათარა და დაშნით მშვიდად გამოიღო ცხოველის კისერში ჩასობილი ბანდერილია. მატადორი ხარის მოსაკლავად ემზადებოდა. ხუანმა დაშნის წვერით მოძებნა რქებს შორის მგრძნობიარე ადგილი, მთელი ძალ-ლონე დაძაბა და მახვილი ჩაასო. მაგრამ ხარი ტკივილისაგან მხოლოდ

შეერთა და კისრის ძლიერი მოძრაობით ფოლადის მახვილი შორს გადატყორცნა.

— ეს ერთი! — გაისმა დამცინავი შედახილები მზისგულზე მჯდომი ხალხისგან.

ეშმაკმა დალახვროს! რად არის ეს ხალხი ასე უსამართლო და მისადმი მტრულად განწყობილი?

გალიარდომ ამჯერად ხარს დაშნა ზუსტად ჩაასო. ხარს ტვინში სასიცოცხლო ნერვი დაუზიანდა და მეხდაცემულივით მიწაზე დაენარცხა. რქები ქვიშაში ჩაესო, ფეხები პაერში გაუშეშდა.

ჩრდილოვანი მხრიდან ტაშის ხმა, ხოლო იაფფასიან ადგილებიდან სტვენა და ლანძღვა მოისმა.

— არისტოკრატების მაჩანჩალავ!

ტორერომ მოწინააღმდეგეებს ზურგი შეაქცია და მულეტისა და დაშნის ქნევით მადლობა გადაუხადა თაყვანისმცემლებს, რომელნიც ტაშს უკრავდნენ. გალიარდო სიბრაზით ხელებს მუშტავდა, რადგან შეურაცხყოფილი იყო მდაბიო ხალხის ლანძღვით, ადრე რომ აღტაცებული ტაშით ეგებებოდნენ მას.

„რა უნდა ჩემგან ამ ხალხს? ხარი ხომ მოკვალი. დალახვროს ეშმაკმა, ეს ალბათ მტრის ხრიკებია“.

კორიდის უმეტესი დრო ხუანმა მოაჯირთან გაატარა. იგი ზიზლით გასცქეროდა მის შემდგომ გამოსულ ამხანაგებს და გულში მის საწინააღმდეგო ინტრიგებში ადანაშაულებდა მათ.

ტორერო იმ ხარსა და მის პატრონს წყევლიდა. მაინც რაღა დღეს, როცა სურდა სიმამაცის სასწაულებით გაეკვირვებია მაყურებელი, შეხედა ასეთი მოუხეშავი ხარი! ყველა მისი გეგმა ჩაიფუშა. გასაწყვეტია ეს მესაქონლენი, ასპარეზზე რომ ასეთ საძაგელ ცხოველებს გზავნიან.

როდესაც კვლავ დადგა ხართან ჭიდილის ჯერი, გალიარდომ ნასიონალს და კაპედორებს უბრძანა, წაეტყუებინათ ხარი მზის მხარეს მდებარე მოაჯირთან, სადაც მდაბიო ხალხი იჯდა.

გალიარდო ბრბოს კარგად იცნობდა. პატივი უნდა სცე იაფფასიან ადგილებზე მსხდომი ხმაურიან და მრისხანე ბრბოს, რომელიც არ ივიწყებს კლასობრივ სიძულვილს, მაგრამ ოდნავი ყურადღება და პირმოთნეობა ისე მოქმედობს მათს თავმოყვარეობაზე, რომ ყვირილიდან მსწრაფლ ტაშზე გადადიან.

კაპედორებმა ლაბადების ქნევით ხარი მზის მხარეს მიაგდეს. იაფფასიან ადგილებზე მსხდომი გაკვირვებული ხალხის მხიარულმა გუგუნმა გააყრუა იქაურობა. ყველაზე საინტერესო მომენტი —

ხარის სიკვდილი, შედგება აქ, მდებრიო ხალხის თვალწინ და არა ჩვე-
ულებრივად, ჩრდილში მსხდომ მდიდართა პატივსაცემად.

მზეში მარტოდ დარჩენილი ხარი ეცა გაოგნებულ ცხენს და
გამოფატრა. მერე მკვდარი ცხოველი ჩვარივით ზეააგლო და მის
დაქუცმაცებულ შიგნეულს ყოველმხრივ ფანტავდა. შემდეგ ხარმა
ლემი მოიქნია, უცბად კვლავ წინ გააჭრა და ხმამალა ფრუტუნით
ცხენს ერთხელ კიდევ ჩასცა მუცელში რქები. ხალხი იცინოდა ხა-
რის უაზრო სიჯიუტეზე, რომელიც კვლავ ფატრავდა ლემს.

— ასე უნდა მაგას! ყოჩაღ! რა ღონიერია! აბა, კიდევ!

მაგრამ მალე საერთო ყურადღებამ ხარიდან ტორეროზე გადაი-
ნაცვლა. ხუანმა მოკლე ნაბიჯით, ტანის რხევით გადასერა არენა.
ცალ ხელში მულეტი ეკავა, მეორეში კი დაშნა, რომელსაც ჯოხი-
ვით აქნევდა.

მადლობის ნიშნად მხურვალე ტაში დასცხო მზის მხარეს მჯდომ-
მა მაყურებელმა.

— ეს ძალიან კარგად მოიგონე! — წასჩურჩულა ტორეროს უკახ
ლაბადით ხელში მდგარმა ნასიონალმა.

ქალი ხელს აქნევდა და უძახდა გალიარდოს. „აქეთ, აქეთ“! ყვე-
ლას სურდა მის თვალწინ მოეკლათ ხარი, რათა ტორეროს არც ერ-
თი მოძრაობა მხედველობიდან არ გამოჩინებოდათ. ესპადა ყოყმა-
ნით შეჰყურებდა ჰაერში ათასობით აღმართულ ხელებს. ხუანმა
ღოჯირს ფეხი მიიბჯინა და ფიქრობდა, თუ რომელ ადგილას ჯობ-
და ხარის მოკვლა. აუცილებელია მკვდარ ცხენს და ირგვლივ მი-
მოფანტულ შიგნეულობას მოაშოროს ხარი. მატადორი შემობრუნ-
და კიდევ ნასიონალისკენ ბრძანების გასაცემად, რომ ზურგს უკან
ნაცნობი ხმა მოისმა. ტორერო მიხვდა, ვინც იძახდა და სწრაფად
შემოტრიალდა.

— გამარჯობათ, სენიო ხუან! აი, ახლა დაგიკრავთ ტაშს, რო-
გორც საჭიროა.

გალიარდომ პირველ რიგში, მეორე ბარიერზე გაქიმულ ბაგირს
იქით, ზღუდესთან, დაინახა ქურთუქზე ნიდაყვდაყრდნობილი ხალა-
თიანი კაცი, ხელები რომ შემოეწყო განიერ ახალგაპარსულ სახეზე,
რომელიც ჩამოფხატულ ქუდს დაეჩრდილა. იგი კორილის სანახავად
ქალაქში ჩამოსულ კეთილშობილ გლეხს ჰგავდა.

გალიარდომ მაშინვე იცნო. მის წინ პლიუმეტასი იყო.

ყაჩაღმა შეასრულა თავისი სიტყვა. არ დაერიდა ხიფათს და გა-
მოჩნდა თორმეტი ათას მაყურებელს შორის, რათა ესპადას მისალ-
მებოდა. გალიარდომ გულში მადლობა უთხრა ყაჩაღს ნდობისათვის.

რა საოცარი თავხედობაა! მოხვიდე ქალაქში, იჯდე ცირკში, და-

შორებული მთებსა და უკაცრიელ ადგილებს, სადაც თავდაცვა გაცილებით ადვილია, უარი თქვა ორ განუყრელ მეგობარზე — ცხენსა და კარაბინზე მხოლოდ იმიტომ, რომ ნახო როგორ კლავს გალიარდო ხარს. მათ, ამ ორ გულად ადამიანს შორის, პლიუმიტასმა სამართლიანად დაიმსახურა პირველობა.

ესპადამ გაიხსენა ყაჩაღის მფარველობის ქვეშ მყოფი მისი ადგილ-მამული, ცხოვრება სოფლად, რომელიც შესაძლებელი იყო მხოლოდ ამ არაჩვეულებრივ ადამიანთან მეგობრულ ურთიერთობაში, და გადაწყვიტა ხარი პლიუმიტასის სახელზე მოეკლა.

ტორერომ გაუღიმა ყაჩაღს, რომელიც ადრინდელივით მშვიდად გასტკეროდა. მერე ქული მოიხადა, ისე, რომ თვალი არ მოუშორებია პლიუმიტასისთვის და მდაბიო ხალხს გასძახა:

— მაშ, ასე — თქვენს პატივსაცემად.

გალიარდომ ქული ხალხისკენ გადაისროლა. ათასობით ხელი აღიმართა, რათა წმიდა საგანს დაჰპატრონებოდა.

ტორეროს ნიშანზე ნასიონალი ლაბადის ქნევით ხარს გალიარდოსკენ მიერეკებოდა. გალიარდომ მულეტი გახსნა. ხარმა ღმუილით ჩაუქროლა წითელ ნაჭერს. ოლე! — დაიდრიალა ბრბომ, რომელიც მზად იყო თავის კერპთან შერიგების ნიშნად აღფრთოვანებული შეხვედროდა მის ყოველ მოძრაობას.

გალიარდო აღფრთოვანებულ ღრიანცელში ხარის გაღიზიანებას განაგრძობდა. ხალხი მისგან ორიოდ ნაბიჯით იყო დაშორებულს და წამდაუწყუმ უყვიროდა.

— გაფრთხილდი, გალიარდო! ეგ ხარი ეშმაკია. ნუ დგებარ ხარსა და მოაჯირს შორის. ყოველ შემთხვევისთვის, უკან დასახეფ ადგილი დაიტოვე.

მდიდრები კი, პირიქით, ყოველმხრივ აღიზიანებდნენ:

— გვაჩვენე შენი ვაჟკაცობა, ზუსტი დარტყმა და, ხარი ჯიბეში აღმოჩნდება. თუმცა ეგ საძაგელი ძალზე დიდია და საეჭვოა, რომ ჯიბეში დაიტოვ!

მკვდარი ცხენის სიახლოვით გაღიზიანებული ხარი ცდილობდა კვლავ ლეშს სცემოდა, რადგან მძორი ცხოველს აბრეყებდა.

ბოლოს, წითელი ნაჭრის დევნით დაღლილი ხარი ერთ ადგილას გაშეშდა. გალიარდოს უკან მწოლარე ცხენი ართულებდა ნდგომარეობას, მაგრამ ტორერო უფრო უარესი მდგომარეობიდანაც გამოსულა გამარჯვებული.

ბრბო მოუწოდებდა გალიარდოს, მომენტი არ დაეკარგა, დიახ, საჭიროა ისარგებლო ცხოველის დაღლილობით. მოაჯირზე გაღმობილებული ხალხი ცდილობდა გადამწყვეტი შეტაკების ერთი მო-

მენტიც არ გამოჩენოდა. გალიარდომ მათში იცნო ცირკის ყოველ-
დღიური მაყურებელი, რომელნიც უკანასკნელ დროს გულგრილო-
ბას იჩენდნენ ტორეროსადმი, მაგრამ დღეს გალიარდოს ყურად-
ღებით მოსყიდულებმა, ბოროტება სიკეთით შესცვალეს.

— მომენტს ხელიდან ნუ გაუშვებ, ჰაბუკო! ეცი. ფიქრის დრო
არ არის. ჩვენ კი გიყურებთ და ვისწავლით.

გალიარდო ოდნავ შემოტრიალდა, მიესალმა პლიუმიტასს, რო-
მელსაც, ადრინდელივით ქურთუკზე დაყრდნობილს, ხელები
მრგვალ, მოლიმარ სახეზე შემოეწყო.

— თქვენს პატივსაცემად, ამხანაგო!

მატადორმა დაშნა ასწია, სასიკვდილო დარტყმისთვის მოემზადა,
მაგრამ იმწამსვე მიწა შეიძრა და მთელი ძალით განზე გასტყორ-
ცნა. თითქოს მთელი ცირკი ჩამოინგრაო, ირგვლივ ყველაფერი დაბ-
ნელდა და თვალწინ საშინელი ღრიანცელით სიკვდილმა ჩაუქროლა.
საშინელმა კრუნჩხვამ დაუარა ტანში. საცაა თავი გაუსკდება ხმაუ-
რისაგან. მომაკვდინებელი კაეშანი გულს უკუმშავდა... გრძნობადა-
კარგული გალიარდო თითქოს ზღაპრულ უფსკრულისაკენ მიექა-
ნებოდა.

სწორედ იმ წუთს, როცა გალიარდო სასიკვდილო დარტყმის-
თვის მოემზადა, ტორეროს უკან დაგდებული ლეშის სუნით გაღი-
ზიანებული ხარი უეცრად ხუანს ეძგერა. ძლიერი დარტყმისგან
ოქროსფერ ფარჩის ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი დაეცა და
ცხოველის ჩლიქებქვეშ გაუჩინარდა. ხარს გალიარდო რქებზე
არ წამოუგია, მაგრამ ტორეროს უჩვეულო ძალით დააჯახა უზარ-
მაზარი შუბლი.

ხარი იმ ჯაგლაგი ცხენის ლეშს გარდა ვერაფერს ხედავდა. მაგ-
რამ მოულოდნელად ფეხებში შემაფერხებელი საგანი წამოედო.
ხარს იმწამსვე დაავიწყდა გაფატრული მძორი და განელებული გა-
აფთრებით ქვიშაზე უსიცოცხლოდ გაშხლართულ ოქროსფრად მო-
ელვარე თოჯინას ეცა, რქებზე წამოაგო, ჰაერში ასტყორცნა, მერე
გვერდზე ისროლა და მოემზადა რათა კვლავ დასძგერებოდა
მსხვერპლს.

ყოველივე ეს განსაცვიფრებელი სისწრაფით მოხდა. სუნთქვა-
შეკრული ხალხი სდუმდა. იგი მოკლავს ტორეროს! შესაძლოა მოკ-
ლა კიდევ! უეცრად სიჩუმე ხალხის შემადრწუნებელმა ყვირილმა
დაარღვია. ვილაცის ძლიერმა ხელებმა მომაკვდავ ტორეროსა და
ხარს შორის ლაბადა ააფრიალა და ცხოველი დააბრმავა. ეს იყო ნა-
სიონალი, რომელიც გააფთრებული მიექრა მხეცს და მზად იყო
რქებზე წამოგებულებო, ოღონდ ესპადა გადაერჩინა. ახალი წინა-

აღმდევობით შემოფოთებულმა ხარმა ზურგი შეაქცია წაქცეულ ტორეროს და ბანდერილიეროს ეძგერა. ის კი უკუსვლით განაგრძობდა ლაბადის ქნევას და არ იცოდა როგორ აეცდინა მოსალოდნელი ხიფათი, თუმცა თავს ბედნიერად თვლიდა, რადგან დაქრილი მატადორი სიკვდილს გადაარჩინა.

უჩვეულო სანახაობით გატაცებულ ხალხს წუთით გადაივიწყდა ესპადა. ყველას ეგონა, რომ ნასიონალი თავს ვერ დააღწევდა ხარის რქებს. მამაკაცები ისე ყვიროდნენ, თითქოს ამით ბანდერილიეროს რასმეს უშველიდნენ. ქალებმა არენას ზურგი შეაქციეს. აღელვებულნი ხელებს მუშტავდნენ. ბოლოს, როცა ხარმა თავი დახარა და მსხვერპლის რქებზე წამოგება მოიწადინა, ბანდერილიერო განზე განტა და სიბრაზით დაბრმავებულმა ცხოველმა ლაბადის ნაფლუთიანად გვერდზე ჩაუქროლა. დამაბული მდგომარეობა გამაყრუებელმა ტაშმა შესცვალა. წუთიერი შთაბეჭდილებით აღელვებული, მოუსვენარი ბრბო ნასიონალის სახელს გაიძახოდა. ეს იყო ნასიონალის ცხოვრებაში ყველაზე საუკეთესო დღე! ტაშისკვრით გატაცებულმა მაყურებელმა თითქმის დაივიწყა მიწაზე გაშხლართული გალიარდო. ცირკის მსახურებმა მიცვალებულივით ხელით გაიტანეს უსიცოცხლოდ თავგადაკიდებული ტორერო.

დღის ბოლოს მთელ ქალაქში მხოლოდ გალიარდოს ჭრილობებზე ლაპარაკობდნენ. ყველაზე მძიმედ მხოლოდ ანლა დაშავდა. ბევრ ქალაქებში გაზეთების დამატებითი ნომრები გამოუშვეს. მთელი ესპანეთის პრესა იუწყებოდა არენაზე დატრიალებულ ამბავს. დეპეშები ყოველი მხრიდან მოდიოდა, თითქოს ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს თავს დაესხნენო.

სიერპესის ქუჩაზე ათასგვარი ფიცხი ფანტაზიით გაბერილი ჭორები დადიოდა. საცოდავი გალიარდო მოკვდა. მთხრობელს თვითონ უნახავს ცირკის ლაზარეთში ქალადივით გათეთრებული. ჯვრით ხელში მწოლიარე გალიარდო. სხვების მონაყოლით, საქმე შედარებით უკეთ იყო. დაზარალებული ჯერ არ მომკვდარა, მაგრამ სიკვდილი ყოველ წუთს მოსალოდნელიაო.

— დაზიანებული აქვს გული და მუცლის ღრუ. დაამახინჯა საცოდავი იმ ხარმა.

ცირკთან ყარაულები დააყენეს, რათა თავიანთი მცემლები, რომლებსაც ტორეროს ჯანმრთელობის გაგება სურდათ, ლაზარეთში არ შეცვნილიყვნენ. ცირკის ირგვლივ თანდათან უამრავი ხალხი შეიკრიბა. ისინი ყველა შიგშესულს და გამოსულს ესპადის ამბავს ეკითხებოდნენ. ნასიონალს ჯერ კიდევ ვერ მოესწრო ტანისამოსის გახდა. დაბღვერილი წამდაუწუმ იხედებოდა კარებიდან და.

ბრაზიანად ვაპყვიროდა. სწრაფად მოამზადეთ ესადა, რომ შინ წავიყვანოთო.

ბანდერილიეროს დანახვაზე ხალხს დაზარალებული ავიწყდებოდა და მადლობას უხდიდნენ იმ დღის გმირს.

— გმირულად მთიქმეით, სენიორ სებასტიან, თქვენ რომ არ ყოფილიყავით...

მაგრამ სებასტიანი მათ ყურსაც არ უგდებდა. განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია, ყველაფერი სისულელეა! აი, საწყალი ხუანის სიცოცხლე კი, ბეწვზე ჰკიდა.

— როგორ არის ხუანი, სებასტიან? — ეკითხებოდა ხალხი.

— ცუდად. მხოლოდ ახლა მოვიდა გონს. ერთი ფეხი დამსხვრეული აქვს. მხარი დაცხრილულია. საცოდავი ნაფლეთებადაა ქცეული. უნდა წავიყვანოთ სახლში.

უკვე ბნელოდა, როცა ხუანი საკაცით გამოიყვანეს. ხალხი მღუპარედ მიჰყვებოდა უკან. გზა შორი იყო. ბანდერილიეროს ბრწყინვალე ტანსაცმელში გამოწყობილი ნასიონალი ყველასგან გამოირჩეოდა. ხელში ლაბადა ეკავა და წამდაუწუმ იხედებოდა ზეწარგადაფარებულ საკაცეზე და ბრძანებდა, შეისვენეთო.

უკან ექიმები მოდიოდნენ, გვერდით მოაბიჯებდნენ მარკიზ მორაიმა და დელვისაგან ქანცმიღებული, გალიარდოს რწმუნებული დონ ხოსე, რომელსაც ორივე მხრიდან „ორმოცდახუთის კლუბის“ წევრები ამოსდგომოდა. საერთო უბედურებით დამწუხრებული სენიორები ლატაკების მხარდამხარ მოდიოდნენ.

ყველა შეშფოთებული იყო. სამგლოვიარო პროცესია ნელა მიიწევდა წინ. თითქოს ერთი იმ სახალხო უბედურებათაგანი მოხდა, როცა საერთო მწუხარება ყველას ავიწყებს კლასობრივ განსხვავებას.

— ეს რა უბედურება დაგვემართა, სენიორ მარკიზ! — მიმართა მორაიმას ქურთუკ წამოსხმულმა, ქერა, ფართო ლოყებიანმა გლეხმა. მან ბარე ოთხჯერ შესცვალა ერთ-ერთი საკაცის წამლები. მორაიმამ მეგობრულად შეხედა მოსაუბრეს. ეტყობა იმ გლეხთაგანია, რომელიც ხშირად ესალმება სოფლის გზაზე.

— დიახ, ჭაბუკო, დიდი უბედურება დატრიალდა.

— როგორ ფიქრობთ, მოკვდება, სენიორ მარკიზ?

— მოკვდება, თუ სასწაული არ მოხდა. მთლად დაცხრილულია. მარკიზმა უცნობს მხარზე ხელი დაჰკრა, რადგან იგი საერთო მწუხარებას თანაუგრძნობდა.

სახლის შესასვლელთან ხალხი მძიმე სანახაობას წააწყდა. პატიოდან გულამოსკენილი ქვითინი ისმოდა. ქუჩაში შეკრებილ მეზობ-

ლის ქალებს და ოჯახის ძველ მეგობრებს, ხუანილიო უკვე მკვდარი ეგონათ, ტიროდნენ და თმას იგლეჯდნენ. პიკადორი პოტახე და სხვა მეგობრები კარებში ჩადგნენ, რათა საკაცეს ხალხი არ შემო-
ყოლოდა. ზამბარასავით დაქიმული ბრბო გუგუნებდა, დღავდა.
ხალხი თვალს არ აშორებდა სახლს, თითქოს იმის გაგებას ცდილობ-
და, თუ რა ხდებოდა კედლებს მიღმა.

მებარგულეებმა ხუანი პატიოს გვერდით ოთახში შეიყვანეს და
დიდი სიფრთხილით საწოლზე დაასვენეს. გალიარდო მთლიანად
სახვევებში იყო გახვეული. სისხლს დოლბანდშიც გამოეყონა. ორ-
გვლივ წამლის მწვავე სუნი იდგა. ტანსაცმელი და თეთრეული ტო-
რეროს ერთიანად დაფხრეწოდა, ერთი ვარდისფერი წინდალა დარ-
ჩენილიყო დაუხვეული. მისი გაწეწილი ნაწნავი კისერთან უმწეოდ
ქანაობდა. სახე სანთელზე უფრო გაფითრებოდა. ტორერომ თვალ
გაახილა. იგრძნო, რომ ვილაცამ ხელი მოუჭირა, და სუსტი ღიმილით
შეხედა კარმენს, რომელიც ისეთივე ფერმკრთალი იყო, როგორც
თვითონ. ქალის მიცვალებულივით გაფითრებული ტუჩები და ცივი
თვალები ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს ტორეროს სიკვდილის
წამი დადგაო.

ესპადას მეგობარნი, პატივცემული სენიორები საქმეში ჩაერივ-
ნენ: ეს შეუძლებელია, კარმენი უნდა წავიდეს. ხუანს მხოლოდ
ჭრილობები შეუხვდის. ექიმებს ჩასატარებელი აქვთ რთული და
დიდი სამუშაო.

მეგობრების რჩევით, როგორც იქნა, კარმენი ოთახიდან გამო-
ვიდა. დაქრილმა თვალთ იხმო ნასიონალი. ბანდერილიერო საწოლ-
ზე დაიხარა, რათა ხუანის ჩურჩული გაეგო.

— ხუანი გთხოვთ სწრაფად გაუგზავნოთ დეპეშა ექიმ რუისს.—
თქვა პატიოში გამოსულმა ნასიონალმა.

თავისი წინდახედულობით გახარებულმა რწმუნებულმა პასუხად
თავი დაუქნია. ჯერ კიდევ მაშინ, როცა შეატყო, რომ დაქრილა
ცუდად იყო, მან ექიმს დეპეშა გაუგზავნა. რუისი ალბათ უკვე გზა-
შია და ხვალ დილით აქ იქნება. მერე დონ ხოსე ისევ იმ ექიმებს
მიუბრუნდა, რომლებმაც გალიარდოს ცირკის საავადმყოფოში ჭრი-
ლობები შეუხვდის.

როცა დაქრილი გონს მოვიდა, ექიმებმა ტორეროს გადარჩენის
იმედი გამოთქვეს. ტორეროს ძალზე ჯანმრთელი ორგანიზმი აქვს.
ასეთი დარტყმისაგან სხვა ადგილზევე მოკვდებოდა. ყველაზე სახი-
ფათოა ტვინის შერყევა, მაგრამ ყველაფერი კეთილად დამთავრდა,
დაზარალებულმა თვალი გაახილა, გონს მოვიდა, თუმც ძალზე სუს-
ტადაა... ჭრილობები არაა სასიკვდილო. ხელი შეუხორცდება, თუშ-

ცა აღრინდელ სიმარჯვეს დაჰკარგავს. ფეხის საქმე სერიოზულია. ძვალია დამსხვრეული და შეიძლება დაკოქლდეს.

ღონ ხოსე, რომელიც რამდენიმე საათის წინ, როცა ესპადას სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, თავს იკავებდა, ახლა საშინლად აღელდა. როგორ? მისი მატადორი დაკოქლდება? მაშასადამე, არენაზე ველარ გამოვა?

ღონ ხოსე აღშფოთებული იყო ექიმების სიმშვიდით, რომლებიც ამბობდნენ: გალიარდო ხეიბარი დარჩებაო.

— ყოვლად შეუძლებელია! განა ლოგიკურია, ცოცხლად დარჩენილმა ხუანმა ასპარეზი დატოვოს? ვინ უნდა შესცვალოს ის? ვიმეორებ, ეს შეუძლებელია-მეთქი! იგი პირველი მატადორია მსოფლიოში! თქვენ კი გსურთ მან ხელობას თავი მიანებოს.

სალამოს გალიარდოს საწოლთან სიძე და მისი მეგობრები მორიგეობდნენ. სიძე წამდაუწუმ ერთი ოთახიდან მეორეში დარბოდა, აწყნარებდა ქალებს, ავადმყოფთან ნუ მიხვალთ, ექიმის რჩევა-დარიგებას დაემორჩილეთ, თქვენი იქ ყოფნით დაქრილი უფრო შეწუხდება, ხუანი სუსტადაა და ექიმებს ეს უფრო აშინებთ, ვიდრე ჰრილობებით.

მეორე დღით ღონ ხოსე სადგურში წავიდა. მადრიდის მატარებელს ექიმი რუისი ჩამოჰყვა. მას ჩვეულებრივ ულაზათოდ ეცვა და ღიმილს მოყვითალო ჰალარა წვერი უმაღავდა. ექიმს მოკლე ფეხები ჰქონდა. ტომრისებური ქილეტიდან ბუდასავით უზარმაზარი მუცელი მოუჩანდა. გალიარდოს დაქრის ამბავი იმ დროს გაეგო მადრიდში, როცა ცირკიდან გამოდიოდა. აქ ის-ის იყო ნოვილიადა დამთავრებულიყო, სადაც ვენტესელი ჰაბუკი არენაზე პირველად გამოდიოდა. რუისს გაეცინა, გაახსენდა ის სულელური კორიდა და თითქოს დაივიწყა კიდევ მატარებელში უძილოდ გატარებული ღამე და მგზავრობის მიზანი.

ექიმმა გალიარდოს სახლში ფეხი შემოდგა თუ არა, ტორერო ბურანისაგან გამოფხიზლდა, თვალი გაახილა, იცნო შემოსული და სახე სანდომიანმა ღიმილმა გაუბადრა. რუისმა ჩურჩულით გამოჰკითხა ყველაფერი ექიმებს, რომლებმაც მას პირველი დახმარება აღმოუჩინეს, და ავადმყოფს გაბედულად მიუახლოვდა.

— სულით ნუ დაეცემი, ბიჭიკო! გამოკეთდები. ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ დაბადებული.

მერე შემობრუნდა და თავის კოლეგებს მიმართა:

— ნამდვილად გადარეულია ეგ ხუანილიო! მის ადგილზე სხვა რომ ყოფილიყო, ამდენი ფუსფუსი არ დაგვეკირდებოდა.

ექიმმა ყურადღებით გასინჯა ავადმყოფი. სერიოზულადაა და-

შავებული, მაგრამ არაუფროა, უნახავს ამგვარი ჭრილობები! როცა „ჩვეულებრივ“ ავადმყოფობასთან ჰქონდა საქმე, ყოყმანობდა, სანამ აზრს გამოთქვამდა, მაგრამ ხარის მიერ მიყენებული ჭრილობების სპეციალისტი იყო და ძალზე სერიოზულ მდგომარეობის დროსაც კი გადარჩენის იმედი ჰქონდა, რადგან ხარის რქებს, რომელიც ტორეროების კუნთებს ფლეთდა, შეხორცების საუკეთესო ნივთიერებანიც გააჩნდა.

— ყველა ტორერო, რომელიც დარტყმისაგან ადგილზევე არ მომკვდარა, შეიძლება, დარწმუნებით ითქვას, რომ გადარჩენილია და მისი განკურვნა მხოლოდ დროის საქმეა.

სამი დღის განმავლობაში გალიარდომ საშინელი ოპერაციები გადაიტანა, ტკივილისგან ბლოდა, რადგან ძალზე სუსტად იყო და ნარკოზის გაკეთება არ შეიძლებოდა. რუისმა დაქრილ ფეხიდან რამოდენიმე დამსხვრეული ძვალი ამოუღო.

— ვინ თქვა, დაკოკლდება და არენაზე ვეღარ გამოვარ? — წამოიძახა მოხერხებული ოპერაციით კმაყოფილმა ექიმმა. — შენ კიდევ იბრძობე ხარებთან და მაყურებელიც ბევრჯერ დაგაჯილდოებს ტაშით.

რწმუნებულიც კვერს უკრავდა ექიმს, — მეც ასე ვფიქრობ. ნუთუ მსოფლიოს უპირველესი მატადორი ხეიბრობით დაამთავრებს სიცოცხლეს?

ექიმ რუისის თხოვნით, ტორეროს ოჯახი დროებით დონ ხოსეს სახლში გადაბარგდა. ქალები მხოლოდ ხელს უშლიდნენ და ოპერაციაზე მათი ყოფნა ყოვლად დაუშვებელი იყო. ხუანს რომ ერთი დაეკვნესა, წამსვე ოთახის ყველა კუთხიდან ექოსავით მოისმოდა დედისა და დის კვნესა. კარმენს ხომ ძლივს აკავებდნენ, რადგან შეშლილივით ქმრისკენ იწევდა.

უბედურებამ გარდაქმნა კარმენი და ყველა ადრინდელი წყენა დავიწყებოდა. სინდისის ქენჯნით შეწუხებული ქალი ცრემლს ღვრიდა და მომხდარ უბედურებაში უნებლიეთ თავს იდანაშაულებდა.

— მე ვიცი, ეს ჩემი ბრალია. — შეწუხებული ეუბნებოდა ნასიონალს. — რამდენჯერ მითქვამს, დაე, ხარმა რქებზე წამოავგოს, რომ ჩემს წამებას ბოლო მოედოს-მეთქი. მე სულელი ქალი ვარ, მე მოვუწამლე ქმარს სიცოცხლე.

ბანდერილიერომ ყოველი წვრილმანი ზუსტად უამბო ქალს, რათა დაერწმუნებინა, რომ ხიფათი სრულიად შემთხვევით მოხდა. მაგრამ ქალს მაინც არ სჯეროდა. გალიარდოს სიკვდილი უნდოდა

და შენ რომ არ მიხმარებოდი, უთუოდ ასპარეზიდან მკედარს გამოიტანდნენო.

როცა უკანასკნელი ოპერაციაც დამთავრდა, ტორეროს ოჯახი შინ დაბრუნდა. ადრინდელი მტრული განწყობილებისაგან დარცხვნილი, თავდახრილი კარმენი ავადმყოფის ოთახში ფეხაკრეფით შევიდა.

— როგორ გრძნობ თავს? — შეეკითხა ქმარს, ხელი ჩასკიდა მოკრძალებით გაინაბა ავადმყოფის სასთუმალთან, რომელსაც ექიმი რუისი და ტორეროს მეგობრები არ შორდებოდნენ.

კარმენი ქმართან რომ დარჩენილიყო, მუხლმოყრილი შენდობას შესთხოვდა, რადგან თავისი სიმკაცრით სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა საცოდავი და თვითმკვლევლობის აზრიც შთაუწერგა. ნუთუ არასოდეს აპატიებს ამ ცოდვას! ქალის კეთილი გული ალერსიან გამოხედვაში გამოკრთოდა, რომელიც თავგანწირულ სიყვარულსა და დედურ სინაზეს გამოხატავდა.

ტანჯვამ შესცვალა გალიარდო. იგი ბავშვივით მორჩილი გახდა. ზად გაქრა ის თავხედური სიმამაცე, რომლითაც ადრე ხალხს აცვიფრებდა? ხუანი უჩიოდა ავადმყოფი ფეხის სიმძიმეს, რომელმაც ლოგინს მიაჯაჭვა.

ტორერო თითქოს დააძაბუნა ამ მძიმე ოპერაციამ, მცირე ტკივილზეც კი ოხრავდა.

გალიარდოს ოთახი სევილიაში განთქმულ ტავრომაქიის მოყვარულთა თავშესაფარ ადგილად გადაიქცა. თამბაქოს ბოლი წამალთა სუნში არეულიყო. ბამბების, დოლბანდის და წამლების გვერდით სტუმრების გასამასპინძლებლად ღვინის ბოთლები იდგა.

— არაფერია, — ტორეროს გასამხნეველად ყვიროდნენ მეგობრები. — ორი-სამი თვის შემდეგ კვლავ გიხილავთ არენაზე. შენ კარგი დასტაქრის ხელში მოხვდი. ექიმი რუისი სასწაულთმოქმედი. ექიმიც მხიარულობდა.

— უკვე ყოჩაღადაა. შეხედეთ თამბაქოსაც ეწევა. და რახან ავადმყოფი ეწევა, ესე იგი კარგადაა.

გვიან ღამემდეგ ისხდნენ ავადმყოფთან ექიმი, რწმუნებული და მეგობრები. ოთახში შემოსული პოტახე მაშინვე მაგიდას მიუჯდებოდა, რათა ღვინის ბოთლებთან ახლოს ყოფილიყო. რუისი, რწმუნებული და ნასიონალი მუდამ ასპარეზზე ბაასობდნენ, რადგან დონ ხოსესთან შეუძლებელი იყო სხვა რამეზე ლაპარაკი. ისინი ააშკარავებდნენ ტორეროს ნაკლოვანებებს, კამათობდნენ მის ღირსებებზე, შემოსავალს ანგარიშობდნენ. ლოგინს მიჯაჭვული გალიარდო

უსმენდა მათ მსჯელობას და ამ ლაყბობით გაბრუებული თავდა-
ვიწყებას ეძლეოდა.

ყველაზე მეტს ექიმი ლაპარაკობდა, ნასიონალი კი მას აღფრთო-
ვანებით შესციცინებდა. ეს სწავლული ადამიანი სიბრძნის წყაროა.
აღტაცებული ბანდერილიერო ივიწყებდა თავისი მასწავლებელ დონ
ხოსელიტოს ქადაგებით შთაგონებულ ბრმა რწმენას და ექიმს
ეკითხებოდა: რევოლუცია როდის მოხდება?

— შენ რა ხელი გაქვს რევოლუციასთან? შენი საქმე ხარებია
და იმაზე იფიქრე, თუ როგორ აიცდინო ხიფათი და რაც შეიძლება
მეტი ფული იშოვნო.

ნასიონალი თავს შეუტაცხყოფილად გრძნობდა. მერე რა, რომ
ტორეროა. განა ისეთივე მოქალაქე არ არის, როგორც სხვა? ის ხომ
ამომრჩეველია და არჩევნების დროს ქალაქის ყველა პოლიტიკური
მოღვაწე პატივისცემით ეპყრობა მას.

— ვგონებ უფლება მაქვს, ვიქონიო საკუთარი აზრი. დიახ, თა-
ვი უფლებამოსილად მიმაჩნია... იცი რა, მე ჩემი პარტიის კომიტე-
ტის წევრი გახლავარ. რა თქმა უნდა, ტორერო ვარ და ვიცი, რეაქ-
ციული, უღირსი ხელობა მაქვს, მაგრამ ეგ ხელს როდი მიშლის ჩე-
მი შეხედულებები ექონიო.

დონ ხოსეს დაცინვის პასუხად ნასიონალი ჯიუტად იმეორებდა,
ჩემი ხელობა რეაქციონერულიაო. ბანდერილიერო მხოლოდ ექიმ
რუისს ესაუბრებოდა, თუმც არანაკლებ პატივს სცემდა რწმუნე-
ბულს. რაც არ უნდა ითქვას, ექიმო, ყველაფერში მაინც ფერდინანდ
VII * დამნაშავე. იმ ტირანმა დახურა უნივერსიტეტები და მის ნაც-
ვლად სევილიაში ტავრომაქიის სკოლები გახსნა. სწორედ მაგ მი-
ზეზით ტორეროს ხელოვნება სასაცილო და ასათვალისწინებელ
ხელობად იქცა.

— წყეულიმც იყოს ის ტირანი!

ნასიონალი ტავრომაქიის თვალსაზრისით ჭვრეტდა ქვეყნის ის-
ტორიას. აძაგებდა აბსოლუტური მონარქიის მომხრე ტორეროებს.
იგონებდა მამაც ხუან ლეონს, რომელიც აბსოლუტიზმის ეპოქაში
ასპარეზზე შავი ტანსაცმელით გამოდიოდა. იმ დროს ლიბერალებს
„შავებს“ ეძახდნენ. უშიშარ ლეონს ხშირად ხალხის მრისხანე
ღრიალში დაუტოვებია არენა. ნასიონალი გამძაფრებით იცავდა თა-
ვის შეხედულებებს. კორიდა — ძველის ბარბაროსული გადმონაშ-

* ესპანეთის მეფე 1814 — 1833 წ. წ. მისი მეფობის წლები ესპანეთის ისტო-
რიაში; შევიდა როგორც აბსოლუტური რეაქციის ბატონობის ბნელი ხანა.

თია, მაგრამ ტორეროთა შორის შეხვედებით ბევრ ისეთ ადამიანს, რომელიც საეხსებით იმსახურებენ პატივისცემასო.

— საიდან გაიგე ეგ გამოთქმა: რეაქციონერი? — ჰკითხა ექიმი. — ნასიონალ, შენ კარგი ჰაბუკი ხარ, კეთილი განზრახვებით გაქვს, მაგრამ დიდი უბირი კი ბრძანდები.

— აი სწორედ! — დემოწმა დონ ხოსე. — უბირია. კომიტეტში ათსნაირი ბოდვის ქადაგებით ჰკუიდან შეშალეს.

— კორიდა პროგრესული მოვლენაა, — ღიმილით განაგრძობდა ექიმი, — გესმის, სებასტიან? იგი ყველას მოსწონს, კარგად მოქმედობს ჩვენს ზნეობაზე და არბილებს გასართობის სისასტიკეს. აღჩინდელთან შედარებით, იმ დროსთან შედარებით, რომელზედაც განუწყვეტლივ გესაუბრება შენი დონ ხოსელიტო.

რუისი ჰიქას ხელიდან არ უშვებდა, შეუჩერებლივ ლაპარაკობდა და მხოლოდ მაშინ ჩერდებოდა, როცა ღვინის დაღვევა მოესურვებოდა.

— რომ ამბობენ, თითქოს ხართან ბრძოლა უხსოვარი დროიდან შოდისო, სიცრუეა. ადრე ესპანეთში ხარებს გართობის მიზნით ხოცავენ, მაგრამ მაშინ არ იყო ისეთი ხართან ბრძოლა, როგორც ახლაა. დიახ, სიდი უშუბით ხოცავედა ხარებს. მეფის შვილები, მავრები და ქრისტიანებიც ასე იქცეოდნენ. მაშინ არ იყვნენ პროფესიონალური ტორეროები და არც მკაცრი, ზუსტი წესები გააჩნდა, რომლის დაცვაც დღეს აუცილებელია.

რუისმა მსმენელთ გააცნო ამ ნაციონალური დღესასწაულის საუკუნეობრივი ისტორია. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა მეფე ჯვარს იწერდა, საზავო ხელშეკრულება მყარდებოდა, ან ახალ სამლოცველოს აგებდნენ, მხოლოდ ასეთი მოვლენების აღსანიშნავად იმართებოდა ხართან ბრძოლა. პროფესიონალური ტორეროები იმ დროს არ იყვნენ. არენაზე ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილი კაბალიეროები გამოდიოდნენ, რათა ქალების თვალწინ შუბით ან ხანჯლით გაეგმირათ ხარი. თუ ხარი ცხენოსანს ძირს ჩამოაგდებდა, კაბალიერო დაშნას იშიშვლებდა და მსახურთა დახმარებით კლავდა ცხოველს, ისე, როგორც მოუხერხდებოდა, ყოველგვარი წესის დაუხველად. სახალხო დღესასწაულებზე კი არენაზე ხალხი გამოდიოდა, რათა ერთდროულად დასხმოდნენ ხარს, წაექციათ და ხანჯლის დარტყმით ბოლო მოეღდთ მისთვის.

— ამგვარი ბრძოლა მაშინ არ ყოფილა, — განაგრძობდა ექიმი, — მხოლოდ გარეულ ხარზე ნადირობდნენ. ერთი სიტყვით, ხალხს თავისი ეპოქის შესაფერისი საზეიმო დღესასწაულები და გასართობები გააჩნდა და კორიდის სრულყოფაზე არაფერ ფიქრობდა.

მებრძოლ ესპანელ ხალხს ნამდვილად შეეძლო ცხოვრების გაუმჯობესება. ევროპაში გამუდმებით თმობდნენ, ხოლო ოკეანეს გადაღმა მდებარე ამერიკას გულადი ხალხი სჭირდებოდა. და ბოლოს, სარწმუნოება ხალხისთვის ამალეღვებელ სანახაობებს მართავდა. ადამიანი შიშით კანკალებდა, როცა ახლობლის სიკვდილს უყურებდა და ამასთანავე ღებულობდა ინდულგენციას* ცოდვილთა სულის საცხონებლად. აუტოდაფე, რომელზეც ადამიანებს სწვავდნენ, ისეთ მწვავე განცდებს იწვევდა, რომ მის გვერდით გარეულ ცხოველებზე ნადირობა ბავშვურ თამაშობათ გეჩვენებოდათ. ინკვიზიცია გრანდიოზულ ნაციონალურ ზეიმებს მართავდა.

— მაგრამ დადგა დრო, — განაგრძობდა რუისი დამცინავი ღიმილით, — და ინკვიზიცია დაუძლურდა. ამქვეყნად ყველაფერი წარმავალია. ინკვიზიცია მიხრწნილობისაგან ბევრად უფრო ადრე ჩაქრა, ვიდრე რევოლუციური კანონები შესცვლიდნენ მას. მსოფლიომ სახე იცვალა და ინკვიზიციის მიერ მოწყობილი დღესასწაულები ისევე შეუფერებელი აღმოჩნდა, როგორც ხართან ბრძოლა ღია ცის ქვეშ, ყინულოვანი ნორვეგიის ნაპირებზე. ინკვიზიციას არ გააჩნდა სათანადო მოწყობილობა. მას სინდისმა ქენჯნა დაუწყო, როცა ხალხს წვავდა და ერეტიკულ კომედიებს ასახიერებდა, რომლის მონაწილე მქადაგებლები უაზროდ ბოდავდნენ. უარყოფდა რა აუტოდაფეს, ცოდვილთ მხოლოდ დახშულ კარს იქით აძრობდა ტყავს. ამ დროს ესპანელები დაიღალნენ მსოფლიოში ხეტიალით და დაუბრუნდნენ თავის შინას. შეწყდა ესპანელების ომი იტალიასა და ფლანდრიასთან. დაიპყრეს ამერიკა, სადაც უამრავი მამაცი ესპანელი წავიდა. სწორედ ამ ხანებში აღორძინდა ტავრომაქიის ხელოვნება. აშენდა ასპარეზები. პროფესიონალური ტორეროებისგან კვადრილები შეიქმნა. შესწავლილ იქნა ბრძოლის ახალი ხერხები, დადგინდა ბრძოლის წესები. გამოიგონეს დაშნით ბრძოლის ათასგვარი მეთოდი. ხალხს მოეწონა ეს სანახაობა და პროფესიონალურ ტორეროს გამოჩენასთან დაკავშირებით ხართან ბრძოლა დემოკრატიული გახდა. არენაზე კაბალიეროებმა შესცვალეს პლებეები. ჯილდოსთვის თავს საფრთხეში იგდებდნენ. ცირკს უამრავი ხალხი მოაწყდა და მისი ერთადერთი კანონმდებელი და ბატონ-პატრონი გახდა. მათ უფლება მიიღეს ამფითეატრიდან შეურაცხყოფა მიეყენებინათ მთავრობის იმ წარმომადგენლებისათვის, რომლებსაც ამ კედლებს გარეთ შიშითა და კრძალვით ეპყრობოდნენ. ფანატიკოსების შთამომავალნი, რომელნიც ერეტიკებისა და იუდეველთა

* პაპების მიერ დაწესებული ფულით ცოდვების მონანიება.

დაწვის მომხრენი იყვნენ, ამჟამად ადამიანის ხართან ორთაბრძოლით არიან გატაცებულნი, ორთაბრძოლით, რომელიც იშვიათად მთავრდება მამაცი ტორეროს სიკვდილით. განა ეს პროგრესი არაა?

რუისი განაგრძობდა საუბარს. XVII საუკუნეში ესპანეთი ლოკოკინასავით ნაჟუჭში ჩაძვრა და უარი თქვა დაპყრობით ომებზე. მხოლოდ მკაცრ ეკლესიას მიმღევრები აღარ გააჩნდა და თავისი პოზიციებიდან უკან დაიხია. სწორედ მაშინ დადგა კორიდის აყვავების ეპოქა. გმირ ხალხს, რომელიც ადრე დიდებასა და სიმდიდრისკენ ისწრაფვოდა, ახლა სულ სხვა რამ ეწადა. მკაცრი ბრბო, რომლის ხასიათი საუკუნეების მანძილზე წამებისა და სისხლისღვრის ყურებით იწრთობოდა, გამოსავალს ეძიებდა. ხალხმა ხართან ბრძოლა აუტოდაფეს შემცვლელ სანახაობად მიიჩნია. ის, ვინც გასულ საუკუნეებში უეჭველად ფინეთში საომრად ან იარაღით ხელში ახალ სამყაროს დასაპყრობად წავიდოდა; ახლა ტორერო გახდა, რადგან დარწმუნდა, რომ ექსპანსიისთვის გზები დახშულია. პატივმოყვარე ხალხმა ერთადერთ გამოსავლად ნაციონალური დღესასწაული აღიარა, სადაც ყველას შეეძლო ენახა თუ ვინ იყო გამბედავი და ძლიერი.

— ეს პროგრესია, — ჯიუტად იმეორებდა ექიმი, — მე მგონი ჩემი აზრი ძალზე ნათელია და ამიტომ მე, მომავალ რევოლუციონერს, არ შემრცხვება იმის თქმა, რომ ხართან ბრძოლა მომწონს... ადამიანი თავის ერთფეროვან ცხოვრებაში მწვავე განცდების გამომწვევე საშუალებებს ეძებს. ალკოჰოლიანი სასმელიც მანუა. ყველასათვის ცნობილია მისი უარყოფითი მოქმედება, მაგრამ მაინც სვამენ. დროდადრო მხეცური ჟინი ძალ-ღონეს მატებს ადამიანის არსებობას. ყველა ჩვენგანს სურს ზოგჯერ წინაპართა ცხოვრება იხილოს. მხეცური ინსტინქტი ხალხს ამხნევებს და საჭირო როდია მისი ჩაკვლა. ამბობენ, ხართან ბრძოლა ბარბაროსული სანახაობააო. მართალია, მაგრამ ეს არაა ერთადერთი ბარბაროსული გასართობი მსოფლიოში. უხეში, ველური სიამოვნებით ტკობა — ეს ადამიანის ავადმყოფობაა, რომლითაც მთელი მსოფლიოს ხალხია დაავადებული და ამიტომ ვბრაზობ, როცა კიცხავენ ესპანეთს, თითქოს მხოლოდ ჩვენთანაა შემორჩენილი ტლანქი ხალხური გართობანი.

ექიმი გაბრაზებული ლაპარაკობდა გადარბენასა და დოღზე, სადაც გაცილებით მეტი ადამიანი დაღუპულა, ვიდრე ხართან ბრძოლისას. საზღვარგარეთის კულტურულ ქვეყნებში ვირთხებზე გაწრთვნილი მეძებრები ნადირობენ; თანამედროვე სპორტულ შეჯიბრებებში არა ერთი თავპირადმტყრეული და დასახიჩრებული ტოვებს დარბაზებს.

— ხარისა და ცხენის ტანჯვაზე, — ფიცხად განაგრძობდა რუი-

სი, — უცხოელები იცრემლებიან და ავიწყდებათ, იპოდრომებზე დასახიჩრებული ცხენები უსულოდ როგორ ეცემიან. საზღვარგარეთ ზოოპარკები ყველა დიდი ქალაქის აუცილებელ გასართობად ითვლება.

ექიმი რუისი თათხავდა იმათ, ვისაც ცივილიზაციის მოტივით ხართან ბრძოლა ბარბაროსულ სანახაობად მიაჩნდა. ისინი იმავე ცივილიზაციის სახელით აშენებენ პარკებს, სადაც ამქვეყნად არსებული ყველაზე უვარგისი და მავნე ქვეწარმავალნი ქვეშარიტი ფუფუნებით ცხოვრობენ. რისთვისაა საჭირო ყოველივე ეს? მეცნიერებამ დიდი ხანია შეისწავლა და აღწერა მათი თვისებანი. თუ ცხოველთა განადგურება მგრძნობიარე გულს აღელვებს, მაშ რატომ არ იბრძვიან საიდუმლოებით მოცული ტრაგედიების წინააღმდეგ, ყოველდღე რომ ხდება ზოოპარკის გალიებში? თხის რქები წინააღმდეგობას ვერ გაუწევს პანტერას, რომელიც უშვებს და ბრჭყალებს ასობს თავის ნადავლს, რომელსაც ცოცხლად ფლეთს და დრუნჩს თბილი, ორთქლიანი სისხლით ივსებს. მშობლიურ მთებს მოწყვეტილი კურდღელიც მახრჩობელა გველის სუნთქვაზე შიშით თრთის და ბალანი ყალყზე უდგება. გველი ერთი შეხედვით აშეშებს ცხოველს, ჩუმად მიცოცავს მისკენ, რომ აჭრელებული, ყინულივით ცივი ტანი შემოახვიოს და დაახრჩოს. ათასობით სუსტი ცხოველი საჭიროებს ადამიანის დახმარებას. ისინი იხოცებიან, რათა არსებობა გაუხანგრძლივონ მავნე მტაცებლებს, რომლებზედაც ყოველნაირად ზრუნავენ კულტურის ცენტრად მიჩნეულ ქალაქებში. ამავე ქალაქებიდან მოისმის აღშფოთებული შეძახილები ესპანელების ბარბაროსობაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ მამაცი და გაბედული ხალხი ნამდვილად ბრძნული წესების დაცვით ებრძვის საშიშ და გაბედულ მხეცს მზის შუქზე, ლაევარდი ცის ქვეშ, ხმაურიანი და მრავალფეროვანი მაყურებლის თვალწინ, ჯადოსნური სილამაზის ფონზე რომ უყურებს ამ სანახაობას!..

— შეურაცხყოფას გვაყენებენ, რადგან ჩვენი ქვეყანა დაუძლეურდა, — განაგრძობდა უსამართლობით აღშფოთებული რუისი. — ხალხი მაიმუნია, ისინი ყველაფერში ბრმად ბაძავენ ძლიერებს. ამჟამად ყველაზე მძლავრი სახელმწიფო ინგლისია, ამიტომ ყველანი მას ბაძავენ სირბილში. მარულას რომ უყურებენ, მოწყენილობისგან ამთქნარებენ მაყურებლები. ამაზე უფრო სულელურია სანახაობა განა იქნება! ნამდვილ ხართან ბრძოლა ესპანეთში მაშინ დაიწყო, როცა ჩვენი ქვეყნის დიდება ჩაესვენა. კორიდები რომ ფილიპე II დროს აღორძინებულიყო, ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში დღესაც იქნებოდა ასპარეზები. ნურაფერს მეტყვიით

უცხოელებზე! მომწონს მათი რევოლუციური სული და ჩვენ ბევრი რამით დავალბებული ვართ მათგან. მაგრამ რაც შეეხება ხართან ბრძოლას... ეშმაკმა დალახეროს! ისინი სისულელეს როშავენ!

ფანატიზმით დაბრმავებული ფიცხი რუისი განურჩევლად ხობტას ასხამდა ყველა ქვეყანას, რომლებსაც ესპანური სახალხო ზეიმები და სხვა ამგვარი სისხლიანი გართობანი მოსწონდათ...

ექიმმა სევილიაში ათი დღე დაჰყო და მადრიდში გასამგზავრებლად მოემზადა.

— აბა, ჭაბუკო, — უთხრა მან გამომშვიდობებისას ავადმყოფს, — უმრავი საქმე მაქვს. აქ უკვე საჭირო აღარა ვარ. ფრთხილად იყავი. ორ თვეში სრულიად გამოჯანმრთელდები. შესაძლოა ფენი აგტიკედეს, მაგრამ ისეთი ჯანმრთელი ხარ, რომ ყველაფერი კეთილად დაგვირგვინდება.

ექიმის დაპირებისამებრ გალიარდოს ჯანმრთელობა თანდათან გაუმჯობესდა. ერთი თვის შემდეგ თაბაშირი შესხნეს და ლასუსტებული ტორერო კოჭლობით მივიდა სავარძლამდე პატიოში, სადაც იმხანად მეგობრებს იღებდა.

როცა ლოგინს მიჯაჭვული გალიარდო უქანასკნელ დღეში იყო, და საშინელი კომპარები, ტკივილები და ფანტასტიკური ბოდვები აწუხებდა, მაინც დონია სოლზე ფიქრობდა. ნეტავ გაიგო თუ არა მისი უბედური შემთხვევა? ერთხელ ამაზე ოთახში მარტოდ დარჩენილ დონ ხოსესაც ჰკითხა.

— ჰო, მეგობარო, — უპასუხა რწმუნებულმა. — იმ ქალს არ დავიწყებინარ. სამი დღის შემდეგ, როცა უბედურება მოხდა, ნაცოდან დეპეშა გამომიგზავნა. შენს ჯანმრთელობას კითხულობდა. გაზეთებიდან თუ გაიგო. მეც გავუგზავნე დეპეშა, მაგრამ პასუხი არ მიწილია.

ამ ამბავმა რამდენიმე დღით დაამშვიდა გალიარდო. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ავადმყოფური სიჯიუტით კვლავ დაუწყო გამოკითხვა, რადგან ეგონა, რომ მთელი სამყარო შეწუხებული იყო მისი მდგომარეობით. ხომ არაფერი მოუწერია? აღარ უკითხავს ჩემი ამბავი? რწმუნებული ტორეროს დაწყნარებას შეეცადა და დონია სოლის დუმილი შემდეგნაირად ახსნა: სენიორა სულ მოგზაურობს. ვინ იცის, ახლა სად იმყოფება!

გალიარდო მიხვდა, რომ ქალმა დაივიწყა და ძალზე დანადვლიანდა. ასე რომ, დონ ხოსე იძულებული გახდა ტყუილები მოეგონებინა: ამ რამდენიმე დღის წინ დონია სოლმა იტალიიდან წერილი გამომიგზავნა; მწერდა, დაქრილის მდგომარეობა შემატყობინეო.

— მაჩვენე წერილი! — შეტოკდა გალიარდო.

დონ ხოსემ უთხრა შინ დამრჩაო. გალიარდო აღშფოთდა: „წერილი ხვალვე მომიტანე. მინდა წავიკითხო და დავრწმუნდე, რომ კიდეც ვახსოვარ“... ახალი სირთულენი რომ თავიდან აეცილებინა, დონ ხოსე განაგრძობდა ავადმყოფის მოტყუილებას. ახლა აგი უყვებოდა იმ წერილებზე, რომლებსაც თითქოს სხვები ღებულობდნენ და აქ წამოღება შეუძლებელი იყო. დონია სოლი თავის საქმეებზე მიწერ-მოწერას აწარმოებს მარკიზთან და გალიარდოს ჯანმრთელობასაც იმას ეკითხება. ზოგჯერაც ბიძაშვილს უგზავნის ბარათებს და მასში ხუანს იხსენიებსო.

ამ ახალ ამბებს ავადმყოფი სიამოვნებით ისმენდა და თავს სევიდიანად აქნევდა. ნეტა კიდეც როდის შეხვდება დონია სოლს? ან კი შეხვდება ოდესმე? ო, ის ჯიუტი ქალი, თავისი უცნაური ხასიათის გამო, მოულოდნელად, ყოველგვარი საბაბის გარეშე გაქრა.

— უნდა დაივიწყო ქალები და ცოტა საქმეებზე იფიქრო. — ურჩევდა იმპრესარიო. — შენ უკვე წამოდექი და თითქმის გამოჯანმრთელდი კიდეც, თავს როგორ გრძნობ? წინ კიდეც მთელი ზამთარია გამოსაჯანმრთელებლად. ხელშეკრულებებს ხელი მოვაწეროთ თუ უარი ვუთხრა წელს?

გალიარდომ ყოყოჩურად თავი ასწია, თითქოს სამარცხვინო რამ უთხრესო. უარი თქვას გამოსვლებზე? მთელი წელი არ გამოჩნდეს არენაზე? ვინ ისურვებს ასე დიდი ხნით ხალხის საყვარელ გმირთან დაშორებას?

— მიიღეთ წინადადებები, დონ ხოსე! გაზაფხულამდე ჯერ კიდეც დიდი დროა, მთლიანად მოვრჩები. კონტრაქტებს მე მოვაწერ ხელს. საადღგომო დღეებისათვის გააფორმეთ ხელშეკრულება. მართალია, ფეხი ჯერ კიდეც მტკივა, მაგრამ ღვთის მადლით, გაზაფხულამდე კარგად გავხდები.

გავიდა ორი თვე და ტორერო მართლაც გამოჯანსაღდა. თუმც ცოტას კოქლობდა და მკლავშიც წინანდებურ ძალას ვერ გრძნობდა, მაგრამ ეგ არაფერი; მთავარია, რომ მის ვეებერთელა სხეულში კვლავ ჯანსაღი სისხლი აჩქეფდა. გამოჯანმრთელების შემდეგ მუშაობის ოთახში მარტოდ დარჩენილი გალიარდო სარკის წინ ისეთ პოზას ღებულობდა, თითქოს არენაზეა, ხარის პირისპირო. ერთ ხელში თითქოს დაშნა ეკავა, მეორეში მულეტი. ერთი! — და დაშნას ვადამდე გაუტარებდა უხილავ ხარს! ხუანი სიხარულით ეღიმებოდა და ფიქრობდა თუ როგორ გაუტრუფდებოდათ იმედი მუშურნეებს, გალიარდოს დაჭრის შემდეგ რომ წინასწარმეტყველებნენ, ხუანის მზე ჩაესვენაო.

გალიარდო მოუთმენლად მოელოდა არენაზე გამოსვლას. ხარბი

ახალბედა ჰაბუცივით ოცნებობდა კვლავ მოესმინა ტაშის გრაალი და ალტაცებული ბრბოს შეძახილი.

ავადმყოფობის შემდეგ გალიარდო თითქოს გარდაიქმნა, სხვა ადამიანი გახდა, რომელსაც უნდა დაეწყო ახალი ცხოვრება.

გალიარდომ გადაწყვიტა ზამთრის დარჩენილი დღეები ოჯახთან ერთად რინკონადში გაეტარებინა, რათა ძალ-ღონე მოეკრიბა. ნადირობა და სუფთა ჰაერზე სეირნობა ფეხს მოუტრჩინდა. ამასთან, კბენით სეირნობის დროს თვალყურს მიაღვენებდა მუშაობას, ყურადღებას მიაქცევდა ცხენებს, ღორებს, ძროხებსა და თხებს, მის საქაერებზე რომ ბალახობდნენ. ფერმის საქმეები ვერ მიდიოდა კარვად. მამულის მოვლა სხვა მიწათმფლობელებზე მეტი უჯდებოდა და შემოსავალი კი უმნიშვნელო ჰქონდა. ხელგაშლილი ტორერო მიეჩვია ფულის ფანტკვას. ზაფხულში გამუდმებულმა მოგზაურობამ და ბოლოს ამ ფათერაკმა ოჯახი მთლად აწეწ-დაწეწა, საქმეებიც არია.

სიძე, რომელიც დროებით ფერმაში დასახლდა, წესრიგის დამყარებას დიქტატორული მეთოდებით ცდილობდა, მაგრამ ამით საქმეს ვერაფერს შველოდა და მოჯამაგირეების უკმაყოფილებას იწვევდა.

მხოლოდ არენაზე შემოსული ფულის წყალობით ფარავდა გალიარდო იმ დანაკლისს, რომელსაც სიძის უთავბოლო ხარჯვა იწვევდა.

გამგზავრების წინ ქალბატონმა ანგუსტიასმა შვილს სთხოვა: სასოების მომნიჭებელი წმიდა ქალწულის ტაძარში წავიდეთ წირვაზეო. იმ საბედისწერო დამეს, როცა მიცვალებულივით ფერმკრთალა შვილი საკაცეზე დაინახა, დედას აღთქმა მიუტია წმიდა ქალწულ მაკარენასთვის. ო, რამდენი ცრემლი ღვარა ანგუსტიასმა. შავგვრემან, გრძელწამწამიან ღვთიშობლის მაკარენას ქანდაკებასთან ვედრებით: გადაარჩინეო საცოდავი ხუანლიო!

ტაძარში გალიარდოს გამოჩენამ სახალხო ზეიმის სახე მიიღო.

ესპადის დედამ მაკარენას რაიონის მებაღეებს სთხოვა, რათა ტაძარი ყვავილებით ავესოთ. საკურთხეველზე მაღალი, სურნელოვანი პირამიდები იყო მოწყობილი. ქალებიდან მტევნებივით გადმოკიდებულყვენენ ყვავილთა წნულები. წმიდა ცერემონიალი მზიან დილას შედგა. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო დღე იყო, ტაძარი გაივსო ახლომახლო უბნებიდან ჩამოსული თვალსაჩინო პიროვნებებით. აქ იყვნენ შავთვალწარბა, კისერმოკლე, ჩასუქებული ქალები, სქელ ტანზე გადაჭიმული შავი აბრეშუმის კაბებითა და ფერმკრთალ სახეზე ჩამოფარებული მაქმანის თეთრი მანტილით. საკაიდლეო კოსტიუმში გამოწყობილი მუშები ფართო ფარფლიანი სომბრეროებით და ყილეტის ჯიბეზე ოქროს მსხვილი ძეწკვით. აქვე შეჯგუფულიყვენენ თმადაუეარცხნელი ადგილობრივი დედაკაცები,

რომლებსაც ხელში ბავშვები ეკავათ და გალიარდოს გამოჩენას მოუთმენლად ელოდებოდნენ.

საგანგებოდ იყო მოწვეული ორკესტრი და მდეროდა ქორო, ზუსტად ისე, როგორც ადღგომა დღეს სანფერნანდოს თეატრში. წირვის დასასრულს, ისევე, როგორც სევილიაში მეფის ჩამობრძანებისას, ეკლესიის მსახურთა უვალობეს კეთილშობილ ღმერთს, რომელმაც დაიფარა გალიარდო.

ბოლოს, როგორც იქნა, ხალხის ტალღაში მომავალი პროცესია გამოჩნდა. ნათესავებით და მეგობრებით გარშემორტყმული დედა და ცოლი შავი აბრეშუმის კაბების შრიალით წინ მიდიოდნენ. ბედნიერ ღიმილს გაებრწყინებინა მანტილით დაჩრდილული მათი სახე. შემდეგ გალიარდო მოდიოდა უთვალავ მეგობართა თანხლებით. ტორეროს მეგობრებს ღია ფერის კოსტიუმები ეცვათ, თვალისპირკრელად ელავდა ოქროს სამაჯურები და ბეჭდები. თავზე ეხურათ თეთრი თექის შლიაპები, რომელნიც მკვეთრად მოჩანდნენ ბანოვანთა შავი სამოსის ფონზე.

გალიარდო დარბაისლურად მოდიოდა, როგორც ნამდვილი ქრისტიანი. საერთოდ, ხუანს იშვიათად ახსენდებოდა ღმერთი, მხოლოდ გაჭირვების უამს თუ აგონდებოდა იგი და ისიც არაწინასწარი განზრახვით, არამედ ჩვეულებისდა კვალად. ამჟამად კი სულ სხვა იყო, იგი ტაძარში შედიოდა, რათა მადლობა მოეხსენებინა მაკარენის წმიდა ქალწულისათვის.

ყველანი ტაძარში შევიდნენ ნასიონალის გარდა, რომელმაც ცოლი და ბავშვები შეუშვა, თვითონ კი გარეთ დარჩა.

— მე თავისუფალი მოაზროვნე გახლავარ. — განუმარტა მეგობრებს ნასიონალმა. — პატივს ვცემ ყოველგვარ რწმენას, მაგრამ რაც აქ ხდება, მტკნარი სისულელეა. მე შეუტრაცხოდას არ მივაყენებ მაკარენის ღვთიშობელს, არც მის უფლებათა ალაგმვას ვცდილობ, მაგრამ გეკითხებით, მეგობრებო, რატომ არ მოაშორა ხარი, როცა ხუანილიო არენაზე იწვა?

ღია კარიდან მოისმოდა ორდანის კენესა და მომღერალთა ნაზი, მელოდირი ხმები. ყვავილთა სურნელი არეულიყო საკმევლის სუნში.

გარეთ დარჩენილი ტორეროები და თაყვანისმცემლები სიგარას სიგარაზე ეწეოდნენ და დროის მოსაკლავად ხანდახან იქვე მახლობლად მდებარე სამიკიტნოში შედიოდნენ.

როგორც კი პროცესია ეკლესიის ზღურბლს მიუახლოვდა, მათხოვრები დაიძრნენ და ერთმანეთის ხელის კვრით წინ გამოქანდნენ. ისინი ჰაერში იჭერდნენ მათთვის გადმოყრილ ხურდა ფულს. მოწ-

ყალბა ყველას ერგო, რადგან გალიარდო ძალზე ხელგაშლილი იყო. მეგობრის მხარზე თავდაყრდნობილი ქალბატონი ანგუსტიასი ქვითინებდა. სახეზე ღიმგადაფენილი ახოვანი ესპადა ტაძარში შევიდა. ხელკავით მეუღლე მოჰყავდა. მღელვარებისაგან ათრთოლებულ ქალს თვალი დაეხარა... წამწამებზე ცრემლი უციმციმებდა.

კარმენს ეჩვენებოდა თითქოს მეორედ ჯვარს იწერდნენ ის და ხუანი.

VII

ვნების კვირაში ხუან გალიარდომ დედა დიდად გაახარა.

წინა წლებში მატადორი, მონაწილეობდა წმიდა ლავრენტის სამწყსოს პროცესიაში, ვითარცა იესო ქრისტეს ძმობის წევრი და როგორც წესია, იცვამდა შავ ლაბადას წოწოლა კაპიშონით, სახეს ნიღბით იფარავდა, რომელსაც მხოლოდ თვალებთან ჰქონდა დატოვებული ნაჩვრეტები.

ეს ძმობა მხოლოდ ამ სენიორებს აერთიანებდა და გამდიდრების გზაზე დამდგარმა ტორერომ გადაწყვიტა შესულიყო სწორედ ამ და არა რომელიმე სხვა, ღარიბთა ძმობაში, სადაც ღვთისმსახურება მუდამ ლოთობითა და აყალბაყალით იყო შეზავებული.

გალიარდო სიამაყით ყვებოდა თავისი რელიგიური წრის მკაცრ წესებზე. ყველაფერში ისეთი სიზუსტე და დისციპლინა იყო, როგორც არმიაში. ვნების ხუთშაბათ ღამეს წმიდა ლავრენტის ტაძრის საათი ორჯერ დაჰკარავს თუ არა, ერთბაშად ყველა კარი გაიხსნება და ჩაბნელებულ მოედანზე შექუჩებულ მაყურებელთა თვალწინ გადაიშლება ტაძრის გაჩირადდნებული შიდა სივრცე და ჩამწყრივებული ძმობის წევრები. შავ კაპიშონიანი, პირქუში და მღუმარე ძმები ნიღბის ნაჩვრეტებიდან თვალებს აბრიალებენ, მძიმე ნაბიჯით გამოდიან ორ-ორნი. წყვილებს შორის მანძილს იცავენ, ხელში ანთებული ჩირადდნები უჭირავთ და ქვის იატაკზე გრძელი ლაბადის კალთას მოათრევენ.

შთაბეჭდილებიანი სამხრეთელნი თავდავიწყებით შესცქეროდნენ ამ შავ მოჩვენებებს, რომლებსაც ხალხმა „მონანიეები“ შეარქვა: ამ იღუმალეებით მოსილ ნიღბებში, ვინ იცის, იქნებ წარჩინებული სენიორებიც ურევია. რომლებიც, ტრადიციული ღვთისმოსაობით, მონაწილეობენ ამ ღამის პროცესიაში, მზის ამოსვლამდე რომ გრძელდება.

ეს იყო მღუმარეთა ძმობის კავშირი, რამეთუ მონანიეთ სიტყვის თქმა ეკრძალებოდათ. მათ მუნიციპალიტეტის გვარდიის ჯარისკა-

ცები მიჰყვებოდნენ, რათა უსაქმურთაგან დაეცვათ. ხალხში მრავლად ერია მთვრალი. ქუჩაში დაძროდნენ დაუცხრომელი მლოცველები, რომლებიც ღვთის სავედრებლად ვნების კვირის ოთხშაბათიდან შაბათამდე სამიკიტნოდან სამიკიტნოში დაბორიალობდნენ. ბოლოს და ბოლოს, ღამის მოგზაურობა ნამდვილ წამების გზად იქცეოდა, რადგან ნაცემ-ნაგვემნი ბრუნდებოდნენ შინ.

როცა ძმობის წევრნი მომაკვდინებელი ცოდვის შიშით მღუმა-რედ მიაბიჯებდნენ ქუჩაში, ღვინისაგან სინდისგარეცხილი უწმინდურები მხარდამხარ მისდევდნენ მათ და ყურში საშინელ სალანძღავ სიტყვებს ჩასჩურჩულდნენ სრულიად უცნობ ძმებს და მათ ოჯახებსაც კი დაუზოგავად თათხავდნენ.

„მონანიეთ“ თავმოყვარეობა მსხვერპლად მიჰქონდათ დიდი ღმერთის საყურთხვევლზე და უხმოდ ყლაპავდნენ ამ ლანძღვა-თრევას. ასეთი თვინიერებით თავგასული აბეზარები უფრო და უფრო მაგარი გინებით მიაცილებდნენ მათ; მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, წმიდა ნილბოსანი მიხვდებოდა, რომ მას ლაპარაკი ეკრძალებოდა და არა მოქმედება. მაშინ კი დაუზოგავად ჩასცხებდა ჩირალდანს ცერემონიის საზეიმო განწყობილების დამრღვევ ლოთს.

თუ წმიდა ნაწილთა მტვირთველთ მსვლელობის დროს შესვენება ენებებოდათ, და ქანდაკებითა და შანდლებით დამძიმებულნი ლანგარნი მიწაზე დაეშვებოდნენ, საკმარისი იყო ჩურჩულით წარმოთქმული ბრძანება, რომ მთელი პროცესია მყის შეჩერებულიყო და მაშინ ძმობის ყოველი წევრი გვერდით მდგომს მიუბრუნდებოდა, ჩირალდანს ფერხთით დაიბჯენდა, უმოძრაოდ გაიჩინდებოდა და საიდუმლოებით მოცული გამომეტყველებით იმზირებოდა ნილაბის ჭუჭრუტანიდან. ისინი მიაგავდნენ შუასაუკუნეების აუტოდაფეს დროინდელ ბნელეთის მოციქულთა და მიწაზე ათრეული შავი მანტიის კალთიდან თითქოს კოცონთა ნატისუსალი და კვამლი ამოდიოდა. წოწოლა კაპიშონებს ზემოთ ძმობის ბაირაღები ფრიალებდა. ეს იყო ოქროს ფოჩებმოვლებული შავი ხავერდის სწორკუთხეები, რომლებზეც შემდეგი ასოები იყო ამოქარგული S. P. Q. R,* რაც ნიშნავდა იუდეველ პროკურატორთა მონაწილეობას ქრისტეს სიკვდილში.

წყნარად მიიწევდა წინ სცენა დიდი უფლის იესო ქრისტეს წამებისა — ლითონის მძიმე სარბიელი, მისგან მიწამდე დაშვებული შავი ხავერდის ფარდები ფარავდა ოც, სანახევროდ ტიტველ, გა-

* ეს ფორმულა ასახავდა რომის სახელმწიფოს რესპუბლიკის დროს (senatus populusque Romanus) — „რომის ხალხი და სენატი“ (ლათ.).

ოფლილ მტვირთველს. სარბიელის კუთხეებში ღუოდა შანდლები, რომლებიც ხელთ ეპყრათ ოქროს ანგელოსებს. ცენტრში იესო ქრისტე იდგა მკვდარივით ფერმკრთალი სახით და ცრემლიანი თვალებით. იესოს ჰქონდა ტრაგიკული, წაძებული, გასისხლიანებული სახე. თავს ეკლის გვირგვინი ედგა, მძიმე ჯვარქვეშ სუნთქვა შეეკროდა, ტანთ ემოსა ოქრომკედით ნაქარგი ბავერდის ფართო ტუნიკა.

დიდი მეუფის გამოჩენისას ასობით ადამიანს ოხვრა აღმოხდებოდა ხოლმე გულიდან.

— იესუ, უფალო ჩვენო! — ჩურჩულებდნენ დედაბრები და არ ძალედვათ თვალი მოეწყვიტათ ხატისათვის. — ჩვენო დიდო მეუფეო, მოგვიტევებდე და შეგვიწყალებდე ჩვენ!

ჯინები, რომელსაც შავი კაპიშონების პროცესია მოაცილებდა, მოედნის შუაგულში ჩერდებოდნენ და ღეთისმოსავ ანდალუსიელთა ბრბო, რომელიც თავის გრძნობებს მუდამ სიმღერით გამოხატავს, ხმის ბულბულებრივი წკრიალითა და გაუთავებელი მელოდიური გოდებით ეგებებოდა მას. სიჩუმეს ჯერ ბავშვის წკრიალა და ნაზი ხმა არღვევდა. ყმაწვილი ქალი, რომელიც ხალხის წინა რიგებში იდგა, იესოს სადიდებლად წამოიწყებდა საეტას, სამსტროფიან სიმღერას, მიძღვნილს უფლისა მიმართ „ღვთაებრივ ქანდაკებისა“ და მისი შემოქმედის მოქანდაკე მონტანიესის — ესპანეთის ოქროს ხანის ხელოვანთა თანამოძმისადმი.

პირველი საეტა მუდამ ჰგავს პირველ გასროლას ბრძოლის დროს, რომელსაც მერე ბათქაბუთქი მოსდევს. გოგონა სიმღერის წამოწყებას ვერ ასწრებდა, რომ საიდანაც მოისმოდა მეორის, შესამის, მერე მეოთხის მოძახილი და მოედანი თითქოს ემსგავსებოდა გალიას, სადაც მეგობრის ხმით გამოფხიზლებული ჩიტები ერთდროულად სხვადასხვა ჰანგზე გალობდნენ. მამაკაცთა ხრინწიან ხმას ქალების წკრიალა ხმა უერთდებოდა. ხალხი მიშტერებოდა ქრისტეს, დავიწყებოდათ ყოველივე ამქვეყნიური, ვერავის ხედავდნენ, თავის სიმღერის გარდა არაფერი ესმოდათ, შეუცდენლად იმეორებდნენ ტაეპებს და ეს არეული ხმები ხმაშეუწყობელ გუნდს მოჰგავდა. კაპიშონიანი ძმები ყურს უგდებდნენ სიმღერას, შესცქეროდნენ ჯვრის სიმძიმით წელში მოხრილ ქრისტეს, რომელიც უარს არ ამბობდა ქებაზე და კვლავ ცრემლს ღვრიდა. მაგრამ აი პროცესიის ხელმძღვანელმა აუწყა ხალხს, შესვენება დამთავრდა და ვერცხლის კვერთხი ჯინს დაარტყა. „ასწიეთ!“ დიდი ღმერთი ოღნავ შეიჩხა, ბრბოს თავზე აღიმართა. კვლავ ამოძრავდა უხილავ მებარგულეთა ფეხი.

შემდეგ მოჰქონდათ წმიდა ქალწულის ქანდაკება, მწუხარე ღვთისმობელი. ყოველ მრევლს ორი „სცენა“ ეკავა. ერთზე ძეგ ღვთისა

იყო გამოსახული, ხოლო მეორე ღვთისმობელი, ხავერდის ბალდახინზე ბრწყინავდა სანთლის შუქით გასხივოსნებული მწუხარე ღვთისმობლის ოქროს გვირგვინი. ჯინებს უკან მოფრიალობდა რამდენიმე მეტრის სიგრძე მანტიის შლეიფი, რომელიც ხის განბჯენებზე გადაეჭიმათ, რათა უკეთ გამოჩენილიყო მდიდრული, მბრწყინავი, ოქრომკედით ნაქარგი — მქარგველთა მთელი თაობის გულმოდგინე ოსტატობის ნაყოფი.

წმიდა ქალწულს მიაცილებდნენ წოწოლა კაპიშონიანი ძმობის წევრები. მოგიზგიზე სანთლებით გაშუქებული მეფის მანტია ირგვლივ კაშკაშა სხივებს აფრქვევდა. ძმობის წევრებს დოლის ხმის ტაქტზე უკან მოჰყვებოდა ქალთა მრევლი: მათი კაბები სიბნელეს შერეოდა, ზეადმართულ ხელებში ეპყრათ სანთლები, რომელთა წითელი ალი სახეს უნათებდათ. აქ იყვნენ მანტილიაში გახვეული ფეხშიშველა დედაბრები, ქალიშვილები თეთრ კაბებში, რომლებიც სულარის მაგივრობას ეწეოდნენ. შემდეგ გაჭირვებით მიაბიჯებდნენ უცნაური სენით მუცელწამობერილი ქალები, რომელნიც ძლივს მიათრევდნენ ამ მძიმე ტვირთს, ხოლო სულ ბოლოს მიდიოდა დიდი შეუფისა და მისი ყოვლადწმიდა დედის წყალობით სიკვდილისაგან ხსნილ წამებულთა მთელი არმია. ახლა ისინი აღთქმის ასასრულებლად მისდევდნენ მათ ქანდაკებებს.

წმიდა ძმობის პროცესია ხანგრძლივი შესვენებითა და გალობით ნელა შემოივლიდა ქალაქის ყველა ქუჩას და შედიოდა ტაძარში, რომლის კარიც მთელი დამე ღია იყო. ძმობის წევრები ანთებული სანთლებით ხელში განლაგდებოდნენ გრანდიოზული ტაძრის უზარმაზარ ეკვდერებში. მკრთალ სინათლეში, რომელსაც არ ძალუძდა თაღებქვეშ დაგუბებული უკუნი წყვილიადის გაფანტვა, ბუნდოვნად ისახებოდნენ ოქროს ზოლიანი წითელ ხავერდგადაკრული კედლის სვეტები. ქვემოთ ფუთფუთებდნენ ჩირალდნების წითელი ანარეკლით გაშუქებული ადამიანები, რომლებიც თავიანთ კაპიშონებში სამკუთხოვან შავ მწერებს მიაგავდნენ. ზემოთ კი კვლავინდებურად დამე სუფევდა. შემდეგ ყველა ერთად სტოვებდა ამ სამარისებურ წყვილადს, კვლავ ვარსკვლავიანი ცის ქვეშ გამოდიოდნენ და მალე იქვე პროცესიის შესახვედრად მზეც ამოდიოდა. დილის შუქზე უღიმღამოდ კრთოდნენ სანთლები და სამაგიეროდ, უფრო ძალუძად იწყებდა ბრწყინვას ცრემლი და ჭირის ოფლი ქანდაკებათა სახეებზე და ოქრო წმიდათა სამოსელზე.

გალიარდო დიდი უფლის მგზნებარე თაყვანისმცემელი გახლდათ და ძმობის კავშირის საზეიმო მღუმარებით ძალზე აღტაცებული იყო. ეს ძალზე სერიოზული რამაა! სხვა ძმობის კავშირები პირდა-

პირ სასაცილოდ გამოიყურებოდნენ თავიანთი თავხედობითა და არაკეთილსინდისიერებით. მაგრამ ეს? შესანიშნავია, მეგობარო! გალიარდო გრძნობდა, ტანში ქრუანტელი როგორ უვლიდა „მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო ქრისტეს ქანდაკებისა“ და შავ კაპიმონიანი ძმების საზეიმო მსვლელობის დროს. შავ კაპიმონიან ძმობის კავშირში მხოლოდ ღირსეულებს იღებდნენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, მატადორმა გადაწყვიტა ამ წელს უფალი იესო მიეტოვებინა და შესულიყო მაკარენის ძმობის კავშირში, რომელიც სასწაულების ჩამდენ ღვთიშობელს თავყვანს სცემდა. როცა ანგუსტიასმა ხუანის აზრი შეიტყო, სიხარულით არ იცოდა რა ექნა. მისი შვილი ვალს მოიხდიდა წმიდა ქალწულის წინაშე, რომელმაც სიკვდილს გადაარჩინა. ამასთან, დაკმაყოფილებოდა დედის კეთილშობილი მონუარი სიამაყე.

— ყოველი ადამიანი თავისიანებთან უნდა იყოს, ხუანილიო. კარგია პატივცემულ ადამიანებთან რომ მეგობრობ, მაგრამ გახსოვდეს: ღარიბებს მუდამ უყვარდი და ახლა ნაწყენი არიან, რადგან ფიქრობენ, რომ შეიძულე ისინი.

ტორერომ თვითონაც კარგად იცოდა ყოველივე. ხმაურიან ბრბოს, რომელიც მზიან მხარეს იჯდა ხოლმე, მხდალად მიაჩნდა და მტრულად იყო მისდამი განწყობილი. ისინი ამტყუნებდნენ ხუანს, რომ მდიდრებს დაუმეგობრდა და ადრინდელ თავყვანისმცემლებს უკადრისობდა. გალიარდო ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა მოესპო ეს მტრობა. იგი პირფერობდა, მოურიდებლად მლიქნელობდა, რაც დამახასიათებელია იმ ადამიანისათვის, რომელიც ბრბოს მხარდაჭერით ცხოვრობს.

ამგვარად, მატადორმა მაკარენას ძმობის კავშირის ყველაზე გავლენიანი ხალხი ინახულა და განუცხადა, რომ მათ პროცესიას გაყვებოდა. მხოლოდ ამის შესახებ არავინ გაიგოს, რადგან ამას ღვთისმოსაობით ჩავდივარ და მსურს საიდუმლოდ დარჩესო.

მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ სიხარულით გაამაყებულნი მთელი რაიონი მხოლოდ ამაზე ლაპარაკობდა: „ო, რა კარგი იქნება ამ წელს მაკარენის პროცესია!“.. გარეუბნის მცხოვრებთ ეზიზღებოდათ ქრისტეს ძმობის კავშირის მდიდარი წევრები, თავიანთი მშვიდი, უშფოთველი მსვლელობით. მათ ეშინოდათ მდინარის გაღმა მცხოვრებ შფოთისთავა მეტოქეებისა, რადგან ისინი ტრიანის ძმობის კავშირში შედიოდნენ და თავს იწონებდნენ თავიანთი მფარველი ღვთიშობილთა და ცოდვების მომნანიებელი ქრისტეთი, რომელსაც „უწმიდეს ყრმას“ უწოდებდნენ.

— აი ნახავთ, როგორი იქნება ჩვენი მაკარენა. — მოისმოდა ყო-

ველ მზრიდან. — სენია ანგუსტიასი ჯინებს ყვავილებით მორთავს. ხუანილიო კი მთელ თავის სიმდიდრეს წმიდა ქალწულს შესწირავს.

ასეც მოხდა. გალიარდომ შეაგროვა თავისი და ცოლის ძვირფა, სეულობა, რათა წმიდა მაკარენის ღვთიშობლის ქანდაკება შეემყო. მატადორის მიერ კარმენისთვის მადრიდში ნაყიდი საყურით ქანდაკება შეამკეს. ღვთიშობელს მკერდს უმშვენებდა ტორეროს ოქროს ძეწკვი, რაზედაც ასხმული იყო ბეჭდები და ბრილიანტის საკინძეები, რომლითაც ხუანი ხალათს იკრავდა ხოლმე, როცა საზეიმოდ ეწყობოდა.

— ღმერთო! რა მორთული იქნება ჩვენი შავთვალა. — ამბობდნენ რაიონის მცხოვრებლები თავიანთ ღვთიშობელზე. — ხუანიც ჩვენთან წამოვა და მთელი სევილიის საზოგადოება სიბრაზით ცოფებს დაყრის.

როცა მატადორს ეკითხებოდნენ, რომელ პროცესიას გაყვებით, მორიდებულად იღიმებოდა. რა თქმა უნდა, თავყანსა სცემს მაკარენის ღვთიშობელს, რომელიც მფარველობს მშობელ მხარეს. ამასთან სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი მამამისი მუდამ ამ პროცესიაში მონაწილეობდა. ეს დიდი პატივი იყო მისი ოჯახისთვის და გალიარდო რა კაცი იქნება, ზუჩი არ ჩამოიფხატოს, ხელში შუბი არ აიღოს და რომელ ლეგიონის ტანსაცმელში გამოწყობილი ქუჩაში არ გამოვიდეს წინაპრებივით, რომელთა ნეშტი დიდი ხანია მიწამ მიიბარა.

გალიარდოს სიამოვნებდა მორწმუნეთა შორის პოპულარობა. სურდა რაიონში სკოდნოდათ პროცესიაში მისი მონაწილეობის შესახებ, მაგრამ ამასთანავე, ფრთხილობდა, ეს ამბავი ქალაქს არ მოსდებოდა. მატადორს სწამდა წმიდა ქალწულისა და მომავალი ხიფათის თავიდან ასაცილებლად სურდა მოეგო მისი გული. ამასთან სიერპესის ქუჩაზე, კლუბის წევრების დაცივნისაც ეშინოდა.

— თუ გაიგეს, დამცინებენ, — ამბობდა გალიარდო, — საჭიროა ყველასთან მეგობრულად იყო განწყობილი.

ვენების კვირის ოთხშაბათ საღამოს გალიარდო მეუღლითურთ „მიზერერეს“* მოსასმენად ეკლესიაში წავიდა. ტაძრის უზომოდ მაღალი, ისრის ფორმის თაღები პილასტრებში დამაგრებული სანთლების მოწითალო შუქით იყო გაჩაღებული. მლოცველები თითქმის ხელისცეცებით მოძრაობდნენ. ქალაქის ცნობილი საზოგადოება ბრბოსგან მოშორებით, საკურთხევლის მოაჯირს იქით იმყოფებოდა.

სიბნელეში ვარსკვლავებივით ციმციმებდნენ მუსიკოსებისა და

* ერთ-ერთი წირვა, რომელიც მუსიკით სრულდება.

მომღერლებისთვის ანთებული სანთლის მოწითალო ნაპერქკლები. საიდუმლოებით მოცულ სიბნელეში ესლავას მიერ დაწერილი „მიზერერეს“ მხიარული მელოდია გაისმა. ეს იყო ანდალუსიელების სულისკვეთების შესაფერისი, ჩიტების ფრენის მსგავსი, მხიარული და მოხდენილი „მიზერერე“, რომელიც საყვარელ სერენადებსა და სუფრულ სიმღერებს მოგაგონებდათ. მელოდიაში აგრეთვე ჩაქსოვილი იყო ისეთი აზრი, რომ ამქვეყნიურ მომჯადოებელ ცხოვრებაზე იმარჯვებდა სიკვდილი და ვნებებს თრგუნავდა.

როცა მომღერლის უკანასკნელი რომანსი, ადამიანების ქვითინი და ვედრება თაღებმა შთანთქქეს, ხალხი ქუჩაში გამოვიდა. ქალაქი უზარმაზარ თეატრს მოჰგავდა. ტროტუარზე სკამები იყო ჩამწკრივებული, მოედნებზე ლოყები აღემართათ.

გალიარდო წამოვიდა, რათა მონანიეების ტანსაცმლით შემოსილიყო. ქალბატონი ანგუსტიასი ახალგაზრდული მზრუნველობით შვილს ტანსაცმელს უმზადებდა. საცოდავი მისი მეუღლე. ამგვარ დღესასწაულებზე მებრძოლივით იცვამდა. მხარზე შუბგადებული შინიდან გადიოდა, რათა მეგობრებთან ერთად ყველა სამიკიტნო შემოევლო და მეორე დღეს დამსხვრეული ჩაჩქანითა და დასერილი ტანსაცმელით დაბრუნებულიყო.

გალიარდომ გულმოდგინე ქალივით დაიწყო მზადება. ლაქის ფეხსაცმელები და დედის მიერ შეკერილი ხალათი ჩაიცვა... გრძელკაპიშონიანი ხავერდის ლაბადა მოიხურა, რომელიც სახეს ნიღაბით უფარავდა... მკერდს სხვადასხვაფერი აბრეშუმის ძაფით ნაქარგი ძმობის გერბი უშმევნებდა. მატადორი გამოეწყო. ხელში დაიკავა თეთრი ხელთათმანები და მწვანე ხავერდგადაჭიმული ვერცხლის წვეტიანი კვერთხი — რომელიც აღნიშნავდა, რომ მატადორი ძმობაში განსაკუთრებული პრივილეგიით სარგებლობდა.

შუალამით კოხტად გამოწყობილი „მონანიე“ წმიდა პილიის ტაძრისკენ გაემართა. ქუჩები ხალხით იყო სავსე. სანთლებისა და სამიკიტნოების კარებიდან გამოსული სინათლის ჩრდილები სახლების თეთრ კედელზე ნაირფერად ირეკლებოდა.

ტაძრისკენ მიმავალ ვიწრო გზაზე, სადაც პროცესიას უნდა გაველო, გალიარდო „იუდეველთა“ შეიარაღებულ რაზმს შეეფეთა. მრისხანე ჯალათები ამაცობდნენ თავიანთი დისციპლინით და დაუცხრომლად მოგუგუნე დაფდაფების გრიალში ერთ ადგილზე მოძრაობდნენ. აქ იყვნენ მოხუცები და ახალგაზრდები. ყოველ მათგანს ფოლადის მუზარადი, ღვინისფერი მოსასხამი, პირისფერი წინდა და დაწნული სანდალი ეცვა. ქამარზე რომაული ხმალი უბზინავდათ. მხარზე თანამედროვე ჯარისკაცების მიბამქვით თოფის ღვედივით

თოკი გადაეჭიმათ და ზედ შუბი ჩამოეკიდათ. რაზმის წინ, დაფდაფის გრიალში, ლათინური ასოებით ამოქარგული რომაული დროშა ფრიალებდა. რაზმს წინ მოუძლოდა ძვირფასად ჩაცმული მეომარი. გალიარდომ მაშინვე იცნო იგი.

— წყეულმც იყავ! — წაიბურღლუნა ტორერომ და ნიღბის ქვეშ ჩაიციხა. — მე ყურადღებასაც არ მომაქცევენ. დღეს ყველა ჯილდოს ეს ქაბუჯი დაიმსახურებს.

ის ახალგაზრდა გახლდათ კაპიტანი ჩივო, განთქმული ბოშა მომღერალი და სამხედრო დისციპლინის ერთგული დამცველი. იგი დილით ჩამოვიდა პარიზიდან, რათა თავისი რაზმისთვის მეთაურობა გაეწია. ამ მოვალეობის შეუსრულებლობა ჩივოსთვის ნიშნავდა კაპიტნის ჩინის დაკარგვას, რომელიც პარიზის რესტორნებზე გაქრულ აფიშებს ამშვენებდა და სადაც იგი თავის ქალიშვილებთან ერთად ცეკვავდა და მღეროდა. ჩივოს ქალიშვილები ზვლიკვიით მარდნი და მკვირცხლნი იყვნენ. მათი დიდრონი თვალები და შლეგიანი ცეკვა მამაკაცებს გონს უკარგავდა. უფროსს ბედმა გაუღიმა, რუსმა თავადმა გაიტაცა. პარიზის გაზეთი რამდენიმე დღეს ზედზედ იუწყებოდა „ესპანეთის არმიის კეთილშობილი ჯარისკაცის“ სასოწარკვეთილებაზე, რომელიც სახელის შემბლაღველის მოკვლას აპირებდა. ამიტომ ხალხი მას დონ კიხოტს ადარებდა. ერთ-ერთ მეორე ხარისხოვან თეატრში ბოშა ქალის მოტაცებაზე ოპერეტაც დადგეს, სადაც წარმოდგენილი იყო მოცეკვავე ტორეადოროები, მონაზვნების ქორო და ესპანეთის დამახასიათებელი სხვა აქსესუარები...

ბოლოს და ბოლოს, ჩივო დათანხმდა ზარალის ანაზღაურებაზე, შეუთრგდა სიძეს და ქალიშვილებთან ერთად განაგრძობდა პარიზში ცეკვას და კიდევ ერთი თავადის ხელში ჩაგდებას ცდილობდა. კაპიტნის ჩინის დანახვა კი ზოგი უცხოელის სევდას იწვევდა და ფიქრობდა ამქვეყნიური ცხოვრების ამაოებაზე: „ო, ეს ესპანეთი დატაკი ქვეყანაა, ჯამაგირს არ აძლევს კეთილშობილ მეომრებს და აიძულებს მათ, ქალიშვილები სცენაზე გაგზავნონ“...

ენების კვირას კაპიტანი მუდამ ჩამოდიოდა სევილიაში, გამომშვიდობებისას მკაცრი მამა ასე მიმართავდა ხოლმე ქალიშვილებს:

— გოგონებო, მე მივემგზავრები. აბა, თქვენ იცით. წესიერად და ჭკვიანად მოიქეცით. ასეული მიცდის, რას იტყვიან ჯარისკაცები, მეთაური თუ მათთან არ იქნება!

პარიზიდან სევილიაში მიმავალი ჩივო გზაში თავის მამაზე და ბაბუებზე ფიქრობდა, რომელნიც მუდამ მაკარენის ძმობის „იუდეველთა“ კაპიტნები ყოფილან და უხაროდა, რომ წინაპრების მემკვიდრეობას ახალ დიდებას ჰმატებდა.

კაპიტანმა ნაციონალური ლატარეის გათამაშების დროს ათი ათასი პიესეტი მოიგო. თანხა თავისი ღირსების შესაფერისი ტანსაცმლის შეძენას მოანდომა. მთელი უბნის ბიჭები მოგროვდნენ, რომ ოქროსფრად მბრწყინავი ტანსაცმელი და თეთრფრთიანი, სარკესავით მოელვარე ჩაფხუტი ენახათ. ჩივო ისე ფანტასტიკურად და ძვირფასად მორთულიყო, რომ მაგდაგვარ ტანსაცმელზე მხოლოდ იუდეველთა სარდალს შეეძლო ოცნება. ქალები ხავერდის ლაბადას ხელს ჰკიდებდნენ და ალტაცებული იყვნენ ოქროსფერი სამოსელით, რომელზეც ლურსმნები, ჩაქუჩები, ეკლები და ერთი სიტყვით, ღმერთების ყველა ატრიბუტი ეხატა. კაპიტანის ყოველ მოძრაობაზე ჩექმებზე დაყოლებული ძვირფასი თვლები ისე ელავდნენ, თითქოს ნაპერწყლები სცივდნენ. თეთრი ფრთებით დაჩრდილულ აფრიკულ სახეს თეთრი ქილვაშები უმშვენებდა. ეს სამხედრო წესის დარღვევა იყო, ამას თვით კაპიტანიც აღიარებდა, მაგრამ მერე ხომ პარიზში უნდა დაბრუნებულიყო და ხელოვნება ცოტაოდენ შეღავათს მოითხოვდა.

კაპიტანი ამაყად აქნევდა თავს და ლეგიონებს არწივივით უმზერდა.

— ვნახთო! აბა ერთი გაბედონ და აუგი თქვან ჩვენს ასეულზე! მთავარია წესრიგი და დისციპლინა.

კაპიტანი მეჩხერ კბილებს შორის ისე ჩახლეჩილად და უხეშად გამოსცრიდა ბრძანებებს, როგორც საცეკვაოდ ერეკებოდა შვილებს.

დაფდაფების გრიალში ასეული მტკიცედ მიაბიჯებდა. ო, რამდენი სამიკიტნო იყო ყოველ ქუჩაზე! ამ სამიკიტნოს კარებთან ქრისტეს მოწამებრივი სიკვდილის აღსანიშნავად გამომთვრალი, მკერდგაღელილი, ქუდჩამოფხატული უსაქმურნი იდგნენ. მთვრალეები მამაც მეომარს ყვირილით ესალმებოდნენ და კეთილსურნელოვან ღვინოს სთავაზობდნენ. კაპიტანი მღელვარებას იოკებდა, მეორე მხარეს იყურებოდა და ფოლადის ჯაგშანს უფრო მკიდროდ ეკვროდა. სამსახურეობრივ მოვალეობას რომ არ ასრულებდეს!.. ზოგჯერ რომელიმე თავხედი ქუჩას გადასერავდა, ჰქაჟს კაპიტანს ცხვირთან მიუტანდა და ღვინის არომატით ჩივოს შეცდენას ლამობდა. მაგრამ მოუსყიდველი მეომარი უკან იხევდა და მაცდუნებელს მახვილით ემუქრებოდა.

ამჟამად ყველაზე მთავარი მოვალეობის შესრულებაა! წელს არ გამეორდება ის, რაც წინათ ხდებოდა, ქუჩაში გამწკრივებული მეომრები რომ ბარბაცებდნენ. კაპიტან ჩივოს საჭურველში ძალზე სცხელოდა, ქუჩაში საზეიმო მსვლელობა ნამდვილ წამებად გადაიქცა; ერთი ყლუპი ღვინის გამო დისციპლინა არ დაირღვევო და თან-

ხმდებოდა დაელიათ თითო ჰიქა. ჰიქას ჰიქა მოსდევდა და ჯარისკაცების რიცხვი თანდათან კლებულობდა, რადგან უმრავლესობა ღუქნებშივე რჩებოდა.

პროცესია ტრადიციული სიღინჯით მიიწევდა წინ, ყოველ მოსახვევში საათობით ჩერდებოდა. რა ეჩქარებოდათ! ჯერ შუაღამე იყო. მაკარენი მხოლოდ ხვალ დღის თორმეტ საათზე უნდა დაბრუნებულიყო შინ.

ქალაქის გავლას პროცესია უფრო მეტხანს უნდებოდა, ვიდრე ადამიანი სველიიდან მადრიდამდე ჩასვლას.

წინ მიჰქონდათ სცენა „დასჯა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“ — ეს იყო ათასგვარი ფიგურებით სავსე ფიცარნაგი. ვერცხლის ტახტზე მედიდურად იჯდა პილატე*, გარშემო ეხვივნენ ფერად-ფერად ლაბადიანი მეომრები, რომელთაც ფრთაგარკობილი ჩაფხუტები ეხურათ. ისინი დარაჯობდნენ მწუხარე, წამებისათვის გამზადებულ ქრისტეს, რომელსაც ოქრომკედით ნაკერი მუქი ხავერდის ტუნიკა ემოსა. მის ეკლის გვირგვინზე ფრიალებდა ოქროს ფრთები — სიმბოლო ღვთაებრივი სიწმიდისა. მდიდრული მორთულობის და აუარებელი ფიგურების მიუხედავად, ეს სცენა მაინც არ იპყრობდა ბრბოს ყურადღებას. ყველაფერს ჩრდილავდა ის, რაც მას მოსდევდა: დატაკთა უბნების დედოფალი, სასწაულთმოქმედი ღვთიშობელი, სასოების მომნიჭებელი მაკარენა.

როცა წმიდა ჰილიის ტაძრიდან უჩინარმა მებარგულეებმა ტორტმანით ხავერდის ბალდახინში მყოფი მოვარდისფრო ლოყებიანი და გრძელწამწამებიანი ღვთიშობელი გამოიყვანეს, ხალხმა გზა დაუთმო და ალტაცებით ახმაურდა, რა მშვენიერია ყოვლად წმიდა მბრძანებელი ჩვენი! წლებმა ვერ შეცვალეს იგი!

ოქრომკედით ნაქარგი ბადისებური ქსოვილის გრძელი, ბრჭყვიალა მანტილია ჯინებიდან მიწაზე გადმოფენილიყო და ფარშავანგის ვეება ჭრელი კუდივით მოფორიალობდა უკან. წმიდა ქალწულის შუშის თვალები ისე ანათებდნენ, თითქოს მორწმუნეთა თაყვანების პასუხად მღელვარების ცრემლი სდისო. უფრო მკვეთრად ციმციმებდა და ბზინავდა ქანდაკებაზე ჩამოკიდებული ძვირფასეულობა და თითქოს ჯავშნით დაფარული ოქრომკედით ნაქარგი ხავერდი. გეგონებოდათ წმიდა ქალწულს მბრწყინავი, ცისარტყელას ყველა ფერებით ანთებული წვიმის წვეთები შეშხეფებიაო. კისერზე ეკიდა მარგალიტის ყელსაბამები და ბეჭდებსხმული ოქროს ძეწკვები,

* პილატე პონტელი, რომელი მმართველი იუდეისა 26-36 წ. წ. სახარების ლეგენდის თანახმად, მისი მმართველობის დროს იქნა დასჯილი იესო ქრისტე.

რომლებიც ყოველ მოძრაობაზე ჯადოსნური ცეცხლით ლოვლივებდა. ტუნიკისა და მანტილიის წინა კალთებზე მიმაგრებული იყო ქინძისთავეები, ოქროს საათები, ბრილიანტისა და ზურმუხტის საყურეები, ოქროს ბეჭდები ვეება რიყის ქვის ოღენა ძვირფასი თვლებით. ამ დღისთვის ყველა მორწმუნე გზავნიდა თავის ძვირფასეულობას, რათა ყოველად წმიდა მკარენა მთელი თავისი ბრწყინვალეობით წარმომდგარიყო. ამ სევდისა და ლოცვის ღამეს ქალები უბეჭდოდ და უსამაჯუროდ გამოდიოდნენ ქუჩაში და გულთ უხაროდ, რომ ძვირფასეულობით, რომლითაც ისინი ამყობდნენ, ახლა ღვთისმობელი მოირთვებოდა. ხალხი ყველა სამკაულს იცნობდა, რადგან წლების მანძილზე ხედავდა მათ და ახლა თვალს ადევნებდა მხოლოდ ახალს. და აი, წმიდა ქალწულის მკერდზე ბრწყინავს მატადორ გალიარდოს ძეწკვზე ასხმული სამკაულები. მაგრამ ხალხი არა მართო ამ მორთულობით იყო მოხიბლული. ქალები თვალს ვერ აცილებდნენ ორ უზარმაზარ მარგალიტს და ბეჭდების მთელ ასხმას. ყოველივე ეს მათ თანაუბნელ გოგოს ეკუთვნოდა, რომელიც ორი წლის წინათ ბედის საძიებლად მადრიდს გაემგზავრა და ახლა მკარენასათვის რომ მადლობა ეძღვნა, ფიესტაზე ვილაც მდიდარ მოხუცთან ერთად ჩამოსულიყო. ბედმა გაულიმა გოგოს!

გალიარდო, რომელსაც სახე კაპიშონით მოებურა, ძმობის მეთაურებთან, კვერთხს — ძალაუფლების სიმბოლოს დაბჯენილი, მიაბიჯებდა, წმიდა ქალწულების გამოსახულების წინ. დანარჩენ მლოცველებს მიჰქონდათ ოქროს აშიამოვლებული მწვანე მაუდის სწორკუთხედებით მორთული დიდი საყვირები. ისინი ნიღბის კრილამდე სწევდნენ საყვირებს და მყუდროებას არღვევდა გულშემზარავი გრუხუნი, ნიშანი წამებისა; მაგრამ ეს შემზარავი ხმა როდი იწვევდა ხალხის გულში სიკვდილისკენ მისწრაფებას. შორეულ, ბნელ და უკაცრიელ მოსახვევებში, ბაღების, არმატული ყვავილების და ფორთოხლის ხეების კეთილსურნელებით გაჟღენთილი გაზაფხულის ქარი დაჰქროდა. ლურჯი ზეცა გაფითრებულიყო ბუმბულისებურ ღრუბლებს შორის მომზირალი მთვარის ალერსისაგან. დაღვრემილი კორტეჟი, თითქოს ბუნების ჯიბრზე მიიწვედა წინ და თანდათან კარგავდა საზეიმო განწყობილებას. ამაოდ კვნესოდნენ მწუხარე საყვირები, ამაოდ ქვითინებდნენ წმიდა სიმღერებს მომღერლები და ამაოდ იღუშებოდნენ მკაცრ ჯალათთა ქანდაკებანი. გაზაფხულის ღამე იღიმებოდა, ირგვლივ საამო სურნელებას აფრქვევდა და სიკვდილზე არავინ ფიქრობდა.

წმიდა მკარენას ირგვლივ უწესრიგოდ ირეოდა აღფრთოვანებული თაყვანისმცემლები. გარეუბნის მეზღეებს და მათ თავშიშვე-

ლა ცოლებს გათენებამდე დაჰყავდათ თავიანთი ბავშვების გუნდი. ყურებთან თმაგადავარცხნილი, ახალ ფეტრის ქუდეებში გამოწყობილი ადგილობრივი ახალგაზრდობა, გამწარებით იქნევედა ჯოხს და მზად იყო ჰქუა ესწავლებინა მათთვის, ვინც წმიდა ქალბატონს მოწინებით არ მოეპყრობოდა. ბრბო ვიწრო ქუჩებში ბობოქრობდა, კედლებს ეკვროდა, რათა გაეტარებინათ უზარმაზარი ჯინები. სიმთვრალისაგან გამოჩერჩეტებული ხალხი თვალს არ აშორებდა ქანდაკებას, მხოლოდ მასზე საუბრობდა, ხოტბას ასხამდა მაკარენას სილამაზეს და მის სასწაულმოქმედ ძალას.

— ოლე, მაკარენა! მსოფლიოში ყველაზე უკეთესი ქალწული! არც ერთ ქალს არ ჩამოუვარდება!..

ყოველ ორმოცდაათ ნაბიჯს შემდეგ ჯინები, რომელზედაც წმიდა ქანდაკებები იდგა, ჩერდებოდა. ღამე დიდია და საჩქარო არაფერი არ იყო. მრავალი ცნობილი პიროვნება მოითხოვდა, პროცესია მისი სახლის წინ შეჩერებულიყო, რომ წმიდა ქალწული უკეთ შეეთვალეებინათ. მიკიტნებიც კი იმავე კვარტალში მცხოვრები ხალხის სახელით იხვეწებოდნენ სამიკიტნოს წინ ცოტა ხნით შეისვენეთო.

— შეჩერდით, მოიცადეთ! აქ იმყოფება მსოფლიოს უპირველესი მომღერალი და სურს წმიდა ქალწულის პატივსაცემად იმღეროს. „მსოფლიოს უპირველესმა მომღერალმა“ კიქა ამხანაგს გადასცა. თანამესუფრეს მხარზე დაეყრდნო და ბარბაცით გაემართა წმიდა ქალწულისაკენ. მერე ხველება აუტყდა და ისე ხრინწიანი ხმით იმღერა, რომ სიტყვები არ ისმოდა. გაკირვებით გაარჩევდით, რომ იგი მღეროდა „მშობელზე“, ღვთისმობელზე და ყოველი სიტყვის წარმოთქმაზე ხმა აღელვებისგან უთრთოდა — რადგან ხალხურ პოეზიაში მშობლის სიყვარული მუდამ შთაგონების წყარო გახლდათ. ვერც კი მოასწრო მომღერალმა თავისი გაკვიანურებული სიმღერის დამთავრება, რომ ვიღაცამ მიჰბაძა, მას აყენენ სხვებიც და ნამდვილი მუსიკალური შეჯიბრი გაიმართა, თითქოს მთელი ქუჩა უჩინარი ჩიტუნებით გაივსო. ერთნი მღეროდნენ ილაჯგაწყვეტილნი, ჩახლჩილად, მეორენი კი მთელი ძალ-ღონის დაძაბვით და წკრიალა ხმით. მომღერლების უმრავლესობა ხალხში იმალებოდა და არ სურდა თავისი ღვთისმოსაობის გამოძეღვენება. დანარჩენნი, თავისი ხმითა და „მანერით“ გაამაყებულნი, შუა ქუჩაზე გამოდიოდნენ, მაკარენას პირისპირ დგებოდნენ, რათა ყველას დაენახა.

გამხდარ გოგონებს, რომლებსაც თმა ზეითუნის ზეთით უპრიალებდათ, ხელები ჩაცვენულ მუცელზე დაეწყით, ყოველისშემძლე ქალბატონს გასცქეროდნენ და წვრილი ხმით მღეროდნენ ღვთი-

შობლის ტანჯვაზე, რომელიც გასცქეროდა ჯვრის მძიმე ტვირთისგან ღონემიხდილ შვილს, რომელიც ქეებს ეჯახებოდა და სისხლისგან იცლებოდა.

იქვე ახლომახლო სახენაყვავილარი, დაძონძილი ახალგაზრდა ბოშა ერთ ადგილს გაჩერებულყო. ორივე ხელით ქუდი ეკავა, ისიც სტიქიას აპყოლოდა და მღეროდა „მშობელზე“, „მშობლის სულზე“, „ღვთიშობელზე“. ირგვლივ კი, მისი მანერების სიკოხტავით აღფრთოვანებული ნაცნობები, მოწონების ნიშნად თავს აქნევდნენ. დაფდაფები გრიალებდნენ... საყვირები მწუხარედ კვნესოდნენ. ყველანი ერთდროულად მღეროდნენ, მაგრამ ამ საერთო ხმაურში თითოეული მომღერალი უშეცდომოდ იწყებდა და ამთავრებდა თავის კუპლეტს, თითქოს დაყრუებულიყვნენ და რელიგიური ექსტაზით შეპყრობილნი, აღფრთოვანებული ხმებისა და ღვთიშობლისადმი მიპყრობილი თვალების გარდა ვეღარაფერს ამჩნევდნენ.

როცა სიმღერა შეწყდა, ხალხში გაისმა აღფრთოვანებული, თუმცა აქა-იქ საკმაოდ უზრდელი შეძახილები. კვლავ დაიწყო შესანიშნავი, ერთადერთი ქალწულის მაკარენას ქება, რომლის სილამაზე მთელი მსოფლიოს ქალიშვილებს შურდათ. ჭიქები ღვინით ივსებოდა. ყველაზე მგზნებარე ახალგაზრდები მაკარენას, როგორც შესანიშნავ გოგონას, ქუდებს ესროდნენ. გაუგებარი იყო, ეჭვიანი ქრისტიანები ხოტბას ასხამდნენ წმიდა ქალწულს, თუ წარმართთა ბრბო თავის დღესასწაულს ზეიმობდა.

მოცისფრო რიყის ქვის ხიდისკენ ქანდაკებას წინ მიუძღოდა მძიმე ჯვრისაგან წელში მოხრილი ფეხშიშველა ჭაბუკი, რომელსაც მუქი ტუნიკა ეცვა და ეკლის გვირგვინი ეხურა. ჯვარი ორჯერ უფრო დიდი იყო იმ ყმაწვილზე. როცა შესვენების შემდეგ პროცესია ადგილიდან დაიძვროდა, კეთილი ადამიანები შეელოდნენ ჭაბუკს, რომ ტვირთი მხარზე შემოედო. მისი შემყურე ქალები თანაგრძნობით სლუკუნებდნენ: საცოდავი! რა წმიდა გულმოდგინებით ასრულებს თავის მოვალეობას! ამ რაიონის მცხოვრებლებს ახსოვდათ ამ ყმაწვილის მიერ ჩადენილი მკრეხელობა. სულ დაწყვეცილი ღვინის ბრალი იყო, რომელიც ხალხს ჭკუას უკარგავს. სამი წლის წინათ, ვნების ოთხშაბათ დილას, როცა სვეილიის ქუჩებში ხეტიალის შემდეგ მაკარენა თავის ტაძარში ბრუნდებოდა, ეს ახალგაზრდა ცოდვილი, მთელი დღე მეგობრებთან ქეიფობდა. მან პროცესია ბაზრის მოედნის ახლოს, სამიკიტნოსთან შეაჩერა, წმიდა ქალწულის სადიდებლად წამოიწყო სიმღერა და ქათინაურები: ოლე, ლამაზო მაკარენა! ჩემს საყვარელზე მეტად მიყვარხარ! ვაჟმა აღარ იცოდა, უფრო ძლიერ როგორ გამოეხატა თავისი სიყვარული და

ქუდის სროლა გადაწყვიტა. მას ეგონა, რომ ხელში ქუდი ეკავა და გაიქნია... ჭიქა სახეში თხლიშა ყოვლისშემძლე სენიორას. აცრემლებული ახალგაზრდა ციხეში წაათრიეს... ამ ყმაწვილს მაკარენა დედასავით უყვარდა! ყველაფერი დაწყვეტილი ღვინის ბრალია. ნასვამ კაცს გრძნობა არა აქვს და რას სჩადის, თვითონაც არ იცის. საცოდავი ჭაბუკი შიშისგან კანკალებდა. წმიდანის შეურაცხყოფისათვის რამდენიმე წელი ციხეში უნდა გაეტარებინა. ბოლოს ამ საქციელით ძალზე გაბოროტებულმა ხალხმაც კი შუამდგომლობა იკისრა და საქმეც გაიჩარხა. ჭაბუკმა ცოდვების მოსანანიებლად მძიმე ჯვრის ზიდვა გადაწყვიტა.

საცოდავი ახალგაზრდა ოფლად იღვრებოდა. ხან ერთსა და ხან მეორე მხარზე მოკიდებული ტვირთი ბარბაცით მიჰქონდა. ამ ამბის მნახველი ქალები თავიანთი გრძნობების გამოსამჟღავნებლად ჭკითინებდნენ. ნაცნობებს ეცოდებოდათ წამებული, არ დასცინოდნენ მომნანიეს და თანაგრძნობით ღვინოს სთავაზობდნენ მას: დაღლილობისაგან წაიქცევი, საჭიროა გამაგრდე; კი არ გემასხრებით, მეგობრულად გირჩევთ...

მაგრამ წამებული მაცდუნებელს თვალს არიდებდა და თავისი ტანჯვის მოწმეს, წმიდა ქალწულს გასცქეროდა. უმჯობესია თავის ნებაზე დალიოს ხვალ, როცა ტაძარში დაბრუნდება და შიში აღარაფრისა ექნება.

ჯინები, რომელზეც ქანდაკებები ეწყო, ფერიის რაიონის ერთ-ერთ ქუჩაზე შეჩერდა. წინ მიმავალნი კი უკვე სევილიის ცენტრში იმყოფებოდნენ. მწვანე კაპიშონიანი მომნანიეები და „მეომრების“ რაზმი სამხედრო წესის მიხედვით წინ ისე მიიწევდა, თითქოს არმია გადადის იერიშზეო. მათ სურდათ სიერპესის ქუჩა დაეკავებინათ, სანამ სხვა პროცესია გამოჩნდებოდა. თუ ავანგარდი შესძლებდა ამ პოზიციების დაპყრობას, მაშინ მშვიდად შეეძლოთ წმიდა ქალწულის ცქერა. ყოველ წელს მაკარენას ძმობის წევრები მთავარი ქუჩის ბატონ-პატრონები იყვნენ. ისინი ამ ქუჩაზე დიდხანს დაბორილობდნენ და სხვა კვარტალების ძმობის კავშირის პროტესტით ერთობოდნენ. საცოდავი კაცუნები. განა შეიძლება მათი ქანდაკებების მაკარენასთან შედარება! ურჩევნიათ პროცესიას უკან მიჩანჩალებდნენ.

კაპიტან ჩივოს არმიის დაფდაფები კამპანას ქუჩასთან სწორედ იმ დროს აგრიალდნენ, როცა მოპირდაპირე მხრიდან გამოჩნდა სხვა ძმობის კავშირის შავკაპიშონიანი პროცესია, რომლებსაც მთავარ ქუჩაზე გაბატონება სურდათ. ორ პროცესიას შორის მოქცეული ხალხი სეირის მოლოდინში ღელავდა. ნამდვილად ჩხუბი მოხ-

დებამ შავკაპიშონიანი ძმები სრულიად არ დაშინდნენ იუდეებისა და მათი ძკაცრი კაპიტანის დანახვაზე. კაპიტანი კვლავ ამპარტავნულად იცქირებოდა. შეიარაღებული ჯარისკაცები არ ჩაერვივნენ კაცუნებთან ჩხუბში. მაგრამ პროცესიის უკან მომავალმა მაკარენელებმა თავი შეუტრაცხოფილად იგრძნეს, შავკაპიშონიანებს სანთლებითა და ჯოხებით დაერივნენ. მოვარდა პოლიცია. ორი ახალგაზრდა, რომელიც ჩიოდა, ქუდი და ჯოხი დავკარგეთო, დააპატიმრეს. ხოლო ზოგიერთი მომნანიე, რომელსაც კაპიშონი გადაეძრო და თავზე ხელშემოდებული კენესოდა, აფთიაქში წაიყვანეს.

ამ დროს კაპიტანი ჩივო ვერაგი დამპყრობივით სტრატეგიულ მანევრს ანხორციელებდა და თავისი ჯარისკაცებით სიერპესის ქუჩისაკენ ყოველ გასავალს იკავებდა. ნაღარის ცემა გამარჯვებას იუწყებოდა. გაისმოდა კვარტალის კეთილშობილ დამცველთა ყვირილი. „აქ ვერავინ გაივლის! გაუმარჯოს წმიდა ქალწულ მაკარენას!“.

სიერპესის ქუჩა მაყურებელთა დარბაზად გადაიქცა. ვერანდები ხალხით იყო გაქედილი. სახლიდან სახლამდე გაჭიმულ მავთულებზე კაშკაშებდნენ ელნათურები. განათებულ მღაზიებისა და კაფეების ფანჯრებიდან ცნობისმოყვარე ხალხი იმზირებოდა. სახლების მახლობლად გამწკრივებულ სკამებზე მაყურებლები ისხდნენ, რომლებიც წამდაუწუმ ზედ ხტებოდნენ, როგორც კი დაფდაფები და საყვირები ახალი სცენის მოახლოებას იუწყებოდა.

ამ დღეს მთელ ქალაქს არ ეძინა. ღვთის მოშიში მოხუცებიც კი, რომელნიც საღამოს ლოცვის შემდეგ კარებს მკიდროდ კეტავდნენ, ამჟამად ფხიზლობდნენ, რათა პროცესიისთვის გათენებამდე თვალყური ედევნებინათ. ღამის სამი საათი გახლდათ, მაგრამ კაფე და სამიკიტნოები ხალხით იყო სავსე. დუქნების ღია კარიდან მადის აღმძვრელი სუნი გამოდიოდა. ქუჩის ყოველ კუთხეში მაწანწალა გამყიდველების გამკივანი ხმა ისმოდა. ისინი ხალხს ტყბილეულსა და სასმელს სთავაზობდნენ. ოჯახები, რომელნიც გარეთ მხოლოდ დიდ დღესასწაულებში გამოდიოდნენ, ამჟამად ღამის ორი საათიდან დილამდე პროცესიას გასცქეროდნენ. ალტაცებულ მაყურებლის თვალწინ გაივლიდნენ მანტილიამოხურული წმიდა ქალწული, ოქროს გვირგვინოსანი ქრისტე-მხსნელი... აგრეთვე სხვა მრავალი შეუსაბამო ქმნილებები, რომელთა ტრაგიკულ, ცრემლიან და გასისხლიანებულ სახესა და თეატრალური ფუფუნებით შემკობილ ძვირფას კოსტიუმებს შორის მკვეთრი კონტრასტი იყო.

ეს საოცარი ქრისტიანული ცერემონიალი წარმართობის მხიარულ დღესასწაულს ჰგავდა. მხოლოდ ქრისტესა და ღვთიშობლის

გამოჩენის დროს აღიბეჭდებოდა ხალხის სახეზე მწუხარება. გაკვირვებული უცხოელები ყურს უგდებდნენ გვერდით სკამებზე მსხდომი სევილიელების ახსნა-განმარტებას.

აი ჩაატარეს ქრისტეს დასჯის სცენა, მას მოჰყვა მღუმარე ქრისტე, შემდეგ მწუხარე ღვთიშობელი, ქრისტე ჯვრით მხრებზე, ღვთიშობელი ველად, სამგზის დაცემული უფალი ჩვენი იესო, ცხარედ მტირალი ღვთიშობელი, განსვენებული უფალი ჩვენი... თითოეულ გამოსახულებას უკან მოჰყვებოდა თეთრ, წითელ, ცისფერსა და იისფერ ლაბადებში გამოწყობილი მონანიეები. მათი სახე დაეფარა წვეტიან კაპიშონებს და მხოლოდ თვალები მალულად იყურებოდნენ ნიღბების ქრილებიდან. ვიწრო ქუჩებში მძიმედ მოძრაობდნენ ჯინები. ბოლოს მიაღწიეს წმიდა ფრანსისკოს მოედანს, აიუნტა-მიენტოს დარბაზის წინ აღმართულ ტრიბუნებთან ნახევრად შემობრუნებული მებარგულები მუხლებზე წამოიჩოქნენ. ქანდაკებები ხალხის პირისპირ აღმოჩნდა და თითქოს მიესალმებოდა რჩეულ საზოგადოებას.

ჯინების მახლობლად, წყლით სავსე დოქებით ხელში ბავშვები დარბოდნენ. როგორც კი პროცესია შეჩერდებოდა, მიწამდე დაშვებული ხავერდი მალლა იწევდა და იქიდან გამოდიოდა გაოფლიანებული, თავშიშველი, დაღლილობისაგან გაწითლებული, ოცი-ოცდაათიოდე კაცი. ესენი იყვნენ დაქირავებული მებარგულე „გალილეველნი“. წარმოშობის მიუხედავად, მათ ყველანი გალილეველთ ეძახდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ ადგილობრივი მკვიდრნი ამგვარ მძიმე სამუშაოს ვერ შეასრულებდნენ. მებარგულები ხარბად სვამდნენ წყალს და თუ ახლომახლო რაიმე სამიკიტნო იყო, ყაყანებდნენ და ღვინოს ითხოვდნენ. ჯინების სიმძიმისაგან წელში მოხრილი და დაქანცული „გალილეველნი“ ყლაპავდნენ საჭმელს და სხვა მოთხოვნილებებსაც იქვე იკმაყოფილებდნენ. ხშირად, როცა წმიდა სანახაობა დიდხანს იყო ერთ ადგილას შეჩერებული და მერე გზას განაგრძობდა, ხალხი სიცილისგან იგუდებოდა, რადგან სუფთა, მოწითალო ქვაფენილზე, ნათლად ჩანდა მებარგულების მიერ ჩადენილი ცუდი საქციელის კვალი. მეეზოვები დაწნული კალათებით შემთხვევის ადგილისკენ გარბოდნენ.

პროცესია გამძიმებდათ თეატრალური ფუფუნებით: მოძრავი ემაფოტები, მკვდარივით გაფითრებული სახეები და ბრწყინვალე ტანსაცმელები დილამდე მოძრაობდნენ. მის ირგვლივ კი მხიარულება სუფევდა. საყვირები ამაოდ კვენსოდნენ და დასტიროდნენ ყველაზე აღმაშფოთებელ ფაქტს, ქრისტეს სულმდაბლურ მკვლელობას. ბუნება არ მონაწილეობდა ამ წმიდა ტრადიციულ მწუხა-

რებაში. მდინარე ჩუხჩუხით მოჩხრიალედა ხიდებთან და ელვარე ნაკადად ეფინებოდა მღუმარე მინდვრებს, ფორთოხლის ხეებს თეთრი პირი დაეღოთ და ჰაერში თავისივე ნაყოფის არომატს აფრქვევდნენ. დაკბილულ მავრიტანულ ალკალას კედლებზე პალმები ტოტებს აშრიალებდნენ. ლურჯ ზმანებასავით აღმართული ჰირალდა ზეკას იწევდა, ვარსკვლავებს ნთქავდა და ცის ნაწილს ფარავდა. ღამის კეთილსურნელებით გაბრუებული მთვარე უღიმოდა გაზაფხულზე აყვავებულ მიწას, ნათურებით აბრიალებულ ქალაქს, წიაღში მოფუთფუთე ჭიანჭველას, ყველას, ვისაც სიცოცხლე სურდა, მღეროდა, ჭამდა და ამ დაუცხრომელ დღესასწაულზე დაეიწყებოდა დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი წმიდანები. იესო გარდაიცვალა. ქალებმა შავი ჩაიცვეს. ხოლო მამაკაცები კაპიშონიან ლაბადებში გაეხვივნენ და უცნაურ მწერებს დაემსგავსნენ. საყვირები თეატრალური ცერემონიალით იუწყებოდნენ ქრისტეს გარდაცვალებას. ტაძრები მოღუშული მღუმარებით დასტიროდნენ მას, მდინარე კი კვლავინდებურად სუნთქავდა და რაკრაკებდა, თითქოს განმარტოებულ წყვილებს სანაპიროზე ეპატიებოდა. პალმები კენწეროებს გულგრილად ხრიდნენ დაკბილულ კედლებზე. ფორთოხლის ხეები აფრქვევდნენ სურნელებას, თითქოს სიყვარულისა და განცხრომის გარდა ქვეყნად ყოველი არარაობად მიაჩნდათ. მთვარე ამბარტავნულად იღიმებოდა. კოშკი, რომელიც მთვარის შუქზე ცისფრად მოჩანდა, ზეცის საიდუმლოებით მოცულ წყვილიაღმი იკარგებოდა და შესაძლოა უსულო საგნების დამახასიათებელი მიაშიტობით ფიქრობდა, რომ საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა შეხედულებანი ადამიანებისა, რომლებსაც ოდესღაც სჯეროდათ, რომ არარაობიდან გაჩნდნენ და ახლა თავვანს სცემდნენ სხვა ღმერთებს.

სიერპესის ქუჩაზე მყოფი ხალხი მხიარულად ახმაურდა. მუსიკის გრიალით მოდიოდა მაკარენის ძმობის პროცესია. ხმაურობდნენ დაფდაფები. ზუზუნებდნენ საყვირები. ყვიროდნენ უწესრიგოდ მომავალი მაკარენელები. ხალხი სკამებზე ასულიყო, რათა კარვად დაენახა ყაყანი მომავალი პროცესია. წინ, შუა ქუჩაში ტანსაცმელ დაფხრეწილი ბავშვები გამორბოდნენ, ჯოხებს აქნევდნენ და წმიდა ქალწულს ესალმებოდნენ. მათ უკან მოჰყვებოდათ, გაწეწილი, ღარიბულად ჩაცმული ქალები, რომელნიც ირგვლივ მხიარულად იყურებოდნენ და ამაყად მიაბიჯებდნენ ქალაქის დიდგვაროვან, ცნობისმოყვარე საზოგადოების თვალწინ, სიერპესის ქუჩაზე, სევილიის ცენტრში, სადაც ჩვეულებრივ დროს იშვიათად ჩნდებოდნენ.

ამ საუცხოო საღამოს ისინი სიღარიბისთვის შურს იძიებდნენ,

ყვიროდნენ კაფეებისა და კლუბების ფანჯრებში, სადაც მდიდარი უსაქმურები შეკრებილიყვნენ.

— მაკარენელები მოდიან! შეხედეთ მსოფლიოში საუკეთესო სენიორას! გაუმარჯოს წმიდა ქალწულს!

ზოგიერთი ქალი ექაჩებოდა სიმთვრალისგან თავჩაღუნულ მეუღლეს და შინ წაყვანას უპირებდა. მაგრამ ფეხზე ძლივს მდგარი მაკარენელი წინააღმდეგობას უწევდა, ილანძლებოდა, პირიდან ღვინის ომხივარი ამოსდიოდა.

— ცოლო, მომეშვი. მე ჯერ შავგვრემანს უნდა ვუმღერო.

მთვრალს ხველება აუტყდებოდა, ხელს კისერთან მიიტანდა, ქანდაკებას მიაშტერდებოდა და ჩახლეჩილი ხმით წამოიწყებდა სიმღერას, რომელსაც ხალხის ყიჟინა, დაფდაფებისა და საყვირების შეწყობილი გრიალი ფარავდა.

უგუნურები თითქოს იერიშზე გადავიდნენო, ვიწრო ქუჩაში შეიჭრნენ. ათასობით ადამიანი თავთავიანთ ყაიდაზე მღეროდა. ჯინებზე განლაგებული ქანდაკებების მახლობლად ფეხზე ძლივს მდგომი, გაფითრებული, გაოფლილი, ტანსაცმელ გაღეღილი ადამიანები ფუსფუსებდნენ და ამხანაგების მხრებს ჩაფრენილნი მომაკვდინებელი ხმით მღეროდნენ კუბლეტებს. სიერპესის ქუჩისკენ მიმავალ კამპანას ქეაფენილებზე მიმოფანტულიყვნენ სახელოვან ლაშქრობაში დაცემული მაკარენელები.

ერთ-ერთ კაფეს კართან ნასიონალი იდგა. ოჯახიანად ძმობის პროცესის სანახავად მოსულიყო. „ცრუმორწმუნეობა და ჩამორჩენილობა!“ თუმც, ადათის მიხედვით, ყოველ წელს შფოთიან მაკარენელებთან ერთად სიერპესის ქუჩის დაპყრობაში მონაწილეობდა.

ნასიონალმა იმწამსვე იცნო გალიარდო. ტანადობითა და საერთოდ, ტორეროსათვის დამახასიათებელ სიკოხტავით, რომლის დაფარვა ინკვიზიციას არ შეეძლო.

— ხუანილიო, უბრძანე პროცესიას, შეჩერდეს. აქ, კაფეში, უცხოელები არიან და სურთ მაკარენას კარგად ნახვა.

წმიდა ტვირთიანი ჯინები შეჩერდნენ. მუსიკამ დაუკრა ერთ-ერთი რიხიანი მარში, რომელსაც ხართან ბრძოლის წინ ასრულებენ ხოლმე. ამ დროს უხილავმა მებარგულეებმა მუსიკას ფეხი ააყოლეს, ბაქანი გააქან-გამოაქანეს და ხალხი სახლების კედელს მიაჭყლიტეს. წმიდა ქალწული მთელი თავისი განძეულით, ყვავილებით და შანდლებით აცეკვდა. ამ საგულდაგულოდ მომზადებული ნომრით ძალზე ამაყობდნენ მაკარენელები. გარეუბნის ახალგაზრდები მოედნის კიდეს ჩასჭიდებოდნენ, ქანდაკებასთან ერთად ქანაობდნენ

და ამ მოქნილობისა და ძლიერების სასწაულთ აღტაცებულნი, მთელი ხმით გაიძახოდნენ:

— დაე მთელმა სველიამ ნახოს! ო, რა შესანიშნავია! მხოლოდ მაკარენელებს შეუძლიათ ასეთი რამ!

როცა მუსიკა შეწყდა და ჯინები შეჩერდნენ, გაისმა გამაყრუებელი უხამსო ღეთისსაგმობი შეძახილები, რომელიც გულწრფელი აღტაცებით იყო გამოწვეული. ვილამ ჯანმრთელობა უსურვა უწმიდეს მაკარენას, რომელსაც ყველა უცნობსა და ცნობილ ქალწულზე უკეთ შეეძლო ყველაფრის გაკეთება.

ძმები ტრიუმფალურ მსვლელობას განაგრძობდნენ და თვითეულ ქუჩასა და სამიკიტნოში კარგავდნენ დაუძღურებულ მებრძოლებს. დილის მზემ პროცესიას სველიის მეორე მხარეს მოუსწრო. ნაირფერად მორთულ ქანდაკებაზე აციმციმდა ვანთიადის სხივი და მოდღესასწაულეთა მკვდარივით გაფითრებული სახეები გააშუქა. მონანიეები, რომლებსაც თავს დასთენებოდათ, მოხეტიალე, მაწანწალა ლოთებს ჰგავდნენ.

ჯინები ბაზრის მოედანთან, შუა ქუჩაზე ეწყო და მთელი პროცესია ახლომახლო სამიკიტნოებში მიმოფანტულიყო, რათა ადგილობრივი ღვინის ნაცვლად ახლა მაგარი აგვარდიენტე * შეესვათ. სწიზღარი ლაქებით დასვრილი ძმათა თეთრი ტუნიკები ქუქკიას ჩერებს დამსგავსებოდა. ხელთათმანი დაჰკარგოდათ. ქუჩის კუთხეში რკალივით მოხრილი ერთ-ერთი მონანიე ჩამქრალ ჩირადდანს მიყრდნობოდა და გატენილ მუცელს რწყევით იჩუტავდა. იუდეველთა ბრწყინვალე მხედრობიდან მხოლოდ საცოდავი მაჩანჩალები დარჩენილიყვნენ. იფიქრებდით, ილაჯგაწყვეტილი მხედრობა უკან ბრუნდებო. კაპიტანი საშინლად ბარბაცებდა, დაღწილი ფრთები გაფითრებულ სახეზე ჩამოჰკონწიალებოდა, მაგრამ თავის დიდებულ სამოსს უცხოთა ჭუჭყიანი ხელის შეხებისგან გულმოდგინედ იცავდა. მუნდირის ღირსება — უწინარეს ყოვლისა!

გალიარდომ პროცესია მზის ამოსვლისთანავე დატრვა. ისიც საკმარისია, რომ წმიდა ქალწულს მთელი ღამე აცილებდა და იმედია, წმიდანი არ დაივიწყებს ამ დამსახურებას. ფიესტის დასასრული, როცა მაკარენა წმიდა ჰილიის ტაძარში შეჰყავდათ, ყველაზე არასახარბიელო იყო. გამოძინებული და ფხიზელი მაყურებელი დასცინოდა დიდი ხნის ხეტიალით გაჭუჭყიანებულ და მთვრალ ძმებს, რომელნიც მზის სინათლეზე უბადრუკი სანახავი იყვნენ. აბა რა

* თეთრი პურის ღვინო, ჩვენებურ არაყს ჩამოგავს.

საკადროსი იყო მთვრალ ბრბოს მოლოდინში სამიკიტნოს კართან მდგომი მატადორი ვისმე დაენახა.

ქალბატონი ანგუსტიასი შვილს დერეფანში შეეგება და ტანსაცმელის გახდაში მიეშველა. გალიარდოს კარგად უნდა დაესვენა მას შემდეგ, რაც წმიდა ქალწულის წინაშე ვალი მოიხადა. კვირას კორიდა უნდა ჩატარებულყო. პირველი კორიდა — იმ უბედური შემთხვევის შემდეგ. დაწყველილი ხელობაა; არ იცი, რა არის დასვენება. საცოდავი ქალებიც, ის იყო ცოტა დამშვიდნენ, რომ კვლე იწყება შიში და ღელვა.

მთელ შაბათს ღღესა და კვირა დილით მატადორს განუწყვეტლივ მოსდიოდა სხვადასხვა ქალაქებიდან ბაზრობასა და სადღესასწაულო კორიდაზე ჩამოსულ ალტაცებულ თაყვანისმცემელთა მოლოცვები. ყველანი მხიარულად უცინოდნენ მატადორს და მის ახალ წარმატებაში ეჭვი არ ეპარებოდათ.

— ვნახოთ რას იზამ! თაყვანისმცემლებს შენი დიდი იმედი აქვთ. თავს როგორ გრძნობ?

გალიარდოს თავის ძალაში ეჭვი არ ეპარებოდა. სოფლად დასვენება მოუხდა, მომაგრდა, მართალია, რინკონადში ნადირობისას ოდნავ ფეხი სტკიოდა, რამაც ის უბედური შემთხვევა მოაგონა, მაგრამ ტკივილს მხოლოდ ბევრი სიარულის შემდეგ გრძნობდა.

— გვეაკეთებ ყველაფერს, რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული... — ამბობდა გალიარდო ნაძალადევი ღიმილით. — ვფიქრობ, ყველაფერი რიგზე იქნება.

მაგრამ მაშინვე საუბარში ჩაერეოდა ხოლმე დონ ხოსე, რომელსაც თავისი კერპისა ღრმად სწამდა.

— ისეთი იქნები, როგორც ვარდი... ანგელოზი... დამერწმუნე, ყველა ხარს ჯიბეში ჩაისვამ.

გალიარდოს თაყვანისმცემლებმა დროებით მიივიწყეს კორიდა და ქალაქში გავრცელებულ ახალ ამბავს დაუბრუნდნენ.

კორიდოვას რაიონში წიწვიან ტყეში სახალხო გვარდია თურმე გახრწნილ გვამს წააწყდა. ჩანს, ვიდაცას მიპარვით უსროლია. თავი გაუჭიქყავს მისთვის. გვამის გამოცნობა შეუძლებელი გახდა, მაგრამ ტანსაცმლისა და კარაბინის მიხედვით დაასკვნინან, პლიუმიტასი უნდა იყოსო.

გალიარდოს ხმა არ ამოუღია. იმ დღის შემდეგ, როცა ხარმა რქებზე წამოაგო, არ უნახავს ყაჩაღი, მაგრამ გულში მუდამ პატივისცემით იგონებდა.

ფერმის მსახურებმა უამბეს: სიკვდილს რომ ებრძოდი, რინკონადს ორჯერ მოვიდა შენი ჯანმრთელობის გასაგებადო. ხოლო შემ-

დევ, როცა გალიარდო მამულში გაემგზავრა, ყაჩაღი მწყემსებს და მუშებს მოკითხვას აბარებდა სენიორ ხუანთან.

საცოდავი! დაღონებულ გალიარდოს აგონდებოდა ყაჩაღის წინასწარმეტყველება. პლიუმიტასის სიკვდილში მართლაც უანდარმს წილი არ ედო. იგი ძილში მოჰკლა თავისიანმა, ერთ-ერთმა იმ მოყვარულთაგანმა, გულს რომ უღრღნის დიდების ჭია და ფეხდაფეხ დაგდევს.

საკვირაო კორიდა ჩვეულებრივზე მძიმე ასატანი იყო. კარმენი ცდილობდა შეენარჩუნებინა გარეგნული სიმშვიდე, დაესწრო კიდევ გარაბატოს მიერ მაესტროს ჩაცმას. ქალი ავადმყოფივით იღიმებოდა, მხიარულად და მხნედ გამოიყურებოდა და ნათლად ხედავდა, რომ ქმარიც შიშს ნაძალადევი მხიარულებით ფარავდა. ქალბატონი ანგუსტიასი იქვე, კარის ახლოს დაბორილობდა, რათა ერთხელ კიდევ შეეხედა თავისი ხუანილიოსთვის, თითქოს ეშინია, ველარასოდეს ვნახავო.

როცა გალიარდომ ქუდი დაიხურა, ლაბადა მხარზე მოიგდო და დერეფანში გამოვიდა, აცრემლებული დედა კისერზე ჩამოეკიდა... ქალი სდუმდა, მაგრამ ხშირი ოხვრა ამეღვენებდა მის ფიქრებს. უბედურების შემდეგ, პირველად უნდა გამოვიდეს იმ სარბიელზე, სადაც დაიქრა... ყველა ცრუმორწმუნეობა, რომელსაც ასე გავდგა ფესვები ქალის ალალ სულში, შვილის გაუფრთხილებელ ნაბიჯს ეწინააღმდეგებოდა. ოჰ, როდის დაანებებს თავს ამ დაწყვეტილ ზელობას! განა ახლა ცოტა ფული აქვს? მაგრამ აქ საუბარში ჩაერია სიძე, რომელიც ოჯახის საქმეებში შეუვალ მსჯავრმდებლად ითვლებოდა. გეყოფა, დედიკო, აბა რას ხედავ განსაკუთრებულს, ჩვეულებრივი კორიდაა. თავი დაანებე ხუანს და წასვლის წინ მოთქმით გულს ნუ უწყალებ.

კარმენი არ ტიროდა, თავი ვაჟკაცურად ეჭირა; ქმარი კარის ზღურბლამდე მიაცილა და ამხნეებდა კიდევ. ახლა, როცა საშინელი ხიფათის შემდეგ აღორძინდა აღრინდელი სიყვარული და ხუანთან ერთად მშვიდად ცხოვრობდა, ქალს ველარ წარმოედგინა, თუ რაიმე ახალ მწუხარებას კვლავ შეეძლო მათი ბედნიერების დარღვევა. ხუანის დაქრა ღმერთების ბრალია. ღმერთი ხშირად ბოროტების სახით სიკეთეს სჩადის, მას სურდა სისხლის ფასად აღორძინებინა მათი სიყვარული. ხუანი დღეს ისევე დახოცავს ხარებს, როგორც წინათ, და ცოცხალი და უვნებელი დაბრუნდება.

— წარმატებას გისურვებ!

ქალი ალერსით გასცქეროდა ეტლს, რომელსაც ბრჭყვიალა ლაბადებით აღტაცებული ბავშვები მისდევდნენ. მარტო დარჩენილი

საცოდავი კარმენი თავის ოთახში განმარტოვდა და სასოების მომნიჭებელი ღვთიშობლის ქანდაკების წინ ლამპარი აანთო.

დაღვრემილი და მოღუშული ნასიონალი მეესტროს გვერდი იჯდა. დღეს არჩევნები ტარდებოდა, მაგრამ მისი კვადრილიის წევრებმა არაფერი იცოდნენ. ხალხი მხოლოდ პლიუმიტასის სიკვდილსა და ხართან ბრძოლაზე ლაპარაკობდა.

შუადღემდე ბანდერილიერო იმყოფებოდა კომიტეტში, მეგობრებთან, რომელნიც „იდევს ემსახურებოდნენ“. დაწყევლილმა კორიდამ ხელი შეუშალა ნასიონალს მოქალაქეობრივი ვალის აღსრულებაში, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ რამდენიმე მეგობარი ურნასთან მიეყვანა, რადგან ისინი უიმისოდ ხმას არ მისცემდნენ. მხოლოდ „იდეური ხალხი“ მიდიოდა ურნასთან, ქალაქში კი თითქოს არაფერი იცოდნენ ამ არჩევნებზე. ქუჩის მოსახვევებში ხალხი მოგროვილიყო და ცხარედ კამათობდა. მაგრამ კამათი მხოლოდ ხართან ბრძოლას შეეხებოდა. ღმერთო ჩემო, რა უგუნური ხალხია! ნასიონალი აღშფოთებით ფიქრობდა, რომ ამ გულგრილობით მტერი სარგებლობდა და კანონს არღვევდა. დონ ხოსელიტო, ეს მგზნებარე ტრიბუნი, რომელიც უსამართლობის წინააღმდეგ ილაშქრებდა; სხვებთან ერთად ციხეში ჩამწყვდიეს. ბანდერილიეროს ამხანაგთა მწუხარების გაზიარება სურდა, მაგრამ იძულებული იყო მიეტოვებინა ისინი, ძვირფასი სამოსი ჩაეცვა და მეესტროსთან წასულიყო. ჰოდა ამგვარი თვითნებობა ნუთუ არ აილაგმება? ნუთუ არ აჯანყდება ხალხი?

კამპანას ქუჩასთან ტორეროებმა უამრავი ხალხი შენიშნეს. ადამიანები ამბოხებულებივით გაჰყვიროდნენ, ჰაერში ჯოხებს იქნევდნენ. პოლიცია გაშიშვლებული ხმლით იცავდა თავს კეტები-საგან.

ნასიონალი ფეხზე წამოხტა და ეტლიდან გადახტომა დააპირა: როგორც იქნა, დადგა დრო!

— რევოლუცია! ხალხი შეიარაღდა!

მეესტრომ არ იცოდა ეხარხარა თუ მართლა გაბრაზებულიყო, ნასიონალი ძალით დასვა.

— სისულელეს ნუ როშავ, სებასტიან. შენ ყველგან რევოლუცია და აჯანყება გელანდება.

კვადრილიის წევრები მიხვდნენ რაშიც იყო საქმე და ახარხარდნენ. კეთილშობილ ხალხს კამპანას ქუჩაზე, სალაროში ბილეთი ვერ ეშოვნა და ამიტომ სალაროს იერიშით აღება და ცეცხლის წაქიდება გადაეწყვიტა, რასაც პოლიცია არ ანებებდა.

— რეაქცია და ჩამორჩენილობა! გაუნათლებლობა!

ტორერობმა ცირკს მიაღწიეს. კვადრილის გამოსვლას ხალხი მჭეხარე ტაშით შეხვდა. ისინი ესაღმებოდნენ გალიარდოს გამოსვლას მძიმე კრილობის შემდეგ, რომელზედაც ბევრს ლაპარაკობდნენ მთელ ესპანეთში. როცა გალიარდო პირველი ხარის მოსაკლავად გამოვიდა, კვლავ მჭეხარე ოვატია გაისმა. ლოკებიდან თეთრ მანტილიანმა ქალებმა დურბინდები მოიმარჯვეს. აღმოსავლეთ ტრიბუნებიდან ისევე ყვიროდნენ და ტაშს უკრავდნენ, როგორც დასავლეთ ტრიბუნებიდან; მტრებიც კი სიმპათიურად იყვნენ განწყობილნი. საცოდავი ჭაბუკი! გალიარდოს ჯერ არ ენახა, რომ ხალხი ასე ერთსულოვნად ყოფილიყო განწყობილი მის მიმართ. გალიარდო თავმჯდომარის ლოქასთან მივიდა, ქუდი მოიხადა და მისასაღმებელი სიტყვა წარმოთქვა. ოლე! ოლე! ხალხმა ვერაფერი გაიგო, თუმცა აღტაცებულნი იყვნენ. ალბათ შესანიშნავად ილაპარაკა! ხარისკენ მიმავალი გალიარდო ტაშით გააცილეს, მაგრამ ხარს მიუახლოვდა თუ არა, მოლოდინით სავსე, სამარისებური სიჩუმე გამეფდა.

ოდნავ მოშორებით მდგომმა მატადორმა ხარის წინ მულეტის აიქნია, მაგრამ არა ისე, როგორც წინათ, როცა აღტაცებული ხალხი წითელ მულეტს თითქმის ცხოველის დრუნჩთან ხედავდა. ამფითეატრში მდუმარედ მსხდომთ სახეზე გაკვირვება გამოეხატათ, თუმც კრინტიც არავის დაუძრავს. გალიარდომ ხარის გასაღიზიანებლად რამდენიმეჯერ მიწას ფეხი დაჰკრა. ბოლოს ცხოველი ადგილიდან დაიძრა და მულეტში გაძვრა, გალიარდო სწრაფად გვერდზე გახტა. მაყურებლებმა ერთმანეთს გადახედეს. რას ნიშნავს ეს?

მატადორმა დაინახა გვერდზე მდგომი ნასიონალი და რომელიც ტორერო, მაგრამ ჩვეულებისამებრ არ დაუყვირია: „დასტოვეთ ასპარეზიო“.

ამფითეატრში გუგუნის გაისმა. მაყურებლებმა გაცხარებული კამათი გააბეს. მატადორის მეგობრებმა საჭიროდ მიიჩნიეს თავისი კერპის სახელით განემარტათ:

— ხუანი ჯერ კიდევ არაა მთლად გამოჯანმრთელებული! არ უნდა გამოსულიყო. სულ ფეხის ბრალია! განა ვერ ხედავთ?

კაპეადორთა ლაბადები ფრიალებდნენ და გალიარდოს მანევრებში ეხმარებოდნენ. გაათრელებული ნადირი წითელ ნაჭრებს შორის დაქროდა. მაგრამ როგორც კი მულეტზე დაძვერებას დააპირებდა, რომელიმე ტორერო ლაბადის ქნევით ნადირს მატადორს მოაშორებდა.

გალიარდომ თითქოს უხერხული მდგომარეობიდან თავის დაღწევა გადაწყვიტაო, საბრძოლველად მოემზადა და დაშნაშემართუ-

ლი ხარს დაეძგერა. ხალხი გაკვირვებით აჩურჩულდა: დაშნა ხარს ოდნავ ჩაესო და კინაღამ მიწაზე დაეცა. გალიარდო უფრო აღრე გახტა გვერდზე, ვიდრე დაშნას ტარამდე ჩასცემდა.

— სამაგიეროდ რა ზუსტი დარტყმა იყო! — ყვიროდნენ ერთუზიასტები, ისინი ხელს იშვერდნენ დაშნისკენ და გააფთრებით ტაშს უკრავდნენ, რომ გალიარდოს წარუმატებლობით აღშფოთებული მაყურებლის უკმაყოფილება ჩაეხშოთ. მკოდნენი სინანულით თავს აქნევდნენ: ჭაბუკს ერთადერთი ღირსებაც დაუკარგავს: სიმამაცე და თავხედობა. მათ დაინახეს დარტყმის დროს ხუანმა ხელი ინსტინქტურად როგორ გასწია. დაინახეს ისიც, თუ შიშით როგორ იბრუნა სახე. ხიფათის წინაშე ასე ხუჭავს თვალებს შეშინებული ადამიანი.

დაშნა ქვიშაზე დაეცა. გალიარდომ მეორე დაშნა აიღო და ტორერობით გარსემმორტყმულმა კვლავ ხარისკენ გასწია. ნასიონალს ლაბადა მოემზადებინა, რათა სახიფათო მომენტში ხარის ყურადღება მიეპყრო. ამასთან ბანდერილიერო ბუზღუნით თავგზას უბნევდა ხარს, ცხოველს აიძულებდა შემობრუნებულიყო, როცა გალიარდოს უახლოვდებოდა. ახალი დარტყმა, და დაშნა ძლიველივობით ნახევრამდე ჩაესო ხარს.

— უყურეთ, ახლოსაც არ ეკარება! — გაისმა მაყურებლის პროტესტი. — რქებისა ეშინია!

ხარის პირისპირ მდგარმა გალიარდომ ხელები მკერდზე დაიწყო და ამით სურდა ზურგს უკან მჯდომი მაყურებლისათვის ეჩვენებინა, რომ ხარმა მიიღო საზღაური და საცაა ძირს დაეცემაო. მაგრამ ხარი კვლავ ფეხზე იდგა და აქეთ-იქით ღრუნჩხს აქნევდა.

ნასიონალმა ლაბადის ქნევით ხარს გაქცევა აიძულა და შეუძინეველად რამდენიმეჯერ ლაბადაც ჩასცხო კისერში. ხალხი მიუხვდა ბანდერილიეროს განზრახვას და ახმაურდა. ბანდერილიერომ იმიტომ აიძულა ხარი, ერბინა, რომ მოძრაობისას და ლაბადის დარტყმისაგან დაშნა კისერში ღრმად ჩასულიყო. გაისმა ყვირილი: ნასიონალი თაღლითად მონათლეს, დედას უგინებდნენ, ეჭვი ეპარებოდათ მის კანონიერ წარმოშობაზე. აღმოსავლეთის მხრივ მრისხანედ ზეაღმართა ჯოხები. ასპარეზზე ფორთოხლებსა და ბოთლებს ისროდნენ, მაგრამ ბანდერილიერო თითქოს დაყრუედაო, ვერაფერს ხედავდა და არც რაიმე ესმოდა. იგი კვლავ უკან დასდევდა ხარს, სწამდა, რომ ასრულებდა თავის მოვალეობას და მეგობარს შეელოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ხარის კისრიდან სისხლმა იფეთქა, ცხოველს ფეხები მოეკეცა, ძირს დაეცა, მაგრამ თავი არ დაუხრია, თითქოს სურს კვლავ ფეხზე წამოხტეს და ბრძოლაში ჩაებასო.

პუნტილიერო ეცა ხარს. ეწადა მალე მოელო ბოლო, რომ მეესტრო უხერხულ მდგომარეობიდან გამოეყვანა. ამ დროს ნასიონალი ჩუმად ხელს აქერდა დაშნას და ტარამდე გაუტარა იგი ცხოველს კისერში. აღმოსავლეთის მხრივ მჯდომ მაყურებელს არ გამოეპარა ეს ფანდი, ისინი ფეხზე წამოხტნენ და მძვინვარედ ღრიალებდნენ:

— თაღლითი! მკვლელი!

აღშფოთებული ხალხი საცოდავი ხარის მხარეზე იყო, თითქოს ასე თუ ისე, იგი არ ყოფილიყო სასიკვდილოდ განწირული. ნასიონალს მუშტებით ემუქრებოდნენ, საშინელ დანაშაულს სწამებდნენ. ბოლოს თავჩაღუნული ბანდერილიერო მოაჯირს იქით მიიმალა.

ამ დროს გალიარდო ჩვეულებისამებრ, მისასალმებლად თავმჯდომარის ლოეისკენ გაემართა. მხოლოდ უერთგულესმა თავყანისმცემლებმა გააცილეს ტაშით.

— ბედმა არ გაუღიმა, — გაიძახოდნენ იმედგაცრუებულნი, — სამაგიეროდ რა ზუსტად ურტყამდა! ეს უდავოა.

მატადორი ცოტა ხანს იმ ადგილას შეჩერდა, სადაც მისი მომხრეები ისხდნენ და მოაჯირს დაყრდნობილმა თავის გამართლება სცადა: ხარი არ ვარგოდა. მასთან შეუძლებელი იყო ნამდვილი ოსტატობის გამოჩენაო.

თავყანისმცემლები, ღონ ხოსეს ხელმძღვანელობით, ეთანხმებოდნენ მას, რადგან ისინიც ასე ფიქრობდნენ.

კორიდის უმეტესი დრო გალიარდომ მოაჯირთან გაატარა. მისმა განმარტებამ ოდნავ დააწყინარა ხალხი, მაგრამ თვითონ კი გულის სიღრმეში გრძნობდა, რომ აღრინდელივით აღარ სჯეროდა თავისი ძალისა.

მატადორს ჩვეულებრივზე უფრო დიდი ეჩვენებოდა ხარები, რომლებსაც არ სურდათ სიკვდილი. წინათ ხარები მისი დარტყმისაგან საოცრად იოლად ეცემოდნენ ძირს. ალბათ ჯოგიდან ყველაზე ბოროტი ხარები აარჩიეს, რათა მისთვის სირცხვილი ექმიათ. ეს ყველაფერი მტრის ოინებია! თუმც გონების სიღრმეში სულ სხვა ექვები ბუდობდნენ, მაგრამ გალიარდო ყურადღებასაც არ აქცევდა, არ სურდა ამ აზრების გაზიარება. მატადორის ხელი უეცრად მოკლებოდა, როცა დაშნას დასარტყმელად ასწევდა. წინათ ხელი ეღვის უსწრაფესად სწვდებოდა ხარის კისერს, ახლა კი უსასრულოდ დაბოროტდებოდა საშიშ, დაუძლეველ სივრცეში. ფეხებიც რომ აღარ ემორჩილება: თითქოს შეუცვალესო, მათ არავითარი კავშირი აღარ ჰქონდათ ტანთან. იგი უშედეგოდ ძაბავდა მთელ თავის ნებისყოფას და უბრძანებდა ფეხებს, გაუნძრევლად, ურყევად იდევითო; მაგრამ არა და არ ემორჩილებოდნენ; თითქოს ისინიც ხედავდნენ ხიფათს

და ხარის მოძრაობისაგან მოვარდნილი ჰაერის ნაკადის ოდნავ შეხებაზეც კი საოცარი სიძარდით განზე ხტებოდნენ.

დამარცხებით გულში დაგუბებულ ნადველს სულმოკლე გალიარლო ხალხზე ანთხევდა. რა უნდა ამ ხალხს? მათ გართობას თავი შესწიროს? უმიზნო მამაცობამ ისედაც ბლომად დაუტოვა კვალი ტანზე. მას სრულიად არ სჭირდება ვინმეს ვაჟკაცობა დაუმტკიცოს. დედისა და საცოდავი მეუღლის ვედრებით ღმერთმა გადაარჩინა. სიკვდილი დაჩონჩხილი ხელით შეეხო მას და ახლა ყველაზე უკეთ ესმის სიცოცხლის ფასი!

„ვერა, ვერ დამცინებთ!“, ფიქრობდა გალიარლო და ბრბოს გაპყურებდა.

ახლა იგი მოკლავს ხარებს ისევე, როგორც მისი ამხანაგების უმრავლესობა. ერთხელ კარგად გამოუვა, მეორედ ცუდად. ბოლოს და ბოლოს, ტორეროს მუშაობა ხელობაა. აკი მიიღწია საწადელს, გახდა უპირველესი მატადორი, ახლა მთავარია ტყავს გაუფრთხილდეს და რამდენადაც შესძლებს, აირიდოს ხიფათი. აბა რად უნდა დაასკუბდე ხარს რქებზე მხოლოდ იმიტომ, რომ ენადგაკრეფილებმა შენს მამაცობაზე იქაქანონ! ამ აზრებით ისე განიმსკველა გალიარლო, რომ მეორე ხარს სრულიად დამშვიდებით შეხვდა... ახლა მას ვერავითარი ნადირი ვერ დაჯაბნის! გალიარლო შესძლებს რქების აცდენას. მატადორი ხარისკენ გაემართა და ადრინდელივით ამაყად დაიძახა „დასტოვეთ ყველამ ასპარეზი!“

ხალხი სიხარულით ახმაურდა.

გალიარლომ დაიძახა: „დასტოვეთ ასპარეზი!“. „ახლა ნახავთ მის მამაცობას“. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. ნასიონალი ლაბადით ხელში მაესტროს მიჰყვებოდა. ძველმა ბანდერილიერომ, რომელმაც კარგად იცოდა პატივმოყვარე გალიარლოს ხასიათი, გუმანით იგრძნო მისი ამაყი ბრძანების თეატრალობა.

გალიარლო ხარის მოშორებით შედგა, მულეტი გაშალა; ფრთხილად დაიწყო ქნევა და ხარს ერთ ნაბიჯითაც არ მიუახლოვდა. სებასტიანიც იქვე აფრიალებდა ლაბადას.

რამდენიმე წუთს მულეტთან განაბულმა ხარმა თავი გააქანა, თითქოს საბრძოლველად მოემზადაო, მაგრამ ადგილიდან არც კი დაძრულა: ხარის მოძრაობით მოტყუებულმა გალიარლომ გადამეტებული სიფრთხილე გამოიჩინა და რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, გაეჭყა ხარს, რომელიც თავდასხმაზე სულაც არ ფიქრობდა.

გალიარლო სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ხალხში ხარხარი, სტვენა და გაკვირვებული შეძახილები გაისმა.

— გაიქე, თორემ გირქენს! — დაცინვით დასკვივლა ერთ-ერთმა მაყურებელმა.

— ქალაჩუნა! — ქალური ხმით დაიწრიპინა მეორემ.

გალიარდო სიბრაზისაგან გაწითლდა. მას დასცინიან! და მერე სად! სევილიის არენაზე! ტორერომ იგრძნო იმგვარი გულისფეთქვა, რომელიც ადრე წარმატებით მთავრდებოდა. მას განუსჯელად მოესურვა სცემოდა ხარს და მერე რაც მოხდებოდა, დე, მომხდარიყო. მაგრამ ტანი არ ემორჩილებოდა. ხელებს თითქოს აზროვნების უნარი მისცემოდა. ფეხები ხედავდნენ ხიფათს და აჯანყებულნი წინააღმდეგობადნენ გალიარდოს.

ბოლოს ზოგიერთების წამოძახილებით აღშფოთებული მაყურებელი მიემხრო მატადორს და მოითხოვეს, რომ ყველა გაჩუმებულიყო. როგორ შეიძლება ასე მოეპყრა ადამიანს, რომელიც მძიმე ქრილობების შემდეგ ძლივს მომჯობინდა! ეს როდი ეკადრება სევილიის ცირკს. გთხოვთ წესიერად მოიქცეთ!

გალიარდომ ისარგებლა ხალხის თანაგრძნობით და უხერხულ მდგომარეობას თავი დააღწია. ტორერომ მოუარა ხარს და დამნაშაველად გვერდზე ჩასცა. ნადირი დაკლული საქონელივით ძირს დაეცა და კისრიდან სისხლმა იჩქეფა. ზოგმა შაყირის ტაში დაუკრა. მეორენი უსტვენდნენ, ხოლო უმრავლესობა სდუმდა.

— ხუანს გამოუყვანეს რაღაც მშინარა ძაღლები! — ყვიროდა რწმუნებული, თუმცა კარგად იცოდა, რომ ყველა ხარი მარკიზის ჯოგიდან იყო. — ეგ არაა ხარები! აი, ნახაეთ რა მოხდება შემდეგში, როცა ნამდვილ, კეთილშობილ, მებრძოლ ხარებს გამოიყვანენ!

ცირკიდან გამოსულ გალიარდოს ხალხი ღუმილით შეხვდა. ადამიანები უხმოდ მიდიოდნენ მის წინ. მას არ გაუგია არც ერთი შეძახილი, წინათ, წარმატებით დამთავრებული ბრძოლის შემდეგ რომ ესმოდა. ეტლს უკან არ მისდევდა არც ლატაკების ბრბო, რომელნიც კორიდას არ ესწრებოდნენ. წინათ ისინი მუდამ კარებთან იყვნენ დადარაჯებულნი ბრძოლის შედეგების გასაგებად.

გალიარდომ პირველად იგრძნო დამარცხების სიმწვავე. ბანდერილიეროები დამარცხებული არმიის ჯარისკაცებივით ღუმდნენ. მაგრამ როცა მატადორი შინ მოვიდა, აკოცა დედას, მეუღლეს, დას და ტანისამოსზე ჩაჭიდებული დისშვილების მხიარული ყვირინა გაიგონა, გულს მოეშვა. „ეშმაკმა დასწყევლოს! საქირთა ადამიანმა იცხოვროს. მთავარია მოასვენო ოჯახი, სხვა ტორეროებივით ხალხისგან ფული აიღო და არ ჩაიღინო უგნურობა, რომელიც ადრე თუ გვიან ბოლოს მოგიღებს“.

რამდენიმე ღლის შემდეგ გალიარდო მიხვდა, რომ საქირო იყო

ხალხში გამოჩენა და სიერპესის ქუჩაზე ღარიბულ კაფეებსა და კლუბებში მეგობრებთან შეხვედრა. ტორერო ფიქრობდა, რომ ჩემი თანდასწრებით არაკეთილისმსურველნი, ზრდილობის გამო დაჩუმდებიან მარცხეო. მთელი ღამეები მატადორი იჯდა მოკრძალებულ თაყვანისმცემლებთან, რომლებთანაც მეგობრობა მას შეჰდებოდა, რაც მდიდარ სენიორებს დაუახლოვდა. მერე ტორერო გაემართა „ორმოცდახუთის კლუბისკენ“, სადაც მისი რწმუნებული ხელების ქნევით და ხმამაღალი ყვირილით თავის აზრებს ყველას თავს ახვევდა და გალიარდოს ადრინდელივით ადიდებდა.

შეუღარებელი იყო დონ ხოსე! მისი ურყევი რწმენა ექვზე ძლიერი იყო. მისი მატადორი არის და მუდამ იქნება მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო. იგი არავის აძლევდა კრიტიკისა და ახლახან მომხდარ მარცხზე აზრის გამოთქმის საშუალებას. სანამ ვინმე სიტყვის თქმას მოასწრებდა, იგი გალიარდოს გამართლებას იწყებდა და სანუგეშებლად ბრძნულ დარიგებას აძლევდა ხუანს:

— შენ ჯერ კიდევ არ გამოჯანსაღებულხარ და მე ვამბობ: როცა სავსებით გამოჯანსაღდები, მაშინ ილაპარაკონ... ყველაფერი ისე იქნება, როგორც უწინ. პირდაპირ ხარზე მიხვალ — მამაცობა შენთვის თვით ღმერთს მოუცია. ერთი! დაშნას ტარამდე ჩაასობ... და ხარსაც ჯიბეში ჩაისვამ.

გალიარდო გამოუცნობი ღიმილით პასუხობდა. ხარს ჯიბეში ჩაისვამ! ნეტამც აგრე იყოს! მაგრამ ვაი, რომ ისინი გალიარდოს სარბიელზე არყოფნისას ძალზე გაზრდილან, უზარმაზარნი და შეუპოვარნი გამხდარან.

ბანქოს თამაშმა გალიარდოს ბნელი აზრები გაუფანტა. კვლავ დაიწყო უამრავი ფულის წაგება. მრგვალი მაგიდის ირგვლივ მჯდარ მდიდარ ახალგაზრდებს არარაობად მიაჩნდათ გალიარდოს მარცხი, რადგან „მაღალი საზოგადოების“ ტორეროდ თვლიდნენ მას.

ერთ საღამოს მატადორი დაპატიყცეს სასტუმრო „ერიტანიიში“. იქ დიდი ღრეობა უნდა გამართულიყო რამდენიმე მსუბუქი ყოფაქცევის უცხოელ ქალთა საზოგადოებასთან, რომლებსაც გალიარდოს მეგობრები პარიზიდან იცნობდნენ. ქალები სევილიაში ბაზრობისა და ვნების კვირის დღესასწაულთან დაკავშირებით ჩამოსულიყვნენ. ამჟამად სურდათ მათთვის ეჩვენებინათ „ყველაზე თვალწარმტაცი რამ“. ამ ქალთა სილამაზეს ოღნავ ნირი შესცვლოდა და სიტურფის შესანარჩუნებლად სახეზე ათასგვარ ნელსაცხებელს ისვამდნენ. ეგზოტიკით გატაცებული უსაქმური ახალგაზრდები მათ

ირველივ ტრიალებდნენ, ყოველნაირად ცდილობდნენ დაესაკუთ-
რებინათ ისინი და ქალებიც უარს არაფერზე ამბობდნენ...

ქალებმა მოისურვეს გაეცნოთ ცნობილი ტორერო, ულამაზესი
მატადორი გალიარდო, რომლის სურათები ეტიკეტებზე და ასანთის
კოლოფებზე ეხატა. როცა მატადორი არენაზე ნახეს, ქალებმა სთბო-
ვის ნაცნობებს, როგორმე გაგვაცანითო. სუფრა გაშლილი იყო რეს-
ტორან „ერიტანიაში“. უზარმაზარი დარბაზი, რომლის ფანჯრები
ბაღს გასცქეროდა, მოპირკეთებული იყო ვულგარულ-მაგიტანულ
სტილში და ალგამბრის საცოდავ მიბაძვას წარმოადგენდა. ამ დარ-
ბაზში იმართებოდა პოლიტიკური ბანკეტი და დიდი ღვინო. ხანდახან
აქ გაისმოდა მგზნებარე სიტყვები სამშობლოზე. ხშირად გიტარის
აკომპანიმენტის ქვეშ ტანგოს რიტმზე სრიალებდნენ და იკლავებ-
ოდნენ ქალები. კუთხეებში კი იატაკზე ეცემოდა საცობები, ისმო-
და კოცნის ხმა და კივილი.

სამივე ქალი გალიარდოს ისე შეხვდა, როგორც ღმერთკაცს. მათ
დაივიწყეს თავიანთი თავყვანისმცემლები, მხოლოდ გალიარდოს შეს-
ციცინებდნენ, ეამაყებოდნენ მის გვერდით ყოფნა და ხარბი თვალე-
ბით ეალერსებოდნენ მას. ეს ქალები ახსენებდნენ გალიარდოს, შო-
რეულ, აწ თითქმის მივიწყებულ სატრფოს... ამათაც ოქროსფერი
თმა ჰქონდათ და ძვირფასად ეცვათ, მთვრალი ქალების გამაღიზიან-
ებელი არომატი, რომელსაც მათი მოხდენილი ტანი აფრქვევდა
თავბრუს ხვევდა გალიარდოს.

როცა ამ ქალებს შესცქეროდა, ტორეროს უფრო ნათლად ახსენ-
დებოდა წარსული. ისინი დონია სოლის მეგობრები, ზოგი კი მისი
ოჯახის წევრიც იყო. გალიარდო მათ თითქმის ნათესაებად თვლი-
და.

ყველანი სვამდნენ და ჰამდნენ ისე ხარბად, როგორც ჩვეულებ-
რივი ღრეობის დროს, სადაც ხალხი ძალზე ჩქარობს დაღევას, რათა
ყველაფერი დაივიწყოს და კარგ გუნებაზე დადგეს.

შუა დარბაზში რამდენიმე ბოშა გიტარაზე სევდიან სიმღერას
მღეროდა. ერთ-ერთი ქალი ნეოფიტის მგზნებარებით მაგიდაზე შეხ-
ტა, სურდა ეჩვენებინა თუ რა წარმატებას მიაღწია სევილიელ მს-
წავლებლის ხელმძღვანელობით და მსუქანი ბარძაყებით ტლანქად
დაიწყო ტრიალი, ალბათ ფიქრობდა, რომ ადგილობრივ ცეკვას ან-
სახიერებდა.

— ყეყეჩო ძროხავ! ჯირკო! — დაცინვით დასძახოდნენ თავყა-
ნისმცემლები და ტაშს ტაქტს აყოლებდნენ.

ისინი დასცინოდნენ მის მოუქნელობას, მაგრამ ხარბი თვალებით
ჰამდნენ ქალის ძლიერ, მოქნილ სხეულს. თავისი ხელოვნებით გაა-

მაყებულს ეს გაურკვეველი ყვირილი ქებად მიაჩნდა, ხელები თავ-
ქვეშ ამოედო, კერს მიჩერებოდა და განაგრძობდა ბარძაყების
ქნევას.

ნაშუადამევეს ყველა შეზარხოშდა. ქალებმა ყოველგვარი სირ-
ცხვილი დაჰკარგეს. მატადორს მოსვენებას აღარ აძლევდნენ; ერთ-
მანეთს სტაცებდნენ ხუანს. ტორერო კი გულგრილად შესცქეროდა
მათ ბრძოლასა და ვნებიან კოცნას. გალიარდო მთვრალი იყო, მაგ-
რამ იგი დაეთრო ნაღველს. ო, ის მეორე! ნამდვილად ოქროსთმიანია!

მაგრამ ეს ოქროს ფერი ხელოვნური იყო. იგი იყო პარიკი, რო-
მელიც წამლებით გაუფერულებულ უხეშ თმას ფარავდა. ამ ტუჩებს
კი პომადის გემო აქვს. უცხო ხელის შეხებისაგან ტანი გახევებიათ,
გაპრიალებიათ, როგორც გადათელილ ტროტუარს. სუნამოს ნელ-
საცხებელში მხოლოდ ვულგარული სუნი იგრძნობა. ო, ის მეორე!
მეორე!

გალიარდოს არც ახსოვს ბაღში როგორ აღმოჩნდა. ის მიდიოდა
დაკლანკილ ბილიკზე, ხშირ ტყეში, ირგვლივ კი დუმილი იყო, თით-
ქოს ეს დუმილი ვარსკვლავებს დაუფრქვევიათო. ფოთოლთ შორის
მაცდუნებელი ჯოჯოხეთივით მოჩანდა რესტორნის მოწითალო
ფანჯრები, რომლის ფონზე დემონის მსგავსი ჩრდილები რიალებ-
დნენ.

ერთ-ერთი ქალი მატადორს ჩაჰკეროდა და ტყისკენ ეწეოდა.
მატადორი ემორჩილებოდა ქალს, მაგრამ ზედაც არ უყურებდა მას.
იგი ოცნებას შორს გაეტაცნა.

ერთი საათის შემდეგ ორივენი რესტორანში დაბრუნდნენ. ქალი
გაჩეჩილ თმას ისწორებდა, ბრაზიანად აბრიალებდა თვალებს და მე-
გობრებს რაღაცას უყვებოდა. ქალები იცინოდნენ, უგულველყოფის
ნაშნად გალიარდოსკენ ხელებს იშვერდნენ, მამაკაცებს ეჩურჩულე-
ბოდნენ და ყველანი ერთად ხარხარებდნენ... ო, ესპანეთი, იმედის
გამაცრუებელი ქვეყანა, სადაც ყველაფერი ლეგენდა ყოფილა,
თვით გმირების თავხედობაც!..

გალიარდო ღვინოს მიეძალა. ქალებმა, რომელნიც ტორეროს გა-
მო ერთმანეთს ეცილებოდნენ, დაჰკარგეს მისადმი ინტერესი, სხვა
ჰამაკაცებს მიუბრუნდნენ. სიმთვრალისგან ნახევრად მთვლემარე მე-
გიტარეებს თავი ჩაეჭინდრათ და ოღნავ გასაგონადლა უკრავდნენ.

ტორერომაც დივანზე ძილი გადაწყვიტა, მაგრამ ერთ-ერთმა მე-
გობარმა ეტლი შესთავაზა, გალიარდო აუცილებლად უნდა დაბრუნ-
დეს შინ, სანამ გრაფინია, დედამისი, დილის ლოცვაზე წავა.

ლამის ნიავემა ვერ გამოაფხიზლა გალიარდო. ეტლიდან გადმო-
სული ხუანი სახლისკენ წაბარბაცდა, მაგრამ კარს რომ მიუახ-

ლოვდა შეჩერდა, ნიდაყვებით კედელს მიეყრდნო, თითქოს მძიმე აზრებს ველარ უძლებსო, თავი ხელებში ჩარგო. ტორეროს სრულიად დაავიწყდა მეგობრები. „ერიტანიაში“ ქეიფი და თმაშეღებილი უცხოელები, რომელნიც ჯერ ნადირობდნენ მასზე, მერე კი მასხარად აიგდეს. სადაც, მის ცნობიერებაში, როგორც ყოველთვის. მიმალული იყო ბუნდოვანი, ძლივს შესახები მოგონება მასზე, იმ სხვაზე.. ბრძოლის უნით ალტკინებულ გალიარდოს ხართან ბრძოლა გაახსენდა.

იგი მსოფლიოს უპირველესი მატადორია! ოლე! ასე ამბობდნენ მისი იმპრესარიო და მეგობრები და ეს სრული ქეშპარიტება გახლავთ. მოქიშპენი სეირს ნახავენ, როცა ის კვლავ დაუბრუნდება არენას. ის, რაც ამ ბოლო ხანს მოხდა, შემთხვევის ბრალია: ბედმა მუხანათური მახე დაუგო!

სიმთვრალით თავბრუდახვეული უჩვეულო ძალას გრძნობდა, ანდალუსიის და კასტილიის ხარები უსუსურ თხებად ეჩვენებოდა. რომლებსაც მუშტის ერთი დარტყმით ძირს დასცემდა. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რაც ბოლო დროს მოხდა. „სისულელეა“, — როგორც ამბობს ნასიონალი. ხანდახან ბრწყინვალე მომღერალსაც დალატობს ხმა. არენის პატივსადებ პატრიარქთაგან მათი მარცხიანი სადამოების დროს გაგონილმა ამ გამოთქმამ მას რაღაც გადაულახავი სურვილი აღუძრა ემღერა და თავისი ხმით გაედვიძებინა ხალხისაგან დაცარიელებული წყნარი ქუჩა.

წინანდებურად ხელებზე თავდაყრდნობილმა ტორერომ წამოიწყო მის მიერ შეთხზული სიმღერა, რომელშიც განუზომლად აქებდა თავის ღირსებებს: „მე ვარ ხუანილიო გალიარდო... თვით ღმერთზე უმამაცესი“. და რადგანაც თავის სადიდებლად მეტი ვედრათერი მოეგონებინა, ჩახლეჩილი, მონოტომური ხმით ერთსა და იგივეს იმეორებდა, სანამ ძილგამფრთხალი ძაღლების ღრენა არ მოესმა.

გალიარდოში გაიღვიძა მამის მემკვიდრეობამ, რომელიც ვნებიან სიმღერაში გამოიხატებოდა, ხუანილიო-მეწაღე ყოველ კვირა ქეიფობდა და თავს სიმღერით ირთობდა.

უეცრად სახლის კარი გაიღო, გამოჩნდა ნამძინარევი გარაბატო, რომელსაც სურდა გაეგო ესოდენ ნაცნობი ხმით რომელი ლოთი ღრიალებდა.

— ა! ეს შენა ხარ? — წაიბუტბუტა მატადორმა, — მოიცა, ახლავე განვაგრძობ. — და გალიარდომ, ვიდრე შინ შევიდოდა, კიდევ რამდენჯერმე წამოიწყო თავის სადიდებელი სიმღერა.

გალიარდო დაწოლაზე უარს ამბობდა. გრძნობდა თავის მდგო-

შარეობას და რაც შეიძლება აკიანურებდა საძინებელ ოთახში შესვლას, სადაც ქმრის მოლოდინში კარმენი ფხიზლობდა.

— წადი, დაწევი, გარაბატო. მე აქ კიდევ ბევრი საქმე მაქვს.

რა საქმე ჰქონდა, თვითონაც არ იცოდა, მაგრამ უნდოდა დარჩენილიყო კაბინეტში, სადაც ეკიდა მისი სურათები, ხარის თავები და აფიშები, რომელნიც მის წარმატებებზე გაჰყვიროდა.

როცა სინათლე აინთო და მსახური წავიდა, გალიარდო შებარბაცდა შუა ოთახში და ალტაცებულმა თვალი გადაავლო კედლებს, თითქოს პირველად იმყოფება ამ დიდების მუზეუმშიო.

— ძალზე კარგია. შესანიშნავია, — ბუტბუტებდა იგი. — აი, ეს ლამაზი ბიჭი მე ვარ. აი — ესეც... და ყველა ესენი მე განლაგარ. და კიდევ არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ჩემზე ამბობენ... ეშმაკმა წაიღოს მათი თავი და ტანი! მე მსოფლიოს უპირველესი მატადორი ვარ! ასე თქვა დონ ზოსემ და ეს სრული ჰეშმაკობაა.

გალიარდომ ქული დივანზე დადო, თითქოს უმძიმესი გვირგვინი მოიხსნაო. წაბარბაცებული ხუანი ხელებით მაგიდას ჩაეკიდა და ჩააშტერდა ხარის უზარმაზარ თავს, რომელიც კაბინეტის ერთ-ერთ კედელს ამშვენებდა.

— ოლე, სალამო მშვიდობისა! ლამაზო! აქ რას აკეთებ? მუ-უ!... მუ-უ!...

გალიარდო ფიტულს ღმუილით მიესალმა, ბავშვივით აჯავრებდა ხარს. მატადორმა ვერ გამოიცნო ეს ურჩხული. ვერ გაიხსენა საიდან გაჩნდა აქ ეს ბანჯგვლიანი, მრისხანე რქებიანი თავი. მაგრამ თანდათან მოაგონდა.

— აა, გამახსენდი, ძმობილო... მახსოვს, როგორ გამომიყვანე მოთმინებიდან იმ დღეს. ხალხი მისტვენდა, ბოთლებს მესროდა, დედას მაგინებდა, შენ კი... შენ კმაყოფილი იყავი! ერთობოლი განა! ა, რას იტყვი, საზიზღარო!

მთვრალ გალიარდოს მოეჩვენა თითქოს ხარის გალაქული ტუჩები და შუშის თვალები დამცინავად აციმციმდა. თანხმობის ნიშნად დაიხარა, სქელი კისერი და რქებიანი თავი დაიქნია.

აქამდე მატადორი მხიარულ გუნებაზე იყო, მაგრამ როგორც კი ის დაწყევლილი დღე გაახსენდა, მასში მთვრალის რისხვამ იფეთქა. ეს საზიზღარი, კიდევაც რომ იცინის! სწორედ ასეთი ვერაგი. ცბიერი და ველური ხარებია, რომ დასცინიან მატადორს. ემაგ პირუტყვების ბრალია, რომ პატიოსან ადამიანს შეურაცხყოფენ და მასხარად იგდებენ. ო, როგორ სძულდა, რა ბოროტად გასცქეროდა გალიარდო რქოსანი პირუტყვის შუშის თვალებს!

— კიდეც იცინი, მამაძაღლო! წყეულიმც იყავ, შე მჭირდავო, შენა ღმერთმა შეაჩვენოს ძროხა, რომელმაც გშობა და ის თაღლითი პატრონი, ვინც საძოვრებზე გაბალახებდა. დაე, ციხეში ჩალაქს. კიდეც იცინი და იღრიკები?

განრისხებულ გალიარდოს აღარ ახსოვდა როგორ გადაწვდა მაგიდას და ხელისცეცებით გახსნა ყუთი... მერე წელში გასწორდა და ხელი რქოსანი პირუტყვისაკენ გაიშვირა.

რევოლველი ორჯერ გავარდა.

შუშის თვალები ნამსხვრევებად იქცა. ხარის შუბლზე დარჩა მხოლოდ გატრუსულ მატყლში ჩარჩენილი შავი ნატყეიარი.

VIII

შუა გაზაფხულს უეცრად აგრილდა, რაც ასე დამახასიათებელია მაღრიდისათვის — ცვალებადი ჰაეისა და ტემპერატურის მკვეთრი მერყეობისა გამო.

ციოდა. მოქუფრულ ციდან კოკისპირულად ასხამდა წვიმა, ხოლო დროდადრო თოვლის ფანტელებიც ცვიოდა. დედაქალაქის მცხოვრებნი გათოშილიყვნენ, კარადებისა და სკივრების გაღებას ჩქარობდნენ, რათა პალტოებსა და ლაბადებში გახვეულიყვნენ, წვიმისაგან დასველებული საგაზაფხულო თეთრი ქუდის ფარფლები გამუქებოდათ და ალაგ-ალაგ ჩაზნექოდათ.

აი, უკვე ორი კვირაა, რაც ცირკში კორიდები შეწყდა. კვირას დანიშნული ხართან ბრძოლა მომავალი კვირის პირველსავე დარიანი დღისთვის გადაიდო. უსაქმურობისაგან სასოწარკვეთილი იმპრესარიო, პროფესიონალები და კორიდის მოყვარულები ისეთი შიშით შესეკეროდნენ ცას, როგორც მიწათმფლობელები, რომელნიც სულ იმის ფიქრში არიან, მოსავალი არ გაგვიფუჭდესო. შუალამისას კაფეებიდან გამოსულ ხალხს ღრუბლებსა და ვარსკვლავებს შორის მოელვარე ცისფერი ზოლი მხიარულ განწყობილებას უქმნიდა.

— დარის ნიშანია... ზეგ იქნება კორიდა.

მაგრამ ცას თითქოს შავი ზეწარი გადააფარესო, კვლავ მოღრუბლულიყო და აღრინდელივით კოკისპირულად წვიმდა.

კორიდის მოყვარულები აღშფოთებული იყვნენ ამინდზე, რომელმაც ნაციონალურ დღესასწაულს ომი გამოუცხადა. დაწყევლილი ქვეყანაა! აქ ხართან ბრძოლის მოწყობაც შეუძლებელია.

გალიარდო იძულებული იყო ორი კვირა უქმად ეხეტიალა. კვადრილიის წევრები წუწუნებდნენ. სხვა ქალაქებში მოითმენდნენ

ამ დახანებას, მაგრამ მადრიდში მოსვენება სულ დაეკარგათ. ტრადიციის მიხედვით, სასტუმროს ფულს მატადორი იხდიდა ყველგან მადრიდს ვარდა, რადგან გათვალისწინებული იყო, რომ ტორეროებს მადრიდში ან იქვე ახლომახლო რაიონებში საკუთარი სახლა ჰქონდათ. სინამდვილეში პეონები და პიკადორები მადრიდში თავს ცუდად გრძნობდნენ. ისინი რომელიმე დაქირაავებული ბანდერილიეროს მეუღლის ოჯახში ცხოვრობდნენ, სადაც მოკლებულნი იყვნენ ყველაფერს, კაფეში წასვლას და თამბაქოს მოწევასაც კი. თვითელი მათგანი ფიქრობდა მხოლოდ ოჯახზე იმ ძუნწი ადამიანებით, რომელიც ერთ ღუროსთვის სიცოცხლეს სწირავს.

არა უშავს რა, დანაკლისს კორიდეების შემდეგ აინაზღაურებენ.

კეთილმოწყობილ სასტუმროში მცხოვრები გალიარდო უგუნებოდ იყო, მაგრამ მისი მწუხარების მიზეზი ამინდი კი არა, ბელიმდევარი გახლდათ.

მადრიდში პირველსავე კორიდაზე მარცხი განიცადა. ხალხი ადრინდელივით აღარ ეთაყვანებოდა. თუმც ახლაც ჰყავდა მომხრეები, რომლებსაც სჯეროდათ მისი ტალანტისა და მხარში უდგნენ, მაგრამ გასულ წელს მათაც გამომწვევად ეჭირათ თავი, ახლა კი საკმაოდ მიწყნარდნენ და ტაშსაც გაუბედავად უკრავდნენ. სამაგიეროდ, გალიარდოს მტრებმა თავი წამოყვეს, აშკარად აქეზებდნენ მაყურებლებს, რომელნიც, სისხლიანი სანახაობის დაუცხრომელი სურვილით აღტკინებულნი, მატადორის შეცდომებზე ღრიალებდნენ.

თავდაპირველად, საზბიელზე გამოსვლისთანავე, გალიარდომ არარაობად მიიჩნია ყოველგვარი ხიფათი და გაუგონარი მამაცობა გამოიჩინა. ხალხი მოითხოვდა, რომ იგი მუდამ ასეთი ყოფილიყო, ვიდრე სიკვდილი არ დახვედა მისი სიცოცხლის ძაფებს. ხალხი ღელავდა გალიარდოს სიფრთხილეზე. ადრე იგი თავდავიწყებამდე მამაცურად იბრძოდა და სახელის მოხვეჭას ცდილობდა. ახლა კი, ტორეროს სიცოცხლის შენარჩუნების ბუნებრივ სურვილს ხალხი ლანძღვით ხვდებოდა. თუ ესპადა ოდნავ ხარის მოშორებით იდგა და მულეტით ცხოველის დრუნჩს არ ებჯინებოდა, მაყურებელი აღშფოთებული ყვიროდა: მატადორს ახლოს მისვლისა ეშინიაო! ხოლო საკმარისი იყო გალიარდოს ერთი ნაბიჯით უკან დაეხია, რომ ამფითეატრიდან უხამსი ლანძღვა-გინება ისმოდა.

სევილიის სააღდგომო კორიდის ამბავი მთელ ესპანეთს მოედო. დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ მტრები ახმაურდნენ. გალიარდოს განუსჯელი რისკის გამო სხვა ტორეროებიც ხშირად იძულებულნი იყვნენ სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდოთ და ამჟამად თვალთმაქცურად წუხდნენ გალიარდოს დიდების დასასრულს. სად გაქრა მისი

ადრინდელი სიმამაცე? იწვინა თუ არა ხარის რქები, ძალზე ფრთხილი გახდა. ამგვარი აზრებით შეშფოთებული მაყურებელი თვალს არ ამორებდა ტორეროს, ყოველ წერილმანში ეღავებოდა და დავიწყებოდათ, რომ ადრე მის შეცდომებზეც ტაშს უკრავდნენ.

როგორც ცნობილია, ბრბო ცვალებადია. სხვისი მამაცობით გამოწვეული ალტაცებისაგან დაღლილ ხალხს უხაროდა, როცა რომელიმე ტორეროს ეშინოდა, ან სიფრთხილეს იჩენდა, რადგან ამ ნაკლოვანებების შემჩნევა ბრბოს თითქოს სიამაყეს ჰკვირდა. მაყურებელს ეჩვენებოდა, რომ გალიარდო ხარს გაუბროდა. „მიუახლოვდი!“, უყვიროდნენ ისინი. მაგრამ როცა ტორერო თავდაცვით ინსტინქტებს სძლედა და ხარს ადრინდელივით მამაცურად კლავდა, ხალხი უწინდელივით ალტაცებით როდი ეგებებოდა, რადგან ძაფი, რომელიც ოდესღაც ტორეროს ხალხთან აკავშირებდა, გამწყდარიყო. გალიარდო წარმატებებს იშვიათად აღწევდა და ეს ხალხს საბაბს აძლევდა, იგი სულელური დარიგებებით გაეღიზიანებინა. „აი, როგორ უნდა ხარის მოკლა! მუდამ ასე უნდა იმეკმედო, ეშმაკის კერძო!..“ ზუანის ერთგული თაყვანისმცემლებიც აღიარებდნენ ზუანის შეცდომებს, მაგრამ ტორეროს გასამართლებლად მის წარსულ სიმამაცეს იგონებდნენ.

— მართალია, ხანდახან დაუდევრობას იჩენს... დაიღალა... მაგრამ თუ მოინდომა!... — ამბობდნენ ისინი.

ო, გალიარდოს მუდამ სურდა! ანდა რატომ არ უნდა სდომოდა ტაშის გრიალი? მაგრამ წარმატებები, რომელიც, ხალხის ფიქრით, გალიარდოს სურვილზე იყო დამოკიდებული, შემთხვევითი გახლდათ. უწინ, კორიდის დღეებში, გალიარდო სულიერად აღფრთოვანებული იყო, ამჟამად კი არაფერს გრძნობდა.

ზოგიერთი პროვინციული ასპარეზიდან მატადორი სტვენითაც გააცილეს. თუ პირუტყვის უზარმაზარ კისერში დაშნის ოსტატური დარტყმით ზუანი ერთბაშად ხარს ვერ კლავდა, მზის მხარეს მჯდომი მაყურებელი ან ხარივით ღმუროდა, ან კიდევ ეყვანს აწკარუნებდა.

მადრიდის პირველსავე კორიდაზე. შეიძლება ითქვას, მაყურებელი გალიარდოს ხიშტით შეხვდა. როგორც კი გალიარდომ მულეტი მოიქნია და ხარის მოსაკლავად გაემზადა, ამფითეატრიდან აღშფოთებული ყვირილი გაისმა: „სევილიელი ჭაბუკი ცდილობს ხარს მიეპაროს, ხელი უკან მიაქვს, ციყვივით განზე ხტება, ხან კი გარბის და დავიწყებია, რომ გაუნძრევლად, მთელი ნებისყოფას დამაბევით უნდა ელოდოს ხარს. სად გაქრა წინანდელი სიმამაცე?..“

ამგვარად, პირველი კორიდა მარცხით დამთავრდა. გალიარდოს თაყვანისმცემლები ერთ ადგილზე შეჯგუფულიყვნენ და მხოლოდ

ამაზე მსჯელობდნენ. ახალ დროების ლანძღვა-გინებას დაჩვეული მოხუცები ბუზღუნებდნენ და ახალბედა ტორეროებს აძაგებდნენ: დიდხანს არ ყოფნით გამბედაობა, რქების შეხებისთანავე ლაჩრღებთან.

წვიმის გამო უქმად მყოფი გალიარდო მოუთმენლად ელოდა მეორე კორიდას და თავისი გამბედაობით ხალხის გაოცებას აპირებდა.

მტრების დაცინვამ გალიარდოს თავმოყვარეობა ძალზე შელახა. თუ დედაქალაქში კიდევ ერთხელ დამარცხდა, შერცხვენილი დაუბრუნდება სოფელს.

გალიარდო სიტყვას აძლევდა თავს, რომ დასძლევდა შიშს, ზურგს არ შეაქცევდა ხარს, რომელიც ახლა წინანდელზე საშიშად და მრისხანედ ეჩვენებოდა. ნუთუ არ ეყოფა გამბედაობა, რომ ისეთივე ტრიუმფით გამოვიდეს არენაზე, როგორც უწინ? რასაკვირველია, ხელ-ფეხში კვლავ სისუსტეს გრძნობს, მაგრამ გაივლის.

იმპრესარიომ ხუანს შესთავაზა ძალზე ხელსაყრელი კონტრაქტები ამერიკის ცირკთან. არა, რა დროს ოკეანეს გაღმა მგზავრობაა. ჯერ ესპანეთი უნდა დაიპყროს, დაამტკიცოს, რომ წინანდელივით უპირველესი მატადორია და მერე შეიძლება აქედან წასვლა.

შეწუხებული გალიარდო გრძნობდა, რომ მისი სახელი თანდათან დავიწყებას ეძლეოდა. ტორერო ხშირი სტუმარი გახდა იმ ადგილებისა, სადაც ნაციონალურ სანახაობათა მოყვარული საზოგადოება იკრიბებოდა.

როცა ხუანი ინგლისურ კაფეში შეივლიდა, სადაც ტორეროს ანდალუსიელი. თავყვანისმცემლები იკრიბებოდნენ, მის შესახებ მსჯელობა მაშინვე წყდებოდა. გალიარდო მშვიდი, თავმდაბალი ღმილით თვითონვე იწყებდა საუბარს მარცხზე და ამით მძრახველთ ანიარაღებდა.

— რაც მართალია, მართალია, ვალიარებ, რომ შეცდომა დავუშვი... მაგრამ როცა გამოიდარებს, ნახავთ... ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია!

პუერტა დელ სოლის მოედანზე, კაფეში, სადაც საშუალო შეძლების მოყვარულები იკრიბებოდნენ, გალიარდო შესვლას ვერ ბედავდა. იქ შეკრებილიყვნენ ანდალუსიელი მატადორის ძველთაძველი მტრები, ბედის უსამართლობით აღშფოთებული, წმიდა სისხლის მადრიდელები. ისინი ნიადაგ იმას წუხდნენ, რომ სევილიაში, კორდოვაში და დედაქალაქში ვეღარ ნახავ ნამდვილ ტორეროსო. თავყვანისცემით იხსენიებდნენ მადრიდის ღირსეულ შვილს, სასწაულმოქმედ ფრასკუელოს. გალიარდოს ეს შეურიგებელი

მტრები წლობით არ ესწრებოდნენ კორიდას. რაღას უნდა ვუყუროთ, ზანგი მკვდარიყო! ისინი კმაყოფილებოდნენ გაზეთის ცნობებით და დარწმუნებული იყვნენ, რომ ფრასკუელოს სიკვდილის შემდეგ აღარ არსებობდნენ ღირსეული ტორეროები და ხარები. ამჟამად არენაზე გამოჩნდნენ მასხარა და პრანკია ანდალუსიელი ბიჭები, რომლებმაც რიგიანად არ იციან ხართან ბრძოლა.

დროდადრო მადრიდელთ მკრთალი იმედი ეძლეოდათ. ბოლოს და ბოლოს, მადრიდს ეყოლება თავისი მატადორი! ახლახან რაიონში ერთი ახალგაზრდა ნოვილიერო აღმოაჩინეს, რომელმაც უკვე სახელი მოიხვეჭა ვალიეკასა და ტეტუანას ცირკის ასპარეზზე. ამჟამად კი კვირაობით გამართულ დიდ არენებზეც მონაწილეობსო.

ახალბედას პოპულარობა თანდათან მატულობდა. ღარიბ კვარტალთა სადალაქოებში მასზე ალტაცებით ლაპარაკობდნენ და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. გმირი სამიკიტნოდან სამიკიტნოში დადიოდა, ღვინოს სვამდა და მომხრეებს იმრავლებდა.

ღარიბები, რომლებსაც ფული არ ჰქონდათ დიდ კორიდაზე ბილეთის შესაძენად, მოუთმენლად მოელოდნენ სადამოს გაზეთებს გამოსვლას, რომ ბრძოლაში მონაწილე ტორეროები შეეფასებინათ. ისინი თავისი ბრძნული დარიგებებით მხარს უჭერდნენ ახალბედას, რომელიც, მათი აზრით, მომავალში სახელგანთქმული ტორერო გახდებოდა.

— ჩვენ, — ამჟამად ამბობდნენ ისინი, — მდიდრებზე ადრე ვამჩნევთ ახალ ვარსკვლავს.

მაგრამ დრო გადიოდა და წინასწარმეტყველება არ მართლდებოდა. გაზეთში ქების შემდეგ ახალბედა რქების სასიკვდილო დარტყმით იღუპებოდა, ან დაქრის შემდეგ ლაჩრდებოდა და უერთდებოდა უსახელო ნაწნავიანთა არმიას, რომელნიც მითიური კონტრაქტების მოლოდინში პუერტა დელ სოლის მოედანზე ხეტი-ალობდნენ. მოუღლეელი ენთუზიასტები კი ახლა სხვა ახალბედას შესტკეპროდნენ და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ამჟამად მაინც მადრიდის ნამდვილი ვარსკვლავი აღმოვაჩინეთო.

გალიარდო ვერ ბედავდა მისვლას ამ ტავრომაქიის დემაგოგებთან, რომელნიც წინათაც მტრულად იყვნენ მისდამი განწყობილნი და ახლა მით უმეტეს უხაროდათ, რომ ხუანის დიდება ჩაესვენა. ისინი თავის მესიას ელოდნენ და მხოლოდ მაშინ აპირებდნენ ცირკში წასვლას.

გალიარდო სადამოს პირზე, მადრიდის ცენტრალურ ქუჩაზე მიმოდრიოდა და ხალისიანად ესაუბრებოდა პუერტა დელ სოლზე მოხეტიალე უსაქმურ ტორეროებს, რომლებსაც უყვარდათ ტრახანო

მათ მიერ ჩადენილ „გმირობებზე“ და უმუშევარ ოინბაზებთან ერთად გააფთრებულნი თავს ესხმოდნენ ამხანაგის ილბლიანობას.

ეს ახალგაზრდები გალიარდოს „მაესტროს“ ან „სენიორ ხუანს“ ეძახდნენ და ხანდახან ცოტაოდენ ფულსაც გამოსტყუებდნენ ხოლმე. უსაქმურებს კარგად ეცვათ, კოხტაობდნენ კიდევ. თუმც ყველას ხარბი თვალებით გასცქეროდნენ, მაგრამ თავი ისე ექირათ, თითქოს ცხოვრებით კმაყოფილნი არიანო და ურცხვად ათამაშებდნენ სპილენძის ბეჭდებსა და ყალბ სამაჯურებს.

მათ შორისაც იყვნენ წესიერი ახალგაზრდები, რომელნიც ასპარეზისკენ გზის გაკაფვას ცდილობდნენ, რათა ასე თუ ისე უფრო უზრუნველყოთ ოჯახი. ზოგიერთი უსინდისო კი გაიჩენდა ხოლმე სდიდუმლო ხელობის მეგობარ ქალს, რომელიც სხეულით ვაჭრობდა, რათა ერჩინა საყვარელი, მომავალი ცნობილი პიროვნება.

ამ მომავალ „ვარსკვლავებს“ კი ერთი კოსტიუმის გარდა არაფერი გააჩნდათ, მთელი დღე ცენტრალურ ქუჩაზე ხეტიალს უნდებოდნენ, საუბრობდნენ კონტრაქტებზე, რომელიც თითქოს უარყვეს და უთვალთვალდნენ მდიდარ ნაცნობებს, იქნებ ერთი ვახშამი მაინც დაეტყუოთო. თუ რომელიმე მათგანს ბედი გაუღიმებდა და რაიონში მოზრებთან საბრძოლველად მიიწვევდნენ, ამ ილბლიანს, უპირველეს ყოვლისა, დაგირავებული საბრძოლო ტანსაცმლის დახსნისთვის უნდა ეზრუნა. ჩვეულებრივ, ეს იყო რომელიმე ტორეროს ნახმარი ძველმანი, რომელსაც ოქრომკედი გახუნებოდა და მხოლოდ თვალის მოსატყუებელ საცოდავ ზიზილ-პაპილად ქცეულიყო. ხარის რქისაგან დაფლეთილ აბრეშუმს ადრინდელი შიშის სამარცხვინო დაღი ეტყობოდა.

ტავრომაქიის ამ მარცხიანობით გააფთრებულ მსახურთა ბრბოში, რომელნიც უნიჭობის და ლაჩრობის გამო ჩრდილში იმყოფებოდნენ, ერივნენ ისეთებიც, რომლებიც საყოველთაო პატივისცემას იმსახურებდნენ. ხარით დაშინებული ყმაწვილები, ამჟამად ნავახის* ხმარებაში გაწაფულიყვნენ. მეორენი პატივისცემას იმით იმსახურებდნენ, რომ მუშტის ერთი დარტყმით კაცი მოუკლავთ და ციხეში მჯდარან. ერთმა ცნობილმა ქუდიყლაპიამ ვალიეკას სამიკიტნოში შემწვარი ფეტრის ქუდი შექპაა, ზედ ღვინო დააყოლა და ასე გაითქვა სახელი.

ზოგიც შემპარავი მანერებით იყო ცნობილი. ბრწყინვალედ გამოწყობილი ეს უსაქმურები გალიარდოს ფეხდაფეხ დასდევდნენ, ეგების ხუანმა გვასაუზმოსო.

* ესპანური დასაკეცი დანა.

— მე ცუდად როდი ვცხოვრობ, მაესტრო, — ამბობდა ერთ-ერთი ამ გარეწართაგანი. — რასაკვირველია, ცუდი დრო დაგვიდგა, სარბიელზე ხშირად ვერ გამოვდივართ, მაგრამ, სამაგიეროდ, მფარველი მყავს... მარკიზი, თქვენ მას კარგად იცნობთ...

გალიარდო ირონიულად იღიმებოდა. ყმაწვილი კი უკვე იჩხრეკდა ჯიბეებს.

— მარკიზი დიდ ყურადღებას მაქცევს... აი, ნახეთ, რა პორტსიგარი ჩამომიტანა პარიზიდან!

და ქაბუკი ამაყად აჩვენებდა გალიარდოს სენტიმენტალურ წარწერიან ლითონის პორტსიგარს, რომლის ხუფზე ტიტველი ანგელოზები იღიმებოდნენ.

ყოყოჩა ბიჭები თავხედურად ამაყობდნენ თავისი მამაკაცური ღირსებებით, ართობდნენ გალიარდოს ათასგვარი სამხიარულო თავგადასავლით.

სანადიროდ ისინი დილაობით, იმ დროს გამოდიოდნენ, როცა აღმზრდელ ქალებს მდიდარი სახლებიდან ბავშვები სასეირნოდ მიჰყავდათ კასტელიანის ხეივანში. მადრიდში ჩამოსულ ინგლისელ ქალბატონებსა და გერმანელ ქალებს თავი გამოქედილი ჰქონდათ ამ ლეგენდარულ ქვეყანაზე ფანტასტიკური ბოდვებით და თექის შლიაპიანი სუფთად გაპარსული ქაბუკები მართლა ტორეროები ეგონათ. ალტაცებას ეძლეოდნენ — თვით ტორერო იყო მათი თაყვანისმცემელი!

— ეს ქალები ისეთივე უვერგილონი არიან, როგორც უმარილო პურა! დიდრონი ფეხები, ჩალისფერი თმა, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მაესტრო, რომ ყველაფერი ადგილზე აქვთ. რასაც ეტყვი, ხვდებიან, პასუხად ხარხარებენ, თვალებს აქყეტენ, პირს აღებენ და შაქარივით თეთრი კბილები მოუჩანთ. მართალია, ესპანურს ვერ ლაპარაკობენ, მაგრამ სამაგიეროდ კარგად იციან, რას მოითხოვთ მისგან. მადლობა ღმერთს, სირცხვალს არ ვჭამთ, გვაძლევენ თამბაქოს, ფულს, და ყველაფერს, რაც მოგვესურება... ამჟამად სამი ასეთი ქალი მყავს...

მთხრობელი ამაყობდა სიყვარულის დაუცხრომელი უნართა და ქალის დანაწოვის მითვისებით.

ზოგიერთნი დადიოდნენ მიუზიკ-პოლის მოცეკვავეებსა და მომღერლებთან, რომელნიც სხვადასხვა ქვეყნებიდან ესპანეთში ჩამოსულიყვნენ, რათა „ტორეროების“ სიტკბოება ეგემათ. მგზნებარე, ცხვირპაჭუა, ბრტყელ მკერდიანსა და ჰაეროვან ფრანგ ქალებს სურნელოვან, შრიალა კაბებში ტანი სრულიად არ მოუჩანდათ. აქ იყვნენ აგრეთვე შიმე წონის ჩასუქებული გერმანელი

ქალები, ძალოვანი, ქერათმიანი სკანდინაველები და ტრაგიკული გამომეტყველების შავგვრემანი იტალიელი.

ახალგაზრდა ტორეროები სიცილით იგონებდნენ პირველ პაემანს ამ მანდილოსნებთან, რომელნიც გაკვირვებულნი იყვნენ, რომ ეს ლეგენდარული გმირები არაფრით განსხვავდებოდნენ ჩვეულებრივი მამაკაცებისაგან და უსდობლად ეკითხებოდნენ ახალგაზრდებს, ნამდვილად „ტორეროები“ ხართო? თვალებით გაფაციცებით ეძებდნენ კეფაზე წამოზრდილ ნაწნავს და თავიანთი ეშმაკობით კმაყოფილნი, იღიმებოდნენ.

— თქვენ არ იცით, მაესტრო, რა სულელები არიან! ისინი მზად არიან მთელ დღეს კოცნონ ნაწნავი, თითქოს უკეთესი რამ არასოდეს უნახავთ. ძალზე ახირებული ხალხია! მათი სურვილის დასაკმაყოფილებლად ლოგინიდან უნდა წამოდგე, შუა ოთახში გაჩერდე, ხართან ბრძოლის წესები აჩვენო; გადაადგო სკამი, ზეწარი ლაბადასავით აქნო და ბანდერილიერო თითებით შეცვალო. საოცრებაა, მეტი არაფერი! ეს მოხეტიალე ქალები მიჩვეულნი არიან თაყვანისმცემლებისაგან ხარკის აღებას, იღრიჭებიან, დასაჩუქრება სურთ და დამტკრეული ესპანურით ღმერთმა უწყის, რას მოითხოვენ: „ძმობილო ტოლელო, მაცუკე, სენი ელთ-ელთი ლაბადა, ლათა ცეკვის დროს მოვიხლო“. შეგხვედრიათ, მაესტრო, ასეთი ყუყუჩები? თითქოს ლაბადები გაზეთივით იყიდებოდეს და უთვალავი გვქონდეს.

დიდსულოვანი ქაბუკი ტორერო პირდებოდა ქალს ლაბადას, რადგან ყველა ტორერო ხომ მდიდარია! ჰოდა ძვირფასი საჩუქრის ნაცვლად „საქმრო“ „საცოლეს“ ფულს თხოვდა სესხ-დ. თუ ქალს ფული არ აღმოაჩნდებოდა, ქაბუკი აგირავებდა მის ძვირფასეულობას და თანდათან სტანცლავდა ყველაფერს, რასაც მოახელთებდა. როცა სიყვარულისაგან გაბრუებული ქალი გამოფხიზლდებოდა და თავისუფლების დაცვას დაპირებდა, ლეგენდარული გმირის პოზაში მყოფი ახალგაზრდა საქმით ამტკიცებდა თავის მგზნებარებასა და ქალს მუშტით კბილთაგან სისხლს ადენდა.

გალიარდო გატაცებით ყურს უგდებდა ამგვარ ამბებს და აღტაცებული იყო ამ სამიჯნურო კავშირთა დასასრულით.

— სწორია! კარგადაც მოქცეულხარ! — წამოიძახებდა ხოლმე ველური აღტაცებით ხუანი. — რა საჭიროა მორიდება! ვიცი, რა შვილებიც ბრძანდებიან! ცემის შემდეგ უფრო შეუყვარდები! ქალის წინაშე ქედის მოხრაზე ცუდი არაფერია! მამაკაცმა უნდა აიძულოს, რომ პატივი სცეს მას.

გალიარდო გულუბრყვილოდ იყო აღტაცებული იმ ქაბუკებით,

რომელიც უცხოელთა ნდობით სარგებლობდნენ და ნანობდა, რომ თვითონ მხოლოდ ერთ ქალთან ჰქონდა კავშირი.

ამ სასაცილო ვაბუეებს გარდა გალიარდოს დაუახლოვდა კიდევ ერთი თავყანისმცემელი, რომელმაც მომაბეზრებელი თხოვნით საქმე გაუჭირვა. ეს იყო მხარბეჭიანი, სახელაუღაჟა მიკიტანი, წარმოშობით გალიციიდან, რომელმაც ცოტადენი ფული დააგროვა და ვენტასში გახსნა სამიკიტნო, სადაც კვირაობით ჯარისკაცები იკრიბებოდნენ და მსახურებთან ცეკვავდნენ.

გალიარდოსა და საერთოდ, სახელგანთქმულ ტორეროთა ვნებიან თავყანისმცემელ მიკიტანს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, მისი უსუსური, გაძვალტყავებული ბავშვი ტავრომაქიის ცნობილი პიროვნება გამხდარიყო.

— ბავშვი ნამდვილად გამოდგება. — ამბობდა მამა. — თქვენც კარგად მოგესხენებათ, სენიორ ხუან, რომ მაგ საქმეში ასე თუ ისე ვერკვევი. ჩემი შვილის მომავალ კარიერას უამრავი ფული დაეახარჯე; მაგრამ მფარველის გარეშე მიზანს ვერ მივალწიე. თქვენზე უკეთეს მეურვეობას ვინ გაუწევს. თუ ნოვილიადას მოუწყობთ, უამრავი ხალხი დაესწრება. ხარჯი ჩემს კისერზე იყოს.

მიკიტანი შვილის კარიერისათვის არაფერს ზოგავდა, ყოველგვარ ხარჯს თვითონ კისრულობდა, რამაც დიდი ზარალი მიაყენა, მაგრამ კომერციული მოსაზრებით შთაგონებული უკან არ იხევდა და იმედი ჰქონდა, რომ მომავალში, როცა შვილი დიდებას მოიხვეჭდა, დანაკარგს ორმაგად აინაზღაურებდა.

საცოდავი ბიჭუნა, რომელიც სხვა ბავშვებივით ხართან ბრძოლით იყო გატაცებული, მამის ენთუზიაზმის მსხვერპლი გახდა. მიკიტანს ნამდვილად სჯეროდა შვილის ნიჭისა და ყოველდღე ტალანტის ახალ-ახალ ნიშნებს ამჩნევდა. ბავშვების სულმოკლეობას მამა სიზარმაცეს აბრალებდა. ხოლო შიშს ხარის წინაშე პროფესიონალური სინდისის უქონლობით ხსნიდა. პარაზიტი, მუქთახორა, უსაქმური ტორეროები, რომლებსაც უწინდელი გმირობისაგან მხოლოდ ნაწნავი შერჩენოდათ, მიკიტნის კარზე ფუსფუსებდნენ და რჩევა-დარიგებების საფასურად სადილსა და სხვა მოწყალებას მოითხოვდნენ. ისინი მამასთან ერთად თათბირობდნენ იმაზე, თუ როგორ გაეგებიან ბინათ მსოფლიოსათვის, ვენტასის რაიონში ტავრომაქიის „ვარსკვლავი“ იღუპებათ.

მიკიტანი შვილთან შეუთანხმებლად „თავისი ხარჯით“ ტეტუნასა და ვალიეკასში კორიდებს აწყობდა. ამ ასპარეზზე ყველა მსურველს შეეძლო მონაწილეობა და ასობით მაყურებლის წინაშე ხარის ჩლიქებისა და რქების გამოცდა. იმ ღირსების მოსაპოვებლად, რომ

შემოგლეჯილ, სისხლითა და ნაკელით მოსვრილ შარვალში უსულოდ დაცემულიყო არენაზე, ცირკში ყველა ადგილის საფასური უნდა გადაეხადა და მერე თვითონ ან რწმუნებულის მეშვეობით, უფასო ბილეთები გაესაღებინა.

თავისი იდეებით გატაცებული მიკიტანი ბილეთებს მეგობრებს, ამხანაგებს და ლარიბ „მოყვარულთ“ ურიგებდა. ამასთან უხვად უხდიდა ფულს შვილის კვადრილიას — რომელიც პუერტა დელ სოლზე უქმად მოხეტიალე ნაწნავიანთაგან შედგებოდა. კვადრილია ჩვეულებრივი ტანსაცმელით გამოდიოდა, ხოლო „მაესტრო“ ძვირფასი პროფესიონალური ტანსაცმლით. მაყურებელს თვალს ზრიდა.

ყველაფერი ბავშვის კარიერისთვის!

— შვილის ტანსაცმელი შევუკვეთე საუკეთესო მკერავს, რომელიც მხოლოდ გალიარდოს და საუკეთესო ტორეროებს უყვრავს. შვიდი ათასი რიალი გადავიხადე! მე მგონი მაგგვარ ტანსაცმელში გამოწყობილი ყველა ტორერო მოახდენს შთაბეჭდილებას. ბევრს სურს ასეთი მამის ყოლა! შვილის კარიერისთვის მზად ვარ უკანასკნელი კაპიკი დაეხარჯო.

კორიდის დროს მიკიტანი მოაჯირს არ სცილდებოდა და სქელი კეტის ქნევით შვილს ამხნევებდა. თუ ბავშვი მოაჯირთან შესვენებას დააპირებდა, მამის ლაჟღაჟა სახე და კეტი მის ცხვირწინ საშიშ მოჩვენებასავით აღიმართებოდა.

— ისმება კითხვა, რატომ ვხარჯავ ფულს? იმიტომ, რომ შენ სენიორიტასავით მოსვენებით დასტკბე? არამზადავ, სადაა შენი პროფესიონალური სინდისი? ახლავე სარბიელს მიაშურე და ხალხს თავი მოაწონე... ო, ნეტავ შენსავით ახალგაზრდა ვიყო და მეტი არაფერი მინდა.

როცა მულეტითა და დაშნით შეიარაღებული, შიშით ცოცხალ-მკედარი ჰაბუეი ხარის პირისპირ აღმოჩნდებოდა, მამა აჩრდილივით უკან დასდევდა, მუდამ გვერდით ედგა და მრისხანე მასწავლებელივით მზად იყო მოსწავლისათვის უბრალო შეცდომაჲ კი არ ეპატიებინა.

ოქრომკედლი ნაქარგ აბრეშუმში უნებურად შემოსილ ჰაბუეს ყველაზე უფრო შინ დაბრუნებისა ეშინოდა, რადგან იქ წარბშექმუხნული მამა უცდიდა. ბავშვს ჩლიქებით გათელილი ტანი ძალზე უხურდა. საცოდავი, დაფლეთილ ტანსაცმელს ლაბადით ფარავდა და სამიკიტნოში ისე შედიოდა. დიდი ხნის ლოდინით დამწყურებულ, ულამაზო, მაგრამ ღონიერი დედა შვილს მკერდში იკრავდა.

— აი, შენი ჩერჩეტი! — ღრიალებდა მიკიტანი. — თავი მოგეკრა. ნეტავ რაზე ვფლანგავთ ფულს!

გააფთრებული მიკიტანი ჯოხს ატრიალებდა და ოქრონაქარგ აბრეშუმში გამოკიმული ახალგაზრდა, რომელსაც ახლახან ორი მოზვერი მოეკლა, თავზე ხელს იფარებდა და გარბოდა. ამასობაში დედაც გამოექომაგებოდა:

— ნუთუ ვერ ხედავ, რომ ბავშვი დაქრილია?!

— როგორ თუ დაქრილია! — გასძახოდა დამწუხრებული მამა რომელსაც სანანებლად გახდომოდა, რომ მართლა ასე არ იყო. — მხოლოდ ნამდვილი ტორეროები იჭრებიან. დაუკემსე და დაუკერე შარვალი; ხედავ, ამ არამზადას სამოსი რას დაუმსგავსებია!

რამდენიმე დღის შემდეგ მიკიტანს ისევ გული მოუბრუნდებოდა შვილზე. ამგვარი რამ ვის არ დამართია! ასპარეზზე ცნობილი შატალორებიც შერცხვენილან! მთავარია, გული არ გაეიტხეოს და მიზანს მივალწვეთ.

მიკიტანი ტოლედოს ან გუადალახარის ასპარეზზე რწმუნებულის მეშვეობით კვლავ კორიდებს აწყობდა და, როგორც წესი „ხარჯს თვითონ კისრულობდა“.

მადრიდის დიდ სარბიელზე შემდგარი ნოვილიადა, მიკიტანის აზრით არნახული სანახაობა იყო. ახალგაზრდა შესანიშნავად გაუმკლავდა ორ ხარს და მაყურებლის ტაში დაიმსახურა. გამოსასვლელთან გამოჩნდა მამა, რომელსაც პაწია მაწანწალების გროვა ეხვია. მოხეტიალე ბავშვებს მან თავი მოუყარა და შესაფერის მომენტს უცდიდა, რომ შიგ შეეარდნილიყო. საერთოდ, მიკიტანს ეხერხებოდა საქმეების მოკვარახჭენება. თითოეულ მაწანწალას 50 სანტოში მისცა, რათა ხმის ჩახლეჩამდე ეღრიალათ: „გაუმარჯოს მანიტასს!“ და როგორც კი კარებში ნოვილიადა გამოჩნდებოდა, ხელში აეტაცნათ იგი. ამგვარად, მანიტასს, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ მოენელებია განცდილი მღელვარება, თვალის დახამხამებრს უმალ გარს შემოერთყნენ და ცირკიდან აღკალას ქუჩამდე ხელში ატაცებული წაიყვანეს. პროცესიას ტავრომაქიის მოყვარულები გზას უღობავდნენ. მაწანწალებს უკან კმაყოფილი მამა მიჰყვებოდა, კეტი ტანსაცმლის ქვეშ დაემალა და ისეთი იერი მიეღო, თითქოს ამ ალტაცებულ შეძახილებთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. მაგრამ როგორც კი ყვირილი მიწყდებოდა, მამას სიფრთხილე ავიწყდებოდა და დაფეთებული ვაჭარივით, რომელსაც თითქოს ფული დააკლესო, გარბოდა და ნიშანს აძლევდა: „გაუმარჯოს მანიტასს!“. მაწანწალებიც ბანს აძლევდნენ და ღრიალი კვლავინდებურად ძლიერდებოდა.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ მიკიტანი ამ ამბის გახსენებაზე ძალზე ლელავდა.

— სენიორ ხუან, მანიტასი ხელში ატატებული მომიყვანეს ისე, როგორც თქვენ დაჰყავდით ხოლმე... გთხოვთ მაპატიოთ ეს გაბედული შედარება. თვით დარწმუნდებით მის მამაცობაში... მხოლოდ ცოტაოდენი ბიძგი სჭირდება, სხვა არაფერი...

გალიარდოს მიკიტნისაგან თავის დაღწევა სურდა და პასუხობდა: კეთილი, დავეხმარები. საჩქარო არაფერია, ზამთრამდე ჯერ კიდევ დიდი დროა.

ერთ საღამოს, ალკალა დო პუერტა დელ სოლის ქუჩასთან გალიარდო უეცრად ერთ ადგილზე გაშეშდა. სასტუმრო „პარიზთან“ ეტლიდან ქერათმიანი ქალბატონი ჩამოვიდა. ვიღაც უცნობმა მამაკაცმა ხელი შეაშველა, რაღაც უთხრა, რის შემდეგ ქალი სასტუმროს კარში გაუჩინარდა. ეს იყო დონია სოლი. ტორეროს ამაში ეჭვიც არ შეპარვია. ქალმა გამომშვიდობებისას ისე გაუღიძა უცნობს, როგორც უღიმოდა გალიარდოს უწინ, როცა მეწამული მზის სხივებით განათებულ უკაცრიელ მინდვრებში ერთად დააქნებდნენ ცხენებს.

იმ საღამოს მეგობრებს უგუნებოდ ელაპარაკებოდა. წარსულ მოგონებებით გაწამებულ გალიარდოს არც ღამით მოუხუტავს თვალი. როცა თავის ოთახში ავიდა, აივნის თანჯრიდან მოქუყრული ცის მკრთალი სინათლე სცემდა. წვიმდა. ირგვლივ ყველაფერი: ცა, მოპირდაპირე სახლის კედლები, ჭუჭყიანი ხიდი, სარკესავით მოელვარე ეტლების სახურავები და ქოლგები, ბნელით იყო მოცული.

თერთმეტი საათია! რა იქნება, დონია სოლთან რომ მივიდეს? რა მოხდება? გუშინ გალიარდომ სინანულით უარყო ეს აზრი. თავის დამცირებაც არ სურდა, რადგან ქალი არ გამომშვიდობებოდა, ისე წავიდა, ხოლო შემდეგ, როცა სიკვდილის პირას იმყოფებოდა, მხოლოდ ერთხელ გამოგზავნა დებეშა მისი ჯანმრთელობის გასაგებად და მიივიწყა მაშინ, როცა მეგობრებს ხშირად წერდა წერილებს. არა, არ წავა. ნამდვილი მამაკაცი არ უნდა წავიდეს...

მაგრამ მოუსვენარი ძილის შემდეგ მისი ნებისყოფა დაძაბუნდა: „რატომ არ უნდა წავიდეს?“ კვლავ ეკითხებოდა თავის თავს. რამდენი ქალი შეხვედრია ცხოვრების გზაზე, მაგრამ დონია სოლი ერთადერთი იყო, რომელიც ასე გაუგონარი სიძლიერით შეუყვარდა. „არ შემიძლია მისი დავიწყება“, იმეორებდა ტორერო და ამით თავის უძლურობას ამჟღავნებდა... ო, როგორ განიცდიდა იმ მოულოდნელ განშორებას!

სევილიის სარბიელზე მიღებულმა კრილობამ და ფაზიკურმა ტანჯვამ სიყვარულის დარდი დააეიწყა. ავადმყოფობამ და კარმენტან ხელმეორედ დაახლოებამ აიძულა დანაკარგს შერიგებოდა. მაგრამ დავიწყება? არასოდეს! იგი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ წარსული არ გახსენებოდა, მაგრამ უმნიშვნელო გარემოებანი: ქუჩა, სადაც ულამაზეს ამორძალთან ერთად დასეირნობდა, შემთხვევითი შეხვედრა ინგლისელ ქალთან, გაცნობა ახალგაზრდა სენიორიტებისა, რომლებსაც ნათესავეებად თვლიდა... ყოველგვან მის გონებაში დონია სოლის სახეს აღადგენდა. რა ქალია? მაგისტანას ვერსად ნახავს კაცი! დონია სოლის დაკარგვა მის ღირსებას ბღალავდა. იგი თვითონაც ვეღარ ცნობდა ადრინდელ გალიარდოს და ეგონა, რომ საზოგადოების თვალში დანამტყცდა. ამით ხომ არაა გამოწვეული მარცხიანობა სარბიელზე? იგი მამაკაცი იყო, სანამ დონია სოლი მას ეკუთვნოდა. როცა ქერთამიანმა ქალბატონმა მიატოვა, უბედურებას უბედურება მოჰყვა... თუ დონია სოლს დაიბრუნებს, კვლავ ადრინდელი დიდებით შეიმოსება...

შესაძლოა მისი ნახვის სურვილი ის შთამაგონებელი აღტკინება, რომელსაც ტორერო ბევრჯერ უხსნია სარბიელზე? ხუანს თავის ძლიერებაში ეჭვიც არ ეპარებოდა. ქალების ადვილად დაპყრობით დაბრმავებულ გალიარდოს თავისი წარმატებისა სჯეროდა. შესაძლოა დიდი ხნის განშორების შემდეგ... ვინ იცის! ასევე იყო მათი პირველი შეხვედრისას.

გალიარდოს, ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული, თავდაჯერებული მამაკაცივით სჯეროდა, თუ ქალს ყურადღება მიაქციე, ფეხქვეშ გაეგებო და მახლობელ სასტუმრო „პარიზისკენ“ გაეშურა. იგი ნახევარი საათი მაინც იჯდა სასტუმროს მისაღებ ოთახში დივანზე; როცა მსახურებმა მისი სახელი გაიგეს, ცნობისმოყვარეობით დაუწყეს ყურება და ბოლოს შესთავაზეს ლიფტით ასულიყო მეორე სართულზე პატარა მოსაცდელში, რომლის ფანჯრიდან წვიმისაგან ჩაბნელებული მთელი პუერტა დელ სოლი მოჩანდა: სახლების შავი სახურავები და ქოლგებს შორის მიმალული მბზინავი ტროტუარები... მიმოქროდნენ ეტლები, წინ და უკან დადიოდნენ ტრამვაები და ქოლგებქვეშ მიმალულ თითქოს დაბრმავებულსა და დაყრუებულ ხალხს, ყურისწამლები წყარუნით ხიფათის მოახლოვებას აუწყებდნენ.

გაიღო პატარა კარი, აბრეშუმის კაბის შარიშურით დონია სოლი გამოვიდა და ირგვლივ ჯანსაღი სხეულის არომატი მიმოაფრქვია. გალიარდომ მუსუსივით ხარბად აათვალიერა-ჩაათვალიერა ქალი.

ისეთივეა, სველიაში რომ იყო არა, პირიქით, უფრო კარგი და მიმზიდველი გამხდარა.

ქალს დაუდევრად გადაეცვა თვალწარმტაცი, არაჩვეულებრივად ძვირფასი მოსასხამი და ტორეროს წინ ისე წარმოსდგა, როგორც იმ დღეს, როცა ხუანი მის სახლში პირველად მივიდა. ქალი ჩამოჯდა, ფეხი ფეხზე შემოიდო, ოქროსფერი ფლოსტი ჩამოუტურდა და პატარა ფეხის წვერზე ქანაობა დაიწყო.

დონია სოლმა ცივი თავაზიანობით გაუწოდა ხელი.

— როგორ ცხოვრობთ, გალიარდო? ვიცოდი, მადრიდში რომ იმყოფებოდით, დაგინახეთ კიდევ.

„თქვენ!“ დონია სოლი აღარ ესაუბრებოდა „შენობით“, როგორც ეს მაღალი წრის ქალს ჩვევია, როცა დაბლა მდგომი საყუარელი ჰყავს. სიტყვამ „თქვენ“, რომელიც თითქოს ქალთან ათანასწორებდა მას, აღაშფოთა გალიარდო. ხუანს სურდა მონა ყოფილიყო, ოღონდ საშუალება მისცემოდა ამ მაღალი წრის ქალს ჩახვეოდა. დონია სოლი კი ისე გულცივი თავაზიანობით ექცეოდა, თითქოს რომელიმე შორეულ ნაცნობს ესაუბრებო.

— მადრიდში ვიყავი კორიდაზე და იქ გნახეთ. ჩემთან ერთად უცხოელი მეგობარი იყო, რომელსაც ძალზე სურდა ესპანელების ზნე-ჩვეულებების გაცნობა. ამჟამად იგი სხვა სასტუმროში გაჩერდა.

გალიარდომ პასუხად თავი დაიქნია. მან უკვე დაინახა დონია სოლთან ის უცხოელი. რამდენიმე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. არ იცოდნენ, რაზე ელაპარაკათ. სიჩუმე დონია სოლმა დაარღვია.

ქალმა უთხრა, კარგად გამოიყურებითო. გავიგე, რომ მძიმედ იყავით დაქრილი და მგონი დეპეშაც გამოვგზავნე თქვენი ჯანმრთელობის გასაგებად. მომთაბარე ცხოვრება, სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობა და მრავალ ხალხთან მეგობრობა მეხსიერებაზე მოქმედებს. ახლა სარბიელზე თქვენ ისე მამაცურად გამოიყურებოდით, როგორც უწინ, მაგრამ ბედმა გიმუხთლათ. თუმც კორიდისა არაფერი გამეგება! ჭრილობა სერიოზული იყო?

ამ გულგრილ შეკითხვებზე გალიარდო აღშფოთდა, რადგან სიკვდილის პირას მყოფი მხოლოდ ამ ქალზე ფიქრობდა! მშრალად, ცუდად დაფარული წყენით უამბო ჭრილობის ამბავი, რომლის შეხორცება თითქმის ზამთრამდე გაგრძელდა...

დონია სოლი მოჩვენებითი ყურადღებით უსმენდა. ქალის თვალები სრულ გულგრილობას გამოხატავდნენ. რა კავშირი აქვს მას ტორეროს ბედ-იღბალთან? ხიფათი და უბედურება მუდამ თან სდევს მის ხელობას და დაზარალებულმა უნდა იფიქროს მასზე.

როცა გალიარდო ადგილ-მამულს შეეხო, სადაც დაქრის შემდეგ

გავმგზავრა, უეცრად გაახსენდა ადამიანი, მათთან ერთად რომ ისადილა.

— გახსოვთ პლიუმიტასი? გაიგეთ, იმ საცოდავს რა დაემართა? დონია სოლს არც ის ახსოვდა კარგად. შეჰაძლოა პარიზის რომელიმე გაზეთში ამოიკითხა ესპანეთის ამ კოლორიტული პერსონაჟის სიკვდილის ამბავი.

— საცოდავი, — გულგრილად წამოილაპარაკა ქალმა, — საერთოდ შორიდან უკეთ ხედავს ადამიანი საგნებს. ბუნდოვნად მახსენდება უხეში, გაუთლელი გლეხი. მგონი მამულში ერთად ვისადილეთ.

გალიარდო ამ სიტყვას ჩაეჭიდა. — საცოდავი პლიუმიტასი როგორ გაუხარდა, ყვავილი რომ გაუწოდეთ. თქვენ გამომშვიდობებისას ვარდი აჩუქეთ, ნუთუ ესეც არ გახსოვთ?

დონია სოლს თვალეში აშკარა გაკვირვება გამოეხატა.

— მართლა? — შეეკითხა ქალი. — დარწმუნებული ბრძანდებით? გეფიცებით, ყველაფერი დამავიწყდა... ო, მზის ქვეყანავ! წარბეცო ესპანეთო, რამდენ სისულელეს არ ჩაადენინებ ადამიანს!

დონია სოლის ხმაში სინანული გაისმა. უეცრად ქალმა გადაიკისკისა:

— ვინ იცის, იქნებ ის საცოდავი სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე ინახავდა იმ ყვავილს! რას იტყვით, გალიარდო? ნუ უარყოფთ... იქნებ მომაკვდავთან იპოვნეს გამხმარი ვარდი, უცნაური, საიდუმლო რამ საჩუქარი... რამე ხომ არ გაგიგიათ ამის შესახებ! გაზეთებში ხომ არაფერი ეწერა? გაჩუმდით, უარის თქმით გულს ნუ დამწყვეტთ. ასეც იქნებოდა. მე მინდა, რომ ასე ყოფილიყო: საცოდავი პლიუმიტასი რა საინტერესოა! მე სულ გადამავიწყდა ყვავილი! უეკველად მოვუყვები ამ ამბავს ჩემს მეგობარს, რომელიც ესპანეთზე წერას აპირებს.

დონია სოლის მიერ ხელმეორედ წარმოთქმულმა სიტყვამ, „მეგობარიო“, გალიარდო დაალონა. იგი მიშტერებოდა ლამაზ ქალს. ტორეროს დანისლული აფრიკული თვალები თითქოხ შებრალებას ითხოვდნენ:

— დონია სოლ! დონია სოლ! — წაიჩურჩულა ქალის სიმკაცრით იმედგაცრუებულმა ტორერომ.

— რაშია საქმე, მეგობარო? — შეეკითხა ქალი ღიმილით. — რა დაგემართა?

გალიარდომ პასუხი არ გასცა. თავი ჩალუნა მერე წელში გასწორდა და მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო.

— დონია სოლ, სად იყავით ამ ხნის განმავლობაში?

— დავეხეტებოდი ამქვეყნად. — უბრალოდ უპასუხა ქალმა. — ჩიტვიტ შემოვიფრინე უამრავი ქალაქები, რომლების სახელი თქვენ არც კი გაგივიათ.

— უცხოელი რომ გახლავთ, ის... ის...

— მეგობარია, — ცივად მოუქრა ქალმა. — ჩემი მეგობარი დიდი ღირსებისა და კარგი შთამომავლობისაა. მან სურვილი გამოთქვა ჩემთან ემოგზაურა. სარგებლობს შემთხვევით და ეცნობა ესპანეთს. როცა მადრიდის მუზეუმს დაათვალიერებს, ანდალუსიაში გავემგზავრებით. კიდევ რა გსურთ იცოდეთ?

ქალის ცივ ქედმაღლობაში ნათლად გამოსქვიოდა სურვილი ტორერო მიმხედარიყო, რომ ისინი სოციალური წარმოშობით დიდად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. გალიარდო დაიბნა.

— დონია სოლ! — ძალზე გულუბრყვილო ადამიანით წამოიკენესა გალიარდომ. — ღმერთი არ გაპატიებთ, რაც ჩემს მიმართ ჩაიდინეთ. თქვენ მომექეცით ძალზე ცუდად... რაზე გაუჩინარდით ისე, რომ ერთი სიტყვაც არ დაგცდენიათ.

გალიარდოს თვალებზე ცრემლი მოერია, ხელები აუკანკალდა.

— არაა საჭირო, გალიარდო. ჩემი მოქმედება თქვენთვის ხელსაყრელია. განა სათანადოდ არ მიცნობთ? ნუთუ არ მოგებზრდათ ჩემთან ყოფნა? მე რომ მამაკაცი ვყოფილიყავი, ასეთი ხასიათის ქალს ახლოსაც არ გავიკარებდი, ჩემი სიყვარული თვითმკვლელობას უდრის.

— რატომ გავემგზავრეთ? — კვლავ ჯიუტად გაიმეორა გალიარდომ.

— იმიტომ, რომ მომწყინდა. გასაგებია? მოწყენილ ადამიანს კი უფლება აქვს ახალი თავგადასავლის საძიებლად წავიდეს. მე ყველგან ყველაფერი მბეზრდება, გებრალებოდეთ.

— მთელი ჩემი არსებით მიყვარხართ! — წამოიძახა გალიარდომ გულწრფელი სასოწარკვეთილებით. ეს სიტყვები რომ სხვა ადამიანს ეთქვა, ნამდვილად სასაცილო იქნებოდა.

— მთელი ჩემი არსებით მიყვარხართ! — ხმითა და ხელის მოძრაობით გამოაჯაგრა დონია სოლმა. — მერე რა გსურთ მაგით? ო, რა ეგოისტები ხართ მამაკაცები. ტაში თუ დაგიკრეს, გგონიათ, ყველაფერი თქვენ გეკუთვნით. „მე სულით და გულით მიყვარხარ და ეს საკმარისია, შენც გიყვარდეო“... არა, სენიორ, არა. მე არ მიყვარხართ. თქვენ მხოლოდ კარგი ნაცნობი ხართ და მეტი არაფერი. ის, რაც სევილიაში მოხდა, გაქრა, როგორც სიზმარი, რო-

გორც სულელური ეინი, რომელიც კარგად აღარც მახსოვს. უნდა დაივიწყოთ წარსული.

ტორერო წამოდგა. ხელგაწვდილი მიუახლოვდა დონია სოლს. უმეცარმა გალიარდომ არ იცოდა, რა ეთქვა და მსოლოდ გუმანაი ხვდებოდა, რომ უგერგილო სიტყვებით ამ ქალს ვერაფერში დაარწმუნებდა. ტორეროს ძალის იმედი ჰქონდა, სურდა ვნებით დაეყრა ქალი, მკერდში ჩაეკრა და მოესპო ზრდილობის ეს ყინულოვანი ზღუდე.

— დონია სოლ! — ხელგაშვერილი ემუდარებოდა იგი.

ქალმა გაბედული და მკვირცხლი მოძრაობით მოიშორა ვალიარდოს ხელები. დონია სოლის თვალები ამაყად და ბრახიანად აეღვარდნენ. შეურაცხყოფილი მუქარით წამოვიდა ტორეროსაკენ.

— დამშვიდდით, გალიარდო! თუ ძალაზე გადახვალთ, მეგობართა სიიდანაც ამოგშლით და გარეთ მიგაბრძანებთ.

დარცხვენილი ტორერო უეცრად დაცხრა. დიდი ხნით სიჩუქე გამეფდა. ბოლოს დონია სოლს შეეცოდა გალიარდო.

— ბავშვი ხომ არა ხართ! — წარმოთქვა ქალმა. — რა საჭიროა იმის გახსენება, რაც არასდროს არ დაბრუნდება? რად ფიქრობთ ჩემზე? თქვენ გყავთ მეუღლე და გავიგე, რომ ძალზე სათნო და ლამაზია. თუ არ მოგწონთ, სევილიაში ბევრია თმაში ყვავილგარჯობილი სანდომიანი გოგონები, რომელნიც ერთ დროს ძალიან მომწონდნენ. ისინი მოხარულნი იქნებიან, თუ გალიარდო შეიყვარებს მათ. ჩემთან კი ყველაფერი დამთავრდა. შესაძლოა წარმატებებს მიჩვეული ცნობილი ტორეროს სიამაყე შეილახა, მაგრამ რას იზამ! თქვენ მხოლოდ კარგი ნაცნობი ხართ და მეტი არაფერი. ჩვენი ხასიათი განსხვავდება ერთმანეთისგან. რაც ერთხელ თავს მომბეზვრებს, აღარ ვუბრუნდება. ცოტა ხნით ილუზიები შემიპყრობს და მერე მისგან კვალიც არ რჩება. დამერწმუნეთ, ღირსი ვარ სიბრაალულისა.

ქალი შესცქეროდა ტორეროს ცნობისმოყვარეობით, სიბრაალუ-ლით, თითქოს მხოლოდ ახლა შეამჩნია მისი ნაკლოვანებანი, გაუთლელობა.

— მე ისეთი აზრები გამიელვებს ხოლმე თავში, რომელთა მნიშვნელობას თქვენ ვერასდროს მიხვდებით. — განაგრძობდა ქალი, — ახლა სულ სხვა კაცად მეჩვენებით. სევილიელი გალიარდო სრულიად არ ჰგავს მადრიდელს. მჯერა, რომ თქვენ ისევ ისეთი ხართ, მაგრამ ჩემთვის კი არა. აბა როგორ ავიხსნათ... ლონდონში გავიცანი რაჯი... იცით, ვინ არის რაჯი?

გალიარდომ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია და თავისი უვიცობის გამო გაწითლდა.

— რაჯი ინდოელი პრინცია.

ელჩის ქერივს გაახსენდა ინდოელი მაგნატის შავგვრემანი სახე. შავი უღვაში, დიდი თეთრი ჩალმა, შუაში უზარმაზარი ბრილიანტი რომ უბრწყინავდა, და სხვადასხვა ნაჭრისაგან შეკოწიწებული სამოსი, რომელიც უფრო ყვავილებსა კავდა.

— ის ლამაზი კაბუკი იყო. ქურციკის თვალებით შექმას მიპირებდა, ამასთან მისი აღმოსავლური კომპლიმენტები ინგლისურ ენაზე ძალზე სასაცილო მოსასმენი გახლდათ. საცოდავს ღრუბლიან ღონღონში ციოდა, ახველებდა, წვიმაში ჩიტვივით იბუზებოდა და დასველებული ფრთებივით ამოძრავებდა ტანსაცმელს... როცა სიყვარულს მიხსნიდა და დაჟინებით ჩამშტერებოდა, ვფიქრობდი: წავალ, ქედსა და პალტოს გუყიდი, რომ სიცივით აღარ იკანკალოს-მეთქი. მიუხედავად ამისა, იგი მაინც მშვენიერი იყო და შექმლო ეგზოტიკით გატაცებული ქალი რამდენიმე თვით გაებედნიერებინა. ხომ ხედავთ, ყველაფერი მდგომარეობაზე ყოფილა დამოკიდებული. ამას თქვენ ვერ მიმიხვდებით, გალიარდო.

და დონია სოლი ჩაფიქრდა, სიცივით აკანკალებული, სასაცილო სამოსში გამოწყობილი ის რაჯი გაახსენდა. ოცნებაში აღმოსავლეთის პრინცი მშობლიურ მხარის მზის სხივების ციმციმში ბუნების არწივად წარმოიდგინა: რაჯის სპილენძისფერი ტანი ტროპიკულ მცენარეების მომწვანო ანარეკლზე გარდაიქმნა და ბრინჯაოსფერი მიიღო. იგი ამაყად იჯდა სპილოზე. გარს ეხვია მხედრები და მონები, რომლებსაც ლანგარით სურნელოვანი ბალახები მოჰქონდათ. სპილოზე გადაფარებული ოქროსფერი საძაგრაკი მიწას სწვდებოდა. რაჯის მდიდრულ ჩალმაზე ძვირფასი ქვები ბზინავდნენ და ის ჩალმა თეთრი ფრთებით იყო შემკული. რაჯის მკერდს ბრილიანტები ამშვენიებდა. წელზე ზურმუხტითა და ოქროსფერი იატაკანით მოოქვილი ქამარი ერტყა. ირგვლივ ერტყა თვალბუდღეშურა მოცეკვავე ქალები და მოშინაურებული ვეფხვები. გარშემო შუბების ტყე ამართულიყო. ნელი ნიავი ქროდა. ისმოდა ჩიტების კიკიკი. მოჩანდა სასახლეთა ჩრდილები, მწვანე ბუჩქები, სადაც მტაცებელი ცხოველები თავს აფარებდნენ. ო, რა იქნებოდა!.. ღმერთივით დიდებულ, მხურვალე მზის სხივებით განათებულ სამშობლოში რომ შეხვედროდა დონია სოლი იმ რაჯის. მაშინ ხომ თბილი პალტოს ყიდვა აზრადაც არ მოუვიდოდა... ალბათ თვითონვე ჩაეკვროდა გულში, მის სიყვარულს დაემონებოდა.

— თქვენ რაჯს მაგონებთ, ძვირფასო გალიარდო იქ, სევილია-

ში, ნაციონალურ სამოსში გამოწყობილი და მხარზე გაროჩოგადა-
გდებული პეიზაჟს ავსებდით და მართლაც რომ შესანიშნავი იყა-
ვით. მაგრამ აქ! მადრიდი, სამწუხაროდ, ევროპული ქალაქი გახდა.
აღარსად ჩანს მანილის თავსაბურავი, აღარც ხალხური ტანსაცმელი
აკვიათ. ნუ გეწყინებათ, გალიარდო, თქვენ იმ ცნდოელა მაგონებთ
და არ ვიცი, რატომ.

დონია სოლი ფანჯრიდან გასცქეროდა მოღრუბლულ ცას,
სველ მოედანს და თოვლის ფიფქებს, რომელიც აჩქარებით მომა-
ვალ მგზავრთა ტანსაცმელზე ბზინავდა. მერე ქალი შემობრუნდა,
გაოცებული დააკვირდა ტორეროს კეფაზე წამოზრდილ, პროფე-
სიის გამომსახველ დალალს და ქუდს, რომელიც გალიარდოს თანა-
მედროვე, ელეგანტურად შეკერილ კოსტუმს არ შეესაბამებოდა.

დონია სოლის თვალში ტორერო ამოვარდნილი იყო ჩვეულებრივ
„ჩარჩოლან“. ო, რა მოსაწყენია ეს წვიმიანი მადრიდი! მის მეგობ-
ბარს, რომელიც ლაქვარდოვანი ქვეყნის ნახვაზე ოცნებობდა, იმე-
დი გაუტრუვდა. თვითონ დონია სოლს სასტუმროს პირდაპირ მდგა-
რი წარმტაცო ტორეროები მზიური ქვეყნიდან ზოოპარკში ჩამო-
ყვანილ არაჩვეულებრივ ცხოველებს აგონებდა. იქ, ანდალუსიაში
გალიარდო იყო გმირი, მესაქონლეობის ქვეყნის ტიპიური შვილი,
აქ კი, თავისი გაპარსული სახით შეუსაბამ პერსონაჟად, ტაშს მიჩვე-
ულ ჯამბაზად გამოიყურებოდა და მოჰკავდა თეატრის საშუალო
კომედიანტს. რომელიც, იმის მაგივრად, რომ ადამიანები რეპლიკე-
ბით გაართოს, ხარს ებრძვის, რითაც შიშს ჰგვრის ხალხს.

ო, მზიური ქვეყნის ნეტარო ზმანებაე! მაცდუნებელო სინა-
თლეე და ფერებო! დონია სოლს რამდენიმე თვის განმავლობაში
უყვარდა ეს გაუთლელი, ტლანქი ბიჭი, აღტაცებული იყო მისი უვი-
ცობით და სთხოვდა, რომ სარბიელისა და საჯინიბოს სუნიო გაყ-
ლენთილ ტანზე სუნამო არ წაესვა! ო, რამდენ სისულელეს ჩაადე-
ნინებს შექმნილი ვითარება ქალს!

დონია სოლს მოაგონდა ის დღე, საფრთხე რომ ხარის რქაზე
წამოგებას უქაღდა... შემდეგ საუზმე ბანდიტთან ერთად, რომელ-
საც აღტაცებული გაოცებით უსმენდა და გამომშვიდობებისას ვარ-
დიც აჩუქა. რა სიგიჟეა! და რა შორს არის აწ ყოველივე!

დონია სოლმა უკვე მოინანია თავისი წარსული, მაგრამ ვერ
იქნა და ვერ მოიშორა ეს ბიჭი, რომელიც მუდარით შესცქეროდა
ბავშვური გულუბრყვილობით და ადრინდელი ბედნიერების აღდ-
გენას ლამობდა. საცოდავი! განა შეიძლება გულგრილობის და ილუ-
ზიების გარეშე გამეორდეს ცხოვრების მიერ თავს მოხვეული სი-
სულელე!..

— ყველაფერი დამთავრდა! — წარმოთქვა დონია სოლმა. — უნდა დავივიწყოთ წარსული, რადგან ახლა იგი სულ სხვანაირად გვეჩვენება! ამჟამად ესპანეთში რომ ჩავიდეთ, შესაძლოა ვერც ვიცნო. თქვენც ძალზე გამოცვლილხართ. ამასთან, ბოლო დროს მომეჩვენა, თითქოს ისეთი მამაციც აღარა ხართ და ხალხიც აღრინდელივით აღარაა თქვენით აღტაცებული.

დონია სოლმა ყოველივე ეს წარმოთქვა უბრალოდ, ქვენა აზრების გარეშე, მაგრამ გალიარდოს მოეჩვენა, თითქოს დასცინისო, რის გამო თავი ჩაქინდრა და გაწითლდა.

ეშმაკმა დალახვროს! კვლავ პროფესიონალურმა ზრუნვამ იჩინა თავი. მთელი უბედურება იმაშია, რომ ხართან ახლოს აღარ მიდის. დონია სოლმა აშკარად მიახვედრა... მის წარმოდგენაში გალიარდო ის აღარაა, რაც უწინ იყო, თორემ უკეთ შეხვდებოდა. ქალებს გულადები უყვართ.

ტორერო თავს იტყუებდა. სრულიად დარწმუნებული გახლდათ, რომ აღრინდელი ქინის მივიწყება დროებითი გულგრილობის ბრალი იყო და სწამდა, რომ პირველსავე მამაცობის შემდეგ ქალი კვლავ დაუბრუნდებოდა.

დონია სოლი წამოდგა, რადგან დარბაზობა ძალზე გაგრძელდა. ქალის სილამაზით აღტაცებული გალიარდო ვერ ხვდებოდა, რომ უკვე წასვლის დრო იყო და ბუნდოვნად ოცნებობდა იმ ბედნიერ შემთხვევაზე, რომელიც კვლავ დაახლოებდა ამ ქალთან.

მატადორი იძულებული შეიქმნა დონია სოლის მაგალითისთვის მიებაძა. ქალი აუცილებლად უნდა გამომშვიდობებოდა, რადგან მეგობარს უცდიდა და მასთან ერთად პრადოს მუზეუმში უნდა წასულიყო.

დონია სოლი ოდესმე მოიწვევს გალიარდოს თავის ნომერში სადილად, რადგან მის მეგობარს უეჭველად დაინტერესებს ტორეროს ახლოს ნახვა. იგი ოდნავ ლაპარაკობს ესპანურად, მაგრამ გალიარდოს გაცნობით ძალზე მოხარული იქნება.

ტორერომ ქალს ხელი ჩამოართვა, რაღაც წაილაპარაკა და წავიდა. გალიარდოს სიბრაზით თვალთ დაუბნელდა, 'ყურები უწიოდა.

ამ ქალმა ცივად, აბეზარი სტუმარივით გამოისტუმრა! სწორედ იმ ქალმა, რომელსაც ძალზე ახლო იცნობდა სევილიაში! სადილადაც მოიპატიჟა, რომ მისმა მეგობარმა ახლოს ნახოს ტორერო, რომელიც თითქოს იშვიათ მხეცს წარმოადგენდეს! წყეულებიც იყოს! ის მამაკაცია... ყველაფერი დამთავრდა... აწ აღარასდროს დაუბრუნდება დონია სოლს.

ამ დღეებში გალიარდომ დონ ხოსესა და კარმენისაგან უამრავი წერილი მიიღო. რწმუნებული ცდილობდა გაემხნეებინა თავისი ნატადორი და უწინდებურად ურჩევდა ჯიქურ სცემოდა ხარს... „ერთი! დარტყმა და ხარიც შეხს ჯიბეში აღმოჩნდება“. მაგრამ მის გამამხნეებელ კილოში დაბნეულობა იგრძნობოდა, ეტყობოდა მერყეობდა, საგონებელში ჩავარდნილიყო, არის თუ არა გალიარდო მსოფლიოს უპირველესი მატადორიო.

სევილიაში მოდიოდა ხმები, რომ ქალაქის მოსახლეობა ხუანის უკმაყოფილოა და მტრულად არის მისდამი განწყობილიო. უკანასკნელმა კორიდამ დონ ხოსეს ნერვები აუშალა. არა, გალიარდო არა ჰგავს დანარჩენ ტორეროებს, რომელნიც ყურადღებას არ აქცევენ ხალხის სტვენას, განაგრძობენ თავის საქმეს და უამრავ ფულს იხვეჭენ. გალიარდოსთვის მთავარი დიდებაა. იგი სარბიელზე მხოლოდ იმითომ გამოდის, რომ ხალხის თაყვანისცემა და აღტაცება გამოიწვიოს. საშუალოდ ჩატარებული კორიდა დამარცხებულ მიანია. ხალხი მიეჩვია მის უგნურ სიმამაცეს და ხუანის ოდნავ სიფრთხილეზე ღრიალებენ.

დონ ხოსეს სურდა გაეგო, რა დაემართა მის მატადორს. ნუთუ დალაჩრდა? არა და არა. იმპრესარიო უმალ თავს მოიკლავს, ვიდრე თავის გმირს ამ ნაკლს შეამჩნევდეს. გალიარდო, უბრალოდ, დაიძალა, კრილობები ჯერ კიდევ არ მოშუშებია. ამგვარ შემთხვევაში უმჯობესია დროებით მიანებო თავი სარბიელს და ერთი სეზონი დაისვენო, მომძლავრდები და მერე ჩვეულებრივ დახოცავ ხარებს... რაც შეეხება დანარჩენ საქმეებს, მე მოვაგვარებ. ექიმები დაადასტურებენ, რომ გალიარდო ჯერ კიდევ არ მომჯობინებულა. რწმუნებული კი მოელაპარაკება ანტრეპრენიორებს კონტრაქტის ვადის გადადებაზე და გაუგზავნის ახალბედა მატადორს, რომელიც უფრო მცირე თანხას დათანხმდება, რათა დროებით შეცვალოს გალიარდო. ეს ცირკისთვისაც ხელსაყრელი იქნება.

კარმენი კი ენაწყლიანობის გარეშე, უფრო ჯიუტად სთხოვდა მეუღლეს, ახლავე მიატოვე ასპარეზი, მოიქერი თმა, რომელსაც პროფესიონალური ტორეროები „დალალს“ უწოდებდნენ და მშვიდად გავატაროთ ცხოვრება რინკონალში ან სევილიაში, ოჯახის იმ წევრებთან, რომლებსაც ნამდვილად უყვარხარო. კარმენს მოსვენება არ ჰქონდა, ახლა უფრო შიშობდა, ვიდრე გათხოვების პირველ დღეებში, თუმცა მაშინაც, კორიდის დღეებში, მფოთიანი და მომქანცველი ლოდინი სიცოცხლეს უმწარებდა. გული უგრძობდა, რომ საშინელება მოხდებოდა, ქალის გული კი იშვიათად ცდება. კარ-

მენს ლამაზობით თითქმის არ ეძინა და შიშით ფიქრობდა სისხლი-
ან მოჩვენებებზე.

კარმენი ბრაზობდა ხალხზე: „უმაღურებმა დაივიწყეს, რა სას-
წაულებს ჩადიოდა ჯანმრთელი ტორერო. ბოროტებს სურთ, რომ
მათი გართობის გამო მოკვდეს ხუანი, თითქოს მას არ ყავდეს დე-
და ან ცოლი. ხუან! მე და დედა გეხვეწებით, დატოვე ასპარეზი.
რა გაგიჭირდა ასეთი, ხარებს რომ ებრძვი? იმდენი ფული კი გვაქვს,
რომ თავი გავიტანოთ. გული მტკივა, როცა შეურაცხყოფას გაყენე-
ბენ კაცუნები, რომელნიც შენს ნეკად არ ღირან... კვლავ რომ შე-
გემთხვეს ხიფათი? ღმერთო! ნამდვილად ქუთიდან შევიშლები“.

როცა გალიარდომ ეს წერილი წაიკითხა, ჩაფიქრდა. დასტოვოს
ასპარეზი! რა უგუნურებაა! დედაკაცური ბოდვია! ასე შეიძლება წა-
მოგვცდეს ცხელ გულზე, სიყვარულის აღსარებისას, მაგრამ მისი
შესრულება ყოვლად შეუძლებელია. ოცდაათი წლის შემდეგ მოი-
ქრას „დალალი!“ როგორ გაუხარდებათ მის მტრებს! ხუანს უფლება
არა აქვს მიატოვოს ასპარეზი, სანამ ხელ-ფეხი ემორჩილება და ხა-
რების ხოცვა შეუძლია. რა უაზრობაა! მთავარი ფული კი არაა, არა-
მედ სახელი! პროფესიონალური სინდისი! რას იტყვიან მისი მომხ-
რეები? რას უპასუხებენ მოწინააღმდეგეებს, როცა პირში მიახლიან,
გალიარდო დაფრთხაო?

ამასთან, გალიარდო დარწმუნებული არ იყო, რომ სახსრები
ასეთი გადაწყვეტილების საშუალებას მისცემდა. მისი სიმდიდრე
მოჩვენებითია და საზოგადოებრივი მდგომარეობა ჯერ არა აქვს
განმტკიცებული. ყველაფერი, რაც გააჩნდა, შეუღლების პირველ
წლებში იყო ნაყიდი, როცა შენაძენით დედისა და კარმენის აღფრ-
თოვანება ძალზე მოსწონდა. შემდეგაც ბევრ ფულს იღებდა, შესა-
ძლოა უფრო მეტსაც, მაგრამ სხვადასხვა საქმეში იფლანგებოდა.
გალიარდო ბევრს თამაშობდა, ხელგაშლილად ცხოვრობდა. რინკო-
ნადის მამულს შემოერთებული რამდენიმე ნაკვეთი ღონ ხოსესა
და სხვა მეგობრების ფულით გახლდათ ნაყიდი. როცა წააგებდა,
იძულებული ხდებოდა ფული პროვინციაში მცხოვრებ მოყვარულ-
თაგან ესესხა. გალიარდო მდიდარი იყო, მაგრამ ასპარეზი რომ
მიეტოვებინა, უდიდეს შემოსავალს დაჰკარგავდა (წელიწადში
200—300 ბიესეტს) და ვალის გადახდის შემდეგ ძალაუნებურად სო-
ფელში უნდა დასახლებულიყო, მეურნეობის შემოსავალზე ეცხოვ-
რა, მომპირნეობით ეხარჯა და თვალი ედევნებინა მუშაობისთვის,
რადგან ამდენ ხანს სხვის ხელში ჩაგდებული ფერმა შემოსავალს
არ იძლეოდა.

უამრავ ფულს. თეატრალურ მორთულობას და ხალხის აღტაცე-
ბას მიჩვეულ პატივმოყვარე გალიარდოს შიშს ჰგვრიდა უსახელო

მიწათმფლობელად ყოფნა, რომელსაც უნდა ეზრუნა მომპირნეობაზე და დღენიდაც სიღარიბესთან ებრძოლა. სიმდიდრე — ერთობ რთული ცნებაა. გალიარდოს სიმდიდრე კარიერის მიხედვით იზრდებოდა, მაგრამ მის მოთხოვნილებებს ვერასდროს ვერ აკმაყოფილებდა. ერთ დროს გალიარდო მდიდარ კაცად ითვლებოდა. ნეტა უწინდელი ქონების მესადი დარჩენოდა. ახლა ხართან ბრძოლაზე რომ უარი თქვას, თითქმის გალატყდება. ველარ დალევს ძვირფას ანდალუსიურ ღვინოს... ველარ მოსწევს ჰავანურ სიგარას, ასე ხელგაშლით რომ ყველას სთავაზობდა. კაფესა და სამიკიტნოებში ყოფნისას უნდა დაივიწყოს ბატონკაცური გულგაშლილობა და სიკვდილთან მოთამაშე ადამიანის აღფრთოვანებით ველარ დაიძახებს: „ყველაფერი გადახდილია“. უნდა დაივიწყოს მუქთახორა, მლიქვნელი ბრბო, რომელთა მუდართით ასე ერთობოდა. და როცა რომელიმე ლამაზმანი შეიყვარებს (თუ მოძებნა ასეთი ვინმე ასპარეზის მიტოვების შემდეგ), ველარ გაოცდება ოქროში ჩასმულ ბრილიანტის საყურით, გართობის მიზნით ველარ გადაასხამს ღვინოს ძვირფას, ჩინურ მოსასხამს, რათა მერე ახალი, უფრო უკეთესი იყიდოს.

ასე უცხოვრია აქამდე და ასე უნდა იცხოვროს შემდეგშიაც. ის არის ტორერო ძველი დროისა, ისეთი, როგორც ხალხს ნამდვილი მატადორი წარმოედგინა: სულგრძელი, უშიშარი, მფლანგველი და კეთილი, რომელიც მზად იყო თავადიშვილური გულუხვობით დაზმარებოდა ბედკრულთ.

გალიარდოს სძულდა ახალი ყაღდის მრავალი ამხანაგი, ტავრომაქის ტლანქი ოსტატი, კომივოიეერივით ცირკიდან ცირკში რომ მოგზაურობდნენ და ძალზე ხელმოკერილად ცხოვრობდნენ. ზოგიერთი მათგანი თითქმის ბავშვები იყვნენ და, ჯიბეში კი წიგნაკები ედოთ, სადაც გასავალ-შემოსავალს დაწვრილებით აღწუსხავდნენ და წყლის დასაღევად დახარჯულ ხუთ სანტიმსაც არ ივიწყებდნენ. ისინი მხოლოდ მდიდრებთან მეგობრობდნენ და მათი სტუმართმოყვარეობით სარგებლობდნენ. თვითონ კი არავის პატივობდნენ. ზოგიერთი სეზონის დაწყებისას ბლომად ყავას აღუღებდა, შავი სიონზე თან დაჰქონდა, რათა სასტუმროში ნაკლები ეხარჯა. კვადრილიის უმრავლესობა შიმშილობდა და აშკარად აღიარებდა თავისი მაესტროს სიძუნწეს.

გალიარდო კი კმაყოფილი გახლდათ თავისი შესანიშნავი, შფოთიანი ცხოვრებით და ახლა ყოველივე ეს მიატოვოს?

ამასთან გალიარდო ფიქრობდა ხელგაშლილ და უდარდელ ცხოვრებას მიჩვეულ ოჯახზე, სადაც შემოსავალზე არავინ ზრუნავდა და არც ფულზე დარდობდნენ, რომელიც უწყვეტ წყაროსა-

ვით დიოდა. დედის და ცოლის გარდა მის კისერზე იყო კიდევ ერთი ოჯახი: და, მისი ყბედი ქმარი, რომელიც არ მუშაობდა, თითქოს ცნობილ ადამიანებთან ნათესაობა უფლებას აძლევდა უსაქმურად მჯდარიყო. ხოლო დისშვილები იზრდებოდნენ და თანდათან უფრო მეტს მოითხოვდნენ. გალიარდოს ხარჯზე უდარდელ, მხიარულ ცხოვრებას მიჩვეულ ამ ადამიანებს ხელმომპირნედ უნდა ეცხოვრათ. მათთან ერთად საწყალი გარაბატოც იძულებული შეიქმნებოდა წასულიყო ფერმაში და უბრალო გლეხივით მცხუნვარე მზის ქვეშ ემუშავა! საცოდავი დედა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში გამოეთხოვება იმ სიხარულს, რომელიც მეზობლების დანხარებაში გამოიხატება და აღარ ითაკილებს შვილის მკვახე პასუხს, ამ ორი კვირის წინათ აკი მოგე ფული, რატომ არ გამოიზოგეო. ბუნებით მომპირნე კარმენი კი ყოველ ღონეს იხმარს შეამციროს ხარჯები, რითაც უპირველეს ყოვლისა თვითონ გაიღებს მსხვერპლს და სიცოცხლეს გაიმწარებს.

ეშმაკმა დასწყევლოს! დაღუპოს ოჯახი, დაამწუხროს ახლობლები... ამის გაფიქრებაზე გალიარდოს შერცხვა. დანაშაული იქნება მოაკლოს ოჯახს სიუხვე, რასაც თვითონ მიაჩნია. რა უნდა ქნას, ასე რომ არ მოხდეს? ხარს აღრინდებურად ახლოს უნდა ებრძოლოს და მეტი არაფერი... გალიარდომ მონდომებით გამოძერწა ასოები. კარმენს და რწმუნებულს მოკლედ მიწერა: „დავტოვო აპარეზი?! არასოდეს!“

გადაწყვიტა აღრინდელივით ებრძოლა და დონ ხოსეს ფიცი მისცა, რომ ისე მოიქცეოდა, როგორც ურჩევდა: „ერთი! დარტყმა — და ხარიც ჯიბეშია“. თითქოს ძალა შეემატაო, გამსწვევებულ გალიარდოს სწამდა, რომ ყველა ხარს, რაც არ უნდა უზარმაზარი ყოფილიყო იგი, დაამარცხებდა.

გალიარდომ მეუღლეს შისწერა მხიარული წერილი, რომელშიც იგრძნობოდა წყენა, რომ მის ძლიერებაში დაეკვდნენ. მომავალ კორიდაზე გააოცებს ხალხს, რომლებსაც თავისი უსამართლობისა შერცხვებათ. თუ კარგი ხარები შეხვდა, აჯობებს თვით როქე დე ფლორას, რომელსაც ხშირად ახსენებს მისი ყბედი სიძე.

კარგი ხარები! აი ყველაზე მეტად რა აწუხებდა გალიარდოს. აღრე ამაცობდა იმით, რომ სრულიად არ აინტერესებდა ხარები და კორიდის წინ არ მიდიოდა მათ სანახაევად.

— ყველას დავხოცავ, როგორიც არ უნდა იყოს! — ამპარტავნულად აცხადებდა იგი და ხარს პირველად მხოლოდ არენაზე ხედებოდა.

ახლა მას სურდა კარგად შეეთვალე რეზიდა ცხოველი, აერჩია შესაფერისი და ძირფესვიანად შეესწავლა მისი ჩვევა.

გამოიღარა. მზემ სხივები გადმოაფრქვია. ხვალ შედგება მეორე კორიდა.

საღამოს გალიარდო გაემართა ცირკისკენ, რომლის არაბულ სტილზე ნაგები წითელი აგურის შენობა მწვანე ბორცვების ფონზე აღმართულიყო. უზარმაზარ ერთფეროვან ლანდშაფტს აბოლოებდა თეთრი ლაქა, რომელიც შორეულ ფერდობზე შეფენილ ფარას მოკვავდა. ეს იყო სასაფლაო.

როცა ტორერო კიშკარს მიუახლოვდა, მას შემოეხვია ცირკის პარაზიტი მაწანწალები, რომლებიც თავლაში ათევენენ ღამეს, გულშემატკივართა მოწყალებით ცხოვრობდნენ და ახლომახლო სამიკიტნოებში იკვებებოდნენ. ზოგიერთ მათგანს ანდალუსიიდან ხარები მოერეკა და სამუდამოდ აქ დარჩენილიყო.

გალიარდომ მოწყალებით გამოშვერილ ქულებში რამდენიმე მონეტა ჩააგდო და თავლის ალაყაფიდან ცირკში შევიდა. კორალში გალიარდომ ცხენების გასინჯვის საყურებლად მოსული გულშემატკივარი დაინახა. პოტახეს ხელში გაროჩო ეკავა, დეზებს აულარუნებდა და ცხენზე შესახტომად ემზადებოდა. მეჯინიბენი გარს შემოხეოდნენ დაღვრემილ, სიტყვაძუნწ ცხენების მომგვრელს, რომელსაც ფართეფარფლიანი ანდალუსიური ქუდი ეხურა და კბილებდალესილი პიკადორების საძაგელ, შეურაცხყოფელ ლაზღანდარობას უშფოთველი სიმშვიდით პასუხობდა.

ხელებდაკაპიწებული „ნასწავლი მაიმუნები“ რამდენიმე ჯაგლაგს აღვირით მოათრევდნენ. არბენინებდნენ და წვრთნიდნენ ამ უბედურ სიკვდილმისჯილთ, რომლებსაც ჯერ კიდევ ეტყობოდათ დეზების სისხლიანი ნაკვალევი. მხედრებს ჩორთით დაჰყავდათ ცხენები, ნალიანი ქუსლებით აიძულებდნენ მკვეთრად შემოტრიალებულიყვნენ და ამგვარად ცდილობდნენ სარბიელზე სამუშაოდ გაეწაფად. საცოდავი ცხოველები დასისხლიანებული ბრუნდებოდნენ უკან და ვიდრე თავლაში შეიყვანდნენ, იძულებული იყვნენ წყალი გადაესხათ მათთვის. აუზის გარშემო, რიყის ქვის ღრანტეებს შორის, წითელი ღვინისფერი გუბეები დგებოდა.

სახვალიო კორიდისათვის განკუთვნილ ცხენებს თავლიდან მოათრევდნენ. პიკადორებს უნდა შეემოწმებინათ ისინი და საასპარეზოდ შეერჩიათ. ჩონჩხად ქცეული ცხენები ძლივსძლივობით მოჩანჩალებდნენ, მათ გადატყავებულ ფერდებზე ამოიკითხავდით სევდისმომგვრელ სიბერეს, ავადმყოფობასა და აღამიანის უბედურო-

ბის მთელ ისტორიას. აქ ნახავდით გასაოცრად გალუულ ჯაგლა-გებს — ამოყრილი ნეკნებითა და გრძელი, აბურძგნული ფაფარით. მათ გვერდით თვალწამონთებული და მზინავებეწვიანი ამაყი ცხენები ურტყამდნენ ფლოქვებს. ვერ გაიგებდით, ეს დიდებული ცხოველები, რომლებიც თითქოს ეს-ეს არის გამოეხსნათ მდიდრული ეტლიდან, როგორ მოხვდნენ ამ სულთმობრძავე ჯაგლაგთა შორის.

მაგრამ სწორედ ისინი წარმოადგენდნენ ყველაზე დიდ საშიშროებას, რადგან განსაკუთრებული სენით იყვნენ დაავადებულნი — თავბრუ ეხვეოდათ, მოულოდნელად ეცემოდნენ მიწაზე და მხედრებს თავდაყირა ანარცხებდნენ. უბედურებისა და ავადმყოფობის ამ მსხვერპლთა შორის საცოდავად აწკარუნებდნენ ნალებს შრომის ინვალიდები: ცხენები, მრავალი წლის მანძილზე რომ უმუშავნიათ ფაბრიკებსა და წისქვილებში. ან მიწა უხნავთ, ან კიდევ დროვის ჯაგლაგები — მუშაპირტყვი, წლების მანძილზე სახნისისა და საზიდარის თრევით გამოთაყვანებულნი. ეს უბედურნი განწირულნი არიან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იშრომონ. ხარის რქებით მუცელგამოფატრულნიც კი ისინი საზოგადოებას არობენ ტლინკების სროლით.

სევდისმომგვრელი სანახაობაა! კეთილი, საცოდავი თვალები; გამხდარ ჯიდაოზე მიმჯდარი გაუმადლარი მწვანე ბუზები; ძვლიანი დრუნჩები და ზედ მცოცავი პარაზიტები; ოთხკუთხა, თითქოს დახვესებული ფერდები; დამჭკნარი მკერდები, რომელიც ძლივსა ფამფალებდა ხრინწიანი ჭიხვინით; ჩლიქებამდე ბანლით შემოსილი აცახცახებული ფეხები.

შიმშილს შეჩვეული კუჭი ვერ ინელებდა ჩვეულებრივ საკვებს, რომლითაც პირუტყვის მოლონიერება სურდათ. კორალი მყრალი საკვებით იყო სავსე. ამგვარი ცხენის შესაკაზმად, რომელნიც ციებიანივით ძაძაგებდნენ და სისუსტისაგან ძირს ვარდებოდნენ, ხარებთან ბრძოლაზე უფრო მეტი სიმამაცე იყო საჭირო. ცხენს ზურგზე მაღალ, უზანგიან მავრიტანულ უნაგირს ადგამდნენ და ამ სიმძიმეს ხშირად ჯაგლაგი ვერ უძლებდა, ძირს ეცემოდა.

ცხენების მომგვრელთან საუბარში პოტახეს ქედმაღლურად ეჭირა თავი. იგი საკუთარი და ამხანაგების სახელით კამათობდა და ბოშურად ისე ილანძღებოდა, რომ „ნასწავლი მაიმუნებიც“ ხარხარებდნენ. პიკადორები ცხენების მოგვარების საქმეს პოტახეს ანდობდნენ, რადგან მასავით ვერავინ მოელაპარაკებოდა იმ ჯურის ხალხს.

როცა მომგვრელს მასთან რომელიმე გაძვალტყავებული, თავჩაქინდრული ჯაგლაგი მოყავდა, პოტახე უყვიროდა:

— რას მოათრევ? მაგ საძაგელზე არავინ შეჯდება. თუ გინდა ზედ ბებიაშენი შესვი.

მომგვრელი აღშფოთებული იყო: პოტახეს ამ ცხენზე შეჯდომა ალბათ იმიტომ არ სურს, რომ ახლანდელ პიკადორებს ყველაფრისა ეშინიათ. ძველად, სენიორ კალდერონი * ტრიგო **, ან რომელიმე სხვა მხედარი ასეთი თვინიერი ცხენით კორიდაზე ორჯერ ზედიზედ გამოვიდოდა და ძირს ერთხელაც არ ჩამოვარდებოდა. ახლა! ახლა მხოლოდ ეშინიათ და არაფრისა არ რცხვენიათ.

პიკადორი და მომგვრელი მშვიდად, ასე გასინჯეთ, მეგობრულად კიცხავდნენ ერთმანეთს და ჩვეულებად ქცეული მათი გინება თითქოს კარგავდა თავის მნიშვნელობას.

— შენ კი, — პასუხობდა პოტახე, — ხოსე მარია ტემპრანილი-ოსავით თავხედი და გაიძვერა ხარ. აქედან მოაშორე ეს ჯაგლაგი; ზედ შენი მელოტი დედბერი შეჯდეს და მეჩეჩზე გაემგზავროს შაბათ ღამით.

ყველანი ხარხარებდნენ. მომგვრელი კი მხოლოდ მხრებს იჩეჩდა და მშვიდად ეუბნებოდა:

— აბა, რად არის ცუდი? ტყვილა ქირვეულობ, განა ამ ცხენს ქირიანი ან ბნელიანი ჯობია, რომელიც ხართან მისვლამდე გადმოვაგდებს? ეს პირუტყვი ვაშლივით ჯანმრთელია, გზიანი წყლების ქარხანაში ოცდარვა წელს ღირსეულად იმსახურა და მასზე ცუდი არავის დასცდენია, შენ კი მოსდექი და ლანძღვით ლაფში ამოსვარე.

— არ მინდა, არა! შენთვის წაიყვანე!

მომგვრელი გამოცდილი საქმოსანივით მიუახლოვდა პოტახეს და მშვიდად ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, რის შემდეგ პიკადორი ბუტბუტით გაემართა ცხენისკენ, „დაე, დარჩეს“. არ სურს, მასზე იყბედონ, მოურიგებელი კაცია, ამხანაგს აბრყევებსო.

პოტახემ ფეხი უზანგში გაუყარა, ჯაგლაგმა მხედრის სიმძიმე იგრძნო და კორალის ქვის ღობესთან, ბოძისკენ გაემართა. პოტახემ შუბი ძონძში რამდენიმეჯერ ისეთი სიძლიერით ჩაასო, თითქოს მის წინ უზარმაზარი ხარი ყოფილიყო. მხედრის თითოეულ მოძრაობაზე ცხენი თრთოდა და მუხლი ეკეცებოდა.

— ცუდად არ მოძრაობს, — შემრიგებლური კილოთი წარმოთქვა პოტახემ. — ქაკი უყეთესი აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა, ფეხები და კბილებიც არა აქვს ცუდი... რა გაეწყობა, შენ გაიმარჯვე, შეიძლება თავლაში წაყვანა.

* XIX ს. ცნობილი ესპანელი პიკადორები.

პიკადორი ჩქარობდა, ეტყობა საიდუმლო მოლაპარაკების შემდეგ დათანხმდა, რომ უარი აღარაფერზე ეთქვა.

გალიარდო, რომელიც თვალყურს ადევნებდა ამ პროცესს, ღიმილით გამოეყო მოყვარულთა ჯგუფს. ცირკის დარაჯმა ტორერო წაიყვანა ბაკებისკენ, რომლის ქვით ნაშენი კედლები ადამიანის სიმაღლეს აღემატებოდა. კედლის გაყოლებით სქელი ბოძები ვერანდას ამაგრებდნენ. კედლები ერთმანეთისაგან დაშორებული იყო ვიწრო გასასვლელებით, სადაც ადამიანს გვერდულად შეეძლო გასვლა. ბაკებში რვა ხარი იმყოფებოდა. ზოგი მუხლმოკეცილი იწვა, დანარჩენებს თავი ჩაეჭინდრათ და იქვე თივას ყნოსავდნენ. შიგ შესული ტორერო პირუტყვებს ათვალიერებდა.

ხუანი დროდადრო ვიწრო გასასვლელში ყოფდა თავს, ხელებს აქნევდა და ველურივით ღმუოდა. ამ ხმაზე ხარები სიმშვილეს კარგავდნენ. წამოხტებოდნენ და თავდალუნული გარბოდნენ იმ ადამიანებისაკენ, რომელმაც მყუდროება დაურღვია მათ. ზოგნი კი, თავაწეულები, ტორეროს ახლოს მისვლას ელოდნენ. გალიარდო სწრაფად იმალებოდა კედელს უკან, თვალს ადევნებდა ხარების ქცევას და ფიქრობდა სასპარეზოდ რომელი შეერჩია.

მის-გვერდით იდგა ჯოგის უფროსი შემრეკი, ახმახი ლობატო, რომელსაც ეცვა ღეზებიანი ჩექმა, ხამი შალის ქურთუკი და თავზე ეხურა ნიკაპთან დამაგრებული განიერფარფლებიანი ქუდი. ეს დაულაღვი მხედარი თითქმის მთელ წელიწადს ღია ცის ქვეშ ატარებდა, მადრიდში ველურივით იქცეოდა, სულ არ აინტერესებდა ქალაქი და ცირკის მიდამოს არ სცილდებოდა.

მისთვის ესპანეთის დედაქალაქს წარმოადგენდა ცირკი და მის ირგვლივ ტიტველი ბორცვები; ხოლო ის, რაც ქალაქის მეორე მხარეს იმყოფებოდა, სახლების საიდუმლო გროვად ეჩვენებოდა, რომლის ნახვაც არ სურდა. მისი აზრით, მთავარი დაწესებულება სამიკიტნო „გალინა“ გახლდათ. ეს ფანტასტიკური კომპი ცირკის გვერდით მდებარეობდა, ტკბილი ნეტარების წყაროს წარმოადგენდა, სადაც იგი სადილობდა და ვახშმობდა ანტრეპრენიორის ხარჯზე მანამ, სანამ მშობლიურ სამოვრებზე წასვლის დრო არ დადგებოდა. მაშინ ლობატო ცხენს მოახტებოდა, ლაბადას უნაგირის ტახტზე გადააფენდა, მხარზე შუბს გაიდებდა და ჩანთას უნაგირზე დაამაგრებდა.

როცა ლობატო სამიკიტნოში შემოვიდოდა, მსახურები მისი მეგობრული სალამის მოლოდინში წელში ორად იკაკვებოდნენ. იგი ისე ძლიერად ართმევდა მათ ხელს, რომ ძვლებს ქახანი გაჰქონდათ. მსახურები ტკივილისაგან ყვიროდნენ. თავისი ძლიერებით

კმაყოფილი ლობატო იღიმებოდა, უხაროდა, ურჩხულს რომ ეძახდნენ. მერე მოუტანდნენ ხოლმე ღვინოს და პირსაბანი ტაშტისხელა ლანგარს, რომელიც ხორცითა და კარტოფილით იყო სავსე.

ლობატო მუნოსისა და სიერი-გუადარამის საძოვრებზე წაყიდ ხარებს უვლიდა. იგი შუალამისას, კორიდამდე ორი დღით ადრე მწყემსებთან ერთად მადრიდის გარეუბნებიდან კორალში მირეკავდა ხარებს. ცუდი ამინდი აშუოთებდა ლობატოს, რადგან მაშინ კორიდა გადაიდებოდა, ხარები ცირკში ფერხდებოდა და შეუძლებელი იყო მშვიდ უდაბნოს ღროით დაბრუნდებოდა, სადაც კიდევ უამრავი ხარი ძოვდა.

ეს სიტყვაძუნწი, გონებადახშული კენტავრი, რომელსაც ტყავის და თივის სუნი ასდიოდა, გატაცებით ლაპარაკობდა მინდვრად ცხოვრების სიაყვარგეზე. აჰ, მადრიდის ცა, პატარაა და ვარსკვლავებიც მცირეა. ლობატო მხატვრული ლაკონიურობით აღწერდა ხოლმე ვარსკვლავების ციმციმში გატარებულ ღამეებს, როცა მყუდროებას მხოლოდ ტყის საიდუმლო ჩურჩული არღვევს. ამ სიწყნარეში გველები უცნაური ხმით მღერიან. დიახ! სენიორ, მართლა მღერიან. ნუ ეკამათებით ლობატოს. მას ეს სიმღერა ბევრჯერ მოუსმენია და ვისაც მის სიმართლეში ეჭვი ეპარება, თავს გაალახვინებს. დიახ, გველებმა იციან სიმღერა, ხარებმა კი — ლაპარაკი. მხოლოდ საჭიროა მათი ენა გესმოდეს. ისინი ადამიანებისგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ ოთხ ფეხზე დადიან და რქები აქვთ. განთიადისას რომ იღვიძებენ, მაშინ უნდა ნახოთ. ბავშვებივით ხტუნაობენ და ერთობიან. ხუმრობით ჩხუბობენ, ერთმანეთს რქებს უღერებენ. ზოგჯერ ერთმანეთს აჯღებიან, მხიარულად ღმუიან და ღვთის წყალობით ამომავალ მზეს ესალმებიან. შემდეგ ლობატო ყვებოდა გუადარამის თოვლიან მთებზე, მწვერვალებიდან ჩამონადენ ბროლივით გამჟვირვალე წყაროზე, კალაპოტისკენ რომ მოექანება, მინდვრის ბალახსა და ყვავილებზე, მძინარე ხარის რქებზე ჩამომჯდარ ჩიტებზე, მგლებზე, შორს, სადღაც შორს რომ ღმუიან, ხარების შემოსევით დაშინებულნი რომ გროვდებიან წინამძღოლ ხართა ზანზალაკების ხმაზე, რათა უდაბნოს ნაწილი მაინც დაიბრუნონ... მადრიდზე ლაპარაკიც არ სურდა. აჰ შეიძლება ადამიანი დაიხრჩოს. ერთადერთი, რაც სწამდა, ეს იყო ღვინო და სამიკიტრო „გალინა“.

ლობატო მატადორს კორიდისათვის ხარებს ურჩევდა, თუმცა განსაკუთრებულ პატივს არ სცემდა ამ ცნობილ, ხალხის სათაყვანებელ პიროვნებებს. ძველ მწყემსს თითქმის ეზიზღებოდა ტორეროები. განა შეიძლება მოტყუებით ასეთი კეთილშობილი ცხოვე-

ლის მოკვლა? ნამდვილი ვაჟკაცი ისაა, ვინც მათთან ცხოვრობს, მარტომმარტო დასეირნობს რქებს შორის, თავდასაცავად მხოლოდ ხელები გააჩნია და ოვაციას არ საჭიროებს.

როცა ლობატო და გალიარდო კორალიდან გამოვიდნენ, მაესტროს მოწინებით მიუახლოვდა ცირკის ძველი დამლაგებელი, რომელიც ყველა სახელგანთქმულ ტორეროებს კარგად იცნობდა. დამლაგებელს ღარიბულად ეცვა. თუმც მის თითებზე ხშირად ბრჭყვიალებდა ძვირფასი ბეჭდები და ცხვირს ძვირფასი დაქარგული ცხვირსახოცით იწმენდა, რომელსაც სუნამოს სურნელი ასდიოდა. იგი ყოველდღე მარტო ჰგვიდა უზარმაზარ ასპარეზს, ლოყებს, ამფითეატრს და დაღლილობას არასოდეს უჩიოდა. როცა რამეზე უკმაყოფილო ანტრეპრენიორი მსახურის დასჯის მიზნით ცირკის მახლობლად მოხეტიალე ბრბოს კარს გაუღებდა, დამლაგებელს ეშინოდა ადგილი არ წამართვანო და პირობას სდებდა, გამოესწორდებო.

ზოგჯერ იგი რამდენიმე მათხოვარს ან ტორეროს მოწაფეს თანაშემწედ აიყვანდა. სამაგიეროდ, ნებას რთავდა ფიესტის დღეებში კორიდისთვის ეცქირათ „ძაღლის ლოყიდან“ ანუ ბაკებთან ახლოს მდებარე კარიდან, სადაც დაქრილი ტორეროები გაჰყავდათ. სისუფთავის დამცველები ღობეზე ხელჩაკიდებულნი გასცქეროდნენ კორიდას და გალიაში მყოფი მაიმუნებივით უკეთესი ადგილისთვის დავობდნენ.

მოხუცი მთელი კვირის განმავლობაში მოხერხებულად ანაწილებდა ცირკის დალაგებას. ბიჭები მუშაობდნენ მზიან მხარეს, იქ, სადაც ქუჩყიანი, ღარიბი ხალხი იჯდა და ძირს მანდარინის ქერქებს, ქალღღებებს და პაპიროსის ნამწვავებს ყრიდა.

— ფრთხილად თამბაქოსთან! — უბრძანებდა ხოლმე თავის ჯარს. — ვინც ერთ ნამწვავსაც დასტოვებს, კვირას კორიდას არ დაესწრება.

თვითონ კი განძის მძებნელივით დინჯად ალაგებდა ცირკის ჩრდილოეთ მხარეს. ჯიბეში იტენიდა დაქარგულ მარაოს, ბეჭდებს. ცხვირსახოცებს, მონეტებს, ყველაფერს, რაც თოთხმეტი ათას მაყურებელს რჩებოდა. მერე ერთად აგროვებდა ნამწვავებს, ფხვნილს, აშრობდა და ყიდდა. ფასიანი ნივთები მეძველმანესთან მიჰქონდა, რომელიც ყიდულობდა ყველაფერს, რასაც გულმავიწყა ან აღელვებული მაყურებელი კარგავდა.

გალიარდო მოხუცს მლიქვნელური სალამის პასუხად სიგარა მიაწოდა. ლობატოს გამოემშვიდობა და შემრეკს მოელაპარაკა, რომ შერჩეული ორი ხარი ცალკე მოეთავსებინათ. დანარჩენი მა-

ტადორები წინააღმდეგი არ იქნებოან. ილბლიანი ბიჭებია და ახალ-გაზრდული სიფიცხით განგმირავენ ყოველგვარ ხარს, როგორც აწუნდა შესედეთ.

გალიარდო ეზოში გამოვიდა, სადაც ცხენების გასინჯვა გრძელდებოდა. ამ დროს მაყურებელს გამოეყო ტორეროს ტანსაცმელში გამოწყობილი, მაღალ-მაღალი, გამბდარი, სახედანაოქებული მამაკაცი, რომელსაც განიერფარფლებიან შავი ფეტრის შლიაპიდან თეთრი თმა მოუჩანდა.

— პესკადერო! როგორა ხარ? — გულწრფელი სიხარულით წამოიძახა გალიარდომ და ხელი ჩამოართვა.

ეს იყო ოდესღაც ძალზე პოპულარული მეესტრო, რომელიც ზოგიერთებსდა ახსოვდათ და რომლის სახელი დაჩრდილეს ახალგაზრდა მატადორებმა. პესკადერო ამერიკაში გამოდიოდა. იქ რამდენიმეჯერ იგემა ხარის რქები, რის შემდეგ ცოტაოდენი ფული დააგროვა; სარბიელი მიატოვა და ცირკის ახლოს სამიკიტნო გახსნა. იგი თაყვანისმცემლებს და ტორეროებს მუდამ თვალს არიდებდა, ამიტომაც იყო, ასე ძლიერ რომ გაოცდა გალიარდო.

პესკადერომ ნაღვლიანი ღიმილით მიუგო:

— რას იზამ, მიზიდავს! ხარების ბრძოლაზე თუმც სწირად არ დავდივარ. მაგრამ მთლად მიტოვებაც არ შემიძლია, აგერ მეზობლად ვარ და შემოვდივარ ხოლმე. ამჟამად მე მხოლოდ მიკიტანი გახლავარ.

გალიარდო შეჰყურებდა და ახსენდებოდა ქალების სათაყვანებელი, ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილი, წარმოსადეგი. მოხდენილი, კამპანას ქუჩაზე მოსეირნე გმირი, პესკადერო, რომლის წინაშე ბავშვობისას თვითონაც ქედს იხრიდა.

ასპარეზი რომ მიატოვოს, ალბათ ხუანსაც ყველა მიივიწყებს და ასევე დაჩაჩანაკდება.

ისინი თავიანთ ხელობაზე საუბრობდნენ. პესკადერო, როგორც ყველა მარცხიანობით იმედგაცრუებული მოხუცი, პესნიმისტი გახლდათ. ტორეროების მზე ჩაესვენა, აღარ არის მამაცი ხალხი, პირუტყვებიც დაუძღურდნენ, „ნამდვილად“ ხარებს მხოლოდ გალიარდო და კიდევ ერთი-ორი მატადორი ჰკლავს, — წარმოთქვა ნაღვლიანად პესკადერომ და მეგობარი თავისთან მიიპატიჟა. რადგან შეხვდნენ და მატადორიც ამ საღამოს თავისუფალია, უსათუოდ უნდა მოინახულოს მისი დაწესებულება.

გალიარდო დათანხმდა. მათ ცირკის მომიჯნავე ერთ-ერთ ვიწრო ქუჩაზე შეუხვიეს და შევიდნენ სამიკიტნოში, რომელიც სხვა სამიკიტნოებისაგან არაფრით განსხვავდებოდა: ფასადი წითლად იყო

შეღებლი. სარკმელზე ამავე ფერის ფარდები ეკიდა. ვიტრინებზე ზორციანი ნამცხვრები, შემწვარი ქათმები და მწნილუელი ელაგა. დარბაზში, როგორც წესი, იყო თუთიის დახლი, კასრები, ბოთლები, მრგვალი მაგიდები და ხის სკამები. კედლებზე გაკრული იყო ფერადი ლითოგრაფიები, რომელიც ცნობილი ტორეროების ხართან ბრძოლის ცალკეულ მომენტებს გამოხატავდა.

— დავლიოთ თითო ჭიქა! — შეეპატიჟა პესკადერო და გალიარდოს ნახვით გაღიმებულ ჭაბუკს მიმართა. — მოგვართვი მონტილია...

გალიარდომ ჭაბუკს შეხედა და მკერდზე მიმაგრებული ცარიელნი სახელო დაინახა.

— მე მგონი ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს. — ჩაილაპარაკა მატადორმა.

— ეგლა გაკლია, არ იცნობდე. — გამოეხმაურა პესკადერო. — ეგ ხომ პიპია.

ამ სახელის ხსენებაზე გალიარდოს ყველაფერი გაახსენდა. ჰო, ჰო, როგორ არ იცნობს, გაბედულ ჭაბუკს, რომელიც მარჯვედ ასობდა ბანდერილიას. უწინ ამბობდნენ, „საუკეთესო მომავლის მქონე ტორეროა“. ერთხელ მადრიდის ცირკის სარბიელზე, ხარმაჩებზე წამოაგო, მარჯვენა ხელის ამპუტაცია გაუკეთეს და ტორეროდ ველარ გამოდგებოდნ.

— ჩემთან წამოვიყვანე, ხუან! — განაგრძობდა პესკადერო. — შვილივითა მყავს... ცოლი მომიკვდა, ოჯახი არა მაქვს, მიმძიმს... და ამ უბედურებასთან ერთად გულსაც თუ გამომაცლიან, რაღა საჭიროა სიცოცხლე? არ იფიქრო, თითქოს მე და პიპი მადლიერნი ვიყოთ! ვცხოვრობთ ისე რა. რაც გამაჩნია, ყველაფერი მას ეკუთვნის. სულს ვითქვამთ ძველი მეგობრების წყალობით, რომელნიც ზოგჯერ სასაუზმოდ ან ქაღალდის სათამაშოდ შემოდიან, უმთავრესად კი სკოლა გვინახავს.

გალიარდოს გაეღიმა. მას უკვე გაეგო, რომ პესკადეროს სამიკიტნოს გვერდით ტავრომაქიის სკოლა გაეხსნა.

— რას იზამ, ძმაო! — თქვა ძველმა ტორერომ თითქოს მობოდიშებით. — საჭიროა არსებობა და სამიკიტნოზე უფრო მეტ შემოსავალს სკოლა იძლევა, რადგან იქ დადიან ძალზე ღირსეული ადამიანები: ახალგაზრდები, ხართან ბრძოლით თავის გამოჩენა რომ სურთ და უინიანი უცხოელები, რომლებსაც სიბერის დროს ტორეროდ გახდომა მოწყურებიათ. ამჟამად ერთი ამთვანი მეცადინეობს. ხომ არ ნახავდი?

ძველმა მეგობრებმა ქუჩა გადაჭრეს, მაღალი მესერიით შემოლო-

ბილ ბაკს მუახლოვდნენ და სკოლაში შევიდნენ. გაუშალამინებელი ფიცრის ჭიშკარზე კოხტად გამოიყურებოდა კუპრით შესრულებული წარწერა: „ტავრომაქის სკოლა“.

გალიარდოს ყურადღება მიიპყრო ბორბლებზე შემდგარმა ხარის ფიტულმა, რომელსაც ძენძის კუდი, ბზის თავი, კორპის კისერი და ორი უზარმაზარი ნამდვილი რქა ჰქონდა. ამ ხარისა მოწაფეებს ძალზე ეშინოდათ. ყურზე თმაგადავარცხნილი ახალგაზრდა, რომელსაც გახსნილი ხალათი ეცვა და თავზე ბერეტი ეხურა, პირუტყვის აქეთ-იქით ამოძრავებდა, როგორც კი მის წინ, ლაბადით ხელში, „მოწაფე“ გამოჩნდებოდა.

შუა ეზოში ტიკივით ჩამრგვალებული ქალარა ულვაშიანი ხნიერი მამაკაცი იდგა პერანგის ამარა და ხელში ბანდერილიები ეკავა. იქვე ლობესთან სკამზე გაშხლართულიყო მეუღლესავით ჩასუქებული ქალბატონი. ამ ქალის პუდრით სახეშეფრქვეული მწითური ფიზიონომია აღფრთოვანებით გაიბადრებოდა ხოლმე, როგორც კი მისი ქმარი ხარს მარჯვედ ჩასცხებდა. საცილის დროს ქუდზე დამაგრებული ვარდები და ყალბი ქერა ნაწნავები ერხეოდა. ქალი ფეხებგაჩაჩხული უკრავდა ტაშს. მაშინ კაბა მდლა აეწეოდა და მოუჩანდა მსუქანი, მაგრამ მაინც ოდნავ შემქვნარი მშვენიერება.

კარებში მდგარი პესკადერო გალიარდოს ამ ხალხის ვინაობას აცნობდა: მგონი ფრანგებია, შესაძლოა სხვა ქვეყნიდანაც არიან. ზუსტად არ იცის მათი ეროვნება და არც აინტერესებს. დროს ხეტიალში ატარებენ და მგონი მთელი მსოფლიო მოუვლიათ. თუ ქმრის მონაყოლს დავუჯერებთ, ათასი პროფესია გამოუცვლია. აფრიკაში მეშახტედ მუშაობდა, შორეულ კუნძულზე მიწას ამუშავებდა და ამერიკის მინდვრებში ქამანდით მუსტანგებზე უნადირნია. ახლა ტორეროდ გახდომა სურს, რათა ესპანელებივით ფული იშოვნოს. ყოველ საღამოს დადის სკოლაში, ჯიუტი ბავშვივით მიზნის მიღწევას ცდილობს და გაკვეთილებში ფულს უხვად იხდის.

— წარმოგიდგენია ამგვარი სიფათის ტორერო? ამასთან, ორმოცდაათი წლისა!

სტუმრების დანახვაზე მოსწავლემ ხელები დაუშვა. ქალმა კი კაბა და ყვავილიანი ქუდი გაისწორა. — O, cher maître*.

— საღამო მშვიდობისა, ბატონებო! — თქვა მანესტრომ და ხელი ქუდზე მოიკიდა. — ვნახოთ, მუსიე, როგორ მიმდინარეობს გაკვეთილი. გახსოვთ, რას გეუბნებოდით? ადგილზე დგომით თქვენ აღიზიანებთ ხარს და როცა პირუტყვი მოგიახლოვდებათ, წელში

* ო, ძვირფასო მანესტრო! (ფრანგ.).

იხრებით და ბანდერილიებს კისერში ასობთ. არაფერზე არ იფიქროთ, ხარი ყველაფერს გააკეთებს, რაც საჭიროა. ყურადღება... დავიწყეთ!

მაესტრო განზე გადგა და მოწაფე აღმოჩნდა საშინელი მხეცის, უფრო ზუსტად, უსაქმური ჭაბუკის პირისპირ, რომელიც ხარს ფეხებში ჩაჰფრენოდა და ბიძგისთვის ემზადებოდა.

— ე-ე-ე!.. მიდი, მორიტო!

მრისხანე ღრიალი გაისმა. პესკადერო ყვირილითა და ფეხების ბაკუნით აღიზიანებდა, ამხნევებდა ხარის ფიტულს და მორიტოც ბორბლების ხმაურით და თავის ქნევით ნამდვილი მხეცის მსგავსად გამოიქცა და თან წამოათრია კუდზე ხელჩაკიდებული ბიჭიც, რომელიც ხელისკვრით გზას უადვილებდა. ვერც ერთი ჯიშინი ხარი ვერ შეედრებოდა გონიერებით მორიტოს, ამ უკვდავ პირუტყვს, რომელმაც მრავალათასჯერ იგემა ბანდერილისა და დაშნის დარტყმა, რომელთაგან დამჩნეულ მსუბუქ დაღს ღურგალი იოლად აცილებდა.

ადამიანივით ჭკვიანმა მორიტომ მოწაფეს გვერდი აუქცია, რათა რქებით არ შეხებოდა და კისერში ბანდერილია გაყრილი, გაუჩინარდა.

ამ წარმატებას ოვაციით შეხვდნენ. ბანდერილიერო კი მშვიდად იდგა და საბეჭურებსა და მანქეტებს ისწორებდა. მისმა მეუღლემ სიხარულისგან ტაში შემოჰკრა, უკან გადაიხარა და კაბა მსუქან სხეულზე კვლავ აუცოცდა და გამოჩენილმა იღუმალმა სიმშვენიერემ ყველას მზერა მოიტაცა.

— მარჯვედ, იბრძოდით, მუსიე! — წამოიყვირა პესკადერომ, — პირველხარისხოვანი დარტყმა იყო!

მასწავლებლის ქებით წაქეზებულმა უცხოელმა მჯიღი მკერდში ჩაიცა და მერე მოკრძალებით უპასუხა:

— ყველაზე მთავარი ისაა, რომ მე მამაცი ვარ. ძალზე მამაცი! უცხოელმა გადაწყვიტა წარმატება რითიმე აღენიშნა და გაემართა მორიტოს პაუისკენ, რომელიც უკვე მზად იყო ყოველგვარი დავალება შეესრულებინა. — მოგვართვით ერთი ბოთლი ღვინო! — სამი ბოთლი უკვე ეყარა ქალის მახლობლად. ლოყებაწითლებული ქალბატონი სულ უფრო მალდა სწევდა კაბას და ხმამალალი ხარხარით მეუღლეს წარმატებას ულოცავდა.

როცა უცხოელებმა შეიტყვეს, რომ მაესტროს თვით ცნობილი გალიარდო მოჰყვა, ქალი გაფითრდა და გრძნობამორეულმა თვალები მოჰუტა „O, cher maître!..“ ქალბატონი იღიმებოდა, გალიარდოსკენ მიიწევდა და ცდილობდა თავისი გაფუებული ტანით მიჰკეროდა.

ახალი ტორეროს პატივსაცემად ჭიკები აწკარუნდნენ. ზემო-ში მორიტომაც მიიღო მონაწილეობა, მის მაგივრად ღვინო იმ გა-ქნილმა ბიკმა დალია.

— ორი თვეც გაივლის. — ანდალუსიური სიამაყით წარმოთქვა ტავრომაქიის მასწავლებელმა. — და თქვენ, ღვთის შემწეობით, მადრიდის ცირკის სარბიელზე დაასობთ ბანდერილიებს. უდიდეს სახელს მოიხვევთ. გექნებათ ფული და გეყოლებათ ქალები... ბო-დიშს ვიხდი სენიორასთან.

სენიორა კი ნაზად გასცქეროდა გალიარდოს, სიამოვნებისაგან თრფოდა და მსუქანი ტანი სიცილით უთახთანებდა.

უცხოელმა ენერგიული კაცის სიჯიუტით განაახლა გაკვეთილი. დროის უბრალო დაკარგვა დანაშაულია. მას მადრიდის ცირკის სარბიელზე მოხვედრა და მეესტროს მიერ აღთქმული ბედნიერე-ბის მოპოვება ეჩქარება. ოქროსფერ დოლბანდიანმა ქალმა როცა შეამჩნია, რომ ტორეროები მიდიოდნენ, ბოთლით ხელში ძველი ადგილისკენ გასწია.

პესკადერომ გალიარდო ქუჩის ბოლომდე გააცილა.

— ნახვამდის, ხუან, — ნაღვლიანად თქვა მან, — შესაძლოა ხვალ ცირკში შევხვდეთ ერთმანეთს. ხომ ხედავ, როგორ დაეჩიავდი? იძულებული ვარ სიცრუითა და მასხარაობით თავი ვირჩინო.

ღრმად ჩაფიქრებული გალიარდო შინისკენ წამოვიდა. ეჰ, მას ხომ უნახავს პესკადერო იმ დროს, როცა წარმატებაში დარწმუნე-ბული ფულს ხელგაშლით ფანტავდა. მთელი თავისი დანაზოგი უხვირო სპეკულაციაში გაანიავა. ტორერო ფულის ყადრს ვერას-დროს ვერ ისწავლის. გალიარდოსაც ეუბნებიან, მიატოვე შენი პროფესიაო? არასოდეს. საჭიროა მხოლოდ ხარის ახლოს იტრია-ლოს.

ხუანი მთელი ღამე იმაზე ფიქრობდა, საჭიროა ხართან ახლოს ყოფნაო. მეორე დილას მტკიცედ გადაწყვიტა: ხარის ახლოს იტ-რიალებდა და თავისი მამაცობით ხალხს კვლავ გააკვირვებდა.

გამხნეებული გალიარდო ცირკისკენ გაეშურა და მთლად მია-ვიწყდა, აკვიატებული წინათგრძნობა რომ აწვალებდა. მას სჯერო-და წარმატებისა და გული წინანდებურად უძგერდა.

კორიდის დაწყებისთანავე საინტერესო ამბები მოხდა. პირველი ხარი გაშმაგებით ეცა ცხენოსნებს და სამი შუბომარჯვებული პი-კადორი მიწაზე გააგორა. ორი ცხენი მაშინვე მოკვდა და ფერდები-დან შავი სისხლი გადმოსდინდა. მესამე, მუცელგაფატრული ცხე-ნი, შიშისგან და ტკივილისგან სარბიელზე დარბოდა, უნაგირს და ძეხვის მსგავს ცისფერ-მოწითალო ნაწლავებს ქვიშაზე მოათრევდა,

ხშირად ზედ უკანა ფეხებს ადგამდა და თავისსავე შიგნეულში იხლართებოდა.

ხარმა თავი ჩაღუნა. გამოეკიდა მსხვერპლს, რქები მუცელში გაუყარა, მალლა ასწია და ეს დასახიჩრებელი, დამახინჯებული ჩონჩხი მიწას დაანარცხა. როცა ხარმა აძაგდაგებული, მომაკვდავი ჯაგლაგი მიატოვა, სარბიელზე პუნტილიერო გამოეარდა, რათა ყურებს შორის ხანჯლის დარტყმით ცხენისთვის ბოლო მოეღო. მაგრამ უწყინარი პირუტყვი უეცრად გაშმაგდა, ძალ-ღონე მოიკრიფა და მკვლელს ხელზე უკბინა. პუნტილიერომ იყვირა, გასისხლიანებული ხელი აიქნია და ცხენს ხანჯალი ჩასცა. პირუტყვმა ბრძოლო შესწყვიტა და ფეხები გაქიმა. მსახურები ქვიშით სავსე კალათებით სარბიელზე დარბოდნენ, სისხლის ტბორსა და მკვლარ ცხენებს ქვიშას აყრიდნენ.

ხარის მძვინვარებით აღტაცებული ხალხი ყვირილითა და ხელების ქნევით ფეხზე წამოხტა და როცა დაინახეს, რომ ასპარეზზე არც ერთი პიკადორი აღარ იყო, აღრიალდნენ „ცხენები! ცხენები!“.

ყველამ კარგად იცოდა, რომ პიკადორები საცაა გამოვიდოდნენ, მაგრამ ისინი იმაზე წუხდნენ, რომ რამდენიმე წუთი გავიდა და ხოცვა-ჟლეტა ვერ ნახეს. ხარი მარტოლმარტო იდგა შუა სარბიელზე. დმუოდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აქნევდა გასისხლიანებულ რქებს. კისერზე ბაფთასავით ქანაობდნენ წითელი და ცისფერი ნაწლავები. გამოჩნდნენ ახალი მხედრები და კვლავ გამეორდა საზარელი სანახაობა. როგორც კი შუბმომარჯვებული პიკადორი თვალეხავეულ ცხენს ხარისკენ შემოატრიალებდა, პირუტყვის თავდასხმა და შუბის დარტყმა ერთდროულად ხდებოდა. ხელშუბები ჰახანით ტყდებოდა, რქებზე წამოგებული ცხენი ჰაერში ფართხალებდა, ირგვლივ სისხლი იფრქვეოდა, ძირს განავალი და ხორცის ნაფლეთები ცვიოდა. პიკადორები ყვითელფეხება თოჯინებივით სარბიელზე გორაობდნენ. კაპიადორები მათ ლაბადებით იცავდნენ.

ერთ-ერთმა მუცელგაფატრულმა ცხენმა იქვე მდგომი ტორერო აყროლებული, მწვანე განავლით გასვარა.

ზღართანით ძირს დაცემულ ცხენოსნებს ხალხი ხმამალლა დასცინოდა. რკინით ფეხებდაჭედილ მძიმე სხეულის დაცემისაგან სარბიელი ყრუდ გუგუნებდა. ზოგიერთი სავსე ტომარასავით გულადმა ვარდებოდა, თავს არტყამდა მოაჯირს, რომელიც საშინელ ექოს გამოსცემდა.

— ეგ ვეღარ წამოდგება! — ყვიროდნენ მაყურებლები — რკინის თავი გაებზარა.

მაგრამ პიკადორი მაინც დგებოდა, წელში იმართებოდა, დაზი-

ნებულ კეფას იფხანდა, სარბიელზე გადმოვარდნილ ქულს იღებდა და „ნასწავლი მაიმუნების“ მიერ ხელისკვრითა და ჯოხის ცემით ფეხზე წამოყენებულ იმავე ცხენზე ჯდებოდა. მამაც მხელარს ჩორთით მიჰყავდა ცხენი, რომელსაც მოძრაობისას შიგნეული გარეთ გადმოსდიოდა. ამ ნახევრად მძორზე მჯდარი პიკადორი პირდაპირ ხარისკენ მიიწევდა.

— თქვენს პატივსაცემად, სენიორებო! — გაიძახოდა იგი და ქულს მეგობრებისკენ ისროდა.

პიკადორი ძლივს ასწრებდა ხარის კისერში შუბის დაძვერებას, რომ მხეცი ისეთ საპასუხო დარტყმას აგემებდა, ცხენი და კაცი სხვადასხვა მხარეს ვარდებოდა. როცა მხეცი თავდასხმას აპირებდა. „ნასწავლი მაიმუნები“ და ხალხი გაიძახოდა: „ჩამოდი ცხენიდან“, მაგრამ ფეხებზე გაკეთებული რკინის აბჯარი პიკადორს ხელს უშლიდა და ვიდრე იგი ჩამოხტებოდა, ცხენი უსულოდ ძირს ეცემოდა, ხოლო უნაგირიდან თავდაყირა გადმოვარდნილი მხედარი ქვიშას ყრუდ ეხეთქებოდა.

ხარი ვერასდროს ვერ ახერხებდა წაქეუული მხედრის რქებზე წამოგებას, თუმც ცირკის მსახურებს სარბიელიდან საავადმყოფოში ბევრჯერ გაუტანიათ ძვლებდამტყრეული და მკვდარივით გაფითრებული პიკადორები.

გალიარდო ხალხის ყურადღების დაპყრობას ცდილობდა და სარბიელს არ სცილდებოდა. იგი ხალხმა ტაშით დააჯილდოვა, როცა ხარი კუდით წაათრია და ერთ-ერთი წაქეუული პიკადორი რქებს გადაარჩინა.

ბანდერილიეროს გამოსვლის დროს მოაჯირზე დაყრდნობილი გალიარდო ლოყებს ათვალიერებდა. ერთ-ერთ მათგანში ღონია სოლი იჯდა. ბოლოს თვალი მოჰკრა, მაგრამ მას არც თეთრი მანტილია ამშვენებდა და არც სხვა ისეთი რამ, რაც ასე აგონებდა სევილიელ სენიორას. ქალს ოქროსფერ თმაზე ორიგინალური, ელეგანტური ქუდი ეხურა და ხართან ბრძოლის საცქერად პირველად მოსულ უცხოელს ჰგავდა. გვერდით ეჯდა სწორედ ის მაშაყაცი, რომლითაც ასე აღფრთოვანებული იყო და თავისი ქვეყნის ღირსშესანიშნაობათ აჩვენებდა. აჰ, ღონია სოლი! ახლა ნახავ, რა შეუძლია უბრალო ჰაბუეს, რომელსაც ხელი ჰკარი. ქალი სწორედ იმ საზიზღარი უცხოელის თვალწინ ტაშს დაუყრავს და ხალხის აღფრთოვანების გამო საკუთარი სურვილის წინააღმდეგ განეწყობა.

როცა გალიარდოს ჯერი დადგა, მაყურებელი ალტაცებით შეხვდა, რადგან სრულიად დავიწყებოდა აღრინდელი გაბრაზება. ორი კვირის იძულებითმა დასვენებამ ხალხს მოთმინება შთაუწერ-

გა. მათ სურდათ, რომ ამ კორიდაზე ყველაფერი რიგზე ჩატარებულ-
ლიყო. ამასთან, ხარების ბრძოლის უნარიანობამ და უამრავმა და-
ხოცილმა ცხენებმა მოყვარულნი კარგ გუნებაზე დააყენა.

გალიარდო ხალხს მიესალმა და მულეტითა და დაშნით შეიარა-
ღებული, ხარისკენ გაემართა. უკან, ცოტა მოშორებით, ნასიონალი
და ერთ-ერთი ტორერო მოსდევდა. ამფითეატრიდან პროტესტი გა-
ისმა: რამდენი თანაშემწეა! კაცი იფიჭრებს, სამრევლო მღვდელი
საზიარებლად მიდისო.

— ყველამ დასტოვეთ სარბიელი! — დაიყვირა გალიარდომ.

გალიარდოს ხმა ეჭვს არ იწვევდა და ორივე ტორერო დაემორ-
ჩილა.

გალიარდო უწინდებურად მიუახლოვდა ხარს და გაშლილი მუ-
ლეტი ზედ დრუნჩის წინ აუქნია. ოლე!.. კმაყოფილი გუგუნე გაისმა.
სევილიის შვილი დაიცავს თავის ღირსებას! მისთვის ძვირფასია
ტორეროს სახელი! იგი აღრინდელივით გვაჩვენებს, რა შეუძლია
მამაც ადამიანს!

თითოეული მულეტის მოქნევა აღტაცებას იწვევდა და ამფითე-
ატრში მსხდომი, გამხნეებული გალიარდოს მომხრეები მოწინააღმ-
დეგეებს ტუქსავდნენ: რას იტყვიან ახლა? მართალია, ამას წინათ
დაუდევრად მოქმედობდა, მაგრამ თუ მოინდომა...

ეს იღბლიანი საღამო იყო, როცა ხარი ერთ ადგილზე გაშეშდა,
მაყურებელი თვითონ აჩქარებდა მატადორს: „დროა! მოკალი!“.

დაშნამომარჯვებული გალიარდო ეცა ხარს, მაგრამ სწრაფად
გაუსხლტა მრისხანე რქებს. გაისმა ხანმოკლე ტაში, რომელიც
ჩურჩულმა და სტვენამ შეცვალა. ენთუზიასტები გასცქეროდნენ
ხარს და მოწინააღმდეგეებზე თავდასასხმელად ემზადებოდნენ.

რა უსამართლობაა! უცოდინრობაა! მან შესანიშნავი დარტყმა
მიაყენა ხარს.

უკმაყოფილო მოწინააღმდეგენი ხარზე მიუთითებდნენ. მათ
სხვებიც აპყენენ და იქაურობა სტვენით გააყრუეს.

ხარს დაშნა მრუდედ შესობოდა, კისერი გაეგლიჯა და წინა
ფეხთან გამოსულიყო.

სიშმაგით გაოგნებული ხალხი ხელებს აქნევდა და ყვიროდა.
ოი, სირცხვილო! ასეთი რამ ყველაზე უნიჭო ნოვილიეროსაც არ
მოუვიდოდა! ფეხში დაშნაგარკობილი ხარი ბარბაცით წინ წამო-
ვიდა. ხალხი სირცხვილისა და საცოდაობისაგან იწოდა. საცოდავი
ხარი! რა ლამაზია და კეთილშობილი... ხალხი გააფთრებით ყვიროდა
და მოაჯირს ისე გადაყრდნობოდა, თითქოს სარბიელზე გადახტომა
სურთო. უსინდისო! მამაძაღლო! განა შეიძლება ცხოველის ასეთი

წვალება! ყველანი ყვირილით იზიარებდნენ ხარის ტანჯვას და თითქოს დავიწყებოდათ, რომ ფული სწორედ იმიტომ გადაიხადეს, რათა ხარის სიკვდილით დამტკბარიყვნენ.

მარცხიანობით გაოგნებული გალიარდო ხალხის ლანძღვისა და მუქარის გამო თავს თანდათან დაბლა ხრიდა... „წყეულიმც იყავ, ჩემო ბედო! განა უწინდებურად არ ჩასცა დაშნა! მან ხომ დასძლია ნერვული აღგზნება, რომელიც აიძულებდა მრისხანედ მომავალ პირუტყვისთვის ზურგი შეექცია! მაგრამ მისწრაფებამ, რაც შეიძლება მალე გასხლტომოდა რქებს, იქამდე მიიყვანა, რომ თავისი გამოსვლა სამარცხვინო დარტყმით დაასრულა.

პირველ რიგში გაცხარებით კამათობდნენ: „არაფრის გაკეთება აღარ შეუძლია. პირს იბრუნებს. არა, აღარაფრად აღარ ვარგა“. გალიარდოს აღგზნებული მომხრენი თავიანთ კერპს იცავდნენ. „ამგვარი რამ ყველას შეიძლება შეემთხვეს. უბრალოდ, არ გაუმართლდა და ეგ არის. მთავარია კოხტა დარტყმა, რომელიც მართლაც შესანიშნავი იყო“.

ხალხის ღრიანცელში ხარმა იბარბაცით რამდენიმე ნაბიჯი გაიბინა და ერთ ადგილზე გაშეშდა, რომ ტკივილი ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა.

გალიარდომ ახალი დაშნა აიღო და ხარისკენ გაემართა.

ხალხი მიუხვდა განზრახვას. გალიარდოს სურდა ხარის გაგპირვა ნერვული ცენტრის გადაჭრით. ეს ერთადერთი რამ დარჩენოდა ხარს დაუზიანებელი ტორეოს მიერ ჩადენილი დანაშაულის შემდეგ.

გალიარდომ დაშნის წვერით რქებს შორის მოთავსებული წერტილი მოძებნა და თან ქვიშაზე მულეტს ატრიალებდა, რათა ხარს თავი დაბლა დაეხარა. როგორც კი მატადორმა ტარს ხელი დააჭირა, ნარმა ტკივილისაგან თავი გააქნია და დაშნა გვერდზე გადავარდა.

— ერთი! — ერთხმად დაიძახეს დამცინავად მაყურებლებმა.

მატადორმა იგივე ფანდი გაიმეორა, პირუტყვი კვლავ აძაგდაგდა.

— ორი! — ხარხარით წამოიძახეს მაყურებლებმა.

გალიარდომ მესამედაც სცადა, მაგრამ ხარი მხოლოდ ტკივილისაგან ღრიალებდა.

— სამი!

ახლა კი დაცინვას სტვენა და ღრიანცელი მოჰყვა. როდის მოუღებს ხარს ბოლოს ეს მატადორი?

როგორც იქნა, გალიარდომ შესძლო დაშნის წვერი ზურგისა და თავის ტვინის შესაყარში ჩაეცა და სიცოცხლის ცენტრი დაეზიანებინა. ხარი გაიშხლართა და ფეხები გასქიმა.

მატადორმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა... გათავისუფლდა წყე-
ული პირუტყვისაგან, რომლისაგან თავის დაღწევა მიუღწევლად
მიაჩნდა და აქოშინებული, ბარბაციტ გაემართა თავმჯდომარის
ლოჯისკენ. ტაშს არავინ უკრავდა. ხალხი ზიზლით და ყვირილით
მიაცილებდა. გალიარდო მიესალმა თავმჯდომარეს და შერცხენილ
მოწაფესავით მოაჯირს მიღმა გაუჩინარდა. გარაბატომ ჭიქა წყალი
გაუწოდა. სანამ გალიარდო წყალს დაღევდა, აქეთ-იქით გაიხედა და
დონია სოლის თვალებს შეეფეთა. რას იფიქრებს მასზე ეს ქალი,
ალბათ მეგობართან ერთად ბევრი იცინა, როცა ხალხი ლანძღავდა!
რა ეშმაკმა მოიყვანა კორიდაზე...

გალიარდო მოაჯირთან ისვენებდა, სანამ მისთვის განკუთვნილ
მეორე ხარს გამოიყვანდნენ. ხანგრძლივი სირბილის გამო დაკრი-
ლი ფეხი ასტკივდა. აშკარაა, იგი უწინდელივით მამაცი აღარ არის.
ამაო გახლდათ მისი ამაყური გადაწყვეტილება და ჩანაფიქრი „ხარ-
თან ახლოს ყოფნის შესახებ“. ფეხებმა ადრინდელი ძალა და სი-
მარჯვე დაჰკარგეს. მარჯვენა ხელმაც უმტყუნა. გაქრა გულადობა
რომლის მეშვეობით ხარს კისერში დაშნას სწრაფად ასობდა. ახლა
იგი იკლავებოდა მხდალი ცხოველივით, რომელიც ხიფათის თა-
ვიდან ასაცილებლად თვალებს ხუჭავს.

შიშის მომგვრელმა წინათგრძნობამ კვლავ დაისადგურა გალი-
არდოს გულში. „ქენტი რიცხვი თარსია, — ფიქრობდა იგი. —
გული მიგრძნობს, რომ თავს ვერაფრით დავიხსნი“.

როცა სარბიელზე მეხუთე ხარი გამოვიდა, გალიარდომ ყველა-
ზე უწინ თავისი ლაბადა დაინახა. ო, ეს რომელი ხარია! მოეჩვენა
თითქოს ეს ხარი არ აურჩევია მას კორალში. ალბათ შეეშალათ. სა-
შინელი აზრები არ შორდებოდა. ცუდი ნიშანია. რქებს თავს ვერ
დავადწევ... დღეს სარბიელიდან ფეხებგაფშეკილს გამოიყვანენ...

თუმცა მაინც წინ მიიწევდა, პირუტყვის ყურადღებას იპყრობ-
და და სახიფათო მდგომარეობაში მყოფ პიკადორებს ხიფათს არი-
დებდა. პირველად მის მოქმედებას მღუმარედ შეხვდნენ. ზემოთ და-
შოშმინებულმა ხალხმა ზანტად ტაში დაუკრა.

როცა სასიკვდილო დარტყმის დრო დადგა და გალიარდო პირუ-
ტყვის პირისპირ აღმოჩნდა, ყველამ შეამჩნია, რომ ტორერო ძალ-
ზე დაიბნა. იგი უხერხულად მოძრაობდა, საკმარისი გახლდათ ხარს
თავი გაექნია, რომ შიშით უკან ხტოდა. ხალხი გალიარდოს ყოველ
მოძრაობას დასცივნიდა:

— გაიქე!.. გაიქე!.. თორემ გირქენს!

უცბად გალიარდომ გადაწყვიტა ნებისმიერი მეთოდით მოესპო
პირუტყვი, ეცა ხარს და ხიფათი რომ სწრაფად აერიდებინა, დაშნა

გვერდულად ჩასცა. მოისმა გამაყრუებელი სტვენა და ყვირილი. დაშნა რამდენიმე სანტიმეტრით ჩაესო ხარს კისერში და მერე გვერდზე გადავარდა.

გალიარდომ აიღო დაშნა და კვლავ ხარისკენ გაემართა. იგი საბრძოლველად მოეშინა და ხარიც იმწამსვე მისკენ გამოქანდა. ხუანმა გაქცევა დააპირა, მაგრამ ფეხებს აღრინდელი სიმარჯვე დაჰკარგოდა. ხარი წამოეწია და მატადორი სარბიელზე გააგორა. მეგობრები ტორეროს მისაშველებლად მიეარდნენ. ქუქყში მოთხვრილი გალიარდო წამოდგა. გახეულ შარვლიდან საცვალი მოუჩანდა... ერთი ფეხსაცმელი გახდოდა და ნაწნავში ჩახვეული ბაფთა გახსნოდა.

და ეს ამაყი, ლამაზი კაცი, თავისი სიკოხტავით ხალხს რომ აჯადოებდა, სასაცილო და საცოდავი სანახავე იყო. შარვალი დახეოდა და ნაწნავი თავის კუდივით გაჰქუცოდა. მის დასაცავად ირგვლივ კაპედლორების ლაბადები ფრიალებდნენ. მეგობრისადმი კეთილშობილური გრძნობით გამსქვალულ მატადორებს ხარი ისეთ მდგომარეობაში ჩაეყენებინათ, რომ ხუანს ერთი დარტყმით გაეგშირა. მაგრამ გალიარდო დაბრმავდა და დაყრუედა. იგი ხარს მხოლოდ იმიტომ გასცქეროდა, რათა პირუტყვის ოდნავ მოძრაობაზე ძუნძულით გაქცეულიყო. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს შიშისგან ქუქუაზე შეეცდაო. გალიარდო ვერ იგებდა რას ეუბნებოდნენ მეგობრები. გაფითრებულ იყო, წარბები შექმუნხოდა, ყურადღება დაეძაბა და თავისთვის ბუტბუტებდა: „ყველამ დასტოვეთ ასპარეზი! დამტოვეთ! მარტო“.

შიში კი ყურში ჩასჩურჩხლებდა: „დღეს უექველად მოკვდები! შენი აღსასრულის დღეა“.

ხუანის უთავბოლო მოძრაობით ხალხი ყველაფერს მიხვდა:

— ხარისა ეშინია! ნამდვილად გალაჩრდა!

გალიარდოს მგზნებარე თაყვანისმცემლებიც სდუმდნენ და ვერაფრით აეხსნათ ეს არნახული სანახაობა.

უშიშარ ადგილას მყოფ ხალხს თავი მამაცად წარმოედგინა. ერთნი მატადორის სიმხდალით ერთობოდნენ. მეორენი იხსენებდნენ ამაოლ დახარჯულ ფულს და აგინებდნენ მატადორს, რომლის თავდაცვაზე ზრუნვა მათ სიამოვნებას უსპობდა. მყვლეფელობა და მეტი არაფერი!

ყველაზე უნამუსო მაყურებელი კი დაუჩრდიებლად ილანძლებოდა და მატადორს ქალაჩუნას ეძახდა.

ხალხი მრავალი წლის განმავლობაში პატივს სცემდა გალიარდოს, უყვარდათ იგი. ახლა მივიწყებული, ბავშვობაში გადახდენილი ცუდი საქციელიც კი გაუხსენეს. ღამ-ღამობით ალამედა დე ერკულეს-

ზე ჩადენილი საქმეებისთვის კიცხავდნენ, დასცინოდნენ, დახეული შარვლიდან გამოჩენილ საცვალზე ერთმანეთს სიცილით მიუთითებდნენ.

— ეგ რა მოგიჩანს! — წაწვრილებული ხმით გასძახოდნენ.

გალიარდო დაცინვას ყურს არ უგდებდა. მეგობრების ლაბადე-ბით დაცული ცდილობდა ხარისთვის მოხერხებულად ჩაეცა დაშნა. პირუტყვი ჩხვლეტას ვერ გრძნობდა, რადგან გალიარდო რქებს ისე დაეშინებინა, რომ ხელის გამართვას ვერ ბედავდა და ხარს მხოლოდ დაშნის წვერით ეხებოდა. ზოგჯერ ცხოველის სხეულზე შეხებისას გალიარდოს დაშნა ხელიდან უვარდებოდა, ხან კი კისერში ნახევრად ჩასობილი მახვილი პირუტყვის ყოველ მოძრაობაზე ირხეოდა. თავ-ჩაღუნული ხარი განუწყვეტელი ბღავილით მოაჯირის ახლოს დარ-ბოდა, თითქოს ეს უაზრო წვალემა მობეზრებოდა. მულეტით შეი-არადებულ გალიარდოს სურდა მალე მოეღო ბოლო პირუტყვისათვის და თანაც ძალზე შიშობდა. მას უკან ლაბადების ქნევით მოსდევდა მთელი ამაღა, რომელნიც ცდილობდნენ წითელი ნაჭრების ქნევით აეძულებინათ ხარი დაწოლილიყო. დრუნჩზე ქაფმორეული, დაშნით დაცხრილული ხარი კი დარბოდა მოაჯირთან, რომლის იქით დასცი-ნოდნენ და მასხრად იგდებდნენ მატადორს.

— ხო, ხო, რა ამტანია! — ყვიროდნენ ერთნი.

მეორენი ხარს ნემსებით დაჩხვლეტით ბალიშს ადარებდნენ.

უსირცხვილონი ამასხრებდნენ გალიარდოს სქესს და მას სახელს უმახინჯებდნენ.

— ხუანიტა! გამაგრდი!

დიდი დრო გავიდა. ზოგიერთმა დაცინვის საგნად თავმჯდომარის ლოყა აირჩია.

„პატიეცემულო თავმჯდომარეე! სადამდე გაგრძელდება ეს აურ-ზაური?“.

თავმჯდომარემ ხალხის დასაშოშმინებლად ხელი ასწია და იქვე მდგომს რაღაც უბრძანა. შლიაპაში ბაბთაგარქობილმა ალგვასილმა მოაჯირს იქით ცხენი გააჰენა, ხარის შორიახლოს შეჩერდა, გალიარ-დოს მიუბრუნდა და საჩვენებელი თითი დაუქნია. ეს იყო პირველი გაფრთხილება. ხალხმა ტაში დაუკრა. თუ მესამე გაფრთხილებამდე ხარი მოკლული არ იქნება, ბაკებში შედენილდნენ და მატადორს სა-მუდამოდ სახელი გაუტყდებოდა.

ამ დაქადნებით შეშინებული გალიარდო თითქოს გამოფხიზლდა და დაშნაშემართული ხარს ეძგერა. ხარს დაშნა კვლავ ირიბად შეე-სო.

სასოწარკვეთილმა გალიარდომ ხელები დაუშვა. არა, უკვდავია

ეს საძაგელი! დაშნა ვერაფერს აკლებს. ეტყობა სიკვდილს არ აპირებს.

ამ უკანასკნელმა უშედეგო დარტყმამ ხალხი მთლად გააცოფა. ყველა ფეხზე წამოხტა. გამაყრუებელი სტვენის გამო ქალები ყურებზე ხელს იფარებდნენ. უმრავლესობა ხელებს იქნევდა და მოაჯირის ისე გადაყრდნობოდა, თითქოს სარბიელზე გადახტომას ლამობსო. ასპარეზზე მყოფ გალიარდოს ფორთოხლებს და პურის ქერქებს ესროდნენ. აღმოსავლეთის მხრიდან გამაყრუებელი, არაადამიანური, მხეცური ღრიალი მოისმოდა. დროდადრო ნაღარის მსგავსი ეკლესიის ზარი წკარუნობდა. ბაქებთან ახლოს მყოფმა ხალხმა სულთათანა წამოიწყო.

ზოგიერთი მაყურებელი ხელმეორედ მიუბრუნდა თავმჯდომარის ლოყას. „როდისღა მისცემთ მეორე გაფრთხილებას?“ გალიარდო ცხვირსახოცით თფლს იწმენდა, გარშემო იყურებოდა, გაკვირვებული იყო ხალხის უსამართლობით, რადგან დამნაშავედ ხარი მიაჩნდა. მან ლოყაში თვალი ზოკპრა სარბიელისკენ ზურგით მჯდომ დონია სოლს. ალბათ შეეცოდა, ან თავისი უწინდელი გატაცებისა რცხვენოდა.

დაშნით შეიარაღებული გალიარდო კვლავ ხარს ეძგერა. განუწყვეტელი ლაბადების ფრიალში ხალხმა ვერ დაინახა რა გააკეთა ხუანმა... ხარი დაეცა და სისხლი გადმოანთხია.

როგორც იქნა, ხალხი დაცხრა, ხელებს აღარ იქნევდა, მაგრამ სტვენა და ყვირილი მაინც არ წყდებოდა. პენტილიერომ საბოლოოდ მოუღო ბოლო ხარს და კასრიდან დაშნები ამოაძრო. ეტლში შებჯულმა ჯორებმა გვამი გაათრიეს. სარბიელზე გატყეპნილი ქვიშა და სისხლის ტბორი დარჩა. ცოცხითა და კალათით შემოვარდნენ მსახურები და იქაურობა სწრაფად მოაწესრიგეს.

გალიარდო შეურაცხყოფისაგან თავის დასაღწევად მოაჯირს იქით მიიშალა. დიდხანს იდგა იქ გატანჯული, აქოშინებული, ფეხის ტკივილისაგან შეწუხებული, მაგრამ მაინც უხაროდა, რომ ცოცხალი გადარჩა. ხიფათი აიციდინა, ხარის რქებზე არ მოკვდა, რაც მისი გონიერების შედეგია. ოჰ, ეს ხალხი, მკვლელების ბრბოა. მათ სწყურიათ ადამიანის სისხლი! თითქოს მხოლოდ მათთვის იყოს სიცოცხლე ძვირფასი და მხოლოდ მათ ჰყავდეთ ოჯახი!

კვადრილის გამგზავრება სავალალო სანახავი გახლდათ. იძულებულნი იყვნენ ცირკის გარშემო შეკრებილი ხალხის, მანქანების, ეტლების და უსასრულოდ მიმავალ ტრამვაებს შორის ევლოთ. გალიარდოს ეტლი ნელ-ნელა მიიწევდა, რათა არავის დასჯახებოდა. ხალ-

ხი გზას უთმობდა ჯორებს, მაგრამ მატადორის დანახვისას ნანობდნენ, თავაზიანობა რად გამოვიჩინეთო.

გალიარდო დაცივნვასა და ლანძღვას ტუჩების მოძრაობით გებულობდა. ეტლის გვერდით ეკიპაჟები მიდიოდა, რომლებშიც თეთრ მანტილიანი ლამაზი ქალები ისხდნენ. ერთნი ტორეროს ზურგს აქცევდნენ. მეორენი დამამცირებელი სიბრაღულით შესცქეროდნენ.

მატადორი მოიკუნტა, მღუმარედ მჯდომ ბანდერილიეროს ზურგს ამოეფარა, რათა არავის დაენახა.

ეტლს გაათვრებული სტვენით მოსდევდნენ ბიჭბუჭები. ტროტუარზე მყოფი ლატაკებიც ბავშვებს აპყლოდნენ, თითქოს ამით სურდათ სილატაკეზე შური ეძიათ. განა ისინი არ იყვნენ, მთელი დღე რომ ცირკის მახლობლად ტრიალებდნენ, იქნებ როგორმე ასპარეზზე მოვხვდეთო? გალიარდოს მარცხი მათაც გაეგოთ. ისინი შეურაცხყოფდნენ გალიარდოს, ბოროტად დასცინოდნენ ადამიანს, რომელიც უამრავ ფულს შოულობდა.

ბრბოს აღშფოთებულმა ყვირილმა აიძულა გალიარდო გამეფებული მყუდროება დაერღვია.

— წყეულები! ესენი რაღას უსტვენენ? კორიდაზე სომ არ ყოფილან? და არც ბილეთი უყიდიათ!

ეტლის ბორბლებიდან ქვა ასხლტა. მაწანწალები უკვე ძალზე ახლოდან ღრიალებდნენ, მაგრამ ამ დროს მოუსწრო ორმა ცხენოსანმა პოლიციელმა, რომლებმაც შფოთისთავები გარეკეს და „მსოფლიოს უპირველესი მატადორის“, ხუან გალიარდოს დაცვის მიზნით ეტლი ალკალას ქუჩამდე მიაცილეს.

X

კვადრილია სარბიელზე გავიდა თუ არა, საჯინიბოს კარზე ვილაკამ ძლიერად დააბრაზუნა.

გულმოსულმა მსახურმა ხმამალა გასძახა, აქ შესასვლელი არაა, სხვა კარები მოძებნეთო. მაგრამ გარედან ჟინიანობდნენ და დარაჯიც იძულებული გახდა ჭიშკარი გაეღო.

შემოვიდნენ ქალი და კაცი. კაცს თეთრი კორდოვული. შლიაპა ეხურა. მანტილიან ქალს შავი ეცვა.

მამაკაცმა მსახურს ხელის ჩამორთმევის დროს მუკში ისეთი რამ ჩაუღო, რომელიც სიბრაზეს უქარწყლებს ადამიანს.

— ხომ მიცანიტ? — შეეკითხა შემოსული. — ნუთუ მართლა ვერ მიცანიტ? — მე გალიარდოს სიძე ვარ. ეს სენიორა მისი მეუღლეა.

კარმენი ჰუჭყიან ეზოს ათვალერებდა. შორიდან, სქელ კედლებს იქით, მუსიკა, ხალხის ქმინვა, აღფრთოვანებული ყიჟინა და გაკვირვებული წამოძახილები ისმოდა.

თავმჯდომარის ლოქის წინ კვადრილია მიდიოდა.

— სად არის იგი? — ნაღვლიანად იკითხა კარმენმა.

— სად იქნება, თუ არ სარბიელზე, ჩემო ძვირფასო. — სიტყვა გააწყვეტინა სიძემ. — ის იქაა, სადაც მოვალეობა უკარნახებს. აქ მოსვლა ნამდვილი სისულელეა! ყველაფერი ჩემი რბილი ხასიათის ბრალია.

კარმენი ისე უმწეოდ იყურებოდა ირგვლივ, თითქოს ნანობს აქ მოსვლასო. რა ვიღონო?

ხელის ჩამორთმევამ და ცნობილი ტორეროს ნათესაობამ მსახურზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. იგი ძალზე თავაზიანად იქცეოდა. სენიორას შეუძლია წარმოდგენის დამთავრებამდე დარაჯის ოთახში მოისვენოს. მაგრამ უბილეთო სტუმრებს თუ ხართან ბრძოლის ყურება აინტერესებთ, შესანიშნავ ადგილს გამოუძებნის.

ამ წინადადებაზე კარმენი შეკრთა. ნახოს ხართან ბრძოლა? აქამდე ძლივს მოვიდა, რასაც, ახლა ნანობს და ხუანის ხართან ჭიდილის ცქერა კი მის ძალ-ღონეს აღემატება! ქმარი სარბიელზე არასდროს უნახავს. უმჯობესია, სანამ შესძლებს, აქ მოიცადოს.

— კეთილი, — დაეთანხმა სიძე. — დავრჩეთ. თუმც ვერ გამიგია, რა მნიშვნელობა აქვს საჯინიბოს წინ დგომას.

გუშინს აქეთ, რაც ენკარნასიონის მეუღლე დათანხმდა რძალს ხლებოდა, იძულებული იყო შიშით გონებადაკარგული ქალის კვნესა და გოდება აეტანა.

კარმენმა შაბათ საღამოს გალიარდოს კაბინეტში სიძე დაიბარა და განუცხადა: მადრიდში მივდივარო. გადაწყვეტილია. აქ დარჩენა არ შეუძლია. მთელი კვირა თვალი არ მოუხუქავს. საშინელი სიზმრები არ ასვენებს, ქალს გული უგრძნობს მოახლოვებულ ხიფათს. აუცილებლად ქმართან უნდა წავიდეს. კარმენს ნათლად ვერ წარმოედგინა რა მიზნით მიდიოდა მადრიდში და რას მიაღწევდა ამ მგზავრობით, მაგრამ მას ძალზე სურდა ენახა ხუანი და სწამდა, რომ მისი იქ ყოფნა საყვარელ ადამიანს გადაარჩენდა.

კარმენის ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაიქცა. ქალმა გაზეთში ამოიკითხა ხუანის მარცხი მადრიდის სარბიელზე. მან კარგად იცოდა მეუღლის პროფესიონალური სიყოფიერე, რომ მარცხიანობას ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეეგუებოდა და ხალხის თაყვანისცემის მოსაპოვებლად ყოველგვარ სისულელეს ჩაიდენდა. სწორედ ეს აზრი გამოსკვიოდა ხუანის უკანასკნელ წერილშიც.

— ამგვარად, — უთხრა ქალმა სიძეს, — წინააღმდეგობა უშედეგოა. დღესვე მივდივარ. თუ გინდა შენც წამოდი. დონ ხოსესთან არაფერი წამოგცდეს, თორემ ხელს შეგვიშლის. მხოლოდ დედამ იცის, რომ მივდივარ.

მეუნაგირე დათანხმდა. ანკი რატომ არ უნდა დათანხმებულიყო უფასოდ მადრიდში მგზავრობაზე. გასცლოდა საზოგადოებას, სადაც სასიხარულოს ვერაფერს ხედავდა... გზაში კარმენი სიძეს თავის აზრებს უზიარებდა: გადაჭრით მოველაპარაკები ქმარს, რომ ასპარეზი მიატოვოს. ნუთუ ფული არ ეყოფათ? ახლავე უნდა მიატოვოს ასპარეზი, თორემ დაიღუპება. ეს კორიდა უკანასკნელი უნდა იყოს. უმჯობესია ამ კორიდაზეც უარი განაცხადოს. კარმენი დროზე ჩაუსწრებს მადრიდში და აიძულებს ხუანს კორიდაზე არ გამოვიდეს. გული ეუბნება, რომ მისი იქ ყოფნა ხუანს განსაცდელისგან დაიხსნის. სიძე აღშფოთდა.

— რა ბარბაროსობაა! მხოლოდ ქალებს შეუძლიათ ამგვარი რამ ჩაიდინონ! გაუელვებთ თავში სისულელე და ბიჭი ხარ და გადაათქმევინე! შენთვის არ არსებობს სარბიელის წესი და კანონები! შენ გგონია, საკმარისია მშიშარა ცოლმა ქმარს ხელი ჩასჭიდოს, რათა ხართან ბრძოლა გადასდონ და ხალხი ხანამშრალი დარჩეს? კეთილი. უთხარი ყველაფერი, რაც გსურს, მხოლოდ ბრძოლის დამთავრების შემდეგ, თორემ მთავრობას ხუმრობა არ უყვარს და ყველას დაგვაპატიმრებენ.

მეუნაგირე ქალს უყვებოდა იმ საზარელ შედეგებზე, რომელსაც ხუანის სარბიელზე გამოუსვლელი გამოიწვევდა. სამივეს შეიპყრობენ. სიძეს თავი უკვე ციხეში წარმოედგინა, როგორც დანაშაულის თანამონაწილეს.

მადრიდში ჩასვლისას სიძემ ბევრი ოფლი დაღვარა, რომ კარმენი იმ სასტუმროში არ მისულიყო, სადაც ხუანი იმყოფებოდა. რა გამოცემაა მათ?

— მხოლოდ დააფეთებენ და მეტი არაფერი. ცირკში დანადგოვანი ნებული, აღელვებული წაეა და რამე თუ დაემართა, მიზეზი მხოლოდ შენ იქნები...

ამ მოსაზრებამ გამოაფხიზლა კარმენი, სიძის ნებას დაჰყვა და მის მიერ შერჩეულ სასტუმროსკენ გაემართა. კარმენი დილაშუალოდ დივანზე იწვა და ისე ქვითინებდა, თითქოს გრძნობდა ხიფათს.

დედაქალაქში ჩამოსვლით გახარებული სიძე კარმენის სასოწარკვეთილებაზე გულისწყრომას გამოთქვამდა.

— რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს! მხოლოდ ქალები ხართ ასეთი ბრიყვები! ქვრივივით იქცევი, მაშინ, როცა შენი ქმარი როყეღე

ფლორანზე უკეთ გაფურჩქნულა და მშვიდად ემზადება საბრძოლველად. ო, რა სულელები ხართ ქალები!

მიუსხედავად იმისა, რომ სიძე ადგილობრივ მზარეულს ძალიან აქებდა, ქალი საუზმეს მაინც არ მიჰკარებია. შუადღეს კარმენი კარგ გუნებაზე დადგა.

სასტუმრო პუერტა დელ სოლის მახლობლად მდებარეობდა და კარმენამდე კორიდაზე მიმავალი, მხიარული ხალხის ხმაური აღუყვდა. არა, არ შეუძლია ოთახში მშვიდად ჯდომა, როცა მეუღლის სიცოცხლე საფრთხეშია. უნდა ნახოს ხუანი. თუმც არაა ისეთი გაბედული, რომ კორიდას დაესწროს, მაგრამ იქვე მახლობლად სურს იტრიალოს. უნდა წავიდეს ცირკში. ნეტა სად მდებარეობს? კარმენი იქ არასდროს ყოფილა. შესვლა თუ შეუძლებელია, კორიდის დამთავრებამდე გარეთ მოიცილის. ყველაზე მთავარი ისაა, რომ ხუანის მახლობლად იმყოფებოდეს, რათა მის ბედისწერაზე გავლენა მოახდინოს.

მეუწნავირე უარზე იყო. ეშმაკმა დალახვროს! კარმენს კორიდის სანახავედ ბილეთის ყიდვა სურს. ეს ამბავი მთლიანად ფუშავდა სიძის გეგმებს.

— რა უნდა გააკეთო იქ? რა სარგებლობას მოუტანს შენი კორიდაზე ყოფნა? ერთიკ ვნახოთ, შემთხვევით დაგინახა! — ჯიუტობდა სიძე.

მაგრამ სიძის ყოველ მოსაზრებაზე კარმენი ჟინიანად იმეორებდა.

— მე წავალ. შენ, თუ გინდა, დარჩი.

ბოლოს სიძე დაემორჩილა, ეტლი დაიჭირა და ცირკის საჯინიბოს ჰინჯარს მიადგნენ. ერთხელ ზაფხულში სიძემ გალიარდო მადრიდში გააცილა და ცირკის ყოველი კუნძული კარგად დაიმახსოვრა.

სიძე და დარაჯი მდუმარედ იდგნენ ლოყააწითლებული, გაწამებული ქალის წინ, რომელიც გაუბედავად აქეთ-იქით იყურებოდა და არ იცოდნენ რა ემოქმედათ. ორივე მამაკაცს თავშეუკავებლად იზიდავდა სარბიელიდან მოღწეული მუსიკის ხმა და ხალხის გუგუნის დარაჯს შესანიშნავი აზრი დაებადა.

— სენიორა სამლოცველოში შესვლას ხომ არ ინებებთ?

კვადრილის გამოსვლა დამთავრდა. სარბიელზე გამავალი ჰინჯარიდან ცხენები ფრუტუნით ბრუნდებოდნენ. პიკადორებიც ასპარეზს ტოვებდნენ, რათა მწყობრიდან გამოსული ამხანაგების შესაცვლელად მზად ყოფილიყვნენ.

კედელთან მიბმული ექვსი ჯაგლაგი დანაკარგის შესაცვლელად მოემზადებინათ. კედლებს იქით კი მხედრები ცხენებს დააჯირითებ-

დნენ. უფროსი მეჯინიბე ფიცს რაშს ჭენებით ქანცავდა, რათა შემდეგ პიკადორებისთვის გადაეცა.

ბუზებისგან დაკბენილი ჯაგლაგები ტლინკებს ისროდნენ და თითქოს მოახლოებულ ხიფათს გრძნობენო, აწყვეტას ლამობდნენ. მხედრების დეზებისგან გაღიზიანებული დანარჩენი ცხენებიც აქეთიქით დაჰქროდნენ.

სიძესთან ერთად ჭიშკრის თაღს ამოფარებული კარმენი სამლოცველოში წასვლაზე დათანხმდა. იმ მშვიდ და სანდო თავშესაფარში შეუძლია ქმარზე ილოცოს მაინც.

სამლოცველოს დახუთული ჰაერი უნებლიეთ გაგახსენებდათ იმ თავყანისმცემლებს, რომლებსაც ტორეროების ლოცვაზე დასწრება მოვალეობად მიაჩნდათ. კარმენი საკურთხეველს მიაჩერდა. წმინდა ქალწულს ხელში მტრედი ეჭირა და მის წინ მხოლოდ ოთხი სანითელი ბეუტავდა.

კარმენმა ხელჩანთა გახსნა და მსახურს დურო გაუწოდა. შეგიძლიათ სანთელი მოიტანოთ? მსახურმა ყური მოიფხანა. სანთლები? სანთლები ცირკში არ არის. უეცრად გაახსენდა: ერთ-ერთი მატადორის დებს ხშირად დაჰქონდათ სანთლები და სარბიელზე ძმის გამოსვლამდე ანთებდნენ. უკანაკელად სანთლები ცოტა ხან ენთო და ალბათ სამლოცველოს რომელიმე ზნელ კუნჭულში ყრია. დიდი ხნის ძებნის შემდეგ სანთლები მონახა. მხოლოდ შანდლები არ ყოფნიდათ. მაგრამ გონიერმა მსახურმა ცარიელი ბოთლები მოძებნა, შიგ ანთებული სანთლები ჩადო და მბეუტავი სანთლების გვერდით ჩაამწყობივა.

კარმენმა ლოცვად მუხლი მოიყარა. მამაკაცებმა ისარგებლეს ქალის დუმილით და ამფიციატრისკენ მოჰკურცხლეს, რათა კორიდის დაწყებისთვის მიესწროთ.

მარტო დარჩენილი ახალგაზრდა ქალი სანთლების ათინათით წითლად განათებულ უცნობი ქანდაკების ბუნდოვან სახეს მიაშტერდა. ღმერთმა ქნას, მადრიდის წმიდა ქალწული სევილიის წმიდანისვით კეთილი და გულისხმიერი აღმოჩნდეს, რომლის წინაშე ხშირად კარმენს ცხარე ლოცვა აღუვლენია. ამ ქანდაკებას ძალა რომ არ ჰქონოდა, ტორეროების მფარველიც არ იქნებოდა. არ მოისმენდა მათ ლოცვას, როცა მოახლოებული ხიფათი ამ პირქუშ ადამიანებს ჭეშმარიტად ჩააგონებს ღვთის შიშს. აქ მის ქმარსაც ხშირად ულოცია. 'ამის გახსენებაზე ქალი ისე გულწრფელად მიენდო წმიდა ქანდაკებას, თითქოს ბავშვობიდან მასზე ლოცულობდაო.

მლოცველის ტუჩები ამოძრავდა. გაზეპირებულ სიტყვებს იმეო-

რებდა, ხოლო მისი აზრები სამლოცველოდან შორს, ახმაურებულ ბრბოს მიეპყრო.

ეს იყო გაშმაგებული ღრიანცელი, რომელიც ტალღათა დღლვას და მიწის ძვრას მოგაგონებდათ. კარმენი თითქოს ესწრებოდა უხალავ ხართან ბრძოლას. ცირკიდან მოღწეული ხმაური ხან მატულობდა, ხან ყუჩღებოდა. ამით ქალი ნათლად გრძნობდა თუ რა მდგომარეობა იყო სარბიელზე. ხშირად მოისმოდა აღმშფოთებელი სტვენა, გაუჩვენებელი წამოძახილები, რომელსაც უცებ შემზარავი კვირილი ფარავდა. ქალს ამ ღრიანცელისგან აძაგძაგებდა და თითქოს ნათლად ხედავდა გაფითრებულ სახეებს და დაქუეტილ თვალებს, რომელნიც ხარბად გასკქეროდნენ ხარს, რომელიც ადამიანის რქებზე წაშოგებას ლამობდა... მაგრამ კვირილი უეცრად წყდებოდა და კვლავ სიმშვიდე ისადგურებდა. მაშასადამე, ხიფათი აცდენილ იქნა.

ამ სამარისებურ სიჩუმეში მხოლოდ ბუზების გულისგამწყვალვებელი ზუზუნი ისმოდა. ერთ ადგილზე გაქვევებულ თოთხმეტიათას კაცს სუნთქვა შეეკრა და თითქოს უზარმაზარ ცირკში ღარჩენილიყო მხოლოდ ერთი ცოცხალი არსება — კარმენი.

მერე სიჩუმეს არღვევდა ისეთი ხანგრძლივი გრუხუნნი, თითქოს უხილავმა ძალამ აგურის კედლები ჩამოანგრიაო: ეს იყო ტაში, რომელიც ამფითეატრს აზანზარებდა. ამასთან სამლოცველოს მახლობლად მდებარე ეზოდან ჯაგლაგების ზურგზე ტულაშუნი, გინება, ჩლიქების თქარათქური და კვირილი ისმოდა. „ვისი რიგია?“ ასპარეზი ახალ პიკადორს იწვევდა.

სადღაც, სულ ახლოს, კარების გამაყრუებელი ბრახუნნი გაისმა, რასაც ტვირთის სიმძიმის ღონემიხდილი ადამიანების ქოშინი და ლაპარაკი მოჰყვა.

— არაფერია... მსუბუქი დაზიანებაა... სისხლი არ გდის. კორიდა დამთავრებულიც არ იქნება, რომ შუბით ხელში კვლავ ცხენზე შეჯდები.

ტკივილებისაგან მისუსტებული ხმა ყრუ კენესით გაიძახოდა:

— წმიდაო ქალწულო სოლედად! მგონი რაღაც ჩამემტვრა, კარგად შეხედეთ, ექიმო... ო, უბედური ჩემი ბავშვები...

ნაცნობმა გამოთქმამ მლოცველს მშობლიური მხარე გაახსენა. იგი შიშისგან შეკრთა. მიზნედილი თვალები ქანდაკებას მიაშტერა. აღელვებისგან ცხვირი უფრო წაუწვეტიანდა, ლოყები გაუფითრდა, თავბრუ დაესხა და ცუდად შეიქნა. არა, ველარ გაუძლებს, ფილქანზე დაეცემა და შიშით გონს დაკარგავს. კარმენი შეეცადა ყველაფერი დაევიწყებინა, ყური არაფრისთვის ეგდო და ლოცვის ბუ-

რანში შთანთქმულიყო. მაგრამ ხმაური, თითქოს ჯიბრზეო, უხურო მკაფიოდ ისმოდა. კარმენის ყურამდე აღწევდა ავის მომასწავებელი წყლის შხაპუნი და ხალხის, ეტყობა ექიმებისა და ექთანების ხმა, რომელნიც პიკადორის გამხნივებას ცდილობდნენ.

დამახინჯებული მამაკაცი ვაჟკაცური სიამაყის გამო ამოდ ცდილობდა კვნესის დაოკებას.

— წმიდაო ქალწულო სოლედად! ჩემი ბავშვები! როგორ იცხოვრებენ საცოდავი ბელურები, თუ მამამ ველარ იმუშავა?

კარმენი წამოდგა. აღარ შეუძლია, ველარ გაუძღებს, უეპველად მოკვდება, ამ ტანჯული ადამიანის შემაზრზენ კვნესას თუ უსმინა. მას უნდა ჰაერი, მზე. იმ უცნობი მამაკაცის ქვითინისგან ქალს მთელი ტანი ასტკივდა.

ქალი გარეთ გამოვიდა, ირგვლივ სისხლის მორევი იდგა. ფილებს სისხლის ლაქები ეცხო. სათლებიდან სისლხნარევი წყალი იღვრებოდა.

პიკადორები სარბიელიდან ბრუნდებოდნენ. ბანდერილიეროს ჯერი დადგა. გაისმა სიგნალი და მათ შესცვალეს დასახიჩრებულ, გასისხლიანებულ ჯაგლაგებზე მჯდარი მხედრები, რომლებიც ის იყო ეზოში გამოჩნდნენ; ცხენებს გაფატრული მუცლიდან საზიზღარ მტევნად გადმოჰკიდებოდა შიგნეული.

მხედრებმა სარბიელზე მომხდარ ამბებზე დაიწყეს ცხარე კამათი. კარმენმა იცნო ტანზორბა პოტახე, რომელიც ცხენიდან უხეშად ჩამოვარდნილიყო და ახლა აგინებდა „ნასწავლ მაიმუნებს“, რომელნიც დროზე არ მიეშველნენ. პოტახეს შარვალქვეშ დამალული ფეხები არ ემორჩილებოდა, ჩამოვარდნისაგან დაზიანებული ტანი ტეხდა. ტკივილისგან დაკლაკნილი, ზურგის მოფხანას ცდილობდა, ძალად იცინოდა და ცხენივით ყვითელ კბილებს აჩენდა.

— ნახეთ რა კარგია ხუანი? — ეუბნებოდა პოტახე იქ მყოფთ, — დღეს ნამდვილად ბედი სწყალობს.

მერე ეზოში ქალი შეამჩნია, იცნო და არც გაკვირვებია.

— თქვენ აქ ხართ, სენიორა კარმენ! ო, ეს შესანიშნავია...

პოტახე გასაოცარი სიღინჯით საუბრობდა. ლოთობას ისე გამოგყეყეჩებინა, რომ მისი გულგრილობის შეცვლა ქვეყნად არაფერს შეეძლო.

— ნახეთ ხუანი? — განაგრძობდა იგი: — იცით, თქვენი მეუღლე ხარის დრუნჩის ქვეშ დაწვა. ვერავინ შეედრება მაგ ყმაწვილს! შეიხედეთ ქუჭრუტანიდან. დღეს მას ბედი წყალობს.

პოტახეს მოსასვენებელ დთახიდან უხმეს. საავადმყოფოში წაყ-

ვანამდე დასახიჩრებულ პიკადორს თანამემამულესთან საუბარი სურდა.

— ნახვამდის, სენიორა კარმენ! წავალ, გავიგებ, რა სურს იმ უბედურს. ამბობენ, ძირს დაცემისას თავის ქალა გაეზზარაო. საცოდავი, აწ სარბიელს ველარ იხილავს.

კარმენმა თაღს შეათარა თავი. მას სურდა თვალი დაეხუჭა და ამ საშინელი სანახაობისათვის არ შეეხებოდა, მაგრამ ვერაფრით ვერ მოახერხა ნაკადივით მოჩქრიალე შავი სისხლისთვის თავის არიდება. „ნასწავლ მაიმუნებს“ აღვირით მოჰყავდათ ცხენები, რომელნიც შიგნეულს მოათრევდნენ, უკანა ტანიდან კი განავალს შადრევანივით აფრქვევდნენ.

უფროსმა მეჯინიბემ მომაკვდავი ცხენების დანახვაზე ხელი ჩაიქნია.

— მოემზადეთ, ბიჭებო! — მიმართა თანაშემწეებს. — მიდით, მიდით, იმოქმედეთ!

ახალგაზრდა მეჯინიბე ტკივილისგან გამწარებულ ცხენს ფრთხილად მიუახლოვდა, უნაგირი მოხსნა, ტყავის მარყუჟი წამოაცვა, პირუტყვის წინა და უკანა ფეხი თოკით გადააბა და ზურგზე წამოაგორა.

— ყოჩაღ! გაბედულად იმოქმედე! — გაიძახოდა ხელების ქნევით უფროსი მეჯინიბე და ფეხებს აბაკუნებდა.

სახელოდაკაბიწებულნი ახალგაზრდები დაიხარნენ გაფატრულ მუცელთან, საიდანაც სისხლი და შარდი მოსჩქეტდა. საჭირო იყო გარეთ გამოსული შიგნეული შიგ შეეტენათ.

ერთმა აღვირს მოქაჩა და ცხენს თავი რომ არ გაენძრია, ფეხი დააჭირა. პირუტყვი აუტანელი ტკივილისაგან მოღრეცილ ხახას აღებდა და ყვითელ კბილებს გამაყრუებლად აკრაქუნებდა. მკურნალები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა შიგნეული როგორმე სიცარიელეში შეეტენათ. მაგრამ საცოდავი მსხვერპლი თრთოდა უკან ყრიდა ნაწლავებსა და სისხლიან ნაფლეთებს. ოპერაციის დამთავრებას ხელს უშლიდა მტვერში ამოგანგლული შარდის ბუშტი.

— ბუშტი, ბიჭებო! — დაიძახა უფროსმა მეჯინიბემ. — მოიტათ ბუშტი!

შარდის ბუშტი მთელი თავისი მოწყობილობით სიცარიელეში შთაინთქა. მეჯინიბენი სწრაფად და მარდად შეუდგნენ ტყავის გაკრევას.

ცხენი ბარბაროსული სიჩქარით „წესრიგში“ მოჰყავდათ. თავზე კოკით წყალს ასხამდნენ, მათრახის ტყლაშუნიტ ფეხზე აყენებდნენ. ზოგიერთი ჯაგლაგი ჭიხვინით რამდენიმე ნაბიჯს გადადგამდა,

მერე ძირს ეცემოდა და ხელდახელ შეეკრილი ჰკრილობიდან სისხლი თქრიალით გადმოსდიოდა. დანარჩენნი ფეხზე რალაც ზებუნებრივი ძალით იდგნენ. ოპერაციის შემდეგ პირუტყვი „გასაპრიალებლად“ მიჰყავდათ. მუცელზე და ფეხებზე წყალს უხვად ასხამდნენ. სისხლნარევი წყალი ძირს იღვრებოდა.

ცხენებს ძველი, გაცვეთილი ფეხსაცმელივით აკერებდნენ. უღმობლად შველოდნენ მათს აგონიას, ერთგვარად სიკვდილს უხანგრძლივებდნენ. აპარეზზე „ოპერაციის“ შესამსუბუქებლად მოჭრილი ნაწლავების ნაფლეთები ეყარა, სანამ ხარი არ მოკვდებოდა და სარზელის გასასუფთავებლად ნიჩბიანი მსახურები არ გამოჩნდებოდნენ. ხშირად, სადღაც გადაკარგული ნაწლავის ნაცვლად, ეს ბარბაროსი ექიმები ცხენს მუცელში ბლუჯა თივას ტენიდნენ.

ერთი სიტყვით, კეთდებოდა ყველაფერი, რომ პირუტყვისთვის სიცოცხლე რამდენიმე წუთით გაეხანგრძლივებინათ, რათა პიკალორები სარბიელზე გასულიყვნენ, სადაც ამ ჯაგლაგებს ხარი მოუღებდა ბოლოს. მომაკვდავი ცხენები ითმენდნენ სიცოცხლისკენ შკაცრ შემობრუნებას. თუ შეამჩნევდნენ, რომ ერთი მათგანი კოჭლობდა, შეუბრალებელი დარტყმით მოჰყავდათ წესრიგში, რის გამოც ცხოველი მთელი ტანით, ჩლიქებიდან — ყურებამდე, ცახცახებდა. ხანდახან აუტანელი ტკივილებით გაცოფებული დინჯი ცხენი იკბინებოდა. ახლოს მისულ „ნასწავლ მაიმუნებს“ ხორცსა და თმას აგლეჯდა. ხან კი, როცა ხარის რქებს იგრძნობდა, მწვალეზღს გაათრებულ კრავივით კისერში კბილებს ჩაასობდა.

უზოში სისხლის და ნეხვის სუნი იდგა: ისმოდა დასახიჩრებული ცხენების ჭიხინი. კუდისქვეშიდან ხმაურით იცლებოდა გაზები. ქვის ფილებზე, ჩამოწვეთილი სისხლი მუქდებოდა და ხმებოდა.

ღრიანცელი აქამდეც აღწევდა. ხალხის შემამუფოთებელ ყვირილზე მიხვდებოდით, რომ ბანდერილიერო ხარისაგან თავის დასაღწევად გარბოდა. შემდეგ კვლავ სიჩუმე ისადგურებდა. ბანდერილიერო ხარისკენ შემოტრიალდებოდა და ბანდერილიის მარჯვე ჩასობას მაყურებელი ტაშით ეგებებოდა. საყვირები იუწყებოდა, ხარის მოკვლის დრო დადგაო და ტაში ხელახლა გრგვინავდა.

კარმენს ცირკიდან წასვლა სურდა. სასოების მომნიჭებლო წმიდაო ქალწულო! რა უნდა აკეთოს აქ? ბრძოლის განრიგი მისთვის უცნობია. ვინ იცის, იქნებ საყვირებმა უკვე აუწყეს ხუანის ხართან შეტაკება? ის კი ღვას აქ, ქმრიდან რამდენიმე ნაბიჯის

დაშორებით და ვერაფერს ხედავს. განა უმჯობესი არაა, გაექცეს ამ აუტანელ წამებებს!

ბოლოს და ბოლოს, მას არ შეუძლია დასისხლიანებული ეზოსი და საცოდავი ცხოველების ტანჯვის ყურება. ქალი მთელი გულით ეწინააღმდეგებოდა ამოა წამებებს, სახეს ცხვირსახოცში მალავდა და სასაქლავოს მყრალი სუნი თავბრუს ჰხვევდა.

კარმენი არასდროს ყოფილა ცირკში. მას ხშირად უყვებოდნენ ხართან ბრძოლაზე და ქალს კორიდა შემდეგნაირად წარმოედგინა: მზის სხივებით განათებული სარბიელი, ოქრომკედისა და აბრეშუმის ელვარება, რომლის საზეიმო ფუფუნება თურმე ფარავდა ამ სავალალო სინამდვილეს. გალიარდოს ოჯახი უმწეო ცხოველების ტანჯვით შეძენილი ფულით ცხოვრობს. აი, თურმე რა გზით ყოფილა შეძენილი მათი ქონება!

სარბიელზე კვლავ ტაში დასცხეს. ეზოში ბრძანებები გაისმა. განგმირულია პირველი ხარი. ცირკის კიშკრიდან თავლისკენ მიმავალი ვიწრო გასასვლელის სიდრმეში ღობე გახსნეს და ეზოში მუსიკის ხმასთან ერთად ხალხის გუგუნიც შემოიქრა.

სამი ჯორი გაექანა სარბიელისკენ მკვდარი ცხენების ასაკრეფად. მეორე ურიკა ძლივძლივობით მოათრევდა მკვდარ ხარს.

კარმენმა შეამჩნია მეუნაგირე, რომელიც თაღებისაკენ მოემართებოდა და თან ქაქანებდა:

— ხუანი დღეს შეუდარებელია. ასეთი არასდროს ყოფილა. ნუ გეშინია, კარმენ. ყმაწვილი ხარებს ცოცხლად ყლაპავს, — წარმოთქვა სიძემ და შიშით გადახედა ქალს, რათა ამ უკანასკნელს არ მოეშხამა ეს იშვიათი, არაჩვეულებრივი სიამოვნება... — რა გადაწყვიტე: ბოლოს და ბოლოს? გეყოფა გამბედაობა, რომ კორიდას დაესწრო?

— წამიყვანე აქედან! — შეევედრა კარმენი, — საჩქაროდ წამიყვანე. ცუდად ვარ... ეკლესიამდე მიმყევი.

სიძემ ხელი ჩაიქნია. როყეს სახელს ვფიცავ, ასეთ შესანიშნავ კორიდიდან წასვლა ყოვლად დაუშვებელია. გასასვლელისკენ სწრაფად მიმავალი სიძე სულ იმის ფიქრში იყო, სად შეიძლებოდა კარმენის მიტოვება, რომ კვლავ ცირკს დაბრუნებოდა.

თაყვანისმცემლებს მოაჯირს დაყრდნობილი გალიარდოს მიმართ ტაში ჯერ კიდევ არ შეეწყვიტათ, რომ მეორე ხარი გამოიყვანეს.

რა მამაცი და გაბედულია ეს ყმაწვილი, „როცა მონინდომებს“. პირველ შეტაკებისთანავე ხალხმა დაივიწყა ტორეროს უწინდელი მარცხი და ტაშს უკრავდა, როცა პიკადორი მკვდარავით მიწას დაე-

ნაცხი, გალიარდო მისაშველებლად მიიჭრა, მულეტის ოსტატური მოძრაობით პირუტყვი შუა სარბიელისკენ მიიტყუა და ისე მოჰქანცა, რომ ერთ ადგილზე გაქვავებული ხარი მისატყუებელი ნაჭრის გამოკიდებას აღარც აპირებდა. ტორერომ ისარგებლა ხარის დაბნეულობით და დაუცველი მკერდით გამომწვევად დადგა ხარის წინ. ხუანმა იგრძნო არაჩვეულებრივი ვაჟაკური მოზღვავება. ტორერომ გადაწყვიტა კვლავ დაეპყრო ხალხი თავხედური სიმამაცით, მრისხანე რქების წინ მუხლი მოიყარა და ყოველ შემთხვევაში, გვერდზე გადასახტომად გაემზადა.

მაგრამ ხარი გაუნძრევლად იდგა. ხუანმა ხელი პირუტყვის ქაფიან ღრუნში მოჰკიდა. ცხოველი არ შერხეულა. მაშინ მან არაჩვეულებრივი რამ გადაწყვიტა: რამდენიმე წუთს ხარის წინ ქვიშაზე გაიშხლართა და ლაბადა ბალიშივით თავქვეშ ამოიღო. ხარი თითქოს გრძნობდა უცნაურ საფრთხეს და რქების ქვეშ გაუნძრევლად მწოლ საგანს უნდობლად დასცქეროდა.

როცა ხარი კვლავ აღიგზნო მტრის გასაგმირად, თავი მარქენად დახარა, მაგრამ ტორერო წინა ფეხებთან შეუგორდა და წოლას განაგრძობდა, რადგან ხარის რქები ვერ წვდებოდა. გაცოფებული ხარი კი ზედ გადაახტა და ამოოდ ცდილობდა იმ ადამიანის პოვნას, რომელსაც დიდხანს უკან დასდევდა.

როცა გალიარდო ფეხზე წამოხტა და ტანსაცმლიდან მტვერი ჩამოიბერტყა, ხალხი უწინდელივით შეხვდა. ტაშით ხარკს უხდიდნენ არა მარტო გალიარდოს სითამამეს, არამედ საკუთარ ძალასაც, რადგან მიხვდნენ, რომ თავხედი ტორერო მათთან შერიგების ხერხებს ეძებდა და წინანდელი კეთილგანწყობილების აღდგენასურდა.

დღეს გალიარდო სარბიელზე იმ მიზნით გამოვიდა, რომ რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, წარმატებისთვის მიეღწია.

— ხანდახან დაუღვევარია, — საუბრობდნენ ერთმანეთში მაცურებლები. — ხშირად სრულიად არ ვარგა! მაგრამ მთავარი ისაა, რომ სინდისიერია და სახელის შებღალვა არ სურს.

გალიარდოს მამაცობით და ზუსტი დარტყმებით ხალხის სიხარული და აღფრთოვანება, სარბიელზე მეორე ხარის გამოჩენისთანავე მწუხარებით შეიცვალა. უზარმაზარი, ლამაზი პირუტყვი შუა ასპარეზზე ტრიალებდა და ცერად გასცქეროდა პირველ რიგში მჯდომ მაცურებელს, რომელიც ყვირილითა და სტვენით მის გაღიზიანებას ლამობდა. მხეცს თითქოს საკუთარი ჩრდილისაც ეშინოდა და ბუნდოვნად გრძნობდა მოსალოდნელ მახეს. კაპედორები ლაბადების ქნევით უკან დასდევდნენ. ხარი ხან წითელ ნაჭერს ეძგერე-

ბოდა, ხან ფრუტუნით ზურგს შეაქცევდა და მღევნელთ მარდად უსხლტებოდა, რითაც მაყურებლის აღშფოთებას იწვევდა.

— ეგ ხარი კი არაა, ნამდვილი მაიმუნია!

ბოლოს კაპედორებმა პირუტყვი მოაჯირთან მიდნეს. იქ გარო-
ჩოთი ხელში უნაგირზე გარინდებით მჯდარი პიკადორები იცდიდ-
ნენ. ხარი გაშმაგებით ფშვინავდა, თავი დახარა და ერთ-ერთ გაშე-
შებულ მხედარზე მისაყარდნად გაემზადა, მაგრამ გაროჩოს ალესი-
ლი წვერი შეესო თუ არა, განზე გახტა და აფრიალებული ლაბადე-
ბისკენ მოკურცხლა, სადაც მეორე პიკადორს შეეფეთა. ხარი კვლავ
აფშვინდა, მხედარს გვერდი უქცია და ვიდრე გაქცევას მოასწრებ-
და, მესამე პიკადორმა კისერში გაროჩო უჩხვლიტა. პირუტყვი ში-
შისგან მთლად შეიშალა და სარბიელზე ხტუნაობას მოჰყვა. მაყუ-
რებელი ხელების გააფთრებული ქნევით ფეხზე წამოხტა. ქვეიანი
ხარია! ოი, სირცხვილო! ყველანი თავმჯდომარის ლოჯას მიაჩერდ-
ნენ. „ბატონო თავმჯდომარე, ამგვარი რამ ყოვლად დაუშვებე-
ლია!“!

აურზაურის ასატეხად პირველი რიგიდან მკაფიოდ და ერთხმად
გაისმა:

— ცეცხლი!.. ცე... ცხლი!

თავმჯდომარე ყოყმანობდა. ხარი განაგრძობდა წრეში სარბილს.
უკან ლაბადიანი მატადორები მოსდევდნენ. როცა რომელიმე მათ-
განი დაჭერის მიზნით პირუტყვს წინ გაუსწრებდა, ხარი ლაბადას
ყნოსავდა, ფრუტუნებდა და სწრაფად უკანვე გამორბოდა.

ყვირილი თანდათან მძაფრდებოდა. „ბატონო თავმჯდომარე,
ნუთუ თქვენი ბრწყინვალეობა დაბრმავდა?“ სარბიელზე ბოთლები,
ფორთოხლები და ქვები ცვიოდა. ყველანი გაცოფებულეყვნენ მში-
შარა ხარზე. ერთი ბოთლი პირუტყვს რქაში მოხვდა, რის გამო ხალ-
ხი სიხარულით აღრიალდა.

მაყურებელი წინ მიიწვედა, მოაჯირს ეყრდნობოდა, თითქოს
სარბიელზე გადახტომა და შიშველი ხელებით საზიზღარი ცხოველის
ნაფლეთებად დაგლეჯა სწადიათო. რა უსინდისობაა! მადრიდის
სარბიელზე მხოლოდ დასაკლავად გამოსადეგი ხარი გამოუშვიათ!
„ცეცხლი! ცე... ცხლი!“.

ბოლოს თავმჯდომარემ წითელი ცხვირსახოცი აიქნია. ხალხ-
ტაშით შეეგება.

ცეცხლმოკიდებული ბანდერილიები არაჩვეულებრივ, გამამხნე-
ვებელ სანახაობას წარმოადგენდა. ზოგიერთნი თუმც წინააღმდეგი
იყვნენ, მაგრამ საქმის ამგვარად დაბოლოება გულში მაინც უხარო-
დათ. ახლა მაყურებელი იხილავდა ცოცხლად დანჩაყულ ხარს, რო-

მელიც ცეცხლმოკიდებულ ხელშუბებისგან თავის დასაღწევად სარბიელზე უფრო მძვინვარე გააფთრებით ირბენდა.

სარბიელზე ნასიონალი გამოვიდა. ხელში შავ ქაღალდში შეფუთული ორი ბანდერილია ეჭირა. იგი თამამად მიუახლოვდა ხარს. მშიშარა პირუტყვი ხელოვნური მანევრირების ღირსად არ ჩათვალა და ღვარძლიანი ტაშის გრიალში ხელშუბი კისერში აძგერა.

გაისმა მშრალი ტკაცანი და ხარის კისერთან თეთრი ბოლის ორი ნაკადი ავარდა. კაშკაშა მზის სინათლეზე თუმც ცეცხლი არ ჩანდა, მაგრამ მაყურებლის თვალწინ ხორცი იწვოდა და ცხოველის კისერთან თანდათან შავი ნახვრეტი ჩნდებოდა.

მოულოდნელი ტკივილისგან დამფრთხალმა ხარმა უფრო სწრაფად იწყო სირბილი. ამ დროს კისერთან ტყვიასავით რაღაც გასკდა და ქაღალდის ნაფლეთები გადმოიფანტა. ხარი შიშისგან უფრო მარდი გახდა. ოთხივე ტლინკებს ისროდა. კისრიდან ცეცხლმოკიდებული ბანდერილიების კბილებით ამოძრობას ლამობდა. მრისხანე ხარი გაწვრთნილი პირუტყვივით ხტოდა.

— ოი, ძალზე გელიტინება?! — ღვარძლიანად ხარხარებდა მაყურებელი.

ბანდერილიები დაიწვა. ჭახანი და აფეთქებანიც შეწყდა. დანახშირებული კისერი თანდათან იხრაკებოდა და ქონის შიშინი მოისმობდა. ხარმა იგრძნო ცეცხლის ჩაქრობა, ერთ ადგილზე გაშეშდა, თქოები მძიმედ ამოძრავა, თავი ჩაქინდრა და მშრალი ენა გადმოაგდო.

ახლა მეორე ბანდერილიერო წამოეპარა და ორი ახალი ხელშუბი ჩაასო. დამწვარი კანიდან კვლავ ავარდა ბოლის ორი ნაკადი, რასაც კვლავ ჭახანი მოჰყვა. ხარი სხეულის კლაკენით უწინდებურად სირბილს მოჰყვა, მაგრამ ამყამად უფრო დინჯად მოძრაობდა, თითქოს წვალეზას მიეჩვიო.

შემდეგ მესამე ბანდერილიაც ჩაასვეს. ხარს კისერი გაუსივდა. ირგვლივ გულისამრევი სუნი დადგა. ხორცი და ტყავი იწვოდა.

შურისძიებით აღზნებული ხალხი ტაშს უკრავდა, რადგან მორჩილი ცხოველი რელიგიურ მოწინააღმდეგედ წარმოედგინა, ხოლო ერეტიკოსის დაწვა წმიდა საქმედ მიაჩნდათ. ხარს ფეხები ეკეცებოდა, ხშირი სუნთქვისგან ფერდები ებერებოდა, თვალეზში სისხლი ჩადგომოდა და სისველის ძებნაში ქვიშას ლოკავდა. ხალხი ხარხარებდა.

თავმჯდომარის ლოქის მახლობლად მოაჯირს დაყრდნობილი გალიარდო ხარის გასაგმირად ნიშანს ელოდა. მოედნის კიდესთან მდგომ გარაბატოს დაშნა და მულეტი უკვე მოემზადებინა.

ეშმაკმა დალახვროს! შესანიშნავად დაიწყო კორიდა და ამ პირუტყვმა ყველაფერი არივ-დარია. პირუტყვმა, რომელიც სილამაზის გამო თვით გალიარდომ აარჩია! რა იცოდა, რომ ასეთი თვინიერი გამოდგებოდა?

გალიარდო პირველ რიგში მჯდარ გამოცდილ ხალხს ესაუბრებოდა და თავს წინდაწინ იმართლებდა.

— ყველაფერს გავაკეთებ, რაც შესაძლებელია. — მხრებს იჩივდა ხუანი.

მერე ლოყებისკენ გაიხედა და დონია სოლს მიაშტერდა. იმ ქალმა ტაში დაუკრა, როცა გალიარდო ხარის მახლობლად გულადად დაწვა. დონია სოლმა შეამჩნია გალიარდო და მეგობრულად ხელი დაუქნია. მას გვერდით მჯდომმა უცხოელმაც მიბაძა და ისე მკვეთრად მოიხარა, თითქოს წელში მოწყდაო. როცა გალიარდო ლოყიდან მოაჯირისკენ შეტრიალდა, დონია სოლი დურბინდით კვლავ დაეინებით შესცქეროდა. ო, რა ქალია! იქნებ გული კვლავ მოუბრუნდეს ამ თავხედი ხუანისკენ? ღმერთმა უწყის! გალიარდომ გუნებაში გადაწყვიტა ხვალვე სწვეოდა მას და ბედი ეცადა.

გაისმა ხარის მოკვლის სიგნალი. ტორერომ ხალხს რამდენიმე სიტყვით მიმართა და ხარისკენ გაემართა. ენთუზიასტები სმამალალი შეძახილით გზას ულოცავდნენ.

— სწრაფად მოუღე ბოლო! მაგისთანა ცხოველი დიდი ცერემონიის ღირსი არაა.

გალიარდომ მულეტი მოიქნია და გამძვინვარებული მხეციც მისკენ გამოექანა. სასტიკი ტანჯვით გაცოფებული ხარი შეტევისთვის ემზადებოდა, რათა მიწის პირიდან აღეგავა პირველივე შემხვედრი, რომელიც მის წინ აღმოჩნდებოდა.

ხალხის გულისწყრომა შერბილდა. ბოლოს და ბოლოს, პირუტყვი გამოფხიზლდა და ძალის გამოჩენა გადაწყვიტა. ოლე! აღფრთოვანებული მაყურებელი ესალმებოდა სასტიკ სანახაობას და ტორეროსა და მის მოწინააღმდეგეს ერთდროულად აქეზებდა.

ხარი ადგილზე გაშეშდა. თავი დახარა და ენა გადმოაგდო. ყველაფერი მიყუჩდა. სამარისებური, შემაძრწუნებელი სიჩუმე გამეფდა. ათასობით მაყურებელმა ბრძოლის მოლოდინში სუნთქვა შეწყვიტა. ისეთი სიჩუმე იყო, ოდნავი ფაჩუნიც ამფითეატრამდე აღწევდა. უეცრად ტაკანი გაისმა. გალიარდო ხარის კისერში ჩასობილ ხელშუბებს დაშნის ტარით ძირს ყრიდა, სასიკვდილო დარტყმისათვის ემზადებოდა. მაყურებლებს კისერი წაეგრძელებინათ და გრძნობდნენ საიდუმლო კავშირს მატადორის ნებასურვილსა და ხარს შორის. მაყურებელი მიხვდა მატადორის გადაწყვეტილებას,

„იგი ახლა ოსტატური დარტყმით გაგმირავს ხარს“, ჩურჩულებდნენ ისინი.

გალიარდო ხარისკენ დაიძრა. მოუთმენლობისგან აღელვებულმა ხალხმა ამოიოხრა. მოკლე შეჭიდების შემდეგ ხარი გაიქცა და ღრიალით ჰაერი გააყრუა. აღშფოთებული ყვირილისა და სტვენისაგან ამფითეატრი შეთრთოლდა. ნაცნობი ამბავია! დარტყმის დროს გალიარდომ სახე შეაბრუნა და ხელი უკან გასწია. რამდენიმე წუთის შემდეგ ცხოველის კისერში მოქანავე დაშნა ქვიშაზე დაეცა.

ამფითეატრიდან საშინელი გინება მოისმა. ხალხსა და ტორეროს შორის დამყარებული ჯადოსნური კავშირი გაწყდა. აღრინდელი აღტაცების ნიშანწყალი არსად ჩანდა. ხალხი მძვინვარებდა.

მდუმარე გალიარდომ დაშნა აიღო, თავჩაქინდრული კვლავ ხარისკენ გაემართა და გონებაში გულისწყრომას გამოთქვამდა ხალხის უსამართლობაზე, რომელიც სხვა ტორეროებს წყალობის თვალით შესცქეროდა, ხოლო მას. შეუბრალებლად ეპყრობოდა.

დაბნეულმა გალიარდომ ვერც კი გაარჩია ვინ გამოეყო კვადრილის მოსაშველებლად. მგონი ნასიონალი.

— დამშვიდდი, ხუან! ნუ ღელავ!

ეშმაკმა დასწყევლოს! ნუთუ ახლაც ასე მოხდება? ნუთუ გადაავიწყდა გაბედულად დაშნის ტარამდე ჩაცემა? ნუთუ ხალხის სამახსრო უნდა გახდეს? ვერ ხვდებიან განა, რომ მის წინ ხარი კი არა, ცეცხლმოკიდებული ბანდერილიებით გაათრებული მხეცია.

გალიარდო შეჩერდა პირუტყვის წინ, რომელსაც ქვიშაში მაგრად ჩაესო ფეხები, უცდიდა მოწინააღმდეგეს და სურდა ამ გაუთავებელ წამებისთვის რაც შეიძლება მალე მოედო ბოლო. ტორერომ მულეტის მოხმარება აღარ მოისურვა. ხუანმა წითელი ლაბადა ძირს დაუშვა და დაშნა თვალს უსწორა! მთავარია ხელი არ აუკანკაღდეს!

მაყურებელი ფეხზე წამოხტა. რამდენიმე წუთის განმავლობაში ერთ მასად ქცეული ხარი და ადამიანი სარბიელზე გორაობდა. საქმის მცოდნენი მოწონების ნიშნად ხელს იქნევდნენ. ძალზე მამაცურად ეძგერა გალიარდო პირუტყვს! აი, ნამდვილი დარტყმა!

მაგრამ უეცრად თავბრუდამხვევი სიძლიერით რქებმა მალა ასტყორცნა კაცი და მერე ძირს დაანარცხა. ხარს დაშნა კისერში ტარამდე ჩასობოდა და ისე დარბოდა სარბიელზე. მერე თავი დახარა, უსიცოცხლო სხეული კვლავ მალა აისროლა და მიწას დაანარცხა. გალიარდო ბარბაცით წამოდგა. მაყურებელმა თავისი უსამართლობის გამოსასყიდად მქუხარე ტაში დასცხო. ოლე, გმირს! გაუმარ-

ჯოს სევილიის საამაყო შვილს! მართლაც შესანაშნავი დარტყმა აგემა!

ტორერო სდუმდა. წელში მოკუნტულს თავი მხრებში ჩაემალა, ხელებით მუცელი ეკავა და მთვრალივით ბარბაცებდა. მან გასასვლელის ძებნაში ორჯერ წამოსწია თავი და მერე ოქროსფერ აბრეშუმში გახვეულ ქიასავით მიწას დაენარცხა. ცირკის ოთხმა მსახურმა უხეშად სტაცეს ხელი და ძლივძლივობით ასწიეს. ნასიონალიც უკან გაედევნა და მეგობარს თავზე წაავლო ხელი. გალიარდოს გაფითრებულ სახეზე სუსტად ელავდნენ შუშისებური თვალეზი. ტაში მიწყდა. გაკვირვებული მაყურებელი სდუმდა, გაუბედავად იყურებოდა და მომხდარ ამბავში კარგად ვერ გარკვეულიყო... მაგრამ მალე გამამხნევებელი ჩურჩული გაისმა, რომელიც ზმირ შემთხვევებში ხალხს ამხნევებს ან თავზარსა სცემს: უმნიშვნელო კრილობაა მუცლის არეში, ტორერომ გონება დაჰკარგა! სისხლი არ სდის!

ამის გაგონებაზე მაყურებელი დაწყნარდა, თავის ადგილს მიაშურა ყველამ. ახლა ყურადღება გაამახვილეს პირუტყვზე, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და გარდაუვალ სიკვდილს მედგრალებდოდა.

ნასიონალი მსახურებს დაეხმარა, რათა მეგობარი ცირკის ლაზარეთის დივანზე წამოეწინათ. გალიარდოს უსიცოცხლოდ ჩაეჭინდრა თავი, ხელები უმოძრაოდ ეკიდა.

სებასტიანს თავისი მანეტრო ბევრჯერ უნახავს დაკრილი. მთლად სისხლში მოთხვრილი, მაგრამ სიმშვიდე არ დაუკარგავს. ახლა კი გალიარდოს უსიცოცხლო და მწვანედ გაფითრებული სახის დანახვაზე გული შეეკუმშა.

— ღმერთმა შეგაჩვენოთ ყველანი! — წამოიკვნესა ბანდერილიერომ, — ნუთუ ექიმი არაა? შველა არავის შეუძლია?

დაკრილი პიკადორის ლაზარეთში გასტუმრების შემდეგ მთელსაექიმო პერსონალი ლოყებს დაბრუნებოდა.

სასოწარკვეთილებისაგან გაცოფებული სებასტიანი შემოსულ პოტახეს და გარაბატოს. თვითონაც არ იცოდა, რას უყვიროდა.

გამოჩნდნენ ექიმებიც. ჩაკეტეს კარი რათა ხელი არავის შეეშალა და ტორეროს უსიცოცხლო სხეულის წინ გაუბედავად შედგნენ. უპირველეს ყოვლისა გახდაა საჭირო.

ფანჯრიდან შემოსულ მკრთალ სინათლეზე გარაბატო ტანსაცმლის ქრას შეუღდა.

ნასიონალი ძლივს ხედავდა გალიარდოს, რომელსაც შეშინებული ექიმები გარს შემოხვეოდნენ და ფიჭრობდა: გულწასულია და

ამიტომ ჰგავს მიცვალებულს. სისხლი არ სდის. ტანსაცმელი ხარის რქას დაუფლეთია.

ოთახში სწრაფად შემოვიდა ექიმი რუისი და ყველამ სახელგანთქმულ დასტაქარს გზა უტია. რუისი გარაბატოს გახდაში მიეხმარა და თან იწყევლებოდა.

დანარჩენებიც ჩაებნენ საქმეში და უეცრად მწუხარე და დაკვირვებული წამოძახილები გაისმა. ნასიონალი ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. მან ექიმების თავს იქით გადაიხედა და ხალათაწეული გალიარდოს მკერდი შენიშნა. მუცელს ქვემოთ მუჭი ბალანი ბზინავდა. გაფატრული მუცლიდან მოლურჯო ნაწლავების სისხლიანი ნაფლეთები მოჩანდა.

— ექიმო! ექიმო! სიმაართლე მითხარით! — ემუდარებოდა ნასიონალი.

-- ყველაფერი გათავდა, სებასტიან! შეგიძლია სხვა მატადორი ეძიო.

ნასიონალმა თვალები ზეცისკენ ალაპყრო. ო, რა კაცი დაიღუპა. გამოსამშვიდობებლად ხელის ჩამორთმევაც ვერ მოასწრო. კრინტიც არ დაუძრავს, ისე მოკვდა, თითქოს საცოდავ ბაჭიას წაუჭირეს ხელი ქცსერში.

ნასიონალმა ველარ გაუძლო მეგობრის ყურებას და გარეთ გამოვარდა. პოტახე უძრავად იდგა, უცნაური თვალებით შესცქეროდა მიცვალებულს და ხელში განიერფარფლებიან ქუდს კმუჭნიდა.

სებასტიანი მძიმედ ქმინავდა, თვალები აცრემლებოდა. ბავშვივით ტირილი უნდოდა.

სამწუხარო ამბავი სწრაფად მოედო მთელ ცირკს. გალიარდო მოკვდა! ზოგიერთებს ეჭვი ეპარებოდა, უმრავლესობამ დაიჯერა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა. კორიდის პირველი ნაწილი ჯერ არ დასრულებულიყო, საცაა მესამე ხარი უნდა გამოეშვათ და სანახაობას ხომ არ მიატოვებდნენ? ცირკიდან ხალხის ყიჟინა და მუსიკის ხმა ისმოდა.

უეცრად ნასიონალს შეზიზღდა ყველაფერი, განსაკუთრებით ხალხი, რომლის მეშვეობით გზას იკაფავდა ეს დაწყევლილი ხელობა. მას გაახსენდა ლამაზი სიტყვები, რომლითაც ამ ცოტა ხნის წინ მისი მეგობრები ერთობოდნენ და ახლა კი ცხადი გახდა, რა სამართლიანი აზრები გამოსჰვიოდა მასში!

ფიქრში წასულმა ნასიონალმა დაინახა დასისხლიანებული ხარი, რომელსაც სარბიელიდან მიათრევდნენ. პირუტყვს კისერი ამობურცვოდა, ფეხები გაშეშებოდა და უსიცოცხლო თვალები ლაყვარლოვანი ცისკენ აღეპყრო.

ამ სანახაობამ სებასტიანს კედლებს მიღმა მყოფი მეგობარი გა-
ახსენა. იმასაც ხელ-ფეხი გაშეშებული ჰქონდა. პერანგს ქვემოთ
მუცელი მოუჩანდა და უსიციოცხლო თვალები ჩამუქებოდა.

უბედური ხარის უბედური ტორეროს უეცრად ცირკიდან მხია-
რული ყიჟინა მოისმა. ხალხი ახალ სანახაობას ეგებებოდა. თვალდა-
ხუჭულმა ნასიონალმა მუშტები მოკუმშა.

ღრიალებდა მხეცი — ერთადერთი, ნამდვილი მხეცი.

Бласко Ибаньес
КРОВЬ И ПЕСОК

Роман

Перевод Б. А. Мирцхулава
(На грузинском языке)
Изд-во «Литература да Хеловნება»
19 Тбилиси 63
Плехановский. 181

• •

რედაქტორი ნ. ხომერიკი
მხატვარი ა. ვეფხვაძე
მხატვ. რედაქტორი ირ. ჯანაშვილი
ტექნიკური რ. იმნაიშვილი
კორექტორი ც. ქაროსანიძე

• •

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/VIII-62 წ., ქალაქის
ზომა 60x90. პირობით ფ. რაოდენობა 17,06, ფიზიკურ
ფ. რაოდენობა 18, 12,
ტირაჟი 30,000. შეკვ. № 496.
ფასი 1 მან. 20 კაპ.

• •

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის
კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР,
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.